

# რ ე ვ ა ზ

# ე პ ა ბ ა ლ ა ბ

## ს ა ქ ა რ თ უ ლ ი მ ა ც ნ ე

ო ც რ ა ს ხ უ თ ღ მ ა მ დ ა რ ა

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა-ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის უანრულად უალრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანა-ხული მსოფლიოც.

2012



6 3 3 0 ლ ი ბ ი

ცოტი  
VIII



გამოცემა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-16-279-4 (VIII ტომი)

## გამგებიანი

რუსებს სხვა მშვენიერ სიტყვათა შორის ერთი სიტყვაც აქვთ – „სოობრაზიტ“. ეს სიტყვა ლექსიკონში განმარტებულია „მოსაზრებად“, „მიხვედრად“, „ურთიერთგაგებად“, „შეთანხმებად“, „აზრთა აწონ-დაწონვად“. როგორც ხედავთ ქართულში ზუსტი შესატყვისი არ გაგვაჩნია.

მიუხედავად ამისა, „სოობრაზიტ“ რუსულში საკმაოზე უფრო ხშირად იხმარება და, როგორც ენათმეცნიერები ამტკიცებენ, ამ ხუთი წლის წინათ უფრო ხშირად იხმარებოდა.

„ეი, პარენ, სოობრაზიმ ნა ტრაიხ!“, მომესმა გიორგობისთვის ერთ სუსხიან დილით საჯარო ბიბლიოთეკისაკენ თავჩანქინდრულად, გამალებით მიმავალს.

შევჩერდი.

რომ არ დამავიწყდეს, ახლავე მოგახსენებთ, რომ მოქმედება ხდება მოსკოვში, ვოროვსკის ქუჩაზე №111 გასტრონომის წინ.

მოსკოვში რა მინდოდა და დისერტაციის დასაწერად მივლინებით გახლდით. თუ მკითხავთ, შენ ხომ დისერტაცია აკაკი წერეთლის სატირულ უურნალებზე გქონდა, მოსკოვში რა მოგარბენინებდაო, ამჯერად კონკრეტული და ამომწურავი პასუხისაგან თავს შევიკავებ, რათა ჩემი ზნეობრივი სახე უნებლიერ სასწორზე არ შევაგდო.

ჩემს წინ ორი ასევე ჩემსავით ხელჩანთიანი და ინტელიგენტურად ჩაცმული, სამამულო წარმოების მოსასხამიან-შლაპოსანი კაცი დგას.

ჩემი შეტყობით ოცდაათისანი ჯერ არ არიან და არც ბევრი არაფერი უკლიათ. ეს მომართვა პირველად გავიგონებეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. მოსკოვში ბარე

რედაქტორები:  
ნათელა თუხარელი  
მერაბ ცაგარეიშვილი

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა:  
მავრა ბანცური  
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, რჩეული თაზულებანი ოცდახუთ ტომად  
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

ერთი თვის ჩამოსული ვიყავი და გასტრონომთან გავლისას ხშირად მესმოდა. ისიც ვიცოდი, რას ნიშნავდა, მაგრამ აქამდე თუ „სპასიბო, ნეკოგდათი“ ვიშორებდი, იმ დღეს, რატომლაც, შევჩერდი.

ხელში საგულდაგულოდ დაკეცილი მანეთიანები ეჭირათ და „უფროსი ძმები“ ერთდროულად მთხოვდნენ „შეთანხმებას“, „ურთიერთგაგებას“, „მიხვედრას“, „აზრის აწონ-დაწონვას“.

უჩვეულო უინმა შემიპყრო, მოდი, ერთხელ მაინც არ გავაწილებ ამ სერიოზულ ახალგაზრდებს. დავყვები მათს ნებას. სამი მანეთი გინდ იქეთ იყოს, გინდ აქეთ, ასორმოცდათი გრამიც ვერაფერს მიზამს, ცოტას შევხურდები და უფრო ენერგიულად ვიმუშავებ-მეთქი ბიბლიოთეკაში.

ამოვილე სამმანეთიანი და გავუნოდე.

„უდი ზდეს!“ დამიგდეს და საქმიანი სახე-ნაბიჯით გაუჩინარდნენ გასტრონომის მბრუნავ, ცხლადმეშინავ კარებში.

ვდგავარ, ველოდები. ფეხს ფეხზე ვაბაკუნებ. ასე იქცევა ყველა გარეთ მცდელი. რუსული ყინვა გინდა არგინდა აგაცეკვებს.

მალე გამოჩნდნენ ჩემი კოლეგა-შემთანხმებლები.

ძირს დაშვებულ ჩანთებზე, ყურებამდე ჩამოფხატულ შლაპებზე და ბოლო ღილამდე შეკრულ მოსასხამებზე ვიცანი.

დაბალს მკერდთან მარცხენა ხელი აქვს გამობურცულ ადგილას მიჭერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნადავლი სახეზეა“. ახლა განზე გავდგებით და ჩვენ-ჩვენ წილ არაყს დავურტყამთ.

გვერდით ჩამიარეს და არც კი შემომხედეს.

მათი ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური საქციელი, კონსპირაციას მივაწერე. ალბათ, არ უნდათ, მე, ქართველ, კაცს სახელი გამიტეხონ-მეთქი.

მივყევი.

ოციოდე ნაბიჯი რომ გადადგეს, მოიხედეს და რაკი დარწმუნდნენ, მოგვყვებაო, ფეხს აუჩქარეს. კიდევ ერთხელ მოიხედეს და სირბილზე გადავიდნენ.

– ეი! ეი! რებიატა, პადაუდიტე! – მივდევ, მივძახი.

შენც არ მომიკვდე, უკანალზე ქუსლებს ირტყამენ, ისე სწრაფად გარბიან. ყველაფერი გასაგებია. ჩემი გაცურება-მოტეხვა გადაწყვიტეს. შემატყვეს, რომ ამ საქმეში ხამი ვარ და სამი მანეთი ამანაპნეს, არაყს კი არ მიწილადებენ.

სიბრაზისაგან ყურები ამენვა. მე თქვენ გიჩვენებთ-მეთქი, გულში ვამბობ, როგორ უნდა ალალი კაცის მოტყუება და აბუჩად აგდება. საფლავის კარამდე ჩაგსდევთ, ჩემს წილ არაყს არ შეგარჩენთ, თუ კაცი ვარ-მეთქი. არაყზე კი არ მწყდება გული, არაყი წაულია ცეცხლს, მე იმაზე ვბრაზობ, რა რქიანი მნახეს, რომ ჩემი გაბითურება-გაცუცურაკება გადაწყვიტეს.

სირბილში ერთმა მეორეს შლაპაც მოხადა და ჩანთაც გამოართვა. არყის ბოთლიანი წინ გარბის ბოთლზე ხელმიჭერილი. უბოთლო უკან მისდევს. ორი ჩანთა ერთად ამოუილლიავებია, შლაპაზე შლაპა ჩამოუმხია და თავზე ხელით ამაგრებს. მიხტუნავს კენგურუსავით, უკანმოუხედავად. რაღა მე და რაღა ბუზი, თითქოსდა, ჩემი სამმანეთიანი არც იდოს იმ არაყში.

სადარბაზოში შეცვივდნენ და კარი მოიჯახუნეს.

მივვარდი, ვაკაკუნებ, ვაჯანჯლარებ ხის კარებს, ლამის შევანგრიო. – ატკროიტე! – ვყვირი – ატკროიტე, ია ვამ გავარიუ, ატკროიტე სიჩასჟე!

გაგიგონია?

მივაყურადე. ლიკლიკით ჩადის ჩემი არაყი ჭიქაში. მომეყურა თუ ნამდვილად ასე იყო, ამას ჩემი გაცოფებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დავაჭირე თითები ღილაკებს. ერთბაშად ახმაურდა მთელი სახლი.

– ვამ კტო?

– კავო ხატიტე?

– ვი კუდა?

– კტო ვი?

– სლუშაიუ!

– ატვეჩაიტე უე!  
– ატკროიტე, ია ვაშ დრუგ, ნედავნო პრიეხალ-მეთქი, მაგრამ ახლა ახალი ტალღა წამოვიდა სართულებიდან „ვინ ხარ“, „ვის დაეკარგე“, „ვისთან ჩამოხვედი“, „მოშორდი მაქაურობას, თორემ მილიციას დავუძახებთო“.

მილიციას გაგონებაზე ფრთები შემესხა.

მთელი ძალით დავაბრახუნე და ჭუჭრუტანას ჩავბლავლე:

– ატკროიტე სიჩასუე, ატო, მილიციუ პაზავუ!  
გაჭრა.

კარი გაიღო. ლრიჭოში ხელი გამოჩნდა. არაყი ნახევარზე ცოტა მეტი ასხია.

– ნა, პეი! ზარაზა!

ჭიქა გამოვართვი. სულმოუთქმელად გადავკარი. დავუბრუნე და კარებს მოვშორდი.

ჩემი თავმოყვარეობა გადარჩენილია. მოძალადეებს თავისი ხომ მაინც არ გავატანინე. ხომ ვერ დაიტრაბახებენ: კავკასიელს დღეს სამი მანეთი შევაწერეთო.

მოვდივარ უკან გახარებული, გალაღებული, თავაწეული.

გასტრონომთან ორი შლაპოსან-ჩანთოსანი ახალგაზრდა კაცი დგას.

დაბალს მკერდზე აქვს პლაშის შიგნით რაღაც ჩაბლუჯული.

დამინახეს და მაშინვე მომცვივდნენ.

„ვოტ ჩუდაკ, გდე ტი? ცელიი ჩას ისშემ!“

ისინი არიან ნამდვილად, ვისაც სამი მანეთი მივეცი „სომბრაზიმ ნა ტრაიხ“-ის პასუხად.

თურმე წელან სხვა რუსებს გამოვეიდებივარ.

რას ვემართლებოდი, უკან რომ მივსდევდი და, თუ არ დამალევინებთ, მილიციას დავუძახებ-მეთქი, რომ ვემუქრებოდი!

არ ყოფილან გამგებიანი ბიჭები?

საკუთარი არაყი მიწილადეს.

არ მინდა, ბიჭებო, თქვენ დალიეთ, რაღაცა ვერა ვარ კარგად-მეთქი, სიცილს ძლივს ვიკავებ.

ტი ჩტოვო, პირის შლა ვის გაუგია, ასეთ საქმეშიო, ახლა შენი სამი მანეთი სადღა ვიშოვოთო, შეწუხდნენ.

არ მინდა, ბიჭებო, სამი მანეთი, ღმერთმა შეგარგოთ, ალალი იყოს თქვენზე-მეთქი, ხელი ჩამოვართვი ორივეს და ვოროვსკს თავდალმა დავადექ კალინინსკისკენ.

„– ვოტ ჩუდაკ“ – მომესმა.

მოვიხედე. დგანან და შემომცქერიან.



## რიპობ

ეს ამბავი მოხდა ზუსტად ერთი წლისა და ორი კვირის შემდეგ იმ შემთხვევიდან, პარლამენტის გაგანია სხდომაზე ვახტანგ რჩეულიშვილმა ნოდარ ნათაძეს სახეში „ბორჯომი“ რომ შეასხა.

გაკვირვებულმა ნოდარ ნათაძემ, ხურდა, მართალია, ტელეფონის აპარატის სროლით დაუბრუნა, მაგრამ ვახტანგ რჩეულიშვილმა, როგორც ამ ისტორიული ეპიზოდის ამსახველი (პარლამენტის ენით – „დამფიქსირებელი“) ტელეფირის შენელებული კადრირება გვიჩვენებს, აპარატი აიცილა.

ჩანს, დაზარალებული ნათაძე არ ელოდა „ბორჯომის“ შესხმას, დამზარალებელი რჩეულიშვილი კი, დიახაც, მოელოდა (კინალამ წამომცდა, იმსახურებდა კიდეც-მეთქი) ტელეფონის აპარატის ხეთქვას თავში და ამიტომაც აპარატის ტრაექტორიას მომზადებული შეხვდა.

ნოველის ავტორს ქართული პარლამენტის ისტორიის ეს სახელოვანი ფურცელი მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რათა ამ, არცთუ სანობელე ნოველის შექმნის თარიღის დამდგენ მომავლის მკვლევარს საქმე გაუადვილოს, თორემ „ბორჯომის“ ეპოპეის შესახებ, ალბათ უკვე იწერება ნოველაზე უფრო „ტევადი“ უანრის თხზულებანი.

იმდენად უმნიშვნელო ამბავს ვყვები, რომ ამჯერად ვერც ღმერთს გავუბედავ თხოვნა-შემწეობას და ნოველას ღვთის სენებითაც არ ვიწყებ.

ჩვეულებრივი, თბილისური, მსუბუქად მოლრუბლული გაცრეცილ-ლრუბლიანი დილა იყო.

არათუ წვიმდა, უინულვლითაც არ უინულლავდა.

უურნალ „ერის ფარის“ რედაქტორი გიზო ჭახაძე „კონტასთავის შეთქმულების“ ქუჩაზე მიაბიჯებდა.

რედაქტორს ჯიბეში საფულე ედო – საფულეში კი, არც მეტი, არც ნაკლები, სამასი ათასი რუსული მანეთი – „რუბლი“ და ოთხნახევარი მილიონი კუპონი.

გიზო ჭახაძე რომ თუნდაც რიგითი, უპრეტენზიო სპეცულიანტ-გადამყიდველი ყოფილიყო (ჩვენში რატომლაც ბიზნეს-მენს რომ ეძახიან), მის საფულეში სამასი ათასი რუბლი არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ლიტერატურულ-პატრიოტული უურნალის „ერის ფარის“ რედაქტორის საფულეში სამასი ათასი რუსული უკვირს მკითხველს და მართალიც არის.

„ერის ფარი“ სექსუალურ-პორნოგრაფიულ სურათებს კი არა, სამშობლოს თავისუფლებაზე დაწერილ თხზულებებს ბეჭდავს და ამ მიკროტირაჟიან გამოცემას, მე მგონი, ისიც კი არ კითხულობს, ვინც რედაქტორის ხათრით შეიძენს ხოლმე ისე, ფიცში ჩასაყოლებლად, საქველმოქმედო მოსაზრებით.

გიზომ შარშან, შუა ზამთარში თურქმენეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდების იმედი საბოლოოდ რომ გადაეწურა და ცოლ-შვილის გაყინვის საშიშროება აშკარად დაემუქრა, პროცენტიანი ფული ისესხა კერძო ბანკის პატრონ ვინმე პიტალიძისგან. პიტალიძე, ადრინდელი გაგებით, მევახშე გახლდათ. ფულს აპროცენტებდა. მის მიერ დაარსებულ ამ ერთი კაცის ბანკს პრივატიზაციის ეპოქამ კერძობანკი „მაშველი რგოლი“ დაარქვა. თუმცა, რა მაშველი რგოლიც იყო მევახშე პიტალიძის ბანკი, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ შარშან გაზის ღუმელის (გაზის ბალონითურთ) შესაძენად გიზომ მხოლოდ ასი ათასი რუბლი ისესხა, ხოლო ერთ წელინადში ვალი გასამდა. თავზარდაცემულმა ჭახაძემ ამჯერად ნათესავ-მეგობართაგან კაპიკ-კაპიკ ჩამოსესხებული ფულით შეაქუჩა სამასი ათასი და პიტალიძისათვის მიაქვს, რადგანაც მევახშის ვალის კიდევ ორი წლით დახანება, თუ სახლის არა, მთელი მოძრავი ქონების კონფისკაციას მაინც უქადის.

დედაქალაქის რომელ ქუჩაზე არ დგას ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი საშუალოდ ათასი ჯიბური, მაგრამ „კონტასთავის

ქუჩა“ ჯიხურთა სიმრავლით მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების ნებისმიერ უხვჯიხურიან ქუჩას გაეჯიბრებოდა.

ცივი ბავარიული ლუდი, „კოკა“, „ფანტა“, „პეპსი“, „სნიკერ-სი“ და რუსული სოსისი (ჩვეულებრივზე უფრო დიდი ზომისაა, ავტ.), ბრაზილიური შოკოლადი და არტელ „უსინათლოს“ „ნამცხვარ-პეჩენია“... ერთი სიტყვით, ცდუნება დიდი იყო და გიზო ჭახაძე ოთხასოცდამეშვიდე ჯიხურთან შეჩერდა.

– „კოკა-კოლა“ ხომ ცივი გაქვთ?

– ნამდვილად! – ცოცხლად, თავაზიანად უპასუხა ოცდახუთიოდე წლის თავგადაპარსულმა ბიჭმა, რომელიც ცნობილი ფილმის თორმეტი გაბრაზებული მამაკაციდან ერთ-ერთს მხოლოდ ყურებითა და შუაზე გაყოფილი ცხვირით წააგავდა.

– რა ღირს? – ჰკითხა გიზომ იმ იმედით, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო სასწაული და ამ ჯიხურში სახელგანთქმული ტკბილი წყალი ოდნავ მაინც ნაკლები ღირებულიყო, ვიდრე ქალაქის სხვა ჯიხურებში ღირდა.

– ათას ხუთასი.

– უბოთლოდ?

– გაქვთ ბოთლი?

– არა, მაგრამ აქვე დავლევდი და ბოთლს დაგიტოვებდით.

– მაშინ ათასი, – ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბიჭმა, როგორც ჩანს, „კოკა-კოლას“ უტაროდ გაყიდვა მას ხელს უფრო აძლევდა.

ჭახაძემ დაორთქლილი ლამაზი ბოთლი ტუჩზე მოირგო და წყალი სულმოუთქმელად დალია.

მეჯიხურეს ფული გადაუხადა და გზა განაგრძო.

„კოხტასთავის შეთქმულების“ ქუჩიდან „27 სექტემბრის“ (სოხუმის დაცემის დღე, ავტ.) ქუჩაზე გადაუხვია და კერძო ბანკ „მაშველი რგოლის“ ერთსართულიან შენობას მიადგა.

მევახშე პიტალიძე კარებთან ტაბურეტზე იჯდა. და, რა დაუჯერებელიც უნდა მოგეჩენოთ, ორივე თვალი ახვეული ჰქონდა.

– გამარჯობათ, – თვალსახვევს ჩასძახა გიზომ, – მე რედაქტორი ჭახაძე ვარ. წინა შაბათს კაცი რომ გამომიგზავნეთ.

– გიცანი, – მშვიდად მიუგო მასპინძელმა და ჭახაძის კითხვას არ დაელოდა, – თვალის ანთება მაქვს, ბოლოში ვიხდი. რა სიკვდილმა გამიჩინა, არ ვიცი. ზოგი ამბობს, ალერგიულიაო.

– იცის. მეურნალობთ?

– მაწვეთებენ რაღაცას.

– მე... ისა... ფული მოგიტანეთ.

– რატომ შეწუხდით... მე არ მეჩეარება... მე, უბრალოდ, შეგატყუბინეთ მდგომარეობა. რა ვქნათ, ჩვენც პროცენტს გვთხოვს მთავრობა. მერე დღეში ათასი ყაჩალი და რეკეტიორი მოდის. ამან გამიჩინა თვალის ანთება. მაგათ ჰგონიათ, მე ფულს ვჭრი აქანა.

– დაიტოვებთ?

– რას?

– ფულს.

– რაკი მოტანილი გაქვს, უკან ხომ არ წაიღებ. დავიტოვებ, აბა, რას ვიზამ.

– დათვლა რომ არ შეგიძლიათ?

– შენ ხომ შეგიძლია.

– კი.

– აბა, რაკი შენ დათვლილი გაქვს, ჩემგან რად უნდა დათვლა. თვალიც რომ არ მტკიოდეს, მაინც არ დავითვლიდი. რედაქტორ კაცს მეტს არ გენდობი?

ამ სიტყვებიდან წამიც არ გასულა, რომ მოხდა ისეთი რამ, რასაც ისტორიულს ვერაფრით დაარქმევთ, მაგრამ ჭახაძის მშვიდი განწყობილება სასოწარკვეთით შეიცვალა.

შარვლის მარჯვენა ჯიბეში, სადაც ეგულებოდა, საფულე არ იდო. გიზოს ორივე ხელი მაღალ ძაბვაზე ჩართული რობოტის კიდურებივით მოძრაობდა – მარცხენა ჯიბე, უკანა ორი ჯიბე, პიჯაკის შიდა და გარე ჯიბეები, საფისტონე (ყოველი

შემთხვევისათვის, ავტ.) ჯიბე, გულის ჯიბე, კვართის ჯიბე, სათვალის ჩასადები გარეთა ჯიბე...

საფულე არ ჩანდა.

სტუმრის გამალებული სუნთქვა-ქშენა პიტალიძეს არ გამოჰქონდა.

– ხომ მშეიდობა?

– საფულე არ ჩანს.

– დაწყნარდი და მშვიდად მოძებნე, იცის ასე, ნერვიულობის დროს უფრო ვერ იპოვი.

არც შენელებულ ძებნას მოჰყვა შედეგი. პიტალიძემ დაბნეული სტუმრისადმი ინტერესი დაკარგა, მაგრამ ბოლო ფრაზა მაინც არ დაამადლა.

– კარგად გაიხსენე, სახლიდან წამოიღეთ თუ არა საერთოდ. მერე გზაში სად გაჩერდით. თუ მეტროთი და ავტობუსით იმგზავრეთ, დაემშვიდობეთ. თუ არა და იპოვით, ნუ გეშინიათ. ნახვამდის, გულთან არ მიიტანო, რას იზამ, ხდება...

ჭახაძეს არაფერი უთქვაშს. გამოტრიალდა და ბარბაცით გაშორდა კერძო ბანკს. ასეთი ნაბიჯი პარკინსონით დაავადებულს და კიდევ იმ საწყალობელ კაცს აქვს, ვინც ეს-ესაა თავის მოკვლა გადაწყვიტა.

„მეტროთი და ტრამვაი-ტროლეიბუს-ავტობუსით არ უმგზავრია. აქედან სულ რაღაც სამ გაჩერებაზე ცხოვრობს და ფეხით ამოიარა ქუჩახევი. შეჩერებით არსად შეჩერებულა. თუმცა, კოხტასთავის შეთქმულთა ქუჩაზე ხომ „კოკა-კოლა“ დალია. იქ დარჩებოდა საფულე. ნამდვილად იქ დარჩა. საფულე რომ გახსნა და თავხორცორა გამყიდველს ათასი მანეთი მიაწოდა., ახსოვს, მაგრამ საფულე ჯიბეში ჩაიბრუნა თუ არა, აღარ ახსოვს. მიაგნებს ჯიხურს? ნომერი აღარ ახსოვს, მაგრამ იმ მეჯიხურეს მილიონ მეჯიხურეში ამოიცნობს, ცხვირი გაყოფილი ჰქონდა. საღლაც ქუჩის შუაში იდგა მისი ჯიხური, ღმერთო, მიშველე“.

გულს ბაგაბუგი გააქვს. ყურებში შუილი ესმის და კეფა ეწვის. აშკარაა, წნევამ აუწია. აი, ეს ჯიხურია, ოთხასსამოცდამეშვიდე ყოფილა. ესაა წამდვილად. ვიტრინაში საბრინას სურათია გამოდებული.

ჯიხური ჩარაზული დახვდა. ვიტრინაში შეიჭვრიტა. საფულე არსად ჩანდა.

„იპოვა და დაკეტა დუქანი. ჩაიდო ჯიბეში ჩემი სიმწრით ნაშოვნი ფული და წავიდა. გამორიცხულია, რომ მე მეტებდეს. რა იცის, ვინ ვარ. ჩემნაირი მილიონი სვამს „კოკა-კოლას“.

გვერდით, მარჯვენა მხარეს, ზუსტად ისეთივე, მაგრამ უსაბრინო ჯიხურში ნაწნავებიანი ახალგაზრდა ქალი გნოლივით მიყუჟულიყო.

– ქალბატონო, ეს დიდი ხანია წავიდა?

– არ შემიმჩნევია.

– უკაცრავად ვარ, მაგრამ ხომ არ იცით სად ცხოვრობს?

– არ ვიცი?! წყენა-გაკვირვებით მიუგო ქალმა.

– არც სახელი იცით?

– მგონი ტარიელი უნდა ერქვას.

ჭახაძე ოთხასსამოცდამერვე ჯიხურს მიადგა.

– ტარიელი დიდი ხანია წავიდა?

– ვინ ტარიელი? – წვერგაუპარსავი, ორმეტრიანი გამყიდველი ჯიხურში ძლივს ეტეოდა.

– თქვენ გვერდით რომ მუშაობს.

– ჯერ ერთი, მაგას ტარიელი კი არა, დათო ჰქვია და მეორეც, დღეს საერთოდ არ ყოფილა.

– როგორ არა, დაახლოებით ერთი საათის წინ „კოკა-კოლა“ დამალევინა.

– არ ვიცი, მე არ შემინიშნავს. იშვიათად ვაჭრობს ხოლმე.

– სად ცხოვრობს, ხომ არ იცი?

– დათო კი არა, მე სად ვცხოვრობ, არ ვიცი, – გაიცინა მეჯიხურემ.

– ?!

– ლტოლვილი ვარ.

– არც გვარი გეცოდინება დათოსი.

– ნამდვილად არა, თორემ თქვენზე უკეთესს ვის ვეტყოდი.

საერთოდ, ჩვენ აქ ერთმანეთის მისამართს არ ვიწერთ. რაში გვაინტერესებს. ყველას თავისი საქმე აქვს.

– თუ გამოჩნდეს, უთხარი, კაცი გეძებსთქო. ამ დილით შენთან საფულე დარჩენიათქო.

– აუფ, თქვენ დაგრჩათ? – შეწუხდა ლტოლვილი.

– დიახ.

– ფული რამდენი იყო შიგ?

– სამასი ათასი და კუპონები.

– რა იცით, რომ აქ დაგრჩათ?

– აბა, სად უნდა დამრჩენოდა?

– მე რა ვიცი, მაგრამ, საერთოდ, სამასი ათასი ასე უბრალოდ დახლზე არ რჩება. ჰპარავენ უფრო ხშირად... ასე მგონია მე.

– ეგეც მართალია... მე პირადად აქამდე არსად არაფერი არ დამრჩენია. კაცი ვპერდები... რატომლაც დარწმუნებული ვარ, რომ აქ დამრჩა. საერთოდ, როგორ იცნობ დათოს, სინდისიანი კაცია? ხომ არ დამალავს?

– საერთოდ, ასე ვერაფერს ვერ იტყვი, პატივცემულო, ადამიანზე, გააჩნია მომენტს... მომენტია ყველაფერი. ისე, ფულს თუ ნახავს ქუჩაში, ყველა ჩაიდებს ჯიბეში, ხომ მართალია.

– ისიც საეჭვოა, ასე ადრე რომ დაუკეტავს და წასულა. ჯერ შესვენების დრო ხომ არ არის...

– ცოდვას ვერ დავიდებ... იქნებ საქონლის მოსატანად წავიდა.

გიგანტ-მეჯიხურიდან მეტს ვერაფერს გაიგებდა. რაც გაიგო, ისიც ბევრი იყო. სხვა მეჯიხურებსაც ჩამოუარა, მაგრამ მხოლოდ ის დაადგინა, რომ ოთხასამოცდაშვილი ჯიხური საერთოდ არ არსებობდა. ვინ იჯდა შიგ და რა ფერის

თმა-თვალები ჰქონდა, ვერავინ გაიხსენა. მაგრამ ის იყო, რომ უმეტესობას მეჯიხურეთაგან სახელი „დათო“ პირველად ეს-მოდა.

ქუჩის დასაწყისში პოლიციის მანქანას ორი რიგითი და ერთი უმცროსი ლეიტენანტი მიყრდნობოდა.

ჭახაძის გაცნობა ესიამოვნათ, რაც შეეხება ჯიხურს, ვერაფრით გაიხსენეს, სად იდგა და ვის ეკუთვნოდა.

მზისგან გარუჯულმა, ტანდაბალმა ლეიტენანტმა გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო. ჯერ ოთხივენი ჯიხურთან მივიდნენ. რაკი ჯიხურის ღრიფოში შეჭვრეტა-დათვალიერებამ შედეგი არ გამოიღო, მანქანის „მანტიროვკით“ გადასწიეს დარაბა. მიუხედავად ჭახაძის პროტესტისა, ერთი პოლიციელი გადაძვრა და ჯიხური გულდასმით, მაგრამ ამაოდ გაჩხრიკა. გიზო ოპერმანქანაში ჩასვეს და განყოფილებაში მიიყვანეს. პოლიციის განყოფილების უფროსი – „ერის ფარის“ რედაქტორის ფათერაკმა გულბრფელად შეაწუხა. სახლიდან უბნის რწმუნებული მოაყვანინა. რწმუნებულმა თავაზიანად განაცხადა: ვიცი ოთხასამოცდამეშვიდე ჯიხური, როგორ არ ვიცი, მეჯიხურესაც არაერთგზის გამოვლაპარაკებივარ, მაგრამ რა ჰქვია, ვერ მოგახსენებთ და მით უმეტეს, არც მისამართი ვიცი, რადგანაც გამგეობა, მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, საერთოდ არც ჯიხურების ჩადგმის ნებართვას გვიგზავნის და არც მფლობელთა ვინაობას.

– აბა, ვერ უნდა ვიპოვოთ კაცი? – ხმა გაებზარა პოლიციის უფროსს.

– მოვა, ხვალ, გახსნის ჯიხურს, სად წავა, – დააიმედა უბნის რწმუნებულმა.

– იქნებ ხვალ სულ არ მოვიდეს. იქნებ დღეიდან შვებულებაშია... და, საერთოდ... მისატანი მაქვს სხვისთვის ის ფული. პროცენტიანი ვალი მქონდა. – ტირილამდე ბევრი აღარაფერი აკლდა ჭახაძეს.

— გამგეობაში უნდა წაპრძანდეთ. იქ, უურნალში უეჭველად ექნებათ გატარებული. არ არსებობს, რომ არ ჰქონდეთ... ისე ვინ ჩაადგმევინებს ჯიხურს. ახლა რომელი საათია?

— სამი, — მიუგო უფროსს რნმუნებულმა.

— ვაჟა! — უფროსმა ლეიტენანტს უხმო, — ბატონი გიზო გამგეობაში მიიყვანე.

გამგებელი პირვარდმფინარე სახით შეხვდა ჭახაძეს. მეო, თქვენი თაყვანისმცემელი ვარო. თქვენს უურნალს სისტემატურად ვკითხულობო. რა ბედნიერებაა, ცოცხალს რომ გხედავთო. ხომ არაფერი სამსახური შეგვიძლიაო.

როცა გიზოს გასაჭირი შეიტყო, სიცილი აუტყდა. მეო, ფარსაგი რამ მეგონაო. მაგაზე დიდი პრობლემა არ მოგცემოდეთ ცხოვრებაშიო. ახლავე დაგიდგენთ ვინაობა-მისამართს და უნა-უნა მოვატანინებთ თქვენს საფულესო.

ჯერ რაიონის მთავარ არქიტექტორს და საქმეთა მმართველს უხმეს. დაგალებამიღებულნი დაბნეული სახით რომ გატრიალდნენ, ჭახაძეს გულმა რეჩხი უყო.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მთავარი არქიტექტორის მოადგილე შემოვიდა და გამგებელს აუწყა: ოთხასოცდამეშვიდე მანამდეა ჩადგმული, სანამ მე და ჯიბი (ჯიბი მთავარ არქიტექტორს ერქვა) მოვიდოდით და თუ რამე დარღვევაა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

დარღვევა არ არის, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მეჯიხურის ვინაობა და მისამართი მაინტერესებს, ფული მაქვს მისაცემი და მადლობა მაქვს გამოსაცხადებელიო. — იცრუა გიზომ და უნდა გავამხილო, ეს ცხოვრებაში პირველი ტყუილი როდი იყო.

არქიტექტორი აშერა უნდობლობით შესცექროდა სტუმარს.

— არც გვარი იცით, ან მისამართი? — უკანასკნელ იმედს ჩაებლაუქა ჭახაძე.

— არა, საიდან? — კულტსახლის მსახიობის დამაჯერე-

ბლობით მიუგო მთავარი არქიტექტორის მოადგილემ.

გამგებელმა ფინინსპექტორი გამოიძახა. ჯიხური დაბეგრილი უსათუოდ იქნება და დათოს მისამართიც იქნება მითითებული საგადასახადო უურნალშიო.

ფინინსპექტორმა უურნალი შემოიტანა. გიზოსა და გამგებლის თვალწინ დიდხანს ბუტბუტით ფურცლა. ბოლოს ამოიხვნეშა, უბის ნიგნაკიდან ფურცელი ამოხია, უურნალიდან რაღაც ამოინერა და გამგებელს წინ დაუდო. გამგებელმა ეპისტოლარული ფაქტი სერიოზულად, თავის ქნევით წაიკითხა, დაჭმუქნა და საქალალდეში გადაუძახა.

— ბატონო გიზო, — გრძელი, მოსაწყენი პაუზის შემდეგ დაიწყო გამგებელმა.

— ბატონო.

— თქვენ თავისუფალი ხართ, — დაითხოვა რაიონის თავმა ფინინსპექტორი და გიზოს მიუპრუნდა, — სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. არ დაიჯერებთ, უცნაური ამბავია, ეს ჯიხური ვისაც ეკუთვნის, ის კაცი საქართველოში საერთოდ არ არის. ინვალიდია და უცხოეთში გახლავთ სამკურნალოდ წასული, რაღაც კაპიკებს უგროვებს მეჯიხურე. რა უნდა იშოვო ჯიხურით დღეს კაცმა. ამიტომაც, გთხოვთ უმორჩილესად, თუ რამე განყენინათ, მე მაპატიეთ. არ არის თქვენი დონის ჯიხური. არ უნდა გაუყადროთ თავი ვიღაცა მეწვრილმანეს თქვენ.

— ხომ გარკვევით გითხარით, ბატონო. რას ჰქვია თავის გაყადრება. საფულე დამრჩა და ვეძებ იმ კაცს. ღმერთი, რჯული, არაფერს ვერჩი.

— მართლა საფულე დაგრჩათ? — თითქოს პირველად ახლა გაიგოო, გაოცდა გამგებელი.

— მართლა, სინდისს გეფიცებით. გამგებელმა შვებით ამოისუნთქა.

— თაყა! — სელექტორს ჩასძახა რაიონის თავმა — მოყვანეთ ახლავე ის ვიღაც დათოა, თუ ჯანდაბა. ოთხას რო-

მელია? ჰო, ოთხასოცდამეშვიდე. დაუბრუნოს საფულე, ამ წუთში, გესმის?

– წასვლა შენი და მოსვლა ერთი იყოს. ხომ გითხარი, ბატონი გიზო ასე საჯაყ საქმეზე არ გაცდებოდა-მეთქი. მართლა საფულე დაუკარგავს. პოლიციაც წამოგყვება, – ლეიტენანტს მიუბრუნდა, – ვაუა, წაყევი. თქვენ აქ მოიცადეთ, ბატონო გიზო.

გამგებელმა რადიო ჩართო. პარლამენტის სხდომას გად-მოსცემდნენ. საქართველოს დაქუცმაცებაზე ანუ ე. წ. ფედე-რალურ მოწყობაზე უმრავლესობა და უმცირესობა ერთ-მანეთს უმოწყალოდ ჰკორტნიდა. თუმცა ორივე მხარემ მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის (ჰმ! ავტ.) მხარებად და გუბერნიებად დაშლის საკითხი მოსკოვში იყო გადაწყვეტილი. ურჩი საქართველოს გამთლიანება კრემლს ხელს არ აძლევდა. იგი (კრემლი, ავტ.) ფიქრობდა, რომ უკე-თესი იყო საქართველოს მთავარი ფიქრი წართმეული მიწების დაბრუნებისაკენ ყოფილიყო მიმართული და არა დამოუკიდე-ბლობის მოპოვებისაკენ.

ზახევარ საათში ფინინსპექტორმა და პოლიციის ლეიტენ-ანტმა კაბინეტში ზანგი შემოიყვანეს. ზანგის ასაკის დადგენა შესახედაობის მიხედვით ძალიან ჭირს: ყველა მათგანი შოკო-ლადისფერია და თმა, გამონაკლისის გარეშე, ყველას ხუჭუჭი აქვს.

ზანგმა მაგიდაზე საფულე დადო.

გიზომ თავისი საფულე მაშინვე იცნო.

– იმ წუთსავე დაგედევნეთ, მაგრამ ვერ დაგეწიეთ, – მოუ-ბოდიშა ზანგმა, – დახლზე დაგრჩათ ჩემთან, ამ დილით. ჯიხ-ურს ღიას ხომ ვერ დავტოვებდი. სანამ დარაბა ჩამოვუშვი და გამოგეკიდეთ, თქვენ უკვე აღარ ჩანდით.

– თქვენ? – რედაქტორს გაოცებისაგან თვალთა გუგები გაუფართოვდა. მას ცხოვრებაში სულ სამი ზანგი ენახა. ერთი მოსკოვში, ლენინის ბიბლიოთეკაში, მეორე თბილისში, ამერი-

კული ტრიკოტაუის გამოფენაზე და მესამე ბიჭვინთაში, 1986 წელს, პლაზზე. ახსოვს, სიცილით კინალამ გაიგუდა, პლაზზე წამოწოლილი, მზეს მიფიცხებული ზანგი რომ დაინახა. იმ სამ ზანგში ეს ქართველი ზანგი არ ერია და, მით უმეტეს, გიზოს კარგად ახსოვს ამ დილით „კოკა-კოლა“ თავხოტორა, ცხვირ-გაყიფილმა ბიჭმა რომ მიაწოდა. – თქვენთან დამრჩა?

– დიახ. არც ჩამიხედავს ხეირიანად, ბატონო, ფულია მგონი შიგ. დათვალეთ კარგად. მერე შარი არავინ მომდოს. – პოლიციელს შეხედა ზანგმა.

– როგორ გეკადრებათ, – გიზომ საფულე ჯიბეში ჩაიდო, – დიდი მადლობა, პატიოსანი კაცი ბრძანებულხართ, რა გვიათ?

– ლავრენტი, – მიუგო ზანგმა, – ლავრენტი მუხაშავრია.

– ოთხასოცდაშვიდში ზიხართ ხომ?

– დიახ.

გიზო დიდხანს ართმევდა ხელს გამგებელს, ლავრენტის, პოლიციელს და ფინინსპექტორს, დიდხანს და დაბნეულად. დაბნევის მიზეზი ძირითადად ის გახლდათ, რომ მეჯიხურეს არც დათო ერქვა და არც ტარიელი.

ერთი კვირის შემდეგ გიზო ჭახაძემ გაზეთ „თბილისში“ პატარა წერილი გამოაქვეყნა, ასე და ასე, წერდა, ამასწინათ კოხტასთავის ქუჩაზე ოთხასოცდამეშვიდე ჯიხურში საფულე დამრჩა და, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, რათა თქვენი გაზე-თის საშუალებით მადლობა გადავუხადო მეჯიხურე ლავრენ-ტი მუხაშავრიას, რომელმაც საფულე ფულითურთ უკლებლივ დამიბრუნაო.

მესამე დღეს ვიღაცამ დაურეკა:

– ბატონო გიზო, შემთხვევით ჩამივარდა „თბილისი“ ხელში და არ შემეძლო, არ დამერეკაო. კოხტასთავის ქუჩაზე ოთხას-ოცდამეშვიდე ჯიხურში მე ვმუშაობ, მაგრამ თქვენი მადლობა არაფრით დამიმსახურებიაო. ჯერ ერთი, ჩემთან საფულე ამ ბოლო სამი წლის მანძილზე არავის დარჩენია და, მით უმეტეს, ლავრენტი მუხაშავრია სრულიადაც არ გახლავთ ჩემი სახელი

და გვარი, რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე გერა ჯაჯანიძე მქვიაო.

— რანაირად, კაცო? თქვენ მოშავო, მოშავგვრემანო ხომ ბრძანდებით? — ვერ გაბედა — „ზანგი ხომ ხარო“, გიზომ.

— პირიქით!

— აჟა, თავგადაპარსული, ცხვირგაყოფილი ხარ?

— არასოდეს! — დაბეჯითებით გაისმა ყურმილის იქეთა მხრიდან, — თავი ჩემს ცხოვრებაში არ გადამიპარსავს. რას ჰქვია ცხვირგაყოფილი. თუ რამე მივარგა სახეზე, ცხვირი მივარგა ბერძნულ-კავკასიურს რომ ეძახიან, ის ცხვირი მაქვს.

— ბოდიში, მაპატიეთ, — გიზომ ყურმილი დადო და აივანზე გავიდა, მოეჩვენა, რომ ასფალტი ჰამაკივით ქანაობდა და მან-ქანები უკანასვლით მიჰქროდნენ.

მეორე დღეს პოლიციის განყოფილებას მიაკითხა. გთხოვთ, ლეიტენანტ ვაჟას და ორ რიგით პოლიციელს ბრძანებით მადლობა გადაუხადოთ, საფულის პოვნაში გამოჩენილი ოპ-ერატიულობისთვისო, სთხოვა პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს გოშაძეს, რომელმაც ვერაფრით ვერ გაიხსენა ვერც გიზო ჭახაძე და ვერც საფულესთან დაკავშირებული შემთხვევა, საქმეს ის ართულებდა, რომ ეს გოშაძე, განსხვავებით ერთი კვირის წინანდელი გოშაძისაგან, ელამი გახლდათ და ულვაშსაც აღარ ატარებდა.

გადაქექეს დავთრები, მაგრამ პოლიციის ლეიტენანტი, ტანდაბალი, „გარუჯული კაცი, რომელსაც ვაჟა ერქვა, არა-თუ ამ განყოფილებაში, პოლიციის მეზობელ განყოფილებებშიც არსად მუშაობდა. გოშაძემ, იმავე საღამოს, საანგარიშო შეკრებაზე ხაზზე გაამწკრივა თავისი განყოფილების პირადი შემადგენლობა და რედაქტორი ფელდმარშალივით ჩამოატარა, მაგრამ ამაოდ. გიზო ჭახაძემ თავისი მშველელი ვერა და ვერ ამოიცნო. არც ვაჟა ერქვა ვინმეს და არც მზისაგან გა-

რუჯული, ტანდაბალი პოლიციელი იდგა სმენაზე გაჭიმული წესრიგის დამცველთა შორის.

... 1995 წლის 11 ივლისს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, გიზო ჭახაძე ჭკუიდან შეირყა.

ნევრასთენის ძლიერი ფორმა აქვს მფრინავი შიზოფრენის გამოვლინებით.

სიგიჟის ეს ფორმა, როგორც ფსიქიატრები ამტკიცებენ, მკურნალობას ექვემდებარება.



სამი პირველი ამბავი

აფხაზეთის ომზე ყველა თავისას ყვება, ბატონო მწერალო, მე ჩემსას მოგიყვები, იქნებ რამეში გამოგადგეს.

ახალდაბაში ვცხოვრობდი. ვცხოვრობდი-მეთქი წამომცდა, ახლავ იტ არ ვცხოვრობ? სად ვცხოვრობ, აბა.

აქ რომ ვართ, ისე გეყოლა მტერი.

მეტვრილმანე ვაჭრებად გვაძლიეს და ახლა გვეუბნებიან „კორენნოი თბილისელები“: თქვენ ანაგვიანებთ დედაქალაქს და უნდა აიპარგოთ აქედან.

ამათ ჰერონიათ, ჩვენ ძლიერ მოგვწონს სიცხეში, ყინვაში, მტკურში და რიარიაში ქუჩაში დგომა ლუკამა პურის საშორისოლად.

მადლობა უნდა ვუთხერა ძირძველ ქალაქელებს, რომ შეგვი-  
ფარის და აგვიტანებს ეს სამი წელიწადი?

საიდან მოვიდა, პატივცემულო, ეს თვითდაჯერებული თავხეთობა?

თბილისი, როგორც ვიცით ჩვენ, მთელი საქართველოს დედაქალაქია. თბილისი ყველა ქართველის სახლია და ჩვენს სახლს შევთარეთ ჩვენ.

არ უნდა იცოდეს თბილისელმა, რა მწარეა ლტოლვილის ლოკაცია?

არ გვეგონა, თუ ამდენი ჩარჩი ცხოვრობდა აფხაზეთშიო, გაგვაგონებენ ხანიახან გაუძღვულებულ ხაოსს.

ჩვენ იქ ჩარჩები არ ვყოფილგართ და თავმოყვარეობაც  
სხვაზე ნაკლები როდი გვპონდა.

დავმარცხდით წინასწარგაყიდულ ომში, რა ვქნათ, ასე მოიტანა ცხოვრებამ. მარტო ჩვენ კი არ დავმარცხდით – აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, მთელი საქართველო დამარცხდა და მთელმა საქართველომ უნდა ზიდოს დამარცხების ჭაპანი.

ჰელი ახლა საქართველოს ცხოვრების წესი დამარცხებული ქვეყნის ცხოვრების წესს?

იმდენი აცეკვეს და ახტუნეს ახალგაზრდები, რომ დაავიწყეს შარშანგადატანილი ომის საშინელება.

ბალახი ჰერცოგინია ზვარა კად შენირული ბიჭების უპატრონო საფლავებს.

თითქმის აღარ დადიან ახალგაზრდები მათი ტოლა ბიჭების საფლავების მოსანახულებლად ყვავილით ხელში.

ରାଧିନ୍ଦ୍ର ତମ ଉତ୍ସବ

თავდადებულთა უმეტესობა ყაჩაღებად, შემცდარ მებრძოლებად გამოაცხადეს და ამით ახალ თაობას პატრიოტული ორიენტირი მოუსპეს, კურპი დაუმსხვრიეს. ესაა საქმე?

აფხაზეთის დასაპრუნებლად ჩვენი ხელისუფლების მცდ-  
ელობა საპარლამენტო მოსმენებს და ზუგდიდიდან „სამშვი-  
ლობო ჯარის“ მანდატის გაგრძელებას არ შორდება.

ასე დავიპრუნებთ აფხაზეთს? აბა, თუ გაისმის მსოფლიო განგაში საქართველომ მესამედი ტერიტორია რომ დაკარგა?! აბა, თუ ვაკაუნებთ ყოველდღე გაეროს კარებზე, ან თუ ვუგზავნით რეუსეთს ნოტებს, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიძრუნეო.

შენც არ მომიკვდე. სანამ შეიძლება გვატყუონ? თუ არ აპირებდნენ ჩვენს დაბრუნებას, ეთქვათ თავიდანვე. რაღაზე გვატყუას და შეგვიძლიერებას.

თუ ეგზებოდნენ აფხაზეთის დაკარგვას, ჩვენი ცოდნ  
რაოდაზე დაიღვის.

မြော်သာတ သွနမို့ မိုင်္ဂလာရီ အဲ စာဒေသနပိုင်း

ჩინებული არ იყო.

“**କୁଳ ଦେଖିବା କୁଳଗ୍ରହଣ**”  
ମନେଇ କରିବା ମନେଇ କରିବାକୁ ଏହା କାହିଁ ନାହିଁ

სამასი ათასი ადამიანის ასე მწარედ მოტყუება საკადრო-სა?

არის წამდაუნუმ ლტოლვილთა რაოდენობის გადამოწმება- რეგისტრაცია და ხელახალი რეგისტრაცია. არიქა გარდაცვ-

ლილი არ იყოს კაცი და ზედმეტად, შეცდომით არ გაიცეს ჰუმანიტარული დახმარება. მათხოვრებისთვის საზღვარგარეთიდან შემოსულ ტვირთს მშვენივრად ეპატრონებიან და ისეთი სერიოზული სახეებით არიგებენ, გეგონება მათი ჯიბიდან მოდიოდეს.

მე აქ არ ვცხოვრობ, ბატონო, მე აქ ჩემს გაძალლებულ დღეებს მივათრევ. სიტყვა გამექცა.

სოხუმი რომ დაეცა, ხმა გავრცელდა, აქეთ აღარ წამოვლენ, ზვიადი და არძინბა შეთანხმებული არიან ოჩამჩირეს და გალს ხელს არ ახლებენო.

მეორე დღესვე მოკვდა ეს იმედი. „მოდიან, მოდიანო“, ატყდა წივილ-კივილი. ოცდაშვიდი სექტემბერია. ასე საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. „არიქა, არიქა თავს უშველეთ, რუსები და აფსუები ფქძდაფქებ მოგვდევენონ“, ჩამოირბინა რაისაბჭოს მდივანმა ხუხუამ.

შევვარდი სახლში. სად მიდიხარ, რას წაიღებ, სამი ბავშვი მყავს, სამი ბიჭი – ხვიჩა, ავთანდილი და გოჩა. უფროსი ხუთი წლისაა, უმცროსი – ორის.

ოღონდ ეს ბავშვები გადავარჩინო და დავეძებ რამეს?

წასატეხი ჭადიც არ წამოგვილია, ჯანდაბის გზა ჰქონია ყველაფერს, ოღონდ ეს ბავშვები არ დამიხოცონ.

ჯერ ტყისკენ გავიქეცით, მაგრამ გზას მოგვიჭრიანო ვიღაცამ და ზღვისკენ ვქენით პირი. გავრბივართ, რაც შეგვიძლია. ბავშვები ტირიან. მთელი სოფელი გზაზეა. ზოგიერთს ძროხა გამოუდენია, იქნებ სამეგრელოში გადასვლა მოვასწრო, დამჭირდება.

ღამდება. სროლის ხმა უფრო და უფრო ახლოს ისმის. გავიხედეთ, ახალდაბა ცეცხლშია გახვეული. „დივჭვით, დივჭვით, ღორონთი ვარექო?“ ისმის ტირილგოდება.

კინდლში ჩავალნიეთ, როგორც იქნა.

ბავშვთა დასასვენებელ სახლთან ორი ტანკი დგას და ჯარისკაცები ირევიან. ჯარისკაცის დანახვა არ გვინდა.

ჯერ ერთი, არ ვიცით, ჩვენები არიან თუ აფსუები და მეორეც, შენიანიც რომ იყოს, რას გიშველის, იმას თავისი თავი უჭირს.

მივვარდით. შემოვეხვიეთ. – რავა იქნება ბიჭებო, ჩვენი საქმე?! – ვეკითხებით.

– ხომ ხედავთ როგორც არის! – სახეს ვერ გვისწორებს ავტომატიანი ბიჭი და ტანკზე ხტება.

– რას შვრებით, მიდიხართ?

– მივდივართ, აბა რას ვუცადოთ აქ. რუსი მოდის, ვერ უყურებ?!

– ჩვენ!!

– გაიქეცით, ვისაც შეგიძლიათ. გასაქცევად მოგვიქციეს საქმე და, რა ვქნათ აბა!

– კი მარა, თქვენ ვინ ხართ?

– ქობალიას ჯარი ვართ ჩვენ.

– მერე არ იპრძოლეთ სოხუმისათვის, ბიჭებო? მოგვჭერთ თავი?

ავტომატიანი, ცისფერთვალა, შავფრენჩიანი ბიჭი ჩვენსკენ გადმოიხარა.

– აბა, რას ვაკეთებდით, შენი ჭკუით, გუშინ და გუშინინ. მოდი აქ! – ორნი მივუახლოვდით – ჯარისკაცმა რკინის მრგვალი „ლუკი“ ასწია – ჩაიხედეთ შით.

ჩავიხედეთ. ელდანაკრავივით უკან დავიწიე. ჩექმებს რომ მოვკარი თვალი.

– სამი ხომ აქ არის. იმ ტანკში ოთხი დალუპული წევს. ტამიშთან დესანტი გადმოსხეს. ქვა-ქვაზე დაადულეს. ორასი კაციდან ნახევარი დაგვიხოცეს. სოხუმი ალყაში მოაციის. გაიქცა ჯარის სარდლობა თავისი მინისტრიან-მარშლებიანად და ჩვენ რისთვის გვეცადა იქ. კარგად ვიცოდით ჩვენ რისთვისაც იყო მოგონილი ეს ომი, მაგრამ, თუ მთლად ასე გაგვირავდნენ, არ გვეგონა.

– ლოთი სად არის?

— წავიდა ამ დილით. გზა უნდა გავასუფთავო ლტოლვილები-სთვისო. უბრალო ხალხი დაიღუპება, ენგურის ხიდამდე თუ მოგვასწრო მტერმა. ევაკუაციაა გამოცხადებული. კარგად იყავით, აბა, უშველეთ თავს, როგორც შეგიძლიათ!

— მოიცათ, მოიცათ! — ტანკი აგრუხუნდა, — ერთი წუთით. აქ ქალები და ბავშვებია, საით წავიყვანოთ ესენი! რომ ვერ გადაასწრონ ხიდზე?!

— უნდა იჩქაროთ, თორემ დახოცავენ ყველას!

— ესაა თქვენი სიტყვა?!

— რა ვქნათ ჩვენ? ხო მართლა, ბარუა უნდა მოვიდეს ამა-ლამ კინდლში. ასეა დაპირებული, თუ არ მოგვატყუა! ფოთში მიმავალი ბარუა ის! დაჭრილებისთვის გამოვიძახეთ, მარა აღარ გვყავს დაჭრილები. ჩვენი დაჭრილები არც ერთი აღა-რაა ცოცხალი. ხომ ნახეთ თქვენი თვალით. თუ მოვიდა, ის წაიყვანს ქალებს და ბებრებს. თქვენ საიდან ხართ?

— ახალდაბიდან.

— ახალდაბა გადაწვეს მთლიანად, თვითონ აფსუებმა გადაწვეს, თქვენმა მეზობლებმა. ჯარი არ შესულა შიგ. რანაი-რად შეაძულეთ ასე თავი, თქვენი კარის მეზობლებს?

— სასწაულია პირდაპირ, ჩაილაპარა მოხუცმა ქალმა, — რაღაც დაემართა მაგ ხალხს, თორემ ჩვენ ერთი პატარა შე-ლაპარაკებაც არ მოგვსვლია ერთმანეთთან. ამ ხნის ქალი ვარ და არ მახსოვს, უერთმანეთოდ ქორწილი და ქელეხი გამარ-თულიყოს ახალდაბაში.

— ა, ხომ ხედავთ, რაც გვიყვეს.

— ხომ გითხარი, სასწაულია-მეთქი.

— არაფერი არაა სასწაული. ჩვენ საწყალი გულის ხალხი ვართ. თქვენ ხომ არ გააკეთებდით, რაც მაგნებმა გააკეთეს?!

— არა, ბატონო, არა. ღმერთმა დაგვიფაროს.

— ჰოდა, კიდეც ამიტომ ხართ მაგ დღეში. აბა კარგად. მოუცადეთ ბარუას იქ, „პრიჩალთან!“

ტანკები ერთმანეთის მიყოლებით გაგრუხუნდნენ.

იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი ბარუა რომ მოადგა ნაპირს.

უკუნეთი სიბნელეა.

ბარუას სინათლეები გამორთული აქვს.

სროლა უკვე ყურისძირთან გაისმის.

— ჩქარა, ჩქარა, სადაცაა აქ გაჩნდებიან! — ყვირის ბარუის ქიმზე შემდგარი მეზღვაური და რელსს მსხვილი ბაწრის ქა-მანდს ესვრის.

ბრბო წყალში შედგაფუნდა.

რა ყოფილა შიში და თავის შველის ინსტინქტი, თუ რა ჯანდაბა ჰქვია.

რისი მოხუცი, რისი ქალი, რისი ბავშვი...

ერთმანეთის უკან დაწევა, მუჯლუგუნი, ხელისკვრა, წივ-ილ-კივილი...

„არიქა, არიქა! ქემმახვარით!“

კბილთა ღრჭიალი, კიბიდან გადაგდება, დედის გინება...

— დაუჩქარეთ! დაუჩქარეთ, მოვლენ და ჩაგვძირავენ, იცო-დეთ ეს!

ბავშვებიანად კინალამ გადაგვთელეს.

შევტოპე მკერდამდე წყალში.

ორი ბავშვი აქეთ-იქეთ ხელში მიჭირავს, მესამე — უმცრო-სი კისერზე მაზის.

— არ იტიროთ ბაბაია, ახლა მე თქვენ ამ კიბეზე შეგსვამთ, აფორთხდით და იქვე დაჯექით. მე და დედიკო ამ წუთას მო-ვალთ.

ორნი რის ვაივაგლახით აფორთხდნენ.

გოჩას ტირილჭყივილი იქაურობას იკლებს.

ვიღაცამ ზემოდან ხელები გამომიწოდა.

სიბნელეში ვერ ვხედავ სახეზე.

— იმ ორ ბავშვს მიუსვი გვერდით, თუ კაცი ხარ, მე იქიდან მოვუკლი და ამოვხტები!

— მომეცი, მომეცი, ნუ გეშინია!

— იმათ მიუსვი და არ იტირებს. ნუცა! ნუცა! — სიბნელეში ჩემს ცოლს დავეძებ.

— ბავშვები ავიყვანე! ნუ გეშინია, ახლა მე და შენ ავფორთხ-დეთ როგორმე. წამოდი, აქეთ, ფრთხილად! ფრთხილად!

ჩემმა ცოლმა ფეხი გადმოდგა, მაგრამ სანამ ქვიშაზე ჩამოხტებოდა, კაბის ბოლო რკინას გამოსდო და კიბეს განზე გადაეციდა. ცალი ფეხი ამობრუნებული აქვს და კაბით რელ-სზე ჰკიდია.

— ქვაზი, ქვაზი! მიშველე!

მივვარდი, გამოვწიე, კაბა წელამდე ჩაიხა, მაგრამ რო-გორც იქნა ჩამოვხსენი.

— რა გინდოდა იქეთ, მე აქეთ გეძახდი!

— ვაიმე დედა, ფეხი!

— ძალიან გტკივა?!

— კი, მაგრამ მოტეხილი არ უნდა მქონდეს.

— აბა, ჩქარა დამეყრდენი, მარცხნიდან უნდა მოვუაროთ! იქ კიბეა და ავხოხდებით როგორმე!

ძრავი აგუგუნდა.

ვჩქარობთ, წყალს მივტოპავთ.

კიბეს თუ ჩავეჭიდეთ, მერე აღარა გვიშავს.

ცოტაც, ცოტაც და სწორედ მაშინ ერთი მკლავის გაშლაზე რომ დავუახლოვდით კიბეს, ბარჟა ნელნელა გაჩორდა და წა-პირს მოშორდა.

— გააჩერე! გააჩერე!

— დავრჩით!

ჩენენს გარდა ორასამდე განწირული ადამიანი მაინც ჰყ-ვირის ამ სიტყვებს.

— გვიშველეთ! გააჩერეთ, ბარჟაზე ბავშვები დაგვრჩა!

— ბავშვები! ბავშვები!

ჩემს ცოლს გული შეუწუხდა.

ჩემს სულისწამლებ კივილზე ახლომახლო მდგომი წამით გაირინდნენ და უცებ შემომიერთდნენ.

— გააჩერე, კაცს ბავშვები დარჩა!

ბარჟა ჯერ უკანსვლით მოშორდა წაპირს, მერე წყალი აატალახა-აბურლავა და წავიდა.

— ვაგაშქურინას! ვაგაშქურინას! ბალანენს მუ უჭირს! — მამშვიდებს ვიღაც.

გონსმოსული ჩემი ცოლი ცივი ხმით კივის.

— წამოდი აქეთ, ქალო. ტირილი არ უშველის ახლა ამ საქმეს. ხიდზე გადავასწროთ როგორმე და ხვალ ფოთში ვიქნებით. სამ ბავშვს ზღვაში არავინ გადაყრის, ნუ გეშინია!

— მოგიკვდათ დედა! შვილებო!

დავადექით გზას ენგურის ხიდისკენ.

მთელი ღამე მივბრაგუნობთ დოლის ცხენებივით.

ჩვენი ქარავანი ყოველ წუთში იზრდება.

გამორბიან შუკებიდან, ცეცხლმოდებული სახლებიდან...

გამორბიან ქვაბებით, ვედროებით, ჩემოდნებით, ძროხე-ბით, თხებით, ბუშლატმოგდებულნი, ჩაცალსახელოებული პლაშებით, თასმაშეუკრავ ტუფლებში ფეხწაყოფილნი, ხურ-ჯინში ჩასმული თოთო ბავშვებით, ატატებული თიკნებით, ურიკაზე დასმული სიდედრებით...

ცოდვის გაკითხვა თუ გაგიგონიათ, ეს არის!

მეორედ მოსვლის დროს, მეეჭვება, ასეთი ამბავი დატრი-ალდეს.

მთელი სამურზაყანო, მთელი ქვეყანა ზუგდიდისკენ მო-ბრიგინებს და უკან შეუბრალებელი, კაციჭამია ლაშქარი მოგვსდევს რუსთა, ჩეჩენთა და აფსუათა.

ვინ ამბობს, ლოთიმ ენგურის ხიდი გადაკეტა და ლტოლვი-ლებს ზუგდიდში არ უშვებდაო.

ნეტავ არავინ გადაიღო ხიდთან მოგროვილი გალ-ოჩამ-ჩირის ქართველობა და ზუგდიდსმიმდგარი ქარავანი?

რას ჰქვია, სამეგრელომ გვიღალატაო, რას ჰქვია, ლტოლვილები არ მიიღესო, არ რცხვენია ასეთ ტყუილებს ვინც ჩმახავს?

ამ მოუზომავმა ყრანტალმა გვიქნა, რაც გვჭირს.

რა პირით გვიყურებს თვალებში ახლა ის ქარაქუცა პოეტ-კაცუნა ტელევიზიით რომ გაჰყვიროდა – სამეგრელოს ჭუა  
უნდა ესწავლოსო.

გამთენისას ზუგდიდში ვართ.

მოედანზე მიღეთის ხალხი ირევა.

– ვაიმე შვილებო, ვაიმე შვილებო! – პირს არ აჩერებს ჩემი  
ცოლი.

ვიღაცამ პურის ნაჭერი მომაწოდა.

შუაზე გავტეხე.

– პირი გაისველე, ნუ გეშინია, მოკვდები შიმშილით.

პურზე ხელი ამიკრა და ძუ ვეფხვივით შემომლმუილა:

– პურს შევჭამ ახლა მეე! ჩქარა ფოთში ნამიყვანე! ფეხით  
ნავალ, იცოდე! სირბილით დავადგები ახლავე გზას!

– სად მირბიხარ, შე გადარეულო, თენდება, ნავა რამე და  
გავყვებით!

– შენ! შენ! ფეხებზე გეკიდა ბავშვები ყოველთვის! შენ...

ხომ იცი, ერთ წამს რომ თავს არ ვიცოცხლებ!

– მე ვიცოცხლებ, შენ გგონია?!

– აბა, წავიდეთ ახლავე. რა მინდა ააქ?!

– ნუ ღრიალებ, სირცხვილია!

\* \* \*

ფქვილის ჩამოსატანად წასულმა ფურგონიანმა ბეტეერმა  
ფოთში დილის რვა საათზე ჩაგვიყვანა.

ნავსადგურს მივარღვევთ.

ბარჟა არსად ჩანს.

– აქ წუხელის... კინდლიდან ბარჟა უნდა ჩამოსულიყო...

ლტოლვილები მოჰყავდა... სამი პატარა ბავშვი გამოვატანეთ.

– არ ვიცი არაფერი, პორტის უფროსთან მიბრძანდით.

– საითაა?

– კიბეები, მარცხნივ... მესამე სართული!

სულმოუთქმელად ავრბივართ.

ნავსადგურის უფროსის კაბინეტში აგურისფერ ფარდაგ-ზე სხედან და ბუღრაობენ, ბურთს ერთმანეთს უგორებენ და იცინიან ჩვენი ბიჭები, სამი ფუნთულა, ცხვირპაჭუა კოლხი, დამპყრობელი რუსის სამი ხვალინდელი რისხვა – ხვიჩა, ავთანდილი და გოჩა.



## მეთალგამე

### (ნოველის კლასიკოსთა მიხედვით)

- ესეც ჩემი კოპწია ქუთაისი! ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!
- წამოიძახა მეთალგამე ინდიკო კაკაურიძემ, როდესაც ავტობუსმა წყალწითელას აღმართი აათავა და წმინდა პეტრეს ეკლესიასთან პავლე მოციქულის ქუჩას თავქვე ჩაუყვა.

ინდიკოს გული გამალებით უცემს. ოცდაათი წელია იგი თავის მშობლიურ ქალაქში არ ყოფილა. ვინც თავის ადგილის დედას ოცი წლით მაინც მოშორებია, მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს, რა ოცდაათი წელიწადია ეს ოცდაათი წელიწადი. ინდიკო აქ დაიბადა. რიონის პირას გაირბინა მისმა ბავშვობამ. ო, რა ტკბილად ახსოვს ინდიკოს მარადამლვრეული რიონის არხში პირველი ბანაობა. ნაპირზე მდგარს და ცურვის არცოდნის გამო დაღონებულს, ღალდაიამ რომ ხელი ჰკრა და ტალახიანწყალნაყლაპი ღალდაიამვე რომ გამოათრია ნაპირზე ცოცხალმკვდარი. რა კარგად ახსოვს საკონსერვო ქარხნის კლუბში პირველი ფილმის – „ბერლინის დაცემის“ ნახვა. საკუთარი მამისთვის მოპარული პორტ-სიგარის საფასურად რომ შეუშვა ბილეთიანი მაყურებლით გაჭედილ დარბაზში გრიშაია გიგატაძემ და პირველი კადრი, რასაც თვალი ჰკიდა, ის გახლდათ; სტალინი კრემლის ეზოში ვაშლის ხეებს ძირს რომ უთოხნის. რა ტკბილად ახსენდება ინდიკოს კინო „კომუნის“ წინ უსაბუთოდ დგომის გამო დამსახურებულ მილიციელ ჩიტაიას მუჯლუგუნები და საღამოს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე რუსულ წერაში მიღებული ორიანი, რამაც სიმწიფის ატესტატი დააკარგვინა და სამუდამოდ ააღებინა ხელი ნორილსკის საბეითლო სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე.

ტკბილად მოსაგონარი სიყრმის დღეები უკან დარჩა. დღეს ინდიკო ჭაღარაშეპარული, მაგრამ ყველასგან დაფასებული კაცია. ახლახანს სამოცი წელი შეუსრულდა და მეთალგამეთა ამქარი ხანძრისგან გადარჩენილ ოპერის თეატრში იუბილეს უმართავს.

იცის ინდიკომ, რას ნიშნავს იუბილე. ამ საღამოს მას სცენაზე, ყვავილებით მოჩითულ ტახტზე დასვამენ და ყვავილოვანი სიტყვებით აავსებენ.

„ეს ყველაფერი ხომ კარგად ვიცი, მაგრამ მაინც რად მიღვდება ზესტაფონიდან მოყოლებული საკვოიაუს ჩაფრენილი (ეშმაკს არ სძინავს, არ მომპარონო) მარცხენა ხელის თითები და რატომ მიჩქროლავს გული ასე უცნაურად? რას მიქადი გულო. რას?“

თეატრთან ავტობუსს უიარალო, არც თუ მთლად დარბაისელმა მოქალაქეებმა, ალყა შემოარტყეს – ინდიკო ციმციმ ასწიეს, ხელში აყვანილი ციმციმ ჩამოიყვანეს ავტობუსიდან და თავის საკვოიაუიანად ეტლში ჩააბრძანეს. ეტლში ქუთაისელი ახალგაზრდა მეთალგამები შეებნენ და ეტლი ციმციმ დაიძრა დავით აღმაშენებლის აშკარად ულაყცხენვანი ძეგლისაკენ.

ინდიკოს რცხვენია. ინდიკოს სიხარულის ცრემლი ხან ოდნავშესამჩნევად და ხან კი ღაპალუპით სდის. რა დაიმსახურა ასეთი, რით მოიპოვა მშობლიური ქალაქის ეგოდენა სიყვარული? ნუთუ ეს ბაკისუმელი ინდიკოა, მეზობლები ხელცივობას რომ აბრალებდნენ და ახლომახლო საბუღრიდან ერთი კვერცხიც რომ დაკარგულიყო, ჩიხის „გესტაპო“ გარაყანიძე საქმეს პირველ რიგში კაკაურიძის „შავი ბიჭის“ დაკითხვით რომ ინყებდა? სად არიან ნეტავ ახლა ის მეზობლები, თუ ხედავენ ამ სურათს და თუ ხედავენ, ოდნავ მაინც თუ რცხვენიათ იმის გამო, რომ ინდიკოს ხელმოკლე მამას ნინოშვილის ქუჩაზე სახლი გააყიდვინეს (ამ ადგილას საცურაო აუზი აშენდესო) და მეზობლების გულგრილი დუმილით გაწამებული კაცი დედაწულიანად ვახტანგ გორგასლის ქალაქში რომ გადაკარგეს?

ამ, არც თუ საიუბილეო, ფიქრებს გაჰყვა ინდიკო და ამიტომაც ბუნდოვნად ახსოვს, როგორ გადმოიყვანეს ეტლი-დან ღონიერმა ბიჭებმა, ხელში აყვანილი როგორ შეიყვანეს სცენაზე. რა სიხარულის ყიუინით და ჭაღის ახლომახლო ქუდების სროლით შეეგება თეატრი ღვაწლმოსილ მეთალ-გამეს. რა სულისშემძვრელი სიტყვებით და საარაკო კონცერტით შეამკეს. ინდიკოს ღიმილი არ მოშორებია სახიდან. ღიმილით გადაკოცნა ყველა გამომსვლელი, ღიმილით გადაიხადა საიუბილეო მადლობა, ღიმილით უცეირა მის საპატივცემულოდ გამართულ უსკეტჩი (სკეტჩი მოდაში აღარ არის) კონცერტს და ბოლოს, როცა ყველაფერი დამთავრდა, საკუთარი ხელების დახმარებით ძლივს გაისწორა ღიმილშექვავებული სახის ნაკვეთები, რათა ცოტათი მაინც დამსგავსებოდა იმ ინდიკო კაკაურიძეს, ამ დილით საკვოიაჟით ხელში ქუთაისის ავტობუსში რომ ჩაჯდა.

ბანკეტი დასასრულს უახლოვდება.

უპირველეს მეთალგამეს ხოტბა-სადლეგრძელო არ დააკლეს. სუფრა ხომ საარაკო იყო. თამადაც ენამჭევრი აღმოჩნდა. იუბილარს უდლეგრძელებელი არ დაუტოვა გამჩენიდან დაწყებული ბებია გამომქაჩავამდე არავინ, ვისაც ინდიკო კაკაურიძისთვის იმ თავიდან ამ თავამდე კეთილი თვალით შეუხედავს.

დაიღალა სიყვარულით და მოფერებით ინდიკო.

ერთი სული აქვს მეთალგამეს, კარი მიიკეტოს, საგანგებოდ ამ დღისთვის შეერილი ფრაგუნა, მეუცრად მომჭერი ფეხსაცმელები გაიხადოს, პირზე წყალი შეისხას, მუხლებს ქარი ამოაღებინოს და თვალმილულულმა ერთხელ კიდევ აწონ-გაისიგრძეგანოს დღევანდელი დღე.

საიუბილეო კომისიის წევრები შეთვრნენ და გულისამაჩუყებელი ლუღლულით ეთხოვებიან მეთალგამეს.

თამადა ბოლო ყანწს დაეჭიდა და „ტუშის“ ქვეშ, ჰოპპო-პით, ყანწიანად ჩაიყვანეს კიბეზე.

მანამდეც მიმხვდარი იყო, მაგრამ ბოლო თანამესუფრეს რომ გამოემშვიდობა, საბოლოოდ დარწმუნდა ინდიკო, რომ მარტო დარჩა თავის მშობლიურ, მაგრამ ოცდაათი წლის წინათ მიტოვებულ და, ამ არც თუ უბრალო მიზეზის გამო, ლამის უცხო ქალაქში.

სუფრის ალაგებაში გართულ ოფიციანტებს რა ეცოდინებოდათ და ჭიმებისათვის მდგარ შვეიცარს ჰქითხა – ხომ არ მოგიკრავს ყური, ღამე სად უნდა გავათიო მეო.

არ ყოფილა, ბატონო, მაგაზე ლაპარაკი, თვარა გავიგონებდით ნამდვილადო, – გულწრფელად უპასუხა შვეიცარმა.

სასონარკვეთას გადაშორებული მეთალგამე ერთი საათის მერე სასტუმროს მამასახლისს ელაპარაკებოდა უიმედო, მოსაწყენი ლაპარაკით.

ვხვდები, რაც მოხდებოდაო, ამბობდა სასტუმროს მოხელე. ზოგი ფიქრობდა, მე რომ გავიქაჩიო და წავიყვანო ბატონი ინდიკო, ნამეტანი მლიქენელობაში და, ეგება, თავხედობაშიც ქე ჩამითვალონო, ზოგი იფიქრებდა, არ ვარ ისე მოწყობილი, ჩემთან ღამის გათევა რომ შევთავაზო საპატიო სტუმარსო, ზოგი იტყოდა გულში, ამ მსოფლიო კაცს, ჭიპზე რომ გასვადე ხევნით, ვინ დამითმობს, ვინ გამატანს მეო. გამზადებული ექნებათ, ალბათ, საუკეთესო აპარტამენტები რომელიმე საუფროსო მოტელ-კოტეჯშიო. ა, ასე იფიქრა ყველამ და ცხრა გამდელის ხელში რომ ბოვში დეიკარგა, ისე დაგტოვეს გარეთ, ბატონო. ამ დასაქცევ სასტუმროში თქვენზე კაი კაცს ვის გავათევინებდით ღამეს, ჩემთვისაც სახელი იქნებოდა, მაგრამ სანთლით რომ ეძებოთ, თავის მისადებ ადგილს ვერ მოძებნით, ჩემს კაბინეტშიც კი ლტოლვილები წვანან მესამე წელია.

\* \* \*

ქალაქში სექტემბრის ჯიუტი, მაგრამ თბილი ქარი ჰქიროდა. შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, ნინოშვილის ქუჩის

მერვე შესახვევის ათ ნომერ სახლს საკვოიაუიანი კაცი რომ მიადგა.

– მასპინძელო!

თითქოს ელოდნენო, პირველი დაძახებისთანავე გაიღო ფანჯარა და ნამძინარევი კაცის ბარიტონი გაისმა:

– ვინ ბრძანდებით?

– გვნახეთ ერთი აქეთ, თუ შეიძლება.

– რაშია საქმე?

– მე... ისა... ამ სახლის პატრონი ვარ.

– აბა, მე ვინ ვარ, თუ იცი, ბიძიკო.

– მაპატიეთ... უფრო სწორად, მამაჩემმა მოგყიდათ ეს სახლი ოცდაათი წლის წინ. ჩვენ თბილისში გადავედით საცხოვრებლად. ჭიშკართან ჭა იყო აქ ჩემ დროს.

ფანჯარა მიისურა და საცვლისამარა ახმახი კაცი ეზოში გამოფენდატუნდა.

– ჭა ყოფილა კი, მართალია, მარა მე არ დამხვედრია. დაშრაო, ამბობდნენ. თქვენს მერე ბარე სამი პატრონი გამე-იცვალა ამ სახლმა, რავარც ვიცი, ბატონო. მე ოფშვითელი სანებლიძე ვარ. შარშან ვიყიდე. ერთი წელიც არ შესრულებულა. შემობრძანდით, ხომ მშვიდობაა?

– გამარჯობათ, მე მეთალგამე ინდიკო კაკაურიძე ვარ. აქ ვარ ამ სახლში დაბადებული. იუბილე გადამიხადეს დღეს, ქე გეცოდინებათ.

– კი, მოვკარი რაცხას ყური ტელევიზორში, მარა თქვენზე თუ იყო, რას ვიფიქრებდი. ჩემებინა ეს ოხერი, ცოტა ნასმი გახლდით. მარტო ვარ. ჩემები სოფელში არიან. იყვნენ სანამ თბილა, ახლა სოფელში სჯობია, კაცმა რომ თქვას.

– სათხოვარი მაქვს. თუ არ შეგაწუხებთ, ღამე უნდა გამათ-ევინოთ.

– რას ჰქვია შემაწუხებთ, ბატონო. შემაწუხებ კი არა, მთ-ლად წეიღე ეს სახლი. შენი ყოფილა მაინც. რავარი მადლობე-ლი ვარ, რომ იცოდე. შენ ყოფილხარ კაცი. ვიცი... გასაგებია

ყველაფერი. არ გაჩერდი სასტუმროში, აქეთ გამოგიწია გულ-მა მამისოულ სახლში. ასე იქნებოდა, ვატყობ, მე. აბრძანდი, ბატონო, შენი სახელი?

– ინდიკო.

– რა გვარის კაცი ბრძანდები, მაპატიე, მარა.

– კაკაურიძე. მამაჩემს კლიმენტი ერქვა.

– კაი ძალიან ნამეტანი კაი. ა, მოისვენეთ ცოტა ხანს ამ თქვენს სახლში, სადაც გაგეხარდებათ. მეზობლის ქალს გა-ვაღვიძებ და ამ წუთში გავაჩენ ყველაფერს.

– არაფერზე არ შეწუხდეთ. სუფრიდან მოვდივარ. არაფერი მინდა. დაძინების გარდა. სიმართლე გითხრათ, ძლივს ვდგა-ვარ ფეხზე.

– ვიცი, ბატონო, მშიერს ვინ გამოგიშობდათ. თქვენ კი არ გინდათ, ჩვენ გვინდა, სტუმარს უნდა, პატივცემულო. თქვენ აგერ დაბრძანდით ა, ფანჯარასთან. ამ წუთას მოვბრუნდები. ბატონო... სახელი ქე დამავიწყდა.

– ინდიკო.

– პატივცემულო ინდიკო.

მასპინძელი ღამეს შეერია.

წუთიც და პირდაპირ ქუჩის გადაღმა, დაბალ სახლში დაჩინდა სინათლე, მალე გვერდით ორსართულიანის კიბეზე ვარცლით ხელში ქალმა ჩამოირბინა და სამზადში სინათლე აანთო. მარჯვნივ მესამე, ბოძებზემდგარ ოდაშიც აკიაფდა ნა-თურა და აფათურდნენ ჩრდილები.



## გამდიდრების ექვსი გზა

გაჭირდა ცხოვრებაო, აღარ ვიცი, რა ქვა გავტეხო, რა წყალს ვეცე, შიმშილი კართან ამტუზებია, ცოლ-შვილს მაინც არ მოვიდებოდიო, ჩემი თავი ჯანდაბას, ბალნები რითი ვარჩინო, რა შეუბრალებელი და მკაცრი დრო მოდის, გავუტურამგელდით ერთმანეთს ადამიანები, ასე მგონია, ხიდის-თავშიც რომ დავჯდე და ქუდი მოვიდვა გვერდზე, მოწყალებასაც არავინ გაიმეტებსო, შენ მეუბნები.

არ გრცხვენია შერმადინ? მე რომ მკითხო, გამდიდრება ახლა როა, ასე ადვილი არასოდეს ყოფილა. აგერ ჩამოგითვლი ფულის შოვნის რამდენიმე უბარ საშუალებას და თვითონ მიხვდები, რომ ცოტა ხელის განძრევაა საჭირო და სხვა არაფერი. თავის განძრევა საჭირო არ არის. ყველაზე ადვილი გზებიდან დავიწყებ და ზევითზევით შევყვები, შენ რომელიც დაგჭირდება, ამოირჩიე და მიყევი საქმეს. რამდენი მოხვიდე და მლოცო ერთი თვის მერე, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამნაშიერს.

პირველი: ცარიელი ყუთის შოვნა არ გაგიჭირდება, ამოუჭედე თავი, ფულის ჩასადები ღრიფო დაუტოვე, დააწერე დიდი ასოებით: „დაეხმარეთ ობოლ ბავშვებს“ და დადგი რომელიმე ხალხმრავალ ქუჩაზე. უკეთესია ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ან მეტროს ამოსასვლელთან. შენ ახლომახლო გაჩერდი. რატომაა, თუ იცი, საჭირო შორიახლო შენი გაჩერება? ჯერ ერთი, ობოლი ბავშვების რომელიმე გულშემატკივარს, შეიძლება, ფულის დახურდავება დასჭირდეს, მეორეც, იქნებისეთმა ხვადაგმაც გამოიაროს, ობოლი ბავშვები ფეხებზე რომ ჰქიდია, მიიხედ-მოიხედოს და, თუ შენ – ობოლთა დამხმარე საზოგადოების ნარმომადგენელი, ვერსად დაგლანდა,

ამოიღლიავოს ყუთი თავის ნარწერა-თანხიანად, წაიღოს, გაიტაცოს, რათა თავის წვრილმან, საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლო, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს.

საღამოხანს წაიღე ყუთი შინ, ობოლ ბავშვთა მოყვარულებს გულში მადლობა შესწირე და დილით ცარიელი დააბრუნე. უმჯობესია ყუთს ხშირად ადგილი შეუცვალო, ისე, ყოველშემთხვევისათვის.

მეორე: მოძებნე სადმე ქუჩის პირას ნახევრად მიტოვებული ან, უფრო უკეთესი, მთლადმიტოვებული სარდაფი. კარის თავზე (ცოტა მარჯვნივ) გააკარი მუყაოს ქალალდზე დიდი ასოებით დაგვირისტებული წარწერა: „გვარდიას სცივა, გვარდიას შია, შენ არ ეხმარები?!“ დაიდგი სარდაფის შუაგულში ერთი მაგიდა, გვერდით დამაჯერებლობისათვის კომპანიონი (ეს უკანასკნელი, უმჯობესია, მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი იყოს) მოისვი და შემონირულობების დავთარში გატარება არ დაგავიწყდეს. ორ დღეში ერთხელ სარდაფი უნდა დააცარიელო და შემონირულობანი შინ წაიღო. გვარდიაზე გული ნუ დაგნედება, გვარდიას შენზე უკეთესი პატრონები ჰყავს.

მესამე: პირველ და მეორე გზას, შენც შეატყობდი, ცოტა უხერხულობები ახლავს, ჯერ ერთი, ობოლ ბავშვებს ზოგიერთები კუპონებითაც ეხმარებიან და, შენ წარმოიდგინე, ხუთუპონიანს ან, რაც უფრო გულსახეთქია, ზოგჯერ ერთკუპონიანსაც აღმოაჩენ ყულაბაში. წვრილი, თითქმის გამოუსადეგარი ფულის სუროგატების თვლა, ჩემგან რა გესწავლება, მოსაწყენი საქმეა. ასევე შეცივებული გვარდიელების დასახმარებლად ზოგმა ახირებულმა შეიძლება გაცვეთილი, მისთვისაც კი სრულიად უვარგისი „ბატინკები“ შემოგთავაზოს. რაც არ მოგეწონება, უკან ხომ ვერ გაატან – „გვარდიელები ამას არ მიიღებენო“, სხვა გზა არ არის, უნდა აიღო და უურ-

ნალშიც გაატარო. ასე რომ, გვარდიელებისათვის შემოწირული კონსერვ-ხამლ-ტალავარის ბაზარზე გასაღებაც არ არის იოლი საქმე, ამიტომ მესამე, უფრო სუფთა, გზას შემოგთავაზებ: წელან რომ მუყაო გიხსენე, ის მუყაო გადმოაბრუნე და უფრო დიდი ასოებით დააწერე „ოქრო მხოლოდ სამშობლოს გასათავისუფლებლად“. შენ და შენმა კომპანიონმა (ამ შემთხვევაში არა მარტო „უმჯობესია“, არამედ აუცილებელია ქალი იყოს) ინათხოვრეთ აფთიაქის ან ოქრომჭედლის სასწორი, მოიდგით გვერდზე და დაელოდეთ საქორნინო ოქროს ბეჭდებს ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამაჯურებს, სამშობლოს გათავისუფლების საქმეს, არც თუ მცირეოდენი ყოყმანის გარეშე, რომ შესწირავენ ღარიბი და ნახევრად ღარიბი ადამიანები. ოქრო აუცილებლად უნდა აიწონოს, ძვირფასი თვლის სახელწოდება ზუსტად ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც შემომწირავი ბრძანებს. გახსოვდეთ, შემომწირველს არ ეკამათებიან. ზოგმა, იქნებ, გამეტებული თვალი უფრო ძვირფასად მოგასაღოთ, ვიდრე სინამდვილეშია, მერე რა, ბოლოს და ბოლოს ხომ არ ყიდულობთ, ხოლო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდსა თუ მცირე განძეულს თავისი ადგილი აქვს. ეჭვი რომ გაიფანტოს, ხანშიშესულ შემომწირველს ერთსა და იმავე ჟურნალში ორ ადგილას მოაწერინეთ ხელი და გასვლისას ეროვნული ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადეთ, თანაც აცნობეთ, რომ მის წვლილს თაობები არ დაივიწყებენ. ყოველ საღამოს შემოწირული ოქრო-ვერცხლი „აქ დატოვება საშიშიას“ მოტივით შინ წაიღე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ეროვნული მოძრაობა? შენ დარდი ნუ გაქვს, იგი საქართველოში უახლოეს ორას წელიწადს არ განახლდება.

მეოთხე: ბანკის შექმნაზე ადვილი ახლა არაფერია. შენც დააარსე ბანკი სახელწოდებით „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“. რეგისტრაციაში ნუ გაატარებ, აუცილებელი არ არის. ჯერ

ერთი, გადასახადს შეგაწერენ და მეორეც, შეიძლება საქმე გაგიხლაფორთდეს. გაზეთებში განცხადებები გამოაქვეყნე (კარგი იქნება თუ ქუჩაში გააკრავ): ბანკი „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“ ერთადერთი ბანკია მსოფლიოში, რომელიც მხოლოდ მეანაბრეთა მოგებისათვის ზრუნავს. თვით ბანკს თქვენი კაპიკიც არ ჭირდება-თქო. შემოიტანეთ თანხა, რამდენიც მოგიხერხდებათ, ჯერ ერთი, საიმედოდ შეგენახებათ და, რაც მთავარია, ორი წელიწადში გაოთხმაგებით (ინფლაციის გარეშე) დაგიბრუნდებათ-თქო. თვალე ფულები და აწყვე უჯრაში. მეანაბრეს, თუ მაინცდამაინც, ქვითარი გამოუწერე, სხვა არაფერია, თორემ ქვითრები იაფია საკანცელარიო მაღაზიებში. ქვითარი თვითმიზანი როდია, მაგრამ მაინც გამოუწერე და ხელი გაკვრით, გაურკვევლად მოაწერე. რა გენალვლება, ადამიანებს ქაღალდებისა ჯერ კიდევ მტკიცედ სჯერათ. შენ მეტყვი, ანალოგიურ საქმეზე ამასწინათ ხომ ჩავარდნენ სხვებიო. გეთანხმები, მაგრამ იმ „ბანკირებმა“ სულსწრაფობა გამოიჩინეს, სამ თვეში გაგისამმაგდებათ ფულიო. სამი თვე ცოტა დროა, შენ წელზე ნაკლები არ დაუთქვა გულუბრყვილო მომხმარებელს გაოთხმაგებული ფულის მისაღებად. ორ წელიწადში, იქნებ, ღმერთმა ნუ ქნას და არც ეს ხელისუფლება იქნეს და არც გამოძიებამ მოკიდოს ხელი სოკოებივთ გამრავლებულ პინგვინ-მოტყუუბულთა ასეთ საქმეებს.

მეხუთე: გატყობ, რისკიანი კაცი არა ხარ, შიში გაიღანდა შენს თვალებში, მერე მე არაფერი მომივაო? დაგენერა მაგ საყვარელ სახეზე. ახლა, რაკი ასეა, მეხუთე და მეექვსე მთლად უხილაოს გზებს შემოგთავაზებ.

ახალგაზრდა ქვრივთა და გასათხოვარ მანდილოსანთა, ასევე დაჯერებულ, უიმედოდ უცოლო მამაკაცთა გასამხნევებლად დაარსე კლუბი სახელწოდებით „მხოლოდ გაცნობა“. იცოდე, შინაბერებს ყველაფერზე მეტად ოჯახის შექმნისა ეშინიათ. ამიტომაც სარეკლამო ფურცლებში გას-

აგებად ჩაწერე – ჩვენი კლუბი სხვა მსგავსი კლუბებისაგან განსხვავებით, მოპირდაპირე სქესის პიროვნებასთან გაცნობის დაგვირგვინებას ოჯახის შექმნით არც ერთ მხარეს არ ავალდებულებს-თქმ. „მხოლოდ გაცნობის“ უამრავი მსურველი მოგაწყდება. შენ, დირექტორმა და შეთავსებით მთავარმა ადმინისტრატორმა, ფეხი ფეხზე გადაიდე, კლუბში შესასვლელი ბილეთი გამოცდილ გამცნობელთათვის თანდათანობით გააძირე, და რჩევის სახით (ნუ შეგრცხვება) შესთავაზე: მამრობითი სქესის მომხმარებელმა, სასურველია, გაცნობისათვის საჭირო ალკოჰოლიანი (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება უალკოჰოლოც) სასმელი თან მოიტანოს-თქმ. გაფრთხილებ, თექვსმეტ წლამდე მომხმარებელს კლუბში ნუ შეუშვებ. ზედა ასაკს ნუ განსაზღვრავ. ამის გარდა მხედრიონელთა და გვარდიელთათვის შესვლა უფასო იყოს, ქველმოქმედებაში ჩაგეთვლება. საერთოდ, ფორმიან კაცს რომ დაინახავ, მონიწებით ელაპარაკე, ხომ შეიძლება, მართლაც მხედრიონელი, ან გვარდიელი, ან უკიდურეს შემთხვევაში, პოლიციელი აღმოჩნდეს. სამხედრო ფორმა ყაჩაღების გარდა ზოგჯერ ზემოთხსენებული სამსახურის ჭეშმარიტ წარმომადგენლებსაც ხომ აცვიათ.

სხვა მხრით საშიშროება არაფერი გელის. ჰყიდე ბილეთები და ხარჯე კლუბის ჯანმრთელ სტუმართაგან შემოსული ალალი, დაუყვედრებელი ფული.

მექვსე: გამდიდრების ამ გზებიდან მექვსე ყველაზე უსაფრთხოა. ბიოველით მკურნალი გახდი. რომელიმე ნამდვილ ექიმს ჩამოათვლევინე ყველაზე გავრცელებული დაავადებანი, იმ დაავადებებს შენი ინიციატივით დაუმატე კიბო და გამოაცხადე: შიდსის გარდა ყველა დაავადებას ვარჩენ-თქმ. შიდსის მორჩენას ნუ დაიბრალებ. ამ ხაზით პაციენტი მაინც არ გეყოლება. შიდსით დაავადებულნი სამკურნალოდ არ დადიან. თუ ბევრი პაციენტი მოგაწყდა, სეანსი ჯერ უკი-

დურესად შეამოკლე, მერე ფსიქოთერაპიაზე გადადი. დიდი დარბაზი დაიქირავე და დუმილით მკურნალობის სეანსები ჩაატარე. მდუმარე დარბაზში (მით უმეტეს როცა ცხელა) ნახევარზე მეტს, თვით შენი დახმარების გარეშეც ჩაეძინება, ახალგამოღვიძებული კი ცოტა ხანს მაინც მხნედ გრძნობს თავს. ესეც შენი ფსიქოთერაპია. საერთოდ, ექსტრასენსობა შეითვისე. მკურნალობის ამ სამ (ბიოველი, ფსიქოთერაპია, ექსტრასენსი) სახეს შორის დიდი განსხვავება არ არის. თუ ავადმყოფებმა თავი მოგაბეზრეს, დისტანციურ მკურნალობაზე გადადი. სამწუხაროდ, ტელემკურნალობა და რადიომკურნალობა აიკრძალა, მაგრამ დარჩა მანძილთმკურნალობის ორი ფორმა: წერილმკურნალობა და ფოტომკურნალობა. გამოაცხადე გაზეთში: წერილით მაუწყეთ დაავადების შესახებ და ოჯახის იმ წევრთა სახელები გარკვევით ჩაწერეთ, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ-თქმ. ჰონორარი განკურნების შემდეგ გამოაგზავნეთ, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ, მკურნალობის გაადვილების მიზნით, თითო წერილში ხუთი პაციენტის სახელზე მეტი ნუ იქნება-თქმ. ამას წერილმკურნალობა ჰქვია. ფოტომკურნალობა წერილმკურნალობის გაუმჯობესებული და უფრო გარანტირებული ფორმაა: კონვერტში პაციენტის სახელთან ერთად მისი ფოტოსურათიც უნდა იდოს. ფოტოსურათის ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

გამდიდრების ამ ფორმასაც ახლავს, ჩემო შერმადინ, ერთი მცირე გაფრთხილება: მკითხავ-ვარდობა და გულთმისან-წინასწარმეტყველობა არ დაიწყო. არ გინდა სახელის განთქმის ამგვარი მისნობა-მიხვედრანი: „მავანსა და მავანს გუდაუთაში კარგა ხანია ვერ ვხედავ, თვენახევრის გარდაცვლილია და მოსკოვის ერთ-ერთ მორგ-მაცივარში ინახავენ“... ხომ იცი, ტელევიზიას დიდი თვალი აქვს. გადაიღებენ წალკოტში მჯდომ, მხნედ მოსაუბრე, მაცივრიდან გამოყვანილ შენს გმირს და შერცხვები. რატომ იტკივებ აუტკივარ

თავს. ოქროს ხელობა გაქვს; ბოლოს და ბოლოს უნიკალური ფსიქოთერაპევტი, ბიოველიანი მკურნალი და სწორუპოვარი ექსტრასენსი ხარ.

თუ გამდიდრება-ლალი ცხოვრება მოგწყინდეს და როგორც ქართველთა უმეტესობას სჩვევია, მთავრობისაკენ გაგინიოს გულმა, ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ: ჩამონერე ათი-თორმეტი ნათესავ-ძმაკაცის გვარი. ახალი პარტია შეიქმნა-თქო, გაატარე რეგისტრაციაში. პირველი ხუთი გვარი (იმ თორმეტიდან) არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელე. შენ, რასაკვირველია, ნომერ პირველი იქნები. მართალია, დეპუტატობისათვის საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებთ, მაგრამ კომპენსაციის მეთოდით (ახალ პარტიას გული არ დავწყვიტოთ, იტყვიან) შენ და შენი მომდევნო მეორე ნომერი უეჭველად გახვალთ დეპუტატებად.

მერე ქე მიხედე შენს თავს. ამ ბოლო გზას ჩემთვის ვიტოვებდი, მაგრამ ისე მონდომებით მისმენ, ვერ დავმალე და გაგიმხილე. ახლა, რაკი აქამდე მიგიყვანე და გაგადეპუტატე, ერთ რჩევასაც მოგცემ, პარლამენტის სხდომებზე მაინცდა-მაინც ნუ იაქტიურებ.

რაც ნაკლებს ილაპარაკებ, ნაკლებ სისულელეს იტყვი.

\* \* \*

შერმადინმა თეთრი, კეპიანი ქუდი მოიხადა, დაცვარულ შუბლზე გაისვ-გამოისვა, წარბებამდე ჩამოიფხატა, წამოდგა და მოწყენილი ხმით მკითხა:

- რომელია შენთან?
- საათიანი მაჯა ვუჩვენე.
- ნახე, სათვალე შინ დამრჩა.
- ოთხი სრულდება. მეტი მეგონა. სწორია?
- არ ვემდური. შიგადაშიგ რჩება ხუთი წუთით.
- იცის... კარგად აბა... დიდი მადლობა.

– კარგად იყავი.

ტროლეიბუსის გაჩერებისკენ გააბიჯა. იქნებ მეჩვენება, მაგრამ ფეხებს ისე მიათრევს, თითქოს მძიმე ტვირთი უმძიმებსო ბეჭებს.

ცხელა.

ეს ორი დღეა ზაფხულმა იზაფხულა. აქამდე თითქმის ყოველდღე წვიმდა. რაღაცნაირი უსიამო, ცივი გაზაფხული გადავიტანეთ.



## იაპონელი

იაპონელის მეტი რა მინახავს, მაგრამ კომიამა უცნაური იაპონელი იყო. როგორც კი უთხრეს ჩემზე – თქვენი გიდი იქნება, – მაჯაში მტაცა ხელი, თავის ნომერში ამარბენინა, ფაცხაფუცხით ამოყარა ჩემოდნიდან ყველაფერი. როგორც იქნა, ქალალდის პატარა ნაგლეჯი იპოვა და გამომიწოდა. „ოკრიბა“ ამოვიკითხე ინგლისურად. ქალალდზე მეტი არაფერი ეწერა.

- კი, არის ასეთი სოფელი.
- ჰაი,\* – სიხარულით დამეტანხმა.
- იმერეთშია, იქეთ, – ფანჯრისკენ გავიშვირე ხელი.
- ჰაი, ჰაი, – იღიმება და თავს მიქნევს.

მე ინგლისური იმდენი ვიცი, რამდენიც შეიძლება საშუალო მომზადების გიდმა იცოდეს. იმ გიდმა, რომლის სპეციალობაც რუსულენოვან დელეგაციებთან მუშაობაა. გიდობის კურსებზე ინგლისურს ექვსი თვის განმავლობაში გვასწავლიდნენ. ისე, ყოველი შემთხვევისათვის, იქნებ სადმე დაგჭირდეთო.

ინგლისურზე ვცადე გადამერთო ჩვენი საუბარი, მაგრამ გაირკვა, რომ კომიამა ინგლისური, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ჩემზე ცუდად იცის.

სხვა რა გზა გვქონდა, კვლავ რუსულს დავუბრუნდით:

- რა გაკავშირებთ ოკრიბასთან კომიამა-სან?
- ჰაი! – ღიმილით დამიქნია თავი სტუმარმა.
- თბილისიდან საკმაოდ შორს არის ოკრიბა.
- ჰაი, ჰაი, ოკრიბა! ხელი ჩამომართვა კომიამამ, ალბათ, იმის ნიშნად, ყოჩალ, რა კარგად გცოდნია ყველაფერი, მერე „ოკ-რი-ბა“ ისე ნაზად, სიყვარულით წარმოთქვა, რომ გული ამომიჯდა.

\* ჰაი – დიახ (იაპონურად).

დავუბრუნდით მოსაცდელში და იაპონელი გიდი მოვდებნეთ. ჩემმა იაპონელმა კოლეგამ იაპონური ხომ იცოდა და იცოდა, ინგლისურსაც მშვენივრად ფლობდა და, რაც ჩემთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი იყო, რუსულად თითქმის შეუცდომლად ლაპარაკობდა. – ბატონმა კომიამამ ოკრიბა იკითხა. რაიმე პრობლემა ხომ არა აქვს ამ ტოპონიმთან დაკავშირებით? – ვკითხე გიდს და სანამ კითხვას დავასრულებდი, ხელებდაშვებული კომიამა ღიმილით პირში შემომყურებდა.

– ძან წან ყუა ჩუნალუ ოკ-რიბა მოსი უუნაწუნჲაი დოვაზელაწუნა? – ჭიკჭიკჭიკიკით ჰკითხა გიდმა.

– ჰაი, ჰაი, ჯენ ყვაი ჯგბრჲავა ტენ დან თუ კაიდოჩიქინწრუმა, – უპასუხა კომიამამ და მორცხვად დაამატა. – ჯანჩაკო ლუნა ჰიუ ლაკვაზენა?

– მოსი? – ეტყობა რალაცის დასაზუსტებლად ჩაჰკითხა გიდმა.

კომიამამ ჯერ ორივე ხელის თითები უჩვენა. მერე მარცხენა უკან წაიღო და მარჯვენა გაუშალა.

– ბატონი კომიამა ამბობს, რომ თხუთმეტი წლის წინათ იყო საქართველოში, სწორედ მაშინ სოფელი ოკრიბა მოუნახულებია. იქ ერთმა გლეხმა თავის სახლში შეგვიპატიუაო, ქვევრიდან ღვინო გვასვაო. თუ შესაძლებლობა არსებობსო, იქნებ ოკრიბაში ჩამიყვანოთო, თვალი მინდა შევავლო ჩემს მასპინძლებს. მაინტერესებს, როგორ არიანო, – განმიმარტა თუ არა გიდმა, მაშინვე წარმოვიდგინე ჩვენი მმართველის მოყვუნული სახე, არ უყვარს, როცა ტურისტები ცალკე მარშრუტს მოითხოვენ.

– გადაეცით ბატონ კომიამას, სიამოვნებით შეგისრულებდით სურვილს, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული-თქო. ფირმის შეფის წინაშე დღესვე დავაყენებ ამ საკითხს და ხვალ სადილობისას პასუხს მოგახსენებთ-თქო.

კომიამამ, თითქოს მიხვდაო ჩემს ნათქვამს, ხელისგულების შეტყუპებით მადლობა გადამიხადა, ხოლო როცა გიდმა

უთარგმნა, კიდევ უფრო გახარებული, ოთხჯერ მოიკავა და, ენა ვერ აღწერს, რა აღტაცებით მომიიაპონურრევერანსა.

მესამე დღეს მე და კომიამა ინტურისტის ნომერშეცვლილი (?)! მანქანით ოკრიბასკენ მივქროდით.

იაპონელმა სტუმარმა გზაში სამჯერ მაინც გამოიძინა, რაკილა ჩვენი ენანყლიანი საუბრის პერსპექტივა ფრიად შეზღუდული იყო ენობრივი ბარიერით.

ჩვენი ურთიერთგაგებინების ღარიბ საშუალებას – საყველპურო ინგლისურს, ოკრიბისთვის ვინახავდით ორივენი. სახელმწიფო საიდუმლოს გავამხელ და გეტყვით, რომ ჩვენ, გიდები გაფრთხილებული ვართ, სტუმარს შეკითხვებით თავი არ მოვაბეზროთ! უცხოელებს ცნობისმოვარე გიდები არ უყვართ. ბევრი შეკითხვის მიცემა ცივილიზებულ დასავლეთსა და უფრო ცივილიზებულ აღმოსავლეთში კარგ ტონად როდი ითვლება. ინტერვიუში საქმიანი ადამიანები სათანადო გასამრჯელოს იღებენ.

ამ ორი მიზეზის გამო მეც მთელი გზა ისე მქონდა თავი ჩაკიდებული, თითქოს ვთვლემდი. სინამდვილეში კი, მკითხველს როგორ დავუმალავ, არ ვთვლემდი.

ენკენისთვე იწურებოდა.

ოქროსფერი, მწვანე და ნარინჯისფერი ისე ლამაზად არეულიყო ერთმანეთში, როგორც ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.

მზე შუბისტარს მტკაველით იყო ჩაცილებული, როცა ოკრიბაში ჩავედით.

– ოკრიბა! – მხარზე ფრთხილად შევეხე სტუმარს.

– ჰაი, ჰაი! – ღიმილით დამიქნია ჭალარა თავი იაპონელმა. იგი ფანჯარას მიაჭირინდა და ყოველ ორლობესთან ბედნიერებით აღსავსე ბავშვივით ტიტინებდა მშობლიურ ენაზე. ღიმით პირგახეული დროდადრო შემომხედავდა, სერიოზულად მეტყოდა, ოკრიბა! ოკრიბა! და გულიანად გადაიხარხარებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვძებნეთ. ახალგაზრდა ცისფერთვალება ბიჭმა, როგორც კი მოახსენეს, სტუმრები მოვიდნენო, სახელდახელო თათბირი მეყვსეულად დაშალა და გამოგვეგება.

– ჭოლა ბატონო, ბურკაძე! – ჯერ სტუმარს გაუწოდა ხელი, მერე მე მომიბრუნდა და ძველი ნაცნობივით მომიკითხა.

– გზაში ხომ არ გაწვალდით, სტუმარი ჩვენს ოლროჩოლრებზე ხომ არ გაილახა?

მადლობა მოვახსენე და პირდაპირ საქმეზე გადავედი. ბატონი კომიამა იაპონელი საქმოსანია. საქართველოში ტურისტად გახლავთ, ამ თხუთმეტი წლის წინ ყოფილა ოკრიბაში. რომელიღაცა აქაურის ოჯახში ჭურისთავზე ღვინო შეუსვამს. ახლა ჩამობრძანდა და გულმა პირველ რიგში აქეთ გამოუწია. ოკრიბაში უნდა ჩავიდე და ის გლეხი უნდა ვინახულოო. მაინტერესებს, ხომ ჯანმრთელად გრძნობს თავსო.

– კეთილი და პატიოსანი, – სახე გაებადრა ჭოლას – გადაეცი, ბატონო, დიდი მადლობა მოგვიხსენებია ოკრიბის გახსენებისთვის-თქვა.

– ჴი სეი: სენქ იუ ვერი მაჩ. – „ვუთარგმნე“ იაპონელს.

– არიგატო ზაიმეშტა, – ხელისგულების შეტყუპებით წელში სამჯერ მოიკავა კომიამა.

– სხვათა შორის გვარი არ ახსოვს თავისი მასპინძლის. – ჩუმად, ისე რომ სტუმარს არ გაეგონა, გავანდე ჭოლას. თუმცა ძალიან კარგადაც რომ გაეგონა, ვერას გაიგებდა, რადგანაც მომლიმარე სტუმარმა ქართულად მხოლოდ ერთი სიტყვა – „ოკრიბა“ იცოდა.

ჭოლამ კაბინეტში შეგვიპატიუა.

ნიკაპი მუშტებს ჩამოადო და მოგვაჩერდა.

– დაახლოებით მაინც არ ახსოვს სახლი?

– არ იუ ნოუ ვეარ ლივ იტ ჯენტლმენ?

მივუბრუნდი კომიამას.

კომიამამ მხარზე ჩამოკიდებული იაპონური ჩანთა იატაკზე

დადო, აივანზე გაირბინა, სოფელს გახედ-გამოხედა და ღრმა დაფიქრების შემდეგ გამოგვიცხადა:

– ნოუ.

– არ ახსოვს. ეტყობა დაათრო მასპინძელმა. გავიაროთ სოფელში და იქნებ გაახსენდეს. – ვთქვი მე.

კაბინეტში რომ შემოვბრუნდით, ჭოლამ ეზოში მოფუს-ფუსე იმერულქუდიან მოხუცს უხმო. – ბიკენტი ბიძია, ამობრ-დანდი ერთ წამას, თუ არ შეწუხდები.

ბიკენტიმ წერელი გადააგდო, ქუდი იშვლიპა, ჯერ ულ-ვაშები იგრიხა კარგა ხანს და მერე ჭოლას კაბინეტში შემოს-ვლისას სველ ტილოს გულის გაწყალებამდე უსვა წალები. ისე თავაწეული ხელისგაქნევით იწმენდდა ფეხსაცმელებს, გეგონებოდათ ცეკვის ილეთს სწავლობსო.

– ბიკენტი ბატონო, გაიცანი, სტუმარია იაპონიიდან, – ძლივს მოასწრო სიტყვის დამთავრება ჭოლამ, რომ ბიკენტი რამდენიმე ნახტომით კომიამასთან გაჩნდა. ორივე ხელი შარვ-ლის ჯიბეზე ღონივრად აისვ-ჩამოისვა და სტუმრის მარჯვე-ნას დიდხანს სწონიდა რა პეშვით, თან განუზომელი მოწინე-ბით თვალებში შესცეკეროდა.

– ხომ კარგად, ჩემო ბატონო, ხომ ჯანმრთელად. რავა არი თქვენვენ საქმე?

– ჰაი, ჰაი, არიგატო. – თავს უქნევდა კომიამა.

– ბატონო ბიკენტი. თხუთმეტი წლის წინათ ყოფილა ეს პატიოსანი ადამიანი ჩვენთან. მაშინ მე – მომიბრუნდა – ათი წლის ვიქნებოდი და ჩემს პეპლებს დასვდევდი, ვინ გამრევდა კაცებში, – ისევ ბიკენტის ესროლა მზერა – რომელიღაცამ უმასპინძლა ჩვენს სოფელში თურმე. ჭური მომიხადესო, ხომ არ გახსოვს ამნაირი შემთხვევა. ხომ არ შესწრებიხარ, ან ხომ არ უთქვამს ვინმეს.

– სადაური ვარო, ბატონო? – იმერული ქუდი მაგიდიდან აიღო, სამად გაკეცა და გულისჯიბეში ჩაიღო ბიკენტიმ.

– იაპონელი.

– იაპონელი... იაპონელი – ტუჩთან მოკაკული საჩვენე-ბელი თითი მიიღო მოხუცმა და ორჯერ ნელ-ნელა შემოტრი-ალდა.

– მაშვინ თავმჯდომარე პიმენი იქნებოდა. ცოცხალი რომ იყოს, გვეტყოდა, რასაკვირველია, ცხონებული. საბჭო ვინ იყო მაშინ?

– ალბათ ანდრო ჯლამაძე. ბაბუცა შვიდი წელია, რაც საბ-ჭოს თავმჯდომარეა.

– ბაბუცა ახალია. ბაბუცამ რა იცის. ანდროს ემახსოვრე-ბა, არ უნდა ლაპარაკი. რაღა ახლა დარჩა წასული თბილისში. ილბალი არ გინდა?

– როდის წავიდა?

– ორ კვირაზე მეტია. შვილიშვილმა მოილოგინა, ვახტან-გის გოგომ და, ვერ იყო რაღაცა კარგად.

– ვახტანგის გოგო გათხოვდა, ამხელაა უკვე?

– ჰო, რაღაცა მაგის მსგავსი. მთლად გათხოვილი არაა ჯერ. სკოლიდან წაყოლია ვიღაცას. ბავშვის ამბავი ხომ იცი.

– რაღა ბავშვის, თუ ბავშვი ეყოლა უკვე.

– ასეა, კი, ნამდვილად. მეტი ვის ეცოდინება. ერთს ვი-ტყვი, მოდი, პორფილესას მიდით. პორფილეს არ აცდებოდა მაგი. ან პორფილესთან იქნება ნამყოფი, ან პორფილეს ეცო-დინება, ვისი სტუმარი იყო.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უზარმაზარი კაკლის ჩრდილში ჭიშკართან ვიდექით და ზორბა ტანის უღალთმაწ-ვერა, ჭარმაგ მამაკაცს, დევისხელება პორფილე ჯინჭარაძეს შევქცეროდით.

– ჩამობრძანდით, ბატონო – კალთებს გვახევდა მასპინძელი.

– ბატონო პორფილე, ეს იაპონელი კაცი თუ იყო შენთან ამ თხუთმეტი წლის წინათ? – სერიოზულად ჰკითხა ჭოლამ.

– ჩამობრძანდით ბატონო. იყო, აპა არ იყო? ეს იყო სწორეთ. იაპონელია ხომ? ჩამობრძანდით ეზოში, რატომ მჭრით თავს

სტუმართან, – მივიდა და კომიამას პატარა ხელი ღონივრად ჩაბლუჯა – გამარჯობა შენი, რავა ხარ, რავა ბრძანდები? დეინახეთ, რავა მიცნო მაშინვე? ჩემთან ნამყოფია, კი.

აივანზე აგვიძლვა და სამზადი სახლის წინ გამოფენილ ცნობისმოყვარე ქალ-რძალს ხელი აუქნია.

– ჰე ჩერა ახლა, მიხედეთ საქმეს!

ოთახში შევარდა. ნარდი და სკამები გამოარბენინა, დაგვიდგა, არ მოიწყინოთ, ახლავე იქნება ყველაფერი, და ქვევით, ბოსტნისკენ გაშლიგინდა.

კომიამა ინტერესით ადევნებდა თვალს ციბრუტივით დატრიალებულ მასპინძელს. მერე ინგლისურად რაღაცის ახ-სნა დამიწყო, მაგრამ ვერ გამაგებინა. ჩანთა მხარზე გადაი-კიდა და კიბე ჩაირპინა, ეზოში მიდგა-მოდგა, ისევ ამოირპინა აივანზე და რაღაც მითხრა, თან სამზადი სახლისკენ იშვერდა ხელს.

– შეიძლება მარანს ეძებს. – თქვა ჭოლამ.

– ნამდვილად, – კვერი დავუკარი თავმჯდომარეს და პორ-ფილეს გავძახე, – ბატონო პორფილე, სტუმარს მარნის ნახვა სურს, თუ შეიძლება.

– ახლავე, ბატონო, რას ჰქვია შეიძლება, ღმერთო კი მომ-კალი. – პორფილემ ბოსტნიდან ამოირპინა; კალთაში ჩაგრო-ვილი კიტრი და პამიდორი კალანჩხაში ჩაცალა, დოქს ხელი სტაცა და მარნისკენ გაგვიძლვა.

როცა კარი მოლიავდა და მარნიდან ღვინის სუნნარევმა სინესტე-სიგრილემ შემოგვასუნთქა, კომიამა გამოცოცხლდა, ჯერ „ჰაი-ჰაის“ ძახილით ჩამოუარა თავმოლესილ ქვევრებს, მერე გარეთ გამოვარდა, მარანს ორი წრე დაარტყა და, ცოტა არ იყოს, მოწყენილი, შეცდუნებული შემოპრუნდა.

– ნოუ. – მითხრა და საწყალი თვალებით შემომხედა.

– არაო, აქ არ ვყოფილვართო, ამბობს, – ვაცნობე ჩემსკენ მზერამოქვავებულ მასპინძლებს.

– რა არაო, რას ჰქვია არაო. აქ იყო, აბა სად იყო, ვეღარ

გეიხსენა ახლა უბრალოდ. კაი ხანი გავიდა. მაგას კი არა, მეც აღარ მახსოვს, სად და სად ვყოფილვარ სტუმრად. მეიცადე პატარა თქვა, ახლავე გაგახსენებ ყორიფელს-თქვა. – დაფაც-ურდა პორფილე, ორშიმოს ხელი წამოავლო, ჭურისთავთან დადო. ხის ნიჩაბი მოიმარჯვა და ჩაიმუხლა, მაგრამ იაპონელ-მა ერთხელ კიდევ მწუხარედ ამოიხვნეშა.

– ნოუ.

– ნუ შეწუხდებით, ბატონო პორფილე. ახლა ასეა ჩვენი საქმე, რომ ის კაცი უნდა მოვაძებნინოთ. სხვა დროს გეს-ტუმრებით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. არაო, აქ არ ვყოფილვარო, სხვასთან ვიყავიო. არ მოხადოთ ჭური, ძალიან გთხოვთ.

პორფილეს რა შეაჩერებდა, ჭური მაინც მოხადა. ხირკა ამოსნია, თიხის ჯამები ჩამოგვირიგა, გრილი, ზღაპრულსუ-ნიანი, შეხეფებმსროლი ღვინით აგვივსო და ისე შეხედა იაპ-ონელს, როგორც განწირული უკანასკნელ იმედს შეაჩერდება.

კომიამამ ღვინო დალია, მასპინძელს მადლობა გადაუხადა, ჩანთა გადაიკიდა, ისევ ჩამოიხსნა. კისერზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ჭურისთავთან კველებზე დაგვსხა. ფოტოაპარატი ფანჯრის რაფაზე შემოდო, გამოიქცა, ჩვენს მორის ჩაცუცქდა და როცა იაპონურმა, ჭკვიანმა ხელსაწყომ გაელვებ-გატკაპუნებით ჩაგვაფორულებავა, ჩანთა ისევ გა-დაიკიდა, მასპინძელს „არიგატო, სენქ იუთი“ დაემშვიდობა და კარისკენ გააბიჯა.

– აქ იყო, ბატონო, იაპონელის მეტი რა ყოფილა ჩემთან. მაგის გარდა სხვაც ბევრი იყო. დეიბნა ახლა უბრალოდ, მხარი მეუქცა, ნუ წახვალთ, გეიხსენებს ნელ-ნელა... – ამ სიტყვე-ბით ჭიშკრამდე მოგვსდია პორფილემ და მანქანა რომ დაიძრა, მარჯვენით შუბლმოჩრდილული, გულდაკოდილი კარგა ხანს გამოგვყურებდა.

ისევ გავიარ-გამოვიარეთ მანქანით სოფლის ერთი ბოლო-დან მეორეში. იქნებ იაპონელს ან ჭიშკარი ეცნოს, ან ოდა.

როგორ დავუკარგავ, თვით კომიამაც გულით და სულით გვეხმარებოდა თავისი, თხუთმეტი წლის წინანდელი მასპინძლის აღმოჩენაში. მანქანის ფანჯარას იყო მიჭიჭინებული. რაღაცას ბუტბუტებდა, ცდილობდა, გონებას ძაბავდა. დროდადრო შენუხებული სახით შემოგვხედავდა, თითქოსდა გვეუბნებოდა: ბოდიშს გიხდით, რომ შეგანუხეთ და ამ ცეცხლში ჩაგაგდეთო. ერთ ჭიშკართან კისერი უირაფივით რომ წაიგრძელა, ვიფიქრეთ, ავშენდით, მიაგნო მასპინძელს-თქო, და მანქანა გავაჩერეთ.

ძალლი ყეფით მოაწყდა ღობეს. თითქოს დადარაჯებული იყოვო, კვარაუნჩხა ბალახზე ორმოცდაათიოდე წლის, თეთრპერანგა, გალიფეშარვლიანი კაცი გამორბოდა.

იაპონელი ჩვენზე ადრე მიაწყდა ჭიშკარს. ძალლსაც კი არ შეეპუა. შემოგებებულ მასპინძელს ხელი ჩამოართვა და, რაკი მასპინძელმა ხელი არ გაუშვა, კომიამამ იფიქრა, ალბათ გულში ჩახუტებას მთხოვსო, ჩანთა ბალახზე დააგდო, ორივე ხელი გაშალა და გადაეხვია.

ჩვენ, მომყოლთ, ამ გულისამაჩუყებელი სურათის მნახველთ, ცოტა გვაკლდა, რომ თვალები ცრემლით არ აგვსებოდა.

შეხვედრის საზეიმო წამმა რომ გაიარა, სტუმარმა კვლავ ჩანთას სტაცა ხელი და მხარზე ჩამოიკიდა. მიმოიხედა და ცაცხვის გვერდით მდგარი, კრამიტიანი შენობისკენ გაიქცა. თუ დაკვირვებიხართ, იაპონელებმა რაღაც სხვანაირი, რწევა-ცუხცუხით სირბილი იციან. ახლა, ჩვეულებრივ იაპონურ სირბილს ისიც დაუმატეთ, რომ კომიამა მარჯვენა ხელით აქანვებულ ჩანთას თეძოსთან იმაგრებდა.

– მარანს ეძებს. – ჭოლამ მასპინძელს ხელი ჩამოართვა, ისე რომ კომიამასთვის მზერა არ მოუცილებია.

– მარანი ზევით გვაქვს, ვენახბოლოში. წეიყვანე თომია, ჩვენც ახლავე მოვალთ! – დაანია მასპინძელმა სტუმრისკენ გაქცეულ თექვსმეტიოდე წლის ბიჭს, რომელსაც ამ სიცხეში,

ალბათ, ურჩი თმის დასაწვენად, კოზიროკმოჭრილი, მწვანე ბუკლეს ქუდი ეხურა. ამასობაში კომიამა საკუჭნაო ჯიხურს მიდგომოდა (აშკარა იყო მარნად მიეჩინია), თვალებთან პატარა, ფუნჩულა ხელი მიეტანა და ფანჯრიდან იჭვრიტებოდა.

– იცანი, აპა, კიკია, შენი სტუმარი? – ჰკითხა ჭოლამ.

– რავა არ ვიცანი, ბატონო, – ბედნიერი ლიმილით, ჩქარი ნაბიჯით მოგვყვებოდა კიკოლა.

– მაინც თვითონ მოგაგნო... რავარც შეხედა შენს ჭიშკარს, კინალამ მანქანიდან გადმოგვიხტა. როდის იყო, თუ გახსოვს, აბა, შენ, რამდენი წელიწადი იქნება?

– ზუსტად ალარ მახსოვს და, ამ ბოლოს, მე მგონია, სამი წლის წინ იყო მაგი ჩემთან.

– დავიღუპეთ, – გადმომხედა ჭოლამ, – ეს იაპონელი კაცი ლაპარაკობს, თხუთმეტი წლის წინათ ვიყავიო, კიკიამ ჭური მომიხადაო.

– ჭური მოვუხადე, აბა რა ვქენი. მაგენი დიდი ყურადღებიანი ხალხია... ნამეტანი მევილხინეთ იმ ღამეს... ღვინო ახლა ნაკლები კი არ მაქვს... რომელიც თვითონ გაეხარდება, იმ ჭურს მოვუხდი, სვამს ძველებურად ნეტავი? არის ჯანმრთელად, რავარც იყო? – ცოტა არ იყოს დაბნეულად ნაწყვეტ-ნაწყეტად ლაპარაკობდა კიკოლა, თან ხელით ბილიკზე ჩამოწეულ ატმის ტოტებს გვარიდებდა.

მარნის კართან წინ წასულები გველოდნენ. გუმანით მივხვდი, კომიამას მარნისთვის ორჯერ უკვე შემოერბინა და გარეთ, მარნის ფანჩატურში დადგმულ, უშველებელ საწნახელს ჩაჰყურებდა.

შევედით. კომიამამ ჯერ მარნის კედელზე გაფარჩეულ დათვის ტყავს გადაულო სურათი. მერე ჭურისთავთან დახრილ მასპინძელს ხირკე ხელიდან, ლამის ძალით, გამოგლიჯა და თავის ადგილზე დაჰკიდა. ჩანთას ხელი მოჰკიდა და წელანდელზე უფრო კატეგორიულად მითხრა:

– ნოუ, აი ვოზ ნოტ ჰია.

კიკოლამ შეატყო, რომ სტუმარი ჭირვეულობდა და ისე ამომხედა, რომ გული მომენვა.

– რაიო, ბატონო?

– არ ვყოფილვარ აქაო.

– აპა სად ვიყავიო. ვერ მეიმხო ახლა მაგან. მაშინ ეს დათვის ტყავი არ მეკიდა. ეს ახალშენიც არ მქონდა ჩაყრილი. მორიდებული კაცი ჩანს მაგი. არ შეწუხდნენო, ასე ფიქრობს, ალბათ, თვარა მე მახსოვს აქ რომ იყო და მაგას არ ემახსოვრება? იაპონელ კაცს? ჯერ ეს დამილიე-თქვა, უთხარი. ოჯახში ხარ შემოსული-თქვა. არ გახსოვს აპა, იმ ცაცხვის ჩრდილში, ეგერ რომ ვიჯექით და სადლეგრძელოებს ვამბობდით-თქვა? სურათი მაშინაც ბევრი გადაგვიღო!

კიკოლამ ღელვა-ღელვით, ოროტოტოსავით მიაყარა სიტყვები ერთმანეთს. ჯერ ბლისტყავის ცხრა პირი საფენი აა-ცალა ქვევრს, მერე ხირკე ჩაბუყბუყა და სტუმარს გაუწოდა.

კომიამამ ბავშვივით ალალად გაიცინა. ხირკე ძლივს დაიმაგრა ხელში. აწეულ ნიკაპქვეშ, ყელზე ადამის ვაშლის ას-ვლა-ჩამოსვლაზე შევატყვე, რომ ერთ საღვინე ჭიქაზე მეტი არ დაულევია. ხირკე მასპინძელს დაუბრუნა, „არიგატო ზაიმეშტა!“ მოახსენა და უკანმოუხედავად, უწა-უწა გაიქცა მანქანისკენ.– არ გეწყინოს, ბატონო კიკოლა. – ვამშვიდებ სისხლ-გამშრალ მასპინძელს. – უცნაური იაპონელია. მაინცდამაინც იმ ჩემს მასპინძელთან მიმიყვანეთო. ვერ ვიპოვეთ ვერაფრით. სხვაგან არსად გაჩერდა. რამენაირად უნდა ვუსაშველოთ და მოვუძებნოთ. რა პატივი სცა ამნაირი, იმ ოჯახაშენებულმა.

– რა ვენა აბა, არ მობრუნდებით, არ გავტეხოთ თითო-ლუკმა? – ჭოლას შეხედა კიკოლამ.

– დღეს ვერ მოვახერხებთ, სხვა დროს, ჩემო კიკოლა. ისე კაი დამდგარა ახალი ვენახი. კარგად ასხია. – დაუყვავა ჭოლამ.

– ჯერ ოთხი წლისაა. ნიშანი შარშან მოგვცა. ეგება დაი-ყოლიოთ. ასე რავა იქნება. მემეჭრა თავი ამ უცხო კაცთან.

– წუხდა კიკოლა, მაგრამ კომიამა ისე ღრმად და საიმედოდ მოკალათებულიყო უკანა სავარძელზე, რომ დასარჩენად დაყ-ოლიებაზე ლაპარაკიც ზედმეტი ჩანდა.

სოფლის მოედანთან მარჯვნივ ჩავუხვიეთ და ორჯონი-კიძის ყოფილი ძეგლის კვარცხლბეკი უკან დაგვრჩა. ბოგირზე მდგარი, ნაცრისფერ ბლუზა-შარვლიანი, წვერგაუპარსავი მოხუცი შუაგზაზე მხნედ გამოვიდა და ისე, როგორც ეჭირა ხელჯოხი წელზე შემოდებული, წინ გადაგვიდგა.

მძღოლმა დაამუხრუჭა.

მოხუცმა მკლავები გაითავისუფლა, ჯოხს დაებჯინა და მანქანაში თავი შემოჰყო.

– ჭოლა ხან შენე? სტუმარი ჰყავსო, მითხრეს და გამევიქე-ცი ყანიდან. ჩემთან იყო მაგ იაპონელი. თხუთმეტი წელია მა-სუკან.

ჭოლა შეყოყმანდა.

– არ გჯერავს ჭოლა, ბიძია? – მოხუცმა ქუდი იშვლიპა. – შემხედოს აბა თავზე სტუმარმა. მიცნობს მაშინათვე. ტყუილს ვიტყვი ახლა მე?

მოხუცმა მზედაუკვრელი, შემელოტებული, თეთრი თავი მიანათა სტუმარს.

კომიამა ერთხანს ღიმილჩამდგარი ცნობისმოყვარეობით შესცეროდა უცნაური მოხუცის თავს, მერე ჩვენ შემოგვე-და. ჩანს ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა მოემოქმედნა, რატომ სთავაზობდნენ ამ მოხუცის თავს.

– ჩამოვალთ აბა, გრიგოლ ბიძია. ეს კაცი თავის მასპინძელს ეძებს და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვაგდო, თუ კაცი ხარ, – უთხრა ჭოლამ და მანქანის კარი გამოალო.

მოხუცი დინჯად ჩაგვიძლვა ეზოში. რიკულებიანი ოდის აივანზე სუფრა გაეშალათ. ბატონმა გრიგოლმა ყოველ შემ-თხვევისთვის ჭიშკარი ურდულით ჩაკეტა და კიბეებისკენ მიგვითითა.

კომიამა ფეხს ითრევდა და სამზადი სახლისკენ იმზირე-ბოდა.

– მარანი საით გაქვთ, გრიგოლ ბიძია. სტუმარს მარნის დათვალიერება აინტერესებს, – შეაპარა ჭოლამ.

– აგერ ბატონო, აგერაა მარანიც, რავარც სტუმარს გაეხარდება, ისე მევიქცეთ. იცის მაგან მარნის გზა.

კორკიმელის ბებერი ხის გასწვრივ ახალნაყარი უნაბის ხეივანი მოჩანდა. ხეივნის ბოლოში, ძველი ქართული წესით, – კუთხეში გადაბმული ფიცრებით აგებული ძველთაძველი მარანი იდგა.

მკითხველს ალარ გადავღლი.

არც გრიგოლის მარანი აღმოჩნდა ის მარანი, სადაც ჩვენი ცოდვით სავსე იაპონელს თხუთმეტი წლის წინათ პურ-ლვინო მიეღო და ასე მკაცრად დამახსოვრებოდა.

გრიგოლის აივანზე, ფეხდგომელა თითო ჭიქა გადავკარით. რბილ ყველვერდატეულ ხაჭაპურს გემო გავუსინჯეთ, სურათი გადავიღეთ და მასპინძელს დავემშვიდობეთ.

ტყუილი რომ არ ვთქვა, იმ დღეს კიდევ ოთხი მარნის დათვალიერება მოვასწარით. არც ხარიტონ ჩხეიძე, არც კოსტა კვინინია, არც ლავრენტი მიროფაძე და, მით უმეტეს, არც კოჭლი მასწავლებელი ქიონია მსხალაძე, მიუხედავად მასპინძელთა ყელგანვდილი მტკიცებისა, კომიამა ჩემი სტუმარი იყო, ა, როგორც თქვენ გხედავთ, ახლა, თხუთმეტი წლის წინათ აქ იჯდა, ამ ადგილას, ტაბლასთან, ასე იცინოდა და ასე ხუმრობდაო, – იაპონელი სტუმრის თხუთმეტი წლის წინანდელი მასპინძლები არ აღმოჩნდნენ.

იმ ღამეს ჭოლასთან მოვულხინეთ. თუმცა ამდენ სუფრაგამოვლილებს და შექეიფდანაყრებულებს აღარც გვშიოდა და აღარც გვწყუროდა, მაგრამ ქართული სოფლის ლაზათმა თავისი გაიტანა და შუალამე კარგა ხნის გადაცილებული იყო, რომ დავიძინეთ.

კომიამამ დიდი ღიმილ-ფუსტუსით ჩვენ ხომ გადაგვიღო და გადაგვიღო, სუფრაზე ცალკეულ კერძს თითო გატკაცუნ-გაელვება მიუძღვნა თავისი მუჭისხელა აპარატით. ღამეში

ეზო-ოდას და მგონი ვარსკვლავიან ქართულ ცასაც რამდენ-ჯერმე გადაუღო სურათი.

მეორე დღეს, შუადღისას, თბილისის გზას დავადექით. სტუმარი თვლემდა.

მეშინოდა, გზას არ დაესიცხა, ან კისერი უხერხულად არ სდებოდა, ამიტომ ჩემი ეშმაკობის მასშტაბებიდან თან ვაღვი-ძებდი და თან ვეხუმრებოდი ამგვარი უბოროტო ხუმრობით: ძილი თავს რომ წართმევდა, ცოტა უფრო ხმამალლა ჩავძახებდი – ოკრიბა!

კომიამა თავს ასწევდა, ფანჯარაში გაიხედავდა, გული-ანად გაიცინებდა და ისე ლამაზად, დამარცვლით იტყოდა „ოკ-რი-ბა“, როგორც საქართველოზე შეყვარებულ, მაგრამ ქართულში ენაგაუტეხავ იაპონელს შეუძლია თქვას ეს მშვენიერი სიტყვა.



## ნუ ხტუნავ

ნუ ხტუნავ, ნუ ტრიალებ ტანაჯორივით. საქმე არსად არ გაიქცევა. ვიცი გადარეულ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ თუ ტემპი არ დავაგდეთ, ჩვენ თვითონ, ცუდ დღეში ჩავვარდებით. რაც მეტ სიჩქარეს გთავაზობს ცხოვრება, მით მეტად დაუმძიმდ-გაუნაზდი შენც. წამდაუწუმ საათზე მაცქერალი და გამქცევი კაცი ვერ დაქარგავდა ნიკორწმინდის ჩუქურთმებს.

განსაკუთრებით ორ რამეს არ უხდება სიჩქარე – ჭამას და, მოწიე ყური... სხვა რომ არაფერი ვთქვა. ამ გაუთავებელი ძიგძიგ-ცურცუუკით იმდენს ვიზამთ, რომ მთავარ საქმეს წავახდენთ და მერე უყარე კაკალი.

ჭამას გავს, ახლა შენი ჭამა? თან ჩაის წრუპავ, თან გაზეთში გაქვს თავი წაყოფილი, თან საათს მიჭიჭინებულს, კარისკენ გაგირბის მზერა. შეგერგება ასე მირთმეული რამე?

ჩვენი წინაპარი ჭამის წინ ქუდს მოიხდიდა, პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა ლოცვას. ეს რიტუალი შეგამზადებდა, დაგაწყნარებდა, დაგამშვიდებდა. ცალ ფეხზე ხტუნვით, შენ რომ სადილობ ახლა, შეიძლება ჭამა?

ერთ პატარა ამბავს მოგიყვები, ჭამის დროს სიჩქარემ როგორ შემარცხნა ერთხელ. მე პირადად, იმ შემთხვევის მერე, ფაცხაფუცხით ჭამა მივატოვე. ქვეყანა რომ იქცეოდეს, სანამ არ დავრწმუნდები, რას ვჭამ, სად ვჭამ და ვისას ვჭამ (ხო, ხო ვისას ვჭამ, ნუ გეცინება), მანამდე საჭმელს არ ვეკარები.

სანამ იმპერია დაინგრეოდა და ჩვენთვის, ცალკე გავიდოდით, მოსკოვში ხშირად მიწევდა მივლინებით ჩასვლა. ფონდებს მოსკოვი გვიმტკიცებდა და მოსკოვი გვინაწილებდა. შენს მოწეულ ყურძენ-მანდარინს და შენს ჩამოსხმულ „ბორჯომს“ ხელს ვერ ახლებდი უმოსკოვოდ. ამნაირი უბედური დრო იყო. ხანდახან ისე, არაფრისგულისთვის დაგვიძა-

ხებდნენ მოსკოვში, უსაქმოდ, ზოგადი ლაპარაკის მოსასმენად, ჭუუის დასარიგებლად. ახლა რომ ვუფიქრდები, ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ არ დაგვიწყებოდა ცენტრი და თავისუფლებაზე ფიქრი არ მოგვსვლოდა თავში.

მოსკოვში ვარ მივლინებით. ერთი თათბირი დამთავრდა, მეორე იწყება, ნახევარსაათიანი სასადილო შესვენება გამოცხადდა. ბუფეტში იმსიგრძე რიგი გამწკრივდა (მაინც როდის ასწრებენ, რა კოხტად მიუდგებიან ერთმანეთს და გაჭიმავენ უშველებელ რიგს), რომ ჩაი და სასისკი მესამე შესვენების დროსაც არ მომინევს. არადა, გაპარვა არ გამოდის. სიას კითხულობენ და, შეიძლება, სიტყვის სათქმელადაც გამომაცხადონ. ამას მაშინ ადგილებიდან „ამხანაგების“ ინფორმაცია ერქვა. შენი აზრები და წინადადებები არავის აინტერესებდა. სახელმძღვანელო იდეებს მხოლოდ მოსკოვი იძლეოდა.

კიბე ჩავირბინე, ქუჩაში გავედი და სასადილოს მივაშურე. ხალვათობა, რასაკვირველია, არც იქ იყო, მაგრამ, გაჭირვება მანახე და გაქცევას გაჩვენებო, მარიფათს მივმართე. ხელში ცხრილებით და ფაქტებით („მონაცემებს ეძახიან კანცელარიულ ენაზე“) სავსე საქალალდე მეჭირა, მაგიდასთან, სკამზე დავდე. ამით მაგიდა „დავიბევე“, მერე ურიგოდ ჩავიგდე პლასტმასის ლანგარი ხელში, ვიღაც ღვთის-მადლიანმა (ჩანს სხვაში შევეშალე) თვალი ჩამიკრა, წინ ჩამიყნა. პირველი კაცი ვარ – ბორში, კატლეტი და, თქვენ წარმოიდგინეთ, კომპოტიც კი ციმციმ მივიტანე მაგიდასთან. დავაწყე და ლანგარი თავის ადგილზე (საიდანაც ავიღე) დავაბრუნე. მაგრამ დამლაგებელი ქალის მრისხანე ხმა მომესმა: ლანგარი სამრეცხაოს ჩააბარეთ!

ვითომ მე არ მეხება-მეთქი, წავუყრუე და ჩემი მაგიდი-საკენ წავედი.

დამლაგებელი დამეწია და ხელი ჩამავლო.

– თქვენ რა, ყურში არ გესმით?

– რაშია-მეთქი საქმე?

– თქვენი ნახმარი გობქილით სხვამ ისარგებლოს?

სუფთაა, წვეთი კერძიც არ დამქუცევია-მეთქი.

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა, რაკი გამოიყენეთ, სამ-რეცხაოს უნდა ჩაბარდესო.

არ ღირს ამათთან კამათი. მოვძებნე ჩემი გობქილა და სამ-რეცხაოს სარკმელში შევჩურთე.

დავბრუნდი. რას ნახავ უარესს. ჩემს სადილს ზანგი მიჯ-დომია, ბორში გადმოულია და მადიანად მიირთმევს.

გავბრაზდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ზანგი კი ხარ, შე ოჯახ-აშენებულო, გულში ვამბობ, მაგრამ გეთხოვა მაინც, ასე უბოდიშოდ სხვის სადილს რომ დაეპატრონე-მეთქი.

ჭამოს, რა ვუყო ახლა, ვინ იცის, როგორ უჭირს. ქა-რთველი კაცი ვარ, ბორშის გულისთვის კაცს ხომ არ ვაწყ-ენინებ-მეთქი.

გადმოვილე კატლეტი და შევუდექი ჭამას.

ზანგმა თავისი თეთრსკლერიანი შავი თვალები გაოცებით გამომაყოლა.

როგორც ჩანს, კატლეტიც გსურდა, მაგრამ ვერ მოგ-ართვეს, რა ვქნა, ძმაო, მეც მშიერი ვარ და ძალიან მეჩქა-რება.

ზანგმა ბორშის ჭამას მოუჩქარა, თან თვალს არ მაშო-რებს.

მეც ელვისისისწრაფით ავითვისე კატლეტი და ჩვენი ხე-ლები თითქმის ერთდროულად მიწვდნენ კომპოტს. რა თქმა უნდა, დავასწარი, კომპოტიც წინ დავიდგი და დაჩემების ბე-ჭედი დავასვი – ცოტა მოგსვი.

ზანგი წამოხტა და ფაცხაფუცხით მოუსვა კარებისკენ.

შვებით ამოვისუნთქე.

კომპოტი ზახევარზე რომ დავიყვანე, ჩემი საქალალდე გამახსენდა:

სადღაა საქალალდე.

ეჭვი არ არის – ზანგმა სტაცა ხელი და წაილო. კაცმა სხ-ვისი კერძის დღისით-მზისით მიტაცება არ ითაკილა და საქა-

დალდეს ხელს დააკლებდა? ვინ იცის, იფიქრა, ფული ექნება შიგო.

წამოვხტი და კარებისაკენ გავიქეცი, მაგრამ ზანგი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. არსად ჩანს.

გულმკვდარი, ადულებული შემოვბრუნდი სასადილოში. მიწა გამხეთქოდა და ის საქალალდე არ დამკარგვოდა, სამ-მართველოს მთელი დოკუმენტაცია შიგ მედო.

შემოვედი სასადილოში, ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი მაგიდებს და:

აგერ არ დევს ჩემი საქალალდეც და ხელუხლებელი ჩემი სადილიც?!  


## მეტეორი

სისულელების ჯამი იყო ჩემი სიყმანვილე და ასე სისულელ-სისულელებით გავედი ბოლომდე. შენ არ მომიკვდე, მე დაჭვიანება და დაპრძენება არ მეგრძნოს.

შეცდომების ჯაჭვი ყოფილა ადამიანი, მეტი არაფერი.

ახალგაზრდობა იმიტომაა ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული... ამკრძალავ ნიშნებს მაინცდა-მაინც დიდ პატივს არა სცემ. გაპედული ხარ... ჯიქურ ასკდე-ბი ცხოვრების ბარიერს. სიფრთხილისა და წინდახედულების ბორკილი ვერაფერს გაკლებს.

ახლა? ჩემს ასაკში? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. „ეს არ შეიძლება“, „ეს არ მეკადრება“, „ეს დაგვიანებულიამ“ ლამის შემჭამოს და სული ამომართვას.

ამ კვირის წინ ისეთი სისულელე ჩავიდინე, დარჩენილ ორ პარასკევს რომ მეყოფა საკვნესად და სანანებლად. გიამბობისე, გულის დასაბერტყად, თორემ შველით რას მიშველი.

დეკემბერი იწურებოდა.

უსიამოვნო, ქარყინვიანი ამინდი იდგა.

ტროლეიბუსიდან ჩამოვედი, ტალახიან გვირაბში გავდე-რი და ჩვენი კანტორისაკენ მივაბიჯებ თავჩაქინდრული, რომ იტყვიან, მხრებანურული. ვფიქრობ, რა გაძლებს-მეთქი ამ სიცივეში ჩემს კაბინეტში რვა საათს. რაც მოსკოვმა გაზი და ელექტრონი შეგვინყვიტა, მოგეხსენება, არსად არაა წესიერი გათბობა და ჩვენთან იქნება? ძველთაძველი შენობაა, ომამდე დამონტაჟებული მილგაყვანილობა და რადიატორები უდგას.

კიბე რომ ამოვიარე, მაშინვე შევნიშნე ქერათმიანი, დიდ-ტუჩება ლამაზი გოგო. ბუკლეს პალტო ეცვა და ქუდი, რასაკ-ვირველია, არ ეხურა.

პურის მოგრძო ნაჭერი ჩაებლუჯა და ისე მადიანად ჭამ-

და თვალს ვერ მოწყვეტდი. ჭამდა თავის სილამაზეში, თავის თვალმოუწყვეტლობაში დარწმუნებული. თითქოსდა ახარ-ბებდა ქვეყანას თავის ოც-ოცდაორ წელს. ჭამდა თამამად და უფრო თამამად აყოლებდა თვალს გამვლელ-გამომვლელთ. ადრე არასოდეს შემინიშნავს. არც სიცივე ანუხებდა, არც, ჩემი შეტყობით, დიდი რამე დარდ-საზრუნავი.

იდგა ახალი ადამიანი, საზოგადოებას შემატებული ლამაზი გოგო, თითქოსდა იმ თავაწეული თამამი დგომით და სუფთა თვალებით მთელ ქალაქს აფრთხილებდა, მოვედი მე და ან-გარიში გამიწიეთო... ჩემი წილი, რაც მეკუთვნის ამ ცხოვრე-ბიდან, კეთილი ინებეთ და გამომიყავითო, თავის ადგილს ითხოვდა, მეტს არაფერს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა სილამაზეა... ერთი და იგივე ხალხით გაბეცებულ-გასუნებულ ქუჩაზე უეცრად რომ გა-მოჩნდება ახალი სახე, ახალი პიროვნება. გუშინ იგი ბავშვი იყო და ვერ ვამჩნევდით. შეიძლება აქაც ბევრჯერ შეგვხე-დრია მოწაფის ჩანთით და წითელი წეაპუნებით. ახლა ერთბა-შად წამოიმართა ჩვენ წინაშე და, ბიჭი ხარ, არ შეხედო, თვალი არ გააყოლო. თუ მოინდომა ტვინს გადაგიბრუნებს და ფეხს აგარევინებს.

შევხედე და ჩავუარე. მეტი რა. მე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ. სხვა არაფერი მეხება.

ჩემი წილი სისულელები ჩადენილი მაქვს.

თვალს ხომ არ გავუსწორებ ოცი წლის ანგელოზს და სა-საცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩავიგდებ თავს.

იგი სხვა გაზაფხულებს მოჰყვა, სხვა თაობას ეკუთვნის. თავის ჩანჩქერებს ათამაშებს.

ვტუცავ ახლა ჩემს კარებში თავს და ვაჩხაკუნებ საღ-მომდე ჩემი მოწყენის ჩითქს.

ეს ყოფილა ჩემი ბედი.

კარებამდე ათიოდე ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, რომ მკლავზე ვიღაც შემეხო.

– თქვენ, თქვენ... – მოვიხედე, ის არის. ცალ ხელში პურის დარჩენილი ნაჭერი უჭირავს, მეორეთი ჩემს ძველთაძველ, გა-ცრეცილ ხელთათმანს მაწოდებს.

– მე მგონი, თქვენ დაგივარდათ.

– დიდი მადლობა, საყვარელო, – რა ჯანდაბამ ამოაგდო, ჯიბეში მედო, გამოვართვი...

არ მიდის. პურს ჭამს, ისევ ისე, მადიანად და გემრიელად.

– ნახეთ, მეორეც ხომ არ დაკარგეთ.

ჯიბე მოვიჩხრიკე.

– მეორეც ამომვარდნია, ეს ოხერი. იქვე იქნება, ეს სად იპოვნეთ?

გვერდით მომყვება, ჭადრებთან არ ჩანს ჩემი ხელთათ-მანი. იქნებ გვირაბში დამივარდა.

მოვიხედე, მომყვება.

– არა უშავს, თქვენ წაბრძანდით, ვიპოვნი როგორმე. თუ არა და თქვენი ჭირი წაუღია, ტროლეიბუსში ისეთი ქიჩაობაა, სული არ შეგრჩება კაცს. შეიძლება ტროლეიბუსშიც ამომი-ვარდა.

ავიარეთ გვირაბი. გაჩერებამდე მივედით. და უკან გამოვ-ტრიალდით.

შეწუხებული სახე აქვს.

– რას უზამთ ამ ცალ ხელთათმანს?

დავაკვირდი, ხომ არ დამცინის.

– რა უნდა ვუყო, გადავაგდებ.

– ჯერ ნუ. იქნებ ალმოჩნდეს – გაიცინა – სხვათა შორის, ერთხელ, დედაჩემმა ცალი საყურე დაკარგა. უბრალო ბიუუ-ტერია იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი. ისე მიყვარდა ის საყურე. ეძება, ეძება და რომ ვეღარ იპოვა, ადგა და მეორეც გადააგ-დო. ერთი კვირის შემდეგ ბებიაჩემის ოთახს ალაგებდა, არ იპოვა ის პირველი დაკარგული? რაღას იზამდა, იქნებ ვინმემ... ან იქნებ სახლში დაგრჩათ.

– გამორიცხულია, – ამოვიხვნეშე.

– ძალიან გცივათ ხელებზე?

ეს უკვე მეტისმეტია. ნამდვილად დამცინის.

– არც ისე.

– ცალ ხელზე რომ გეკეთოთ და ცალი ჯიბეში ჩაიდოთ?

– იღიმება.

– რაღაცას მოვიფიქრებთ. ცალი ხელთათმანი შარშან დაგვარგე და, თუ ძალიან გამიტირდა, ცალ-ცალს გავიკეთებ.

– გენიალურია! – აღტაცებული თვალები შემომანათა, – თქვენ იუმორის გრძნობა გაქვთ. რა ფერისაა ის ძველი, ცალი ხელთათმანი?

– მწვანე!

– გენიოსი ხართ! დედა! ასეთი ტონკი მამაკაცი არ შემხ-ვედრია, – გულიანად იცინის – მაშ მწვანეა? არა უშავს, სხვა-თა შორის, ორიგინალური იქნება შავი და მწვანე ხელთათმანი! ერთი სული მაქვს, სანამ ამ ამბავს დალის ვუამბობ...

– დალი ვინ არის?

– ჩემი დაქალია. სამნი ვართ ჩვენ, სამი დაქალი, მე – თამთა, დალი და ქეთი. ქეთი ყველაზე ჭკვიანია ჩვენ შორის.

– რაზე ატყობთ ხოლმე გოგოები, რომელი უფრო ჭკვიანია თქვენ შორის?

– რა ვიცი... ვატყობთ... ქეთი, მაგალითად, ყოველთვის უფრო ჭკვიანურად ლაპარაკობს და კიდევ, მომენტებში ჩვენ-სავით არ იბნევა. სულ იცის, რას რა მოჰყვება.

– ააა... ჴოოო... წავედი ახლა მე, თამთა, დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ხელი გავუწოდე.

– აქ მუშაობთ?

მოიწყინა.

– ჴო.

რაზე?

– ბუღალტერი ვარ.

გაიცინა.

- სატინის სამკლავეები გიკეთიათ ხოლმე?
- შიგადაშიგ.
- ასე მგონია, ძალიან მოსაწყენი პროფესიაა-მეთქი.
- საერთოდ კი. დღეს, ალბათ, მოწყენილი არ ვიქნები.
- რატომ?

– გამახსენდება, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ძალიან შეაწუხა ხელთათმანის სავალალო ისტორიამ.

რა მერომანტიკულებოდა, მაგრამ, ხანდახან, მეც ვიცი ხოლმე მაღალფარდოვანი ლაპარაკი. იმ წუთში ცამდე მართალი ვიყავი. გულიდან მოდიოდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, არ უნდა მეთქვა. და საერთოდ, რატომ არ უნდა თქვა კაცმა ის, რასაც ფიქრობ?

ბევრი რომ არ ვითილოსოფოსო, ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი მორცევად ჩაექინდრა და ფეხის წვერი ნაზად გაესვა ასფალტისათვის. გაესვა რაღაცნაირად, ტანის ლამაზი რხევით, როგორც ამ ასაკის გოგოებმა იციან.

ჩანთა გახსნა და ლურჯი უბის წიგნაკი ამოილო.

- თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ჩავიწერ.
- რად გინდათ?
- დაგირეკავთ.
- და რას მეტყვით?
- ეშმაკურად მოწყურა თვალი და განზე გაიხედა.
- გკითხავთ, ხელთათმანი ხომ არ იპოვეთ-მეთქი.
- მეტს არაფერს?
- როგორ ბრძანდებით-მეთქი.
- ო, ეს უკვე საქმეა. ჩაიწერეთ: „ოცდაცხრა ნოლ რვა ოც-დათექვსმეტი“.

ჩაიწერა, ბლოკნოტი ჩანთაში ჩაიდო.

- აბა, ნახვამდის, თამთა, მოიწერე ხოლმე.
- მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები გაოცებით შემომანა-თა...

– რა მოვიწერო?

– არაფერი. ეს სიტყვები აჩემებული მაქვს. ოსტაპ ბენდერი ხომ გახსოვს, – „მოიწერეთ ხოლმეო“ და მისამართს არავის უტოვებდა.

თვალებში შევატყვე, რომ ოსტაპ ბენდერმა დიდად არ დაინტერესა.

უბრალოდ ვერ გაიგო. ნახვამდისო, თავი დამიქნია და წავიდა. მე საათზე დავიხედე და მაშინვე კარებში ვტუცე თავი, ამიტომაც, ცოდვას ვერ დავიდებ, არ დამინახავს, როგორ მიაბიჯებდა.

არ მიყვარს გოგოებისათვის თვალის გადევნება.

მიღიოდა ალბათ ჩანთის ქნევით, ლამაზად, ოღონდ ცოტა უფრო დაფიქრებული, ვიდრე ამ ოცი წუთის წინ, როცა პურის ნაჭერს მაღიანად ჭამდა და თავისი ფართო, ქართული თვალებით მთელ ქვეყანას ზედ აყოლებდა.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს დამირეკა.

თამთა ვარო.

რომელი თამთა-მეთქი.

გითხრა სიმართლე, აღარც ის გოგო მახსოვდა და, მით უმეტეს, აღარც ხელთათმანი.

როგორ რომელი. ასე ბევრი „თამთები“ გყავთო?

ცოტა არ იყოს გულმოსულად, პრეტენზიულად მითხრა; აქაოდა, ეს როგორ მოგივიდა, ასე ჩქარა როგორ დაგავიწყდიო.

ჭადრებს ქვევით, ტელეფონის ჯიხურთან ვდგავარ, ძალიან მოწყენილი ვარ, თუ შეეგიძლიათ, გამოდით, გელოდებითო.

ხელში პურის ყუა თუ გიჭირავთ-მეთქი.

არაო, ვაიცინა.

ერიპა! მოწყენილია „ქალბატონი“ და გამრთობი მოუნდა. საათს დავხედე, სამს აღარაფერი აკლია.

ახლა მე გაგანია მუშაობაში ვარ, ვინ გამომიშვებს-მეთქი.

რომელზე ამთავრებთო?

საერთოდ ხუთზე-მეთქი.

კარგი ხუთამდე დაგელოდებითო.

ყურმილი დამიკიდა ისე, რომ ჩემს პასუხს არც დაელოდა.

ოთხზე თოვა დაიწყო. ჯერ წვიმაში ურევდა, მერე ისე ხვავრიელად წამოუშინა, რომ ჩემს ფანჯრებთან ნაძვის ტოტებს თეთრად წაეფარა პირველი წვრილი, ხოშკავალას-ფერი თოვლი.

დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოიქცა, ჯერ ხელებზე შემავლო თვალი, მერე – როგორ ბრძანდებით, დღეს ბევრი იმუშავეთო? ისე, ზრდილობის გულისთვის მკითხა.

ფეხი ავითრიე.

აქეთ პანსიონატის ეზოში ან ვარაზისხევში ჩავისეირნოთ, ხალვათობაა-მეთქი...

გაგიგონია?

არაო. მე სწორედ აქეთ, რუსთაველისკენ მინდა გავლა. ბოლოს და ბოლოს ხომ დავიმსახურე, ორი საათია ამ სიცივეში გელოდებითო.

კი ბატონო, მაგრამ თქვენთვის ვამბობ, დაგვინახავენ და ჭორს მეტი რა უნდა-მეთქი.

სინამდვილეში ჩემი გასაჭირი მაქვს, რუსთაველზე ხელ-კავით ანგელოზივით გოგოს მიჰყვებოდაო, ამის გაგება უნდა ჩემს ცოლს?

დანარჩენს შენ თვითონ მიხვდები და ალარ გაგაცდენ.

იყო, ყველაფერი იყო.

კინოებში ჯდომა და თავის მხრებზე ჩამოდება, ჩემი უცოლო კოლეგებისათვის ორი საათით ოთახის გასაღების ჩამომათხოვრება, რეკვები და ცრემლის ღვრა. გადარეული მონატრება, ეჭვიანობა და ყველაფერი, რაც მოპარულ სიყვარულს მოჰყება ხოლმე.

ახლა იმას გეტყვი, რა სისულელეზე ვამბობდი წელან და რომელ შეცდომათა წყებაზე მოგახსენებდი.

ჩემი თავი მეზიზლება, რომ გამახსენდება, რა სერიოზულად ვარიგებდი: ძალიან ბავშვური ხმა გაქვს და სამსახურში

ხშირად ნუ მირეკავ, ეჭვს აიღებენ, შინ კი მით უმეტეს ალარ დარეკო – ჩემს ცოლს ვერაფერს გამოაპარებ-მეთქი.

რაც მე თამთას „ჩემო ვაჟა“ და „ჩემო სოსო“ ვუძახე ტელე-ფონში, რაც მე სხდომები და თათბირები ვიმიზები, რაც მე საქვეყნო საქმეები დავიბრალე: ხვალ არ მცალია, ზეგ ქალაქში არ ვიქნები, მაზეგ გნახავთ-მეთქი.

მერედა რისთვის, რატომ?

ღმერთო, რა სახე მქონდა მაშინ, კატეგორიული ტონით რომ ვსაყვედურობდი: გოგოებს, საერთოდ, ცოტა ჭკუა გაქვთ და უნდა დამიჯვერო, თორემ მეტს ველარ გნახავ. სულ შენ გვერდით ხომ არ ვიქნები, საერთოდ, რა წესია სამსახურში მოკითხვა, საიდანა გაქვს ეს ავანტიურული ჩვევები-მეთქი.

მძულს ჩემი თავი, როცა მახსენდება, ცალი ხელით რომ ვეფერებოდი და მეორე ხელს საწოლს მიღმა, სკამისაკენ ვაპარებდი: რომელი საათია, „მოამბეს“ ხომ მივუსწრებ-მეთქი.

როგორ შეიცხადებდა; ავდგეთ, ჩავიცვათ, დამაგვინდა-მეთქი, როცა ვიტყოდი.

ენას რატომ არ მიხმობდა ღმერთი და ხელს რატომ არ მიქვავებდა, მე თვითონვე რომ ვპასუხობდი ტელეფონზე, სხვაგან მოხვდით-მეთქი.

ორთვენახევარი ვხვდებოდით ერთმანეთს.

მერე, თავის დაქალებთან რომ წარმადგინა, და ჩემთანაც, სამსახურში კანტორის მოლაყბებმა ერთი-ორჯერ რომ ჩამომირაკუნეს: ვიცით, ვიცით შენი გატაცების ამბავიო, გავპრაზდი და ამ სამი კვირის წინათ პირდაპირ განვუცხადე:

– ნუ დამძალე თამთა. შენ მოტლიკინე გოგო ყოფილხარ. მთელ ქვეყანას მოსდევი ჩვენი ამბავი. ბოლოს და ბოლოს, მე ოჯახი მაქვს და არავითარი სურვილი არა მაქვს, ქვეყნის ყბაში ჩავვარდე-მეთქი.

იტირა, იტიტინა, გამამტყუნა, მეჩეუბა, მომეფერა, ისევ მეჩეუბა, თუ ეგ იყავი სულ, თავიდანვე გეთქვაო, ყველაფერს ვაპატიებ მამაკაცს მშიშრობის გარდაო.

ადგა და წავიდა.

ორი კვირაა არ დაურეკავს.

რა მოვიგე?

ტელევიზორთან ჩაძინებები, პოლიტიკაზე ენის მოტეხ-ვამდე უსაქმო კამათი, გულისამრევი ერთფეროვნება, თვალდ-აბერილი გაღვიძება, ტროლეიბუსში ჭყლეტა და ჩოთქის ჩაკუნი.

დუმს ტელეფონი.

ცხოვრებამ დაგიძახა, სიცოცხლემ მოგაკითხა ამ შენს დამ-ცხრალ შემოდგომაზე და ვერ შეიძვნე, შე უბედურო, ვეუბნები ჩემს თავს.

მუხლებზე უნდა მოხვეოდი, ფეხის ტერფები უნდა დაგეკაცნა, ყველაფერი უნდა გადაგედო, მგლის მუხლი უნდა გამოგება, ნაბიჯზე არ მოშორებოდი, არ უნდა გაგეშვა, ჩა-ბლაუჭებოდი, გულში ხუტებით გონს მოსვლის, განზე გახედ-ვის საშუალება არ უნდა მიგეცა.

განა რამდენი გაზაფხული დაგრჩა კიდევ, ნამდვილი ცხოვრების რამდენი საათი?

ეჰ...



## უცნაური ძორი

– მიტუამ იცოდა ხოლმე თქმა, ცხონებულმა, იდაყვიც ახ-ლოსაა, მაგრამ ვერ აკოცებო.

– როგორ „ცხონებულმა“?

– მიტუა ხომ გახსოვს? წყაროდან მარცხნივ, მეორე ჭიშ-კარი მისი იყო, ეზოში დიდი კაკალი ედგა.

– მახსოვს რომელია. განა ერთი და ორი ჭიქა მიგვი-ჭახუნებია აქაც და იქაც, მის მარანში?

– ჰოდა, ეგა, შემოდგომის მიწურულს, მგონი ნოემპრის ბოლო დღეები იყო, თუ დეკემბერი დაწყებული გახლდათ, ერთი სიტყვით, შენი ჭირი წაილო.

– რამ მოკლა კაცო, მიტუა, სალ-სალამათი კაცი. ოხუნჯი და ენატკბილი, მიტუა?

ჩემმა ნათლიმამამ, მგონია, ცოტა ჩაილიმა კიდეც, თუ მო-მეჩვენა.

– რა ვი, აბა. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ისე, კაცმა რომ თქვას, საათივით რომ ააწყო საქმეი, სწორედ მა-შინ მოკვდა.

– როგორ, რანაირად?

– სულ უბრალოდ. დაიძინა და აღარ გაიღვიძა.

მიტუა. ახლაც თვალწინ მიდგას ხმელ-ხმელი, დაძარღვულხ-ელებიანი, მკვირცხლოვალება მიტუა – ხშირ ჭალარაში ლამის შეზრდილ-შეხუნებული განუყრელი კახური ქუდით, სქელი, მოუვლელი ულვაშებით და სწორი, ლამაზი ცხვირით. წამ-დაუწუმ ხუმრობდა და სიცილის დროს ჩაწიქნიკებულ თეთრ კბილებს აელვებდა.

– რა იქნებოდა ჯერ მიტუა?

სამოცდახუთისა იმ კვირაში შესრულდა. ტოლები ვიყავით. ეგ მარტში იყო დაბადებული, მე აპრილში. ძალიან დაგვაკ-

ლდა. რაღაცნაირი მადლი ჰქონდა იმ დალოცვილს, სადაც გა-  
მოჩნდებოდა, ეშხი და ლიმილი შეჰქონდა, მიტუას გვერდით  
ვერ მაიწყენდით. ცოტა უცნაურად კი მოკვდა...

და ჩემს ნათლიმამას ისევ შეეპარა ლიმილი წეკოსაგან გაყ-  
ვითლებულ, დამჯერე ულვაშებში.

— ჰო, აბა, აბა.

— მიტუას რჯულიერი დედაკაცი, შენ, აბა როგორ  
დაიმახსოვრებდი, მაშინ იქ იყო ერთი უბრალო, შეუხედავი, მა-  
გრამ გამრჯე და მუყაითი ქალია. ველისციხიდან არის გამოთხო-  
ვილი. გვარი აღარ მახსომს. ხომ გაგიგონია — ბუ შეუხედავია,  
მაგრამ გული კეთილი აქვსო, სწორედ ქალბატონ ლუბაზეა  
(ლუბა ჰქვიან) ზედგამოჭრილი. განგებამ ბალდები არ მისცათ  
და ცხოვრობდნენ მარტონი. ამ წევთისოფლი ორომტრიალში,  
როგორც ილია იტყოდა, თუ მარტომყოფი ეთქმის გლეხკაცსა.

ყველა კაცი თავის ჭკუაში პატარას ეშმაკობს და მიტუასაც  
ჰყავდა თავისი ოფოფები — რომ იტყვიან, ქალები უყვარდა.  
ჯეელობაში ხშირად დაქორმწევრობდა ალაზნი გაღმა-გამოღ-  
მა ჭალებში. თუ სადმე საკბილო დედაკაც მოიხელთებდა,  
ტყუილია, არ გაუშვებდა.

არ გესწავლებათ ყოველ სოფელსა ჰყამს თითო-ოროლა  
(თუ მეტი არა) ლამაზმანი, კახპაი.

ბევრჯერ სდრუზეს კეტი წელში წუწკხვადობითვინა შენს  
მიტუას, მაგრამ თავისას არ იშლიდა.

ბოლოს, ხანში რომ შევიდა, როგორც ყველა და ყველაფერი  
— მიტუაც დაცხრა, დადინჯდა, მაგრამ ყელყირმიზა და გა-  
ვათიმთიმა ქალებისკენ თვალები ყოველთვინ გაურბოდა. რაკი  
სანადირო-საშლიგინოდ მუხლი ძველებურად აღარ მოსდევდა,  
ლიზაზე შეჩრდა. ლიზა ხევგაღმა ცხოვრობდა, ჭინჭრიანს  
ვეძახდით, ხიდს რომ გადახვალ პირდაპირ სკოლაა. სწორედ ამ  
სკოლი წინ ცხოვრობდა ლიზაი. მარტოხელა ქალი იყო. მშო-  
ბლები ადრე დახოცოდა და გათხოვება ვეღარ მაეხერხებინა.  
ხომ იცი, მუღამყისმათი უნდა ყველაფერსა.

არავინ იცის, როდის შეუჩნდ-შეუჩიჩდა და რა დროიდამ  
დაიდო ლოგინი მიტუამ ლიზას ჭურქვებს. ჯერ, როგორც ხდება  
ხოლმე, ჩუმად, ჭურდულად შეიპარებოდა. მერე სოფლი თვალ-  
საც აღარ ეპუებოდა.

ბევრიც რომ ეცადო, ეგეთ საქმეს სოფელ ვერ დაუმ-  
ალამ. სოფელს დიდი თვალი აქვს, ხელათში ჩაგავლებს და  
საქვეყნოდ გამოგაჭენებს. ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო,  
ნათქვამია. ჭორს ერთი თვისება აქვს — აფუვდება, აფარფატ-  
დება, აქეთ-იქით მიაწყდება და მალევე ჩაქრება გაზაფხული  
ქარივითა. გაზაფხულის ქარი დიდხანს არა ჰქრის, გრძელი  
ქარები შემოდგომამ იცის. მოკლედ ჭორმა იჭორა, იქარიძ-  
რომიალა და ჩაცხრა. მიტუა ძველერთგულად, კვირაში ორ-  
ჯერ-სამჯერ მაინც შეაღებდა ლიზიკოს კარებსა. ნანდაურს  
მოეფერ-მოესურვილებოდა და შელამებულზე გამოსწევდა  
შინისაკენ. ბოლო წლებში კარგა შეფერთხილ-შებერებული  
ჩვენი გმირები სოფლის გულსახეთქად აივანზე ისხდნენ და  
ჩაის შეექცეოდნენ.

ამ სიყვარულის ამბავი გაღმა-გამოღმა სოფელში, მე მგო-  
ნი, ყველამ იცოდა, თავად „დაზარალებულის“ — ლუბას გარდა.  
ეგეცა ძალიან მეეჭვება... აბა, მტერ-მოყვარეში ერთი მაინც  
როგორ არ გამოჩნდებოდა, ლუბასთვის არ ჩაეყაჭა — ქმარი  
გლალატობსო, მაგრამ რაც არ ვიცი, ვერ დავიჩემებ, გარეგნუ-  
ლად ცოლ-ქმრის ცხოვრებას არაფერი ეტყობოდა.

ლამის ოცი წელი ისე ჩაიფურცლა ლუბასა და მიტუას სახ-  
ლიდან ხმამაღალი ლაპარაკიც კი არავის სმენია. ერთიც ვნ-  
ახოთ, შარშან ნოემბრი ბოლოს ჩემი ცოლიძმა (ფოსტალიონია)  
მეუბნება:

მიტუამ ლიზიკო ცოლად მოიყვანაო.

ეგ რა სისულელე ჩაუდენია, ამ სიბერეში, მაგ ღმერთგამ-  
წყრალს-მეთქი, რა დროი ჩვენი ცოლის შერთვაა, მიქელ-გა-  
ბრიელის სიაში ჩვენი რიგი გვიახლოვდება და ბრინჯასა და  
ჯონჯოლს უნდა გვიმარაგებდნენ სახარჯოდ-მეთქი. ლუბას

რაღა უყო-მეთქი, მაგ უმადურმა, ეგ ლვთისნიერი ქალი ქუჩაში  
ხომ არ დატოვა-მეთქი ამ სიბერის წლებში?

არაო, შენ ჯავრი ნუ გაქვს, იცის ბიჭმაო, ორივე შინა ჰყ-  
ავსო.

ერიჲაა, ე რა კომუნიზმი შამასულა ჩვენს სოფელში და მე  
კიდე ჩიტი-ნიბლიას მსგავსად ჩამძინებია-მეთქი. ეგ საუბარი  
ჩემს ცოლისძმასთან ნასაღილევს შედგა, სალამოთი კი თვი-  
თონ სიძე ბატონი – მიტუა მომადგა ჭიშკარზე და ჩამხმამა-  
ლალა:

– გივო, ხვალ სალამოი ჩემსა გადმოდი, პატარა ვახშამი  
მაქვს და ძველებურად მოვილხინოთო. რა ზეიმ-მეჯლისი გეს-  
ტუმრა, თუ საიდუმლო არ არი-მეთქი, ვკითხე, მითამ არა ვიცი  
რა. ცოლი შევირთეო. თვალს მარიდებს. შენ ხომ არ შეურიკინე  
ზედა სართულებში, ჭუუა ხომ არ შეგიმსუბუქდა, მა ლუბაი-  
მეთქი? ორლიბები გავჰყევ ლაპარაკ-ლაპარაკითა. როგორ  
მოვშორდები, – სანამ სიმართლეი არ გავიგებ.

– ყველაფერი ლუბას თანხმობითა და კურთხევით მოხდაო.  
დავუჯექ და წვრილად ვაუწყე: ჩემო საყვარელო და ტკბილო  
ლუბა-მეთქი, იგრე და იგრეა საქმე, დიდი ხანია, შეიძლება,  
ყურიც მაგირავს, ჩაღმაანთ ლიზიკოსთანა ერთგვარი მეგო-  
ბრობა-ამხანაგობა მაქვს-მეთქი. ურიგო ქალი არ არი და შენც  
ძალიან უყვარხარ-მეთქი. ახლა ამ ჩვენს ყოფას რო ვაკვირდე-  
ბი, ცხოვრები საქმეი უკან-უკან მიდის და ჩვენც ღრმა სიბერე-  
ში შევდივართ-მეთქი. სიბერე კიდე ისეთი რამეა, როსტომსაც  
კი ქედი გაჰდრიკა -მეთქი. მე, შენც მოგეხსენება, ის მიტუა  
აღარა ვარ და შენ ხომ მიყვარხარ და მიყვარხან, ის ლიზიკოც  
ძალიან მეცოდება. მარტოხელაა, ჩვენს მეტი (ჩემ ბეხრევ თავს  
ვგულისხმობდი), ხელის წამომკრავი არავინ ჰყავს-მეთქი. მე  
უკვე იმი მუხლები აღარ მაქვა, ამ დანჯლრეულ ბონდის ხიდ-  
ზე გავიდე და ყოველ მესამედღე იქით-აქეთ ათი ვერსი ვა-  
კეთო ლიზიკო მოსანახულებლად-მეთქი. არა და ამ სიბერეში  
ადამიანის მიტოვება უმადურობაა, რასაც შენი მოწყალე გუ-

ლის ამბავი რომ ვიცი, შენც არ მომიწონებდი-მეთქი. თუ არ  
გეწყინება, მოვიყანოთ აქა, შენც ძალიან გამოგადგება, ხმის  
გამცემი გეყოლება, ამ ვაზის ფურჩა-აკვრაში მოგეხმარება,  
მორიგეობით ძროხებსაც მოაძოვებს და იხვებსაც მიხედავს-  
მეთქი.

იყუჩა, იყუჩა ჩემმა ლუბამ და როდის-როდის ჩამომარცვ-  
ლა – რა ვქნა, რაკი ეგრეა, როგორც შენმა კაცურმა ჭკუამ  
გაგიჭრას, იგრე ჰქმენო. მააშ.

მესამე დღეა ლიზიკო ჩვენსა გადმოსახლდა. როგორც შეხ-  
მატკბილებული გვრიტები ისე არიან ერთმანეთშიო, იცინის  
მიტუა, ხვალ ამასთან დაკავშირებით ხბო-ცხვარს ვჰკლავთ,  
კარგი ხაშლამა-ჩაქაფული გველის და შარშანნინდელი რქა-  
ნითელისა ჭურში ორ კოკამდე მისხია. იგეთია, ცუდ კაც არ  
დაელევინებაო.

ჩავედით, მოვილხინეთ, მიტუაც ისე „უდარზე“ იყო, იმ-  
ტოლი, მგონი, ჩემ სიცოცხლეში ერთად არ მიცინია.

მეოთხეზე თუ მეხუთე დღეზედ, კარგად აღარ მახსოვს,  
ძილში გაპარულიყო.

ლუბაც და ლიზიკოცა ორივენი თავთით უსხდნენ კუ-  
ბოსთან და ისე აღალგულით, ისე სულმდუღარედ სტიროდ-  
ნენ, გული მოგიკვდებოდა.

ახლაც ორივენი ერთად ცხოვრობენ, ერთად დაფუსფუსე-  
ბენ მიტუას ნაკვდავ ვენახში და აღდგომას ერთად უგორებენ  
კვერცხს თავიანთ სულკურთხეულ, საზიარო ქმარსა.



## იმ ქარპულიან ლაშეს

ბორჯომ-ხაშურის გზაგასაყართან ავტოინსპექტორის ჯიხურის წინ დავამუხრუჭე.

თოვდა.

საათს დავხედე, პირველს აღარაფერი აკლდა.

მორიგემ ზარმაცი კაცის თვალებით შემომხედა და კარებისკენ მანიშნა.

შევედი.

არც ახლა წამომდგარა. ფეხებშუა გავარვარებულსპირალიანი, კუსტარული ელექტროლუმელი მოექცია და ხელისგულები მიეშვირა.

– კაი გამარჯობა!

– იცოცხელე.

– დიდი ხანია თოვს აქეთ?

– შეღამებულზე დაიწყო, ახლა მოუმატა. საიდან მოდიხარ?

– ქუთაისიდან.

– იქეთ?

– სიმშრალეა. გუშინ ქარმა წამოუბერა, მეტი არაფერი. მაინც რა უბედურებაა. ორი-სამი მანქანა თუ შემხვდა ამხელა გზაზე. ცარიელია ტრასა.

– ზამთარია, ბიძაჩემო, უბენზინობა, სიცივე.

ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ჯეელია. წამდაუწუმ შუბლს ისრესს. მარჯვნივ, მაგიდაზე, ქუდი და მაკაროვის სისტემის რევოლვერი უდევს.

– ჭირივით მეზარება ღამე სიარული. არ ეწყობოდა საქმეს გაჩერება, თვარა ფეხს არ გამოვადგამდი.

– თუ გეჩქარება, ჭკუით მოქცეულხარ. რა იცი, ხვალამდე რას იზამს.

– დადებს?

– უეჭველად. მშრალად თოვს.

– აბა, ხვალ იქნება ჯახაჯუხი.

– არ უნდა ლაპარაკი. „სალიარკაც“ აღარ არის, ტრაქ-ტორებიც ვერ იმუშავებენ.

– გორის გადასასვლელზე ხომ არ ვიბუქსავებ, თუ იცი?

– ჯერ არა მგონია. მუხრუჭს „რეზკათ“ არ დააწვე. ძილის საქმე როგორ გაქვს.

– მაგის არ მეშინია.

– აბა, მენახე მშვიდობით!

– კარგად, კარგად. მე ბოდიში. ბენზინი ხომ არ გექნება ერთი-ორი ლიტრა?

– ნახევარზე ნაკლებს უჩვენებს. თუ გადმოასხამ, სამი ლიტრი შენი ფეშქაში იყოს. მე მგონი, თბილისამდე მეყოფა.

– არა, არა. დიდი მადლობა. „კანისტრაში“ თუ გაქვს-მეთქი, თორემ „ნოლ დევიტიდან“ გადმოსხმა ქვის კოდვაზე უარესია. იმ დღეს საათ-ნახევარი ვიწვალეთ.

– თუ კანისტრაში მქონდეს და უარი გითხრა, სამ ბავშვს გეფიცები.

– ღმერთმა სამივე გაგიზარდოს. როგორ გეკადრება ბავშვების დაფიცება.

– არაფერია... არ მიყვარს კაცის გაწილება, ისე, აქეთ რეკეტიორების საქმე რავაა?

– მიაწვნენ ძალიან ამ ბოლო დროს. კარგა ხანია, აღარ ყოფილა შემთხვევა.

– დაწყნარდნენ, ანი, დროა. ცოტა იშოვეს? რაც მაგათ ხალხი გაამნარეს. აბა, კარგად!

– კარგად, კარგად.

წრესთან, ცოტა არ იყოს, მანქანამ ბოლო მოიქნია, ერიპაა! ფრთხილად უნდა ვიყო. მშრალ ასფალტს ახალი თოვლი ჯერ არ დაჰჭერობია და ცურავს. ცოტას რომ მოყინავს, მოდება ხრეშივით ექნება და მერე საშიში აღარ არის.

ბაზართან, მარჯვნივ კოცონს ორნი შემოსხდომიან. ასეთი ალიკვამლი მხოლოდ საბურავს ასდის.

მიუჟიგნალე. ხელი ამინიეს.

შორმნათი ჩავრთე და მესამეთი მივაწექი აღმართს.

დაშვების დროსაც მესამეთი დავეშვი. არ გამჭირვებია.

იკარუსმა მომაკივლა. გზა მივეცი. დალოცვილი მანქანაა, არც მოსრიალების ეშინია, არც გადაბრუნების.

უკანა სავარძელთან, პარპრიზსმოფარებულ თუნუქის ნაჭერს „ოზურგეთი-თბილისი“ აწერია.

ასახვევთან „ვოლგა“ წამომეწია. ანთება-ჩაქრობით გამაფრთხილა. სვლა შევანელე და მარჯვნივ გადავიწიე. გამეტებული სიჩქარით ჩამიქროლა.

ისევ ჩამოწვა სიჩუმე და უკუნეთი გზაზე.

წვრილად, ხვავიანად, დახვეულად თოვს.

სანამ გადასახვევთან მივიდოდი, ხიდსგამომცდარმა, ხრა-მისკენ გაქცეული ბორბლების კვალი შევნიშნე. რა მიხვედრა უნდოდა: „იკარუსის“ საბურავების არ არის, გადასასვლელთან რომ გამასწრო, სწორედ ის „ვოლგა“ გადავარდნილა. მუხრუჭი ნელ-ნელა შევაპარე, უკანასვლით მოვადექი ხრამს. ნამქერში ჩაკიდებული, ცალგვერდზე აყირავებული მანქანა ძლივს მოჩანს. წინა და უკანა ფარების წითელ-ყვითელი შუქილა ჰკვეთს ნამქრის სუდარას. წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ტრასაზე უკუნეთი ჩამოწოლილა. იქნებ ცოცხალია.

– გესმის?! – ჩავბლავლე.

ხმა არავინ გამცა.

ბუჩქს მოვეჭიდე., მაგრამ ტოტი შეაწყდა და ხელში შემრჩა. ჩავჯექი და თოვლზე ჩავსრიალდი.

მარჯვნივ მოვუარე და მთელი ძალით მოვაწექი მანქანას, მაგრამ ამაოდ. მძლოლის მხარეზე რომ არ იყოს გადაბრუნებული, უფრო ადვილია ამოყვანა. დაღმართიდან თოვლ-ლორდი რომ გამოაცალო, ვაითუ დაგორდეს და მეც ქვეშ მომიყოლოს.

– პარპრიზიდან!

ქალის ხმაა.

– ცოცხალი ხართ!

– ჯერჯერობით კი. ვაი დედა!

მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რომ წინა პარპრიზი ჩამ-ტვრეული აქვს და აქედან უფრო ადვილია ამოყვანა.

ზემოდან გადავჩინდი და წინა სავარძელთან ჩავეკიდე.

– ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ! თავს ძალა დაატანე და ხელები გამომიწოდე!

– მარცხენა ძალიან მტკივა. რულსა და სავარძელს შუა მაქვს თეძო გაჭედილი. ვაი დედა!

– ნუ გეშინია... ნუ გეშინია... თავს ძალა დაატანე ცოტა კიდევ, ამოიწიე, ჰო ეგრე... დამეყრდენი.

– ვაი დედიკო! მარჯვენა მუხლი მეწვის! ცოტა ნელა, გეხვეწები. გამიშვით, გამიშვით. მე თვითონ... იქნებ ეს რული თქვენები გაქაჩით. ეყოფა, ახლა ამწიეთ!

– ოო... ყოჩალი გოგო ხარ. ანი ნუღარ გეშინია, სისხლი ხომ არ მოგდის სადმე?!

– მე მგონი არა.

– გულ-მუცელში ხომ არ გრძნობ ტკივილს?

– რა ვიცი... ცოტას.

– გრძნობა ხომ არ დაგიკარგავს?

– არა. ყველაფერი მესმოდა. მაგრამ შიშისაგან ხმას ვერ ვიღებდი, მტკივა, მტკივა, გამიშვით! ვაი დედა. მარცხენა ხელი მოტეხილი მაქვს. არ უნდა ლაპარაკი!

ფეხები ბუჩქს მივაბჯინე და მხარილივ, ნელი ქაჩა-რხე-ვით გულზე გადმოვიწვინე.

ახლა მთავარია, როგორმე გზაზე ავიყვანო.

ჩქარი სუნთქვა-კვნესით მეხმიანება, მისი თბილი სუნთქვა მარჯვენა ყურ-კისერზე მელამუნება.

ცალი ხელით პალტოს საყელოში ჩავავლე, მეორეთი ბუჩქს ჩავეჭიდე და თოვლზე გავახოხე, მაგრამ ფეხი ვერაფერზე მოიკიდა და შევუშვი თუ არა ხელი, ისევ მანქანამდე ჩასრიალდა.

- თოკივით რამე ხომ არა გაქვთ საბარგულში?
  - ნახეთ, შეიძლება ბუქსირის ბანარი იყოს. ვაი დედა!
  - საბარგულამდე მივჩოჩდი, მაგრამ ვერ გავაღე. დაკეტილია. მანქანას წინიდან შემოვუარე, გასაღები გამოვაძრე და, როგორც იქნა, მოვარგე საბარგულს.
  - ვაი დედა, ხელის თითები ჩემი აღარ არის.
  - ნუ გეშინია, ცოტა მოითმინე, თითები დაიორთქლე.
  - ადვილი სათქმელია, მარცხენა ხელი პირთან ვერ მიმაქვს. თოკი გულმკერდსზემოთ, მხრებზე ჩავაბი. ზემოთ, ხეს გამოვდე და დავქაჩე.
  - ვაი, დედა!
  - გამოედო რამეს?!
  - არა, არა. ცოტა ნელა, გეხვეწები.
  - თუ გამოედო, მაშინვე დამიძახე.
  - ასე სვენებ-სვენებით ავათრიე ზემოთ. ბევრი ვიწვალე, მაგრამ მანქანის სავარძელზე ვერ დავსვი. მუხლს ოდნავ დაატანა ძალა და კივილი მორთო. ხელში ავიყვანე და მანქანის საბარგულში ჩავაწვინე. ქურთუკი გავიხადე და თავზე გადავაფარე.
  - გადარჩენილი ხარ. აქვე, საავადმყოფოში მიგიყვან და ყველაფერი რიგზე იქნება.
  - თუ შეიძლება იმ დასაწვავ მანქანში პატარა ჩემოდანი მიდევს, იქნებ როგორმე ამომიტანოთ.
  - საავარიო თოკს ჩავყევი და ჩემოდანიც ამოვათრიე.
  - გავითოშე, სუნთქვა მეკვრის.
  - საჭეს მოვუჯექი და მანქანა მოვატრიალე.
  - გადასახვევთან ავტოინსპექციის ჯიხურში სინათლე ენთო, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.
  - ორჯერ მივუსიგნალე და რომ არავინ გადმომხედა, თავქვე დავეშვი.
  - საავადმყოფოს დარაჯი „ტელეგრეიკიანი“ მოხუცი ქალი ძლივს გავაღვიძე.
  - დაყრუვდით?!
- ჩამძინებოდა, ეს ოხერი.
  - ნაავარიევი გოგო მოვიყვანე. ექიმი ჩქარა!
  - გაფათურდა და ორიოდე წუთში თეთრხალათიან ქალთან ერთად დაეშვა.
  - საკაცე არა გაქვთ?
  - ჩაკეტილი აქვს მნეს, ვერ გავაღეთ, ვერაფრით.
  - საკაცეს რა ჩაკეტვა უნდოდა, ვინ მოიპარავს.
  - ახლა ყველაფერს იპარავენ.
  - გოგო ხელში ავიყვანე და კარებისაკენ წავედი.
  - რა ჩაბნელებულია აქაურობა.
  - მესამე დღე, სინათლე არა გვაქვს.
  - საითაა საოპერაციო?
  - მეორეზეა, მარა, აქეთ შეიყვანეთ, მეოთხე პალატაში. შედარებით სითბოა. საოპერაციოში გაიყინება ეგ უბედური.
  - აქეთ, აქეთ, კედელთან დააწვინეთ. ეს ადიალა გადააფარეთ. ახლავე ლამპას შემოვიტან.
  - რა საშინელებაა. პაპუასებივით ვცხოვრობთ. ძალიან გტკივა?
  - გაჩერებულზე იმდენად არა. ოდნავ გავანძრევ თუ არა, გულზე მომდის.
  - ნუ გეშინია, ახლა სამშვიდობოს ვართ.
  - ქალმა ლამპა შემოიტანა და პირველად ვნახე სინათლეზე ჩემი „პაციენტი“. მოკლეზეთმაშეჭრილი, თვრამეტი-ცხრამეტი წლის გოგოა. ლამაზცხვირა და ფართოტუჩება. სუნთქვის დროს ცხვირის ნესატონი ისე ეკეცება, როგორც რიყეზე ამოგდებულ თევზს ლაყუჩები.
  - თერთხალათიანმა ლამპა სკამზე დადო და ავადმყოფს ფერხთით ჩამოუჯდა.
  - მოტეხილი აქვს, თუ იცით რამე? სად გტკივა, შვილო?
  - თქვენ ექიმი ბრძანდებით, ქალბატონო? – კითხვა შევუბრუნე.
  - არა, ექთანი ვარ.

- ექიმი არ არის?
- არ არის. დილით გამოიარა, მერე აღარც მოსულა.
- თქვენს ამარაა, აბა, საავადმყოფო?
- ცარიელია, ბატონო. ვინ გაჩერდება ამ ყინვაში საავადმყოფოში. ვერ მოვასწარი თქმა – თბილისში წაიყვანეთ-მეთქი.
- რომელი საათია?
- ოთხია დაწყებული.
- არც რენტგენი გაქვთ?
- რენტგენი არის, მაგრამ ვინაა გადამდები. უნდა მოვით-მინოთ ამაღამ და დილით მოვლენ.
- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, იქნებ დილამდე, რა ხდება.
- რა ვიცი... როგორც გადაწყვეტით... ისე მაინცდამაინც არ კვერცხის და, საშიში რომ იყოს რამე, ძალიან ეტკინებოდა. გული ხომ არ მიგდის, შეილო?
- არა, დეიდა. მუხლთან მტეხავს ძალიან და მარცხენა ხელს ვერ ვწევ, იდაყვთან.
- მე რაც შემიძლია, ეს არის, ტკეჩის დავადებ ნატკენ ადგილზე და შევკრავ მაგრად. მეტს ამაღამ ექიმიც ვერაფერს მოგიხერხებდათ. ისე... რა ვიცი... გადაწყვიტეთ მერე... თქვენ თვითონ შეატყობთ.
- კეთილი ქალბატონო. ტკეჩი მოიტანეთ, ბინტი ხომ გაქვთ?
- კი, უნდა იყოს.
- ექთანი რომ გავიდა, მისი ადგილი დავიკავე საწოლთან.
- რა გქვია?
- ლია, ვაი დედა!
- საიდან მოდიოდი, ლია?
- ზესტაფონიდან.
- როგორ მოვიქცეთ. მოითმენ დილამდე, თუ წავიდეთ თბილისში.
- არა, არა. ახლა ისევ მანქანაში ყანყალის თავი აღარ

- მაქვს. მოვითმენ, რა ვქნა, დილამდე, თქვენ, თუ გეჩერებათ, წაბრძანდით.
- რა სათქმელია, როგორ მიგატოვებთ.
  - როგორი მადლობელი ვარ თქვენი.
  - შემომხედა და თეძოსთან საბანი შეიკეცა.
  - თუ გადავრჩი, საჭეს აღარ მივეკარები.
  - სად გეჩერებოდა, როგორ შეიძლება ასე სიარული, გორის ასახვევთან რომ გამასწარი, ჩაგისიგნალე. ვიცოდი რაღაც მოგვიდოდა, მართვის მოწმობა გაქვს?
  - არა.
  - ვისია მანქანა?
  - მამაჩემისაა. თვითონ როსტოვშია. რაღაც ჭირად კოოპერატივი აიტეხა და, ვითომ, კვერცხის შესაძენად წავიდა. ორი კვირაა გზაზე სადღაც გაიჭედა და ვერც იქეთ მიდის, ვერც აქეთ. ჩემი დაქალი მოუტაცნიათ. დედამისმა დამირეკა. დავჯექი უცებ და გამოვარდი.
  - მერე, შე ქალო, რა წამაუცილებელი იყო შენი ასე ნაუცბათევად გამოქცევა.
  - დედამისმა, ვაი დედა, სასწრაფოდ ჩამოდიო. მე ვიცნობ იმ ბიჭს. არაა, სხვათა შორის, გლახა ბიჭი.
  - ჰოდა, დაქალის გაბედნიერებაზე შენ რომ იღუპავდი თავს, საქმეა ეს? მაინც სული ყელში გაქვთ ახლანდელ ახალგაზრდებს.
  - რა ვიცი, ვაი დედა, ალბათ, ბედი უნდა ყველაფერს.
  - ექთანი მომტკაველიანი პლასტმასის ფირფიტები შემოიტანა. გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, ბოლოს და ბოლოს-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, ექთნისთვის ხომ არ მითქვამს, რა არის ეს გოგო ჩემი.
  - თაგვისფერი, წითელკოპლებიანი სვიტრი აცვია. თავი ბალიშის გვერდით, პირდაპირ ლეიბზე უდევს და ჭერს ასცერის, თითქოსდა მას არც კი ეხებოდეს, რას ვსაქმიანობთ მის სხულზე ქვევით, ჩვენ, აქ, „ექიმები“.

იქნება ამოვარდნილი აქვს მარცხენა იდაყვიო, ჯერ ხელით მოსინჯა, მერე გამართულად ფრთხილად ასწია, ქვეშ ბალიში ამოუდო და ხელის მტევანი ნელ-ნელა გაუქაჩეო, მომიბრუნდა.

მოვჭიდე მის ლამაზ, თბილნაზ თითებს და ოდნავ რომ გამოვნიე ლიამ იმხელა იყვირა, მე ჩემდათავად, გული კინალამ ამომიხტა ბუდიდან.

ამოვარდნილობა ხელით არ ისინჯება, ვეჭვობ ან მოტეხილი აქვს, ან მაგრად აქვს სახსარი შეშინებული.

„ტკეჩები“ ირგვლივ მჭიდროდ შემოულაგა და ბინტით სქლად, ლონივრად შეუკრა. საწოლის თავის პარალელურად გაუსწორა მარცხენა ხელი და გააფრთხილა, ასე გედოს შვილო, დილამდე, თუ ძალიან შეგანუხოს, თითები და მაჯა აამოძრავე იდაყვის სახსარი არ გაანძრიოო.

მერე ლარივით სწორი, ყავისფერჩექმებიანი ფეხები გაუსწორა. ჯერ ორივე მუხლი შეადარა ერთმანეთს. მარჯვენა ოდნავ შესივებულიაო. კვირისთავი ხელით მოსინჯა. როცა გაარკვია, რომ კვირისთავი დამსხვრეული არ ჰქონდა, მიულოცა – კვირისთავი მთელი გაქვს შვილო, კოჭლობისგან დაზღვეული ხარ, ნუ გეშინია, ან მენისკი იქნება გაწყვეტილი, ან ძვალი გატეხილი, ან, რაც უფრო ხშირად ხდება ასეთ დროს, კუნთია დაზიანებულიო.

შემომხედა.

რა არის ეს კაცი შენიო, ლიას ჰკითხა.

ლიამ წამით ამავლო თვალი და – ბიძაო, ისე მშვიდად და ანგარიშმიუცემლად მიუგო, რომ ერთხელ კიდევ ვირწმუნებ: ქალები კაცის ნეკნისაგან შექნილი კი არა, სრულიად სხვა, ზეციური არსებებია, ჩვენზე უფრო ჭკვიანები და სხარტი გონებისანი. ჩემთვის რომ ეკითხა, რას ვუპასუხებდი? ჯერ დავიბნეოდი, რაღაცას წავილულლულებდი. მერე ვეტყოდი, სიმართლეს, აბა რას ვიზამდი; არაფერიც არ არის, მე მგზავრი ვარ, შემთხვევით გადავაწყდი გზაზე, პირველად ვნახე-მეთქი. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ვერასოდეს ვერ მივხვდები, რა-

ტომ უთხრა დამტვრეულმა გოგომ საავადმყოფოს ექთანს ჩემზე, უცნობ მამაკაცზე... ბიძაო. უპატრონო რომ არ ჰგონებოდათ და მეტი ყურადღებით მოქცეოდნენ? თუ რაღაც სხვა მოსაზრებით, რას გაუგებ ქალს.

მუხლს ზემოთ, რბილ კუნთს რომ დაადო ხელი – მტკივა, სწორედ მანდ მტკივაო, დაიკვნესა ლიამ.

კუნთის ამბავია, შეიძლება გაგლეჯილიც კი იყოსო. ექთანმა, ჩექმები გავაძროთო.

მარცხენა ფეხზე იოლად გავაძრე. მარჯვენაზე გამიჭირდა. ტკიოდა ოდნავ რომ დავქაჩავდი. ჩექმის წვერ-ქუსლის ნელი, მორიგეობით რხევარხევით, როგორც იქნა გავხადე. ჩექმის ყელიდან თბილი ორთქლი და რაღაცნაირი, მხოლოდ ქალური ოფლის სუნი დაიფრქვა ოთახში.

რეიტუზი უნდა გაგხადო, შვილო, ჯერ ერთი, მაინტერესებს დალურჯებულ-შესიებული რა ადგილას გაქვს და მეორეც, ტკეჩი რეიტუზის გარედან ფეხს მჭიდროდ არ მიეკვრება, იმოძრავებს, საერთოდ ტკეჩიც და თაბაშირიც შიშველ კიდურზე კეთდება.

ლიას პასუხი არ მიუცია, ჭერს ასცექროდა.

ექთანმა შალითის ქვემოდან, წელის არეში შეუყო ორივე ხელი, ცოტა ხანს აფათურა, ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა ხვანჯარი, და დაქაჩა. ლამპის მქრქალ შუქზე ულმაზესმა, ჭკუიდანშემშლელმა ბარძაყებმა რომ გამოანათეს, წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი.

მედიცინის დამ ერთხანს აცერ-ამტკაველა ლიას მუხლბაყვები. ხან ააკვნესა, ხან გააყუჩა ავადმყოფი, ბოლოს მიხმო – ტკეჩები დამიჭირეო. ორივე ხელი შემოსალტული მაქვს თვრამეტი წლის გოგოს ბარძაყებზე და სანამ ექთანი ბინტს დაახვევდეს, ჩემი მემართება. ვნებიანი სითბო და სპილოს-ძვლისფერი ფეხების ნევრთატოკვა ტკეჩში ატანს და სხეულზე ალად მეკიდება.

ექთანი თავის საქმეს რომ მორჩა, ლიას ანალგინი დაალ-

ევინა. ქვევით, მორიგის ოთახში ვიქენები, თუ დაგჭირდეთ დამ-იძახეთო. გათენებამდე ბევრი აღარ დარჩა. დილით დარაჯვს გავაგზავნით ექიმთან. ეცადოს დაიძინოს. ეს ბოლო სიტყვები რატომღაც მე მითხრა, კარგად იყავითო და გავიდა. კარებთ-ან მოტრიალდა, თუ შეიძლება, ლამპას წავიღებო. მადლობა მოვახსენე, დერეფანში დავენიე, ჯიბეში ფული ჩავუკუჭე (ვერ გეტყვი რამდენი, ასე ასი-ასორმოცდაათი მანეთი იქნებოდა, თუმნიანებად მეწყო შარვლის ჯიბეში), ძალიან ყურადღებიანი ქალი ბრძანდებით, თქვენი ვალიდან ვერ ამოვალთ-მეთქი.

მარტონი დავრჩით.

ცოტა ხანს წელის გასამართავად წამოვწექი, მაგრამ უფრო შემცივდა.

საწოლზე ვზივარ. ლიას, რასაკვირველია, არ სძინავს.

– როგორ ხარ. იქნებ დაგეძინოს... გრტყივა?

– ანალგინმა ცოტა გამაბრუა... თქვენ რომ არ შემხვე-დროდით, რა მეშველებოდა.

– უსაშველო ღმერთმა წუ დაგმართოს, ერთი საშიშროება ის იყო, რომ თოვლზე მანქანის გადავარდნის კვალი წაიშლე-ბოდა და დილამდე ვერავინ გიპოვიდათ.

– დილამდე ალბათ გავიყინებოდი.

– ცუდ რამეზე ნუღარ ვილაპარაკებთ, რაც მთავარია, გა-დარჩი.

– მანქანა ძალიან იყო?

– ძალიან არა. მოსრიალების დროს ხეს დაეცა გვერდულად. იმ ხემაც გადაგარჩინა, თვარა, შეიძლება ქვეშ მოყოლოდი.

ჰაუზა.

– რა გქვიათ, ბიძია? ამ დაბნეულობაში, მე ბოდიში, სახ-ელიც არ მიკითხავს.

ვუთხარი, რაც მქვია, მაგრამ მომეჩვენა, რომ „ბიძია“, თითქოსდა ხაზგასმით, გაჭიანურებით, თუ ერთგვარი ირო-ნიითაც წარმოთქვა.

ისევ ჰაუზა.

– ხომ არ გცივა?

– ცოტა, ფეხის თითებზე.

საწოლთან ჩამოვუჯექი. მარჯვენა (ჯანმრთელი) ფეხი მუხლზე დავიდე. მარცხენა (ტკეჩიანი) საწოლის ნაპირისაკენ გამოვაჩოჩე. ხელისგულებში მოვიმწყვდიე მისი უსაყვარლესი და უახლესი, ჩიტის ბარტყივით თბილი და მოძრავი ფეხის თითები.

კარგა ხანს მეჭირა. ხან თითებით ვჯდლემდი, ხან ხე-ლისგულებს იქეთ-აქეთ ვუსვამდი, როგორც იასამნის ღეროს ვატრიალებთ ხოლმე მისი ღვთაებრივი სიმრგვალის ხილვა რომ მოგვესურვება. მერე წვივებს მუხლებისკენ ავყევი და ტუჩით დავეკონე მუხლისზემოთ იქ, სადაც ცივი და უცხო ტკეჩის თავი მთავრდებოდა.

– რას შვრებით, ექთანი შემოვა.

წამოვხტი. კარი შიგნიდან არ იკეტება.

ბუდეში გასაღები არ არის. პატარა რკინის ურდულიდან მილაკი გამომძვრალია.

დერეფანში ვიფათურე. როგორც იქნა მსხვილი ლურსმანი ვიპოვე და გავუყარე კარებს.

...თუ დაკვირვებიხართ ზამთარში მამლები, თითქოსდა, სხვა ხმაზე, უფრო მოგუდულად და ზარმაცად ჰყივიან, ვიდრე გაზაფხულზე.

თავი მიდევს ლიას თბილ მუცელზე, ცოტა ჭიპისქვემოთ. ხელს ნაზად ვუსვამ უკვე ტკეჩაყრილ მუხლისთავზე და ბარ-ძაყებზე.

ფანჯარაში მქრქალად იხედება ლურჯ-თეთრი ციაგი. ულამაზესი ზამთრის დილა.



## თითქოს თოკით ენევიანო

კალენიკე ხუნდაძემ დიდის ვაი-ვაგლახით, რომ იტყვიან, ჭაპანწყვეტით დააღწია თავი ძილს. ჯერ მტრედისფრად შებინდულ სარკმელს ახედა, მერე მაგიდაზე ატიკტიკებულ კომშისისხო საათს მიაჩირდა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

– გადაგიშენდა ამწყობი.

ღმერთმა კარგად მიმყოფოს შაპარეთის ზარიანი საათების ფაბრიკის საამწყობო საამქროს თანამშრომლები, მაგრამ კალენიკეს მიერ აღვლენილი წყევლაც არ გახლავთ მთლად უსაფუძვლო. როგორი საქმეა, ამ დილით სტუმარს აცილებს აეროპორტში. გუშინ სპეციალურად იყიდა ეს საათი. მომართა, შვიდის ნახევარზე დააყენა ზარის ისარი. ახლა შვიდს აღარაფერი აკლია და კალენიკეს თვითონ რომ არ ემარჯვა, მარტო ტექნიკის იმედზე დამდგარიყო, ჯერ ერთი, სტუმარს დააღალატებდა და, ვთქვათ ესეც არაფერი, ახალი ბილეთის შეძენა კვლავ სარბენ-საფარითიფურთოდ ექცეოდა.

კალენიკეს სტუმარი – მანასე ხოზრევანიძე ეს ერთი კვირაა, რაც გეახლათ შორეული ჩრდილოეთიდან. ჩრდილოეთში იგი განაწილებით გაგზავნეს მუშფაკის დამთავრების შემდეგ. იქაური ქალი (სხვათა შორის იშვიათი მეოჯახე) შეირთო და დარჩა და დარჩა. ვერ იტყვი, რომ კარიერის კიბეზე დიდად წაინია – ოცდაათი წელია ჩილინგართა ბრიგადას თავკაცობს, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი მედლები, წახალისების ფურცლები და სიგელ-გუჯრები (სიყრმის მეგობარს სასოებით რომ გაუფინა მაგიდაზე) მეტყველებენ, რომ ამ კაცს თავი არ შეურცხვენია. შორეულ მხარეში პატიოსნად უშრომია და ვაუკაცის სახელი დაუგდია. ეს კი, მოგეხსენებათ, ხონის მუშფაკდამთავრებული კაცისთვის იოლი საქმე როდი გახლავთ.

ვის ვუმტკიცო, როგორ უხარია ქართველ კაცს სტუმარი

საერთოდ და როგორ გასხივცისკარებდა კალენიკეს გულს ცამეტ წლამდე თანშეზრდილი მანასეს ხილვა. ამ ერთი კვირის განმავლობაში თან გადაყვა, მოეთაფლუჭ-მოესიყვარულა, რა არ აჩვენა, რა გეგუთის ციხე არ მოარონია. უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ქალაქ საქარიას ცნობილი რესტორნები – „ვენე-ცია“, „ნაძვები“, „სათაფლია“, „ჭომა“, „სორბონა“, „გოგისვანი-ძები“, „წყალწითელა“, „გელათი“... ცაში ქუდებს ისროდნენ და მათი ვარხალალო აზანზარებდა იმერეთის ღამეებს. გუშინ, მოულოდნელად, მანასემ წასვლა გადაწყვიტა. ვერ გეტყვით, მოყირჭდა სტუმრობა, თუ შვებულების ვადა გაუთავდა. ხომ არ ჰკითხავდა მასპინძელი, როდის მიბრძანდებითო, რომ თადარიგი დაეჭირა. არადა, სტუმრის გადაწყვეტილება შეუვალი და საბოლოო აღმოჩნდა. ხვეწნა-მუდარა ახლოსაც არ გაიკარა. „ჩვენტან ასთეა: რომ იტყვის ადამიანი, უნდა წავიდეო, წავა. ვერაფერი ვერ დააკავებს“, – მტკიცედ განაცხადა სტუმარმა და ყელგანვდილ მასპინძელს ცივი წყალი გადაასხა. გაძვრა-გამოძრა კალენიკე, სადაა თვითმფრინავის ბილეთი! ბოლოს იმ კაცის შეწუხებაც კი დასჭირდა, ვისთანაც სხვა უფრო დიდ საქმეზე აპირებდა მისვლას. სხვა გზა არ ჰქონდა, როგორც იქნა, გააჭახრაკა ბილეთი მარშრუტით „საქარია-იულისკი-მაკუტია-სუხალჩი“ და გულმოსასვლელი როგორ არ იყო: ამ დილით საათივით აწყობილ საქმეს – მანასეს სტუმრობის სახელოვან დაგვირგვინებას, სამარცხვინო კრაზი ეწერა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საათმა არ დარეკა და არც აპირებდა დარეკვას.

სიჩქარეში და ჩიჩიმაგურ-ფუსფუსში ჩაცმაც კი ვერ მოახერხა მასპინძელმა ხეირიანად. ქეშელა მუცელზე კვართის ღილები ასკდებოდა; გაუბარსავი, უღალი წვერი რკინის ჯაგრისს მიუგავდა; მარტო ფეხზეღა ეცვა ფლახვად იაპონური, თასმიანი სანდლები. ჯერ ცოლ-შვილი წამოყარა, სუფრა გააშლევინა და მერე სასტუმრო ოთახისკენ გაეშურა კატის ნაბიჯებით.

მანასეს არ ეძინა. კოხტად ჩაცმული და ელექტროსა-მართებლით გაპარსულ-გალამაზებული „ზალაში“ მიმოდიოდა. მაღალი იყო, გივი ლომიძის მიერ დახატული თურქი მისიონერის კარიკატურასავით გადაბმული წარბები და ბარაქიანი ცხვირი უმშვენებდა გამხდარ სახეს.

— შენტან რომელია? — ჰეითხა მან კალენიკეს კარის გაღებისთანავე და საათზე მიუთითა.

— რვისკენაა ცოტა, — შეჰვიმა მასპინძელმა.

— ჩვენტან ასთეა: ერთი საათით ადრე უნდა იყო აეროპორტში.

— ჩვენთანაც ასეა. მოვასწრებთ, ნუ გეშინია.

მანასემ სტუმრის ჩემოდანს მოჰკიდა ხელი და შუშაბანდში გამოიტანა.

— ეს რა არის? კიდევ უნდა ვჩამოგ?! — შეიცხადა სტუმარ-მა გაშლილი სუფრა.

— აპა, აპა. ამხელა გზაზე მიდიხარ. წევიხემსოთ, შე კაცო, პატარა, — დაფაცურდა მასპინძელი და ლამის ძალით დასვა მანასე მაგიდასთან.

ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ორივენი კალენიკეს სამჯერ გადაღებილ „შიგულში“ ისხდნენ. დამშვიდობების ცრემლიანი წუთები რომ დასრულდა და მასპინძელმა, როგორც იქნა, თავის ძელ-ყორეს გამოაშორა მანქანა, ერთბაშად დააწვა გაზს და ისე ცქაფად მოსხლიტა ადგილიდან, რომ მანასე შეშინდა და ქამარ-მშველელს ჩაებლაუჭა.

აეროპორტის უშნოდ წაგრძელებულ შენობაში ფეხზე დასადგომი ადგილის შოვნაც ჭირდა. ყველაფერი ცხადი გახლდათ, მაგრამ ცნობათა ბიუროს მაინც მიაშურეს. საათნახევრიანი, დამღლელი რიგის შემდეგ გაიგეს ის, რასაც ირგვლივ ყველანი ხმამაღლა, დაუფარავად გაიძახოდნენ: იულისისაკენ გუშინ არც ერთი თვითმფრინავი არ გაფრენილა „ტექნიკური მიზეზების გამო“ (რა იყო ეს „ტექნიკური მიზეზი“, უბრალო მგზავრებს ვინ გაანდობდა).

— რა ვქნათ ახლა? — აფთიაქის ჯიხურს მიყრდნობილ მანასეს შეხედა მასპინძელმა.

ხოზრევანიძემ ჩემოდანი ფეხებშუა მოიქცია და ხელები მოიფშვნიტა.

— ჩვენტან ასთეა: უნდა იჯდე და უცადო. საპარერო ტრანსპორტი, ხომ იცი, კაპრიზია.

— კი ბატონო, ვუცადოთ, მაგრამ სანამ ვუცადოთ. ხომ გაიგონე, რა თქვა: ორი რეისია გაუფრენელი. დღეში აქედან ერთ რეისზე მეტი ხომ არ გაფრინდება?

— რატომ?

— რა ვიცი მე. ასე რომ, ნახევარ საათში რომც გაიხსნას გზა, პირველად წინა მარშრუტის ხალხი გაფრინდება და შენ ზეგ მოგიწევს გაფრენა.

— კარგი ენის იყავი, — გააცივა ტანში მანასეს.

— წამო სახლში და გავაგრძელოთ ჭუკჭუკი, — მკლავი გაუყარა კალენიკემ, — ხომ ხედავ, მანია, ღმერთს არ უნდა შენი წასვლა.

— დღესვე უნდა გავფრინდე. იცი? ჩვენტან ერთ პრაგულზე ამხანაგური სასამართლოა.

— ახლა ჩვენთანაც მასეა, მარა, ა ბატონო, გაფრინდი. თავს ზევით ძალა არის? არაა.

— ჩვენტან ასეთ შემთხვევაში, რაღაცას იხლაპორთებს კაცი. არ შეიძლება რაღაცა საშუალება არ გამოინახოს. ნაცნობი არ არის ვინმე?

— ნაცნობი კი არა, მთლად ძმაკაცი მუშაობს აქ ჩემი. გადაზიდვის უფროსია — ლავრენტი მკრტიჩიანი, სამტრედიელი, კაი ბიჭი. მივადგეთ და დაველრიჯოთ.

კარგა ხანს იქიჩავეს, არა მე წამოვილებ ჩემოდანს და არა მეო, ბოლოს კალენიკემ აჯობა. კიბეზე პატარა დერეფანი იპოვა და „ურიელ აკოსტას“ დეკორაციასავით ხალხით დახუნდლულ კიბეს აუყვნენ.

მგზავრები ბუზებივით ეხვივნენ ლავრენტი მკრტიჩიანს, მაგრამ კალენიკეს რომ შეხედა, ყველას თავი გაანება და შეცხადებასავით დაიყვირა: – არ მითხრა ახლა, იქით (ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ხელი) მინდა გაფრენაო, თვარა, მევიკლავ თავს!

– აბა, ტყაჩირში, შე კაი კაცო, ავტობუსიც ქე დახრიგინობს. გაიცანი, ჩემი ძმაკაცი, ხოზრევანიძე. დღეს რომ არ გაფრინდეს იულისკში, იღუპება კაცი.

– გამომისევი დანა და ეგ არის, – შეწუხდა ლავრენტი.

– არაფერი საშუალებაა?! – ხავსა ჩაებლაუჭა მანასე.

– ჯერ ბერზინი არ მოგვაწოდეს დროზე და ამიტომ გადაიდო ერთი რეისი. მერე წუხელის ბურუსი იყო და დავკეტეთ აეროპორტი. ახლა რაღაცა გამშვები ბლოკი არ მუშაობსო. ე, გახედე, ეგერ დგას მაგის თვითმფრინავი.

– მერე გამოუცვალონ ბლოკი და გაუშვან. ამის გულიზა აჩერებთ რეისა?

– რა გაყვირებს, – ლავრენტი დაიხარა და ყურში უთხრა, – ამის თქმის უფლები კი არ მაქვს. სანამ სხვა თვითმფრინავი ქარხნის ბლოკს არ ჩამოიტანს, აქ მოგვიწევს ყურყუტი. შენ ეს უიგულის „კრესტავინა“ ხომ არ გგონია, კლიმენტი სპეკულანტი რომ გაგიჩენს ხელად?!

რაღა გავაგრძელო, ასეთი საუბარი რა წუგეშს მოჰვრიდა მგზავრსა და გამცილებელს. ლავრენტს გულთბილად დაემშვიდობნენ და აეროვაგზლის ხალხით გაძეძგვილ ხახაში ჩაიკარგნენ.

„ყურადღება! გაფრენა თვითმფრინავისა რეისით ნომერი აწკ... ერთი „საქარია-იულისკი-მაკუტია-სუხალჩი“ იგვი-ანებს ჩვიდმეტ საათამდე!“ – გამოაცხადა ადგილობრივმა დიქტორმა.

– მოგივიდა მშვიდობა, – ჩაილაპარაკა კალენიკემ.

– რაი? – კისერი წაიგრძელა მანასემ.

– გადადებული ვართ ჩვიდმეტ საათამდე.

– ახლა რომელია? – საათზე დაიხედა სტუმარმა.

– რას უყურებ, ახლა რომელია. ასე გადადებენ ყოველ ოთხ საათს, ეს ხალხი ასე იჯდომება სამ დღეს. ჭკვიანი კაცი მგონიხარ. ხომ გაიგონე, რა თქვა ლავრენტიამ. წავიდეთ ახლა სახლში, – მასპინძლის ხმაში საყვედურის კილო გაკრთა.

– ჩვენტან ერთ პრაგულზე გაუფრთხილებლად ამხანაგური სასამართლოა და მევორე პრაგულზე ხსნიან.

– რა ვქნა, მითხარი? ვიცი, მესმის, გავიგე, ჩემი ბრალია?

– რაღაცა საშვალება უნდა მოძებნო. ჩვენტან ასეთ დროს...

– წუნუნზე გადავიდა სტუმარი.

– ერთს ვიტყვი ახლა მე.

– ჰო?

– მატარებლით რომ წახვიდე?

– ხომ გითხარი, საშვალება იქნება რაღაცა, ჩვენტან...

– გავვარდეთ აბა, სადგურში.

– რომელ სადგურში?

– რკინიგზის. თქვენთან რკინიგზის სადგურიდან არ გადიან მატარებლები?

– საერტოდ კი.

მანქანაში რომ ჩასხდნენ და სადგურისკენ გაემართნენ, ორივეს შეწუხებული სახე ჰქონდა. ისე მიადგნენ ახალი ვაგზლის ნახევრადანგრეულ მოედანს, ხმა არ ამოუღიათ.

მანასე მანქანაში ჩატოვა და თვითონ სადგურის ადმინისტრაციის გუმბათიან შენობაში შევარდა. ლიზა ჭანიას კაბინეტში მოკლენვერიანი, თხელკისერა ბიჭი იჯდა.

– ბოდიში, ლიზა მინდოდა.

– შემობრძანდით, ლიზა აღარ მუშაობს ჩვენთან.

– როდინდელი ამბავია? – გაიკვირვა კალენიკემ.

– შემობრძანდით, – წვერზე ხელი ჩამოისვა თხელკისერამ,

– იქნება ასე ხუთი თვის ამბავი, – შემდგომ შეკითხვას აღარ დაუცადა, – შელაპარაკება მოუვიდა, ადგილკომის უფროსი იყო ჩვენთან – მარიამ სალუქვაძე, ისეთი კი არაფერი, რაღაცა

ქალურ ამბავზე წაიკიდნენ. ამან თავისი უთხრა, იმან თავისი და, მოკლედ, მთელი სადგური მაგათ შერიგებაზე ვმუშაობდით, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

- მერე?
- ორივე გაუშვეს, რბილად რომ ვთქვა, სამსახურიდან.
- მუშაობს ახლა ლიზა სადმე?
- ვერ გეტყვით, ჩვენს სისტემაში არა, ყოველ შემთხვევაში.
- ეგეც ჩემი იღბალი, – ამოხვნეშას ლამის გულიც ამოაყოლა კალენიკემ.
- გიჭირთ რამე? – წვეროსანი წამოდგა, – იქნებ მე გიშველოთ.
- ბილეთი მინდოდა. სტუმარი მყავს და თავს იკლავს, დღესვე რომ არ წავიდე, ვიბრიდებიო.
- შე კაცო, რა მოხელე ვართ მეტი ჩვენ, ბილეთი თუ ვერ გიშოვეთ. მაგის მეტი გასაჭირი ნუ მოგცეს გამჩენმა. იულისკის ბილეთი არ მთხოვო და სხვაგან, საითაც გინდა, გაგიშვებ.
- სწორედ იულისკი მინდოდა.
- აუ, რა მითხარი! წვერს რომ ხელი არ შეეშალა, ლოყას ჩამოიხოკავდა მასპინძელი, – იულისკის ორი ვაგონი გვაქვს მარტო. პირდაპირ არ მიდის, ხომ იცი, აქედან. გზაზე სხვა შემადგენლობებს უნდა გამოაბან. დღეს და გუშინ, თურმე, თვითმფრინავი არ გაფრინდა და აქეთ მოგვანება ხალხი. ამ დილას მივეცი ბოლო ბილეთი რამაზია სალდაძის ბიჭს.
- რა უნდა იმას იულისკში?
- რაღაცაზე მუშაობდა იქანა და გოგო გაუცვნია ვიღაცა. ბავშვიანი ქალია. მშვენიერი გოგო. ცოლად გითხოვო, წამოცდენია, არ იცი, ბოვშის ამბავი? ჰოდა, ამ ორ თვეში მესამეჯერ ჩამოაკითხა საცოლემ სამი წლის ბავშვით, იყვნენ დღეს აქ, ჩემთან, კაბინეტში. მშვენიერი ქალია, მაღალი, ჯანმრთელი.
- ბავშვი სალდაძისაა?
- არა. განათხოვარი ყოფილა ქალი.

- რა უჭირს მერე.
- არაფერი, რა უჭირს. რამაზია ჭირვეულობს თურმე, თვარა ამდენ ხანს მოვიყვანდიო, ბიჭმა.
- არ ეშველება არაფერი ჩემს საქმეს?
- წვეროსანმა სელექტორის ღილაკს თითო დააჭირა – მარგო, ჩემო მარგუში, ისე ახლობელი კაცი დამეცა ახლა თავზე, რომ არ დაიჯერებ. რაღაც უნდა მისაშველო, იულისკი მინდა. მოიცა, კაკაბაძემ წაილო თავისი ბრონი? გაბრიაძემაც? აპა, არაფერი არ გვაქვს შავ დღისთვის? კაი... მოიცა... ახლა სხვა ღილაკს დააჭირა ხელი – ივლიტა, იულისკი მინდა, ან მკვდარი ან ცოცხალი, არ გადამრიო. მოიცა, ვკითხავ. ერთადერთი ადგილი გვქონია საერთო ვაგონში, ჩვენ პლაცკარტს ვეძახით. გვერდითი ადგილია. კი არ ეკადრება შენს სტუმარს, მარა სხვა გზა, მთლად ზევით რომ წახვიდე, მაინც არაა. ყველა ბრონი გაცემულა.
- რა ვქნა ახლა. იყოს. მოიცა ერთი, ვკითხავ.
- ივლიტა, – მიკროფონს ჩასძახა სადგურის მოხელემ, – გამიჩერე ეგ ბილეთი ცოტა ხანს.
- კალენიკე ქუდმოგლეჯილი გამოვარდა და „უიგულის“ კარი იმ მხარეს გამოაღო, რომელ მხარესაც მანასე იჯდა.
- ცუდადაა საქმე, რბილი არ ჰქონიათ.
- კუპირებულით ცავალ, არა უშავს, – დაამშვიდა მანასემ.
- არც კუპირებული აქვთ, ამაშია საქმე.
- ცავალ პლაცკარტით. როცა გიჭირს, ჩვენტან ასთეა, რას იზამ, უნდა წახვიდე.
- რომ გაწვალდები?
- არა უშავს. მთლად გვერდიტი ადგილი ხომ არ იქნება.
- მანასემ ზარის წერიალით ჩავლილ ტრამვაის გააყოლა თვალი.
- სწორედ გვერდითია.
- რომელ საათზე გადის მატარებელი?

– არ ვიცი, ვკითხავ.

კალენიკემ მანქანის კარი ღია დატოვა. ლიზას შემცვლელ წვეროსანთან შეირბინა და მიახალა:

– რომელ საათზე მიდის, იმანო?

– რაი? – ბიჭი სხვა ფიქრებში იყო.

– მატარებელი.

– რომელი?

– იულისკი.

წვეროსანმა ჭერზე გაკრულ განრიგს ახედა.

– ხუთზე ჩვენი დროით.

კალენიკემ გაიფიქრა, ეს ყმანვილი ცოტა გულმავიწყო ჩანსო და საჭიროდ ჩათვალა თავის შეხსენება.

– ის ბილეთი არ გამიყიდონ, თუ ძმა ხარ.

– ივლიტა! – სელექტორს ჩასძახა წვეროსანმა, – ხომ არ გაგიყიდია იულისკი! ჰო. გააჩერე ცოტა ხანს.

კალენიკე ხვენეშით ჩაბრუნდა „უიგულში“.

– ხუთზე ჩვენი დროით.

– იყოს, რა უჭირს, ბაკავოი კია ძნელი. მარა ჩვენტან პრა-გულზე...

კალენიკეს მოსწყინდა „პრაგულის“ წამდაუნუმ მოსმენა და შეაწყვეტინა:

– ავიღო აბა?

– მოიცა, მოვიფიქროთ. ხუტზე რომ გავა, როდის იქნება იულისკი?

– არ ვიცი, ვკითხავ.

კალენიკე ფაცხაფუცხით გაიქცა და ლიზა ჭანიას კაბი-ნეტში ნაპიჯზე შეასწრო ორმეტრიან, სპილოსფეხოსან მანდი-ლოსანს.

– რამდენ ხანს უნდება მატარებელი?

– რას? – თავი ასწია წვეროსანმა და წელანდელზე უფრო დაბინდული თვალებით შეაცქერდა.

– ჩასვლას იულისკამდე.

– ვერ გეტყვით, ვკითხავ, – აუღელვებლად მიუგო სად-გურის მოხელემ და სელექტორს თითი დააჭირა.

– მარგო, მარგუში, იულისკში როდის იქნება მატარებე-ლი?

მარგომ, ჩანს, თავის მხრივ, რაღაც ჰკითხა.

– დღეს რომ გავა მატარებელი, მაგალითად. პარასკევა ხომ? გმადლობთ, – კალენიკეს შეხედა, – პარასკევას.

– დილით თუ საღამოს?

– მოიცათ, ვკითხავ, – სელექტორს მიუბრუნდა წვეროს-ანი, მაგრამ კალენიკემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

– არ არის საჭირო. ახლავე მოვალ. იულისკი არ გამიყი-დოს, თუ ძმა ხარ, ივლიტამ.

„რომელმა ივლიტამ“, აპირებდა შეკითხვის მიცემას წვეროსანი, მაგრამ კალენიკე კარში ქარივით გაუჩინარდა.

სტუმარმა დინჯად მოუსმინა და მერე დიდხანს უყურა წინ, გაზეთების ჯიხურთან რიგში გამწკრივებულ მოქალაქეე-ბს.

– რა ვქნათ? – კალენიკემ შეანჯლრია და მწარე ფიქრებს გამოარიდა.

– პარასკევს ძალიან გვიანია. ჩვენტან...

– ვიცი, ვიცი! – ლამის იყვირა მასპინძელმა, – რა ვქნათ, აბა? ვაითუ თვითმფრინავმა უფრო დაგაგვიანოს. თანაც გვერდითი ადგილი გაგანამებს. შენ თვითონ გადაწყვიტე, მერე მე არ დამაბრალო.

– გაცამება არაფერი. გავუძლებ. ჩვენტან საბარგოთიც ბევრჯერ მიმგზავრია. ცუდი ისაა, რომ პარასკევი შორსაა. პრაგული გამომდის.

კალენიკეს უკვე ნერვებს უშლიდა „პრაგულის“ გაგონება და ღმერთო შეგცოდე, საერთოდ, სიყრმის მეგობრის წუწუნი.

– წავიდეთ აბა, ისევ აეროპორტში.

– მერე? – იქნებ რამე ვისაშველო.  
– ვაითუ ხლაპორტი ხლაპორტად დაგვრჩეს და ეს ბაკა-  
ვოი ბილეთიც დავკარგოთ.

კალენიკეს სიმწრით გაეცინა.

– რა ვქნა, მითხარი. გეუბნები, შენ თვითონ გადაწყვიტე-  
მეთქი, ტვინი მეტკინა.

– ვიმსჯელოთ ცოტა. შენ ამბობ, რომ შეიძლება, თვით-  
მფრინავიც ვერ ჩავიდეს პარასკევამდე, ასტერ საქმე? – რა  
ვიცი. რომ გითხრა და დაგაღალატო? ეს მატარებელი ხომ  
ნალდად ჩავა. წყალი არ გაუვა.

– ვაიტუ, დღესვე გაფრინდეს ერთი რეისი. ხომ გაიხსნება  
გზა ბოლოს და ბოლოს?

– ბოლოს და ბოლოს კი.

– ეს ბილეტიც რომ დავკარგოთ? ჩვენტან...

კალენიკეს არაფერი უთქვამს. აეროპორტისკენ აიღო  
გეზი. ჩქარობდა. სუნთქვა ეკვროდა და გულს მარწუხივით  
უჭერდა რაღაც.

– ახლავე მოვალ, იჯექი, – დაუბარა სტუმარს და ლავრენ-  
ტი მკრტიჩიანის კაბინეტს ეცა.

ლავრენტის „მოეშინაურებინა“ უიმედო მგზავრები და მხ-  
იარული მასლაათი გაება.

– ლავრენტი!

– რა იყო? – შეეგება გადაზიდვის სამსახურის უფროსი.

– ჩემი სიკვდილი თუ არ გინდა, უნდა გამომიყვანო ამ  
მდგომარეობიდან. ლავრენტის გაეცინა.

– ღმერთი რომ ვიყო, კი ბატონო. ა, იულისკა უცდის ეს  
ხალხიც, დღეს და ხვალ არაფერი არ იქნება.

– მოიწი აქეთ. ლავრენტიმ ცხვირთან ყური მიუტანა.

– რამე თვითმფრინავში ჩამასმევინე. სადმე, სხვაგან, გამი-  
ფრინე. დაახლოებით მაინც იმ მიმართულებით. მერე თვითონ  
მოძებნის გზას. წუხს ძალიან. მომკლა მაგის საცოდაობამ.

ლავრენტიმ დოინჯი გაიკეთა. მაგიდაზე გაშლილ რუკას  
სარდალივით დახედა და კარგა ხანს დუმდა.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ მანასე ხოზრევანიძე  
საბარგო თვითმფრინავში იჯდა და გულანშაროსკენ მიფრი-  
ნავდა.

გულანშარო დიდი ქალაქია. საპაერო მაგისტრალთა თა-  
ვისებური ცენტრი. ვინ იცის, იქნებ, გულანშაროდან უფრო  
ადვილად გაფრინდეს კაცი იულისკი-მაკუტია-სუხალჩის  
მიმართულებით.



## იაკინთე

იაკინთე ჩემი კარის მეზობელია. ქალაქში ცნობილი ფარმაცევტი. სამოცდათი რომ შეუსრულდა, პენსიაზე გასვლა ითხოვა. არ უნდოდათ გაშვება, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლიეს. არაო, – ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს განუცხადა, – მე ის კაცი არა ვარ სიკვდილამდე სკამს რომ ებლაუჭება და რიგში ჩამდგარ, დიპლომიან ახალგაზრდებს უდროოდ მოსული დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენლებივით უმზერსო. ავად თუ კარგად, მე ჩემი დრო მოვჭამე, ახლა სხვისი ჯერიაო. დაიხურა ქუდი და წამოვიდა. უსაქმოდ მაინც ვერ ძლებს. კვირაში ორჯერ სანიტარულ სასწავლებელში სემინარს ატარებს და საქალაქო გაზეთში პატარ-პატარა სტატიებსაც აქვეყნებს, დაახლოებით ამგვარი სათაურებით: „ვებრძოლოთ გრიპს“, „სიბერე ავადმყოფობა როდია“, „თვითმკვლელობა მავნებელია“ და ასე შემდეგ.

ჭიშკართან ზის და მელოდება. ამ დილით დიდის ამბით გამომაცილა; პირველმა მე უნდა მოგილოცო ინსტიტუტში ჩარიცხვაო. ახალი გაზეთების დასტა ხელში უჭირავს. ასეთი წესი აქვს: გაზეთს ქუჩაში არ გაშლის. თავის მაგიდასთან მოკალათდება, გვერდით ჩაის დაიდგამს, ახალ სათვალეს გაიკეთებს და ჩაუღრმავდება პრესას. ჩვენსავით როდი „გადაირბენს“ გაზეთზე. ნელა და საფუძვლიანად კითხულობს. ამ ხნის ხალხს საერთოდ გაზეთან და რადიოსთან რაღაც სხვაგვარი, მოწინებითი დამოკიდებულება აქვს. ზის გაჭიმული და მიცექერის. ახლოს რომ მივედი, სუფთად გაპარსულ თავზე ხელი გადაისვა, მერე ინდაურის ბიბილოსავით ჩამოზნექილი ყრონტი მოისრისა და ყრუდ ჩაახველა. ყველაფერს მიხვდა. ახლოს მოდიო, სხვისი ხმით მითხრა, ხელი მომკიდა და გვერდით მომისვა. ჩიბუხი გააწყო და გააბოლა. ხმას არ იღებს.

წელს მეოთხედ დავრჩი. სხვა დროს თითო, ან ნახევარი ქულა მაკლდებოდა. ამ გამოცდებზე ყველაზე ახლოს ვიყავი მიზანთან. ერთადერთი ოთხიანი მივიღე ქიმიაში. სხვა საგნები ხუთებზე ჩავაბარე. წინასწარ მილოცავდნენ. გითხრათ სიმართლე, მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ოთხნლიანი ომი დამთავრდა. ამ დილით ავტობუსში რომ ჩავჯექი, შიშმა გამკრა გულში. გაიზარდა, გაიზარდა ის შიში და სიაგაკრულ კედელს რომ ვუახლოვდებოდი, ფეხები აღარ მემორილებოდა, უკან გაბრუნება მინდოდა, ვიცოდი, რომ ამჯერადაც ამცდა სტუდილეთი. გულგრილად ჩავიკითხე სია, აულელვებლად, სისხლგამშრალივით მოვისმინე მიმღები კომიის მდივნის ახსნა-განმარტება და ახლა იაკინთე ბაბუას გვერდით რომ ვზივარ, ბურთივით მანვება ყელში რაღაც, ლამის ავქვითინდე ამხელა კაცი. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ყველაზე მეტად იაკინთეს გახარება მინდოდა. თითქოს იმიტომ ვაბარებდი ამ გაგანია სიცხეში გამოცდებს, რომ ამ თეთრი ფარმაცევტის სიხარულჩამდგარი თვალები მენახა. ვზივარ ახლა მის გვერდით დამარცხებული ფალავანივით და ენა ვერ დამიძრავს. რა უნდა ვთქვა.

– მაინც რაო, რა გითხრეს? – ყალიონი მუხლზე დაიბერტყა, სული შეუბერა და „მაო ძე დუნის კიტელის“ გულისჯიბეში ჩაიდო.

– ოცდაოთხქულიანი შვიდი აბიტურიენტიდან მარტო შენ დარჩიო. მართალია, გამსვლელი ქულა გქონდა, მაგრამ ადგილები აღარ გვეყო. პროფილიანებმა შეავსესო. რექტორს ძალიან უნდოდა შენი ჩარიცხვა, მაგრამ კანონს ხომ ვერ დაარღვევდაო. იმ ექვს ოცდაოთხქულიანს შენთან შედარებით უპირატესობები ჰქონდათო. – მაინც რა უპირატესობები-მეთქი, გავტედე და ვკითხე. ერთი შორეული რაიონიდან არისო, მეორეს პიონერთა სასახლიდან კონფერენციებში მონაწილეობისათვის სიგელი აქვს მიღებულიო, მესამეს მაპროფილებელ საგნებში აქვს ხუთებიო, მეოთხე ომის ინვალიდის შვილიშ-

ვილიაო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩამომიჭიკვიკა კომისიის მდივანმა. ერთი მელოტი, შაშუბება კაცია. მე მგონი, ცხვირთან მიტანილი ქაღალდის მეტს ვერაფერს ხედავს.

- ვის უნდოდა ჩარიცხვაო?
- რექტორს.
- ძალიან იდარდაო არა?
- თავს იკლავდაო არ უთქვამს. კანონს ხომ ვერ დაარღვევდაო.

- რა კანონია ასეთი?  
- ალბათ არ ჰქონდათ მეტი ადგილი.  
- არ დაიჯერო, ბაბუა, ეგ ამბავი, – იაკინთემ თავისი მძიმე ხელი ჩამომადო მხარზე და შემანჯლრია, – არ არსებობს ისეთი კანონი ოცდაოთხსეულიანი შვიდი კაციდან ერთადერთს რომ გარეთ დატოვებს. არ უნდოდა და არ ჩაგრიცხა. კაცი არ ყოფილა ეგ შენი რექტორი. იცი რას ჰქვია კაცი? ასეთ შემთხვევაში რომ კანონს დაარღვევს და სხვა სიმართლეს შეუდგება. ბავშვი აღარა ხარ. ცოტა შორს უნდა გაიხედო, დროა. თვალი უნდა გაახილო, გონების თვალზე გეუბნები, არ დაქცეულა ქვეყანა, მეოთხედ დაგტოვეს? მეხუთედ ჩააბარებ და მოეწყობი. შენ ის ბიჭი ხარ, თავისას რომ გაიტანს, გატყობ მე კოჭებში. ოღონდ იცოდე, კაცთა სიგლახეს გამართლება არა აქვს. მეშინია ახლა სხვა რამ არ წამომცდეს და ახალგაზრდა გუნება არ მოგიშხამო. სწორედ მაგნაირი რექტორია, გულს რომ გაგიტეხს და ცხოვრებას რომ მოგამდურებს. დადიან მერე და კითხულობენ; რაშია საქმე, რატომ აღარ სჯერა ჩვენიო, ეტყობა, მერყევი ელემენტი იყო და საზღვარგარეთის პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცაო. ნურავის ნუ ეშინია, ქვის სროლას არავინ აპირებს, მაგრამ ყველამ კარგად იცოდეს, ბაბუა, ყველა რომ თავის საქმეს კაცურად გააკეთებდეს, ცხოვრება უფრო ლამაზი და ადვილი იქნებოდა. მათრახით ავუწვავ უკანალს იმ შენი კომისიის მდივანს, რომ მოდგეს აქ და მტკიცება დამიწყოს: ის ექვსი

კანონიერად ჩავრიცხეთ და ეს მეშვიდე რომ ჩაგვერიცხა, კანონის დარღვევა იქნებოდაო. კანონს კაცები წერენ და ყოველ დაწესებულებას იმიტომ ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, რომ საჭიროების შემთხვევაში კანონს ბრმად კი არ მიჰყევს, როგორც საქმეს მოუხდება, ისე შეასწორ-შეალამაზოს. თუ დანაშაულს არ ჩადიხარ, რა მოხდა კანონიდან მცირე გადახვევისთვის არავინ ჩამოგახრჩობს დღეს. ასე ფიქრობენ, რომ იცოდე, მთავრობაშიც. ასე რომ არ იყოს, დაწესებულებას ხუთი უფროსი კი არ ეყოლებოდა. დააყენებდნენ ერთს – რობოტივით უგულოსა და უჯიგროს. არც ამდენი თათბირი და ბჭობა იქნებოდა, გაჭრიდა იგი კანონის სახელით, მორჩა და გათავდა. რამდენჯერ ინანა კაცობრიობამ განუსჯელი ნაბიჯის გამო, რამდენჯერ დავგმეთ კანონის ბრმა გამტარებლები, ადამიანის პედს კამათელივით რომ აგორებდნენ. კანონს კი ეშველება, მეორე კანონით შეცვლიან, მაგრამ წამხდარ საქმეს არაფერი შველის, ბაბუა.

კანონზე და კაცობაზე ერთ ამბავს გიამბობ. იჯექი ცოტა ხანს ჩემს გვერდით. ასე სჯობს. წყენაც გაგივლის და დედაშენი, რაც მოგვიანებით შეიტყობს შენს „მარცხს“, უკეთესია. სამოცზე მეტი წელინადი გავიდა მას შემდეგ. სოფლიდან ჩამოსული ბიჭი ინსტიტუტის კარს მივადექი. იმ წელს გაიხსნა ჩვენი ინსტიტუტი სწორედ. ფარმაცევტობა ბავშვობიდან მიზიდავდა. წამოვიდე ატესტატი და პატარა მამაპაპეული ხურჯინი – ერთ მხარეს ნახევარი ბათმანი ლობიო მიდევს, მეორეს – ნახევარი ბათმანი ფქვილი. ასე, ჩემი ხურჯინით შევაბიჯე ინსტიტუტში. მდივანმა ქალმა ლაპარაკიც არ მაცალა. სად გეძინათ აქამდეო. ნახევარი გამოცდები უკვე ჩააბარა ხალხმა, რაღა დროსიაო. წადი ახლა და გაისად მაინც არ დაიგვიანო. ამ ლაპარაკში ვართ და მაღალმა, წარბებთეთრა კაცმა გამოიარა. მაშინ რას ვიცნობდი, ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი შავდია ყოფილა, მერე გავიგე. რა გინდა ყმაწვილოვო, რა და სწავლა მინდა-მეთქი. წელს გვიან რომ

არისო? ერთ კვირაში მთავრდებოდა თურმე მისალები გა-  
მოცდები. თუ შეიძლება-მეთქი ბატონო, როდი დავიბენი, ამ  
ხურჯინს მიმიხდეთ, არავინ წაიღოს, დირექტორთან ავირ-  
ბენ, იქნებ თავი შევაცოდო-მეთქი. გაეცინა. მე ვარ დირექ-  
ტორიო. იქვე ფანჯარასთან მიმიყვანა. განცხადება დამაწე-  
რინა (თვითონ მკარნახობდა ტექსტს) და რეზოლუცია და-  
დო: „ყველა კომისიის თავმჯდომარეს ვთხოვ გამონაკლისის  
წესით გამოსცადოს იაკინთე ტულუშიო“. სამ დღეში რვა გა-  
მოცდა ჩავაბარე. ზოგი ხუთზე, ზოგი სამზე. სოფელში გაზ-  
რდილი ბიჭი ვიყავი, ცოდნით მაინცდამაინც თავი არ მისკდე-  
ბოდა. ჩამრიცხეს ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. მთელი ჩემი  
ცხოვრების მანძილზე მადლობელი ვარ პროფესორ შავდიასი.  
რა, ქვეყანა დააქცია, სიტყვაზე რომ ვთქვათ, მე რომ დაგვი-  
ანებით დამიშვა გამოცდებზე? შარშან ჩემს დისტვილიშვილს  
ვიღაც ტუტუფმა გოგომ ოცდათერთმეტ ივლისს „ფორტოჩ-  
კა“ ცხვირწინ მიუჯახუნა: „თორმეტ საათამდე გვქონდა საბ-  
უთების მიღებაო“. საქმეა ეეს?

კაცობაზე გეტყვი ერთ ამბავს კიდევ. თავი თუ არ  
შეგანყინე. მიმიღეს-მეთქი შავდიას წყალობით ფარმაცევ-  
ტულზე. ახლანდელ კოლმეურნეობის მოედანზე, გლეხთა  
სახლში ვათევდი ლამეს, სანამ მისალებ გამოცდებს ვაბარებ-  
დი. გლეხთა სახლიდან თოთხმეტ სექტემბერს დამითხოვეს,  
ჩვენაო, სტუდენტებს არ ვაჩერებთო. რა ვქნა, სად წავიდე?  
ბინის დასაქირავებელი ფული ვინ მომაშავა. ავიკიდე ჩემი  
ხურჯინი, ვიხეტიალე ქალაქში და მუსიკალური ოთხნლე-  
დის შენობას მივადექი. ენგელსის ქუჩაზე იყო თოთხნლედი.  
იქ ჩვენი სოფლელი ბიჭი სწავლობდა, იქნებ ლამის გასათევი  
გამიყოს-მეთქი. მუსიკალურ ოთხნლედს იქვე ეზოში ჰქონდა  
სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. სტუდენტები მაშინ  
არ არსებოდა. ჩვენს ინსტიტუტს საერთო საცხოვრებელი  
კიდეც რომ ვეშვებოდი, გორგაძემ მომაძახა, დღეს ოთხ საა-  
თზე შემოდი ჩემს კაბინეტში, შენთან სალაპარაკო მაქვსო.

ბინაზეც როგორ შემეწუხებინა. ერთი სიტყვით, მივადექი იმ  
ბიჭს. ჩვენაო, მითხრა, ოთხსაწილიან ოთახში რვა სტუდენტი  
ვართ და თანაც ყოველლამე გვამოწმებენ. უცხო პირის ლამის  
გათევა ჩვენთან სასტიკად აკრძალულიაო. ლეიბს გათხოვებ  
და ჭერზე გაათიე ლამეო. იმ ლამესვე ავბარგდი ჭერზე. ერთმა  
ლეიბი მათხოვა, მეორემ დახეული შალის ზენარი და გავკეთ-  
დი კაცი. ლამის გასათევი მაქვს. ჭერზე თაგვები დარბოდნენ.  
მტვერისა და შმორის სუნი იდგა. კრამიტი ისე ხურდებოდა,  
რომ ლამით სუნთქვა ჭირდა, მაგრამ რას დავეძებდი. ლამე  
ავიპარებოდი ჭერზე და დილით ჩამოვიძურნებოდი, პირს ინ-  
სტიტუტის ეზოში ვიბანდი და ლექციაზე ბევრჯერ მშიერ-  
მწყურვალი ვმჯდარვარ. გაცდენით როგორ გავაცდენდი. ასე  
მეგონა, ერთი საათითაც რომ ჩამოვრჩე სწავლას, მერე ვე-  
ლარ დავეწევი-მეთქი. რალა გავაგრძელო. გამცემი ყველგან  
არის. შუალამისას დამადგნენ თავზე მუსიკალური ოთხნლე-  
დის დირექტორი გორგაძე და მისი მოადგილე სამნეო დარგში  
(გვარი ალარ მახსოვს). ვინა ხარ? რა ხარ? აქ რა გინდა?  
ვუთხარი; სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვარ, ლამის  
გასათევი არა მაქვს და ამ ჭერს შევეკედლე-მეთქი. ვინ გირ-  
ჩია აქ ლამის გათევაო, გორგაძემ მკითხა. დაბალი ტანის მსხ-  
ვილულვაშა კაცი იყო, აცხონოს ლმერთმა. – არავინ, ჩემით  
ავირჩიე-მეთქი, მტკიცედ მივუგე. ჯერ აყვირდა, დაყვირდა,  
ხანძარი რომ გააჩინო ვინ აგებს პასუხსო, ვინ მოგცა უფლება  
ასე თვითნებურად ჭერზე ასვლისო, ვირთხებს რომ დაეკბი-  
ნეთ, შარში ჩვენ ჩავვარდებითო, აკრიბე სასწრაფოდ შენი  
ბარგი და მოშორდი აქედანო. ხვეწნა არ დამიწყია, ლეიბს  
ლვედი შემოვაკარი, ხურჯინი ამოვიღლიავე და ფირფიცრის  
კიბეზე რომ ვეშვებოდი, გორგაძემ მომაძახა, დღეს ოთხ საა-  
თზე შემოდი ჩემს კაბინეტში, შენთან სალაპარაკო მაქვსო.

ლექციები რომ დამიმთავრდა, კარგა ხანს ვფიქრობდი,  
მივსულიყავი თუ არა გორგაძესთან. ხიფათს რასმე არ გად-  
ამყაროს, ინსტიტუტს არ მისწეროს და არ გამრიცხონ-მეთქი.

მაინც მივედი. ასე, ხუთის ნახევარი იყო. მელოდებოდა. კაბინეტში ოთხი ისხდნენ. ეტყობა იმათაც იცოდნენ ვინ ვიყავი, რაკი გორგაძე პირდაპირ საქმეზე გადავიდა: სიმღერა თუ იციო, მკითხა. ჩემს სიცოცხლეში არ მიმღერია-მეთქი ვუპასუხე. აბა, მაინც... იქნებ, ერთი სიმღერა მაინც გაიხსენო, სოფელში რაც გაგიგონიაო. მოვალე პირი და „ოისარადა სივარადა“ დავაგუგუნე. ისე ვხტოდი პირველიდან მესამეზე რომ იმ სამ კაცს სიცილი აუტყდათ. გორგაძეს არ გალიმებია. თითქმის ძალით გამაჩუმეს. გორგაძე წამოდგა, მომიახლოვდა და ყველას გასაგონად მითხრა: – ყმაწვილო, ხვალ დილით შენი ატესტატის ასლი მოგვიტანე. ჩარიცხული ხარ საგუნდო ფაკულტეტის პირველ კურსზე. საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნები. აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინოვო.

გავბრაზდი. მე უკვე ვსწავლობ სამედიცინოზე და საერთოდ, არავის დასაცინი არა ვარ-მეთქი. კარის გამოჯახუნებას ვაპირებდი, წინ გადამიდგა გორგაძე. წუ ჩქარობ, ყმაწვილო, ფარმაცეტიულზე სწავლას არავინ გიშლის. აქაც ისწავლე. აქ კვირაში ერთხელ შემოიარე ლექციაზე. სტიპენდიაც გექნება და ღამის გასათევიცო. თქვენი ფაკულტეტის მდივანს არ უთხრა ატესტატი რისთვის გჭირდება, ერთი დღით გამოართვი, ასლი გადააღებინე და ისევ უკან მიუტანეო. საერთოდ, ნურც აქ და ნურც სხვაგან, ნუ ილაპარაკებ რომ ორ ადგილას სწავლობო. სიხარულისგან კინაღამ ხელზე ვაკოცე. ცრემლი ჩაუდგა თვალებში, მახსოვს. წადი, შვილო, ოცდამეცხრე ოთახში შესახლდი. სიმღერით კი მაინცდამაინც თავს წუ მოიკლავო, ღიმილით დააყოლა და გამომისტუმრა.

ოთხი წლის განმავლობაში მეფურად ვცხოვრობდი. ბინაც მქონდა და სტიპენდიაც. საგუნდო ფაკულტეტს გაჭირვებით ვამთავრებდი, მაგრამ სამაგიეროდ ფარმაცეტიულზე თითით საჩვენებელი სტუდენტი ვიყავი, სულ ფრიადებზე ვსწავლობდი.

ომამდე, „წმენდა“ რომ ჩატარდა, უკვე გამოცდილი ფარმაცევტი გახლდით, ერთი ბატყანი ამოვიღლიავე და თბილისში ჩამოვედი, ჩემს გორგაძეს ამ ბატყანს მაინც მივართმევ-მეთქი. შევედი სასწავლებელში, ვხედავ რაღაც კრებაა. ჩემს გვარს მოვკარი ყური, თორემ უკან გამობრუნებას ვაპირებდი, კუთხეში სკამზე ზის კიდევ უფრო დაპატარავებული, თავდახრილი გორგაძე. ტრიბუნასთან ვიღაც წითური, თავკიტრა ახალგაზრდა დგას და ქადაგებს: რა ვიცოდით, ხალხო, მტერი ჩვენს რიგებშიც თუ აღმოჩნდებოდაო. როგორ შემოძვრა ეს გველი ჩვენს სასწავლებელშიო. სანამ ნიღაბი არ ჩამოვგლიჯეთ, ვერ მივხვდით, რომ ცხვრის ქურქში გამოხვეული მგელი იყოვო. მერე ერთხელ კიდევ ჩამოთვალა გიორგაძის „დანაშაულებრივი საქმეები“ და, სხვათა შორის, მეც დამასახელა. გარდა ტროცკისტული მოღვაწეობისა, იმასაც აკეთებდა, რომ ვინმე იაკინთე ტულუშს ოთხი წლის განმავლობაში სტიპენდიას და საერთო საცხოვრებელს აძლევდაო.

თავში სისხლი ამივარდა. წამოვხტი და ტრიბუნასთან მივირბინე. ბატყანი გულზე მყავდა ახუტებული, – ცრუობთ-მეთქი, მივახალე წითურს, იგი ხალხის მტერი არ არის. კაცური კაცია. უბრალოდ შევეცოდე და სახსარი გამიჩინა-მეთქი. ეგ რომ არ ყოფილიყო, მე შეიძლებოდა სწავლა სულაც მიმეტოვებინა-მეთქი. ახლა, მადლობის ნიშნად, ეს ბატყანი მოვართვი-მეთქი.

მომისმინეს. ზოგი აქვითინდა კიდეც, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გორგაძე იქვე დააპატიმრეს, ხოლო მე ორი თვის განმავლობაში ნაღმზე ვიჯექი. დაკითხვას დაკითხვაზე მიწყობდნენ. მიკვირს, მეც რომ ხალხის მტრად არ მიმიჩინეს და არ გამაციმბირეს.

საწყალი გორგაძე და მისი თანამშრომლები, თერთმეტი კაცი დააპატიმრეს ამ პატარა სასწავლებლიდან, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

შენ ის კაცი არა ხარ, შემოგევლის იაკინთე ბაბუა, რომ  
აგიხსნა ეს ამბავი ამისა და ამის გამო მოგიყევი-მეთქი. კარ-  
გად მიხვდები რისი თქმაც მსურდა.

გული არ გაიტეხო. ცხოვრება წინ გელის, ხვალ ყველაფერი  
კარგად იქნება. ადექი ახლა, მხიარულად შედი სახლში. ად-  
გილები არ ეყოთ თურმე და რექტორი დამპირდა, გაისად  
უსათუოდ მიმიღებენ-თქო. ეგრე უთხარი დედაშენს, თავისი  
ჯავრიც ჰყოფნის. გულს ნუ გაუხეთქავ.



## დოლომისი

მატარებელს ჩამორჩენილი კაცივით აწრიალდა ლადო მე-  
ნაბდე. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ხიდისკენ გაირბინა, მოპრუნდა  
და შიო მღვიმელის ქუჩას გახედა.

არავინ ჩანდა.

ალბათ გადაიფიქრეს, მომსვლელი ცხრა საათამდე მოვი-  
დოდაო, დაასკვნა და გული შეეკუმშა; „მომატყუეს“.

ზურგჩანთა ელექტრონის ბოძთან მიაგდო, რიყეზე გამო-  
ყუდებული ბულდოზერის გვერდით, თეთრ ლოდზე წამოწო-  
ლილი ბიჭებისაკენ გაემართა.

ექვსი იყვნენ. ქუდები სახეზე დაეფარებინათ, ხელები  
თავქვეშ ამოენყოთ და პირალმა იწვნენ ყველანი ერთნაირად,  
ერთ ყაიდაზე. უცნობი კაცის მიახლოებისას მხოლოდ ერთი  
მათგანი წამოდგა და ქუდი შუბლზე აინია.

— გამარჯობათ.

— იცოცხლე.

— აქაურები ხართ, ბიჭებო?

— მთლად აქაურებიც არ გვეთქმის. პრაქტიკაზე ვართ  
სოხუმიდან. — წითურმა, ცხვირნისკარტა ბიჭმა, მოსულს  
ცისფერი თვალებით ახედა და გრძელკოზიროკიანი, თეთრი  
ქუდი კვლავ წარბებს ჩამოაფარა.

— მე ვარ აქაური, — ფუნჩულალოყება, შავგვრემანი  
ბიჭი მუხლებზე დადგა, — ჭომელი გახლავართ. გნებავდათ  
რამე?

— არაფერი, — ლადოს გაეცინა, — მინდოდა მეკითხა, რო-  
დის ისწავლეთ საქარიელებმა ტყუილი.

— ეს ერთი კვირაა. მანამდე არ ვიცოდით, — არ დაიბნა  
შავგვრემანი.

ბიჭებმა ერთხმად გაიცინეს. ისე გემრიელად გორავდნენ ქვაზე და ხითხითებდნენ, რომ ლადოსაც გაელიმა, ჯიბიდან ხელები ამოიღო და მზეს ზურგით მიეყუდა.

— არ გეწყინოს, — მორცხვად უთხრა ჭომელს და მხარზე ხელი დაადო.

— მე რა უნდა მეწყინოს. ნაწყენს და მოტყუებულს თქვენ გავხართ. — რიონს გახედა ლოყებფუნჩულამ.

— შენი სახელი? — ლადო ქვაზე ჩამოჯდა.

— გია ჭილლაძე.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე მხატვარი გახლავართ. ლადო მქვია. მივლინებით ვარ თბილისიდან, უქიმერიონზე მარანს რომ ამენებენ, იმის კედლები უნდა მოვხატო.

— დაწყებული გაქვს უკვე? — მარჯვიდან მოესმა ლადოს. მოიხედა, დანარჩენებიც წამომსხდარიყვნენ და ზურგს ხელებშებიჯგებულები მოსულს შესცეკროდნენ.

— ესკიზებს ვაკეთებ, — ლადო ცოტა ხანს გაჩუმდა, — სასტუმროში ვცხოვრობ. გუშინ კინოს წინ ბიჭები გავიცანი. ცუდი ბიჭები როდი ჩანდნენ. დოლომისზე მინდა-მეთქი ას-ვლა. მარტო ვერ ვპედავ-მეთქი. ჩვენ წამოგყვებითო, ორმა მათგანმა, მაგაზე ადვილი რა არისო, ათჯერ მაინც ავ-სულვართ. გზებს თვალდახუჭულადაც გავიგნებთო. რვაზე შევთანხმდით წულუკიძის ძეგლთან. ახლა ათის ნახევარია. მომატყუეს. გული დაგწყდება მაინც, ვინ აძალებდათ, ეთქ-ვათ თავიდანვე, ვერ წამოვალთო, გამოვეწყვე ამ დილით. ვდგავარ, ველოდები.

— რა გინდათ დოლომისზე? — სათვალიანი ყმაწვილი კენჭს უკაკუნებდა თეთრ ლოდს. მისი თეთრი პირისკანისა და შელინდლული ნიკაპის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ამ ბიჭებს შორის ყველაზე ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.

— არაფერი, კაცმა რომ თქვას. ამის ახსნა გამიჭირდება თქვენთვის. საქარიაში პირველად ვარ. ჩამოვედი თუ არა,

დოლომისს დავადგი თვალი, თქვენ ჯერ, ალბათ, არ გქონიათ ასეთი გრძნობა, ჯერ პატარები ხართ. ჩვენთან შედარებით, რა თქმა უნდა, — ლადომ დოლომისს გახედა, — თითქოს გულზე მანევს ეს მთა. მალიზიანებს. ადგილს ვერ ვპოულობ. ესე მგონია, თუ იქ არ ავედი, კაცად აღარ ვივარგებ-მეთქი. სამი დღეა საქმეს გულს ვერ ვუდებ. ასე ვიცი ამოჩემება რაღაც-რაღაცებების.

ბიჭები თეთრად დაღარულ რუს მთას შესცეკროდნენ, ქალაქს რომ თავზე გადმომხობოდა.

— ძნელი არ უნდა იყოს იქ ასვლა. — წითურმა ამოილ-აპარაკა.

— არა. დოლომისი მწვერვალთა სიაშიც არ არის შეტანილი, სიმაღლე ორიათას მეტრამდეა. უბრალოდ მინდა, სანამდე შევძლებ, მივიდე, თუ მწვერვალზე ვერ ავალ, იმ პირველ თოვლამდე მაინც მივიდე. თოვლს მოვკიდო ხელი და გამოვბრუნდე.

ბიჭები დუმდნენ.

— წუხანდელი გაგლეჯილები რომ არ ვიყოთ, ჩვენ წამოგყვებოდით. ერთმანეთს ძლივს ვაყენებდით, ისე დაგვათრო გიას მამამ წუხელის — მობოდიშებით თქვა ვიღაცამ ლადოს ზურგს უკან.

— რა გაეწყინობა. მარტო მომიწევს ასვლა. კარგად ბრძანდებოდეთ, — ლადომ ხელი დაუქნია ბიჭებს და გამოტრიალდა.

ქვიდან ქვაზე ლამაზად ხტოდა, მაღალი იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი. საფეთქლებზე შერჩენილი ჭალარა თმა ასაკს მატებდა, მაგრამ მის ნაბიჯებსა და თვალებს რომ შეხედავდით, მიხვდებოდით, რომ ორმოცამდე წლისა თუ იქნებოდა.

კიბეებთან არც კი იყო მისული, რომ მოესმა:

— ბატონო ლადო!

— ჩვენც წამოვალთ. ხასიათს გაგისწორებთ.

— კი მაგრამ... — ლადოს სიხარულის ცრემლი ყელში მოაწვა. მარტო აღარ მოუწევს სიარული.

— ჩვენს საქმეს დღეს ისინი გააკეთებენ, — გია ჭილლაძემ ქვაზე დარჩენილებისაკენ ხელი გაიშვირა.

ხიდზე ამოვიდნენ. ლადომ ზურგჩანთა მხარზე მოიგდო. ბიჭები მზრუნველად აათვალიერა. სახლებში ხომ არ შეივლითო, ჰკითხა. ისედაც მსუბუქად გვაცვიაო, უარი უთხრეს. ბოლოს და ბოლოს ევერესატზე ხომ არ მივდივართ, ფეხით გავივლით სანამ დავიღლებოდეთ და მოვპრუნდებითო.

ცაზე ღრუბლის ნასახიც არ ჩანს. ამინდი არ გაფუჭდება, რა უშავს „ჯინსებით“ და „ბოტასებით“ სწორედ რომ სპორტულად არიან მორთულიო. რა კარგი ბიჭები ყოფილან. უცნობ კაცს რა მალე ამიბეს მხარიო, — ფიქრობდა ლადო.

გზად ბაზარში შეიარეს. ლადომ ხილი და ყველ-პური შემატა თავის სანოვაგეს, კამოს სახელობის პარკი გადაჭრეს, ოლასკურას სასაფლაოს მარცხნიდან მოუარეს და დოლომის-ისკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

\* \* \*

ერთხანს სამანქანო გზას მიჰყვებოდნენ. მერე ბილიკზე გადაუხვიეს. ბილიკი გზას უმოკლებდათ. ნელა მიაბიჯებდნენ. თავიდან ვერ ააწყევს საუბარი. ერთ საათში გალევა ყინული უცნობ ადამიანთა შორის უნდობლობის სიცივედ რომ განოლილიყო. ბიჭები ისე შეთამამდნენ, რომ ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან. ოთხივენი გვერდიგვერდ მიდიან. მთხობელი ოთხეულს გამოეყოფა, უკანსვლით მოდის და ხელების ქნევით ქაქანებს. ყველაზე ენაწყლიანი სათვალიანი ბიჭი — თემურ ჩალაძე აღმოჩნდა. მხარბეჭიანი, წითური აფხაზი ნოდარ არშბა, პირველი რომ წამოჯდა თეთრ ქვაზე, მოკრძალებული და ჩუმი ყმაწვილი ჩანს. ყველაფერი, რაზეც პრაქტიკუანტები კამათობენ, ლადოს ათასჯერ მოუსმენია პა-

სუხიც ერთხელ და სამუდამოდაა გაცემული იმ კითხვებზე, ბიჭები რომ დიდის ამბით წამოჭრიან ხოლმე. სხვა დროს ლადოს ალიზიანებდა ოცი წლის გულუბრყვილო ბიჭების კამათი, მაგრამ ახლა სიამოვნებით უსმენს. „ღმერთო, რა სუფთა კაცები არიან. რა ლამაზია ცხოვრება ამათი გონების სარკმლიდან. ღმერთო, რა ბინძური მოსახვევები უნდა გაიარონ, სანამ ჩემს ასაკამდე მოვლენ. რამდენ სიგლახეს უჩვენებს და გააგონებს წუთისოფელი თითოეულ მათგანს, რა ბედნიერია ადამიანი, რომელმაც ამ წუთისოფლის ტრიალისა ცოტაზე ცოტა რამ იცის“. — ფიქრობდა ლადო და თავისი მხიარული თანამგზავრების გვარებს უსიტყვოდ იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა.

მუავე წყალი დალიეს. ნოდარმა და გიამ კვართები გაიხადეს და წელზე შემოიკრეს. თემურ ჩალაძემ ზურგჩანთა მოირგო ბეჭებზე. მძიმეა, გაგაწვალებსო დაუშალა ლადომ, მაგრამ არ დაიშალა.

გია ჭილლაძეს სიარული აშკარად უჭირს, მაგრამ არაფერს ამბობს. სუნთქვა გაუხმირდა და კისერს წამდაუწუმ იწმენდს ცხვირსახოცით. „არა უშავს, მოუხდება, ეტყობა, საერთოდ ცოტას დადის“.

— რამდენს გაივლის ადამიანი ერთ დღეში, მაგალითად? — ნოდარ არშბა კითხულობს.

— ადამიანს გააჩნია, — ყველას დაასწრო თემურ ჩალაძემ. — ალპინისტებს რომ ჰკითხოთ, დღეში ოცდაათ კილომეტრზე მეტი რეკომენდებული არ არის, — ლადოს თავისი კატეგორიული ტრიალისა თვითონვე შერცხვა.

— ოცდაათი კი? — არშბა დაეჭვდა.

— ეს სპორტსმენებისთვის, — ჩაერთა გია, — თორემ ჩვენისთანა ხალხისათვის ოციც საკმარისზე მეტია.

— გახსოვთ ოსტაპ ბენდერი? „ფეხით მოსიარულენი უნდა გიყვარდეთ“, — თემურმა ლადოს შეხედა.

— დაიწყებს ახლა თავის ოსტაპ ბენდერს, — გია „ჯინსზე“ წენელს იტკაცუნებს.

— უკეთესს რას დავიწყებ. რა გვაქვს საქმე მეტი, — არ იბნევა თემური.

— ეს ოცდაათი კილომეტრი ნორმაა ხომ? — მისებურად, სერიოზულად კითხულობს აფხაზი.

— როგორ ნორმა. ასეთ პირობებში ჩვენ რომ მივდივართ, თუ ოდნავ აღმართზე უწევთ სიარული, რასაკვირველია, ოცდაათს გაივლიან, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კედელზე დღეში სამ მეტრზე მეტს ვერ გადიან. ისე, სპორტს-მენებს გააჩნია, რა თქმა უნდა.

— თქვენ აღპინისტყი ბრძანდებით? — გიამ ადგილი შეიცვალა, თემურსა და ლადოს შორის ჩადგა.

— არა, კაცო. მთაზე საერთოდ მეორედ ვარ. სკოლიდან ერთხელ უძოზე წაგვიყვანეს. ხომ იცით უძო?

— კი, — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა, თუმცა უძოზე სამივეს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

— სიარული მიყვარს უბრალოდ, ხეტიალი მთაზე, ვაკეზე. ახალი სურათები. სუფთა ჰაერი. ნაური წყალი. დაღლა. კლდეზე ცოცვა არ მიყვარს, სიმართლე გითხრათ, მე უფრო ტურისტის ტიპი ვარ. ცუდი ვქენით, რომ წამოვედით? მართალია დავიღლებით, მაგრამ დაუვინყარი იქნება დღევანდელი დღე. რა უნდა გეკეთებინათ რიონისპირას წამოწოლილებს დღეს ამაზე უკეთესი?

— არაფერი, შუადღემდე ბულდოზერის ღრიალისთვის უნდა გვესმინა, სალამოსპირზე აკაკის ბალში ვიღაცას გადავეყრებოდით და დავლევდით დღესაც, — ნოდარ არშბამ სვანური ქუდი მოიხადა და თითზე დაიტრიალა.

— სმასაც თავისი სილამაზე აქვს. ხანდახან სმაც საჭიროა. ბევრსა სვამთ?

— ხშირად ვსვამთ, კი, — თქვა გიამ.

— ვსვამთ, მაგრამ რად გინდა, ადვილად ვთვრებით, — თემურს ხმაში გულდანყვეტა შეეტყო, — ჩვენი თაობა, როგორც ჩანს, ღვინოს ვერ იტანს. მამაჩემი, მე რომ მიმეძინება, მერე იწყებს სმას.

— ეგ არაფერი. შენს ასაკში მამაშენიც ასე იყო, ალბათ, — დაამშვიდა ლადომ.

ოთხიოდე საათის მერე ტყე ნელ-ნელა გამეჩერდა, დაჩიავდა და ბოლოს სულ გაქრა. ალპურ მინდორზე გავიდნენ, ფერმას გვერდი აუქციეს და ყვავილებით მოჩითული გორაკი რომ აიარეს, ერთბაშად შედგნენ და მონუსხულებივით გაირინდნენ.

თვალწინ უზარმაზარი ლურჯი დერეფანი გადაეშალათ.

ხეობას შუაში ვერცხლისფერი მდინარე ჩასდგამდა, იქ-ით-აქეთ მოცისფრო კლდეები, შორს, პირდაპირ უზარმაზარი მუშტივით აღმართულიყო თოვლიანი დოლომისი. მწვერვალის ძირში თოვლის დიდი მინდორი ანათებდა. თეთრ მინდორს მთვარესავით აჩნდა ლაქები. თოვლი ლურჯი დერეფნის კიდეებზე ჩალაქულიყო წაპრალებში, ოღონდ ეგ იყო, წაპრალებში თოვლს ბინდისფერი დაჰკრავდა.

ლურჯი იყო დოლომისი, ლურჯი და გამჭვირვალე.

— რა სილამაზეა! — თემურ ჩალაძეს წამოსცდა.

— ქალაქიდან რა ახლო ჩანდა, — გია ქვაზე ჩამოჯდა, — ფეხები აღარ მემორჩილება.

ნაკადულთან ჩამოსხდნენ, შეისვენეს და წაიხემსეს.

— ხომ არ დაიღალეთ, ბიჭებო? — ლადომ გააბოლა და ბალახზე გულალმა გაიშოტა.

ნოდარი და თემური გიას მიაჩერდნენ.

— რას მომშტერებიხართ? რა შემატყვეთ დაღლის! — განჟრა გია.

მალე კვლავ ბილიკს მიუყვებოდნენ. თემურს ზურგჩანთა მოჰკონდა. დანარჩენები ზურგზეხელებდანყობილები მიდი-

ოდნენ უხმოდ. ზღაპრულმა გრძელმა დერეფანმა თითქოს დაამუჯვა ბიჭები. მიაბიჯებდნენ თავაწეულნი, დალლილნი. ნოდარს და გიას მზემ ბეჭები აუწვა და პერანგები მხრებზე შემოიხვიეს.

ორი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, მეწყრისგან გაჩენილ ნაპრალს წაადგნენ. ბილიკი მარცხნივ უხვევდა, მა-გრამ ნოდარ არშბამ დაიჟინა, ნაპრალს ძროხები ჩაჰურებენ, აქ რაღაც ამბავიაო. მართლაც, ნამზღვრელზე სამი ჭრელი ძროხა იდგა უძრავად. დროდადრო ერთი მათგანი კისერს წაიგრძელებდა და ხრამს ჩაჰდლავლებდა.

ნოდარი დაწინაურდა, ორმოში ჩაიკარგა და სანამ დანარ-ჩენები მიუახლოვდებოდნენ, მწვანე ბალახზე იდგა ახალშო-ბილი ხელში.

თვალი უკეთესს რას ნახავდა. დოლომისის ფონზე გა-მოცხადებასავით იდგა აფხაზი ჭაბუკი. ხბოს ყელი ჩამოედო ნოდარის მხარზე და თრთოდა.

– ხომ ვთქვი, რაღაც ამბავია-მეთქი, – ნოდარი თეთრ კბილებს აელვებს, – ხრამში იყო გადავარდნილი. სულ ერთი საათის წინ დაბადა დედამ. ჯერ გამშრალიც არ არის. რომ არ მოგვესწრო, უსათუოდ დაიღუპებოდა.

ჩალაძემ თავზე გადაუსვა ხბოს ხელი და დრუნჩზე აკოცა.

– ოქროს ხბოა? – ლადომ გაიღიმა.  
– ოქროსია, აბა, რა არის, – დაუფიქრებლად უპასუხა სტუდენტმა.

– მძიმეა? მომეცი ერთი, – თემურმა ხბო ფრთხილად ჩა-მოართვა და გულზე მიიკრა, – ოჳო, შენ საკმაოდ მძიმე ყო-ფილხარ, ძმობილო.

ახალშობილი ბალახზე ფრთხილად დაუშვეს. ხბო მუხ-ლებში მოიკეცა, დაწვა და კისერწანვდენილმა თვალები დახ-უჭა.

– თუ მიხვდებით, რომლის შვილია, – ლადომ ძროხები-საკენ გაიხედა. სამივენი ბალახს ძოვდნენ. თითქოს, რაღაცას მიხვდაო, ნაცრისფერხალებიანმა თეთრმა ძროხამ თავი აიღო და დაიზმუვლა. ხბომ სუსტი ზმუილითვე უპასუხა, დედა ადგილს მოსწყდა და გამოიქცა. ბიჭებს არც კი შეეპუა, ხბოს ეცა და გამეტებით სლოქვა დაუწყო. ისე ღონივრად უსვამდა ხაოიან ენას შუბლსა და მუცელზე, რომ მისი ლამაზი პირმშო წამოდგა, ენას როგორმე რომ გაქცეოდა, ცოტაზე გაკუნ-ტრუშდა, მაგრამ წონასწორობა ისევ დაკარგა, ჩაიკეცა და ზედ თემურის ფეხსაცმელებს დაადო თავი.

ნაცარა ძროხამ თავი გააქნია, დაიქშუტუნა და შორიახლო ბალახს დაუწყო ძოვა.

– რა ვუყოთ? – გიამ იკითხა.  
– ეგ ძროხა ფერმამდე მაგის ჩამყვანი არ არის, ისევ ხრამში ჩავარდება და დაიღუპება, – ლამის ტირილით თქვა ჩალაძემ.

– ასე გავაკეთოთ: მინდორზე გაიყვანეთ ეს ხბო და მზის გულზე დასვით. დედამისი მოუვლის როგორმე. ჩვენ კიდევ კარგა მანძილი გვიდევს, – საათზე დაიხედა, – ოთხი დაიწყო. პირველ თოვლამდე ხომ უნდა მივიდეთ. უკან დაბრუნებას ვეღარ მოვასწრებთ, დაგვალამდება.

გიამ ხვნებით აიყვანა ხბო, ოცდაათიოდე ნაბიჯზე აიაღმართა და ისე, როგორც ეჭირა, მოკეცილი დასვა ბალახზე. ხბო კარგახანს არ განძრეულა. თრთოდა და ქარ-ვისფერ ჩლიქებს ბალახს ამაღლ უსვამდა.

ბიჭები კარგა მანძილზე გამოერიდნენ ძროხებს, მაგრამ დედაძროხა კვლავინდებურად ბალახს სძოვდა და ხბოსკენ არც მიუხედავს.

– უსათუოდ დაიღუპება. – სიჩუმე თემურ ჩალაძემ დაარ-ღვია.

ნოდარ არშბა ხბოსკენ წავიდა, აიყვანა და ნაპრალთან დარჩენილებს გამოსძახა:

– ნელა იარეთ და დაგეწევით. ფერმაში ჩავიყვან. ამის ცოდვით ლამე ვერ დავიძინებ. არ გეწყინოთ, ბატონო ლადო!

– კეთილი, ამ ბილიკს გამოყევი, – მხატვარი მაშინვე მიხვდა, რომ ახლა დროის დაკარგვაზე წუწუნი ზედმეტი იყო.

არშბას გულზე ატატებული ხბო ფრთხილი და ლონიერი ნაბიჯით მიჰყავდა თავდაღმარში.

საღამოსკენ ამინდი შეიცვალა.

ჯერ დოლომისის თოვლიან შუბლზე გაჩნდა პატარა, შავი ლრუბელი. სუსხიანმა ქარმა დაპერა. მთებზე უზარმაზარი ჩრდილი გაწვა. შავი ლრუბელი გაფუვდა, გაიზარდა და კოკისპირულმა წვიმამ მათრახივით დასცხო ზურგში დოლომისისკენ მიმავალთ.

მარჯვნივ, ფერდობზე გამოქვაბულის პატარა შავი ხახა დალანდეს. იქით გაიცნენ, სველ ბალახზე ფეხი უსხლტებოდათ, სანამ გამოქვაბულამდე ააღწევდნენ, თავიდან ფეხებამდე გაილუმპნენ.

– „გრაფი მონტე კრისტო ჩემგან არ გამოვიდა, პროფესიის შეცვლა და სახლმართველად გახდომა მომინევს“, – თქვა თემურმა.

გიას გაწურული პერანგი ეჭირა ხელში და გამეტებით ირტყამდა ბეჭებზე.

– ამინდმა გვიღალატა, – ლადომ მონადირისა თუ მწყემ-სისგან დატოვებულ ლადარს დახედა. – ფიჩი რომ გვქონდეს, ცეცხლს დავანთებდით და ცოტას მაინც შევშრებოდით.

– რომელი საათია? – გიამ იკითხა.

– შვიდია, – ლადოს რეზინის ჩექმები გაეხადა და ზურ-გით მღვიმეს მიბჯენოდა, – ბილიკისაკენ თვალი გეჭიროთ, ნოდარი აქ ვერ მოგვაგნებს. თუმცა რაღას ვუცდით, გავ-ბრუნდეთ, გზაში შეგვხვდება.

სამივენი კარგა ხანს იყვნენ ჩუმად, გაბრუნება არც ერთს არ უნდოდა.

– ვერ შევასრულეთ დანაქადები, – ნაცარს ჩაჰურებდა თემურ ჩალაძე.

– გვიან გამოვედით. ხბომაც დიდი დრო დაგვაკარგვინა, – თავი იმართლა „ექსპედიციის ხელმძღვანელმა“, – ცოტას გადაიღებს და დავეშვათ.

– დილიხორის ამბავია, – გიას ხმა იყო.

– რისი? – ლადოს მსუქანი ბიჭისკენ არც გაუხედავს.

– უინის.

– უინის კი არა, პრინციპის, – გაუსწორა ჩალაძემ.

მხატვარს სითბოდ ჩაეღვარა გულში ბიჭების დაუოკებელი სურვილი, ასე დაღლილნი, უვარჯიშებელნი, სველი კვართებით და თხელი „ბოტასებით“ ასულიყვნენ თოვლიან მწვერვალზე. „ესენი არიან გულგრილი, მოდუნებული, საზოგადოებრივ აქტიურობას მოკლებული ახალგაზრდები? რა ცოტა ვიცით მათ შესახებ, რა ხშირად ვცდებით ამ გამწლაკული ჯინსიანი ბიჭების პოტენციის შეფასებაში“, – ფიქრობდა ლადო.

– რას ვშვრებით, ვბრუნდებით? – ჩალაძემ სხვისი ხმით იკითხა.

– უეჭველად. უაზრო რისკი რად გვინდა. გამოვიარეთ, ჰაერი გადავყლაპეთ. დოლომისი სხვა დროს დავლაშქროთ, – ლადოს ხმაში მაინცდამაინც კატეგორიულობა არ უღერდა.

– ნოდარს დაველოდოთ, ვნახოთ რას იტყვის, – გამოსავალი გიამ იპოვა.

წვიმა არ ცხრებოდა. მღვიმეში ციოდა და ნესტის სუნი იდგა. მხატვარი ხელებჩამწყვდეული თვლემდა, გია და თემური ერთმანეთს მიკვროდნენ და წვიმას გასცემოდნენ.

ნოდარს პერანგი გაეხადა და თავსხმაში დინჯად მოაბიჯებდა. ლონიერ ბეჭებზე წვიმა ხელებს უტყაპუნებდა.

- ნოდარ! აფხაზი შედგა, ფერდობს ამოხედა და სწრაფად ამოირბინა.
- ჩააბარე ხბო პატრონს? – ლადომ ჰკითხა.
- აბა, რა.
- რაო, რა გითხრეს?
- მადლობაო, რას მეტყოდნენ მეტს, ძროხები შორს მიდიანო საბალახოდ და ხშირად გვეკარგება ხბო. ხრამში მაგას ვერავინ იპოვიდა და მგელი შეჭამდაო ამაღამ.
- დედა, კაცო, დედა? მიატოვებდა? – თემურს სასონარკვეთილის ხმა ჰქონდა.
- ესეც ვიკითხე, სხვათა შორის, – არშბა დინჯად ლაპარაკობდა, – თუ გამოცდილი ძროხაა არ მიატოვებსო, მაგრამ ეს ჩვენი დაქალი პირველი დედა ყოფილა; ჯერ მაგან არც იცის თურმე შვილის ფასი. ცოტა ხანს იტრიალებდაო ხრამთან, რომ ვერაფერს გააწყობდა, მიატოვებდა თურმე შვილს და ნახირს გამოჰყვებოდა.
- არ ეტყობა? გახედე, რა არხეინად ძოვს ბალახს, ხბო აღარც კი ახსოვს მაგას, – გიამ ქვევით, ძროხებისკენ გაიშვირა ხელი.
- ახლა საქმე, ჩალაძემ ხელისგულები ერთმანეთს გაუსვამოუსვა, – ბატონი ლადო ამბობს, რომ თოვლამდე მისვლას ვეღარ მოვასწრებთ და უკან დავბრუნდეთო. მე და გია გზის გაგრძელების მომხრე ვართ. დათქმა, დათქმა. შენ რას იტყვი?
- აბა რა. – ნოდარს მეტი არაფერი უთქვამს.
- წვიმამ რომ გადაილო და გზას დაადგნენ, დოლომისის ნაპრალებში ბინდი წვებოდა.
- სიარული უფრო და უფრო გაძნელდა.
- ბალაზი უკან დარჩა. ბილიკიც გაქრა, შლამსა და ლორლში ფეხი ეფლობოდათ, მიდიოდნენ უხმოდ, ერთხაზად გამ-ნერივებულნი. წინ ლადო მიაბიჯებდა და დრო და დრო ბიჭებს შეეხმიანებოდა – ე მანდ, ქვას ჩაეჭიდეთ, არ ჩაცურდეთო.
- მალე მოიწმინდა და დოლომისს სავსე მთვარე დაადგა. ციოდა. იდუმალი და საშიში ჩანდა მწვერვალი და მის წინ ლომის ხახასავით გაშლილი კლდეები.
- უკან, შორს და ქვემოთ, ციცინათელასავით ბუუტავდა ფერმა.
- თოვლი! – პირველად ლადომ შედგა გაყინული თოვლზე ფეხი. ოთხივენი ერთბაშად მოწყდნენ და თოვლს ზურგებით დაეცნენ. – ესეც ასე, რა სიცივეა, დასწყევლოს ეშმაკმა, – გიას ყელში უჭერდა ყინვა. სხვისი ხმით ლაპარაკობდა.
- სხვები დუმდნენ.
- ირგვლივ სამარისებური, აკლდამური სიჩუმე იდგა.
- ახლა დაბრუნება არ გინდა? – გია ანუწუნდა.
- არა უშავს. სამ საათში ჩავალთ. დასვენება უარესია. ნელა ვიაროთ, ადექით, თორემ გაცივდებით.
- ლადომ ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და შეტრიალდა, გია ზლაზვნით წამოდგა და მიჰყვა.
- ბატონო ლადო! – ნოდარ არშბას ხმაა.
- თემურ ჩალაძე და ნოდარ არშბა თოვლზე წამომჯდარან.
- რაღას ელოდებით?! – ლადომ მოიხედა და თოვლზე დარჩენილებს ხელი დაუქნია.
- ბატონო ლადო, რაღა დარჩა ანი, დიდი დიდი ერთი საათის სავალი. – არშბა არ ხუმრობდა.
- ნუ სულელობთ, – მხატვარი პანიკურმა შიშმა შეიპყო. თავისივე ხმა ვერ იცნო და ამან უფრო გააპრაზა.
- თქვენ და გია გაბრუნდით, თუ არ გეწყინებათ, გამოქვაბულში დაგველოდეთ, ჩვენ ავალთ.
- რა დაგემართათ, რა ბზიკმა გიკბინათ. გაგიუდით? ამ შუალამისას. რას აპირებთ!

– გემუდარებით, ბატონი ლადო.  
– არ გაცვიათ და არ გახურავთ!  
– არ გვცივა. – თემურს მაინც რაღა მოუვიდა. საიდან გაჩნდა ეს უაზრო ჟინი. დოლომისმა ჭკუიდან ხომ არ შეშალათ.

– მომისმინეთ... მოიცათ... მოვილაპარაკოთ...  
მაგრამ ბიჭებს მოლაპარაკება აღარ სურდათ.  
... ცოტა ხნის შემდეგ ხრაშუნა მინდორზე ოთხნი მიაბიჯებდნენ.

სადაცაა თოვლი გათავდება და დაიწყება ჭიდილი მწვერვალთან, ჭიდილი კლდესთან, ნაპრალებთან, სიკვდილთან.

პირველად თავის სიცოცხლეში ლადო უმწეო იყო. არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. უკან მარტო ხომ აღარ დაბრუნდებოდა?

და მიჰყვებოდა იგი ბიჭების ჯიუტ ნებას, მათ ძარღვებში აბლავლებულ სისხლს იმ შორეული წინაპრისა ამ კლდეების ძირში პირველი რომ მოვიდა და ცეცხლი დაანთო.

მიდიოდა და ტიროდა.



## გულთმისანი

– „თვითმფრინავი, რეისი „236“, მიმავალი სარდაყის მიმართულებით ტექნიკური მიზეზების გამო იგვიანებს ცამეტ საათამდე!“

ამის გაგონებაზე კალისტრატე ფანჩულიძეს გული შეეკუმშა, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და „მეორე გასასვლელთან“ შექუჩულ მგზავრებს ხმამალლა განუცხადა: „თავის აგდება არ არის ახლა ეს?!“ რაკი არავინ გამოეპასუხა, ჩანთას ხელი დაავლო და ცნობათა ბიუროს ჯიხურისკენ გაიქცა, „კაცმა რომ თქვას, რა მაყვირებს, ხომ ვიცოდი, რომ „236“ არ გაფრინდებოდა, ან ახლა რა მინდოდა ცნობათა ბიუროში, ხომ ვიცი, რისთვისაც ვიგვიანებთ. შენ ეს თქვი, სად მოვკლა ახლა ეს ხუთი საათი, სად ჯარხანაში შევძვრე, რეაქტიული ძრვების წივილმა რომ არ გამაყრუოს“.

ამ ფიქრებში გართული კალისტრატე გასცდა ცნობათა ბიუროს, ქუჩაში გავიდა და აეროპორტის სასტუმროსკენ აიღო გეზი.

„მეორე გასასვლელს“ მოწოლილ საქმიან და უსაქმო მგზავრებს ეგონათ, ალბათ, ეს კაცი სახელმწიფო, გადაუდებელ საქმეზე მიიჩქარის და საპარო ტრანსპორტმა დააღალატაო. სინამდვილეში კალისტრატეს არსად ეჩქარება, არც სარდაყის აეროპორტში ხვდება ვინმე და არც სიმპოზიუმის თავმჯდომარე ეკითხება ლოდინით გასავათებულ დარბაზს წამდაუნუმ: – ფანჩულიძე ხომ არ ჩამოსულაო.

წასულხართ სადმე სახლიდან შორს სრულიად უსაქმოდ? თუ არ წასულხართ, სურვილი მაინც არ გაგჩენიათ; ცოტა ხნით თუ არ მოვშორდი აქაურობას, კარგი არ მომივაო? გუშინ გადაწყვიტა წასვლა კალისტრატემ სარდაყში. ვიღაც ოჯახაშენებულმა ჯავშანი დაუთმო. ამ დილით, ექვს საათზე, ტაქსში

რომ ჯდებოდა, უკვე იცოდა, რომ თვითმფრინავი დროზე არ გაფრინდებოდა, მაგრამ ცოლ-შვილისთვის არ გაუმხელია, სერიოზულად გადაპოვნა ჯალაბობა. „სასწრაფო მივლინებით რომ არ მგზავნიდნენ, რა მინდა ამხელა გზაზე“, მერამდენედ გაიმეორა და ცოლ-შვილს რომ გადახედა, კმაყოფილი დარჩა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ შინ დარჩენილებს ეჭვი არ ეპარებოდათ კალისტრატეს ნათქვამში.

მაინც რატომ მიდის? ვის დავუმალო – ზეგ ერთი თვე შესრულდება, რაც უცნაური რამ შეატყო კალისტრატემ თავს: წინასწარ ხვდება ყველაფერს. სიტყვა „გულთმისანი“ დიდი ხანია გაჩნდა ჩვენს ლექსიკონში, მაგრამ თვით ცოცხალი გულთმისანი, ალბათ, არავის უნახავს და აი, ქალაქ ძელქვიანას მკვიდრმა, მეშვიდე საცდელ-საჩენებელი სკოლის სამნეო ნაწილის გამგემ კალისტრატე ფანჩულიძემ ერთ მშვენიერ დღეს თავის თავში გულთმისანი აღმოაჩინა. სხვის აზრებს შეუცდომლად კითხულობს. წინასწარ იცის რა უნდა მოხდეს, რას რა მოჰყვება.

არ შეგვეხარბოს კალისტრატეს მდგომარეობა, ძვირფასო მკითხველო. არც ეგრეა საქმე. ყველაფრის წინასწარ ცოდნა აუტანელი აღმოჩნდა. დაიტანჯა კაცი. დადის სამსახურში, ხვდება ნაცნობებს, კითხულობს გაზეთებს, უცქერის ტელევიზორს და ყველაფერი წინასწარ იცის. იცის, რას იტყვიან; იცის სად ატყუებენ და სად არა. სარდაყში მიდის, იქნებ სხვა გარემოში, ხანდახან მაინც გაექცეს წინასწარ ყველაფრის ცოდნის ამ სამინელ გრძნობას. ახლა აეროპორტის სასტუმროში სასთუმალზე დადებს თავს და ცოტას წაუძინებს, მაგრამ ღრმადაა დარწმუნებული, რომ უარს ეტყვიან.

ისე აგიხდეს ყველაფერი კარგი; საშუალება რომ მქონდეს, შენზე უკეთესს ვის დავეხმარებოდიო, ადმინისტრატორმა. კალისტრატეს არაფერი უთქვამს, სასტუმროს კიბეს აუყვა და მეორე სართულის მორიგეს მიაშტერდა. – ესეც უარს მეტყვის, ამ ხნის ქალებს სამსახურის დაკარგვის ეშინიათო. არც მესამე

სართულის მორიგე – ახალგაზრდა, მოხდენილი გოგონა მოუვიდა თვალში – ეს აქ სტაუისთვის მუშაობს და ჩემი თუმნიანისათვის დახასიათებას არ გაიფუქებსო, მეოთხე სართულზე შეჩერდა. მორიგის მაგიდას ფაშთაშა, კოტიტათითებიანი ქალი უჯდა. სახე ისე ჰქონდა დაწითლებულ-დასივებული, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათ – ასეთებს ჭამა უყვართ, ფულისთვის მშობელ მამას გაჰყიდის, – გაიფიქრა მგზავრმა და არც შემცდარა.

– თვითმფრინავი იგვიანებს და სამი-ოთხი საათით ვერ მომასვენებ სადმე, ქალბატონო?

ქალმა დაამთქნარა, უპეებდაქაჩული, სისხლჩამდგარი თვალებით ამოხედა, კარგა ხანს უყურა და უეცრად გაიღიმა, ყვითელლოჯებიანი, საზარელი ღიმილით.

– გენდო?

– არ გინდა ლაპარაკი.

– თუმანი დაჭირდება ამ საქმეს.

– კი, ბატონო, – კალისტრატემ განზე გაიხედა.

– გაყევი ამ დერეფანს და სადაც გაგეხარდება, იმ ოთახში შებრძანდი და დაისვენე. გაღვიძებით მე გაგაღვიძო?

– გმადლობტ. ისე, თვალს მოვატყუებ, მაინც არ დამეძინება. ესე იგი, სად შევიდე?

– სადაც გაგეხარდება. ცარიელია მთელი სართული, – დაადევნა მორიგემ.

კალისტრატემ ოთხასოცი ნომრის კარი შეაღო. ჩანთა სკამზე დადო. პალტო დივანზე მოისროლა და ის იყო ჰალსტუხს იხსნიდა, დააკაკუნეს.

მორიგეს ყიყინა, გამყინავი ხმა ჰქონდა.

– ფული ვნახოთ, თუ არ გეწყინებათ.

– არ მენდობი? – კალისტრატეს გაეცინა, მორიგეს თუმნიანი ჩაუდო ხელში და შემოტრიალდა, ჰალსტუხი მოიხსნა და კარი გასაღებით ჩაკეტა.

მაინც ვერ მოისვენა. აეროპორტის ხმაური ფანჯრის ღრი-

ჭოებში მოძვრებოდა და თითქოს რკინას ხერხავენო, ყურში კი არა, ზედ გულის კოვზზე ეცემოდა დამთრგუნველი წუილი. ამაოდ იტრიალა ლოგინში და ზუსტად ერთი საათის მერე, ისევ მორიგე ადმინისტრატორის ჯიხურის წინ იდგა.

— ხომ არ განთავისუფლდა რამე? ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ, ვერ ვარ რაღაც კარგად.

— რომ მქონდეს საშუალება, უარს გეტყვით თქვენ? ვის შევუნახო ნომრები, სასტუმრო იმისია, რომ ხალხმა დაისვენოს, — ისე დამაჯერებლად ეუბნებოდა ფართოყურება ადმინისტრატორი ამ უსირცხვილო ტყუილს, რომ კალისტრატემ კინალამ ირწმუნა.

— გამაგებინე ერთი რა გვჭირს, — სარკმელში თავი შეჰყო და ხმას აუწია კალისტრატემ.

— რავა, რა იყო?! — დაინტერესდა ადმინისტრატორი.

— რაშია საქმე? ასე რატომ დაკარგეთ სინდის-ნამუსი, გამარკვიე ერთი და წავალ. — მგზავრს სიბრაზისაგან მარცხენა ლოყა აუცახცახდა.

— ვერ გეტყვი ვერაფერს. ახალს ამბობენ რამეს? — გულუბრყვილო, ალალი კაცის გამომეტყველება კი მიიღო სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

— განზე კი ნუ იყურები. შენს თავს შეხედე. ადამიანი ხარ ახლა შეენ? კაცის გაცხია რამე? მთელი სასტუმრო ცარიელია და მე, გულმტკივან კაცს, მეუბნები ადგილი არ მაქსო? რამ გაგათახსირა ასე, მითხარი, რამ მოგიღო ბოლო?!

ადმინისტრატორმა ამ კითხვას არ უპასუხა. წამოდგა, მაგიდის კუთხეში ქალალდს დაწვდა, მერე ელვის სისწრაფით შემოტრიალდა და ლონივრად ჰკრა სარკმელს ხელი. კალისტრატემ იმარჯვა, თორემ მინა ცხვირ-პირზე შეასკდებოდა.

— რა უნდა გელაპარაკო, ხვადაგი ხარ, მეტი არაფერი, ჩაილაპარაკა, ხელი აიქნია და სარკმელს მოშორდა.

ლამდებოდა, როცა აეროპორტის ტერიტორიაზე მიმოფანტულ, ყიალით დალლილ მგზავრებს თვითმფრინავისკენ უხმეს.

კალისტრატემ ცას ახედა. მოეჩვენა, რომ ცა დუღდა. ღრუბლები ადგილზე ირეოდნენ. ხანდახან ისე აფუვდებოდნენ და გაიბერებოდნენ, თითქოს საცაა ამ უზარმაზარი ქვაბიდან გადმოიღვრებიანო. მერე ისევ შეიკუმშებოდნენ და შიგნიდანვე აიმღვრეოდნენ.

სამნეო ნანილის გამგე „ტუ-154“-ის სარკმელს მისჯდომოდა და თითბრის ლურსმნებით მოჭედილ უზარმაზარ ფრთას უაზროდ დაჲყურებდა. თვითმფრინავი მიწას რომ მოწყდა, მხოლოდ მაშინ მოხედა მეზობლებს. კალისტრატეს გვერდით ორმოცდაათიოდე წლის თმაშეფეთქილი გამხდარი კაცი იჯდა. გულთმისანმა ჯერ მის წინწამონეულ ყვრიმალებზე გადაკრულ სახის კანს, ქალის კანივით თხელსა და სიფრიფანას, აავლო თვალი, მერე ძარღვებამობურცულ, ხისგან გამოჩირქილივით უხეშ ხელებზე დახედა და გაიფიქრა: ამ სახის პატრონს ასეთი ხელები რანაირად აქვსო. იქეთ ქურქიანი, ბერეტჩამოფხატული, ცხენთავა კაცი თვლემდა. მისი პირისახის დაუფარავი ნაწილით თუ ვიმსჯელებდით, საოცრად ჰგავდა ფერნანდელს — ფრანგ მსახიობს.

— მაქსიმე, — თითქმის ჩასჩურჩულა გვერდით მჯდომამა.

— ბატონო? — კალისტრატემ თვალებში შეხედა.

— მაქსიმე, — გაუმეორა უცნობმა და მარჯვენით მუხლზე შეეხო.

— მაპატიე, — სამნეო ნანილმა ახლალა შენიშნა მისკენ გამოწვდილი ხელი, — კალისტრატე.

— სასიამოვნოა. იქეთ რომ მოვფრინავდით, კვირჩხიბელი კაცი იჯდა ჩვენს გვერდით. მეწისქვილე ვარო. რა ერქვა, — „ფერნანდელისკენ“ გაიხედა.

— იპოლიტე, — ბერეტიანმა თავაუნევლად უპასუხა.

„მივლინებით იყვნენ ჩვენსკენ. ერთი კვირის ჩამოსულები თუ იქნებიან, მეტის არა. ეს იქედან ჩანს, რომ მზით გარუჯულები მაინცდამაინც არ არიან და არც სახე აქვთ სმით დასივებული. რომელიმე დაწესებულების შემოწმებაზე იქნე-

ბოდნენ. დოკუმენტებიანი ხელჩანთა მუხლებზე უდევს იქეთას. ესეც არ იყოს, ორნი არიან. ვაჭრობის სისტემას არ უნდა ეკუთვნოდეს მათი შემოწმების ობიექტი. ჯერ ერთი – არავინ გამოაცილა და მეორეც – ვაჭრობის რევიზორებს ჩაცმულობითაც არ ჰქონდა. უფრო სპორტული უნიტების სტუმრები უნდა იყვნენ. კი, ხელებზე ეტყობათ, ყოფილი სპორტსმენები არიან“.

რაღაც ხომ უნდა ეკითხა და კალისტრატემ ზრდილობის ხათრით ამოიღო ხმა:

- დიდი ხანია აქეთ ხართ?
- არც ისე, – მაქსიმე კვლავ „ფერნანდელს“ შეხედა, – როდის ჩამოვფრინდით?
- თვრამეტში, – ჩაილაპარაკა ბერეტიანმა.
- ჰო, თვრამეტში. ერთი კვირაა. დღეს ოცდახუთია ხომ. ზუსტად ერთი კვირა გამოდის.
- რა საქმეზე, თუ საიდუმლო არ არის, ბოდიშს ვიხდი ცნობისმოვყარეობისათვის, – მშვენივრად იცის კალისტრატემ მათი ჩამოსვლის მიზეზი, მაგრამ თავისი მიმხვედრიანობის შესამოწმებლად ეკითხება.
- ჩვენ სათხილამურო ბაზებს ვამოწმებდით. ვიყავით აგურიანში, ხვამლეთში, თრემლში და კიდევ ახალი ბაზა რომ შენდება, რა ჰქვია? – კოლეგას გახედა.
- სამკარო, – თვალგაუხელად უპასუხა დიდმა ფრანგმა მსახიობმა.
- ჰო, სამკაროში.

კალისტრატეს ყურადღება ბერეტიანმა უფრო მიიპყრო. ეს კაცი საუბარში არ ერევა. თითქოსდა თვლემს კიდეც. გეგონებათ, არც კი აინტერესებს, რაც მის ირგვლივ ხდება, მაგრამ რასაც ჰქითხავს მაქსიმე, სულმოუთქმელად, დაუფიქრებლად პასუხობს.

„ახლა მე რომ ვკითხო, როგორ ჩაიარა შემოწმებამ და რევიზიით კმაყოფილი თუ ხარ-მეთქი, ჩემი მხრივ, ზედმეტი

ჩაკირკიტება და ცოტა უზრდელობაც იქნება. მაქსიმე ისეთი კაცი ჩანს, რომ სათქმელს გულში არ ჩაიტოვებს. ზუსტად ორი წუთის შემდეგ იგი თვითონვე აღაპარაკდება. ვცდი“.

მართლაცდა, მაქსიმე ორიოდე წუთს ელოდა შეკითხვას, მერე კი მკლავი მკლავში ჩაიმწყვდია და დაიწყო:

– ჩვენთვის იყო სასარგებლო ეს მივღინება. ცოტა გადავხალისდით. კაბინეტიდან გამოვედით, სუფთა ჰაერზე გავიარეთ; თორემ ისე არაფერი. სისულელეა ეს ყველაფერი. სულ ტყუილად მივდექ-მოვდექით და ეგ იყო. გამასხარავებული ვართ უკვე. სანამ ჩვენ ჩვენს დასკვნებს ვაკეთებდით, უკვე დაირეკა და „რაც საჭირო იყო“, გაკეთდა. თუ ის ვთქვით, რაც ვნახეთ, შეიძლება საყვედურიც კი მოგვარტყან“, ტენდენციურობისათვის“. ამიტომ, ჩვენ არც ისე ბრიყვები ვართ, კედელს ვურტყათ თავი. იმას კი არ დავწერთ, რაც სინამდვილეა, დავწერთ, რომ ძირითადად ყველაფერი კარგად მიდის, ოღონდ შეიმჩნევა მცირეოდენი ნაკლოვანებანი. ასეთი სიმართლე უფრო აძლევს ხელს ორივე მხარეს და აუტკივარი თავი რაზე ავიტყიოთ.

გეცოდინებათ, რასაკვირველია, რომ სპორტის ამ სახეობაში კობა ბრეგვაძის მერე არც ერთი დიდი სპორტსმენი არ გამოჩენდა. არ დაიბადა, მორჩა და გათავდაო, იტყვიან ჟურნალისტები და დაიბანენ ხელს. არ არის ასე საქმე; რომ დაიბადება, უნდა გაიზარდოს. ახლა არ არის ის დრო, კობა ბრეგვაძე რომ თავისი გამოთლილი თხილამურებით ხტებოდა და ტრამპლინის შესაკეთებლად საკუთარი ოჯახიდან ეზიდებოდა ხე-ფიცარს. მადლობა ღმერთს, ახლა ტრამპლინიც არაერთი გვაქვს და ბუნებრივი პირობები აგურიანში რომ არის – ისეთი უნდა. თუ მოხდა სასწაული და ჯიუტმა ბიჭუნამ, რომ იტყვიან, თავის ბავშვობას აჯობა, შიშველმა ნიჭმა თავისი გაიტანა და მცირეოდენ წარმატებას მიაღწია, მერე, იცოცხლე, ათასი გადია გამოუჩინდება. თავზე ხელის დამსმელი სანთლით საძებარი არაა ჩვენში. სამი სათხილამურო ბაზაა, როგორც მოგახსენეთ:

აგურიანი, ხვამლეთი, თრემლი და სამკარო ახლა შენდება. ესე იგი, ჯერჯერობით, სამი პატარა სოფლის ბავშვებს აქვთ მხოლოდ საშუალება სამთო-სათხილამურო სპორტში სცადონ ბედი. დანარჩენები? ვარჯიშის საშუალებას მოკლებული არიან. რანაირადო, იყითხავთ თქვენ, აბა, საიდან არსებობს ეს ამდენი ნაკრები გუნდები: დამერწმუნეთ. ესენი ძირითადად ამ სამი სოფლის ბიჭები არიან. რატომ? სამთო-სათხილამურო სპორტს, ისე როგორც სპორტის ყველა სახეობას, სკოლის მერხიდანვე უნდა მისდევდე. სკოლებში კი არდადეგები მხოლოდ თორმეტი დღეა ზამთარში: დანარჩენ დროს ჩვენი „სპორტსმენები“ სკოლის მერხებს უსხედან თავიანთ უთოვლო ქალაქებში. იმ თორმეტ დღეს ჩვენი სპორტული ბაზები გავსებულია შეძლებულ მშობელთა განებივრებული გოგო-ბიჭებით (არც შვილებს და არც მამებს აზრად რომ არ მოუვათ სპორტს დაუკავშირონ თავიანთი მომავალი). ასე რომ, ნიჭიერი მომავალი სპორტსმენისთვის არც იმ არდადეგების თორმეტ დღესაა ადგილი ჩვენს სათხილამურო ბაზებზე. ამასწინათ ხვამლეთში სპორტული ინტერნატი გახსენს, მაგრამ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა ქალაქელმა მშობელმა „გაიმეტა“ შვილი ინტერნატში გასაგზავნად. ახლა თვითონ განსაჯეთ, რა სპორტსმენი უნდა გაიზარდოს ასეთ პირობებში?

მწვრთნელს რომ ვახსენებთ, თქვენ ალბათ თვალწინწარმოგიდგებათ მშობლიურ სპორტს შეწირული, უანგარო კაცი, რომელმაც დაამთავრა ეკონომიკური ან იურიდიული ფაქულტეტები და სპორტს მაინც არ უღალატა. ფულის შოვნის გზას კი არ გაჰყვა, ისეთ „სუფთა“ საქმეს მოკიდა ხელი, როგორიც მწვრთნელობა გახდავთ. იშვიათად კი, ასე ხდება, მაგრამ ჩვენი შეხედულება მწვრთნელზე საკმაოზე მეტად მოძველდა. არ მოიტყუოთ თავი. დღეს სპორტსაც ბევრი საქმოსანი მიეტმასნა. რა ფული კეთდება სპორტში, იტყვის მიამიტი კაცი. რა ერქვა თრემლში უფროს მწვრთნელს? – მაქსიმე ბერეტიანს გახედა.

- შამილი.
- შამილი, რა გვარი იყო?
- ხუგაშვილი.
- ჴო, შამილ ხუგაშვილი, – მაქსიმეს გაეცინა, – რომ შეხედავდით, ტყიდან შესვენებაზე გამოსულ ყაჩალს ჰგავდა. ხუთი წელი მარტო შესახედაობისთვის ეკუთვნოდა, ისე გველაპარაკებოდა, თითქოსდა დიდი დანაშაული მიგვიძლოდა მის წინაშე და ამ უდროო „რევიზით“ საქმეს მოვაცდინეთ. რას აკეთებს ხუგაშვილი? თავი დავანებოთ იმას, რომ სპორტული ბაზა სასტუმროდ უქცევია. შამილს გაფორმებული ჰყავს შვიდასამდე სპორტსმენი. ეს სპორტსმენები უმეტესობა მკვდარი სულებია. სინამდვილეში თრემლის ტრასა-ტრამპლინზე ათ-თორმეტ სპორტსმენზე მეტს ვერ იპოვით. დანარჩენები სადა არიან-მეთქი? ავად გახდნენ და წავიდ-წამოვიდნენო, შამილმა. იმ შვიდასი სპორტსმენისათვის იღებს შამილი საკვებს, სპორტულ ტანსაცმელსა და იარაღებს, შტატს. საკვებს, იცით საით უზამს პირს, სპორტული ტანსაცმელ-იარაღები კერძო ფასებში იყიდება თრემლის ყველა მოსახვევში, ხოლო ორმოცი მწვრთნელის ხელფასს თვით პატივცემული შამილი და ბაზის რამდენიმე უსაქმობით დაღლილი მწვრთნელი ინაწილებს.

– მერე? – კალისტრატეს მარცხენა წარბი აუთამაშდა აღელვებისაგან.

– რა მერე?

– თქვენ სწორედ იმისთვის ხართ მოწოდებული, რომ ამხილოთ.

– ვინ ვამხილოთ, რა ვამხდლოთ?! – „ფერნანდელს“ თავისთვის, ჩუმად ჩაეცინა.

– ამხილე ახლა მწვრთნელი, რომელიც ორი მწვრთნელის ხელფას იღებს, სპორტსმენების „დლიურს“ ითვისებს და ხანდახან, სულო ცოდვილო, სპორტსმენებისთვის გასაცებ თხილამურებსა და სათვალეებს „შავ ბაზარზე“ ყიდის. არა ვართ ისეთი თავგახურებული რევიზორები, რომ ჩვენს მასალებზე

ვიღაცას ფული ვაკეთებინოთ. დავწერთ ისე, როგორც ადრე დაგვიწერია, „საერთოდ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სამთო-სათხილამურო ბაზების მუშაობაში შეიმჩნევა მცირეოდენი ხარვეზები“...

– სინდისი?

„ფერნანდელს“ ისევ ჩაეცინა.

– რა სინდისი? – მშვიდად ჰკითხა მაქსიმემ.

– ის სინდისი, დღედალამ რომ არ მოგასვენებს, არ დაგა-ძინებს. ყალბის მქნელს მოსვენებას რომ დაგიკარგავს. იცით, რას მაგონებთ?

– რას?

– არ გეწყინებათ? – კალისტრატემ განზე გაიხედა, – მე თქვენ მაგონებთ ერთი ანდაზის ყვავს, ბოლო ნეხვში რომ ედო და ნისკარტს მალლა იწევდა, რა ცუდი სუნი მცემსო. მართალს როგორ არ ამბობთ, მაგრამ იცით, რა შეგატყვეთ? გიხარი-ათ, რომ ასე ცუდადაა ჩვენი სამთო-სათხილამურო სპორტის საქმე. თქვენ ოლოლოს თქმის გუნებაზე ხართ. ალბათ, მოიწყ-ენდით კიდევ ხვამლეთში, აგურიანსა და თრემლში ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო.

– საიდან დაასკვენით? – მაქსიმემ ფერნანდელს გახედა. ფრანგი კომიკი თვლემდა.

– თქვენი საუბრიდან, შე კაი კაცო, შენ თუ არ თქვი, მე თუ არ ვთქვი, ზარი თუ ვინმემ არ ჩამოჰკრა, ხომ დღითი-დღე უკან წავა, ისედაც დაქანებული საქმე. ოდესმე ხომ უნდა შეიცვალოს რაღაც, ვინმემ ხომ უნდა დაიძახოს გაბედულად. ვინმემ ხომ უნდა შეუჩუჩუროს მუგუზალს. რამ დაგვლალა ასე? თავი ვინმემ ხომ უნდა აიტკივოს?

– თქვენ ვერ გამიგებთ, – მაქსიმეს სინანულგარეული ხმა ჰქონდა, – მე თავის ატკივების კი არ მეშინა. სხვის ომში ბრძნობა ადვილია. მეც თქვენს ადგილზე ასე ვიტყოდი: უნდა თქვა, უნდა ამხილო, საქმეს ამით ეშველება-მეთქი. გულის სილრმეში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არ ეშველება.

– რანაირად, კაცო? ამ რწმენის კაცი, უფრო სწორად რწ-მენადაკარგული კაცი დადიხარ და სხვების მუშაობას ამონ-მებ? თუ წინასწარ იცი, რომ შენს საქმიანობას ანასინი უთხრა გამჩენმა, რაღას რევიზორობ და ინსპექტორობ მაშინ, გადად-ექი და სხვას დაუთმე სკამი.

– ვის? – მაქსიმეს მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა.

– ვისაც სჯერა.

– არ დაიჯერო, მე თუ გადავდექი, რა იცი, რომ ჩემს ადგი-ლას ისევ ჩემნაირი არ მოვა? ხომ ასეა? – მაქსიმემ თავისი მეგობარი დაიმოწმა და სწორედ მაშინ, ფერნანდელმა ბერეტი გადაიწია და მშვიდად თქვა:

– ბატონი კალისტრატე მართალს ბრძანებს.

ბერეტი ისევ ჩამოიფარა თვალებზე და მხარი იცვალა.

– არა, არა! – კალისტრატეს ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა, – ასე რომ იყოს, ეს ქვეყანა აქამდე დაინგრეოდა. შენ-ნაირები ცოტანილა დარჩენ!

მერე ერთბაშად მოიწყინა.

„რამ ამამჩატა ამხელა კაცი. რა მინდა სარდაყში. სარდაყში თორემ, გულზე ვარდს დაგაბნევენ, მოგიფონ-მოგიოხებენ და გამოშვებენ უკან. ყველას ჩვენ-ჩვენი ყვავი დაგვჩხავის თავზე. ვის უნდიხარ, ვინ დაგეძებს სარდაყში? უნდა ჩამოიმათხოვ-რო ახლა სასტუმროები. ადგილი არსად არ არის. უბოდიშოდ გეტყვიან მასპინძლობაზე უარს. ვინ მოგიწვიათ, რომ მიდ-იოდით. აუხსენი ახლა ჩერჩეტ მორიგე-ადმინისტრატორს, მომწყინდა შინ და იმიტომ წამოვედი-თქო. აუხსენი და ერთბა-შად არ გაგიგოს, არ მიგიხვდეს. შენს მდგომარეობაში არ შევი-დეს. ვიცი, დამშვიდების მაგივრად უფრო მომეშლება ნერვები სარდაყში. სჯობია აეროპორტიდანვე უკან დავბრუნდე. ჩავ-ფრინდები თუ არა, პირველსავე რეისს უკან გამოვყები. კი, ასე ვიზამ“.

სტიუარდესამ რომ გამოაცხადა, თვითმფრინავი თხუთმეტ წუთში დაეშვება სარდაყის №2 აეროპორტზე და უსაფრთხოე-

ბის ქამრები შეიკარითო, მას შემდეგ კარგა ოცი წუთიც გავიდა.

თვითმფრინავი დაექანება ბურუსში, იფრენს ცოტა ხანს და ისევ თავზე მოექცევა ღრუბლებს.

ვერ იქნა და ვერ დაეშვა, ვერ გაარღვია ღრუბლების სისქე. ეტყობა, ამინდი შეიცვალა. აეროპორტში ბურუსი ჩამოწვა, თვითმფრინავს დაჯდომის ნებას არ აძლევენ.

კალისტრატე ფანჩულიძე შიშმა შეიპყრო.

„რა მინდოდა, რა ჯანდაბამ ამტება. კატასტროფაში რომ მოვყვე ახლა, არ ვიქნები ღირსი? რა სიკვდილი უნდოდა სარდაყშიო, არ იტყვის ჩემი დირექტორი?

მოკლედ, აქ მთავრდება შენი ცხოვრების გზა, კალისტრატე ფანჩულიძე. ეს გენერა ალბათ“.

თვითმფრინავი ერთხელ კიდევ შეიჭრა ღრუბლებში, კარგა ხანს იარა და მერე, თითქოს გადაიფიქრაო, ისევ მაღლასვლა დაიწყო.

„ბენზინი თავდება“.

„ღრუბლის სისქის გამზომი ხელსაწყო არ მუშაობს“.

„არც სიმაღლის მაჩვენებელია მთლად წესრიგში“.

„ა, ახლა გავიგონებთ სტიუარდესას სასოწარკვეთილ შეკივლებას – ვიღუპებით!“

„ა, ახლა მოვწყდებით ცას და ბზრიალ-ბზრიალით დავენარცხებით დედამიწას“.

„ა, ახლა... ა, ახლა... ა, ახლა...“ გულთმისანი შეცდა.

„ტუ-156“ უვნებლად დაეშვა სარდაყის №2 აეროპორტზე. ეს ამბავი 1968 წლის 7 თებერვალს მოხდა.

კალისტრატე დღესაც ცოცხალია და ღვთით კარგად არის. ავ წინათგრძნობას იმ დღის შემდეგ აღარ შეუწუხებია.



## ახირებული

ეს კრებაც ჩვეულებრივად დამთავრდა. აღმასკომის მუშაქმა, სერგო მსხილაძემ, მაღალმა, გრძელხელება, ორმოც-სმიტანებულმა კაცმა, ვერ დავუკარგავ, ლამაზად ილაპარაკა. ჯერ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებას მიაქცია სოფელ გარისის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრთა ყურადღება, მერე კაპიტალისტურთან შედარებით სოციალისტური სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად 1913 წლის დონეს დღევანდელი სამეურნეო მაჩვენებლები შეადარა, ბოლოს ყაზახთის ველებზე ამინდის ჭირვეულობის მავნე შედეგებს შეეხო და კატეგორიულად მოითხოვა „აღებული ვალდებულების განაღდება“, მსმენელთ მოაგონა საკოლმეურნეო მოძრაობის გარიურაჟზე ამ სოფლის დიდი დამსახურება და ან გარდაცვლილი რამდენიმე ისეთი ენთუზიასტის გვარიც დაასახელა, თვით თავმჯდომარეს, მანუჩარ ბაზაძესაც გაუკვირდა, ამ გუმინდელ ბალლს ყველაფერი ასე კარგად საიდან ახსოვსო.

სერგომ რომ დაამთავრა, კრინტი არავის დაუძრავს. შეკითხვა რაა, შეკითხვის მისაცემადაც არ აღმართულა ხელი. გარისელები ხელებდაჭდეულნი მდუმარედ ისხდნენ და აბოლებდნენ. მანუჩარს ცუდად ენიშნა ეს დუმილი, ამიტომაც სიტყვა თვითონვე მოითხოვა, მხარი დავუჭიროთ ამხანავ სერგოს მოწოდებასაო, მერე სოფელში რადიოს, მაცივრისა და ტელევიზორის გაჩენის თვალსაჩინო ფაქტს შეეხო (ამ ფაქტს იგი თითქმის ყოველ კრებაზე მოაგონებდა გლეხებს (და, უნდა ვთქვა, დიდი წარმატებითაც) და დაჯდა.

რაკი მოკამათე არ ჩანდა, საბჭოს მდივანმა ბახტაძეების კოჭლმა შინაბერა მარგომ, დადგენილების პროექტი წაიკითხა და დაიმაღნენ. გარისელები თავიანთი, მთაზე დაკიდებული

სახლებისკენ აუყვნენ აღმართს, თავმჯდომარე და აღმასკომის მუშაკი კანტორაში შებრუნვდნენ.

ცაცხვის ძირას, სახელდახელოდ განათებულ მინდორზე, უშნოდ ახირხლულ სკამებსა და პაპიროსის ნამწვავებს შორის იჯდა ასლან მიქელაძე. რაიონში ცნობილი მეთამბაქოე, ენამწარე და მაკვარანცხი. გულის სიღრმეში მთელ სოფელს უყვარდა, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობას ყველა გაურბოდა პირშიმთქმელობისა და ავყიაობის გამო. შეუხედავი, ჯალალა კაცი იყო მიქელაძე. დაბადებითვე მარჯვენა ფეხის ტერფი განზე მოტრიალებული დაჰყვა, ისედაც დაკვარჯლულდაბრეცილს შარშანწინ ხე დაეცა და ბეჭი სამუდამოდ გაუმრუდდა. შესახედაობით ასე გაუბედურებული, მაინც ყინჩად დადიოდა, ქილიკა და გადაკრულ სიტყვას მათრახივით ისროდა აქეთ-იქით. ერთი გემრიელი ხუმრობისთვის საკუთარ მამა-საც გასწირავსო, – ამბობდნენ ასლანზე. სოფლის მეპურწყლე და ბეჭის დამჭრელი ათას დათაფლულ სიტყვაში ერთს ისეთს გაურევდა, რომ მასპინძელს სამუდამოდ ანანებდა კრუხისთავა მიქელაძის დაპატიჟებას.

ასლანის დარჩენა დღეს არავის შეუტყვია. კრებაზე ახლომახლო მსხდომთ გაკვირვებით კი უკვირდათ ერთი მათრახიც რომ არ გაუტკაცუნებია, სიტყვის ქამანდი რომ არ უსვრია კრებაზე, მაგრამ ეტყობა ხასიათზე ვერ არისო და მისკენ არც გაუხედავთ. ყველანი ჩაილალნენ სიბნელეში, ხოლო ასლან მიქელაძე კვლავინდებურად იჯდა ფეხმორყეულ ტაბურეტზე. შუაზე გადაჭრილი შლაპა ეხურა, ლეგა ფერის ხირხა ეცვა და შიშველი, დაძარღვული მკლავები უჩანდა. ხელები მუხლებზე ისე ეწყო, თითქოს წამოსადგომად ემზადებაო. გაბურძგნულ წვერ-ულვაშში პირი აღარც კი მოუჩანდა საერთოდ. ყალიონს რომ გააჩაღებდა, ჩიბუხის ტარით წვერ-ულვაშს გულმოდგინედ გასწი-გამოსწევდა საკუთარი პირი რომ მოეძებნა.

კარგა ხანს იჯდა ასე. ღამის გრილმა სიომ რომ წამოუბერა

და ფოთლების ათასი ზარი ერთბაშად აატკაცუნა, წამოდგა, მკლავებზე ხელისგულები ჩამოისვა, ქუდი შეატრიალა და კანტორის კიბეზე აკვარულალდა.

თავმჯდომარის მაგიდას ორნი უსხდნენ.

– სერგო, ხომ არ შეწუხდები ჩემისთანა უტუ კაცთან სალაპარაკოდ?

– შემოდი, ასლან, შემოდი, – თავმჯდომარეს აშკარად შეეტყო, რომ ღამეული სტუმარი არ ესიამოვნა.

– მარტო მირჩევნოდა. ორი პანია სიტყვა უნდა ვუთხრა სერგოს, – მადლობა მოიხადა შეპატიჟებისათვის მიქელაძემ.

– ჩემთან არ ითქმის? – მანუჩარი გაწყრა.

– სამთან თქმული ეშმაკისაა, არ მინდა ამ სიბერეში საშაროდ და საეშმაკოდ საქმე გვეიხადო.

სერგო წამოდგა, სკამი შესწია, ცხვირსახოცი ხელისგულებს გაუსვ-გამოუსვა და ასლანისკენ გამოემართა.

ცაცხვის ჩაბნელებულ მხარეს, დრაკონის ტანის მსგავს ფესვებზე ჩამოსხდნენ.

ასლან მიქელაძე სხვა დროს ჯიბეში არ დაუწყებდა სიტყვებს ძებნას, მაგრამ ახლა გაუჭირდა. არ იცოდა, როგორ დაეწყო. იქნებ სჯობდა დამეტურა ქუდი თავზე და მეც სხვებივით შინისკენ წავსულიყავიო, გაიფიქრა.

– გისმენ, ასლან ბატონო.

– კრებაზე არ გითხარი სათქმელი. კი არ შემშინებია, მარა შემეცოდე. შენ შემეცოდე, როგორც კაცი.

სერგო არ გაეპასუხა ახირებულ მთხოვნელს.

– ვხედავ, გიჭირთ. მერე რაი. ხან ასე იქნება, ხან ისე, კაცი ყორიფელს ეიტანს, მარა გულსახეთქი სხვა რამეა.

– რაზე ბრძანებთ?

– ბრძანება თქვენთან იყოს, ძმისშვილო, თქვენისთანა ხალხს ჭკუის დამრიგებელი ეზარება, ვიცი მე, მარა სანამდე ვუყურო უკულმა ტრიალს, ვერ იქცევით კარგად.

– ჩემზე ამბობ? რა შემეშალა მაინც?

– შენზე და საერთოდ შენნაირ ქადაგებზე. ხომ იცი, გუშინ-დელები არც ჩვენ ვართ. შორიდან რატომ გველაპარაკებით.

– როგორ შორიდან?

– რაი და პატარა თქვენც უნდა წამოიხაროთ ჩვენკენ. ახლა სხვა დროა. მათრახის ტრიალის დრო წავიდა. რატომ გეშინიათ ჩვენი, სიმართლეს რატომ გვიმალავთ?

– რა ვთქვი ტყუილი, მაგალითად.

– შენ ისეთი ყრუი არა ხარ, რომ არ გეგრძნო შენი და თავმჯდომარის მარტო ყოფნა დღეს, კრებაზე. ვერ ატყოფ? ის ხალხი ალარ არის, ვისთანაც ლამაზად უნდა გელაპარაკნა.

– ვალდებულება გავანალდოთ-მეთქი, სხვა ვთქვი რამე?

– რაის ვალდებულება, თუ ძმა ხარ, ვინ იღებს ვალდებულებას. ჩვენ არავის ვეჯიბრებით, ვალდებულებას თქვენ თვითონ სწერავთ და თვითონვე სჭრით, როგორც გაგეხარდებათ. მაი არაფერი, მე სხვას ვამბობ.

– რას?

– რატომ არ გინდათ ჩვენთან მოსაუბრება, ავის და კარგის გარჩევა. შენ, ძმაო, დღეს 1913 წლით კი არ უნდა დაგეწყო, ასე უნდა გეთქვა: „ამხანაგებო, გაგვიჭირდა, ათასი მიზეზის გამოქვეყნის გამოკვება გვიჭირს, უნდა მოგვეხმაროთ“. სირცხვილია ეს? რა მოხდა-მეთქი, თავში გითხარი, ვინ არაა გამგები. რატომ არ გინდა მაფიქრებინო, რომ მეც შენი ამხანაგი ვარ, შენი ამქრის წევრი. ანგარიშს მიწევ და კაცურ მუსაიფას მიბამ. არ დაგდალათ ამ ტყუილებმა?

– არავის არაფერი უჭირს. ნუ გეშინია, რაიალმასკომს თქვენი შესახვენი არაფერი აქვს, – წელში გაიმართა სერგო.

– რა შუაშია ხვეწნა. შენ რამდენიც არ უნდა გვიძახო, სავსე გვაქვს ბელებიო, მე ვერ ვხედავ, რაც გვჭირს? ჩემგან მარტო ეს, დამსკდარი ხელისგულები გინდათ, სხვა არაფერი? ჭკვიან კაცს უთქვამს, „ჯამში თუ არას ჩაჰერი, ვერც ვერას ამოიღებო“. რატომ დავრჩით მე და შენ გაღმა-გამოლმა? რა-

ტომ მოაწყვე საქმე ისე, რომ რასაც ახლა გეუბნები, მუხლის კანკალით გეუბნები.

– შენს მუხლის კანკალს მე რატომ მაბრალებ, ეტყობა, შენ თვითონ არ გჯერა, რასაც ამბობ და იმიტომაც ფრთხილობ.

– არა, სერგო. თუ ვინმემ გითხრათ ცდებითო, იმ დღესვე მტრად გამოაცხადებთ. სარჩევად მოსულს ახლოს არ იკარებთ. არ გვენდობით, არა. ვიცი, წყლის ნაყვაა ახლა შენთან ლაპარაკი, მარა გულმა არ მომითმინა.

სერგო მსხილაძე წამოდგა, ცაცხვს მიეყრდნო და დოინჯი გაიკეთა.

– ამის სათქმელად დამიძახე?

ასლანმა თვალები მონკურა.

– ხომ გითხარი, ყველაფერში ავი მუსაიფი გერჩენებათ-მეთქი. ნერვები არ გყოფნით სხვასაც მოუსმინოთ. შენ და შენს ამფსონებს აღმასკომში ასე გგონიათ; სხვა თუ რამეს იტყვის, უსათუოდ აბდლურს იტყვის.

– გაჭერი ბარემ, ასლან ჩემო, იღინჯები და მეტი არაფერი.

– ვიტყვი, ოღონდ ჯერ იმის პირობა უნდა მომცე, რომ მტრად არ მიგაჩნივარ.

სერგოს გაეცინა.

– ჯერ ერთი, მტერი რად უნდა იყო და კიდეც რომ იყო, რას წაიღებ. ჩვენ იმაზე უფრო მაგრად ვდგავართ მიწაზე, ვიდრე ზოგიერთს ეჩვენება. სთქვი!

– აბა, ყურადღებით მომისმინე: შეიძლება მე თვითონ იმ კუდა ხარს ვგავარ, სხვებს რომ ბუზებს უგერიებდა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

სერგო ცაცხვს მოშორდა და უცნაურ მრჩეველს გვერდით მიუჯდა.

– ჯერ ეს მითხარი: მართლა გინდათ ქვეყნისთვის სიკეთე თუ ყასიდად ლაპარაკობთ?

მართლა მონდომებული ხართ ხალხი უკეთ ცხოვრობდეს,

თუ თქვენც თქვენის მხრივ ვიღაცას ატყუებთ და მთლად სი-  
ცორუეზეა აშენებული ეს ქვეყანა?

— გვინდა. — სერგომ ღრმად ამოისუნთქა.

— აბა, თუ გინდათ, კარგად დამიგდე ყური. მე იმნაირ  
მუღამს გასწავლით, რომ ერთბაშად მოეღოს ბოლო თქვენს  
უთავბოლო მოწყენილობას.

— აბა, ჰე, გვიშველე, შე კაცო! — სერგოს სიტყვებში ირო-  
ნია აშკარად ჩანდა.

— ბევრი უსაქმური დაგროვდა ქვეყანაზე, მიზეზი შორს  
გაგვიტყუებს. არ იყო ისე დაფასებული მიწის მუშა რავარც  
ჩვენს ხელებს ეკადრება და იმიტომ. ახლა ბევრი შენნაირი იმ  
დათვის დღეშია, სხვა დათვს რომ სხვის ვენახში ეპატიუებოდა.  
თუ ქვეყნის სიკეთე გინდათ, ახლა, ძალით თუ ნებით, ორი რამ  
უნდა გააკეთოთ: პირველი — თოხი და მწყემსის კომპალი მის-  
ცეთ ხელში გამოგონილ სკამებზე უსაქმოდ მჯდომებს, მეორე  
— მიწას ბევრზე-ბევრი ცრუ პატრონი ნუ ეყოლება — მიწა მი-  
წის მუშას უნდა ეკუთვნოდეს.

— აგაშენა ღმერთმა. რაც შენ ახლა ბრძანე, ფიქრადაც არ  
მოგვსვლია, ხომ იცი! — ისევ გააელვა ბნელში თეთრი კბილები  
აღმასკომის მუშაკმა.

— მე არ გეხუმრები, — გაწყრა ასლანი.

— რა გითხრა, იცი, ბატონი ასლან. ჩვენ ცოტა მეტიც ვი-  
ფიქრეთ და ცოტა უკეთესადაც. არც მთლად ეგრეა საქმე. ნუ  
გგონია ჭკუის გასაღები მარტო შენ გეღოს ჯიბეში.

— არა, ბიძია, თქვენ ყორფელი იფიქრეთ, მე რაც გითხ-  
არით, იმის გარდა. თქვენ ეძებთ გზებს, ისე როგორ მოევლოს  
საქმეს, რომ ყველას უკლებლივ თეთრი ხელთათმანები და  
გაუთავებული შარვლები შეგრჩეთ. ასე არ გამოვა. თუ ამ ჩემს  
რჩევას ისულგულებთ, მე თვითონ მოგართმევთ ხვალ სიას,  
რამდენი უფროსი უნდა დარჩეს აღმასკომ-სამმართველოებში  
და ვინ უნდა მოკიდოს ძროხის ბანარს ხელი. ხვალვე გაივსება  
მუშაკაცით ეს სოფელი და ცხოვრებას მეტი ხალისი მიეცემა.

სერგო წამოდგა.

— სულ ეგ არის?

ასლანმა ქუდი თვალებზე ჩამოიწია.

— ცოტაა? დასხლეტილ სიტყვას თუ გამგონი არ დახ-  
ვდა, ქვესკნელს ჩაივლის. თუ დამიჯერებ, ასე ჰქენით, თუ  
არა და იარეთ ასე უამკარარევით, რამდენიც გინდათ. მე ჩემს  
ცხოვრებას ქე ჩავათავებ. ღალატით არ გიღალატებთ, სანამ  
პირში სული მიდგას, მარა ერთხელ ძალიან გაგიჭირდებათ და,  
მამაჩემსა აქვს ცხონება, მერე გვიან იქნება.

— დიდი მადლობა. — სერგომ ხელი ჩამოართვა.

— მოიცა სია ხვალ ამოგიტანოთ თუ...

— დავთიქრდებით ცოტა, — მსხილაძემ კეფა მოიფხანა, —  
ჩვენ თვითონ დაგიძახებთ.

— აბა, თქვენ იცით.

ასლანმა ერთხანს უყურა აივნისკენ მიმავალს, მერე ხელი  
ჩაიქნია და თავქვე დაეშვა.

სერგო თავმჯდომარის პირდაპირ დაჯდა და ხელები მაგ-  
იდაზე დააწყო.

— განაგრძე. სად ვიყავით?

თავმჯდომარემ ფურცლები ააშრიალა.

— გაგვაცდინა ხომ? რა გითხრა, თუ ღმერთი გწამს?

— არაფერი. განაგრძე.

თავმჯდომარემ, სანამ კითხვას დაიწყებდა, ერთხელ კიდევ  
შეხედა სტუმარს და ჩუმად თქვა:

— ამ ბოლო დროს აურია, თავიდან არ იყო ასე.

... ისინი რაიონის მშრომელებისადმი აღმასკომის მოწო-  
დების პროექტს წერდნენ.



## სხვანი

შიომ შეატყო, რომ სტუმარი დაიღალა, ხშირად ჩერდებოდა, ამოსუნთქვის საშუალება რომ მიეცა მისთვის. ციხემდეჯერ კარგა მანძილი რჩებოდათ. გაუკვალავი გზით უფრო ჩქარა ავიდოდნენ, მაგრამ შიოს ეშინოდა, სტუმარი ვერ ივლისოდა თავიდანვე ბილიკს დაადგა.

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო სანდრო, თუ საიდუმლო არ არის?

— რამდენის ვიქები? — სტუმარი ლოდს მიეყრდნო, ლრმად ამოისუნთქა, თითქოს ფოტოგრაფს გაეჭიმაო.

შიომ, რაც შეიძლებოდა, დააკლო.

— ორმოცის, ჰა და ჰა!

სანდროს გაეცინა, ძელქვას გამხმარი ტოტი შეატეხა და მოისროლა.

— არ გინდა ეგ ამბავი. სიმართლე მითხარი.

— ორმოცდაორი?

— შენ არ მომიკვდე.

— ორმოცდაოთხს არავინ მოგცემთ.

— რაში გჭირდება, შე კაცო, ეს? მე რა, გასათხოვარი ქალი ვარ, გულს რომ მიკეთებ? — გაწყრა სტუმარი და ცხვირსახოცი ღაბაძევეშ ამოისვა. მოკლე ხელები ჰქონდა, საულვაშეს კარგად გამოცილებული ქვედა ყბა და ფელამუშისთვის რომ დანა დაგისვია, ისეთი პირი.

რა შარში ჩავვარდიო, გაიფიქრა შიომ. რაკი სიკეთე არ გინდა, ჯანდაბა შენს თავსო, და სულმოუთქმელად მიახალა:

— ორმოცდათხუთმეტის, ასე, სამოცამდე.

— რამდენის?

— ორმოცდათხუთმეტსა და სამოცს შუა.

შიომ ქვაზე ფეხი გაიმაგრა და სტუმარს ხელი გაუნოდა.

სანდრო დოინჯშემოყრილი იდგა ბალახზე, ამოგდებული თევზივით სუნთქავდა.

— რა მოხელე კაცი ხარ?

— ფოსტაში ვმუშაობ, — მშვიდად მიუგო შიომ.

სტუმარი ხელის გამოწვდენას არ აპირებდა.

— მერე შენხელა კაცი მეტს ვერ უნდა მიხვდეთ? სამოცი წლის ბებერს ვგავარ მეე? ორმოცდაექვსი არ შემსრულებია ჯერ, — ხვიარის ფესვს ხელი ჩასჭიდა და შიოსთვის ზედაც არ შეუხედავს, ხვნეშით აიტანა წელი მარგილზე.

— ბოდიში, ბატონო! — შიოს უკვირდა, რა ეწყინა ამ კარგ კაცს ასეთი, მოფერება მსურდა და პირიქით გამომივიდა, უცნაური ჩანს ვიღაცააო.

მასპინძელი უკვე ნანობდა, რომ ამ ახირებულ კაცს მაინც-დამაინც ციხისკენ აქნევინა პირი. საბჭოს თავმჯდომარებ დაუძახა ამ დილით, სასწრაფო სხდომა მაქვს და სტუმარი გაასეირნე ცოტა ხანს, სოფელი აჩვენეო. შიოს მაშინვე არ მოეწონა სტუმრის გულგრილობა ხვიჩას ციხისადმი: ამ ჩვენს სოფელში, ბატონო, თუ რამეა სანახავი, ეს ციხეა და, თუ ძალიან არ შეწუხდებით, ავისეირნოთ, კეთილი გულით შესთავაზა ფოსტის გამგემ. რა არის სანახავი, შე კაცო, აქედან რასაც ვხედავთ, ეს იქნება ახლოდანაც. დანგრეული კედლის სანახავად ვიფორთხიალოთ ამ კლდეზეო? — იუარა სანდრომ. შიოს ბრალია: იმდენი ეხვენა, ისე ლამაზად დაუხატა ეს ბებერი ციხე და მისი გალავნიდან დანახული სოფელი, რომ სტუმარმა ხელი ჩაიქნია და გამოჰყევა.

გუშინ მთელი დღე წვიმდა. რაღა დღეს დააჭირა მზემ მაინცდამაინც. აპრილის მზემ განსაკუთრებით მთიან ადგილებში იცის თავის გამოდება. სტუმარს ოფლი წურწურით ჩამოსდის. ხვრიჭაზე ფეხს ვერ იკიდებს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს. საშველად გამოწვდილ შიოს ხელს ალმაცერად გახედავს და სხვა მხრიდან შეუყვება ალმართს, აქაოდა არავის დახმარება არ მჭირდება, ასე დავარდნილი კი არა ვარო.

— უნდა დაიჭირო და უკანალზე მათრახი ურტყა ყველას!  
— ფიქრი ხმამაღლა წამოსცდა სანდროს, როცა კატაპარდის ლერო ხელში შეაწყდა და მასპინძელს რომ არ ემარჯვა, უკან გადავარდებოდა.

— ვიზე ბრძანებთ, ბატონო?

— ვიზე და ალპინისტებს რომ ეძახიან თავს. უსაქმურები რომ არიან, კლდეებზე რომ დახოხიალობენ.

— რატომ ჰატივცემულო, სპორტის წინააღმდეგი ხართ? — კითხვა გაუბედა შიომ.

— რა სპორტია, თუ ძმა ხარ, ეს? სპორტი მესმის, ფეხბურთი, ან სხვა რამე ასეთი, რასაც მაყურებელი ჰყავს. იქ შეიძლება თავი გამოიჩინო კაცმა. აქ ვინ გიყურებს, იბლოტიალე ყინულზე რამდენიც გინდა.

— მაყურებელზე ხომ არაა საქმე?

— აბა, რაზეა? სპორტი თავის გამოჩენის ასპარეზია, მეტი რა არის! მე პროფესიულ სპორტზე მოგახსენებ, თორემ დილით მეც ქე ვიქნევ ხელებს გიჟივით. კარგი, ვთქვათ, თავის გამოჩენა გამოვრიცხეთ. აბა, რა სარგებლობა მოაქვს ალპინიზმს, მითხარი ერთი. ბილეთი არ იყიდება და სახელმწიფო ზარალის მეტს რას ნახულობს?

— ასე რომ შევხედოთ, ბატონო, სად წავალთ. ალპინიზმი იცით რა არის? მე არ მივლია, მაგრამ ალპინისტებთან მისაუბრია, იცით რა გრძნობაა თურმე, გაჭირვებით რომ ააღწევ მაღლა და დაპყრობილი მწვერვალიდან რომ გადმოიხედავ?

— რა გრძნობაა, ბიჭო, — სანდროს ხმაში სიბრაზე დაეტყო, მარტო შენ თავზე ხომ არ უნდა ფიქრობდე. ალპინიზმი ეგონისტების სპორტია. შეიძლება შენს სიამოვნებაზე სახელმწიფოს მილიონები ხარჯო? მესმის, იქ, მწვერვალზე, რაიმე მადანი იყოს, ან ცეცხლი რომ ჩამოუტანო პრომეთესავით კაცობრიობას. გადმოხედვის სიამოვნებისთვის მიდიხარ ამხელა

რისკზე? ხომ იცი რომ ჰიმალაის წვერზეც კი ნახევარ საათში დაგსვამს შეულმფრენი. სასაცილო არ არის ახლა, ტექნიკის ამ პირობებში, ალპინიზმის არსებობა?

— შეულმფრენით ასვლა სხვა არის, ალბათ, ბატონო და შენით რომ ახვალ — სხვა.

— თვითონ ასვლის პროცესია სასიამოვნო? არ დაიჯერო ეგ ამბავი. თუ გადმოხედვაა, შეულმფრენიდანაც კარგად გადმოიხედავ. მოსკოვში რომ მივთრინავ, ხელისგულზე მაქვს გეოგრაფიული მაკეტივით მთელი კავკასიონი. ზევიდან დავცეკერი შენს იალბუზს და ყაზბეგს. ასვლას რაც შეეხება, არა მგონია, მთამსვლელს დიდად სიამოვნებდეს ქარაფზე თოკით რომ ჰკიდია და ფრჩხილებიდან სისხლი სდის.

— აბა, გიჟია სახელმწიფო ალპინიზმს რომ ყოველნაირად ხელს უწყობს?

— დემაგოგიურ კითხვას ნუ იძლევი, თუ ძმა ხარ. სახელმწიფოს, ალბათ, თავისი ანგარიშები აქვს. თუ ვკამათობთ, ვიკამათოთ. კამათი საბუთებითაა. თუ ალპინიზმი სხეულის გაკაუებას ემსახურება, ვთქვათ, როგორც ცურვა ან სირბილი, ეს შეიძლება აგერ ახლოს ჩვენს პირობებშიც. მოძებნე სადმე ჰატიარა კლდე, დაეკიდე დამზღვევ ქამარს, როგორც ცირკის მსახიობები აკეთებენ, ყოველ შემთხვევისათვის. და ივარჯიშე რამდენიც გინდა. ამისათვის რად გინდა ტიან-შანში ჩასვლა, ვირით რომელიმე პიკის ძირამდე მისვლა. იქ უჟანგბადო კარავში ღამის გათევა და დილით ლაყუჩებდაბერილს და გულამოვარდნილს უარყოფით კედელზე ფორთხვა? თუ ჯანმრთელობაც გამოვრიცხეთ, აბა, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს ალპინიზმს, მითხარი? სანამ შვეულმფრენს და თვითმფრინავს გამოიგონებდნენ, იქნებ რაღაც გამართლება ჰქონდა, სიმაღლეს ებრძოდი. ადამიანის შესაძლებლობებში რწმუნდებოდი, ზევიდან დახედავდი ბუნებას. ახლა, ათ წუთში ყაზბეგის ცენტრიდან მყინვარწვერზე ჯდები და მაინცდამაინც კისერი უნდა მოიტეხო ყინულზე?

– კისრის მოტეხა აუცილებელი ხომ არაა, სანდრო ბატონი? – შიოს უხერხულად გაელიმა.

– აუცილებელი? აბა, ჩამომითვალე გამოჩენილი ალპინისტები, ათიდან სამი თუ დაბერდა. სამი თუ გარდაიცვალა ლოგინში ბუნებრივი სიკვდილით, დანარჩენი ტრაგიკულად დაიღუპა, ესაა საქმე? უაზრობაა, შენ არ მომიკვდე, ასეთი თავგანწირვა. უსახელო თავგანწირვაა ეს. გამცემლიძე რომ ტანკს შეუვარდა, ეს გმირობა იყო. ალპინისტს უარყოფით კედელზე კლდიდან სოლი რომ ამოუხტება, ან თოკი გაუწყდება, ეს გმირული სიკვდილია? არ უნდა იყოს, კაცო, სიცოცხლის დაცვა სამოცდაათი პროცენტით მაინც? მე არ ჩამოგითვლი გვარებს... რა ბიჭები დაიღუპნენ, რა ბრმად, ტყუილ-უბრალოდ, მცირე გაუფრთხილებლობით, ანდა უნებლიერ შეცდომით.

– ჩვენისთანა უბრალო ხალხისათვის, ეტყობა, ძნელი გასაგებია ალპინისტის დალუპვა – შიო გამოსავალს ეძებდა.

– არაფერი ძნელი გასაგები არ არის. წამის მესამედში შეცდა და კლდეში ჩაიჩეხა. შეიძლება არც არაფერში შემცდარა, მაგრამ სოლი, რომელიც ჩააჭედა, ვერ დაიმაგრა კლდის ქანმა, ფხვიერი ქვა აღმოჩნდა და მოირყა რვინა. ამას უნდა გადააყოლო სიცოცხლე ჭკვიანმა კაცმა? ეგოისტობაა-მეთქი, თავში გითხარი, რატომ, იცი? კარგი, შენ შენი სიამოვნებისათვის კლდეზე მიბობდავ და შენივე სიამოვნებისათვის „ტრაგიკულად იღუპები“. ამ ცოლ-შვილს რაღას ერჩი, რა პასუხს აძლევ? ვინ გაგიზრდის შვილებს? არ ფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა განევს ოჯახის წინაშე და ასეთი სულელური რისკის უფლება არა გაქვს? არ უნდა დაფიქრდე შენს შვილებზე, კაცო? ან დედ-მამას რაზე აუბედურებ, კარგია, ოცდაათი წლის ვაჟკაცს ყინულებში ჩაჩეხილს ოცი დღის ძებნის შემდეგ თუნუქის კუბოთი რომ მოგაყენებენ სახლში, იქავე იყოს? თუ გიპოვეს მკვდარი, ხანდახან ესეც დიდი ბედნიერებაა.

სტუმარი უცებ გაჩუმდა. პიჯაკი გაიძრო და კატაპარდას გადაამხო. ხავსიანი ქვა მოძებნა, დაჯდა, ფეხები გამართა,

ზურგით კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. კარგა ხანს იჯდა ასე. მერე თვალი გაახილა და მორღვეულ გალავანთან დოინჯით მდგარ გამყოლს გახედა.

– ბევრი დაგვრჩა?

შიომ ქუდი მოიხადა და მარაოსავით აიქნია ცხვირწინი.

– მოსული ვართ უკვე. იმ ქვის კიბეს ავივლით და პირველ გოდოლში შევყოფთ თავს.

– რაში?

– გოდოლს ეძახიან.

სანდრომ რაღაც ჩაიბურტყუნა, ხელები უკან წაილო, ქვას დაეყრდნო და ხვნეშით წამოდგა.

– დალლით კი არ დავლლილვარ, – ბარძაყებზე მოიკიდა ხელი, – ეს კუნთები მტკივა.

– შეუჩევლობამ იცის.

სტუმარს არაფერი უთქვამს.

ნახევარ საათში ისინი ხვიჩას ციხის ორმეტრნახევრიან კედელზე გვერდიგვერდ ისხდნენ და ხავსმორეულ ქვებს ჩამოჰყურებდნენ.

გრილი სიო ატოკებდა ციხის კედლებზე ამოსული უდღეური ფიჭვის სუსტ ტოტებს.

ქვებზე ხანდახან მწვანე ხვლიკი გაირბენდა, შეჩერდებოდა, ერთხანს გაქვავებული შესცემეროდა გალავანზე მსხდომთ და მერე ისევ ჩაყვინთავდა თავის ხვლიკურ საქმეში.

– ერთს ვიტყვი ახლა მე, – სანდრომ კენჭი აიღო და ქვაზე შესკუპულ მესკია ჩიტს ესროლა. – ხომ ამდენი უწვალია ამ ციხის ამშენებლებს? ჯერ რა დუღაბია, კენჭსაც რომ ვერ მოარყევ, მერე ამ სიმაღლეზე ამხელა ქვების ამოტანა არ გინდოდა მაგრამ კაცი ხარ და მითხარი, რა დანიშნულებისთვისაა ეს ციხე აშენებული?

შიომ ჯერ გაკვირვებით გამოხედა, რაკი დარწმუნდა, რომ სტუმარი არ ხუმრობდა, გაბურძგნილ წვერზე ხელი ჩამოისვა და ამოოხვრით თქვა:

- ციხის დანიშნულება, პატივცემულო, რა გასარკვევია, ყველამ იცის.
- მაინც, მაინც?..
- გარეშე თუ შინაური შემოსეული მტრისაგან თავდასაცავადაა ეს ციხე აშენებული.
- მეოთხე კლასის მოწაფესავით ნუ მელაპარაკები, თუ ძმა ხარ. რას ჰქვია, მტრისაგან თავდასაცავად. მაინც როგორ უნდა დაეცვა სოფელს ამ ციხით თავი?
- შიოს გაეცინა.
- სერიოზულად მეკითხებით, პატივცემულო?
- ძალიან სერიოზულად.
- მტერი რომ მოვიდოდა, სოფელი ამ ციხეში გამაგრდებოდა.
- და რომ წავიდოდა, გამოვიდოდა, ხომ, ციხიდან? უფა, რა მშვენივრად ჰქონიათ აწყობილი საქმე?! – სანდროს ხმაში ირონია ისმოდა და ამ კილომ უფრო გაალიზიანა მასპინძელი, ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, რასაც ფიქრობდა ამ გაბერილ საფრთხობელაზე. მაგრამ ბოლმა გულში ჩაიბრუნა და სიჩუმე ამჯობინა.
- თქვენი სახელი დამავიწყდა.
- შიო.
- შიო, მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ, თუ ძმა ხარ?
- რა შუაშია, პატივცემულო, ეგ ლაპარაკი.
- აბა, შე კაცო, გგონია, რაც მომადგება ენაზე, იმას ვამბობ? არ დაიჯერო ეგ ამბავი. რაც გკითხე ამ საგანზე, შენ კი არა, ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ მიპასუხა. ენციკლოპედიებიც ვქექე, მაგრამ ამნაირი ციხეების დანიშნულებაში ვერავინ გამარკვია. შენ რომ ამბობ, მაგას რა ცოდნა უნდა, ყველამ იცისო, ასე არაა საქმე.
- ხომ გითხარით, მტერი რომ მოვიდოდა ხალხი ციხეში გამაგრდებოდა-მეთქი, – შიომ განზე გაიხედა.
- კარგი, აბა, გავუსინჯოთ კბილი შენს ნათქვამს. ა, ციხ-

- ეზე ვართ ახლა მე და შენ. ეს ციხე მთის წვერზეა და რა ძნელი ამოსასვლელია დღესაც დავრწმუნდით, ხომ? კარგი, ჩემო ბატონო, ეს ციხე მუდმივ საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, ხომ მართალია? აյ არც წყალია და არც ადამიანთა ცხოვრების კვალი ჩანს, როგორც, მაგალითად, გეგუთს და ბაგრატის ტაძარს ეტყობა.
- მუდმივ საცხოვრებლად არ იყენებდნენ, თავშესაფარი იყო.
- ხალხი, რასაკვირველია, ქვევით, ჭალაში, ანდა იმ ფერ-დობზე ცხოვრობდა, ხომ?
- კი, ბატონო.
- მოვიდა მტერი. ჯერ ერთი, სოფელს მტერი ბუკითა და ნაღარით არ დაესხმოდა, ჩუმად მოიპარებოდნენ, არა?
- ვთქვათ.
- როგორ მოასწრებდა ქვევით მცხოვრები კაცი ამ ციხეში თავის შეფარებას ისე ჩქარა? მარტო თვითონ ხომ არ იყო, წვრილშვილი, სიდედრ-სიმამრი და მოხუცი მშობლებიც ხომ ჰყავდა, ქალ-ბაგშვი და მოხუცი როგორლა ამოყუნცულდებოდა ამ სიმაღლეზე?
- სოფელს დარაჯები ჰყავდა, ცეცხლს დაანთებდნენ და მტრის მოახლოებას შორიდანვე ამცნობდნენ ხალხს.
- კეთილი და პატიოსანი. ვთქვათ, დარაჯებმა დროზე „ამცნეს“, მტერი მოდისო და დაიძრა სოფელი ციხისკენ, გამაგრდნენ ამ ციხეში და თავი ქუდში აქვთ. ასე არ არის?
- დიახ, – შიომ იფიქრა, ახლა მაინც მიხვდა ციხის დანიშნულებასო და გაიღიმა.
- ჩემო შიო, მტერს რომ ეძახი შენ, იცი რა უნდა? შენს სანახავად კი არ იყო ჩამოსული მტერი მონღოლეთიდან და არაბეთიდან. იმას უნდოდა შენი ავლადიდება, სარჩენ-საყოლი, საკვები, ჩასაცმელ- დასახურავი, საქონელი, უძრავ-მოძრავი ქონება. ამას რომ გაინალდებდა, სალოცავს შეგიბილწავდა – ეს იყო მტერი. შენ რომ ამბობ, ციხეში გამაგრდებოდა სოფე-

ლიო. აგერაა ეს ციხე. ჯერ ერთი, დააკვირდი ტერიტორიას – ამ ციხეში დიდი-დიდი, ას კაცამდე თუ დაეტევა წვალებით. ასი მარტო მეციხოვნე იქნებოდა, შე კაცო, ციხეს დამცველი ხომ სჭირდებოდა? დანარჩენი? სად დაატევდი ქალ-რძალს, სად დამალავდი ბავშვებს? რაღაც არ ეწყობა შენს ნათქვამს ეს ციხე.

– ვინც შეასწრებდა, შეასწრებდა... – კეფა მოიფხანა შიომ.

– შესწრებაზე იყო, შე კაცო? არაფრით არ შეიძლება ეგ ამბავი. ერთი მეხუთედი დაიმალებოდა და ცეცხლის კოხში დატოვებდა დანარჩენს? ასე არ წირავდა ქართველი კაცი. არც ეგ არის მართალი.

– აბა, უსარგებლო ყოფილა ეს ციხე, თქვენი აზრით, – შიოს ხმაში სასონარკვეთა გაერია.

– ნუ ჩქარობ, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, აგერ არ ვართ? იქნებ რაღაც აზრს დავადგეთ. მე ამ ციხის აშენება უაზრობა მგონია. შენ გეცინება ჩემს დასკვნაზე. მაშინ რაღაც უფრო ჭკვიანური ხომ უნდა მითხრა? ხომ საბუთებითაა კამათი, საბუთებით არ არის?

– დიახ.

– მტერმა თუ სახლი გაგიძარცვა, საქონელი გაირეკა და სალოცავი შეგიგინა, რაღად გინდა ამ ციხეში რომ გამაგრდი და ზევიდან დასცქერი შენს გადამწვარ სახლ-კარს? ამას მოითმენდა ქართველი?

შიომ ჯავყა ამოილო, ქაცვს წერი წაატეხა და წვერის წამახვას შეუდგა.

– შიო, – არ ისვენებდა სტუმარი, – ვთქვათ, ასე ფიქრობ-და ამ ციხეში გამაგრებული კაცი: ოღონდ ცოცხალი გა-დავრჩე ჩემი ჯალაბიანად და წელს ისევ წამოვიდგამ, სახლსაც შევჭედავ (რაც ასე ადვილი როდი იყო) და ქათამსაც დავს-ვამ საბუდარზეო. როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს გაძლებდა ამ ციხეში სოფელი? ერთ კვირას, ორ კვირას, მეტს ხომ არა? წარმოიდგინე ერთი; ვთქვათ, საჭმელი მოიმარაგე. წყალი?

წყალს რამდენს აიტან? ყველა ციხეს ხომ არ ჰქონდა მიწისქვე-შა ხვრელი წყალზე ჩასასვლელად? კიდეც რომ ჰქონოდა, რამ-დენი წყალი უნდა ამოეტანა? წარმოიდგინე ხალხით სავსე ამ ციხის ეზო უკანალიზაციოდ. ხომ აქოთდებოდა აქაურობა? ესე იგი, ორ კვირაზე მეტს აქ ვერავინ გამაგრდებოდა, ხომ მართალია?

– ასეა, – შიომ განზე გაიხედა.

– ჰოდა, შე კაი კაცო, მე რომ მტერი ვარ, რაზე შეგაულავ ამ კედლებზე თავს? დავჯდები ციხის კართან და დაგელოდები. ორი კვირის შემდეგ შენ თვითონ გამოხვალ, მოშივებული, შერცხვენილი და ილაჯგაწყვეტილი. გამოხვალ და, შენი ხელით ჩამაბარებ ციხის კლიტეს. არ გამოხვალ და, ამონყდები მშიერი.

– აკი წყდებოდნენ.

– უაზრობაა-მეთქი ამ ციხეში გამაგრება. მტერს მისამართს აძლევ – აქ ვარ „გამაგრებულიო“. ამას აჯობებს, სტაცო ხელი, რასაც მოასწრებ და შენი ნაგრამიანად ტყეს მისცე თავი. იქ უფრო ვერ გიპოვის მტერი. მერე, შეიძლება, ვთქვათ, რომ მოიბალახებს მომხვდური, შეეშინდეს და ამ ციხეში თვითონ გამაგრდეს. მაშინ შეგიძლია ტყიდან გამოხვიდე და შენვე შემოარტყა ალყა ციხეში მომწყვდეულ დუშმანს.

– გამოდის, ამ ციხეს მტრისთვის აშენებდნენ, – შიომ კვლავ გაიღიმა.

– ნუ იცინი, შიო. აბა ჭკვიანი კაცი ამ ციხეს სხვა დანიშნულებას ვერ უპოვის. შენ რომ კინოებში გინახავს და წიგნებში წაგიკითხავს, ციხის კედლებზე რომ მეომრები მიბობლავენ და ზევიდან მეციხოვნები ქვებს აყრიან, ან ცხელ წყალს ასხამენ, ეს სულ ტყუილია. ფანტაზიის წაყოფა და მეტი არაფერი. რატომ, კაცო? რა აუცილებელია დღეს ავიღო ეს ციხე, როცა, გითხარი მისი არ იყოს, ერთ კვირაში შენ თვითონ გამოხვალ გარეთ.

შიო წამოდგა, არაფერი უთქვამს. ბებრის ლოჯივით შერჩენილ ციხის ქონგურს მიადგა და სოფელს გადახედა.

სანდრო მიუახლოვდა და ლამის ყურში ჩასძახა:

– იცით რა აზრი მომივიდა? ამ ციხეს ტყუილუბრალოდ რომ არ ააშენებდნენ, ეს ფაქტია. შეიძლება მაშინაც ის დანიშნულება ჰქონდა, რაც დღეს აქვს; დამნაშავეებს ამწყვდევდნენ შიგ.

– ბატონო სანდრო, ჩემი ვარაუდი ასეთი გახლავთ: მტრის მოახლოებას რომ შეიტყობდნენ, იარაღს აისხამდნენ ვა-უკაცები. ქალ-ბავშვებს და მოხუცებს თავს მოუყრიდნენ და რამდენიმე კაცის თანხლებით ამ ციხისკენ წამოიყვანდნენ. აქ შეაფარებდნენ სუსტებს, თვითონ კი ქვევით ხვდებოდნენ მტერს. არ უშვებდნენ ციხემდე, იქნებ ასე იყო, ა? ასეც ხომ შეიძლებოდა.

– რა ვიცი, – სტუმარმა სუროს ფოთოლი გალეჭა და გადააფურთხა. – არც ეგ ჰგავს მართალს. ჯერ ერთი, აქ რომ მოხუცი და ქალი ამოირბენს, ის არც მოხუცია და არც სუსტი არსება. თუ ამდენი შეუძლია, ქვევით იქნიოს ხმალი. და მეორეც – რაღა მაინცდამაინც ამ სიმაღლეზე ააშენებდნენ ციხეს (თუ მაგ მიზნით იყო) ის დალოცვილები? ქალების და მოხუცების თავშესაფარი ციხე სწორედ რომ ქვემოთ უნდა ყოფილიყო, სოფლის ცენტრში. უფრო დაიცავდნენ და ხალხის მოგროვებაც არ გაჭირდებოდა. წყალსაც უფრო ადვილად მიაწვდიდნენ და საკვეპსაც. ასე არ არის?

ერთხანს ორივენი სდუმდნენ. უეცრად შიოს სახე გაუნათდა, ხელი წინ გაიშვირა და სტუმარს უხმო:

– შეხედეთ, ბატონო სანდრო. რა ზღაპრული სანახაობაა! არ გსიამოვნებთ ამ ჭალის, ამ მდინარის, ამ სურათის ნახვა?! ხომ გსიამოვნებთ. იქნებ ჩვენმა წინაპრებმა ეს ციხე, უბრალოდ, სილამაზისთვის, გადმოსახედად ააშენეს? ისინი ხომ ბუნებით პოეტები იყვნენ. სილამაზის გრძნობა ყოველთვის ყვიროდა ქართველი კაცის ხასიათში, რას იტყვით ამაზე?

სანდრომ ჯერ ქვევით ჩაიხედა, მერე ამრეზით შეხედა შიოს და ყრუდ ამოილაპარაკა:

– სერიოზული კაცი მგონიხართ. საღადაოდ მცალია, თუ ძმა ხარ, მეე?

უხმოდ, დამდურებულებივით ეშვებოდნენ.

მასპინძელი მიდიოდა ზურგზე ხელებშემოწყობილი, სტუმარი ხვიარის ფესვებს ეჭიდებოდა და ყოველ ნაბიჯზე ისე ხვნებოდა, გეგონებოდათ, მძიმე ტვირთი უწვავსო ბეჭებს.

კოლმეურნეობის კანტორასთან რომ მივიღნენ, შიომ შეაჩერა სტუმარი:

– ბატონო სანდრო, თქვენ მე არ მომეწონეთ. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ეს ორი საათი იქნებ წაშალოთ თქვენი მეხსიერებიდან. თუ ღმერთმა კიდევ შეგვახვედრა ერთმანეთს, გამარჯობა არ მითხრათ, არც მე მოგესალმებით. არ მინდა თქვენნაირი კაცის ამხანაგობა. ხომ შეიძლება, არ მინდოდეს?

– როგორც გაგეხარდებათ... – თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, სულმოუთქმელად შეაგება სტუმარმა. პიჯაკი, რომელიც აქამდე იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, მხარზე გადაიგდო და ჭიშკარს ფეხი ჰქონდა.



## ნუ დააგდებ

„მოსკვიჩ 412“ სწორედ რომ შუაგზაზე გაჩერდა. ჯერ საეჭვოდ აფრთქიალდა ძრავა, მანქანას ძალა წაერთვა, მერე თითქოს რაღაცას ჩიფჩიფებსო, ვენტილიატორი ერთი-ორჯერ უკულმა დატრიალდა და დადუმდა. დოცენტ კოჩა გუნიას ცივ-მა ოფლმა დაასხა. მისი მანქანის პატრონი ასეთ შემთხვევებს მიუჩვეველი როდი იყო, მაგრამ ამ დილით დოცენტის განერვიულებას, სხვათა შორის, ორი სერიოზული მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ლექციის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა და მეორეც, ეს ამბავი ხდებოდა ქალაქის მთავარ არტერიაზე – რევოლუციის პროსპექტზე პიკის საათს რომ ეძახიან იმ დროს. ყველას რომ ეჩქარება, მძლოლები ფეხით მოსიარულებს მგლებივით რომ აწყდებიან და პარპრიზის აკვარიუმიდან კბილებს რომ უკრაფუნებენ, მანქანები მარჯვნივ-მარცხნივ რომ მიძვრებიან და გამოუცდელ მძლოლს შიშის ქარს რომ უყენებენ მუხლებში.

ავტოინსპექტორი არსად ჩანდა. გზის გუშაგებმა იციან, რომ პიკის საათებში სულერთია, ვერაფერს შეცვლიან. მოძრაობას ამ დროს ჯუნგლის კანონი აწესრიგებს და საოცარი სწორედ ის გახლავთ, რომ „საგზაო შემთხვევები“ ამ დროს ყველაზე ნაკლებია. ამ და სხვა მიზეზთა გამოც ფარხმალდაყრილი ავტოინსპექტორები ქუჩა რომ მიწყნარდება, სწორედ მაშინ გამოდიან ჩირგვებიდან და გზას დაეპატრონებიან. კოჩამ კარგა ხანს აღუღუნა სტარტერი, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, მანქანიდან გადმოვიდა და მკლავებჩამწყვდეული, ზურგით მიეყუდა თავის ჯიუტ ტრანსპორტს, იმის იმედით, რომ არ შეიძლება ვინმეს არ ეცნო და არ მიშველებოდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს სოხუმში ვინ არ იცნობს, მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ აქ იმის მტკიცებას

მოვყვებით, რომ კოჩას მხოლოდ და მხოლოდ მისი კაცური კაცობისა და უკიდეგანო პატიოსნების გამო იცნობენ. გუნიას სახელის განთქმას თხუთმეტიოდე წლის წინათ შეძენილმა ამ მოსკვიჩმაც შეუწყო ხელი.

„გუნიას მოსკვიჩი“ კარგა ხანია დამკვიდრდა ქალაქურ ფოლკლორში სიძველის, გაუმართაობის და ზოზინის სიმბოლოდ. ვისაც ბედნიერება არა ჰქონდა დოცენტის ღრმა-შინაარსიანი ლექციები მოესმინა, კოჩა გუნიას იგი იცნობს პოპულარული კინოფილმის კადრებივით ათასჯერ ნანახი ორი სურათით. პირველი – ქუჩის პირას დგას კაპოტახდილი „მოსკვიჩი“ და ძრავაში თავჩარგული მისი კანონიერი მფლობელი გატაცებით ჩაჰკირკიტებს. ხანდახან თავს აწევს, მაჯით შუბლზე ოფლს მოინმენდს, რაღაცას ჩაილაპარაკებს და ისევ საქმეს ჩაულრმავდება. მეორე – კაპინაში საჭესთან ზის კოჩა (ეს გაცილებით უკეთესი ვარიანტია) თავი გადმოუყვია და სიცხისგან გახვითქულ „მომწოლთ“ ამხნევებს, ცოტაც და დაიქოქებაო.

დაძელდა „გუნიას მოსკვიჩი“. კარებს ქვემოთ, კარნიზები ჟანგმა ისე შემოაჭამა, რომ თაგვი თავისუფლად შეძვრება. ზეთს ძრავა უზომოდ ნთქავს. ძარა ისე ფართხუნობს, რომ, კაცი იფიქრებს, ეს მანქანა ერთი მაგრად რომ გაჭენდეს ოღროჩოღროზე, შეიძლება, წინა-უკანა ფრთხები დასძვრეს და ხოჭოსავით მარტო სალონი დარჩესო. სიჩქარეთა კოლოფი ხშირად ჭირვეულობს, სახელური ხანდახან თავისით უბრუნდება საწყის მდგომარეობას, სანთლები სველდება და, როგორც ახლახან დავრწმუნდით, ძრავა გაურკვეველი მიზეზების გამო იშვიათად, მაგრამ მაინც უდროო დროს ქრება. დაბერდა კოჩას „მოსკვიჩი“. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ განსხვავებით ამ მარკის სხვა მანქანებისაგან, „გუნიას მოსკვიჩი“ არც სიახლის წლებში იყო დიდი ბედაური. ქარხნისა თუ გზაში შეძენილი ნაკლის გამო იმთავითვე ჭირვეულობდა, საეჭვოდ ახველებდა, ავადმყოფობდა. შეძენის მეორე წელს ერთი გადაწყვეტა

გადაწყვიტა კოჩამ გავყიდიო, მაგრამ დოცენტს მოწყალე – შემბრალე გული ჰქონდა. სწორედ ამ გულის წყალობა იყო, რომ „მოსკვიჩი“ თხუთმეტი წელი შერჩა გუნიას. ჯერ ეცოდებოდა, მერე შეეთვისა და ბოლოს შეუყვარდა კიდეც. დოცენტი მეცნიერებისთვის განკუთვნილ ოქროს საათებს ხშირად ავტოპროფილაქტორიუმში ატარებდა და „მოსკვიჩიც“ ურცხვად ნთქავდა დეკანის ოჯახის ისედაც მჭლე ბიუჯეტს. კოჩასთვის ისე მშობლიური გახდა ეს მანქანა, როგორც სხეულის ნაწილი, ან უაღრესად ახლობელი პიროვნება. ხშირად დასიზმრებია კიდეც, რომ მისი მოსკვიჩი, სასწაულებრივად გაახალგაზრდავებული, ენერგიულად კეცავდა კოდორის ჭალებს. იშვიათად უსიამოვნო სიზმარსაც გაუღვიძებია: თავდაღმართში მიქრის მანქანა, მუხრუჭებმა უღლალატეს, კოჩა საჭეს ჩაფრენია და სადაცაა ორივენი ზღვის ტალღებში ამოყოფენ თავს (ლმერთო მიხსენი!). გამოღვიძებია და მშვიდად ამოუსუნთქავს. ყველაფერი რიგზეა. გვერდით მეუღლე ფშვინავს, ფანჯარასთან ახლოს, ეზოში, „მოსკვიჩი“ დგას და თავის ბებრულ ღამეს თეთრად ათენებს.

გუმანმა არც ამჯერად უღლალატა დეკანს. მანქანიდან გადმოვიდა და მკლავი მკლავში ჩაიხვია თუ არა, მის ირგვლივ ერთიმეორეზე დაიღრჭიალეს მუხრუჭებმა. ჩვეულებრივი ამბავია: „გუნიას მოსკვიჩის გაუჭირდა“. დოცენტმა იცის, ახლა აქ გაიმართება კონსილიუმი. ვიღაც კაბინაში შეძვრება და ისედაც მოშლილ სტარტერს მანამ ატრიალებს, სანამ აკუმულატორი არ დაიცლება, მეორე სანთლებს დაუწყებს წმენდას, მესამე კარბურატორის თავს ახსნის, ერთი საათის ამბავია... და კოჩამ, ყველასაგან მოულოდნელად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

– გადავაგოროთ კიდეზე. დავტოვებ და მერე მოვაკითხავ. ახლა ამის დრო არა მაქვს. ათ წუთში ლექცია მეწყება.

მანქანა გზის პირას გააჩერეს: ტაქსის მძლოლმა უნივერსიტეტამდე მიყვანა შესთავაზა. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი,

აღარ შემიძლია, ნერვები მღალატობს“, გაიფიქრა კოჩამ კიბეზე ასვლისას და გაახსენდა, რომ გასაღები მანქანაში ჩატოვა. თავისი ბებერი მოსკვიჩის კარებს საერთოდ არ კეტავდა (ვინ იყო მომპარავი), მაგრამ ახლა შიშმა გაჰკრა გულში, ვიანორ ბლაუბას მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილი ბრელოკი არავინ მომიძროს გასაღებებზეო.

ლექცია უგემურად წაიკითხა. ზარი ისევ წერიალებდა, ქუჩაში რომ გაჩნდა და პირველივე მანქანას დაუქნია ხელი. მძლოლისკენ აღარ გაუხედავს. მასპინძელი რაღაცას ყვებოდა, მაგრამ დეკანს ერთი სიტყვაც არ მოუსმენია. სირბილით გადმოჭრა ქუჩა და მანქანის კარის გამოღებისთანავე გულზე მოეშვა, გასაღებები თავის ადგილას იყო.

ცოტა ხანს იდგა, ვერ გადაეწყვიტა, მოსკვიჩი ბუქსირით მიეთრია პროფილაქტორიუმში, თუ ელექტრიკოსი ვალერი ქეცბა მოეყვანა ტაქსით. სანამ არჩევანს გააკეთებდა, საჭეს მიუჯდა, კონუსი გათიშა და გასაღები უიმედოდ გადაატრიალა, ჰოი საკვირველებავ! ძრავა ჩაირთო. ცოტა ხანს მაღალ გაზიერების შემდეგ ბენზინმნივის სახელური ჩასწია, ყველაფერი რიგზე იყო. ფეხი დააჭირა და რამდენჯერმე ააღრიალა ძრავი. თანაბარზომიერად იღებდა ბრუნს. დოცენტმა მხრები აიჩეჩა, მანქანა დაძრა და კილასურის პროფილაქტორიუმს მიადგა. ვალერი ქეცბას წვრილად უამბო ამდილანდელი შემთხვევა.

– ბენზინი ხომ არ გადაუყლაპავს? – ჰკითხა გამოცდილმა ელექტრიკოსმა.

– არა, მესამით მოვდიოდი, ბენზინს საიდან ჩაყლაპავდა.  
– დაქოქვისას რას მოკიდე ხელი? – ოსტატმა მანქანის კარი გამოაღო.

– რას მოვკიდებდი, პირველად ხომ არ ვქოქავ.  
– დილით შოთრებმა კაპოტი ახადეს?  
– ხელი არ უხლიათ. ლექციებზე მაგვიანდებოდა, გვერდზე გადავაგორეთ, ეს იყო და ეს.

ქეცბამ რამდენჯერმე აამუშავა და ჩააქრო ძრავი. პრო-  
ფილაქტორიუმის ეზოში გაატარა მანქანა, კოჩას გასაღები  
დაუბრუნა და დაბეჯითებით აუწყა.

– ახლა არაფერი სჭირს, ამ წუთას. ხომ ხედავ, ნახე-  
ვარბრუნზე იქოქება, ნადი, მშვიდად იარე, ნუ გეშინია.

– ვითომ აღარ გაიმეორებს? – შეფიქრიანდა კოჩა.

– ხვალ ჩვენ რა გველის ვიცით? – კითხვა შეუბრუნა  
ქეცბამ, ხელი მოშავო ფერის ტილოთი შეინმინდა და თავის  
ელექტროკული საქმეებისკენ გასწია.

სანამ უნივერსიტეტამდე მოაღწევდა გუნიას მოსკვიჩს ახა-  
ლი სენი აღმოაჩნდა. მესამე სიჩქარიდან მეორეში გადმორთვი-  
სას (რაც, როგორც მოგეხსენებათ, ნელი სვლის დროს ხდება),  
მანქანა ძიგიგებდა, საეჭვოდ აწყდებოდა წინ და უკან, მერე  
ერთპაშად შექანდებოდა და პოლესოვის მოტოციკლეტივით გა-  
ვარდებოდა წინ. უნივერსიტეტის ეზოში შემოსვლისას დეკანს  
მოსკვიჩს უთავბოლო ხტუნვისაგან კისრის ძარღვები სტკიო-  
და. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი“ მტკიცედ გადაწყვიტა კოჩამ,  
ეზოს წრე დაარტყა და ისევ პროფილაქტორიუმისკენ მოუსვა.

ელექტრიკოსმა სერგო მკრტიჩიანმა ყურადღებით მოუს-  
მინა და ბოლოს მაინც ჰქითხა, ახლა, ორიოდე სიტყვით მითხა-  
რი, რა ემართებაო.

– მესამიდან მეორეზე გადმორთვისას დაპალ სიჩქარეში  
თითქოს ყალყზე დგებაო, – გუნიამ შუბლზე ჩამოყრილი თმა  
მუშტებით გადაინია. ამაზე მოკლედ რაღა ავუხსნაო.

– რაზე დგება? – „ახ ეს სწავლულები“, გაიფიქრა სერგომ.

– ყალყზე.

– ყალყი რა არის?

– დიორგანიეს აკეთებს წინ და უკან – ნათქვამს დეკან-  
მა თვალსაჩინოებაც მიახმარა. ერთი ნაბიჯით წინ გახტა და  
ნაბიჯით უკან გადმოხტა. სასაცილო შესახედავი გახლდათ, ამ  
დროს, დოცენტი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ სტუ-  
დენტები არ უყურებდნენ.

– გასაგებია, – მცირე პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა სერ-  
გომ – დაჯექი აბა, გავიაროთ.

საჭეს კოჩა მიუჯდა. ქუჩაში გამოვიდნენ და მაიმუნთსაშე-  
ნის გზას დაადგნენ. გუნიას ლამის გული გაუსკდეს. სადღაა  
ყალყი. „მოსკვიჩი“ სიჩქარეების გამოცვლისას რხევითაც კი  
არ ირხევა.

– კიდევ გადართე! – წამდაუწუმ ჩასძახის სერგო.

კოჩა რთავს მესამიდან მეორეში, მეორიდან პირველში,  
პირველიდან მეოთხეში, მეოთხიდან მესამეში.... თქვენც არ  
მომიკვდეთ, სიჩქარეთა გადამცემი მექანიზმი საათივით მუშ-  
აობს.

– რა დაემართა? – პირი გააღო კოჩამ და ოსტატს მიაჩ-  
ერდა.

– მე თქვენ გეკითხებით, – ილიმება მეკარბურატორე.

– როგორ, კაცო! ახლა ნახევარი საათის წინ სისხლი გამიშ-  
რო. კისრის ძარღვები დამაწყვიტა.

– იქნებ მოგეჩვენათ? – ირონიას მიმართა კარბურატორის  
დასტაქარმა.

– კარგი ერთი.

– აბა, კიდევ ერთხელ გავიაროთ.

ბარათაშვილის ბაქანთან მოუხვიეს, ბოტანიკურ ბალს გა-  
მოცდნენ, მცირე ბაზარს ჩაუარეს და ისევ პროფილაქტორი-  
უმში დაბრუნდნენ. მიუხედავად პატრონის დიდი სურვილისა,  
„მოსკვიჩს“ ჩვეული შეტოკება აღარ დამართნია.

კოჩამ საათზე დაიხედა, საღამოს ცვლა ხუთზე იწყებს.  
ტიტე ჭანიას ლექციას უნდა დაესწროს. ტიტე კარგი ყმან-  
ვილია, სტუდენტებიც მადლიერი ჰყავს, მაგრამ წესია, დეკანი  
სემესტრში ერთ ლექციას მაინც უნდა დაესწროს. ტიტემ თვი-  
თონ თხოვა და ვერ გაანბილებს.

უნივერსიტეტის ეზოში შემოაგრუბუნა თავისი უკვდავი  
„მოსკვიჩი“ კოჩა გუნიამ. „გრუბუნს“ იმიტომ ვამბობ, რომ  
ხმისჩამხშობი (მოფერებით „გლუშიტელს“ რომ ეძახიან) უან-

გისგან რამდენიმე ადგილას გახვრეტილი იყო და რეაქტიული ძრავების ხმას გამოსცემდა. კარი მიიჯახუნა და საათს დახედა. ხუთს სამი წუთი აკლდა. ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა დეკანს გამოვლილი, რომ მანქანამ გაბმული სიგნალი მისცა. მივარდა კოჩა, ჯერ საჭეს დაწვდა და კარგა ხანს ურტყამდა ხელს, მერე კაპოტი ახადა და რელეს დაუწყო კაკუნი. „მოსკვიჩი“ გაბმულად, გულისწამლებად კიოდა. დოცენტს შერცხვა. ფანჯრებიდან მისი კოლეგების და აბეზარი სტუდენტების სიცილისაგან ცრემლჩამდგარი თვალები შემოჰყურებდნენ. აკუმულატორის მავთულს მიწვდა და გამოგლივა. კაპოტს ხელი დაჰკრა და კიბეს აუყვა. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი“, ფიქრობდა დეკანი და ტიტე ჭანიას აუდიტორიისაკენ მიაბიჯებდა.

კოჩას ისე მოენონა ლექციის პირველი ნახევარი, რომ გულმა არ მოუთმინა და შესვენებაზე, საპროფესოროში, გულიანად შეაქო ახალგაზრდა მეცნიერი. რა თემა უნდა, კომპოზიციური ხასიათის ერთი უმნიშვნელო შენიშვნაც მისცა. ბოდიში მოუხადა, ჩემთვის ყველაფერი ნათელია და მეორე საათზე დასწრება, მე მგონი, საჭირო არ არისო. ტიტე ჭანია არ მოეშვა, მთავარი სათქმელი მეორე საათისთვის მოვიტოვე და გთხოვთ დამესწროთო.

ათს თხუთმეტი აკლდა უნივერსიტეტის შენობის უკანა კარიდან რომ გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ტიტემ მაშველ ქამარს დაუწყო ძებნა, მაგრამ დეკანმა დაამშვიდა: – ჩემს „მოსკვიჩს“ უსაფრთხოების ქამარი არ სჭირდება, ისედაც უსაფრთხოა, საათში ორმოცდაათ კილომეტრზე ჩქარა ვეღარ დადისო.

შრომის ქუჩაზე, პურის მაღაზიასთან, ციებიანივით აძიგ-ძიგდა მანქანა, ძრავამ ავად ამოიხრიალა და დადუმდა.

– რა მოუვიდა? – იკითხა ტიტემ. კოჩამ კაპოტის ბაგირი დაქაჩა და მანქანის კარი რომ გამოაღო, ყრუდ ჩაილაპარაკა: „ახლა კი ნამდვილად გავყიდი, პირველსავე მუშტარს მივყიდი კიტრის ფასად. თუ კაცი მომენონა, შეიძლება ვაჩუქო კიდეც“. .

სახლამდე კილომეტრნახევარზე ცოტა მეტი რჩებოდა. ოფლში გახვითქული ტიტე იობის მოთმინებით აწვებოდა გაჯიქებულ ტრანსპორტს. ჯერ ორივე ხელით აწვებოდა, როცა რევოლუციის პროსპექტზე დაეშვნენ, ხელებს უნაცვლებდა, ამას მორცხვობის გამოც აკეთებდა (აქაოდა, მსიამოვნებს ხელის დადება, თორემ ჩემი მიწოლა რად უნდა, ეს ისეთი მანქანაა, თავისითაც მშვენივრად ივლისო) და თან შარშანწინ ნალრძობ მარჯვენას ასვენებდა.

კოჩა კი, უმცროსი მასწავლებლის საქციელით უსაზღვროდ მადლიერი კოჩა, ხანდახან მანქანიდან თავს გამოყოფდა და გულს მოუფონებდა: „ბრწყინვალე ლექტორი ხარ. ასეც ვიტყვი ზეგ, საბჭოზე. დისერტაცია მაღლე უნდა დაიცვა. ხომ ხედავ, უნიჭობამ წალეკა ქვეყანა!“

„ვრემია“ გათავებული იყო და ტელევიზორში მოდებს უჩვენებდნენ, დეკანმა და მისმა ახალგაზრდა კოლეგამ ეზოში „მოსკვიჩი“ რომ შემოაგორეს.

ბერძენმა მენარდებმა ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამთ. ასეთი სურათი მათვის ახალი როდი იყო.

„მოსკვიჩის“ პატრონმა ტიტეს ტაქსის დაჭერაში უშველა და მანამ უქნევდა ხელს, სანამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი თვალს არ მიეფარა.

მთელი ლამე არ სძინებია. მუშტეკრული და პირმოკუმული იწვა. „უსათუოდ გავყიდიო“, წამდაუწუმ ეჩურჩულებოდა მეუღლეს. აშკარად ჩანდა, თავის ბებერ მეგობარზე ნაწყენი იყო.

იცოდა, მანქანის ბაზრობა ადრიანად იწყებოდა მერხეულის გზაზე. ექვს საათზე ეზოში იყო, სათადარიგო ნაწილების დიდი ჩანთა საბარგულში ჩააგდო და ქუჩაში გამოვიდა, ვინმე ღვთიან – მადლიან მძღოლს დავიჭრ და ელექტრიკოს ვალერი ქეცბას, სანამ გამასწრებდეს, შინ მივაყენებ ამ შავი ჭირივით მოუშორებელ მანქანასო. სახელდახელოდ გავამართვინებ და მერხეულისკენ გავქუსლავო.

იქნებ ქუჩაში მაინც გამოვაგორო სტარტერით, საჭეს მიუჯდა, გასაღები გადაატრიალა და ძრავა ამუშავდა. ეს მართლაც სასწაულს ჰეგავდა. თანაბრად, მსუბუქად, საათივით წიკნიკებდა კოჩას „მოსკვიჩი“, საკისრების ხმაც კი არ ისმოდა.

ჩაჯდა, უკაცრიელ პროსპექტზე გავიდა. ჩააქრო, ისევ აამუშავა. ელვის სისწრაფით ცვლიდა სიჩქარებს. ხან გამეტებით დააჭერდა გაზს, ხან ერთბაშად აუშვებდა. მანქანა სრულ წესრიგში გახლდათ.

სიბრაზისაგან ტუჩები გაუშრა და ნერწყვი გადაყლაპა.

...პრორექტორ ოთარ გაზრდილიას ჭიშკართან სიგნალი მისცა და პერანგისამარა გამოსულ მასპინძელს სანადირო თოფი სთხოვა იხვზე გავივლიო. ჭალარა, ლამაზი პრორექტორი კოჩას წასვლის შემდეგ კარგა ხანს იდგა თავის ჭიშკართან და თავს ეკითხებოდა: – კოჩას წადირობა კაცს არ გაუგია, ხომ არაფერი ჩაიფიქრაო, ამ ყმაწვილმა.

„მოსკვიჩმა“ კოდორის ხიდიდან მარჯვნივ ჩაუხვია და ჭყანტობს მიადგა. შორიახლო ისმოდა თოფების გრიალი. სოხუმის მონკავშირის წევრები ერთგულად წვავდნენ ვაზნებს ისეთ საეჭვო საქმეზე, როგორიც გახლდათ ოთხმოცამდე მეტრის სიმაღლეზე მფრენი გამამაძალლებული იხვის მოკვლა.

კაცმა არ იცის, მოკლავს თუ არა იხვს კოჩა გუნია (სხვათა შორის, სანადიროდ იგი პირველად მიდის), მაგრამ თავისი, ძმასავით თანშეზრდილი „მოსკვიჩის“ გამყიდველი დღეს რომ არ გახლავთ დასახვრეტად მოვაწერ ხელს.



## კაცი, რომელმაც მამის საფლავი დაკარგდა

სოფელ ნოჯიხევს აღმოსავლეთის მხრიდან ბუერის მთა დაჰყურებს. კვადაცითა და შურამია ხეებით გაბურულ ჭალაში ტეხური მირაკრაკებს. ქვემოთ, ტეხურის პირას, ციხის ნანგრევებია, ადგილობრივი მკვიდრნი „ჯიხას“ ეძახიან. მდინარის მხრიდან რომ ამოხედავთ, კედელჩამონგრეული პალატები და ქვევრები ჩანს. რომელ საუკუნეშია აშენებული და რომელში დანგრეული, კაცმა არ იცის.

ნოჯიხევში ცხოვრობენ სიხარულიძეები, ოკუჯავები, ბერიძეები, ნაროუშვილები, გვასალიები, აბაკელიები, ჯანაშიები და ჯეჯელავები.

თებერვლის თბილი დღეა.

ბუერსგანოლილი მზე ისე ალერსიანია, რომ ბონდის ხიდზე შემდგარმა პროფესორმა კალისტრატე ბერიძემ პალტო გაიხადა და მკლავზე გადაიკიდა.

– არ გაცივდე, კალე, ნამგზავრი ხარ, – აფრთხილებს ნოკო ბერიძე, ნახურცილაოს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, კალისტრატეს ალალი ბიძაშვილი.

ამ დილით მატარებელმა დაიგვიანა. ნოკო სენაკის სადგურში დახვდა ბიძაშვილს. აქამდე ტაქსით მოვიდნენ. შეეძლოთ სოფლის ცენტრიდან მოევლოთ და შინ მანქანითვე მისულიყვნენ, მაგრამ სტუმარმა არ ინება. ბონდის ხიდზე ოცდაათი წელია არ გავსულვარ და, საერთოდ, მინდა სოფელს აქედან ავყვე, დავათვალიეროო. ნოკოს ხელთ პატარა ჩემოდანი უჭირავს და წინ მოაბიჯებს, კალეს პალტო ისევ ჩაუცვამს (სელზე გადაკიდებულად ხიდზე გამოსვლა გაუჭირდა, თუ ბიძაშვილის რჩევა დაუჯდა ჭკუაში?) და ორივე ხელით მავთულსჩაჭიდებული ისე ფრთხილად მოაბიჯებს, გეგონებათ, ნაკვერცხლებზე ადგამსო ფეხს.

ოცდაათი წელია ფილოსოფოს კალისტრატე ბერიძეს თავისი სოფელი არ უნახავს. ახლა იგი სამოცდაათს გადაცილებულია. შვილები კი არა, შვილიშვილებიც მოწიფული ჰყავს. ეს ბოლო სამი წელია, შუალამისას ძილი უტყვდება და მოსვენებას არ აძლევს ფიქრი სოფელში დაბრუნებაზე. რაიალმასკომის თავმჯდომარეს, ამას წინათ, წერილი მისწერა; თუ შეიძლება, ჩემს მამაპაპეულ ეზოში პატარა ფიცრული ჩავდგა, სიზმრებმა გადამრია, თორემ რაღა დროს ჩემი წანწალია, დროზე ვერ მივხედე მაქაურობასო. უარს ვინ ეტყოდა. ამ ოცდაათი წლის წინათ მამა რომ დაასაფლავა, ბაბუამისის აშენებული წაბლის ოდა ნახევარ ფასად მიყიდა კარის მეზობელს – ილია ნაროუშვილს და მერე სოფლისკენ არც გამოუხედავს. ვერ მოიცალა.

ამას წინათ, ნოკომ მოსწერა; ილია კარგა ხანია გარდა-იცვალა, მისი ქალიშვილი ნადუშა ქუთაისშია გათხოვილი, წვრილშვილის პატრონია და ნოჯიხევში საერთოდ აღარ ჩამო-დის, შინ დარჩა მოხუცებული ქსენია. ქსენიას მარტო ყოფნა ეშინია და ღამეს თავის დასთან – თომა ჯეჯელავას მეუღლეს-თან ათევს. მგონი სახლის გაყიდვას აპირებს და ჩამოდი, თუ სააგარაკე მართლა გინდა, შენს მშობლიურ სოფელზე უკეთ-ესა სად მოძებნიო.

და აი, კალისტრატე თავის სოფელშია.

ქსენიას უნდა მოელაპარაკოს, სასოფლო საბჭოს განცხადება დაუტოვოს და ქალაქში დაბრუნდეს. გაზაფხულზე საბალე სახლს შეიძენს, ჩამოიტანს ნოჯიხევში და თავის ეზოში ჩადგამს. მამა-პაპის კერაზე ცეცხლს გააჩაღებს. ამ სიჩქარეში კინალამ დამავიწყდა მეთქვა, რომ ილიამ, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, წაბლის ოდა დიდჭყონელ ხაბაზს მიჰყიდა და იქითკენ გზა თუ დაგირჩათ, ახლაც შეგიძლიათ ნახოთ, სამჭედლოს გვერდით, კიპარისების უკან მაღალ კოჭებზე შემდგარი, ყავისფერი, ბერიძეებისეული ოდა.

სოფლის ბოლოში გავიდნენ. კალისტრატემ „ბერიძის წყაროს“ ნახვა მოიწადინა. ბერიძის წყარო, აღბათ, მსოფლიოში

ყველაზე მოკლე მდინარეა. ბუერის მთის ძირიდან გამოჩეულს და იქვე, სამასიოდე მეტრში უერთდება ტეხურს.

პანაწკინტელა წყლის წისქვილს მიადგნენ და ხავსიან ლოდზე ჩამოსხდნენ.

– ჩვენი წისქვილი. – პროფესორმა შლაპა მოიხადა, შუბლზე ოფლი ცხვირსახოცით შეინმინდა და ისევ დაიხურა. მაღალი, წარმოსადეგი კაცია. სასიამოვნო გარეგნობისო, რომ იტყვიან, ისეთი. გადატკეცილი პირისკანისა და შავი თმა-ულვაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამოცდაათს ვერა და ვერ მისცემთ. ლაპარაკობს ჩვეულებრივზე უფრო ხმა-მაღლა და ნერვიულად. მის საუბარში ტრიბუნისა და ორატორის გენი უფრო ჩანს, ვიდრე ბიბლიოთეკებში ღამენათევი ფილოსოფოსისა.

– გახსოვს ეს წისქვილი?

კალემ ღიმილით გამოხედა ბიძაშვილს.

– რამდენჯერ მხარზე შესმული მომიყვანიხარ აქ, შეგლახა, შენ. ბატების გეშინოდა ყველაზე მეტად. ბატს რომ დაინახავდი, ღრიალით გამორბოდი ჩემკენ.

– ხო-ხო, აპა, აპა.

– გამართულია ეს წისქვილი, ნოკო?

– საერთოდ კი, მაგრამ არ მუშაობს. კაი ხანია არ შემიხედავს შიგ. ხომ ხედავ, ბოქლომიც დაუანგულია, თუ გატეხავ, თორემ გასაღებით აწი მაგას ვერ გააღებ.

– სად ფქვავთ?

– ელექტრონის წისქვილზე, კანტორასთანაა. ეს კი კარგი გაგვიკეთა ჩვენმა თავმჯდომარემ, რაც მართალია, მართალია.

– ეს მითხარი, ნოკო, არი რამე განსხვავება?

– საერთოდ, ამბობენ, წყლის წისქვილზე დაფქული ბევრად სჯობსო. ფქვილი არ ჩახურდება არასდიდებით. ცივად ფქვავს და იმიტომ. გემოც უკეთესი აქვსო. რა ვიცი.

– აბა?

– ვისა აქვს ახლა წყლის წისქვილის ჭრიჭინის და ლოდი-

ნის თავი. ქვის მკოდავი ვინაღაა დღეს, ელექტრონი და მისი ჯანი.

— სად გეჩქარებათ, თქვენ მაინც სად გარბიხართ, თქვე კაი ხალხო.

— ჩვენ კი არ გავრბივართ, კალე ბატონი, დრო, საქმე მიგვარბენინებს. შენ რომ სამსახურიდან მოპრუნდები და ტელევიზორს წაუწვები, ისე კი არა ვართ მოწყობილი. ჩემი მუშაობა სკოლიდან მოსვლის მერე იწყება. ჰაი ყანა, ჰაი საქონელი, ჰაი ვენახი, ჰაი-შეშა, დამანებე თავი, თუ კაცი ხარ.

კალისტრატემ წყალი პეშვით აიღო, მოსვა, მერე დაიხარა და ერთიორჯერ სახეზეც შეისხა.

— უფრო ცივი მახსოვდა.  
— ახლა ზამთარია. ზამთარში თბილი ჩანს, ზაფხულში ის-ეთია — ჭიქას ტეხავს.

ჩამოივაკეს. სტუმარმა ტრაქტორის ნაბულრავებ მინდორს გახედა.

— ჩვენი კაკლის ხეები?  
— ამოძირკვეს, ამ ადგილას კალმახთსაშენს აკეთებენ.  
მთელს რაიონს კალმახით მოამარაგებს, პატარა საქმეა?  
— იცოცხლე ეგ კარგი იყოს, მაგრამ მთავრობა კაკლის მოშენებას მოგვიწოდებს და თქვენ ამ დროს ასწლიანი კაკლები მოჭერით, თქვე კაი ხალხო? აუზი ცოტა ქვემოთ არ გაკეთდებოდა.

— აქ იყო დაგეგმილი.  
— კაი ერთი, თუ ძმა ხარ.

სოფლის ორლობები საქონლის სკორეს სუნი დგას. კარგა ხანს უფრთხოლდებოდა კალე თავის გალაქულ ფეხსაცმელებს, ზემოდანაც მოუარა ტალახიან შუკას, ღობე-ღობეც იარა, მა-გრამ არაფერი გამოუვიდა და ახლა პირდაპირ ჭყანტობში მოაბიჯებს.

— ეს დავითის სახლი არ არის?  
— არა. აქ ერუ ცხოვრობს, დავითი ზევით.

— არდევანმა ცოლი არ ითხოვა?

— არა. მარტოა.  
— რა ღმერთი გაუწყრა!  
— რა ვიცი. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო, და ქეა ასე.  
— აფსუს დავითი.  
— არ თქვა, თუ ღმერთი გწამს.  
— ერუ რას შვრება?

— გახსოვს, ცხენით რომ დარჭიანობდა? ცეცხლი იყო, კაცი კი არა.

— ისევ დამზადებაშია?  
— შენ არ მომიკვდე: პენსია გაინალდა კაი ხანია. ქალიშვილთან იყო სტუმრად თბილისში. მგონი ჩამოვიდა. დავუძახოთ.  
— იყოს. შეწუხდება. მერე მე თვითონ ვინახულებ.  
— ბატონი ხარ. აქეთ გადმოდი, ამ გზას ვერ მოვუხერხეთ ვერაფერი.

ხურმის ბებერ ხეებს ფიტრილა შემორჩენია მწვანედ. ფერ-ფლისფრად ჩანს ფერდობზე დაკიდული სოფლის ეკლესია.

— ეს ვასილ-ფერშალის სახლია.  
— ნამდვილად, ყოჩა.  
— ვასილი?  
— შარშანწინ დავასაფლავეთ. შენი დეპეშაც წაიკითხეს და-კრძალვაზე.

ახლა გაახსენდა, თვითონ სიმპოზიუმზე იყო ბადენბადენში, დეპეშა მეუღლეს გამოეგზავნა.

— რა ტკბილი, დაუზარელი კაცი იყო.  
— სასწაული ის იყო, რომ ამ კაფანდარა ფერშალმა, ნოკო, ყველაფერი იცოდა. მენინგიტიდან დაწყებული ქალის მომშობიარებამდე. რაც მე მახსოვს, ჩვენს სოფელში სხვა ექიმი არ გაჭაჭანებულა. ახლა მარჯვენა ყურს ერთი მკურნალობს და მარცხენას მეორე, მაგრამ იმასავით მაინც ვერა...

— ასეა, კი.  
— მარჯვენივ, ზევით, კინი სახლობდა.

- კინია ახლაც.
- ერთად დავამთავრეთ ორკლასიანი მე და კინიმ. მერე საშუალო სკოლაში აქედან ლეძაძამეში ფეხით დავდიოდით, რამდენი კილომეტრია?
- შვიდი.
- შვიდი იქეთ, შვიდი აქეთ. ხუმრობაა თორმეტი წლის ბავშვისთვის ზამთარში?
- კინის ორი ქალიშვილი ჰყავდა, თუ გახსოვს.
- ჩემ დროს ერთი იყო დაბადებული. რა ერქვა?
- მეგონა.
- ჰო, მეგონა, წლინახევრის იყო, მე რომ აქედან წავედი.
- მეგონა ნოქალაქევშია გათხოვილი, ბარდღა გოროზიას ბიჭს ჰყავს. უმცროსი გოგო ვერ გამოადგა კინის.
- რაო?
- გათხოვდა, ერთხელ, გამოთხოვდა, შარშანწინ მეორედ გათხოვდა. ექვს თვეში გაშორდა მეორე ქმარსაც. ახლა სოხუმშია და მთლად კარგი ხმები არ ჩამოდის.
- ჰო.
- სეირნობსო, ერთი სიტყვით, ნამეტანს.
- ეგ არაფერი, – კალემ ჩაიცინა, – ჯანმრთელად ხომაა. მე ფარსაგი ჭირდა მეგონა. მოწყინდება და დაანებებს თავს.
- კაი შედავათია.
- ამასობაში ბოგირს მიუახლოვდნენ. გალმა, დაფერდებული ჭიშკრის წინ, ხის კველაზე, ნარპებიანად თეთრი, სკვინჩასავით დალეული ბერიკაცი იჯდა და მომავალთ თვალს არ აშორებდა.
- კალე, იმ კაცს თუ იცნობ.
- სამსონი გვასალიაა, რა ცნობა უნდა. ისევ უნგრულად ლაპარაკობს?
- უნგრული კი არა, მეგრულიც აღარ ახსოვს. გამოჩერჩეტდა უბედური.
- რატომ ლაპარაკობდა, თუ იცი, უნგრულად?

- არ იცი, მართლა?
- შენ თუ იცი.
- პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა, ამისი პოლკი ორი წელი უნგრულ სოფელთან მდგარა. იქ უნგრელი ქალი შეჰყავარებია და მთელი ცხოვრება იმ ქალის ხათრით უნგრულად ლაპარაკობდა.
- მახსოვს, თუ ძალიან გაუჭირდებოდა, მაშინ ჩაურთავდა მეგრულს. რაიკომის მდივანი ბართაია გააგიუა კინალამ ერთხელ. ჩვენს სოფელში იყო სტუმრად მდივანი. გაჩერდი ცოტა ხანს, დავამთავრებ და მივედით. ჰოდა, აქ ბოგირთან დახვედრია სამსონი. სიტყვა, ერთი სიტყვა არც მეგრულად, არც ქართულად, არც რუსულად, მთელი საათი უნგრულად არიგა მდივანს ჭკუა.
- რა უნგრული ისწავლა ასეთი იმ ორ წელიწადში.
- უფრო საოცარი ის არი, იმ უნგრელი ქალის ერთგულება ბოლომდე რომ გაჰყავა. ასეთი შემთხვევები არის ფსიქოლოგიაში. რაღაც დიდი სტრესის შემდეგ კაცი სხვა ენაზე იწყებს ლაპარაკს. ახლა სამსონი ასის იქნება?
- ასა გადაშორდა კაი ხანია. დაბადების წელი არ ახსოვს, ამას წინათ ფოტინეს შვილიშვილს უკითხავს და ოცდაშვიდისა ვარო, უპასუხნია, შემოდგომაზე ცოლის შერთვას ვაპირებო. შენ არაფერი უთხრა, აბა, თუ გიცნობს.
- სწორედ მაშინ, როცა თავზე წაადგნენ, მოხუცმა ინტერესი დაკარგა სტუმრებისადმი და განზე გაიხედა.
- სამსონ პატენი, ქორექო?\*
- ქო, პატენი, ქო. ქუორექ დიოდე.\*\*
- ამ კაცს თუ იცნობ? – ნოკომ პროფესორზე მიუთითა.
- არა, ბატონო, არა, – სამსონს ზედაც არ შეუხედავს.
- ესტატეს ბიჭია, ესტატე ბერიძეს ხომ იცნობდი?
- არა, ბატონო, არა! – ჯიუტად გაიმეორა სამსონმა.

\* ხარ?

\*\* კი, ბატონო, კი. ვარ ჯერჯერობით.

– ხომ გითხარი, გასულია გაღმა – თქვა ნოკომ.

– ჩუმად, გაიგონებს.

– მეტი არაა ჩემი მტერი.

გზა განაგრძეს.

– პორფილე ჯანაშიას თუ უდგას სული.

– რაღა დროს პორფილეა, შე კაცო. პორფილე სამოცდაე-ქვსში მოკვდა, არა სამოცდახუთში, სამოცდახუთში. გახსოვს, რომ ეცინოდი?

– რას?

– ახლაც იხსენებენ სოფელში. შენ წაგიკითხა თურმე ფრონტიდან გამოგზავნილი წერილი მისმა ცოლმა. „დაო მარო“ – ასე იწყებოდა. შენ გაუვრცელე ხმა, მართლა ასე ეწერა?

– ჰო, ასე. ეტყობა, სხვისგან გადაწერა წერილის დასაწყისი. მაშინ, თითქმის, ყველა წერილი ერთნაირად იწყებოდა: „დაო მარო, უპ. ყოვლისა, მოგისურვებ შენი მიზნების სრული ასი პროცენტით შესრულებას“ და ა. შ.

– მერე რა იყო აქ სასაცილო? თავი რომ მოჭერი ხალხში?

პორფილე ცოლს თურმე „დაო მაროთი“ მიმართავსო.

– ვიცი? ბავშვის ჭკუა. ძუკუ თუა ცოცხალი.

– ხანგავ (3 ხანგა – სულელი.) ძუკუ?

– დიახ.

– ცოცხალი? ე, ის ორსართულიანი ოდა მაგისია.

– ძუკუსი კაცო? ძუკუ მორჩა, ჩემო ბატონო? მახსოვს რომ წამოუვლიდა და ანგრევდა ყველაფერს. მაგის ჭიშკართან ჩავლა სიკვდილი იყო ჩვენთვის. ან ქვას გესროდა, ან ფეხდაფეხ გამოგენთებოდა. მე შენ გეტყვი, გაასწრებდი.

– ჰოდა, გამარჯობა შენი. ძუკუ განიკურნა. ისეთი მარჯვე, მშრომელი და ავკარგიანი კაცია, გაგეხარდება. ცოლი არ შეურთავს. არც მისი და – ლოლა გათხოვილა.

– ლოლა, რას მელაპარაკები, რა ლამაზი გოგო იყო.

– ახალგაზრდობაში ძმას უვლიდა. თავი მოიკლა და საგიშეა არ ჩააპარა. მერე ასაკიც გაუვიდა და ცხოვრობენ ახლა და-

დმა, შეხმატკბილებით. ლოლა ჩაის კრეფს ძველებურად, ძუკუ სოფელში ყველაზე კარგი მესიმინდე და ვენახის მყნობელია.

ამ ლაპარაკში ნოკოს ჭიშკარს მიადგნენ.

– კალე, ვერ იცანი ბიძაშენის ჭიშკარი? საით გაუტიე, თუ ღმერთი გწამს.

– სასაფლაოზე ჩავიდეთ, ერთი წუთით, – პროფესორი შედგა და მიხეილ ბერიძის ეზოში გადაიხედა.

– საწყალი მიშა.

– ჯერ ორმოცი არ გადაუხდიათ. რატომ არ ჩამოხვედი, გოგია იყო მარტო თქვენგან.

– გრიპით ვიწერი მაინცდამაინც მაშინ, სიცხიანი, დასწყევლოს ღმერთმა. ის უიგული ვისია?

– კაკოა, ალბათ, ჩამოსული რუსთავიდან.

– კაკო ხშირად დადის ჩემთან, მარჯვე ბიჭია, სხვათა შორის.

– გამოდგა კი. გოგო გაათხოვა შარშან, შვილიშვილიც ჰყავს.

– ვიცი.

– ხომ არ შეხვალ შესაწამებლად, წესია.

– აბა, რას ვიზამ, წამოდი ჩქარა, დავიბან, დავივარცხნი და შევალ. ერთი მამაჩემის საფლავი მინდა ვნახო.

– რა დროს საფლავია, შინ შევიდეთ: ცხელი რძე ექნება ნაუშას ადუღებული. გულს მოგინახავს.

კალე ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა შუკას.

ნოკომ ჩემოდანი საჩიხედან გამოტანტალებულ თავის უმცროს ბიჭს – დუტუიას შეაჩეჩა და წინ წასულს გამოუდგა.

სასაფლაო ორად გაეყოთ. მარცხენა მხარეს, მწვანე მინდორი ფეხბურთის მოედნად ჩამოეჭრათ. ჭიშკრის გვერდით, ალაგეზე გადავიდნენ და ორი უშველებელი ცაცხვისკენ გაემართნენ. სამიოდე ახალი საფლავის ბორცვი ჩანდა, მარცხივ კუკუშა ჯანაშიას და მისი მეუღლის რკინისლობიანი და რამდენიმე, რიგიანად მოვლილი, მორებით შემორაგვული საფლა-

ვი, ხოლო მაყვლის ბუჩქებისაკენ, სადაც კალისტრატე ბერიძეს მამამისის საფლავი ეგულებოდა, კარგა ხანია ბალახს გადაევლო და დიდი დაკვირვება უნდოდა კაცს, რომ სამყურასა და ქამენია ბალახის ქვეშ საფლავის ქვები შეგემჩნია.

პროფესორმა ნოკოს შეხედა. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ გეოგრაფიის მასწავლებელი გუმანით მიხვდა ბიძაშვილის საყვედურს და თავის მართლებას მოჰყვა.

— რა ჩქარა იზრდება ეს ქამენია, ეს დასაწვავი. შარშან აღდგომას გავწმინდეთ. შემოლობვა გვინდოდა და ვერ მოვიცალეთ. წლეულს უნდა შემოვლობოთ ყველა ერთად.

კალე დახრილიყო, ბალახებში ხელს აფათურებდა და ლოყებზე სისხლმოწოლილი, ხანდახან ხვნებით გახედავდა ნოკოს.

— ეს არაა მამაჩემი?

— არა. ეგ პახვალას საფლავია.

— პახვალა ზევით არ იყო?

— მახსოვს კარგად. ჯერ პახვალა იყო, მერე მამაჩემი, — ანდრო და სადღაც იქვე, მარჯვივ, წამოდი კიდევ ცოტა, კარგი. აი, მანდ უნდა იყოს მამაშენი.

— არა ნოკო, ცაცხვის გასწვრივ პარმენია. პარმენი — თავი რომ დაიწვა. ჩემსობას დაასაფლავეს, კარგად მახსოვს.

— რაზე დაიწვა მაგან თავი?

— ვინ იცის. მაშინ ათასი რაღაც თქვეს. ვითომ ეჭვიანობა-საც დააბრალეს.

— კარგი. იქეთ ნუ მიუყვები, იქეთ ტყუილად ეძებ. მანდედან ნაროუშვილები იწყება.

კალემ უკან დაიხია და ძებნას იმ მიდამოებში შეუდგა, სადაც ბიძაშვილმა მიასწავლა.

ნოკომ ორკაპა ჯოხი მოძებნა და მაყვლის ბარდებს შეება.

— ესე იგი, პახვალა, ანდრო, ჩემო ბატონო აქ პარმენი ხომ? მანდ ქვა არ არის, ქვევითკენ, შენს ფეხებთან?

— არა, — ყრუდ უპასუხა კალემ. დაღლილი იყო და მძიმედ სუნთქვადა.

— იმ მხარეს არ იქნება. იქით უკვე ჯოტო გვასალიაა. ესტატე ბიძია აქ იყო ა, ამ ადგილას ვაგორებდით კვერცხს.

— არა ნოკო. ცაცხვთან ასე ახლოს არ იყო მამაჩემი. მეუფრო ზევით მახსოვს.

— სად ზევით?

— იმ ვარდის ბუჩქისკენ.

— აბა, შენ ყოფილხარ. ის ველური ვარდი მანია აბაკელიას საფლავზე იყო დარგული.

— მანია?

— ფოსტის მანია, კოჭლი.

— კარგი, ეს მანია, ესა ფრიდონია ჯეჯელავა, ხომ?

— ფრიდონიას მანდ რა უნდა, შენ სულ აურიე ყველაფერი. ფიდონია ეგერ წევს, ე, თავის მზახალთან და მეუღლესთან.

— უბედური ფოტინე.

— შენ გაქვს მისი ძუძუ ნაწოვი, თუ ცუტუს?

— მე. ცუტუსი არაფერი ისმის?

— არაფერი. დაიკარგა და დაიკარგა.

— თავიდან მოვყვეთ, მოტეხე ეგ ეკალი, ეგ უპატრონო. ა, აქ პარმენი, მერე მანია, აგერ პახვალა...

— კაცო, იქეთ რას ეძებ. იქეთ რა უნდა. ესტატე ბიძია მელიტო ოკუჯავასკენ იყო. მახსოვს, აქეთ ჩვენ ვაგორებდით ალდგომა დღეს კვერცხს და იქეთ — მელიტოს ქვრივი.

— რა ერქვა?

— პელაგია. სენაკში გარდაიცვალა შარშანწინ. იქვე დაასაფლავეს.

რაღა გავაგრძელო. ვერ მიაგნო მამამისის — სოფელ ნოკიხევის ოთხლასიანი სკოლის პედაგოგის ესტატე ბერიძის საფლავს პროფესორმა.

გადაწყვიტეს ხვალ დილით ბარ-ნიჩბით შეიარაღებულები წამოსულიყვნენ და ძებნა განეგრძოთ.

საღამოს, მზე რომ ნახურცილაოს სერებს მიღმა ნელა, რჩევა-რწევით ჩადიოდა, ქსენია, ნიკო და კალისტრატე მაგნოლიის ძირში ძელსკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

— გავიგე, — ამბობდა ქსენია. ქსენიას ყურს დაკლებოდა, ხოლო დიდი ჭკუითა და გონიერებით არც ადრე გამოირჩეოდა, — გავიგე, ბატონო. თავის ეზოში უნდა კალეს მობრუნება, მაგრამ მე სად წავიდე?

— შენ ეს ნახევარი არ გეყოფა?! — ჩაჰყვიროდა ნოკო.  
— რომელი ნახევარი?  
— იმ მხრიდან; ასე, ამ ხაზზე!  
— ჭა?  
— ჭა ორივემ იხმარეთ, არ გეყოფათ?!  
— ყოფნით როგორ არა. ეს წყალი ჩვენ კი არა, მთელსოფელს ეყოფა.  
— ნუ ეტყვი უარს. პატივს გცემს!  
— კი. გავიგე, მაგრამ ჩემი საქმე სხვანაირადაა.

— რაზე ამბობ?!  
— მე აქედან უნდა გავსვენდე. ნადუშას ვერ დავაწვები, სიბერეში, თავზე.

ქსენია ოთხმოცდახუთისა მაინც იქნებოდა, კალისტრატეს ვარაუდით.

— მერე?! რას გიშლის. ამ მხარეს კალე ჩადგამს პატარა ფიცრის ოდას. შენ იქეთ, ეს აქეთ!

— თუ უკან ბრუნდებოდა, რაზე მოგვყიდა, მშვენიერი წაბლის ოდა ედგა. ჩვენ ხომ არაფერი წაგვიროთმევია.

— მაშინ სხვა დრო იყო, ქსენია. ახლა კალე პროფესორია. ხომ იცი, აქეთ ეხვენება მთავრობა, ვინ ეტყვის მიწაზე უარს!

— სხვაგან დასახლდეს, თუ ასეა საქმე.  
— აქ უნდა მაინცდამაინც, მამამისის ეზოში!  
— მეც ბევრი რამე მინდა.  
— ნუ ეტყვი უარს. აქ მარტო ზაფხულში იქნება. არ შეგაწუხებს, ნუ გეშინიან!

— მე არაფრის არ მეშინია. ჩვენ ხომ არაფერი წაგვიროთმევია. საწყალი ილია რომ ცოცხალი მყავდეს, ხომ არ იტყოდით მაშინ ამას. მე დამიჯაბნეთ მარტოხელა პეპერი?

— რა შუაშია ილია! ქსენია, რატომ არ გესმის, რაიალმას-კომი ისედაც მიუზომავს კალეს, უშენოდ, თავის მამაპაპეულ ეზოში მინას. ხომ იცი, შენ საკარმიდამო სამჯერ მეტი გაქვს, ვიდრე გეკუთვნის!

— ვიცი. აბა, წართმევაზე ყოფილა საქმე.  
— არავინ არ გართმევს. ხელს ნუ შემიშლიო, პატივუცემლად არ დაგტოვებს!

— ვინ!  
— კალისტრატე!  
— არ ვიცი, ბატონო. მე აქედან უნდა გავსვენდე. თუ უნდოდა, მაგას ეზოც ქონდა და სახლ-კარიც. ვინ ეხვენებოდა, რაზე მოგვყიდა.  
— ახლა გვიანაა მაგაზე ლაპარაკი. ქსენია! შენ ჭკვიანი ქალი ხარ!

— მე ამ ეზოდან უნდა გავსვენდე.  
— იცოცხლე ჯერ, ვინ გიშლის. პირიქით, კალე პროფესორია, იქეთ მოგეხმარება.

— პროფესორი ეგ თავისითვისაა, ჩემთვის კი არ არი.  
— შენი სახელიც არ იქნება, ამხელა კაცი ამ ეზოში რომ ჩამოსახლდება?!

— მე სახელზე მუშაობა კაი ხანია მივატოვე.  
კალისტრატეს ამ ხნის განმავლობაში ხმა არ გაულია. ჯერ გულს ურევდა ქსენიას სიძუნწით დაპურებული სიჯიუტე, მერე მოეწონა კიდეც დედაბრის გაუტეხელობა. „ბოლოს და ბოლოს რას ვერჩი ამ ქალს, მთლიან ეზოს ნახევარი გერჩიოსო, უმტკიცებს ნოკო და არა სჯერა. ესაა მთელი მაგისი „დანაშაული“.

წამოდგა, ჭის ოწინარამდე ბარბაცით მივიდა, ძელქვის ბოძს მიეყრდნო და მოიხედა.

— აქ რომ დიდი კორკიმელი იდგა?

– დაბერდა, გახმა.

შეაწია ნოკომ, რადგანაც ეზოს კანონიერ პატრონს – ქსენიას შეკითხვა არ გაუგონია და კიდეც რომ გაეგონა, ვეჭვობ, ამ ოციოდე წლის წინათ გამხმარი კორკიმელი ხსომებოდა.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო.

შორს, ბჟერის კალთებს შეყუული სახლებიდან დარხეულ მამლის ყივილს გაუძლებდა კაცი, მაგრამ აგერ, სულ ახლოს, ნოკოს საქათმიდან ერთი მამალი ისე ერთგულად აძლევდა ბანს თავის თანამოძმებს, რომ პროფესორს შეშურდა ღამის მორკინალ ფრინველთა კერპი ერთსულოვნება.

„მძიმე დღე იყო. ჩემი სოფელი წასულა. სხვა სოფელი მოსულა, განა იმაშია საქმე, ნაჭა და ოჯინჯალი, შუა ცეცხლი და ისლით დახურული, გაჭვარტლული ქოხები რომ აღარ არის. ის სოფელი წასულა, უკან გაუწვევია არსთგამრიგეს. ღირს ახლა ჩემი ჩაკვეხება ქსენიას მეზობლად?“

დიდხანს იბორგა, იტრიალა, ათასნაირად გაზომა და აწონა, გონების თვალით ყველა მხრიდან შეხედა თავის ხვალინდელ ნაბიჯს და ბოლოს დაასკვნა: „ღირს, სხვა არა იყოს რა, მამა-ჩემის საფლავს უნდა მივხედო, თორემ დრო გავა და ბუნება სამაგიეროს გადამიხდის. ჩემს საფლავსაც არავინ მიხედავს“. წამოდგა, ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან და რიბი-რაბოში შავად გაშლილ ცაცხვს მიაჩერდა.

მამლები აღარ ყიოდნენ.

საწოლის უკან, ძველთაძველ კარადაში ჩრჩილილა ფაჩუნობდა გაუთავებლად.



## სანამ გვიან არ არის

– ჩემი მოსვლა არ გაგიკვირდება, გუჯა, ვიცი მე. არც ისე გვიანია. – ლერიმ საათზე დაიხედა, ორს აღარაფერი აკლდა, – არ გააღვიძო, ნანა არ გააღვიძო, თორემ ა, გავტრიალდები და წავალ.

– ახლა შენ, როგორ ფიქრობ, ნანა არ გაიღვიძებდა?

– მარტო მინდა შენთან ლაპარაკი. ეგერ მივჯდეთ სამზარეულოში, გეტყვი ყველაფერს და წავალ. მალე წავალ, – სტუმარმა პალტო დაკიდა და გაოგნებულ მასპინძელს სამზარეულოში შეუძლვა.

გუჯა მიჰყევა.

ტაბურეტის წითელ სკამებზე ჩამოსხდნენ. ლერიმ მაცივარი გამოაღო, ბორჯომი დაისხა, ნახევრამდე მოსვა და წინ დაიდგა, ისე რომ ჭიქისთვის ხელი არ გაუშვია.

– გიჟი რომ არ ვარ, ხომ იცი, გუჯა?

მასპინძელმა თვალი შეავლო დაცვარულ შუბლზე, მერე თვალი გაუსწორა და რაკი დარწმუნდა, მართლა მეკითხებაო, ჩაილაპარაკა:

– ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე ჩანდა.

– ყურადღებით დამიგდე, თუ ძმა ხარ, ყური. ეს ფიქრი დიდი ხანია მაწვალებს, მაგრამ ახლა თუ არ გითხარი, მერე ვერასოდეს გეტყვი, ასე მგონია. სამი საათის დაწოლილი ვიყავი, არც მთვრალი და არაფერი. გამომაღვიძა გულის ბრაგუნმა, ყურების შუილმა, სიკვდილი დავიწყე, არც მეტი არც ნაკლები. ბავშვები აღარა ვართ. ორმოცდაათს გადავცდით უკვე, ორმოცდაათის მერე ყველა დღე ნაჩუქარია, შენ გიყვარს ხოლმე თქმა. ყელი გამიშრა. ერთი ბოლო გაზმორება მინდოდა და ხელების დაწყობა გულზე, მეტი არაფერი. ასე ახლოს ჯერ არ მიგრძნია სიკვდილი. რა მაწვალებს, რა მაწვება გულზე

მაჯლაჯუნასავით-მეთქი; ვიტრიალე, ვიტრიალე ლოგინში და შენზე ფიქრი ამეცვიატა, სხვა არაფერი. შენს თავს ვფიცავარ, ისე დიდ დამნაშავედ ვიგრძენი თავი შენს წინაშე, რომ კინაღამ ყელის ძარღვი ჩემი ხელით გადავიგლიჯე. ახლავე, ამეღამვე ყველაფერი თუ არ ვუთხარი, შეიძლება მოვკვდე და ვერა-სოდეს ვერ გაიგებს-მეთქი. ჩავიცვი და წამოვედი, ჩვენებს არც გაუგიათ. გზაზე ორჯერ შემიქანდა გული. ღმერთო, ოლონდ მიმაღწევინე-მეთქი, ღმერთს ვევედრებოდი. ა, ახლა შენს წინ ვზივარ და გელაპრაკები. ჩემი დანაშაული რა არის იცი? ეს, ყველაფერი, ოცი წლის წინ უნდა მეთქვა. დღეს, ხვალ, დღეს ხვალ და ვერ გითხარი. არც არავინ გითხრა, ვის ნათქვამ-საც დაიჯერებდი. კი, როგორ არა, ხანდახან გადაკვრით, ქა-რაგით, მიეთ-მოეთებით გაგრძნობინებდით, მაგრამ შენ ისე იყავი გაბრუებული ამ ჭრელი ცხოვრებით, რომ გულთან არ მიგიტანია. ახლა, ვიცი, გვიანია ეს ლაპარაკი, შეიძლება დაგ-კარგო კიდეც ამის შემდეგ. რაღა დროსიაო, იტყვი, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია, ჩემი უნდა გითხრა და შენი საქმისა შენ იცი.

აი, გითხარი მისი არ იყოს, ცხოვრება მთავრდება, გუჯა. მე შენი მეგობარი ვარ, სტუდენტობის ძმაკაცი. ერთად ვი-არეთ. მთელმა ქვეყანამ იცის ჩვენი ძმაკაცობის ამბავი და მე, ლერი ჭანდარაძე გეუბნები – არასწორად იცხოვრე, გუჯა, სულ სხვანაირად უნდა წაგეყვანა შენი საქმე და სულ სხვა-ნაირად წაიყვანე, სულ სხვა გზით უნდა გევლო და სხვა გზით იარე. სანამ შენ მკითხავდე, მე თვითონ გეტყვი, რომ მიუხე-დავად ჩვენი ძმაკაცობისა, მე შენს გვერდით, შენსავით არ მივლია. მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი. ჩვენი მეგობრობა, ჩემის მხრივ, სულ პატიების და ლოდინის წლები იყო. იქნებ ჭკუას ჩახვდეს და შემობრუნდეს-მეთქი. მაგრამ თქმით ბო-ლომდე არაფერი მითქვამს და ესაა ჩემი ყველაზე დიდი და-ნაშაული შენ წინაშე. გითხრა სიმართლე, იმისი დიდი იმედიც არ მქონდა, რომ გეტყოდი და გამიგებდი, მაგრამ მაინც უნდა

მეთქვა. მე შენ მიყვარხარ და ვალდებული ვიყავი მეთქვა:

ცუდად იცხოვრე, ყალბი კაცი ხარ. ბუნებამ ნიადაგ დაუკ-მაყოფილებლობის გრძნობით დაგსაჯა. რიგით კაცად გაჩე-ნილი, წელებზე ფეხს იდგამდი, რომ ყურადღება მიგექცია, იმას ეპოტინებოდი, რაც არ გეკუთვნოდა და შენი უნაპირო მონდომებით და ღირსეულ მეგობრებზე გადაბიჯებითაც, აღ-წევდი კიდეც ამას. ჭიბზე ხოხვით მიიღე მინისტრის მესამე მოადგილის ის სკამი, რაზეც ახლა ზიხარ. მაინც არ ისვენებ, დაქიჩიმაჩობ, მინისტრს ათას, საქილიკო სიბოროტეს უგონებ, რომ როგორმე დაამცირო და ამით შენი აქციები გაზარდო. მაგრამ მთელი ბედნიერება იმაშია, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, მიუხედავად შენი ყალბი ხმაურისა, ყველამ კარგად გაგიცნო. წარმოდგენა არ გაქვს, ისე კარგად გიცნო-ბენ ზევითაც და ქვევითაც. თურმე ქვეყნის მოტყუება უსაშ-ველოდ ძნელი საქმე ყოფილა. აბა შენს გულში ჩაიხედე? შენ ხომ მთელი ცხოვრება თამაშობდი. შენ არც იმის ერთგული ყოფილხარ, ვისაც ადრე ერთგულებას ეფიცებოდი და მამად იხსენიებდი და, მადლობა ღმერთს, ახალმა მინისტრმაც კარ-გად იცის, რა წითელი კოჭი ბრძანდები. აქედან მოდის შენი გაბოროტებაც. კრაზანასავით ყველას კბენ. გულის სიღრმე-ში მეც გძულვარ. შენ კარგად იცი, ისე მიამიტი როდი ხარ, არ იცოდე; ყველაზე კარგად შენმა მეგობრებმა იციან, რომ მოურჩენელი სენი გჭირს – უნიჭობა. შენთვისაა იგი ტრა-გედია, თორემ თავის სვეს შეგუებული, მშვიდი კაცისათვის დიდი უბედურება როდია. ხომ ხედავ, გელაპარაკები და ხმა მიკანკალებს. რაც აქამდე გითხარი, სული არ მომითქვამს. როგორ მოდის სიტყვები, მე თითონაც არ ვიცი. შეიძლება ხვალ ვინანო ეს ყველაფერი, მაგრამ ახლა რომ არ გითხრა, გული გამისკდება. ნაინფაქტარი ხარ, ამას როდი უნდა გეუ-ბნებოდე, მაგრამ ერთი-ორი კაცის გარდა და იმ ერთ-ორ-საც მხოლოდ „გარკვეული მიზნით“ და „გარკვეულ დრომდე“ უყვარხარ, გულის სიღრმეში ყველას მოაბეზრე თავი. კარგა

ხანია, მოდაში აღარა ხარ. რა მოიგე, მითხარი, ამ ქიჩმაჩით, ხომ არაფერი? შენი სახელის გახმაურებანი ქარმა წაიღო. ახლა მშვიდი დღეები გიდგას; ღვინოს ვეღარ სვამ და სუ-ფრაზე ერთ საათზე მეტ ხანს ვერ ჩერდები. გული გწყდება, შენ უკვე ის გუჯა აღარა ხარ. სხვა ცხოვრება კი შენ არ გიხ-დება. მითხარი, ვაჟკაცურად, გულს არ გირევს ახლა შენივე მოწყობილი შენი ტრიუმფალური „დღეობების“ გახსენება? მე და შენ ხომ მაინც ვიცით, რომ ეს ყველაფერი, ქვეყნისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. არ გეზიზღება თვალში ცრემ-ლით და არაერთგზისი თხოვნით მიღებული ყველა მადლობა? ნუთუ ვერ გრძნობდი, რომ სულ სხვისი ადგილი გეჭირა? სხ-ვის გვირგვინს იდგამდი თავზე და სხვისთვის დაკრულ ტაშს უქნევდი თავს. მე მახსენდება ახლა შენი ყალბი ცრემლები. არც ერთი ჩვენი იმქვეყნად წასული მეგობარი გულით არ გიტირია, დაფიქრებისთვის არ გეცალა, შენს თავთან მარ-ტო არასოდეს დარჩენილხარ, მახსენდება შენი მოჟამული სახე რაღაცაში რომ გამოგტოვებდნენ, ან სუფრაზე თამადად რომ არ ამოგირჩევდნენ. ჩემთანაც კი არ იყავი გულწრფელი. გახსოვს? შარშანწინ ინფარქტიანი რომ გინახულე და გითხ-არი, ანი მაინც დაცხრი, შენი ავადმყოფობა შენი უნიადაგო ნერვიულობის (სულ გეჩვენება, რომ ვიღაც გმტრობს, ვი-ღაცას შენი ადგილი უნდა...) და ჭამა-სმის ბრალია-მეთქი, მახსოვს, როგორ გეწყინა, ქალაქში მართლა ასე არ გავრ-ცელდეს ხმაო და მაშინვე ამიხსენი; ინფარქტი მე, ჩემო ლერი, ჩემს თავზე დამე მუშაობამ დამმართაო. გადავიტვირთე თავი წიგნებით და ტრესტის თეორიული საქმეებითო. ჩემთან შეი-ძლებოდა ამის თქმა? მე მაინც გიცნობ; ოცი წელია წიგნი არ წაგიკითხავს!

ლერი უეცრად გაჩუმდა.

– ეს იყო სულ? – თვალებმონკურვით, შიშგარეული რისხ-ვით ჰყითხა გუჯამ და განზე გაიზედა, ნეტა ამ გადარეულის ნათქვამს ჩემი ოჯახის წევრთაგან ხომ არავინ ისმენდაო.

- რა ეშველება ახლა ამ საქმეს? – ჰყითხა სტუმარს.
- ვერ გეტყვი. ალბათ სისულელედ მოგეჩვენება, მაგრამ ცხოვრების წესი უნდა შეიცვალო.
- მაინც?
- სანამ გვიან არ არის. ორ დარჩენილ პარასკევში მაინც უნდა ჩამოიცილო სიყალბის ნიღაბი და ის გახდე, რაც ხარ. არ შეიძლება შენში ის ხალასი ბიჭი არ ცოცხლობდეს, მე რომ დავუმეგობრდი ოცდაათი წლის წინათ.

მეორე დღეს ქალაქში ხმა გავარდა, გუჯა და ლერი წაიკიდნენ და სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთსო.

დაბერდნენ, რაღა დროს მაგათი ჩხუბი იყოო, ამბობდნენ ერთნი.

მეორენი ღრმადმნიშვნელოვნად სდუმდნენ. მე ვფიქრობ, მეორენი მართალი იყვნენ.



## ცარლვნა

გვარიანი შეღამებული იყო, ცარომ საქონლის დაბინავება რომ დაამთავრა, გომურს კარები გამოუგდო და სამზადში შეჭრაქიანდა. მერე ყველი ჩააყენა, დარჩენილი რძე კარდალით ნაჭაზე ჩამოკიდა, ტაბლა კედლიდან ჩამოხსნა და სავახშმო ფუსფუსს შეუდგა. ოდის ლია კარში თავის უფროს ქალიშვილს შეეხმიანა:

- დარიკო!
- რა იყო?! – გამოოდდა თექვსმეტი წლის გოგოს ნაზი, სუფთა, ცოტა მობეზრებულმოჩვეული ხმა.
- არ გბეზრდება, დედა, ამდენ ხანს წოლა? რო დაგუამოს, არ გეშინია?
- ვკითხულობ, რა გინდა?
- არ უნდა გამოხვიდე, არ უნდა წამიკრა ხელი?
- ტანკენარი გოგო კიბეზე ჩამოფლატუნდა.
- კალოშებში წაყავი ფეხი. ფოსტლებით მოდიხარ ამ ტალახში? შებრუნდი ახლავე და შალი მეისხი, აცივდა, მთელი ზამთარი რო გახველებდა დაგავინყდა?

დარიკო კიბეზე აბრუნდა.

2005 წლის 27 აპრილი იყო.

მაღალმთიან სოფელ ჭუნევში გაზაფხულს ჯერ მხოლოდ იმით ამოელნია, რომ ახლო-მახლო ფერდობები მწვანედ შეფერილიყო და სოფელს ნაზამთრალი პირუტყვი ახალ ბალაზზე მიეშვა. ძროხები ქშენა-კუდისქნევით მოედებოდნენ კორდებს და ტალახიან შუკებში მაშინ გამოჩენდებოდნენ, როცა მზე კარგა ხნის ჩასული იყო და მწვერვალებიდან შავ-ნაცრისფერი ღრუბელი ქვევითკენ მოგორავდა.

შუაცეცხლს ორნი უსხდნენ.

– არ შეიძლება, დედა, ასე. დიდი გოგო ხარ უკვე. ვერ ოვუთავდი საქმეს. ხუთათ ხვარ გევიჭრები, გამომიღეჭა ძროხა დღესაც ხბომ, იმ არდასაცალებელმა. მაინც რა მარდია, სიდან მეგეპარება, ვერ გეიგებ. სანამ ძროხას დააბამდე, ლენავს ძუძუებში დრუნჩს. ერთს კი არ ჯერდება, ორ თითს მეიქცევს ერთდროულად პირში და მკლავებს დაგაწყვეტს, სანამ გამოლლიტავდე.

– მამაჩემი არ მოსულა?

– კი, აპა. კაი ჭკვიანია, ნუ გეშინია, საქმეს რომ მევილევ, მერე შემოიძურნება სტუმარივით.

– რა უნდა, რას აკეთებენ ამ გამგეობაში შუალამემდე?

აშკარად ჩანდა, საუბარში ოჯახის უფროსის თემის შემოტანა დარიკოს ხელს აძლევდა. აქაოდა არც მამაჩემი იკლავს თავს შენი დახმარებითო.

– არ ვიცი... არ ვიცი... შეიძლება კაცს კაპიკის საღირალი არ შემოჰქონდეს? რას აკეთებენ და ნარდს აგორებენ დილიდან საღამომდე. ვინცხამ მაგი საკრებულოში დაასახელა, იმას დეექცა ოჯახი.

კარდალაში რძე ამოფუვდა, ამოიბერა, პირთამდე სანამ ამოვიდოდა, ისევ ჩაინია და ლამაზ ბუშტებად ტყვამპალი დაიწყო.

ცარომ შუაცეცხლს ნაკვერჩხალი გამოაცალა, საწყლე მოიმარჯვა და კარდალა ჩამოხსნა.

უეცრად წინკარს და სამზადის ფანჯრებს ჯერ ქშუტუნ-შრიალი მოაწყდა და წამში ეზოში, ჭასთან თუ ოდის კიბესთან წყლის ჩხრიალი გაისმა.

საქონლის ბლავილმა და ძალლის ყეფამ დედა-შვილი ეზოში გამორეკა.

ღვარცოფი თვალის დახამხამებაში მოვარდა.

ოდის აივანზე არბენა ძლივს მოასწრეს. ეზოში ათასი ნაკადული შემოიჭრა და შუკაზე დაეშვა.

ნაკადულები ჯერ ღონიერ ღელებად იქცა, ყველაფერი ამოავსო, ამოაპრუნა, მერე შეუილით შეერთდა და მთვარის შუქზე აკრიალებულ, დიდ, შავ მდინარედ იქცა.

— არიქა! არიქა! თავს უშველეთ!

მოჰყვიროდა, მოჰყიოდა, მოგანგაშობდა სოფელი.

რაკიდა გზა-ბილიკზე წყალი მოქუხდა, შუკის თავებზე გზის პირებზე გამწკრივებულიყო ანიოკებულ-დამფრთხალი ქარავანი.

ძალი პატრონს ვერ ცნობდა.

ზოგი თხა-ძროხას მოითრევდა, ზოგი, თავზე ტომარა-ჩამომხობილი, აბგა-ჩემოდანს მოარქებინებდა.

ყველანი თავქვე ხიდისკენ ეშვებოდნენ, რომ როგორმე გაღმა გადაესწროთ.

ცარომ ქმრის ბრეზენტის მოსასხამი და რეზინის ჩექმები გამოარბენინა, პლაში თავ-მხარზე მოახურა დარიკოს და ჩე-ქმებში ჩუსტიანი ფეხები ჩააყრევინა.

— გავარდი, დედიკო! არ შეგეშინდეს! მამაშენი გაღმა დაგვხვდება!

— შენ?! — ტირილს ცოტალა აკლდა გოგოს.

— მე... მივხედავ აქაურობას და დაგნევი! საქონელს თუ კარი არ გავულე დაახრჩობს წყალი! წადი! წადი ჩქარა! ხალხს მიყევი, ხალხს!

ყველას თავისი გაჭირვებოდა.

მიძუნძულებდნენ, მიტყაპუნობდნენ, მიიგინებოდნენ ფეხით, ცხენით, ოჩოფეხებით, ზოგი ფეხშიშველა, ზოგი ყურები-ანად შეხვეულ-შეფუთული.

წამოედოთ რაც მოესწროთ. ზოგ რამეს გზადაგზა ყრიდ-ნენ, ტოვებნენ, მიისროდნენ, მიიჭამდნენ, მიიღილკვროდნენ.

პირველ ელდას უკვე გაევლო და ახლა ყველამ იცოდა, რა უნდა ექნა.

გადარჩენის, ხსნის ინსტინქტს ერთსულად შეეკრა სოფე-ლი: როგორმე ხიდამდე უნდა მიეტანათ თავი და გაქცეოდნენ

ხახადაფრენილ შავ სიკვდილს, რომელიც მოლოკავ-მოანგრევ-და ასწლობით ნაშენებს და ნაშრომ-ნალოლიავებს.

წყალი ფეხდაფეხ მისდევდა ოტებულთ.

გაშმაგებული მდინარე ელვის სისწრაფით ნთქავდა ნაპირს.

უხმოდ წვებოდნენ უზარმაზარი ხეები წყალში.

დელგმა-სტიქიას ბოგირგამოლმა საყანე გზაჭიშკართან მიემწყვდია ძროხები, ღორები, თხები, ინდაურები.

ბლავილი, ჭყვიტინი, პეტელი, გმინვა, ხროტინი წარლვნის ხმად შეერთებულიყო და ყურთასმენას ასკდებოდა.

ვიღაცა შუკას ზევიდან მოექცა, ჭიშკარი გახსნა და გან-ნირულ საქონელს ნიალვრის გზა მისცა.

წყალმა ჭიშკარსმისილულ სულდგუმლთაგან უმეტესობა ნაფორტივით ააბურთავა და გაიყოლია. თითო-ოროლა ძროხა-ხარი ღობებ-ბუჩქს გამოედო და გულსაკლავად ბლაოდა.

ცარო ოდაში შებრუნდა.

საწოლქვეშიდან ხურჯინი გამოათრია.

სკივრს ახადა თავი და, რაც ხელში მოხვდა-მისი ნამზითვი თუ ბების დანატოვარი, ყავლგასული ბეჭედ-სამაჯურები, მამაპაპისეული ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და აზიაცე-ლეკ-ვერთხები ხურჯინში ჩაჩურთა.

ათი წლის განმავლობაში სიმწრით ნაგროვები ორიოდ გროში (სულ, მისი ვარაუდით, ორი ათასი ლარი გამოვიდოდა) ცელოფანის ქალალდში შეახვია და ხურჯინში ღრმად ჩაკუჭა.

მერე სამზადისში შეირბინა (გზადაგზა ეზოში ღელე-რუებს ახტებოდა), ხურჯინის მეორე მხარეს ქმრის ახალთახალი ტუ-ფლები და დარიკოს ჯინსსაცვალი ჩატენა. ტახტზე გაშლი-ლი დილას დამცხვარი პურები მოკეც-მოლუნა და ხურჯინში ძლივს ჩატია.

სამზადმა საეჭვო ჭრაჭუნი რომ დაიწყო, ცარო კარს მი-აწყდა და ძლივს გამოასწრო.

ლაფაროდან სამმეტრითგადაცილებულზე სამზადი ჩამოიქ-ცა და ნაჭა-ბოძი კრამიტ-ყავრიანად წყალზე ატივტივდა.

იკივლა ცარომ, რა ძალა-ხმაც შესწევდა, მაგრამ ვინ იყო მისი გამგონე.

ხურჯინთავფეხიანად გაწუწუწლმა გომურის კარი ძლივს გააღო.

საქონელი ტლინკისკვრით და ღმულ-ბლავილით ეზოში გაიშალა.

სათხებოს კარი ნიაღვარს გამოენგრია.

თხები ხეჭეჭურის ძირში შემაღლებულზე შეჯგუფული-ყვნენ და პეტელით ჩასცეროდნენ წყალს, რომელიც ნელ-ნე-ლა მატულობდა და სადაცაა მიწვდებოდა განწირულთ.

ცარო მთვარის ბილიკს დაჟყვა და ჭალისკენ დაეშვა.

სოფელი წარლვნის დაწყებიდან სულ რაღაც თხუთმე-ტიოდე წუთში დაცლილიყო.

წყალსშეჭიდებული ნახირის ბლავილი და აღმადაღმა წა-ფერდებული სახლები შიშსა და ძრწოლას გამოიწვევდა მის თვალში, ვისაც მძვინვარე სტიქისაგან იავარქმნილი სოფელი კინოში მაინც უნახავს.

ამბულატორიის ბორცვიდან გახედა ცარომ თავის ოდას და სწორედ ამ დროს ნიაღვრისაგან ბოძებგამოცლილი სახლი ერთბაშად ჩაიქცა და გვერდზე გადაწვა.

ცაროს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ უკან მიბრუნებაზე არც უფიქრია.

რომ მიბრუნებულიყო, რას მოიმოქმედებდა.

წყალს მიტოპავდა, უძალიანდებოდა, ხურჯინი მარჯვენით მაღლა ეჭირა და თავისი ცხოვრების უკანასკუნელ განძს არა და არ უთმობდა ღვარცოფს.

ჭალის ბოლოში შორიდანვე შეამჩნია, რომ ბონდის ხიდი ბურჯებიან-ქვისბადესაჭიდებიანად წაელო წყალს.

შორს, გაღმა, ფარებანთებულ მანქანებთან ადამიანები ჩოჩქოლებდნენ და მდინარის გრგვიგნვა-შხუილს გაუთავებე-ლი სირენა-პიპინი ემატებოდა.

ბებერი კაკლის პირველ ტოტამდე აფოფხდა, სველი თავშა-ლი მოიხსნა და კარგა ხანს იქნევდა, რომ მთვარის შუქზე გაღ-მა მყოფთ დაენახათ.

ზღვადქცეული მდინარის ნაპირი ისე შორს იყო, რომ სახ-ეების გარჩევა ღამით კი არა, დღისითაც გაჭირდებოდა.

თვალი მოავლო სოფელს და შიშით მხოლოდ ახლა შეეში-ნდა.

აქამდე შიშისთვის არც ეცალა.

ვერც კი წარმოედგინა, რა შეიძლება მომხდარიყო უარესი.

თითქოსდა მისი ცხოვრების ადამიანური ნაწილი დამთავრ-და და მეორე, ჯოჯოხეთური შხუილი დარჩა.

მოქუხდა მდინარე და მთელ ქვეყანას მოარღვევდა, გამეფებულიყო იგი მთებს შორის და მოქონდა ძირფესვიანად მოთხრილი ხეები. დამხრჩვალი საქონელი, სკამ-მაგიდები, ჭის დგამ-ონინარები, სკივრები, კარ-ფანჯრები, ნახევრად დაშლი-ლი კოჭ-ლამფის კედლები... ამას, ყველაფერს, ახლოს მთვა-რის შუქზე გაარჩევდა მოდარაჯე თვალი. შორს კი სასწაულს გადარჩენილი შავმდუმარე სახლები და ხეები ჩანდა.

ცარომ ტყის პირას, ხარშილაძეების გორაზე სინათლეს ჰკიდა თვალი. იაზრა, სოფლის ბოლოს, ზეგანზე, ეულად მდ-გარ სახლში ანთებული ჭრაქი წარლვნასგადარჩენილთ თა-ვისკენ უხმობდა.

მამა-პაპური კარ-მიდამოს ერთადერთი ბინადარი, ორ-მოცს ახლადგადაცილებული გელა ხარშილაძე ინსტიტუტის დამთავრების მერე დიდხანს თბილისში ცხოვრობდა.

ეს ორი წელია, რაც ჭუნევში სამუდამოდ დაბრუნდა და გარდაცვლილი მშობლების მიტოვებულ ეზო-სახლს მიეპა-ტრონა.

კარ-მიდამოს განაპირებულობაც უწყობდა ხელს და არც თვითონ იყო, კაცმა რომ თქვას, მიმოსვლა-მეზობლების კაცი.

თავისთვის, ყუჩად ცხოვრობდა, კარტოფილით და ნანადი-რევ-ნათევზარით გაჭქონდა თავი.

ცარომ ტოპვა-ბლოჭიალით, ღობეს მოჭიდებით და ორი კაკლის ჯოხზე დაყრდნობით (ჯოხებს გზადაგზა წყლის სილ-რმის გასაზომადაც ხმარობდა), როგორც იქნა, მიაღწია ხარ-შილაძის სახლამდე და კიბის მოაჯირს მოჭიდებულმა სული ძლივს მოითქვა.

არაქათი აღარ ჰქონდა.

ხარშილაძების ოდას, რომელიც ზემოთ, ეკლესიის ფერ-დობზე იდგა, წყალი ვერ წვდებოდა, ვერც სოფლის სასაფლაოს გადაულიდა ღვარცოფი.

ახლალა მიხვდა ცარო, რატომ აშენებდნენ წინაპრები სახ-ლებს მთის კალთებზე და რატომ იყო სასაფლაოს კორდი ამ სიმაღლეზე.

ცარო აივანზე ავიდა.

ოდის კარი ღია იყო და ნავთის ლამპა (რომელიც შორიდან ჭრაქი ეგონა) ფანჯრის რიკულზე შიგნიდან იდგა.

ჯერ უძახა, მერე გაუბედავად მიიარ-მოიარა. როგორც ჩანდა, შინ არავინ იყო.

სიცივე-სისველისაგან ტყვიასავით დამძიმებულ-გაუხეშებ-ული ტანსაცმელი სწორედ ახლა, სიმშრალეში, გაუსაძლის-აუ-ტანელი ეჩვენა. ყოველ შემთხვევისათვის, უკანა ოთახში გავ-იდა, მთვარის შუქზე გაიხადა, ხურჯინიდან ტანსაცმელი ამო-ყარა (გარჩევა არ დაუწყია— კაცის იყო თუ ქალის, ბებიამისის ნაქონი თუ დარიკოსეული), რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი ჩაიცვა. შიშველი ფეხი ქმრის ტუფლებში ტუცა და იგრძნო, რომ არასოდეს ყოფილა მშრალი ტანსაცმელი ისე გემრიელი, როგორც ახლა.

რეზინის ჩექმებს აივანზე თავდაღმა რომ აწყობდა და სველ პლაშ-სამოსს მოაჯირზე გასამრობად ამწკრივებდა, გაუკვირ-და და თავისი საქციელისა თვითონვე შერცხვა.

თავის თავს თითქოსდა გარედან შემოხედა, ადამიანი რა ყოფილა, — გაიფიქრა. ეგონა, მას, სახლკარდანგრეულს და ქმარშვილდაკარგულს არც ტანსაცმლის გამოცვლა-გამ-

შრალების უფლება ჰქონდა და, მით უმეტეს, არც სარკეში ჩახედვისა, თუმცა სასტუმრო ოთახიდან რომ გამოდიოდა, კარადის კარსარკეს ერთი შევლება მაინც შეავლო თვალი.

გელა გვიან დაბრუნდა.

ფინალი კედელს მიაყუდა და სიტყვის უთქმელად ამოაივანდა.

თითქოსდა ელოდა, რომ შინ ვიღაც უნდა დახვედროდა.

—დავიღუპე, გელა! — ცარო მასპინძელს ჩაეხვია და სამი საათით ნაგროვებ ცრემლ-ნაღველს ერთბაშად მისცა სადი-ნარი.

— კაი ახლა, კაი... კაი...

გელამ იცოდა, რომ აქ ნუგეში სრულიად ზედმეტი იყო.

— რა კაი, გელა, ყველაფერი ერთბაშად დემენგრა თავზე. რა კაი... შეხედე, შეხედე, რა მჭირს!

ზემოდან ცაროს ეზოს ნახევარი ჩანდა. წაფერდებული ოდა და ბჟოლებთან ჩამოტანილი სამზადი სახლი.

— მოხდა ასე და რას ვიზამთ ახლა. მარტო შენ არ გჭირს, ეს ამბავი... ცოდვის გაკითხვაა ქვევით... ჩევედი ფინლით, ეგება რაღაც მაინც გადავარჩინო-მეთქი. გაგიგონია?! ვერ მი-ვეკარე ვერაფერს!

ცარო კარს მოშორდა და აივნის სვეტს მიეყრდნო.

—სახლ-კარი ჯანდაბას, ბავშვი დავლუპე! მყოლოდა გვერ-დით, მოგიკვდა დედა! მე თვითონ რავა გაგიშვი ხელი?!?

ცარომ ხმას აუწია, ამ სიტყვებს იგი კივილ-ქვითინით ამ-ბობდა.

— დარიკო? რავა?!— გელაც აჲყვა მოზარეს.

— ხიდზე გადასაწარი, გეიქეცი ახლავე-თქვა, მე თვითონ გავაგდე სახლიდან! ძირს ვიყავი ახლა, ხიდი წოულია, წალე-კილია ყველაფერი! მოგიკვდეს დედა!

— მაგაზე ხელს მოგიწერ, რომ შენი გოგო გადარჩინილი იქნება და გაღმა იქნება, სამშვიდობოს.

— რანაირად? — ხმას დაუწია ცარომ.

– რანაირად და, ხიდი ჩემ თვალწინ წაიღო წყალმა. სანადიროდ ვიყავი ტყეში და არ დაიჯერებ, იქაც აწრიალდა ყველაფერი, ატყდა ჩიტების ჭახჭახი და კურდლელ-მელიების გაქცევა-გამოქცევა, აქ ფარცაგი რაღაც ხდება-მეთქი და შინისკენ ვქენი პირი. სერს რავარც გადმოვადექი, ე წარღვნის სურათი ვნახე. ჩემ თვალწინ გადევიდა ბოლო კაცი ხიდზე და წყალმა რო ბურჯები გამოაცალა, აღარავინ იდგა ზედ!

– მასე იყო ნამდვილად?! არ მომატყუო, გელა. ცოდვა არ ჩეიდინო. თავს მე ისედაც არ ვიცოცხლებ.

– დედაჩემის და მამაჩემის სული არ წამიწყდეს. ასე იყო, ხიდზე არავინ იდგა.

ცაროს დამშვიდება აშკარად შეეტყო, ცრემლი თავსაფრით შეიმშრალა და ბოს უფრო შემოეჭდო.

– კაკო საითაა?!

გელამ ჰეითხა.

– კაკო გაღმა იყო, საკრებულოში. სად იქნებოდა გასაჭირის დროს როის იდგა ჩემ გვერდით?!

ქმრისადმი ფარული საყვედური გაკრთა ცაროს სიტყვებში.

– აპა, ნუ გეშინია. ორივენი ერთად იქნებიან ახლა ვინმეს-თან ბუხარს მიფიცხებულნი. შენ კი თვალების დათხრა გინ-დოდა. ასე გამიგონია, შე ქალო?!

ცარომ არ უპასუხა, იგი, ცრემლგამშრალი, გაქვავებული დასცექროდა მდინარედქცეულ სოფელს და რაღაცას ბუტბუტებდა.

კარგა ხანს ორივენი ჩუმად იყვნენ.

მთვარე ჩავიდა და მთებს უკუნეთი დაადგა.

წყლის გუგუნი აწყდებოდა ზეცას, სხვა არაფერი. საქონე-ლი აღარ ბლაოდა, ადამიანი აღარ ფათურობდა ამ შემოგა-რენზე, ოლონდ მდინარეს არ მორეოდა ერთი პირი ძილი.

გელა ხან შევიდოდა, ხან გამოვიდოდა, ოლონდ ჩუმად, უხ-მაუროდ. არ იცოდა, რა ეთქვა და საერთოდ, ჩემო მკითხვე-

ლო, ამ მდგომარეობაში მყოფი ორი ადამიანისთვის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა ჩუმად ყოფნაა – სიტყვა რაღაცნაი-რად არღვევს მყუდრობას. რაღაცის შეცვლა-შელამაზებას ისახავს მიზნად და ზოგ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია.

შუალამეს კარგა გადაცილებული იყო, გელა ერთხელ კიდევ რომ გამოვიდა აივანზე და ცაროს უჩურჩულა,

– ცარო...

ცარომ ხმა არ გასცა.

– შემოდი... ცარო... ასე ხვარ იქნები მთელი ლამე. ხვალ ამდენი საქმე გაქვს, ცოტა თვალი ხო უნდა დაასვენო.

– დეიძინე შენ... მე არა მიშავს. ასე მირჩევნია... შორიდან ლულლულ-სლუკუნით გაეპასუხა ცარო.

კარგა ხნის შემდეგ გელამ მხარზე დაადო ხელი.

– არ შეიძლება ასე, ცარო, არ გჭირს ისეთი რამ შენ, სხ-ვას რომ არ დამართნია. რაც მთავარია, ყველანი ცოცხლები ხართ. ხვალ... ხვალ... ათასი საქმე გაქვს, ახლა უნდა ივარგო და გამაგრდე შენ... გამიგონია ასე?!

გელამ ჯერ ცაროს თავი მიიყრდნო მხარ-კისერთან, მერე რაც მოუხერხდა, ნაზად გააშვებინა ბოძისთვის ხელი და ასე, მხარზედაყრდნობილი შეიყვანა სასტუმრო ოთახში.

– ა, აგერ წამოწექი და თვალი მოატყუე, რავარც შეძლო... მე გვერდით ოთახში ვიქნები, ნუ გეშინია, უსაშველო არაფე-რია. შე ქალო. დაცხრება ეს სტიქია, ეს დასაწვავი და უკეთეს სახლებს გამართავთ. ბოძები გამოაცალა, მეტი კი არაფერი. ოდა ისევ ისე მთელია, ხომ ხედავ.

ცარო გაუხდელად წამოწვა ტახტზე.

გელა მეორე ოთახში გავიდა და ის იყო უნდა გაეხადა, რომ სტუმრის ხმა მოესმა.

– გელა!

– ბატონო!

გელა კარებში გამოჩნდა.

– გელა, ჩააქრე ლამპა, ტყვილად იწვება ნავთი.

გელამ ლამპის შუშას ზემოდან შეუბერა და ჩააქრო.

წყლის შხუილს დროდადრო მიკიოტის კივილი და მარტოხელა მგლის ყმუილი ემატებოდა.

კარგა ხნის შემდეგ მასპინძელს ქალის ქვითინი-მოთქმა მოესმა, წამოხტა და ცაროს ტახტზე ჩამოუჯდა.

ქალი გულამოსკვნით ტიროდა.

თავდალმა იწვა და დროდადრო მუთაქას ხელს ურტყამდა.

თან ერთსა და იმავე სიტყვას აყოლებდა:

– „რატომ?! რატომ?! რატომ?!“

– კაი ახლა... კაი ახლა... ცარო... შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ... ხო ვილაპარაკეთ... ხო შევთანხმდით... ცარო, რა გატირებს, სატირლად მიეცა შენს მტერს საქმე... კაი ახლა... ტირილით რას უშველი... ხო გითხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეტქი...

გელამ მხრებზე ხელი მოხვია და ამოაბრუნა, ღაწვებზე ჩამოუსვა ხელი და თითებზე ქალის გულწრფელი, ცხელი ცრემლი აუკამდა.

– კაი ახლა... შენ ხომ ჩემი ცარო ხარ... შენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ... კაი ხო... რაღათ გინდა რამე, შენ თუ არ იქნები.

გელა დაიხარა და ცრემლიან ლოყა-ტუჩებზე დაეკონა ქალს.

...ერთს გთხოვ მხოლოდ, ჩემო მსაჯულო, მოაშორე ამ ნოველის კითხვის დროს შენს ეჭვიან გონებას ერთადერთი სიტყვა „დაუჯერებელია“. აღარ ჩამოვწერ ახლა ქალის ბაგეთაგან ნათქვამ სრულიად გულწრფელ სიტყვებს („რას შვები... შენ ხომ არ გაგიუდი?! არ გამიბედო... გამიშვი... არა, არა... ავდგები და ისევ ბოძს მივეყრდნობი აივანზე... იქ მირჩევნია... რას შვრები... შენ სრულ ჭკუაზე ხარ?.. ამის თავი მაქვს ახლა მე? ღმერთო! ღმერთო! არა რა გეხვეწები... სხვა დროს... სხვა დროს... ახლა არა... სირცხვილი არაა?! არ იცი შენ სირცხვილი?!) სენტიმენტალურ ნოველებში რომ ათასგზისაა ნახმარგამოყენებული.

ვერ ამიხსნია რა იყო ეს? ხავსჩაჭიდება, გადარჩენის გზა... კაცის დაუცხრომელი სურვილი ნუგეში ეცა, სიცოცხლისაკენ შემოებრუნებინა სასოწარკვეთილი ევას შთამომავალი... თუ სრულიად ბუნებრივი რამ: მარტო, ერთჭერქვეშ დარჩენილ ნორმალურ ქალსა და კაცს ერთმანეთისკენ ანდამატივით რომ იზიდავს ხოლმე.

დაე ამის შესახებ ფილოსოფოსებმა იფილოსოფოსონ.

ჩვენ კი იმით დავამთავროთ, რომ იმ ღალა მშვენიერი ცაროს ოთახიდან არ გამოსულა.

... და მაინც, მკითხველო, უფრო მეტი წარლვნაზე იფიქრე. წარლვნა ყველაფერზე პასუხს გაგცემს.

ოქტომბერი, 2005



## ჩინელები

შარშანწინ ენკენისთვეში (რიცხვი ზუსტად არ მახსოვს) დელისის მეტროსთან ორი ჩინელი გამოჩნდა.

მხრებზე გულდაგულ გატენილი ნეილონის ყვითელი ტომრები მოეგდოთ, ერთმანეთს ჩინურად (ფხენიანური აქცენტით) ელაპარაკებოდნენ და წამდაუწუმ იცინოდნენ.

სიცილის დროს, ეტყობა, ისედაც წვრილი თვალები მთლიანად ეხუჭებოდათ და სანამ სიცილს არ დამთავრებდნენ, ნაბიჯს წინ (და რასაკვირველია, არც უკან) არ დგამდნენ.

ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ორივეს ერთნაირად ეცვა – დაჭმუჭნილი სატინის ლურჯი კვართები და მოკლე მომწვანო ხამის შარვლები. შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაეყოთ.

დაკვირვებული თვალი ამ ორი ჩინელის ერთმანეთისგან გარჩევას მაინც მოახერხებდა ერთი, არცთუ იოლად შესამჩნევი ნიშნის მიხედვით; წინ მომავალს საულვაშის გასწვრივ ხალი ჰქონდა.

ორივენი მამაკაცები იყვნენ (ამ ნოველის ავტორი მკითხველს არაფერს ამადლის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორმა ტვირთის ქვეშ გადრეკილი, ერთნაირად წაკუზული სტუმრების სქესის დადგენა გულდასმით გარეგანი დათვალიერების შემდეგ მაინც შეძლო).

რომელი იყო ჩინელთა შორის ასაკით უფროსი, ხალიანი თუ უხალო? ამ სფინქსის გამოცანის ამოხსნა ავტორისთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა.

ერთი რამ კი უდავოა, თუ ამოიცნობდა, რომელი იყო ასაკით უფროსი, მერე უმცროსის დადგენა აღარ გაუჭირდებოდა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ორი ერთ თარგზე გამოჭრილი ჩინელის რაღაც ხუთი-ექვსი წლით (გინდაც 10) იყოს) ასაკობრივ განსხვავებას ნოველის სიუჟეტის განვითარების-თვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს.

ჩინელებმა ხის ქოშების პაკა-ჰუკით, ღიმილ-სიცილით აუარეს გვერდი თავიანთ სევდიან ფიქრებში ჩაძირულ ინდ-მოვაჭრე ლტოლვილებს და მეტროს ზედა ჩასასვლელთან (ანუ, რაც იგივეა – ამოსასვლელთან) ქუჩის განაპირას გასაოცარი სინქრონულობით ჩამოიტომრეს. ფაცხა-ფუცხით გახსნეს, იქვე უწესრიგოდ მიყარ-მოყარეს ჩინური მაისურები (ან და მარადის ჩინელთა გასაყიდ საქონელს მეტი განმარტებისთვის სიტყვა „ჩინურს“ აღარ დავუმატებ), მარაოები, სათამაშო დურბინდები, პატარა ბალიშები, ლამაზად მოხატული რეზინის ბურთები, იეროგლიფებიანი ქუდები და გამჭვირვალე ფერად-ფერადი საწვიმარი ლაბადებიც კი.

– ჰან ფქი ჯუნ სქონ ფით ჩუნ ჰქაი! – სხაპასხუპით მიაყარა ხალიანმა უხალოს და ისე ბედნიერ-გულიანად შესცინა, თითქოს მათი საქმე სულ მცირე ათასი დოლარით წინ იყო.

– თან ჰფი! – სიცილითვე უპასუხა მეგობარმა.

ვინც კი ახლომახლო ჩაივლიდა, ჩინელი ვაჭრები ერთად-ერთ სიტყვას ესროდნენ.

– ხუთი!

თუ მოქალაქე შეჩერდებოდა და ჩინური საქონლით ზრდილობისთვის მაინც დაინტერესდებოდა, ორივენი მორიგეობით იღებდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ და თავაზიანი ღიმილით იმეორებდნენ:

– ხუთი! ჰაი, ხუთი! ხუთი! ხუთი!

შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, რომ ჩინელებმა ქართულად „ხუთის“ გარდა სხვა სიტყვა არ იცოდნენ.

ხუთ-ხუთ ლარად ჰყიდდნენ ყველაფერს – მაისურებს, მარაოებს, სათამაშო დურბინდებს, ჩინელი მზეთუნახავის გამოსახულებიან ბალიშებს, რეზინის ბურთებს და ფერად-ფერად საწვიმარ ლაბადებსაც კი.

ვერ გეტყვით, მყიდველი თბილისისათვის იმ დროს უჩვეულო ჩინურმა საქონელმა მიიზიდა თუ ყოვლისშემძენმა ხუთლარიანმა ვაჭრობამ.

ყოველ შემთხვევაში მუშტარი მოხვავდა.

მუშტარს, ბუნებრივია, პატრულიც მოჰყვა.

სად იყო და სად არა, ვეებერთელა, უულვაშო პოლიციელი ზროდ აღიმართა ერთი ციცქან ორი ჩინელის წინაშე.

— ხუთი! — შეჰდიმილა ხალიანმა ხელკეტიან სტუმარს.

პატრულმა ჯერ საქონელში ურია ხელკეტი ისე, როგორც ფელამუშს ურევენ ხოლმე დუღილის დროს, მერე სიცილით არაქათგაცლილ ჩინელებს შეხედა.

— ვინ ხართ? აქ საიდან გაჩნდით?!

— ხუთი! — მიუგეს ჩინელებმა და გაიცინეს.

— საბუთები! ვაჭრობის ნებართვა! — პატრულური კატეგორიულობით ასწია წარბი წესრიგის დამცველმა.

— ხუთი!

ერთმანეთს გადახედეს და შემკრთალად, საწყლად გაიცინეს ჩინელებმა.

ზორბა პატრული მანქანაში მჯდომ თანამებრძოლთან მივიდა.

— ვერ გავაგებიე ამ კვდარძალლებს ვერაფერი. ჩინელები არიან.

— უთხარი, ამ შუა ქუჩაში რო გაგიშლიათ, თქვე კაი ხალხო საქონელი, ზევით ეინიეთ ტროტუარზე, გაზონთან-თქო.

— რა ენაზე ვუთხრა. რას გლახაობ, თუ ძმა ხარ, შენ.

— მაშინ მოკიდე ხელი და შენ ოუტანე, ზევით, ტროტუარზე, კიბესთან. რა ვქნათ აბა, ჩინელები არიან, შარში არაფერში ჩავვარდეთ.

პატრული შემობრუნდა, ჩინური საქონელი ელვის სისწრაფით, ერთმანეთში წაგრაგნა, მიიტანა და ტროტუარზე დადო.

— ხუთი! ხუთი! — იცინოდნენ ჩინელები.

შუადღისას უხალო ჩინელი სადღაც გაქრა, დაახლოებით ერთ საათში მოპრუნდა სიცილით. ჯერ ეს ერთი სიცილი რიგიანად არ დაემთავრებინათ, რომ ხალიანმა უხალოს ჩინურად,

როგორც ჩანდა, ახალი სასაცილო რამ უთხრა და ორივენი ახალი ძალით აჩინელ-ახარხარდნენ.

მერე სიცილ-სიცილით გაიქც-გამოიქცნენ, საპარიკმახეროს უკან ჭადრის ხესთან მიდგნენ და დიდხანს კოლექტიურად ფსამდნენ, თანაც თავიანთ პანაწკინტელა ჩინურ მამაკაცურ ღირსებებზე პატატვრანი ხელები ჰქონდათ წაფარებული.

რომ მოპრუნდნენ, გასაყიდი ავლა-დიდება განახევრებული დახვდათ.

სანამ ჩინელები ფსამდნენ, ქურდ-ბაცაცებს და ციგან-მკითხავებს დრო ეხელთათ. ფეხზე დაეკიდათ ქართული სტუმართმოყვარეობის მრავალსაუკუნვივანი ადათი; ჩინური საქონელი ჩანთებში ჩქარ-ჩქარა ჩაეტენათ და მეტროში ჩაქცეულიყვნენ.

ჩინელებმა ამაზეც ბევრი იცინეს.

მეორე დღეს ჩინელებმა ისევ ამოჩემებულ ადგილას ქუჩაში გააჩაღეს ვაჭრობა.

პატრულმაც არ დააყოვნა.

სტუმრები ისევ ტროტუარზე გაზონთან ააბარგვაჭრეს, ხოლო ხალიანი მანქანაში ჩაისვეს და პოლიციის არცთუ მთლად ქვეგანყოფილებაში მიიყვანეს.

რა კითხვები არ მისცეს (მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზეც) საიდან არ შემოუარეს პოლიციის შეუმცდარმა გამომძიებლებმა ჩინელს, მაგრამ მისგან გულიანი სიცილისა და „ხუთის“ მეტი ვერაფერი გაიგეს.

ბოლოს ქაღალდი დაუდეს წინ, ხალიანმა ვერტიკალურად შვიდი ურთულესი იეროგლიფი მოხაზა და იეროგლიფებსდა-ჩერებულ პოლიციელთა მოწყენილ სახეებს რომ შეხედა, გულიანად გაიცინა.

რა ექნათ პოლიციელებს, „დამნაშავეს“ უხეშად როდი მოექცნენ; ხალიანი უხალოსთან მოაბრუნეს და გამომშვიდობებისას ზრდილობიანმა მასპინძლებმა ჩინელებს ხელიც კი ჩამოართვეს.

გიორგობისთვის ბოლოს თბილისში ქარწვიმიანი დღეები რომ დაიწყო, ჩინელებმა ქუჩის პირას პროფესორ თავდუმაძისგან მომცრო საკუჭნაო დაიქირავეს.

საკუჭნაო პროფესორს ფოტოსაქმისთვის ჰქონდა ადრიდანვე ჩაფიქრებული და ისე პატარა იყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, თუმცა სხვა საკუჭნაოებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ფანერის კარი ქუჩის მხარეს ეღებოდა.

ჩინელებმა მალე ფანერის კარი რკინის კარით შეცვალეს და ფოტოსაკუჭნაოს ღია კარი ვიტრინად გამოიყენეს, ხოლო თვითონ როგორ ეტეოდნენ ამ ციცქა ჯიხურში, ეს ცალკე ნოველის თემაა, ძვირფასო მკითხველო.

თოთხმეტ დეკემბერს ჩინელებმა საკუჭნაო-ჯიხურის წინ ტროტუარზე ნაჩვრეტებიანი კასპური აგურ-ცემენტი მოზიდეს და კედლის შენება დაიწყეს.

ჩინელებს შესაშური სისწრაფით ამოყავდათ კედელი.

გამვლელები იცინოდნენ, ჩინელები ამჯერად არა.

მოვიდა პატრული.

ჩინელებს თავიანთი მწირი ქართული ლექსიკონისთვის ერთი მაგიური სიტყვა „დიახ“ მიემატებინათ.

პოლიციელთა მკაცრ ახსნა-მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ აქ კედლის ამოყვანა არ შეიძლება, ისინი გაფუჭებული პატეფონივით „დიახს“ იმეორებდნენ.

ბოლოს ილაჯგანყვეტილმა პოლიციელებმა ნახევრადაშენებული კედლის დანგრევა დაიწყეს.

სასაცილო-სავალალო სურათი იყო. ერთი ბოლოდან ანგრევდნენ პოლიციელები, მეორე ბოლოდან ჩინელები „დიახ, დიახ“ ჰყვიროდნენ და სწრაფად აშენებდნენ.

მერე ვიღაც შავპალსტუხიანი მოვიდა.

მომდევნო კვირეებში, რასაკვირველია, ჩინური კედლისთვის ხელი არავის უხლია.

ბარემ აქვე გაუწყებთ, რომ ხალიან ჩინელს „ჩინან ლაი“ ერქვა, უხალოს კი „ჩინან ჰლაი“.

მარტი დაიწყო თუ არა, ჩინან ჰლაი მასთან სტუმრად ჩამოსულ თერთმეტ ჩინელთან ერთად სოფელ ლომისჭალას მიადგა. ჩინან ლაიმ კი დანარჩენ შვიდ ჩინელ ნათესავთან ერთად ვაჭრობა განაგრძო.

19 აგვისტოს სახალხო ტელევიზიამ გადასცა სიუჟეტი – „ჩინელები ლომისჭალაში“. უურნალისტი ამაყად აცხადებდა: მუყაითმა ჩინელებმა ლომისჭალაში მზესუმზირის 3, კიტრის 2, პამიდვრის 4, ხოლო ბადრიჯნის 7 მოსავალი მოიყვანესო. სიუჟეტში ჩართულმა ცოცხულვაშა კახელმა სხვათა შორის თქვა: „მაიყვანდნენ სამპირ ბოსტნეულს შვილოსა, რატომაც არა, გამთენისას გადიან და მთვარე რო შუბისტარს აშორდება. მაშინ გამოდიან ყანიდან. იმ დღესაც ძალით დავსვით სუფრასთან, ჯერ დედმამიშვილის სადღეგრძელო არ დაგველივნა, წამოხტონენ და სულ სიცილ-სიცილით გავარდნენ კარში. გავხედეთ და კეფაზე ირტყამდნენ წიხლებს, ინგრე გარბოდნენ, იმათ ქარიც ვერ დაეწეოდათ“.

ოქტომბერში ჩინან ლაიმ თავის ამფისონებთან ერთად მეტროსთან პირდაპირ ტროტუარზე სამოვარი დადგა, გამვლელ-გამომვლელს ჩინური ჩაით და ბრინჯის ლვეზელით უმასპინძლდებოდა.

პოლიციელებთან ჩაის სვამდნენ და თან ჩინან ლაის ეხუმრებოდნენ – შენ ნამდვილად შენა ხარ, თუ შენი ძმა ხარო.

ნამდვილად მე ვარო, იცინოდა ჩინან ლაი და დახლში მოფუსფუსე თავისი ძმისკენ ჩინან ჰლაისკენ იშვერდა ხელს.

ამჟამად პროფესორ თავდუმაძის ფოტოსაკუჭნაოსთან დიდი ჩინური უნივერსალური მაღაზიაა, ხოლო სადაც ჩინან ლაიმ სამოვარი დადგა – დიდი ჩინური რესტორანი.

უნივერსალურ ჩინურ მაღაზიაში დაახლოებით 49 ჩინელი მუშაობს, ჩინურ რესტორანში კი დაახლოებით 157. აქ სიტყვა „დაახლოებით“ იმიტომ გამოვიყვანე, რომ ზუსტად თვით ჩინელებმაც არ იციან.

ამას წინათ დელისის მეტროსთან ასეთ სურათს წავანედი:

ყოფილ თავადს, ამჟამად გვაროვანთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ნამდვილ წევრს ვამეხ დადეშქელიანს თავისი სახსრებით კანონიერად აშენებულ სილამაზის სალონს და წიგნის მაღაზიას უზგრევდნენ.

ოპერაციას ერთი ბულდოზერი და სპეცნაზი „აწარმოებდა“ – სეირის მოყვარულ მოქალაქეთა თანდასწრებით.

მებულდოზერ ქვების სროლისა და გინების აკომპანიმენტით მშვიდად განაგრძობდა დაწყებულ საქმეს.

ნანგრევებზე დადეშქელიანი შეხტა და პლაკატი გაშალა.

„ხელები შორს კერძო საკუთრებისაგან!“ – ეწერა მუყაოს ქალალდზე.

თუმცა, ისე როგორც სხვა პლაკატებმა, არც ამ პლაკატმა იმუშავა. პოლიციელებმა ყოფილი თავადი დადეშქელიანი თავის პლაკატიანად გასწიეს განზე და მისი სალონი მიწასთან გაასწორეს.

თავიანთ „კანონიერ“ სავაჭრო ობიექტებთან – მაღაზია-რესტორნებთან გამწკრივებული ჩინელები შესცეკროდნენ ამ სავალალო სურათს და იცინოდნენ.

ქვენა ქარი ჰქონდა.

თბილისის თავზე დიდი, შავი ღრუბელი იშლებოდა.

თბილისი. 17 ივნისი, 2007 წ.



## გულავერის ღმი

„1918 წლის 24 დეკემბერს, სომხეთ-საქართველოს ომის დროს იმერეთის ასულმა მტრის მიერ ოკუპირებულ შულავერს შეუტია და სამი სტრატეგიული მაღლობი დაიკავა. თუმცა ჩვენმა ჯარისკაცებმა იმ ღამითვე მიატოვეს სისხლისძვრელი ბრძოლით მოპოვებული პოზიციები და მახლობელ სოფელს მიაშურეს ჩაის დასალევად“.

გენერალი კვინიტაძე

გაცრეცილ ღრუბლებში მთვარე ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მოძრაობს.

დურთავს თავს, აგერ ა, კორტოხზე აშენებული საყდრის პირდაპირ მუშტისხელა ღრუბლებში და თვალისდახამხამებაში მტკავლის იქეთ გამოანათებს.

ღამეა. ცივა.

შამბიანი ფერდობის წვერზე გრძელი, ფარლალა შენობა დგას.

რა შენობაა – მიტოვებული საცხოვრებელია, თავლაა, საქონლის ბაგაა, ნასკოლარია თუ ყაზარმაა, ახლა ეშმაკიც ვერ მიხვდება.

შენობის წინ, დანგრეულ კედელ-ყორესთან ასე, ერთ ურმამდე თოვლ-მტვერი ჩანს.

სუსიანი, ძვალ-რბილში გამჯდომი ქარი თოვლს ხან აანამქრებს და ჰერში მიმოფანტავს, ხან ისევ შეაქუჩებს.

ამ მოსაწყენ სურათს „ყაზარმის“ დიდი უმინო ფანჯრიდან სამი ჯარისკაცი შესცეკრის.

– მაინც რა სიცივე ცოდნია, ამ დასაქცევში.

– სიცივე იმდენი კი არ არის, ე ქარი შობა ყოლიფერს.

– მოთოვდეს ქე მაინც, ჩამოთბებოდა ცოტა.

- ეტყობა, არც თოვლი იცის წესიერი, ხო ნახე, თოვლ-ჭყაპში მოვტოპავდით მთელი დღე.
  - რას გიშობა ფეხი?
  - მტეხავს.
  - აქანა?
  - ქვეით, ნატერფალზე, თითებთან.
  - მაინც, - იცინის, - შე ღმერთგამწყრალო, დროგმა რაფერ გადაგიარა?
  - რა ვიცი, გოდოუშენდა პატრონი სანდუხაძეს, არ გადა-კოჩის ზარბაზანმა და აქით რო ვქაჩავდი, ე ფეხი ქე შემ-ცურებია ბორბლებში.
  - ტალახმა გიშველა თვარა წეილებდა თითებს.
  - არ უნდა ლაპარაკი.
  - ხანდახან ფანჯარას მოშორდებიან და გალიის მგლებივით მიმოდიან მიწურში.
  - მკლავზე გათოშილ ხელებს გამალებით ისვამენ და წყლიან კუმკუმას მორიგეობით იყუდებენ ტუჩებზე, რომ შიმშილით ამბოხებული კუჭები ცოტა ხნით მაინც წაატყუონ.
  - გახედე ერთი, ნიკოია, რას შობიენ პლენები.
  - კისერი უტეხიათ და კინჩხი ზეთ მიუყოლებიათ, მე მა-გენი არ ვინალვლო.
  - არ გააღონ კარი და არ გეიქცენ თვარა დახვრეტა არ აგვცდება.
  - რისი გამქცევები არიენ, მიეგდენ ერთმანეთზე და ძი-ნავთ.
  - წამო, წამო დავხედოყენ, ეშმაკს არ ძინავს.
  - შაშხანები აიღეს, იქვე მესამე კარის ურდული გადასწიეს და ნავთის ფანარი შეანათეს.
  - ჩაყუნცულმა ტყვეებმა თვალებზე ხელები აიფარეს და ერთ ხმაზე ანუწუნდნენ:
- „ვრაც ლავა, ჰაია კოტრანეს!..“

- თუ ამდენი იცოდით, რას მოხოხავდით სხვის მიწაზე, თქვე მრთლა ტრანიანებო! „ვრაც ლავა, ჰაია კოტრანეს!..“ ურდულს ყოველი შემთხვევისათვის თოკი შემოახვიეს და სახურავის რკინის ჭოლოკს გამოაბეს.
- აბეზარი ქარი ისევ ანამქერ-აბურთავებს ერთ ურემ თოვ-ლს.
- ე, დეინახე, რავა ჩაქრა გაღმა სერზე სინათლე?
- კი ე. ვინ არიან იქით თუ იცი.
- რა მნიშვნელობა აქვს. თავს უშველეს ხო ხედავ. ამ წან-წალია ღამეში ომი არ გამიგია მე.
- ერთს ვიკითხავ, ჩემი მოკლე ჭკუით, ვინც იყო აქანა გამაგრებული, ცეცხლს არ ანთებდა, ის კვდარძალლი?
- რავა?
- ხო უნდა ეტყობოდეს ან წაცეცხლარი, ან პუხრის ნაშალი მაინც ხომ უნდა იყოს. შეშა მაინც არ უნდა იყოს მოქუჩებული სადმე?
- კი, შენ დაგიტოვებდნენ, რავარც იტყვი, სომხები. მოვა გოგიტიე და გათბებაო. ფეჩი ექნებოდათ და მეიკიდებდნენ ზურგზე.
- შეშა?
- შეშასაც წეილებდნენ, ვინ დოუშლიდათ.
- ისე „გამაგრებული“ კი ნამეტანი ყოფილან. რავარც ორი შეუბერა ჩვენმა ზარბაზანმა, ფაცხა-ფუცხით გავარდ-ნენ კარში.
- რო გევეკიდეთ?
- ტყვილა მივსდევდით, ისე, ფასონიზა. რო გაჩერებული-ყვნენ და აქეთ გამოგვკიდებოდნენ, ახლა ჩვენ ვიტლინკავებ-დით უყეზე.
- ვითომ?
- არა ბიჭო, სომებს შევაკლავდი თავს შულავერიზა.
- მე, მაგალითად, ერთი ვაზნა არ მქონდა ვინტოვკაში,
- რას მიახარჯე?

– ვისროდი ზეით, უპრაგონოთ და უმიზნოთ, ხვდებოდა ვინმეს თუ არ ხვდებოდა, რა ვიცი... ისროლეთო და ვისროდი.

– რას ვშობით ახლა, ამაღამ უფრო მეიმატებს ყინვა. თუ აქანა ვიყურყუტეთ, მეყოლე კარქათ. ხვალ სააღაპე ვიქნებით სამივე.

– შევიდეთ სანდუხაძესთან და ვუთხრათ.

სანდუხაძე, შავწვერა გოლიათი გაუშალაშინებელ ფიცრებზე იწვა. ვეება თავზე ყაბალახი შემოეხვია.

მკერდზე შაშხანა აეხუტებინა და სახელოებში იქეთ-აქეთ ხელის მტევნები შეემალა.

თანამებრძოლებს ულვაშისხელა წარბებიდან ისე გახედა, არც შერხეულა.

– რა გინდათ?

– გვცივა და გვშია.

– მერე, მე, რომელი მამაზეციერი მნახეთ.

– დევიყინებით, დავწყდებით ამაღამ.

– აპა რავა გინდათ. ომია ბიძია ეს, წათლობაზე კი არ ხართ დაპატიჟებული.

– ჩავსულიყავით ერთი საათით ქვეით, ეგება წეგვეხემსა და ცხელი წყალი დეგველია.

– გადეიერიეთ?

– არა.

– წევიდენ სხვებიც. არსათ არ ჩანს სინათლე.

სანდუხაძე წამოდგა და ფანჯარას მიაჭიჭინდა.

– წადით თქვენ. მე არ წამოვალ. არ დაგაგვიანდეთ! ხო გეყურებათ?!

– წამოსულიყავი შენც.

– მე მეთაური ვარ, შე ბოთე. ხვალვე გამიშობენ ტრიბუნალზე, იცი შენ, რა არის ტრიბუნალი? დეპეშა მაინც არ გაგვეგზავნა უორდანიასთვის – შულავერი აღებულიაო.

– მერე? ტყუილია? არ არის აღებული?

– რაფრათაა აღებული, თუ აქიდან წავალთ.

– ამ ყიამეთში ვინ ამოწმებს.

– რო წამევიდენ იერიშზე სომხები?

– თუ წამევიდენ, ჩვენ ოთხი დავრჩით ამ ზეით მარტო და ჩვენ რას გავაწყობთ, ჩაგვხოცავენ თიკებივით ოთხივეს.

– რას ბუუტურობ, ბიჭო. ასე უგბილო რავა ხარ, სომეხი შენ გიშე ხვარ გონია. ამ წანნალია ღამეში, ძალლი პურს რომ არ წანვდება, სომეხი გიბრძოლებს? მეტი არა აქვს საქმე!

– თუ მაინც წამევიდენ... ჩვენ რო ქვევით დაგვიგულებენ?!

– თუ ღმერთი გოუწყრათ, ხვალაც ამ თვის არ არი? ხვალ დილით ქე ევილებთ შულავერს ისევე.

– ეს ყველაფერი კაი... პლენებს რა ვუყოთ?

– რა ვუყოთ და სუჯუნს და ლავაშს ამოვუტან ახლავე. ან ჩაიზე დავპაიჯებთ სადახლოში, მაგათმა თავის ხეთქვამ. გოვ-უშვათ და იპოვიან თავის გზას.

– მერე?

– გაქცეულან თქვა, რავა, ცოტა პლენი გარბის?!

სანდუხაძე წამოდგა, ფანარს ხელი წამოავლო, ისე მი-იქნევდა სიბნელეში, როგორც მღვდელი საკარცხულს.

ბაწარი შეხსნა, მოისროლა და ურდული გამოსწია.

– აბა, მოუსვით აქედან თქვენი პატრონი ქვეყანა...

ტყვეები, ზურგში არ გვესროლონო, უკანსვლით მირბოდნენ და ჰაეროვანი კოცნებითა და „ლავ ვრაცე“-ს ძახილით მთვარიან ცივ ფერდობს მიეფარნენ.

...მეორე დღეს ჩვენს „ძლევამოსილ“ არმიას 3500 კაციანი შეტევა დასჭირდა შულავერის დასაბრუნებლად და... დაიბრუნა თუ არა საერთოდ, საქართველოს რუკას დახედეთ და მიხ-ვდებით.

2.09.2007 წ. თბილისი



## გილიკისპირა საფლავი

„დაო, ასე მგონია ბედნიერი ვიქნები,  
საღმე ახლოს, თბილისთან, თუ სამარე ვიშოვე“.

### ტერენტი გრანელი

ქუთაისში ხონის ქუჩაზე, ორი ძმაკაცი ცხოვრობს, ბესო ხელაძე და რამაზ ჩირგვაძე.

ბავშვობაც ერთად გაატარეს, სასოფლოს ფილიალიც ერთად დაამთავრეს და ბარე ოცი წელი ერთად იმუშავეს „ქუთგამნვანებაში“.

ქვეყანა რომ აირია და ცხოვრება გაჭირდა, მთავრობამ ქუთაისის გამწვანების პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია (აქამდეც, თუ რამე არ აკლდა ქუთაისს, სიმწვანე იყო) და გამწვანების ტრესტი გააუქმა.

უსამსახუროდ დარჩენილმა მეზობლებმა კერძო მეწარმეობას მიჰყვეს ხელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგბები გაიფორმეს და ბესომ ასანთის გამოშვება დაიწყო, ხოლო რამაზმა – ბზის სავარცხლების.

შოულობენ ცოტ-ცოტას, „საგადასახადოსაც“ ისტუმრებენ და ცოლ-შვილსაც არჩენ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, ერთი „მაგრამ“ რომ არ ჩარეულიყო სიყრმის მეგობრების ცხოვრებაში.

შარშან, ქუჩის ბოლოს, ძველი ომის მონაწილე, ნამდვილი პოლკოვნიკი, ღრმად პენსიონერი სოფრომ თოფურია რომ გარდაიცვალა, მისმა ჭირისუფლებმა სამი დღე ირბინეს სასაფლაოს საშოვნელად.

ქუთაისის სასაფლაო კარგა ხანია შევსებულია. უპატრონო საფლავებიც კარგა ხანია დაჲყიდეს.

ქუთაისის მერმა სოფრომის საბრძოლო დამსახურებას გაუწია ანგარიში და ჩხუბდავიდარაბის შემდეგ „ქუთსახერხის“

ოღასკურის სასაფლაოს მიმდებარედ, ნახევარი ჰა მიწა ჩამოაჭრა.

ეს ნახევარი ჰექტარიც მალე შეივსება, ძვირფასო მკითხველო, საიქიოსკენ ისეთი ენერგიული მოძრაობაა (კინაღამ „მისვლა-მოსვლა“ დავწერე, მაგრამ მაშინვე მივხვდი რა სისულელეს ჩავიდენდი, იმ ქვეყნისკენ ხომ მხოლოდ მიდიან და უკან აღარავინ ბრუნდება) და მერე რა მოხდება, ამაზე ფიქრი-საც კი მეშინია.

სოცუზრუნველყოფის სამმართველოს კარებზე გაკრული განცხადება „სასაფლაოზე ადგილი არ არის, ჭირისუფლები ნუ შეგვანუხებენ“ მიცვალებულის პატრონისთვის, მოგეხსენებათ, ვერაფერი ნუგეშია.

არ ვიცი, სოფრომ თოფურიას დაკრძალვის დროს რომელ ძმაკაცს მოუვიდა თავში, სანამ ჯერ კიდევ ჰქონდათ საშუალება, ეყიდათ თითო-თითო საფლავის მიწა და ასი წლის შემდეგ მარჩენალის დაკარგვით ელდაცემული ოჯახის წევრები ამ ერთი თავსამტვრევისგან მაინც გაეთავისუფლებინათ.

არც ის ვიცი რამდენად რელიგიურია, საქმე წინ წაიგდო და სიცოცხლეშივე მოიმარქაფო სასაფლაო, მაგრამ ფაქტი ასეთი გახლავთ:

2004 წლის 11 ოქტომბერს „ოღასკურას“ დირექტორმა ბესო ხელაძეს და რამაზ ჩირგვაძეს კანონიერად შეძენილი კუთვნილი სასაფლაოს ნაკვეთები მოუზომა.

ერთ კვირაში მეგობრებმა თავთავიანთი საუკუნო განსასვენებლები ბეჭონის ღობით შემორაგვეს, რეინის ორ ფირფიტას თეთრი სალებავით დააწერეს „ბესო ხელაძე“, „რამაზ ჩირგვაძე“, ჩაარჭვეს ფირფიტები მიწაში საიმედოდ და დაიმედებულებმა, რომ ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ უსაფლავოდ არ დარჩებოდნენ, ახალი ენერგიით განაგრძეს ცხოვრება. ოჯახის წევრებისთვისაც, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან ეს კეთილშობილური, მაგრამ ცოტა არ იყოს, უცნაური ნაბიჯი არ გაუმხელიათ.

ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ ბესოს ცოლს გარენათესავ-  
მა ცალქალამანიძემ დაურეკა – ბესო ხომ კარგად არისო. ამ  
დილით კარგად იყო და ახლა არ ვიციო, ცოლმა.

გამისკდა გული, დღეს ოლასკურას სასაფლაოზე მომიწია  
შესვლამ და ახალშემომატებულზე საფლავს „ბესო ხელაძე“  
ეწერა, ჭკუიდან კინალამ ევინიერ, ცალქალამანიძემ.

ალბათ კიდევ ყოფილა ვინცხა, ბესო ხელაძე და წოულია  
წერილიო. ჩემს ბესოს მის მოსვლამდე არაფერი ეტკინოსო.

ცალქალამანიძემ ყურმილი დადო, ღრმად დარწმუნებ-  
ულმა იმაში, რომ ვიღაცა ბესო ხელაძის საფლავი მის ნათე-  
სავ ბესო ხელაძეს ნამდვილად არ ეკუთვნოდა, რაკიდა „მისი  
ბესო“ დილით, სულ რამდენიმე საათის წინ, ცოცხალი იყო.

გინდა არ გინდა ოლასკურას სასაფლაოზე წელიწადში სამ-  
ჯერ-ოთხჯერ მაინც უხდება მისვლა ქუთაისელ მოქალაქეს,  
მაშინაც კი თუ ამ სახელგანთქმულ სასაფლაოზე ახლობელ-  
თაგან არავინ ჰყავს დაკრძალული.

მეობრები მორცხვად გახედავდნენ ხოლმე თავიანთ  
საფლავებს, რომელთა ირგვლივაც თითქმის ყოველ კვირას  
სოკოებივით მრავლდებოდა მიცვალებულთა ბორცვები.

თუ მოხდებოდა და სასაფლაოზე მარტონი აღმოჩნდებოდ-  
ნენ, არავინ შეგვამჩნიოსო, მიიპარებოდნენ, ბალახს გადაა-  
ცლიდნენ, ცოტა ხანს ჭირისუფალივით ჩამოსხდებოდნენ სა-  
კუთარ საფლავებთან და შინ ფრიად კმაყოფილი ბრუნდე-  
ბოდნენ.

ოლასკურას სასაფლაო მართლაც რომ ერთი მშვიდი და  
სუფთაპაერიანი ადგილია მთელს ქუთაისში.

ერთ დღეს თამაზ ჩირგვაძე თავისი მენეჯერის ორმოცზე  
გახლდათ და უკან რომ ბრუნდებოდნენ, ჩვეულებისამებრ თა-  
ვისი სასაფლაოსკენ გადაუხვია.

ვიღაცას ფირფიტებისთვის ადგილი შეეცვალა.

დამავინყდა მეთქვა, რომ საფლავები სულ ხუთიოდე მე-  
ტრით იყო ერთმანეთისგან დაცილებული. „ჩირგვაძის საფლა-

ვი“ უფრო მარჯვნივ, ბილიკის პირას იყო, ხელაძისა კი ოდნავ  
აღმოსავლეთით, შეწეულში.

რამაზს ბევრი არ უფიქრია. წარწერები თავთავის ძველ  
ადგილებზე ჩაამაგრა და შეფიქრიანებული დაბრუნდა შინ.

ჩვენ შორის დარჩეს და ჩირგვაძის „შეფიქრიანებას“ ამ  
შემთხვევაში საფუძველი არ გააჩნდა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი რომლის საფლავი  
იქნებოდა, ჯერ ერთი, ორივე საფლავი ზუსტად ერთნაირად  
იყო შემორაგულ-შემოკეთებული და, რაც შეეხება სასაფლაო-  
თა პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას, ეს ჯერ კიდევ  
შორეული მომავლის საქმე იყო.

ჯერჯერობით მეგობრები საღ-სალამათნი იყვნენ და ფაქ-  
ტიურ საფლავებზე ორივენი, მხოლოდ ერთმანეთთან ხუმრო-  
ბა-ლიმილით ლაპარაკობდნენ.

მეოთხე დღეს, ნასამსახურევს რამაზ ჩირგვაძემ, თითქოს  
ტანმა უგრძნოო, ტაქსი დაიქირავა და ოლასკურასკენ გასწია.

სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა საკუთარ საფლავს და  
ელდა ეცა: წარწერები კვლავ შეეცვალა ვიღაცას.

რასაკვირველია, რამაზს ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ  
ფირფიტებს ადგილს მეორე საფლავის პატრონი – ბესო ხე-  
ლაძე უცვლიდა, მაგრამ რა მიზნით აკეთებდა მისი ძმაკაცი  
ვერა და ვერ მიხვდა.

სასაფლაოს დამლაგებელს, ყრუ დედაბერ სონიას ჰკითხა,  
ამ დღეებში აქ ბესო ხომ არ ამოსულაო, მაგრამ ვერაფერი  
გააგებინა და გადაწყვიტა გაჩუმებულიყო, რადგანაც ყვირი-  
ლი რაც სონიას ყურთასმენას სჭირდებოდა, მკვდრებს თუ არ  
გააღვიძებდა, „მოსაუბრეთა“ ირგვლივ ცნობისმოყვარეთა ათ-  
ეულებს შეაქუჩებდა.

იმ კვირაში ყოველდღე დადიოდა ჩირგვაძე სასაფლაოზე  
და ყოველდღე უცვლიდა ადგილს ფირფიტებს.

შპს „ბზის სავარცხლის“ მფლობელმა მოსვენება დაკარგა.

სხვა გზა არ იყო, ბესო ხელაძესთან უნდა გაერკვია ურთ-  
იერთობა.

პარასკევს საღამოს შინ ეწვია, ვითომდა ნარდის სათა-  
მაშოდ, სამუსაიფოდ.

ნანარდევზე ბესომ ჭიშკამდე გამოაცილა და სწორედ მა-  
შინ იხელთა დრო რამაზ ჩირგვაძემ.

— ხო, რა უნდა მეკითხა, სასაფლაოზე ხომ არ ყოფილხარ  
ამ დღეებში.

— რა მინდოდა სასაფლაოზე, არ მეყოფა როცა მუხის კოს-  
ტუმით წამიღებენ? რავა რა იყო?

— თუ გახსოვს, შენი საფლავი რომელი იყო.

— რავა არ მახსოვს, შესასვლელიდან პირდაპირ, ბილიკის  
პირას.

— ჩემი?

— შენი ცოტა შეწეულში მარცხენა მხარეს. ხომ აწერია  
ზეთ, რავა რა იყო?

რამაზმა ცოტა ხანს უყურა ოდნავ მოჭუტულ თვალებით  
და ბესოს სახეზე ლიმილის ნასახსაც ვერ წააწყდა, სუნთქვააჩ-  
ქარებულმა ჰკითხა.

— რას კადრულობ თუ ძმა ხარ შენ?!

— არ მინდოდა მეთქვა რამაზია ჩირგვაძე და მე ვეკადრუ-  
ლობ, თუ შენ კადრულობ?! ერთი კვირაა მაჩეჩებ შენს საფლა-  
ვს, დაარბენინებ ჩემს წარწერას აქეთ-იქით.

— მე გაჩეჩებ?

— არა მე... პირკატა მეცა პირველად რომ ვნახე ფირფიტე-  
ბი შეცვლილი.

— შენ არ ეირჩიე, ბესო ის ადგილი, მარცხნივ შეწეულში?

— კი... აპა... მე ევირჩევდი გვერდზე მოფარებულში დასა-  
ფლავებას. მაგი კი არა, რაც ეგ საფლავები მევიზომეთ, სულ  
მიხაროდა, შემოსვლისთანავე შეამჩნევს კაცი პირდაპირ ჩემს  
სურათს და ძებნა არ დასჭირდება-მეთქი.

— არ მეგონა, ასეთ ტყუილს თუ იკადრებდი, პრინციპის  
ამბავია, თვარა საფლავს გოდოუშენდა მყვარებელი. სწორედ

მაგ ადგილის გამო ევილე მაქანა საფლავი, თვარა რათ მინ-  
დოდა ადგილების მეტი რაია.

— ესე იგი, შენ ესვენო ცენტრში, შესასვლელში, ბილიკისპი-  
რას მავზოლეუმივით ადგილზე და მე ვეგდო, საღაცა კუთხეში  
მიჭმუჭნული? კაი ჭკუის ხარ, კი, ჩემმა მზემ.

— მაგ სიმართლით იარე, ბესოია, შენ?

ჩირგვაძეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

— ჯერ ერთი, რითაა ცუდი ის შენი ადგილი, — ხმას  
დაუწია ბესომ, — შენთვის იქნები, გამვლელ-გამომვლელი არ  
შეგაწუხებს. მეზობლები კაი, ცაცხვის ჩრდილი და ყველაფერი.

— სადაა ცაცხვი?

— ზუსტად შენი საფლავის გვერდზეა. ჭანკვეტაძის საფლა-  
ვზე დარგული.

— იმ ერცახე ნერგზე ამბობ? მაგი რომ გეიზრდება, მო-  
გივიდა მშვიდობა, ჩვენი ძვლები აღარ იქნება მიწაში.

— ვილაპარაკოთ კაცურად, რა უპირატესობით გეკუთვნის  
შენ საფლავი მაინცდამაინც გამოსაჩენ ადგილას, თვარა კი.

— არ გინდა ეგ ლაპარაკი, ბესო. თავიდან ასე დავთქვით  
და ასე დავაწესეთ, შენ თვითონ ამბობ, კაი ადგილია, ცაცხვის  
ჩრდილიანიო.

— ჰოდა გამარჯობა შენი, კაი რომ მინდა შენთვის, მიტომ  
გირჩევ მაგ ადგილს.

— ნუ იკლავ თავს ჩემზე ზრუნვით, მადლობელი ვარ ძა-  
ლიანი, შენი პატივისცემით ყელამდე ვარ. გეუბნები ბესია, ნა-  
კერავზე რომ გასკდე, მაინც ვერ წამართმევ ჩემს საფლავს და  
შენს საფლავში დეეტიე გირჩევნია!

— მე შენი არაფერი მინდა და ნუ იჭიმები გლახათ! რაკი  
პრინციპზე მიდგა საქმე, რაცხას მიაღწევ იმასაც დევინახავ...

აქ შევწყვიტოთ ეს უსიამოვნო საუბარი, ძვირფასო მკითხ-  
ველო.

ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გაუწყოთ, რომ ამ დღის შემდეგ  
მეგობრებმა ერთმანეთი დაკარგეს.

დარეკვით ხომ აღარ ურეკავენ, აღარც ესალმებიან ერთ-მანეთს.

საქმე ის არის, რომ ახლობლებსაც ველარ უმხელენ დაშორების მიზეზს.

... და არის ოღასკურას სასაფლაოს განაპირას ორი თითქმის მიტოვებული საფლავი. ერთს (ბილიკთან) „რამაზ ჩირგვაძე“ აწერია, მეორეს (შენეულში) „ბესო ხელაძე“.

ღმერთმა კარგად ამყოფოთ და ჯერჯერობით ორივე ცოცხალია – ბესო ხელაძეც და რამაზ ჩირგვაძეც.

მერე... დიდი ხნის შემდეგ, ამ ორიდან ერთ-ერთი რომ „გავა“ გაღმა, როგორ იქნება საქმე, ვერ გეტყვით.

ცოცხლად დარჩენილი, რა თქმა უნდა, იგლოვებს სიყრმის მეგობარს, ცრემლსაც დაღვრის, ორმოც დღეს იქნებ შავი კვართიც ჩაიცვას, მაგრამ არა მგონია დათმოს საფლავის მიწა შემოსასვლელთან, ბილიკის განაპირას, გამოსაჩენ ადგილზე.



## კვამლის შემფუტებელი

ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო თეატრში დაგვიანებით მივედი.

ბრწყინვალე ფრაზაა „ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო“.

ამ ოთხ სიტყვაში ყველაფერი ეტევა, ბოდიშის მოხდაც და დაგვიანებისგან თავის დაძვრენაც.

მართალია, ქართველები დაგვიანების ოსტატები ვართ, მაგრამ ეს ფრაზა ქართული წარმოშობისა არ უნდა იყოს.

მოკლედ ჭავჭავაძის პროსპექტი გადაკეტილი იყო და სამარშრუტო ტაქსი ილია ჭავჭავაძის ბიუსტთან ოციოდე წუთი მაინც იდგა.

ქუჩა კი იმიტომ იყო გადაკეტილი, რომ ომისა და შრომის ვეტერანები, ოცდათხუთმეტლარიანი პენსიის ორმოცდაორ ლარამდე გაზრდას მოითხოვდნენ.

კიდევ კარგი, სპექტაკლიც დაგვიანებით დაიწყო.

პარტერში რომ შევდიოდი, მორიგე ქალმა შემაჩირა.

– თუ შეიძლება, პალტო გაიხადეთ.

მარცხენა ხელში პროგრამები და ორი ბინოკლი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს.

როდიდანაა თეატრში პალტოს რომ ვიხდით-მეთქი, გავითქე.

– რაც ივანიშვილმა გათბობა გაგვიკეთა, აშენდა მისი ოჯახი, თქვენ რა, სამი თვეა თეატრში არ ყოფილხართ?

სამი თვე კი არა ბარე სამი წელიც იქნება, მაგრამ ამ ქალს ხომ არ გავუმხელდი.

– ქალბატონო, ველარ მოვასწრებ ჩასვლას, ისედაც დამაგვიანდა, გავიხდი და ხელში დავიკავებ.

– არ შეიძლება. საყვედურს მეტყვიან.

- ქალბატონო პროგრამას ვიყიდი.
- მე რომ გაგიშვა, შუა სპექტაკლიდან გამოგიყვანს დაცვა.
- ქალბატონო, ორ პროგრამას ვიყიდი და ბინოკულს ვიქი-რავებ. გაეცინა.
- რას მევაჭრები, შე კაი კაცო, ამასობაში ამოხვიდოდი კიდეც.

ჩავასკდი გარდერობს, გოგონას პალტო გავუწოდე და ხუ-  
თიოდე საფეხურამორბენილს მომესმა:

—ნომერი!

ჩავბრუნდი, ნომერი გამოვართვი და ამოვასკდი ფოის,  
მაგრამ მეფე-ჭალი ჩამქრალი იყო და აღარ შემიშვეს.

ბენუარის კარები დაგმანული დამხვდა.

იარუსზე პირველივე კარი შევაღე და დავჯექი.

დავჯექი და ფარდაც გაიხსნა.

ჩემ წინ წვრილკისერფართოყურებიანი შუახნის კაცი ზის.  
გვერდით სპილოსმოყვანილობის ქალბატონი უზის.

სპექტაკლი, ჩანს, ანგელოზების ცხოვრებაზეა.

სცენაზე ჯერჯერობით მხოლოდ ის ხდება, რომ შვიდი  
ქალი (ანგელოზები) და ერთი კაცი (მთავარანგელოზი) დაფარ-  
ფატებენ უაზროდ.

ყველა მათგანს ზურგზე ფრთები აქვს მიმაგრებული.

ფრთები ქურთის კურტანივით გაჩიკინებული აქვთ, მაგ-  
რამ თვითონ კი, როგორ დავუკარგავ, შიშველი ფეხებით მშვე-  
ნივრად დატანტალებენ მტვრიან სცენაზე.

ხან ერთ მხარეს მიაწყდებიან ხან მეორეს.

ანგელოზები ბეღურებივით უივუივებენ.

ძალიან რომ გაუივუივდებიან, მთავარანგელოზი დაუცაცხ-  
ანებს და ანგელოზები უკმაყოფილო უივუივით სცენის მეორე  
კუთხისკენ გატანტალდებიან.

—ბინდიში, თქვენს ადგილზე ხომ არ ვზივართ? – მომი-  
ბრუნდა სპილოს თანამგზავრი.

– არა, ბატონო.

– რატომ გკითხეთ იცი? ჩვენ ბილეთები არ გვაქვს. კაკომ  
დაგვპატიუა, სადაც გაგეხარდებათ, დაჯექითო.

– მე პარტერის ბილეთი მაქვს, მაგრამ არ შემიშვეს  
დაგაგვიანდაო. ასე რომ მე თვითონ სხვის ადგილოზე ვზი-  
ვარ.

ამასობაში მთავარანგელოზი კიბეზე ავიდა და კიბიდან  
ჩამოსტვინა ცელქ ანგელოზებს.

მარჯვენა მხრიდან სცენას ვიღაცამ თეთრი კვამლი შემოა-  
ფუტა.

კვამლი ჯერ იატაკზე გაწვა, მერე ნელა ალაგდა და გაი-  
შალა.

– კაკოა! – ხელი ნაზად წაჰკრა კაცმა.

ქალმა თავი დაუქნია.

– ამას კაკო აკეთებს, – მომიბრუნდა ფართოყურება მეზო-  
ბელი.

– კაკო ვინ არის? – ზრდილობისთვის ვკითხე.

– ჩვენი მეზობელია. ვინც თეატრში შემოგვიყვანა, სცენაზე  
კვამლის შემფუტებლად მუშაობს.

ანგელოზები, როგორც ჩანს, წაკამათდნენ. ორი ლამაზ-  
ფეხება ერთმანეთს ვარიებივით წაექოჩრა, ერთ-ერთი ანგე-  
ლოზების დასს გამოეყო და ავანსცენაზე დადგმულ ლომის  
ფიტულზე შეჯდა.

ისევ შემოაფუტა კაკომ თეთრი კვამლი.

მეჩვენება, რომ ყველაზე საინტერესო და ყურადღებამის-  
აქცევი, ჯერჯერობით რაც სცენაზე ხდება, ესაა ულუფა-  
ულუფად შემოფუტებული სქელი, ბლანტი კვამლი, რომელიც  
ნელ-ნელა იწევს მაღლა და ჭერიდან დაშვებულ თოკებს შო-  
რის იკარგება.

– ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ, – დაიწყო კაცმა, როცა  
კვამლმა სცენა თითქმის გაავსო და ლომის ფიტულისკენ  
წამოვიდა, – ადრე სახლმმართველობაში მუშაობდა მოან-

გარიშედ, მაგრამ სახლმმართველობები რომ დახურეს, უმუშევარი დარჩა.

– რამდენი ხანია, რაც კვამლის ოსტატად მუშაობს? – რაღაც ხომ უნდა ვკითხო.

– არაა დიდი ხანი.

– ამ განხრით რამე სპეციალური განათლება აქვს?

– არავითარი. საქმეც მაგაშია. მივიდა თუ არა, მაშინვე მიიღეს. კითხეთ ჩემს ცოლს, თუ არ გჯერათ.

ცოლისთვის რასაკვირველია, არაფერი მიკითხავს.

ამასობაში მთავარანგელოზი კიბიდან ჩამოვიდა, გაბუტული ანგელოზი ლომიდან ჩამოხსნა, კიბეს მიაყუდა და ქათმის ჩინჩვლის მსგავსი ილეთები რომ დაუწყო, კაკომ ერთდროულად შემოაფუტა სცენაზე თეთრი კვამლის სამი მოზრდილი ულუფა.

– თქვენი სახელი? – ვუჩურჩულე წინ მჯდომს.

– ბიკენტი, – ისე მეყვსეულად და შემობრუნებით მიპასუხა, რომ იგრძნობოდა, მკითხეთ, რაც გნებავთ კაკოზე, ნუ მოგერიდებათო.

– ამდენ კვამლს სად შოულობს, კაკო. ალბათ, ტუმბავენ კვამლს ბალონებში გაზივით და უშვებს მერე ჟანგბადის ბალიშის პრინციპით, რამდენიც გაეხარდება.

ბიკენტიმ სცენას ზურგი შეაქცია და ჩემს გასანათლებლად გადმოერთო.

– მეც მასე მეგონა. არა ბატონო, ამდენ კვამლს ვინ ჩატუმბავს, ან რა ჭურჭელი ეყოფა. სპეციალური დანადგარია. სპირალები აქვს, დიდი სპირალები: ჩართავ დენს, სპირალები რომ გავარვარდება, კაკო ჩაინიკით წყალს ასხამს, მერე საბერველს ჩამოწევს და ორთქლს მიუშვებს, რამდენჯერაც ჩამოსწევს სახელურს, იმდენი პორცია კვამლი შევა სცენაზე.

– ასე უბრალოდ, კაცო?

– აპა, ასე უბრალოდ, – შემომლიმა თავისი ცოდნით გაამაყებულმა კაკოს მეზობელმა.

– მე მგონია, ორთქლში რაღაცას ურევენ, ბიკენტი – საუბარში ჩაერია თანამეცხედრე – კაკომ ხომ თქვა იმ დღეს, მე არ მეუბნებიან, მაგრამ გასათეთრებლად ორთქლში ვეჭვობ ცოტა აზოტს ურევენო. მე არ მინახავს, მაგრამ დანადგარში ქვევიდან წვრილი მილით უნდა შემოდიოდეს აზოტიო.

– აზოტი არა გვარჯილა. რა უნდა, ქალო, აზოტს! აზოტი რომ გაუშვან, ხომ დეიხრჩო ხალხი სცენაზე, მღვდელი ზიარებას ვერ მიუსწრებს ვერც ერთს.

– რა ვიცი... არ გახსოვს იმ დღეს რომ თქვა კაკომ, სახლში რომ ვპრუნდები, ორ საათს მახველებსო? აბა, რისი ბრალი იქნება, როგორ ფიქრობ ხველება?

სცენაზე ანგელოზებს შორის კვლავ შეხლა-შემოხლა გაიმართა.

ამჯერად, ვერ გეტყვით რა მიზეზით, სამი ანგელოზი წაძინდგილავდა.

ისე დაქოჩირ-დაკორტნეს ერთმანეთი, რომ ერთ ანგელოზს ცალი ფრთა ჩამოატყდა, ვერ გეტყვით ფრთის ჩამოტეხვა რეჟისორის მიგნება გახლდათ თუ შემთხვევით მოხდა.

ფრთამოტეხილმა იატაკზე დავარდნილი ფრთა იღლიაში ამოიჩარა და სცენიდან გავიდა.

გავიდა თუ არა კულისებში დამარცხებული ანგელოზი, ახლა დარჩენილი ორი ანგელოზი წაექოჩირა ერთმანეთს.

ეს კი ველარ აიტანა მთავარანგელოზმა, გაქვავებული ფრთების სიმძიმის მიუხედავად მამლური სიჩაუქით მიუხტა მოშულართ. ერთმა ანგელოზმა კულისებში შეასწრო. მეორე კი დაიჭირა ანგელოზთ ბრიგადირმა. მისი ხუჭუჭა თმები ხელზე დაიხვია და მოხდენილი გავით წინ აიყუდა.

კაკომ გამალებით ჩაბერა კვამლდანადგარს. სცენა თითქმის გაივსო თეთრი კვამლით, მაგრამ ისე ვერა, რომ დაინტერესებულ მაყურებელს ვერ დაენახა, თუ როგორ სჯიდა

სექსუალურად შემკრთალ ანგელოზს ვნებააშლილი მთავა-  
რანგელოზი.

შინისკენ მიმავალს კაკოზე ფიქრი ამეცვიატა.

გონების თვალს არა და არ მოშორდა თეთრი, თეატრალ-  
ური კვამლი და ხელოვნებას შეწირული ყოფილი მოანგარიშე,  
რომელსაც ვინ იცის, იქნებ ნელ-ნელა წამლავს კვამლის და-  
ნადგარში საიდუმლო მილით შეყვანილი აზოტი.



## რ მ ნ მ დ ა

ცხელა.

ქუთაისში როცა ცხელა, ცისკარიც ცხელია.

ყოფილი ღამის მეხრე, ამჟამად გარემოვაჭრე ბენო ტა-  
ბატაძე დილაადრიან ვაგონის ფანჯარაზე გადმომდგარიყო და  
მეზობელს უხმობდა:

– ირაკლი! ირაკლი!

შეიძლება იმიტომ არ მეპასუხება „ბატონობით“ რომ არ  
მივმართავო და უფრო ხმამაღლა მოჰყვა ძახილს:

– ბატონო ირაკლი! ბატონო ირაკლი!

როდის როდის გადმოდგა აივანზე ირაკლი.

ვაგონის მობინადრეს არ შეპასუხებია.

ტარზანივით გამოწყობილმა ქუჩაში გადმოირბინა, სახე-  
ლური კარგა ხანს აჩხაუნა და როცა გააღო. მხოლოდ მაშინ  
ჰკითხა ბენოს:

– მერამდენეჯერ უნდა ჩაგეკეტოს?!

– მეიშალა, ეს დასაწვავი.

– რამ მოშალა, ვერ დატოვე ლია? მიუგდე კარითქვა, რამ-  
დენჯერ გითხარი. ვინ შემოგივარდება შით.

– მივუგდე, მარა ქარი აღებს. გუშინწინ ძალლი შემევიდა,  
ეს უპატრონო, და დამადგა თავზე შუალამისას.

– ვისი ძალლი?

– რა ვიცი მე.

ირაკლის მწვანე, თეთრკოპლებიანი ფოხან-ტრუსი ეცვა;  
ორ ადგილას საიმედოდ დაკერებული.

მართალია, ნაკერი-დამატება წითელი ფერისა იყო, მაგრამ  
ახალი, გამძლე ნაჭერი ჩანდა.

ირაკლი უცერემონიოდ ბოდიშისმოუხდელად შევაგონდა.

ბენოს ნარზე გასაყიდი ავლა-დიდება გაეშალა და ნეილონის უზარმაზარ ტომარაში ტენიდა.

ერთი-მეორეზე მიმზიდველად ეწყო ქალის მოვარდისფრო ბიკინები, სექსუალურნახატიანი „კოლგოტკები“, ლიფები, სხვადასხვა ზომის „შლიპანცები“ და მამაკაცის საზღვაო მაისურები.

- რას მოათრევ ყოველლამე ტომარას, ვერ დატოვებ იქანა?
- ვინ იტოვებს. ყველას თავისი საქონელი უჭირს.
- იყიდება რამე?
- თუ დეიკავებ ხელში და ენაგადმოგდებული შამეირბენ ბაზარს, შეიძლება ოცი ლარის საცვალი ქე გაყიდო.
- ოციდან?
- ოციდან ორი ლარია ჩემი.
- მაგიზა იკლავ თავს?
- რა ვქნა, აპა, სად წევიდე, რომ დავდექი, ვინ რა მომცა.
- რა გაძინებს ამ რკინაში, ჯერ ახლა რავარია და, საღამოს რავარი იქნება, მთელი დღე რომ მზე დააჭერს.
- გელაპარაკები, პარნოია. სამ-სამ კილოს ვიკლებ, მე მგონია, ყოველლამე, დევიძინებ და ახალსიზმარდაწყებულზე გამომეღვიძება; ოფლში ვცურავ, ღამე ერთია და სამჯერ მაინც ვიცვლი მაიკას.
- სიზმარს თუ ნახულობ ქე მაინც ხეირიანს?
- მაგან არ მომკლა? ერთი წესიერი სიზმარი მენატრება. ეს სიზმარი მაინც გამოუშვას, სიზმარი მაინც რავა ეხარბება ჩემთვიზა ამ დალოცვილ ღმერთს.

- რავა?!
- ვნახულობ რაცხა სისულელეებს. უშინაარსოს, კაცს რო ვერ მოუყვები, იმისთანას.

ამასობაში ბენომ სამი ტომარა ჩაალაგა. ერთს თავი მოუკრა ორი რატომლაც თავლია დატოვა, ის ერთი ვაგონიდან ჩააწოდა ირაკლის და კარი რომ გამოხურა, მიხვდა, რომ საკეტმა „ენა

ისევ გადაყლაპა“ და შინ დაბრუნებულს ისევ ჩხაკუნ-წვალება მოუწევდა.

– ხო, მართლა, – დააწია ირაკლიმ მოსახვევთან მისულს, – ორი ბიჭი იყო, მერიიდან ვართო, რას შობა ამ ვაგონის დაცლისასო.

– ხო ვუთხარი იმ დღეს, მაქვს სადმე წასასვლელი და არ მივდივარ? მომცენ სადმე თაგვისსოროსხელა თავშესაფარი და ვინ მამაძალლი არ გადავა. მიხარია მე ამ დასაწვავ ვაგონში ცხოვრება?

- უნდა ევილოთ ვაგონიო.
- რისი ამღები არიენ. ამ ვაგონს რითი ეიღებენ, მაინტერესებს. წეილონ და ბაბუამისს დოუდგან ძეგლად საფლავზე.

მერიის უპრეტენზიო თანამშრომლების ბაბუას, რომელიც იქნებ ცოცხალიც იყო, რას ერჩოდა გარემოვაჭრე, მაგრამ გამწარებული კაცი რას არ იტყვის, მეითხველო.

– ივლიენ ერთხანს და მერე შარშანდელივით დაგანებებენ თავს. აპა, რა იქნება, – ირაკლიმ თავის ჭიშკარს მავთულის რგოლი ჩამოაცვა და უმოაჯირო კიბეზე ააბიჯა.

არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

ძილით უკვე აღარ დაეძინებოდა და წიგნის კითხვა მაინც დამაინც არ იზიდავდა, თანაც შეიძლება ბიძაშვილს გამოევლო, სოფელში ცოლ-შვილის წაყვანას დაპირდა.

სანამ ბენო ტაბატაძე ბაზრობამდე მიაღწევდეს, დღო გვაქვს და ჩვენს გმირზე ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ.

გარემოვაჭრე ხარაგაულიდანაა. არც მეტი, არც ნაკლები, ორმოცდაშვიდი წლის. გამხდარი, მზისაგან გარუჯული, საშუალო სიმაღლის ფართოყბება, მოწყენილი ჟირაფის მზერით აკვირდება ირგვლივ ყველაფერს. კეპიან, კურდღლისფერ ქუდს თითქმის არ იხდის და როცა მოიხდის, ორი ფერი გეცემათ თვალში: ყვრიმალებამდე თეთრ-წითური, ყვრიმალებს ქვემოთ ყავისფერი, როგორც ყველა ხარაგაულელი, დიდი ნაბიჯებით დადის და სიტყვაძვირია.

ქუთაისში ბენოც იმ მიზეზით გახლავთ ჩამოსული, რა მიზეზითაც ეს ბოლო წლები, მთელი საქართველო თბილისა და ქუთაისში განაწილდა – ვაჭრობს.

ცოლ-შვილი ხარაგაულში, ამ რაიონის ყველაზე მაღალ სოფელ ყუდეში ჰყავს.

ქუთაისში შარშანინ ჩამოვიდა.

ერთხანს ოლასკურაზე ნაქირავებში ცხოვრობდა, მაგრამ მისი მწირი შემოსავალი ბინის ქირას ვერ აუვიდა.

ის იყო, ლტოლვილის ყალბი საბუთების მოგროვებას უნდა შედგომოდა, რომ ვიღაცამ ასწავლა: ბარისუბნის ბოლოში, სამტრედის გადასახვევთან, მიტოვებული რონოდა („ვაგონი“ კ. გამსახურდიას ლექსიკონში) დგას, შედი შით და სანამ გამოგაგდებენ იცხოვრეო.

ბენო თავქუდმოგლეჯილი გავარდა ვაგონისაკენ.

ვაგონი მართლაც იქ დახვდა, სადაც მიასწავლეს.

იდგა ძველთავძეველი საბარგო ვაგონი პირდაპირ ხრეშზე, ყოველგვარი რელსის გარეშე.

წელიწადში, განსაკუთრებით დიდი წვიმების დროს, მხოლოდ შვიდი სანტიმეტრით ჩადიოდა ქუთაისის დამბალ, მადლიან მინაში, მეტით არა.

როგორც ირაკლიმ (იქვე გაიცნო) აუხსნა: ვაგონის მობინადრეები სხვადასხვა დროს ადგილობრივი კახპები, დამწყები ქურდები და მეზარეები (ზარის მოთამაშები) იყვნენ. ვაგონი ადგილობრივი პოლიციისათვის ხაფანგის როლს ასრულებდა.

ერთ კვირას აცლიდნენ ვაგონში შესახლებულებს და ერთი კვირის შემდეგ ყოველგვარი სანქციის გარეშე იჭერდნენ.

პოლიციელთა გუმანი თითქმის ყოველთვის ამართლებდა.

დაპატიმრებული ხუთამდე დანაშაულს „ჩასმიდან“ ნახევარ საათში აღიარებდა და რაც შეეძლო ეხმარებოდა პოლიციას დანაშაულის აღმოფხვრის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

ირაკლისა და ზოგიერთი მოწყალე მეზობლის თანხმობით

(რა თქმა უნდა, როცა მეზობლებმა გარემოვაჭრის გასაჭირი შეიტყვეს) ბენო ტაბატაძე ვაგონში შესახლდა.

აღარ მოგაცდენთ ახალმოსახლეობის პირველი ორი თვის განმავლობაში ბენოს თავგადასავლებით.

ეს ცალკე ნოველის თემაა.

შუალამისას ვაგონსმომდგარ მაწანწალებისათვის, ნაზხმიანი ბოზებისათვის (ვნებისაგან აცახცახებული კლიენტი გვერდით რომ ჰყავდათ) და ჯერ აულიარებული ქურდებისათვის ბენოს ერთადერთი მტკიცე პასუხი ჰქონდა „ვინ და მთავრობამ შემომასახლა მე აქანა! წადით ახლა, თქვენი გზა ნახეთ, სანამ პოლიცია მევიდოდეს!“

უნდა ვთქვა, რომ ირაკლის მიერ ნასწავლები ეს პასუხი შუალამის სტუმრებზე მაგიურად მოქმედებდა.

აშკარად ჩანდა, რომ საზოგადოების ეს ნახევრადლეგალური წევრები პოლიციასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ.

არცთუ ჰამოდმოსასმენ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ „ბენოს აქ შემომსახლების“ მისამართით და მიდიოდნენ.

ზოგნი, რაღა დაგიმალოთ, ოც მეტრზე რომ გაშორდებოდნენ, „სიყვარულით“ ქვას ესროდნენ ვაგონს. ქვა ამჯერად თავის სასროლ დანიშნულებას ვერ ამართლებდა.

ფანჯრის ჩამსხვრევას ვერ უზრუნველყოფდა, რადგანაც ვაგონს ფანჯრები საერთოდ არ გააჩნდა, ხოლო ის პატარა სარკმელი, საიდანაც ბენო კარის ჩაკეტვის შემთხვევაში მეზობელს უსმობდა ხოლმე, ვიღაცას საპარაოდ გამოეჭრა.

როდის? ამაზე მატიანე სდუმს.

ალბათ, იმის შემდეგ, რაც საბარგო ვაგონს ფუნქცია შეუცვალეს და საცხოვრებელ „ობიექტად“ გადააკეთეს.

რაც შეეხება პოლიციას, შესახლებიდან ერთი კვირის თავზე, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს გარემოვაჭრე.

საგულდაგულოდ დაკითხეს და დანაშაულის კვალის არარსებობის გამო მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

მერეც ბარე ორჯერ მოაკითხეს წესრიგის დამცველებმა.

ერთხელ შუალამისას გაჩერიკეს კიდეც (დამნაშავეს ხო არ მალავსო), მაგრამ მოწყენილი სახით გაშორდნენ ვაგონს, რაკიდა ბენოს არაფერი გააჩნდა გასაყიდი ბიკინების, ლიფების, სექ-სუალური ბარძაყებით დამშვენებული „კოლგოტკების“, შლო-პანცებისა და საზღვაო მაისურების გარდა.

იმ სალამოს ბენო ტაბატაძე ბაზრობიდან ადრე დაბრუნდა. თითქმის არ უვაჭრია.

მშვენიერი ქალები ბიკინების ფასსაც გულმოდგინედ ეკითხებოდნენ, ულამაზესი თითებით სინჯავდნენ კიდეც ვარდისფერ და ცისფერ ბიკინებს, მაგრამ ყიდვით რატომლაც არ ყიდულობდნენ.

მეორე დღეს შაბათი თენდებოდა და გარემოვაჭრეს შაბათ-კვირის იმედი ჰქონდა.

ნინოშვილის ქუჩის ბოლოში ჩამომარშუტკებულს ელდა ეცა: ვაგონი ალარ ჩანდა.

თვალი ხომ არ მატყუებსო. აბგა ფეხებსშორის მოიქცია, ქუდი მოიხადა და სახეზე ჩამოისვა – ვაგონი ალარ იყო.

მიირბინა, ნავაგონარზე დევის ნამუხლარივით აშლილ-და-ლარული ხრეშმინა და ალაგ-ალაგ ჩამოლვრილი შავი მაზუ-თიღა ჩანდა.

ირაკლის მანამ უძახა-უბრახუნა, სანამ მეზობლად სხვა კარი არ გაიღო და სოსო ბუხაიძემ არ გამოიხედა.

სოსო ამ ბოლო დროს ავადმყოფობდა და გარეთ თითქმის არ გამოდიოდა, შარდის შეკავება ჰქონდა და კვირაში საშუალოდ ორჯერ მის კარებთან „სასწრაფო“ იდგა.

შარდის მექანიკური „გამოლების“ დროს ოთახიდან სოსოს გმინვა მოისმოდა. ხოლო „სასწრაფოს“ წასვლის შემდეგ მეზობელთან შესულ გარემოვაჭრეს ბუხაიძე ყოველთვის ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

„ზეთიც არა აქვთ ამ კვდარძალლებს, რო ამოავლონ ერეზინა შით, ცხელ წყალში ამოავლო და ჩამთხარა. რა ენაღვ-ლებათ სხვისი ის მაგენს. ყასბები არიენ, ნამდვილი ყასბები.

ვეუბნები, ჩატოვე ე კატეტერი შით, იყოს სამ-ოთხდღეს-თქვა. გაგიგონია? მეო, ნახმარი კატეტერი უნდა მივიტანო და ჩავაბარო. თვარა ხელფასზე დამიქვითავენო. მე მგონია, ერთი კატეტერი აქვთ სულ, გამოხარშავენ და სხვასთან მეიხმარენ. ასე, ჩემსავით უპატრონო ცოტაა?!

ამჯერად სოსოს შეკავებულ შარდზე წუწუნი არ დაუწყია და არც ბენოს უკითხავს: „ფსამ თუ არაო“, საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე სოსოს გარეშე თვალისათვის არცთუ სერიოზული ავადმყოფობა გახლდათ.

– რომელ საათზე წეიღეს? – ჰკითხა ბენომ და ტაბურეტზე ჩამოჯდა.

– რა ვიცი მე, დილიდან წვალობდნენ და ახლა წეიღეს, ერთი საათი არ იქნება.

– ჩემი ბარგი ვის დაუტოვეს?

– ვეუბნებიყენ, რა გეჩეარებათ, მოვა ის კაცი და წეიღეთ მერე-მეთქი. გაგიგონია? ხალხია, ბიჭო, მაგენი? მაგენი გადაშენდნენ თავის ვარდებიანათ.

– ირაკლი არ იყო სახლში?

– ბოვშები წეიყვანა სოფელში. ბიძაშვილის მანქანამ მოაკითხა. ერთ კვირას დავრჩები, გადაღლილი ვარო (რამ გადაღალა), ირაკლის წასვლა და ნახევარ საათში მევიდნენ.

– რით, რაფერ წეიღეს ამხელა ვაგონი?

– ვაგონი კი არა, სახლს გადადგამენ ეგენი: რა უნდოდა მაგის წალებას. დიდი ლაფეტი მეიყვანეს. ორი რელსი დაამაგრეს ზეთ. ტრაქტორით მიაწვენ ვაგონს და აწაუნა ეიტანეს.

– კი მარა ჩემი ბარგი?

– ვერ გააღეს ვაგონის კარი. მევიდეს იქანა და წეიღოს თავისი ბარგი-ბარხანაო.

– სად მევიდესო?

– სა მევიდეს, მე ვუთხარი და იცის მაგანო, მოგვძებნის, ნუ გეშინიაო.

აბგა სოსოს დაუგდო და თეთრი ხიდისაკენ მიმავალ №9 ტროლეიბუსს შეახტა.

მერიასთან ზღვა ხალხი ირეოდა.

საპროტესტო აქცია ამჯერად უწყლობასა და უშუქობას გამოეწვია და ისეთ მოკრძალებულ მიზანს ისახავდა, როგორ-იც გახლავთ ქალაქის მერის კარების აჭედვა და გუბერნატო-რის უპირობო გადაყენება.

გუბერნატორი ქუთაისში არ იმყოფებოდა.

რაც მეგობრებთან ერთად „ბოთლზე დაჯდომობის“ თამა-შისას სურათი გადაუდეს და სახელისუფლებო ცენტრალურ გაზეთში გამოუქვეყნეს, რცხვენოდა ხალხში გამოჩენის.

საპროტესტო აქციის პროგრამა-მინიმუმიდან მერის კარე-ბის აჭედვალა რჩებოდა, მაგრამ სპეცნაზი მერის კარებს გააფ-თორებით იცავდა და ფიცარ-ლურსმან-ჩაქუჩით შეიარაღებულ მემიტინგებს უკვე მერამდენედ ჩაქუჩის ხელიდან ართმევდა. ფიცრებს გუბერნატორის თანაშემწის ოთახში ალაგებდა, ხოლო ლურსმნებს კი, როგორც ფიცრისა და ჩაქუჩის გარეშე გამოუყენებელ მასალას, მოიერიშებს ჯიბეში უტოვებდა: აქა-ოდა, მართლა დემოკრატიის მტრები კი არ ვართ, ლურსმნები, როგორც გაგეხარდებათ, ისე გამოიყენეთო.

ბენო ტაბატაძემ, როგორც იქნა, შეალწია მერიაში და ხელ-ლომიან დაცვის უფროსს ჰკითხა:

- ვაგონი წეილეთ დღეს ბერწოულას გადასახვევიდან!
- საიდან?
- ხიდთან იდგა, ქვეით.
- ვისი ვაგონი?
- არავისი არ იყო.
- მერე შენ რა გინდა?
- მე ვცხოვრობდი შით.
- არ ვიცი, ბიძია, არაფერი.
- იმანო, ვაგონს არ დევეძებ. ჩემი რაცხა-რუცხები მქონდა

შით. ბაზრობაზე ვმუშაობ, ი ჩემი ბარგი დამიბრუნე და ვაგონს არ დევეძებ!

„დაცვას“ ჯერ გაეცინა, მერე ხელი სტაცია გარემოვაჭრეს და ფანჯარასთან მიიყვანა.

– გედეიხედე! დააკვირდი კარქათ! ხედავ შენ ვაგონს სად-მე? რა უნდა ვაგონს აქანა! წადი ბიძია, საქმე ნახე. ვაგონი კი არა, ქვეყანა გვენგრევა თავზე. სოროსს გადაუშენდა აქანა ჩამომთესლებელი!

ჩამოვიდა და იმდენი იხოხ-იხვანცალა, მთლად მოქადაგეს-თან ვერა, მაგრამ მის გვერდით მდგომ მეგაფონმომარჯვე-ბულ ბრტყელთავა მეაქციებდე მიაღწია.

– სიტყვას იტყვი?! – ჰკითხა ბრტყელთავამ.  
– შენ გეტყვი აგერ, სახალხო თქმა, ეგება, არც ქე ლირს. რაია იცი?

– ჩქარა მითხარი!  
– ვაგონი წეილო მერიამ! ვაგონს არ დავეძებ! ჩემი რაცხ-არაცხეები იყო შით. ბარგი მაინც დამიბრუნონ!

ბრტყელთავამ სათვალე მოიხსნა და დააკვირდა, გიუთან ხომ არ მაქვს საქმეო. რაკი დარწმუნდა, რომ ვაგონისდამკარ-გავი ქვის სროლითა და ტანსაცმლის შემოხევით ოპოზიციის ავტორიტეტს არ შეარყევდა, ინდაურისკვერცხისხელა მიკრო-ფონი მიაჩერა.

– თქვი, თქვი! რაც მე მითხარი, ყველაფერი! მასე მუშაო-ბენ მაგენი! ამას ხელი არ დააფარო, პირთან ახლოს მიიტანე!  
გარემოვაჭრემ მოკლე, მაგრამ ბუნდოვანი სიტყვა წარ-მოთქვა:

– ვაგონი წეილეს! წეილონ ბატონო, მაგენის ვაგონი იყო და მშვიდობაში მოახმარონ გამჩენმა. ბაზარში ვიყავი დღეს და მოსულარიენ! ჯერ ერთი, ხო უნდა ვყოფილიყავი მე თვი-თონ. ეგება რა მქონდა ვაგონში, რო დეიკარგოს სა წევი-დე მე?! ოპტომ მქონდა გამოტანილი პოსლეზე. იმ კვირაში

უნდა ჩავაბაროყენ ფული! ბევრი არაფერი იყო, მარა ბოდიში მომითხოვია და, ქვედა, თლათ ქვედა საცვალი, ბიკინი თუ რაცხას რომ ეძახიან. „კალგოტკები“ იყო კაი ხარისხის ორ-მოცდათი ცალი, არ იყიდება ამ სიცხეში, მარა კალგოტკებს თვარ ევილებდი, ისე არ იძლეოდენ ბიკინებს! დიდი ზომა ლიფი იყო ცხრა ცალი და კიდო შლოპანცები! წოულიათ დღეს ვაგონიანათ ყველაფერი. ვაგონი წეილონ ბატონო, ვინ იღებს ხმას, მარა ეს ჩემი ტავარი მომცენ! ჩემი კი არ იყო, პოსლეზე მქონდა გამოტანილი.

ან ვაგონის წალება რა ეჩქარებოდათ?! ვუვლიდი, ვასუფ-თავებდი. კითხონ მეზობლებს. ჩემზე უკეთესი ვინ იცხოვრებ-და შით! სადაც არ უნდა დადგან, ორ დღეში გეივსება ბოზე-ბით და ყომარბაზებით!

მიტინგზე ბენოს გამოსვლის პირველ წამს სუნთქვა შეი-კრა, მერე აქა-იქ ისმოდა ექიდნური სიცილი და „ბოზები და ყომარბაზები“ რომ ახსენა, ისეთი სიცილი ატყდა, რომ ბაგრა-ტის ტაძრის ბეჭერ კედლებს მიაწყდა (ექო რატომლაც უკან არ დაბრუნებულა).

„რა აცინებთ, ამ კვდარძალლებს“, – გაიფიქრა ორატორმა და მიკროფონი ბრტყელთავას დაუბრუნა.

ბრტყელთავას გარემოვაჭრისთვის ამ მამხილებელი გამოს-ვლის გამო მადლობა არ უთქვამს.

– იმანო, რავა იქნება ახლა ჩემი ვაგონის საქმე? – ჰერითხა ბენომ ბრტყელთავას.

– მაგას კითხვა უნდა? მიტინგზე კაცი გამოხვედი და ვა-გონს დაგიკავებს ვინმე? მოგიტანენ ხვალ დილას და დაგიდგა-მენ სადაც იდგა.

ბრტყელთავამ ზურგი შეაქცია. კიდევ არ მკითხოს რამე სისულელეო.

რა თქმა უნდა, არც მეორე დღეს და არც ერთი კვირის განმავლობაში ვაგონი არ დაუბრუნებიათ.

ლამეს სოსოსთან ათევდა.

პატარა ოთახის შესასვლელში სოსო ბუხაიძემ შეზღონგი დაუდგა.

შესასვლელი ისე ვიწრო იყო, რომ შარდშეკავებულ ავად-მყოფს შეზღონგისთვის უნდა გადაებიჯებინა.

სოსო ლამეში ცხრაჯერ მაინც შედიოდა საპირფარეშოში.

ბენო თავს მოვალედ თვლიდა, გამოსულისთვის ეკითხა: „რა ქენი მოფსი?“ „ისე მოფსა ხორთუმაშვილის გვარმა და ჯილაგმა!“ პასუხობდა სოსო და კვნესით წვებოდა.

ხიზანი აღარ ეკითხებოდა, ვინ იყო ხორთუმაშვილი. სოსო ბუხაიძის ბოლოდროინდელი განწყობილებით, ალბათ, ვარ-დების რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე უნდა ყო-ფილიყო.

ბაზრობაზე აღარ ჩნდებოდა, დილიდან საღამომდე მერია-სთან იდგა და ყოველ შემსვლელ-გამომსვლელს ეკითხებოდა:

- მე ბოდიში, შენ აქანა მუშაობ?
- ჴო, რავა, რა იყო? – შეჩერდებოდა შემსვლელი (ან შესა-ბამისად გამომსვლელი).

– ვაგონის ხვარაფერი იცი, ჩემი რაცხეები იყო შით!

მერიის უპრეტენზიო მოხელე თავს გადააქნევდა და ორი-ოდე ნაბიჯზე რომ გაშორდებოდა, სწრაფად მოიხედავდა ისე, ყოველი შემთხვევისათვის, ელემენტარული უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ერთხელ, მისდაიღბლად, ქალაქის მერსაც კი გადააწყ-და. „გადაააწყდა“ კი არა, დაუდარაჯდა და ლამის თერთმეტ საათზე მერი არასამთავრობო მანქანით რომ მოგრიალდა, შავი სათვალეებით და ხელში სათადარიგო პიჯაკით გაიდ-უმალებულმა კიბე რომ აირბინა და სამიოდე წუთში უკან ჩამოირბინა, ბენომ სწორედ მანქანაში ჩახტომის დროს მიუსწრო:

– უფროსო! ნინოშვილის ქვევით, ხიდთან ვაგონი რომ იდგა, ხვარაფერი იცი, სა წეილეს. ჩემი რაცხარაცხეები მქონ-და შით!

— იქნება! — მტკიცედ უპასუხა მერმა და გაიფიქრა: „ერთს კი არა ხუთ ვაგონს გიშოვი, ოლონდ ამ ციებ-ცხელებას გადა-ვურჩებოდეო“.

— მადლობთ! — თითქოს ფიქრს მიუხვდაო, მანქანის ბორ-ბლებს მიაყოლა ბენომ.

თვე მრგვალდებოდა,

ვაგონი კი არა, ქალაქის მერიც დაიკარგა თვალსაწიერი-დან.

სოსო უფრო და უფრო მეტად ხვეწოდა და ღამეში ახლა საშუალოდ ცამეტჯერ მაინც დგებოდა მოსაფასამ-ტყუილად.

აგვისტოს ბოლოს არასამთავრობო დაცვის წევრმა გერგა-იამ აუწყა გარემოვაჭრეს:

— შენ რო ვაგონს ეძებ ბაქოს საბარგოზე მიუბამთ და სამ-ტრედიაში გამეივლის ყოველ მესამე დღეს. იქანა თუ დეიჭერ, თვარა აქანა ტყვილად დგეხარ დილიდან სალამომდეო.

ათიოდე დღე სამტრედიის სადგურშიც იყურყუტა, მაგრამ ამაოდ.

ბაქოდან გამოსულმა და ბათუმში მიმავალმა ოთხმა სატ-ვირთო მატარებელმა გამოიარა, მაგრამ ბენო ტაბატაძის ვა-გონი არც ერთს არ ება და კიდევაც რომ ეპოვა მშობლიური ვაგონი, გასაყიდ ნივთებს ვინდა დაუბრუნებდა.

ვილაცამ ასწავლა, პრეზიდენტს მიმართე განცხადებითო.

ეს გზაც სცადა.

ამ ბოლოს სამი თვის განმავლობაში რვა განცხადება გაუგ-ზავნა პრეზიდენტს, მაგრამ ისიც კი არავის უცნობებია გარე-მოვაჭრისთვის, „თქვენი განცხადება მივიღეთო“.

სახელმწიფო კანცელარია კარგა ხანია აღარ იძლევა პა-სუხებს ისეთ არასერიოზულ განცხადებებზე, როგორიც ძვე-ლი (გინდა ახალი იყოს) საბარგო ვაგონის გაქრობა გახლავთ, ვაგონისა, რომელშიც ბენო ტაბატაძის მიერ ბაზრობაზე შე-ლავათიან ფასებში გასაყიდი ბიკინები, ლიფები, კოლგოტკები, შლოპანცები და მეზღვაურის მაისურები იყო.

უიმედო ძებნამ, გაუთავებელმა ლოდინმა და სოსოს სას-წრაფო დახმარების მანქანებისათვის შუალამისას ჭიშკრის გაღებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ქუთაისს ერთი მოკრძალებ-ული გარემოვაჭრე დააკლდა.

ბენო ტაბატაძე 2005 წლის 29 აგვისტოს თავის გაღლეტილ, მაგრამ მშობლიურ სოფელ ყუდეს დაუბრუნდა.

სექტემბერი, 2006

თბილისი.



## გალაკტიონის სიკვდილი

1959 წლის 17 მარტი.

გუშინ დალია.

ორმოცი დღე იწვა საავადმყოფოში – 19 იანვრიდან 5 მარტამდე.

ორმოცი დღე „მკურნალობდნენ“, არიგებდნენ, მოძღვრავდნენ, უთვალთვალებდნენ, ალკოჰოლის (როგორც ამბობდნენ) სანინააღმდეგო წამლებს ასმევდნენ.

ბოლოს მოსწყინდა.

შესძულდა ყველა წამალი და პირობა დადო, რომ აღარ დალევდა.

თითქოსდა ამ პირობას ელოდნენო, გამოწერეს.

როგორ მონატრებია თავისი ბინა, მაგიდა, საწერ-კალამი...

მარტოობა – ასე სანატრელი რომ გაუხადეს ამ ბოლო დროს.

არა და კაცი მარტოობისთვის იყო დაბადებული.

გუშინ დალია.

გვერდით ოთახში ჩურჩული მოესმა. ვიღაცამ კარი გააღო და მაშინვე მიხურა. კედლისკენ შებრუნდა და თავზე საბანი წაიხურა.

გუშინ დალია.

ქვეყანა არ დაუქცევია. თუთუნს ვიყიდიო, ძმიშვილს დაუბარა, ქუჩა გადაჭრა, ჯიხურს ეცა „ორასი ძამიკო!“ დაუსხეს. მოუხედავად გადაჰკრა. მობრუნდა და დარცხვენილი ბავშვი-ვით ჩაჯდა მანქანაში.

– დალიე, ბიძია?

შემობრუნდა და ხაზგასმით, ლამის დამარცვლით აუწყა:

– კი ბიძია, დავლიე.

– ვარგა მერე ასე, ბიძია?

არ გაეპასუხა. „რა ვარგა და რა არ ვარგა, ბიძაშენმა უკეთ იცის და საერთოდ...“ ამის მსგავსი რაღაც ჰქონდა მომდგარი ენაზე, მაგრამ არ თქვა.

სკამისკენ ხელი გაიწვდინა. საათს დახედა. ცხრა სრულ-დება.

საათი ბალიშქვეშ შეჩურთა.

ვიღაც შემოვიდა.

„ნოდარი იქნება, ნინა ვერ გამიბედავს... ახლა დაიწყება ბუნაგიდან ჩემი გამოტყუება...“

– ბიძია!

არ გადმობრუნებულა, არც საბანი გადაუძვრია.

– ბიძია!

– ჰო.

– უნდა წამოხვიდე.

– სად ნოდარ, სად?

– საავადმყოფოში, დაგვპირდნენ.

– რას დაგვპირდნენ, ნოდარ, რას?

– მერე ადგილი აღარ იქნებაო.

– სად არ იქნებაო ჩემი ადგილი, ძამიკო, აქ, ჩემს სახლში?

– საავადმყოფოში, ბიძია.

– ხომ ვიყავი საავადმყოფოში. გაძლებ შენ – ჯანმრთელი კაცი, იქ ორი თვე? მე გავძელი. ძამიკო. ავადმყოფმა კაცმა. ახლა დასვენება მჭირდება. დავისვენებ ცოტას, მოვმაგრდები და წავალ.

– უნდა მორჩე, ბიძია. ბოლომდე უნდა მორჩე.

– თუ არ ვიყავი მორჩენილი, რატომ გამომწერეს?

– გენდნენ, ბიძია.

– დიდი მადლობა ნდობისათვის, უფროსებო, გავამართლებ ამ ნდობას!

– უნდა წამოხვიდე, ბიძია. მერე გვიან იქნება.

– საქმეები? თქვენ რას დაეძებთ ჩემს საქმეებს. მკურნალობის დრო მაქვს ახლა მე? თავზე რომ ვადგივარ, მაშინაც არაფერი შველის მეორე ტომს.

- მორჩები და მიხედავ.
- მერე კაცმა არ იცის, რა მოხდება. ლაპარაკია, შეიძლება მთლად დახურონ სახელგამი.
- ნუ გეშინია, არ დახურავენ. შენთვის გეუბნები, უნდა წამოხვიდე, ბიძია.
- ძამიკო, რას გადამეკიდეთ, რა გინდა. ამ სახლში ერთი კუთხე არ მეკუთვნის?
- ყველაფერი გეკუთვნის და ყველაფერი შენია, მაგრამ ცუდად ხარ, უნდა იმკურნალო, ბიძია.
- საბანი გადაიძრო, ნოდარს შეხედა. ერთხანს კუშტად უმზი-ერდა, უეცრად ფანჯრისკენ გაექცა თვალი და თითქოს გამო-სავალი იპოვაო:
- ხომ ხედავ, რა უჟმური ამინდია. ასეთ ამინდში შეიძლება გარეთ გასვლა? ხვალ წავიდეთ, ნოდარ. ხვალ ძამიკო, დღეს ისედაც ვერ ვარ კარგად. წელი მტკიცა. პაპიროსიც გამითავ-და, ხვალ „რეკორდს“ ვიყიდი....
- თითქოსდა ევედრებოდა, ხავსა ებლაუჭებოდა, არ უნდოდა წასვლა.
- ხვალ ადგილი არ ექნებათ, ბიძია. ქვეყნის ავადმყოფე-ბია. ყველას ლეჩკომბინატში უნდა მოხვედრა.
- ... მარჯანიშვილის თეატრის გვერდითა სადარბაზოდან ორნი გამოვიდნენ.
- ბიძა-ძმისშვილი ლამის ერთი სიმაღლისანი იყვნენ.
- გალაკტიონს ფართხუნა, ნაცრისფერი პლაში ეცვა. უქუდოდ იყო, ხელში თავისი განუყრელი, გაცვეთილ-დაძნი-ლი, ორგასაღებიანი პორთფელი არ ეჭირა.
- ჯერ თეატრისკენ წავიდნენ, მერე გამობრუნდნენ და ხიდ-თან გაჩერდნენ.
- ტაქსმა დაამუხრუჭა.
- წადი ახლა შენ, ბიძიკო, შენს საქმეებზე. მე თვითონ მი-ვალ საავადმყოფოში. რა გაყოლა მინდა. ყველა მიცნობს.
- ნოდარმა იცოდა, რასა ნიშნავდა, „მე თვითონ მივალ“.
- დაჯექი ბიძია, დაჯექი.
- წინა კარი გაულო, თვითონ უკან დაჯდა. გალაკტიონი უკმაყოფილოდ შემოტრიალდა.
- ტყვილად ცდები, ძამიკო. მისასვლელი ვიყავი ერთ ადგ-ილზე. მე თვითონ მივიდოდი და დავწვებოდი. ყველა მიცნობს.
- ნოდარმა მძღოლს ჩაულაპარაკა:
- ჭავჭავაძეზე, ლეჩკომბინატში.
- ...მთავარი ექიმის მოსაცდელში.
- არ ექნებათ ადგილი, ძამიკო. ტყვილად მოვედით. შენ აქ მომიცადე, მე შევალ და ვკითხავ შალვას. უნდა დაგვერეკა. ხვალ გაენერებიან ავადმყოფები. ხვალ უნდა მოვსულიყავი....
- ჰყავს ვინმე? - ჰყითხა მდივან გოგონას ნოდარმა. პა-სუხს არ დაელოდა - დამელოდე, ბიძია, ამ წუთში გამოვალ.
- „ამ წუთში“ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. გალაკტიონი ცმუკავდა. ვერ ისვენებდა, წამდაუწუმ საათს დასცექროდა.
- დაახლოებით თერთმეტ საათზე, მოსაცდელში მწერლები შემოვიდნენ: ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია, ელიზბარ უბილავა, მამია ასათიანი, სიმონ ჩი-ქოვანი, ალიო მირცხულავა....
- ირაკლიმ მაშინვე შენიშნა. ხელგაწვდილი წავიდა. გალაკ-ტიონი თავმჯდომარეს წამოუხტა და დიდი ხნის უნახავივით გადაეხვია.
- ირაკლი - რამ შეგანუხა გალაკტიონ?
- გალაკტიონი - ვერ ვარ კარგად, ძამიკო. გული მაწუხებს. ვწვები.
- ირაკლი - ეგ კარგად გადაგინყვეტია. დაწექი, დაწყნარდი, დაისვენებ, თავს მოუარე.
- სხვა მწერლები მთავარი ექიმის კაბინეტში შემწკრივდნენ.
- თქვენ... აქ... ძამიკო?
- ირაკლიმ განზე გაიხედა.
- საწყალი შალვას ამბავს გაიგებდი.
- არ ვიცი?

- წუხელ გარდაიცვალა.
- რას მელაპარაკები?!  
ირაკლიმ კარებისკენ გააბიჯა.
- გინახულებთ. კარგად გალაკტიონ.
- კარგად, კარგად, ძამიკო.
- ხუთიოდე წუთში მწერლები იმავე თანმიმდევრობით გამოვიდნენ. წინ ირაკლი მოუძღვნდათ. ნოდარმა მდივანს ჰქითხა, მოადგილის კაბინეტი საით არისო.
- ხომ გეუბნებოდი, ნოდარ, დღეს ჩვენთვის არ ეცლებათ-მეტქი. ცუდი დღეა, საწყალი შალვა... ვერ მოურჩენიათ... სხვას ყველას არჩენენ... შალვა ვერ მოურჩენიათ. სად მიდიხარ?
- მოადგილეს ელაპარაკა. ადგილს მოძებნიან.
- არ შეიძლება ხვალ მოვიდეთ-თქო? კითხე ერთი. ხვალ იქნება ადგილები, ვიცი მე.
- ამ წუთში შემოვალ. აქ იჯექი. ბიძია.
- უნდოდა შალვა დადიანისთვის შეევლო თვალი, მაგრამ მწერლები უკან არ გამობრუნებულან. ჩანს, სხვა კარებიდან წაასვენეს ცხედარი.
- მოსწყინდა მოსაცდელში ჯდომა.
- გარეთ გამოვიდა და ვესტიბიულში დააბიჯებდა.
- წვერს ხელით ივარცხნიდა.
- ჯიბიდან რამდენჯერმე ამოილო „რეკორდი“. პაპიროსს თავი მოუსრისა. პირში ჩაიდო, მაგრამ გადაიფიქრა და კვლავ კოლოფში ჩააბრუნა.
- პირველ საათზე ამოვიდა ლიფტით ნოდარი.
- მეშვიდე პალატაში დაგაწვინეს.
- მარტო ვიქები?
- ორი ავადმყოფია. კაი ხალხიაო. მალე საშუალება გვექნება და გადავიყვანთო.
- ზღაპარია, ეგ ამბავი. არავინ არსად არ გადამიყვანს. რა საჩეარო იყო, ძამიკო, ერთი მითხარი. მოვიდოდით ხვალ ადა-მიანურად, წესიერად. უნდა ვაწუხო ახლა უცნობები.

- კაი ხალხიაო. გაეხარდებათო გალაკტიონის გაცნობა. შენც გაერთობი ცოტას.
- მშვენივრად ვერთობი მე ჩემს სახლში. ძამიკო.
- კაი ახლა, ბიძია. მთლად ბავშვად ნუ გადაიქცევი. შენც უნდა შეგვიწყო ცოტა ხელი. შენს თავს შენ თუ არ მიხედე, ექიმი ღმერთი კი არაა.
- გასახდელთან მივიდა, შემობრუნდა.
- როდის დაგაწვენთო?
- ამ წუთში ექთანი ჩამოვა.
- აქ მომიცადე, ქვევით ჩავალ, საქმე მაქვს.
- სად ქვევით?
- ბუფეტში.
- რა გინდა ბუფეტში?
- საპონს ვიყიდო.
- საპონიც ჩაგიდვა ბიცოლამ და კბილის ჩოთქიც. ვიცი მე, რაზეც მიდიხარ.
- რაზე მივდივარ?
- ვიცი მე.
- არაყს რა უნდა ბუფეტში, ძამიკო.
- ვიცი მე. არ ჩახვალ ქვევით შენ, ბიძია.
- სინამდვილეში ნოდარმა არაფერი იცოდა. გალაკტიონის ძმისშვილს ეგონა „ლურჯა ცხენების“ ავტორი ბუფეტში არყის დასალევად ჩადიოდა. არადა, საავადმყოფოს ბუფეტში არაყი, მართლაც, არ იყიდებოდა. გალაკტიონს სარდაფში ნაცნობი ცეცხლფარეში ჰყავდა. აი, სად ეგულებოდა ნოდარის ბიძას არაყი.
- ორის ნახევარზე საავადმყოფოს ხალათში გამოწყობილი გალაკტიონი სანიტარმა ქალმა ლიფტით მეოთხე სართულზე აიყვანა. ნოდარმა ტანსაცმელი წამოილო და წამოვიდა.
- ორადგილიან მეშვიდე პალატაში გალაკტიონს შეზღონგი ჩაუდგეს.

ერთ-ერთი ავადმყოფის მეუღლემ ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა.

– როგორ შეიძლება! ჯერ ერთი, ეს პალატა ერთი ავადმყოფისთვისაა განკუთვნილი. თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ისეთი ვიწროა! ორი ავადმყოფი წევს, მესამის ჩამატება რაღა უბედურება! გული ანუხებს ჩემს ქმარს. არ ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი?!

– ქალბატონო – გალაკტიონს რაღაცის თქმა სურდა.

– მე თქვენთან არა მაქვს, ბატონო საქმე.

თქვენ ავადმყოფი ხართ და, რასაკვირველია, როგორც ყველას, ადგილი გეკუთვნით. მე იმათზე ვამბობ... ბოლოს და ბოლოს სინდისიც კარგი საქონელია, რამდენჯერ ვთხოვე, გადაიყვანეთ ჩემი ქმარი ცალკე ნომერში-მეთქი. არ ეკუთვნის? ვისა აქვს მეტი დამსახურება. ჩამომითვალონ ერთი. ვინ გააკეთა ჩემს ქმარზე მეტი ამ ქვეყნისთვის. ამისათვის იომა, ამისთვის იშრომა? თქვენ გგონიათ, არა აქვთ ადგილები? ნახევარი საავადმყოფო ცარიელია. ყველაფერი ვიცი მე!

ამ უკანასკნელ წინადადებაში ავადმყოფის მეუღლე მართალი იყო.

საავადმყოფო კომბინატში ძლიერთა ამა ქვეყნისათვის გამზადებული ლუქსები საიმედოდ იყო ჩარაზული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმხანად ჯანმრთელად იყვნენ.

გალაკტიონმა შეზღონგზე სათვალე და ბლოკოტი დადო.

იმნამსვე ბლოკოტი აიღო, ხალათის ჯიბები ჩაიდო და გამოვიდა.

ორიდან ექვს საათამდე ვესტიბიულში ბოლთას სცემდა.

თავის პალატაში არ შეპრუნებულა და არც აპირებდა.

პალატაში ახლობელთაგან არავინ აჰყოლია.

არც მერე მოუკითხავს ვინმეს.

დმიშვილი შინ ათ საათზე დაბრუნდა.

გალაკტიონი კი მეოთხე სართულიდან, ნევროპათოლოგ პონდოევის კაბინეტის ფანჯრიდან გადახტა 1959 წლის 17 მარტს, ზუსტად 6 საათზე.

ფანჯარასთან „ვენური სკამი“ მიიღება და გადახტა.

ფანჯრის რაფაზე ფეხის კვალი ვერ აღმოაჩინეს.

როგორც ჩანს, სკამიდან პირდაპირ გადაფრინდა. გადაეშვა ძირს. არც ხელგამლილი წასულა თავდალმა და არც ფეხზე დამდგარს უფრენია ბეტონის ასფალტამდე. დაეცა ჰორიზონტალურ მდგომარებაში. მთელი ტანით დაეცა. ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და გულ-ფილტვები ელენთითურთ დახეთქილი.

1959 წლის 16 აპრილს მეუღლემ თბილისის პროკურორს განცხადებით მიმართა:

„...გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე და ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ, რისთვისაც გთხოვთ, გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა შემნახველი წიგნაკი დამიბრუნონ.

გალაკტიონ ტაბიძის ქვრივი 6. ტაბიძე“.

თხოვნა შეუსრულეს.

ნინო ტაბიძის ხელნერილი №71.

„1959 წლის 21 აპრილი, ქ. თბილისი. ნინო სიმონის ასულმა ტაბიძემ მივიღე ჩემი მეუღლის – გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის შემდეგი ნივთები:

1. შემსალაროს წიგნაკი, სალაროს №3575, ანგარიშის ნომერი 94 170, 26 295 მან. და 46 კაპ-ის ნაშთით.

2. ფული ორასოთხმოცდაერთი მანეთი.

3. უბის წიგნაკი ალფაბეტით, სხვადასხვა ჩანაწერებით.

4. ლექსი „ია სოვეტსკი რაბოჩი. კომმუნისტ“. რუსულად ხელის მოწერა ალექსი პეტრეს ძე ზაკომოლდინი.

5. ცხვირსახოცი ყავისფერი ნაპირებით.

6. გ. ვ. ტაბიძის შრომის უუნარობის ფურცელი, სერია 7201, 089933, 19 იანვრიდან 16 მარტამდე.

7. ცნობა, რომ ტაბიძე მკურნალობს „ლეჩიკომბინატში“.

8. სათვალე გამჭვირვალე გაყოფილი მინებით.

9. „რეკორდის“ კოლოფი სამი პაპიროსის ნამწვითა და სამი მოუწეველი პაპიროსით.

10. შავი უბრალო ფანქარი 7 სმ-ის სიგრძის.

11. სავარცხელი, ტარიანი, ყავისფერი.

12. ორი თითბერის გასაღები, ერთ-ერთი რკინის ენით, შეკრული ქაღალდის კანაფით.

13. სამი ყუთი ასანთი.

აღნიშნული ნივთები და ფული მივიღე ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელ სიმონიშვილისაგან“.



სამი ბიბლიური ნოველა

მთვლემარე პაცობრიობა

მიაბიჯებდნენ უხმოდ, უგუნებოდ.

თითქოსდა, რაღაც უსაშველოდ მძიმე ტვირთი ეკიდათ მხარზე.

წინ იესო მიდიოდა ხელებდაშვებული, თავაწეული.

დროდადრო შეჩერდებოდა, ჩამორჩენილ მოწაფეებს და ელოდებოდა.

რომ გაუსწორდებოდნენ, უსიტყვოდ, უსაყვედუროდ განაგრძობდა გზას.

ხვდებოდა, მოციქულებს სურდათ, რაც შეიძლება, გვიან ასულიყვნენ გეთსიმანის ბაღში, რათა განთიადს მოესწრო და მტარვალთაგან მოძღვრის ხელყოფისათვის შეეძალა ხელი.

გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ სინედრიონის მოციქულნი თავიანთ ბნელ საქმეს სინათლეში ვერ ჩაიდენდნენ.

მთვარე ამოვიდა და კედრონის ხევს გაღმა ზეთისხილის მთა გამოჩნდა.

პეტრემ მთვარეს ახედა.

მთვარე ჩვეულებრივზე უფრო დიდი, უფრო კაშკაშა და თითქოს უფრო ახლოსაც ნათობდა, ასე მოეჩვენა პეტრეს.

კედრონის მშრალ ხევს რომ ჩაადგნენ, ბილიკი მოძებნეს და თავდალმართი ერთმანეთის მიშველება-ხელჩაკიდებით ჩაათავეს.

ფეხქვეშ გრილი ქვიშა სასიამოვნოდ იშლებოდა.

გეთსიმანის ბაღში ზეთისხილის ხეებს მთვარისგან ვერცხლის ათინათი გადაჰკრავდა.

შედგნენ და სული მოითქვეს.

ნიავი არ იძვროდა.

ირგვლივ ნარღვნისწინა სიჩუმე დასადგურებულიყო.

– ჩემთან პეტრე, იაკობი და იოანე წამოვლენ, თქვენ აქ დაგველოდეთ, ილოცეთ, როცა გიხმობთ, მაშინვე წამოდით, – თქვა იესომ.

– ნება თქვენია, უფალო, მაგრამ იქნებ ამაღამ მაინც არ დავშორებოდით ერთმანეთს, – ჩაილაპარაკა ბართლომემ, რომელსაც არ ესიამოვნა პეტრეს, იაკობის და იოანეს გამოყოფა.

– ცოტა ხანს უჩემობას უნდა შეგაჩვიოთ, ბართლომე.

ბართლომეს აღარაფერი უთქვამს.

მოციქულები მთვარის ჩრდილში ზეთისხილის ქვეშ ჩამოსხდნენ, ოთხეულმა კი გზა განაგრძო.

მთვარის ბილიკს აღმა აუყვნენ.

ზეთისხილის მთის შუა ადგილას შეისვენეს.

აქედან მთელი ბეთანია ხელისგულივით ჩანდა.

კედრონის ხევს გაღმა, ალიზის ქოხებში მშვიდად ეძინათ. სინათლის ჭიატიც არსად ჰკრთოდა.

ოდენ სინედრიონის წინ სამ-ოთხგან ენთო კოცონი და კოცონის ირგვლივ ჩრდილები ირეოდნენ.

იესო ზეთისხილის ხეს მიეყრდნო ხელდაჭდეული, მხლე-ბელთაკენ არ მოუხედავს, ქალაქს ჩასცეროდა.

– პეტრე, იაკობ, იოანე, თქვენ უკვე ყველაფერი იცით. დღეს უნდა აღსრულდეს. მდევარი ახლოვდება და გამცემიც მზადაა, თქვენ იმიტომ გიახლეთ, მამაჩემის სიტყვა ისმინოთ და განსაცდელის წინ ჩემი მოწმენი გახდეთ, რათა უკანასკნელ დევრიშსაც უამბოთ, რასაც ნახავთ და განიცდით, ახლა მე მარტო ავალ მწვერვალზე და ყველა ცოდვილის სულს შევავედრებ მამაღმერთს. თქვენ აქ იყავით და ილოცეთ. ვინდლო, არ ჩაგთვლიმოთ და გეთსიმანის ჩრდილებში სატანის ფაჩუნი არ გამოგეპაროთ.

– რა ჩაგვაძინებს, მოძლვარო. შენთან ერთად რულ-მოუკრებლად ვუდარაჯებთ დაღლილ-დაბნეულ თვისტომთ, – თქვა პეტრემ.

ქრისტე ჩეარი ნაბიჯით ააღმართდა.

ოციოდე წუთში იგი უკვე ზეთისხილის მთის მწვერვალზე იყო; მოციქულთაგან ქვის სასროლ მანძილზე.

უკვირდა, რომ ამ ღამით სული დაუმძიმდა და თითქოსდა შიშიც შეეპარა. მოწაფეებთან სინანულის მსგავსი რამ არ წამომცდეს და ამიტომ განმარტოვდა.

მწვერვალზე იდუმალი თბილი სიო ჰქროდა.

დაცვარული შუბლი თავსაბურავით შეიწმინდა, მუხლებზე დაემხო და ზეცად აღაპყრო ხელ-თვალი:

– მამაო, მე მზად ვარ. რაც უფრო ახლოვდება უამი, მით უფრო მძიმდება სხეული ჩემი და სული ზეცად ისწრაფვის. შენს მარჯვნივ დაჯდომად თავი არ მეღირსება და ვერც გავბედავ, მაგრამ მანდ, ციურ სასუფეველში მეკელაპტრედ მაინც თუ მიმიჩნევ, ბედნიერი ვიქენები. რაც მომიწოდე და დამავალე, აღვასრულე. შევაღვიძე ბნელით მოცული კაცობრიობა და მოვაქციე შენდა დიდებად. ვასწავლე ყველას, რომ წუთისოფელი მტრობად და შურად არ ლირს. ოდენ სიკეთის ქმნით უნდა შეამზადო სული შენი საუკუნოდ განსასვენებლად. ჩემი ერთგული მოციქულნი განასრულებენ ჩემთა საქმეთა. განკურნავენ სნეულთა და უგუშავებენ ქვეყანას ცოდვათა ასაცილებლად.

დიდხანს ილოცა, მთვარე შავლურჯგადმოკრიალებულ ცაზე რომ აინია, იესოს ზეციდან ნაცნობი ხმა მოესმა:

– რა დიდებულია შენი ნდობა მოწაფეთა მიმართ, იესო. შენ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ასწავლე მათ, მაგრამ ვერ შეძლებდი ადამიანურ ჭირვეულობათა ბოლომდე აღმოფხვრას მათ გულში. მიდი და იხილავ, როგორ ფხიზლობენ შენი მოციქულნი.

იესომ კორდ ჩამოირბინა.

სამეულს ღრმა ძილით ეძინა, იაკობს და იოანეს ერთმანეთის მხრებზე ედოთ თავები, სიმონ-პეტრეს ქვა ესასთუმლა.

მივიდა, რიგრიგობით შეანჯლრია სამივენი. – რამ დაგამინათ ბიჭებო, ეს ვართ სულ? რომ არ იცოდეთ რა მელის,

სხვა ამბავია; მალე თქვენთან აღარ ვიქნები. მეგონა, ლოცვით დაღლილთ და ცრემლმდინარეთ გნახავდით. თქვენ მშვიდად გძინავთ, თქვე კაი ხალხო?!

სამივენი მუხლებზე დაეცნენ.

– გვაპატიე, მოძღვარო, ეს წუთია ჩაგვთვლიმა. ვერც კი გავიგეთ, ისე ანაზდად მოგვეპარა ძილი.

– იაკობ, ზეთისხილის რტოები მოტეხე და ჩამოარიგე. ლოცვასა და ლოცვას შუა ერთმანეთს ურტყით მხრებზე, რომ ლოცვისას არ ჩაგეძინოთ და თავი არ მომჭრათ. ისტორიული ჟამია. სიძე მაყრიონს სამუდამოდ ტოვებს.

ისევ ააღმართდა. მთის მწვერვალზე ლოცვად დავარდნილი ავედრებდა უფალს ცოდვილ კაცობრიობას.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა მოწაფეთა დასახედად.

ზეთისხილის რტოები ეჭირათ ხელში და მშვიდად ეძინათ. თითქოსდა არც არსებობდა ქვეყნად სინედრიონი და გაიძვერა კაიათა, მწიგნობართა და ფარისეველთა ულმობელი განაჩენი და ეს საშინელი ღამე, რომელსაც კვლავ უნდა გაემიჯნა განკაცებული ღმერთი ყურმძიმე კაცთაგან.

ერთხანს უყურა მძინარეთ. მერე ყრუდ ჩაახველა და თავები მაინც რომ არ ასწიეს, ზეთისხილის რტოები გაუტყაპუნა მხრებზე.

წამოხტნენ და შემკრთალ-თავჩაქინდრულები დამნაშავეს-ავით წინ გაუჩერდნენ.

– ეს იმედი მქონდა თქვენი? მეტად არ გიღირვართ? ჩემი ალსასრულის ღამით ვერ შესძელით გეფხიზლათ და კაცობრიობას უგუშაგებთ თქვენ? მეტი არაა ჩემი მტერი. იცოდეთ, მამაჩემი ზეციდან ყველაფერს ხედავს და, ვაითუ, ვერ შევძლო დავარწმუნო, რათა მოგეტევოთ ეს დანაშაული.

იოანე ატირდა.

– კიდევ ერთხელ შეგვინდე, მოძღვარო. კენჭებს დავიყრით წინ და მუხლებით კენჭებზე შევდგებით, რომ ტკივილმა არ

ჩაგვაძინოს. წადი მშვიდად ილოცე. ვერც მამაუფალი და ვერც შენ ჩაძინებულს ვეღარ გვიხილავ.

ლოცვით დაღლილი და სიცხით შუბლგადაცვარული იესო შუაღამისას კიდევ ერთხელ რომ მობრუნდა, რათა მოწაფეთა „სიტყვის კაცობა“ შეემოწმებინა, გაოგნდა მოძღვარი.

სამივეს ღრმა ძილით ეძინა. მთვარით განათებულ სახეებზე არცერთს ურვა-დარდის და წუხილის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა.

იესოს არაფერი უთქვამს. არც შეუღვიძებია მძინარენი, გატრიალდა და ზეთისხილის მთაზე ასულმა ხელაპყრობით ცას შეჰვლადადა:

– მამაო, ამარიდე ეს სასმისი. აღარ მინდა ცათა სასუფეველში ყოფნა. არა ვარ ლირს იმ ხვედრისა, შენ რომ განმიმზადე, რათა კაცთა მოდგმის ცოდვანი ვიტვირთო და სიკვდილის შემდეგ ნათელში აღვსდგე, რომ უკუნითი უკუნისამდე განვაგო ბედი მილიონთა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქა ვარ საჭირო. განკაცების დრო უნდა გამიხანგრძლივო, რადგანაც ჯერ მზად არ არის მთელი ისრაელი კი არა, ის თორმეტი ყველაზე ერთგული მოწაფეც კი, რათა ჩემი ბილიკებით იაროს. დღედაღამ ჩემს გვერდით ყოფნამ, თურმე, ისიც ვერ ასწავლა მოციქულებს, რომ არ ჩათვლიმონ, როცა მოძმეს მძიმე ჟამი უდგას.

– მისმინე იესო, ნუ გიპყრობს სინანული შენ, ჩემს საყვარელ ძეს და ჭეშმარიტ მწყემსს ისრაელის ცხოვართა. შენ ყველაფერი გააკეთე ადამიანთა განსაწმენდლად და პირნათელი დაჯდები შემოქმედის მარჯვენა მხარეს, როგორც წამებული და ვალმოხდილი. რაც შეეხება ჩათვლემას, სხვათა სენის გულგრილად ცქერას და შეგუებას მოყვასის მძიმე ხვედრისადმი, ეს ყველაზე აუცილებელი ნიშანია ადამის ძეთ რომ დავანათლე და ვუგულისყურე. ადამიანს რომ ეს თვისება არ ჰქონდეს, დაიღუპებოდა კაცობრიობა. ასე რომ, შენ ფიქრი ნუ გაქვს, ისინი სწორედ მაშინ გაიღვიძებენ, როცა მათი გაღვიძება იქნება საჭირო! – მოისმა ზეცით.

– გავიგე მამაო, და მაინც დაბეჯითებით გთხოვ, ამაცილო ჩემი ბედის სასმისი. შენმა ნათქვამა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ არა ღირს თავის დადება ამ ცოდვილი, ამ ნაკლული, ამ მატყუარა მოდგმისთვის. იქნებ ადრე მომავლინე, მამაო, ამ ქვეყნად?!

– ღირს, ღირს იესო. კაცობრიობის ერთი რწმენით შეკვრას და ერთი დროშის ქვეშ დგომას ამაოდ ველით მე და შენ. ცათ ამაღლების შემდეგაც ბევრს რასმე ასწავლი ყველას, ვინც ყურს მოგაპყრობს.

– შენ უკეთ იცი, მამაო. იყოს ისე, როგორც შენ გინდა.

– გაძლებას, გაძლებას გისურვებ შვილო ჩემო.

...შორს ცის დასალიერთან გაცრეცილი მთვარე ეკიდა.

იესო ხედავდა სინედრიონის წინ კოცონებიდან როგორ იღებდნენ იუდეველნი მაშალ-მუგუზლებს და როგორ მოემართებოდა ციცინათელათა ლაშქარი გეთსიმანისაკენ.



## იუდა

შუადღეს ალარაფერი აკლდა.

ცხელოდა.

ბეთანიის ჩრდილო ჭიშკართან, მტვრიან ქუჩაზე კოკიანი კაცი გამოჩნდა.

ეტყობოდა, კოკა პირთამდე სავსე იყო, რადგანაც მხარზე გადაგდებულ თეთრ ტილოზე წყალი ელვრებოდა.

კაცი ხშირად ჩერდებოდა. კოკას ჩამოდგამდა, ტილოს მოსასხამს გაწურავდა, მეორე მხარზე გადაიგდებდა და ახლა იმ მხარზე შეიდგამდა კოკას.

ყოველ გაჩერებაზე გზას გახედავდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ სამი ჯამქუდიანი ებრაელი სწორედ მას მოჰყვებოდა.

გაჩერდებოდა კაცი, გაჩერდებოდნენ მგზავრნიც. დაიძვრებოდა, გაჰყვებოდნენ.

სახლს რომ მოუახლოვდა, კოკა ჩამოდგა და სტუმრებს დაელოდა.

ებრაელთა შორის ყველაზე მაღალი, შავთმაწვეროსანი დაწინაურდა, შორიახლო მოდგა და სალამი მისცა.

– შალომი ნუ მოგიშალოს გამჩენმა. ახლავე ცოლს დავუძახებ და ჭიქას გამოვატანინებ.

მასპინძელმა იფიქრა, ალბათ, სწყურიათ და ამიტომ მოჰყვებოდნენო.

– ნუ შეწუხდები, შენთან უფრო დიდი საქმე გვაქვს. სახლის პატრონი სმენად იქცა.

– უფლის ნებით, პასექი შენთან უნდა დავამზადოთ.

– ეს ჩემთვის ღვთის წყალობაა, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ. სახე გაებადრა მასპინძელს, – მე მორწმუნე ებრაელი გახლავართ და დიდი ცოდვა ხომ არ იქნება, გკითხოთ ვინაობა?

— ქრისტეს მოციქულები ვართ, მე პეტრე მქვია, ეს იუდაა, ეს კი — იოანე, — ჩურჩულით უთხრა იმ მაღალმა ხუჭუჭთ-მაწვეროსანმა. მასპინძელი შიშმა შეიპყრო, მაგრამ არ შეიმჩნია. დარბაზში შეუძლვა სტუმრებს და სანამ მოციქულები ტყავისლვედებიან დაბალ სკამებზე ჩამოსხდებოდნენ, განწირულივით ამოილაპარაკა:

— მშვიდობა თქვენს მოსვლას, იესუ — მაცხოვარი ჩემი და მამა ჩემი, — ხმას კიდევ უფრო დაუწია, — თუ ძმა ხართ, შარს არაფერს გადამყაროთ. წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ, ჩემი თავი ტარიგად მომიძღვნია, მაგრამ ესენი არავის დაინდობენ, გუშინაც იყვნენ კაიაფას მსტოვრები; ქრისტეს ჭერი არავინ მისცეს და არც მის ქადაგებაზე დაგინახოთ, თორემ ჩვენთან გექნებათ საქმეო.

მოციქულებს პასუხი არ მიუციათ.

კაცმა კოკა აგურის იატაკზე დატოვა, ბოდიში მოიხადა და გავიდა.

გასვლისას, ცოტა არ იყოს, დაბნეული, გატანჯული სახე ჰქონდა.

ის იყო იუდამ საპასექმ ფული დაარიგა და სახედაფარული მოციქულები ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ ბაზრისკენ, რომ სახლს უცნობი მოადგა და იუდა იკითხა.

— მე ვარ, — სანამ მასპინძელი გაეგებებოდა, იუდა მიეახლა.

— კაიაფა გიბარებს, ახლავე უნდა წამოხვიდე, — ისე ხმადაბლა უთხრა უცნობმა, რომ კარებში მდგარ მასპინძელს არაფერი გაუგია.

— წადი, მოგყვები.

იუდა დარბაზში შებრუნდა, მანტია წამოისხა და შიკრიკს დაედევნა.

კაიაფა სავარძელში იჯდა. თეთრი წვერი მკერდზე დაჟოენდა. წვერს ქვემოთ მღვდელმთავრის მედალიონი უჩანდა.

იუდას სკამზე ანიშნა.

— იუდა, გულახდილად მითხარი, მოგწონს ეს საქმე? — დიდი პაუზის შემდეგ დაიწყო კაიაფამ.

— რა საქმე? — თითქოს შეკითხვას ვერ მიუხვდაო, იუდა.

— რაც ხდება, რასაც ქრისტე აკეთებს.

— რას „აკეთებს“ განა შენ არ მოგწონს ბრმას რომ თვალებს უხელს, კეთროვანს ჰკურნავს და დავრდომილს ფეხზე აყენებს? ცუდს რას აკეთებს?

— თავს ნუ გაიშტერებ, იუდა. მე გეკითხები, მოგწონს-მეთქი ყოველივე, რაც ჩვენს თავს ხდება?

— ჯერ ერთი, მაგ შეკითხვის პასუხი შენ უკვე იცი, კაიაფა. რომ არ მომწონდეს, ქრისტესთან არ ვიქნებოდი. ცუდს რას აკეთებს-მეთქი, კითხვა შემოგბედე.

— ქრისტეს საქციელი ავადმყოფის მორჩენით ნუ შემოზღუდე იუდა. შენ უფრო ნათელი გონების კაცი ხარ, ვიდრე თავს მაჩვენებ. შენ ებრაელი ხარ და ვალი გაქვს იმისი, ვინც სამშობლოში დაგვაპრუნა.

— ვიცი.

— ჰოდა, არ შეიძლება ვერ ხედავდე, რომ სწორედ მოსეს რჯულს ემუქრება საშიშროება.

— განა ქრისტეს მოვლინებაც ღმერთის ნება არ არის? იქნებ უკვე იმის დროა, რომ მოსეს ცნებათა შორის ზოგი შესწორდეს, ვინ გითხრა, კაიაფა, რომ ქრისტე მოსეს მთლიანად უარყოფს?

— რჯული გვეღუპება, იუდა. განა იმისთვის ვიტანჯეთ, რომ ჩვენი რწმენა გაბზარულიყო. რჯულის დაღუპვა ეპრაცელობის დაღუპვას ნიშნავს, არ შეიძლება შენ ეს არ გესმოდეს.

— მერედა ქრისტე ბზარავს რწმენას? რატომ არ შეგიძლიათ უფრო შემწყნარებელ-შემრიგებლურად შეხედოთ მის ქადაგებას, რასაც სწორს ამბობს, მივიღოთ, რაშიც ცდება, პირდაპირ ვუთხრათ. თუმცა, არა მგონია ცდებოდეს.

— ყური დამიგდე და რასაც გეტყვი, განსჯის ქურაში გაატარე, იუდა. თქვენ ქრისტემ თავისი ექიმბაშური

გრძნეულებით მოგნუსხათ და ბრმა ლეკვებივით გაგიყოლიათ. ვერ გავიგე, რა ბანგი გასვათ ასეთი, რომ წარბშეუხრელად ემორჩილებით. მითხარი, იუდა, ძალიან მოგწონს ადამიანს ძალლს რომ შეადარებენ? განა ქრისტემ არ უთხრა ავადმყოფი ქალიშვილის გადასარჩენად მისულ ბერძენ დედაკაცს – მე ძალლებს არ ვმკურნალობო? რომ დავიბადეთ ცდუნებაც ჩვენთან ერთად დაიბადა. ორმოცი წელი გვწვრთნა მოსემ უდაბნოში და სრულყოფილ არსებებად მაინც ვერ გვაქცია. ახლა კი მოდის ქრისტე და ამბობს, რომელმა თვალმაც გაცდუნოს, ამოითხარე და გადააგდეო. განა უცოდველი კრავები ხართ თქვენ – ქრისტეს მოციქულები? რატომ არ ითხრით თვალებს, ან არ წარიკვეთთ ხელთ?

– ეს... საერთოდ, მონანიებაც ხომ არსებობს. და მე მგონი, არც ქრისტე გვთხოვს, ყველაფერი პირწმინდად შეასრულეთო.

– რას ამბობ, იუდა. განა ქრისტე არ ქადაგებს, ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია? ქრისტე ხომ დაფიქრების, გამოცდის, განსჯის, განხილვის საშუალებას არ გიტოვებს. უნდა დაემორჩილო, მორჩა და გათავდა.

– ზოგი რამ, იქნებ, მეც არ მომწონდეს, მაგრამ მოსესგან რომ ერთი ნაბიჯით წინ დგას, ხომ მეთანხმები?

– ჯერ იმაში შევთანხმდეთ, რაც ახლა წამოგცდა. ესე იგი თქვენ, თორმეტი რჩეულთაგანი, ყველაფერში არ ეთანხმებით ქრისტეს. ხომ მართალია?

– დავუშვათ ასეა.

– ახლა კი, იუდა, მოსეს ჩავხედოთ. მოსემ სადმე თქვა: ხვალინდელ დღეზე არ იზრუნოო? დღეს რასაც იშოვი, დღესვე შეჭამეო? ასე რომ მოვქცეულიყავით, გაძლებდა ებრაელობა? თუ გასხოვს, მოსეს ლელვის ხე გაეხმოს, რატომ კარგი წაყოფი არ გასხიაო. და ბოლოს, მოსე გეტყოდა „გიყვარდეს მტერნი შენიო?“

– ეგ კი მართლაც მშვენიერია. სიყვარულით უნდა მოაქციო მტერი, შენდობით უნდა გააუკეთესო.

– რას ამბობ, იუდა. ეგ რომ მთელმა ებრაელობამ ირწმუნოს, ხომ დავიღუპეთ. მტრის სიყვარულით აშენებული სახელმწიფო სად გინახავს. თუ მახვილი არ შეიბი, განა არ გადაგთელავენ გადამთიელნი? მტრის სიყვარული კი არა, ებრაელობის გადამრჩენი მოსეს დიდებული მცნებაა: „კბილი კბილისა წილ“.

– კაიაფა, ძალიან შორიდან ხომ არ იწყებ. არა მგონია, ამის სათქმელად გეხმე. ქრისტე – ქრისტეა, მე იუდა ვარ.

– დიახ, შენ იუდა ხარ და სახელიც გავალებს იუდეველებს დაეხმარო.

– იუდა სხვაც არის თორმეტი მოციქულთა შორის. ესეც არ იყოს, რა ჩემი დახმარება გინდათ. ძალა თქვენია და უფლება. დამპყრობელ რომაელებს კუდში დასდევთ.

– ქრისტეს უნდა განუდგე, იუდა, ისკარიოტელო.

იუდას გაეცინა. სიმწრის სიცილით კი არა, ირონიული სიცილით.

– როგორ გამაცინე, კაიაფა. ქრისტეს განვუდგე და ვის მივუდგე?

– ებრაელობას.

– განა ქრისტე ებრაელი არ არის? განა ჩვენ მოციქულნი, და უფალს რომ ყოველდღე ათასობით კაცი ახვევია, ებრაელები არ არიან?

– შეცდომილი ებრაელები ხართ, იუდა.

– დროს ტყუილად კავარგავთ, კაიაფა. ჩემგან არ უნდა დაგეწყო. როგორ ფიქრობ, ისეთი სულელი ვარ, რომ განვუდგე იმას, ვინც სათნო მყო, ასიათასში გამომარჩია და თორმეტთა შორის დამსვა? ბოლოს იმ თორმეტშიც გამომარჩია და ხაზინადარად მაქცია, ფულის ყულაბა ჩამაბარა?

– შენ სწორედ შენ უნდა იხსნა ებრაელობა, იუდა. უნიჭოს და უბირს ეს არ მოეთხოვება.

იუდას ისევ გაეცინა.

- იქნება მიბრძანო; მოვკლა მოძღვარი, ზურგში ხანჯალი ჩავცე?
- არა, იუდა. ქრისტე სინედრიონის სამსჯავროს უნდა გადაეცეს.
- მე რა შუაში ვარ, განა სინედრიონი თქვენ არა ხართ?
- გაგიკვირდება და არ დაიჯერებ, იუდა. ქრისტე მე შენზე ნაკლებ არ მიყვარს. ამიტომ მინდა რომაელთაგან ვიხსნა, რომაელთა მახვილს ავარიდო. სჯობს უხუცესთა წინაშე აგოს პასუხი. ჩვენს წრეში, ჩვენმა კაცმა ჩვენვე დაგვიმტკიცოს თავისი სიმართლე.
- რასაც შენ ამბობ, კაიაფა არახალია. განა ყოველდღე თქვენს წინაშე არ დგას და პასუხს არ გაძლევთ? შენ სხვა რამ გაქვს ჩაფიქრებული.
- სხვა რა უნდა მქონდეს. მინდა, კიდევ ერთი შანსი მივცე ქრისტესული ჭეშმარიტების სალალადებლად. ხალხი თვით აირჩიეს, ვის გაჰყევს.
- კეთილი და პატიოსანი. მესამეჯერ გეკითხები, მე რატომ ვარ აქ, კაიაფა? მე არც სინედრიონს წარმოვადგენ და არც უხუცესთა შორის ვითვლები.
- ქრისტეს უნდა აკოცო.
- იუდას გაეცინა.
- ოპო... ახალი ამბავი, მე ისედაც ვკოცნი ყოველდღე ჩემს მოძღვარს.
- ზეგ, გეთსიმანის ბალში სალოცავად რომ შეიკრიბებით. ჩემს ხალხს გამოვაგზავნი. როგორც კი კვარებითა და მაშალებით მოგადგებიან, შენ ერთმა თორმეტთაგან-მა უნდა აკოცო ქრისტეს და უთხრა: „რაბი, გიხაროდენ“. სინედრიონის მსახურნი, თქვენ რომ დაცინვით „ფარისევ-ლებს და მწიგნობრებს“ ეძახით, ქრისტეს შუაში ჩაიყენებენ და ჩვენთან წამოაბრძანებენ. უხუცესთა საბჭოს წინაშე წარსადგომად.
- ჩემი კოცნა რაღა საჭიროა, განა არის ვინმე სინედრი-

ონში, გნებავთ იერუსალიმში, ბეთანიაში, ნაზარეთში ან გალილეაში ქრისტეს რომ არ იცნობდეს?

- ხომ შეიძლება შეეშალოთ. რა? ასე ძნელია შენთვის აკოცო შენს მოძღვარს? წელან არა თქვი, ყოველდღე ვკოცნიო?

- კოცნა ადვილი საქმეა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ლოცვის დროს და მაინცდამაინც გეთსამანის ბალში. ქრისტე ყოველდღე სინაგოგებში თუ იერუსალიმის დიდ ტაძარში თქვენს თვალწინ არ ქადაგებს? მიდით და ქადაგების დამთავრების შემდეგ მოკიდეთ ხელი. ან ხელის მოკიდება-დატუსალება რად უნდა, გარბის სადმე? დაიბარეთ და თავად გეახლებათ.

- მეგონა მიხვდებოდი, იუდა, რომ ამასაც ქრისტეს სახელის განსადიდებლად ვაკეთებ. ჩვენს წინაშე რომ წარსდგება, სათქმელი ექნება. იმიტომ ბრაზობთ ჩემზე რომ მართალი ვარ. რას ჰგავს, რაც ჩაიდინეთ, მოციქულებთან ლოცვის დროს, ნაპასექევს, როგორც ავაზაკს, მომექერით და ძალით წამომიყვანეთო. ეს კი მცირე ალიბი როდი ექნება მისი უპირატესობის დასამტკიცებლად.

- ვთქვათ, მე დავიჯერე, რომ ეს კოცნა-სერობა და მაშეალებით მოძღვრის თქვენამდე მოცილება, ქრისტესვე განსადიდებლად კეთდება, სხვები რომ გამოესარჩლონ და შეხლაშემოხლა ატყდეს? ხომ იცი, რა ფანატიკურად გვიყვარს თორმეტივეს.

- არ დაიჯერო, იუდა ეგ ამბავი. თქვენ გიყვართ სიმშვიდეში თქვენი წინამდლოლი, გიყვართ თქვენი დამპურებელი და ფეხის დამბანი, მაგრამ როგორც კი საშიშროებას იგრძნობთ, ცხვრებივით შემოეფანტებით.

- ვერ გერწმუნები, კაიაფა. მაგრამ არც გეკამათები. თვით ქრისტე? განა „ძე კაცისა“, რომელიც სამი დღის მკვდარ ლაზარეს აცოცხლებს და წყალს ღვინოდ აქცევს, ასე ადვილად დაგნებდებათ? ვერ მოახერხებს, თქვენგან თავის დაცვას? ან იმას გაპატიებთ, რომ ძალით მიგყავთ სინედრიონში?

— ეგ ყველაფერი გათვლილია, იუდა. მე და შენ ის შევას-რულოთ, რაც ჩვენ მოგვიწოდა განგებამ. ჩვენი საქმე პატარაა. ქრისტე თუ კაცია. მიხვდება ჩვენს სიკეთეს, თუ ღმერთია, ეს ჩვენი შეხვედრაც მისი მოწყობილია და ჩვენი ახლანდელი საუბარიც ესმის.

„საუბარიც ესმისო?!” ამ ფრაზამ შეაშინა იუდა.

სადღაც, სულის კუნჭულში, ეჭვი ეპარებოდა სწორედ იმაში, რაც კაიაფას პირით გაცხადდა.

„იქნებ გრძნეული კაცია და ღმერთი არ არის“...  
იქნებ... იქნებ...

— არ დამავიწყდეს, — დუმილი კაიაფამ დაარღვია — სინე-დრიონს შენთვის ოცდაათი ვერცხლი გამოვაყოფინე. ვიცი, ხელმოკლედ ცხოვრობ, გამოგადგება. გასვლისას კარისკაცი მოგიწონის.

— გმადლობ... იმ ოცდაათ ვერცხლს ქრისტეს კოცნაში არ მაძლევდე, კაიაფა.

— საყვარელი მოძლვრის კოცნაში ჯერჯერობით ოცდაათ ვერცხლს არავინ იძლევა. შალომ!

— შალომ, შალომ, კაიაფა.

გვიან ღამით, სინედრიონიდან გამოსულ იუდას ბეთანიის უკაცრიელ ქუჩაზე მთვარის ჩრდილი მისდევდა.

\* \* \*

ლოცვისგან დაღლილ-გათანგულ მოციქულებს გეთსი-მანიის ბალის შემოსასვლელთან ჯერ გნიასი მოესმათ, მერე ზეთისხილის ხეებს შორის ამოზვავდა ხელკეტ-მაშალიანი ბრძო.

იუდამ ბრძოში, მისთვის სრულიად მოულოდნელად, რომაელი ლეგიონერები შენიშნა და მიხვდა რომ კაიაფამ მოატყუა.

მტკიცედ გადაწყვიტა მღვდელმთავრისთვის მიცემული პირობა არ შეესრულებინა, ხოლო ოცდაათი ვერცხლი

გათენებისთანავე ცხვირ-პირში მიეყარა გაიძვერა „მწიგნობრისთვის“.

და სწორედ იმ წამს მოხდა ისეთი რამ, რასაც იუდა ვერა-სოდეს წარმოიდგენდა: მდევრები სამ ნაბიჯზე რომ მოუახლოვდნენ, ქრისტემ იუდას უჩურჩულა:

— მაკოცე!

ცრემლგამშრალი იუდა წამოდგა და მოძლვარს ეამბორა. სინედრიონის ერთგულ მსახურს მალქოზის, რომელიც პირველი მიეჭრა ქრისტეს, ხელები გადაუწრიახა და ზურგთან ბან-რით შეუკრა, პეტრემ ხანჯლით ყური ჩამოათალა.

მალქოზმა ყურზე იტაცა ხელი და საზარლად აბლავლდა.

— პეტრე! რას სჩადი! ამ მონამ რა იცის, რას აკეთებს. — თქვა ქრისტემ, მერე მალქოზს მიუბრუნდა — ნუ გეშინია. აიღე ყური!

მონამ ყური აიღო და მიიწეპა. მიიწეპა თუ არა, მაშინვე გაუმთელდა. იუდევლებმა ქრისტე რომ გაინაპირეს, რომაელი ჯარისკაცები გამოენთნენ მოციქულებს.

მოციქულებმა პირი იბრუნეს და სიბძელეში ზეთისხილის ხეებს შორის ტყაბატყუპით ჩაიკარგნენ.

ერთი ახალგაზრდა მლოცველიდა დაიჭირეს რომაელებმა. „მე რა შუაში ვარო“ მოთქვამდა ყმანვილი. თავდაღმართში რაც ძალა ჰქონდა გაინია, სამოსი დამჭერს შეატოვა, მარცხნივ თხრილზე გადახტა და თავს უშველა.

ოდენ იუდა დარჩა გეთსიმანის ბალში. არ განძრეულა, არც ბრბოს გაპყოლია და არც მოციქულებთან მიმალულა.

ზემოდან დასცექეროდა ყაყან-ურიამულით, პანლურის ცე-მით და გინებით რომ მიჰყავდა ბრბოს თავშიშველი მაცხოვარი.

ამ ამბიდან მეორე დღეს, გამთენისას კაიაფას სახლის კარს ვიღაცამ ხელკეტი დასცხო.

კაიაფა ერდოზე გადმოდგა.

— იუდა? შემოდი!

ისკარიოტელი განთიადისფრად გაფიტრებული, თავიდან  
ფეხებამდე კანკალებდა:

- ეს არის, რომაელთა ხელში არ ჩავაგდებო?!
- იუდამ ოცდაათი ვერცხლი იატაკზე მიმოაბნია:
- დაიბრუნე ჩემი ამბორის საფასური. რა დაგიშავე, რომ  
ასე გამწირე, კაიაფა!
- იუდა ტიროდა.
- გვიან არის, იუდა. ამ ოცდაათი ვერცხლის დაბრუნება.  
მეც მომატყუეს...
- იუდამ იმ დილითვე იქვე სინედრიონის მახლობლად კაკ-  
ლის ხეზე ჩამოიხრჩო თავი.

\* \* \*

იუდა თავის მცირედმორწმუნეობამ და ვერცხლის სიყვარ-  
ულმა დალუპა, მაგრამ თერთმეტი გაქცეული მოციქული? სამ-  
ჯერ უარმყოფელი პეტრე? მლოცველი ჭაბუკი (შიშველი რომ  
გაიქცა)? ან პილატეს სამსჯავროსთან შეკრებილი ეპრაელობა  
რისთვის დასაჯა უფალმა?

იმის სათქმელად ხომ არა, რომ ერთხელ და სამუდამოდ  
გაეგო კაცობრიობას; არ არსებობს ბოლომდე ერთგულება.  
შენი ყველაზე ახლობელიც კი ერთხელ მაინც გიღალატებს.



## ვირი

ბეთბაგესთან შეისვენეს.

მოძღვარი ლელვის ხის ქვეშ ლოდზე ჩამოჯდა, ირგვლივ  
მოწაფები ჩამწკრივდნენ.

რაკილა წინანი დასხდნენ, ტალღასავით ერთმანეთის მი-  
ყოლებით დაეშვა ეპრაელთა გრძელი წყება-ლაშქარი.

აქედან უკვე ახლოს იყო იერუსალიმი.

ხელის გაწვდენალა რჩებოდა დიდ ტაძრამდე.

მორწმუნეთაგან უმეტესობას არ ენახა იესო „თავის სახლ-  
ში“ და ინტერესი ჰკლავდათ იმისა, თუ როგორ შეხვდებოდნენ  
მაცხოვარს ტაძარიონნი.

ინახით მჯდომმა იესომ მარჯვენა ტერფი კალთისკენ მო-  
სწია და ფეხისგულს მტვერი გადააცალა.

ქუსლი სტკიოდა.

წელან, შუადღისას, ბეთანიასთან, გზის პირას მჯდომ ერთ  
მოხუც მორწმუნეს გაუსწორდნენ. მოხუცი ტიროდა. რა გატ-  
ირებსო, იესუმ ჰკითხა.

ცხელმა ქვიშამ ფეხები დამიწყლულა, იესუს გალილეიდან  
მოვყვები, გზის გაგრძელებას ვეღარ შევძლებ და ამად ვტირიო,  
– ვერ იცნო მოხუცმა იესო.

მოძღვარმა ხამლნი გაიხადა და მისცა.

თვით ფეხშიშველი დაადგა გზას და ჩანს, წვეტიან კაუქვას  
დაადგა ფეხი, ქუსლი სტკიოდა.

ფილიბეს და თომას უხმო.

– ბეთბაგეს ხომ ხედავთ. ჩადით სოფელში, სასაფლაოს  
გაღმა, მინდორზე დაბმულ ვირს იპოვით, ახსენით და ჩოჩრი-  
ანად წამოიყვანეთ. თუ ვინმემ გკითხოთ, უფალს სჭირდება-  
თქო.

ფილიპე და თომა კედრონის ხევისკენ დაეშვნენ.

რომ გაივაკეს, იქვე, სასაფლაოს მარცხნივ, მინდორზე მართლაც იხილეს მოკლე ბაწრით დაბმული ვირი, რომელსაც ირგვლივ ხტუნვა-ხტუნვით უვლიდა ულამაზესი შუბხალიანი, შემოდგომის ნეკერჩელისფერი ჩოჩორი.

მოშორებით, წყაროსთან, სოფლელები ჩამომსხდარიყვნენ და თავიანთ სოფლურ ჭირლხინზე ყაყანებდნენ.

ფილიპემ ვირი ახსნა, თოკი მოკლეზე დაიჭირა და გზაზე გამოვიდა.

თომა ჩოჩრის დაჭერას ამაოდ ცდილობდა.

– გაანებე თავი თომა, დედას გამოჰყება!

ჩოჩორმა თითქოს ისმინაო, დედასთან მიირბინა და კვალ-ში ჩაუდგა.

ალზის დაბალ ქოხში ათიოდე წლის ბიჭმა შეირბინა.

ბიჭის შერბენა და იქედან ყბებქვეშ ტილოს რიდეამომაგრე-ბული დედაკაცის გამოვარდნა ერთი იყო.

– ვინ ხართ, სად მიგყავთ ჩემი სახედარი?! – დედაკაცმა ფილიპეს თოკზე ხელი უტაცა.

– დამშვიდდით, ქალბატონო, – ფილიპე თოკისთვის ხელის გაშვებას არ აპირებდა.

წყაროსთან მსხდომნი წამოიშალნენ და სეირის მოლოდინ-ში მოახლოვდნენ.

– ბავშვს რომ არ დაეძახნა, ვირი მიყავდათ. სხვენზე ვიყა-ვი, მატყლს ვჩეჩავდი. რა დრო მოვიდა. დღისით, მზისით ვირს აგწაპნიან და ეძებე მერე! – ქოთქოთებდა დედაკაცი.

– ვინ ხართ! არ გრცხვენიათ?! – ვიღაცამ ბრბოდან და-იძახა.

– მათქმევინეთ! – თომამ ხელი ასწია.

– რა უნდა თქვა. ვირს იპარავდით და კიდევ რამე გაქვს სათქმელი?! – დედაკაცი ბანარს ჩაფრენოდა.

– ეს ვირი უფალს სჭირდება, – მშვიდად თქვა ფილიპემ.

ბრბო წამით გაისუსა.

ვიღაცამ გაიცინა და ჩანს, თავისი სიცილის თვითონვე შეეშინდა, რაკიდა სწრაფად მოსხიპა სიცილი.

– რომელ უფალს? – გაუბედავად იკითხა მოხუცმა ებრ-აელმა, რომელსაც ცარიელი კოკა მოეგდო ზურგზე.

– ჩვენს უფალს, იქსუს.

– თვითონ სად არის? – იგივე ხმა იყო.

– მალლა, ბეთბაგეში, ლელვის ქვეშ ზის და გველოდება. იერუსალიმში ამ ვირზე ამხედრებული უნდა შევიდეს, – უპა-სუხა თომამ.

– რას იტყვით?! – ულვაშიანმა ბეჭფართო ებრაელმა დე-დაკაცს შეხედა.

– მე რა უნდა ვთქვა, – განზე გაიხედა ქალმა.

– ვირი შენია და შენ უნდა გადაწყვიტო.

– მე რა უნდა ვთქვა. ჯერ ერთი, თუ ასე იყო, ხომ უნდა ეთქვათ, ქურდულად ახსნეს და მიჰყავდათ, თქვენ გჯერათ ამათი?! ვერა, ჩემს ვირს ვერავის გავატან!

– ისე, კაცმა რომ თქვას, მართალია ეს დედაკაცი. გეთქ-ვათ, თქვე კაი ხალხო. – კოკიანი მოხუცი ფილიპეს და თომას შეაჩერდა.

– ჩვენ... ჩვენ მაცხოვარმა გვითხრა ახსენით და წამოი-ყვანეთო. რომ გვითხოთ, უთხარით, უფალს სჭირდებაო, – დაბნეულად თქვა თომამ.

– მერე? ვირის პატრონმა რა ჰქინასო? – ქალის ხმა იყო.

– ამის შესახებ არაფერი უთქვამს, – თავი დახარა ფილი-პემ.

– მაინცდამაინც ეს ჩოჩრიანი ვირი მომგვარეთო, იქსომ? – ულვაშიანმა ჩაიღიმა.

– დიახ, სასაფლაოსთან მინდორზე ჩოჩრიანი დაბმული ვირი სძოვს, ახსენით და წამომიყვანეთო, – დაბეჯითებით თქვა ფილიპემ.

– ცრუობს, იქსო ამას არ იტყოდა, – დაასკვნა მოხუცმა. ფილიპე და თომა გაჩუმდნენ.

– კეთილი და პატიოსანი, ვირის დაბრუნებაზე არაფერი უთქვამს თქვენს მოძღვარს? – მხარნამგლიანმა წვეროსანმა ნაბიჯი წინ წადგა.

– დააბრუნებს, რასაკვირველია, – ისე თქვა ფილიპემ, რომ ნათქვამის სისწორეში მთლად დარწმუნებული არ იყო.

– წადი, ბიჭო, მამაშენს დაუძახე! – უთხრა ვირის პატრონმა დედაკაცმა იმ ბიჭს, რომელმაც წელან შეატყობინა ვირი მიჰყავთო.

მალე სახლიდან თავწაკრული, ხმელ-ხმელი, გრძელკაბოსანი ებრაელი გამოვიდა და ენერგიული ნაბიჯით გამოეშურა შეგროვილთაკენ. რომ მოახლოვდა, ჯერ ვირს შეხედა, მერე სტუმრები შეათვალიერა, მერე ისევ ვირს დაუბრუნდა, ბოლოს დოინჯი გაიკეთა და ცოლს მიაჩერდა:

- რა უნდათ?!
- ვირი უნდა წავიყვანოთო.
- რატომაო?
- უფალს სჭირდებაო!

ბრბოში ისევ გაიცინა იმ ერთმა ვიღაცამ.

თავწაკრულმა მასპინძელმა გვერდით აწეპებულ ყმანვილს თავზე ხელი გადაუსვა და ყელშიხელნაჭერილივით ძლივს ამოილაპარაკა:

– დიდი ხათრი და პატივისცემა მაქვს, ძვირფასო მოგზაურო თქვენი, მაგრამ ვირს ვერ გაგატანთ.

- უფალს სჭირდება, – თითქოს ამოიკვნესაო ფილიპემ.
- უფალი სხვა ვირსაც იშოვის, მაგრამ ჩვენ ეს ვირი უფრო გვჭირდება. იგი არც მეტი არც ნაკლები, ჩვენი მარჩენალია.
- მარჩენალი? – თომა ჩაერია.

– დიახ, მარჩენალი. ამ ვირით ვხნავთ მიწას, ამ ვირით მოგვაქვს წყალი, ამ ვირით მიგვაქვს ხორბალი წისქვილში... რომელი ერთი ჩამოგითქვალოთ.

– თქვენი როგორ არ მესმის, – თქვა ფილიპემ, – მაგრამ ჩვენიც უნდა გაიგოთ. ამ ვირით იესო მაცხოვარი იერუსალიმში უნდა შევიდეს.

– რა, სხვა ვირით არ მიიღებენ? – გულწრფელად იკითხა შავულვაშამ.

– ვერ გეტყვით. ჩვენ ამაზე პასუხი არა გვაქვს – უპასუხა ფილიპემ.

ებრაელმა მამაკაცებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს. მერე ვირის პატრონი იხმეს და სერობის ადგილის ხუთიოდე მეტრის მოშორებით ბჭობა-ყაყანი გამართეს.

ოციოდე წუთის შემდეგ ვირის პატრონი ჯვუფს გამოეყო და ფილიპეს მიუახლოვდა.

– თანახმა ვარ. ოლონდ ერთი პირობით, მეც თან გამოეყვებით. განა არ გენდობით, მაგრამ ხომ შეიძლება იმ ორომ-ტრიალში ვირი სადმე გაიბნეს და დამეკარგოს. მე იქვე ახლოს ვიტრიალებს, ხოლო როცა მოსალამოვდება, ჩავაბამ თოკს ჩემს პირუტყვს და წამოვიყვან.

... ორიოდე წუთის შემდეგ ბეთბაგეს აღმართს ხუთნი მიუყვებოდნენ: ფილიპე, თომა, ვირი, ჩოჩორი და ვირის პატრონი.

ვირი ხანდახან უკმაყოფილოდ დაიფრუტუნებდა (ბალახს რომ მოაცილეს) და ჩოჩორს გახედავდა.

რა იცოდა ვირმა, რომ სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ მაცხოვარს შეისვამდა ზურგზე, ფეხქვეშ პალმის და ზეთისხილის ტოტებს დაუგებდნენ და ლოცვა-ზეიმით მიაცილებდნენ იერუსალიმის ტაძრამდე.

რა იცოდა, რომ იგი სამუდამოდ შერჩებოდა ოთხივე სახარებას უკვდავ სახედრად; ქრისტეს დიდებული სამსახური რომ გაუწია.

იქ კი, იერუსალიმის ტაძართან, ვირისა და მისი პატრონისთვის ყველაფერი ისე ჩვეულებრივად წარიმართა, რომ სამოციქულო წიგნთა და ფსალმუნთა ავტორებმა ორი სიტყვის ღირსადაც არ ჩათვალეს.

ვირზე ამხედრებული იესო იერუსალიმის კარიბჭეს ხუთიათასიანი წმინდა ლაშქრით მოუახლოვდა.

„ოსანა! ოსანა!“

„კურთხეულია ჩვენი მაცხოვარი!“

„ოსანა! მოდის ჭეშმარიტი მეფე ისრაელისა!“

გაისმოდა შეძახილები. ყველას აღტაცებულ-შთაგონებული სახე ჰქონდა.

იესოს ღვთიური სინათლე გადაპფენოდა სახეზე.

ფარისეველნი და მწიგნობარნი ტაძრის საიდუმლო სარკმლიდან უჭვრეტდნენ ამ საზეიმო მსვლელობას.

– წასულია ჩვენი საქმე, – თქვა უხუცესმა იუდეველმა ანამ, კაიაფას სიმამრმა – შეხედეთ, რა ხდება, მთელი გალილეა, ბეთანია, ბეთლემი და ნაზარეთი უკან მოჰყვება. იერუსალიმიდანაც უამრავი გაეგება.

– შენ ფიქრი ნუ გაქვს. ასე ბევრ სულიერ მოძღვარს და მთავარსარდალს შეხვედრიან. გაივლის ხანი და პირველნი სწორედ ისინი იყვირებენ: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვიო!“ ბრბოს ბელადები უფრო ჩქარა ბეზრდება, ვიდრე ჩვენ გვგონია, – თქვა კაიაფამ. ტაძრის შესასვლელთან იესო ხელში აიყვანეს და „ოსანას!“ ძახილით შეაბრძანეს თავის სახლში, – იერუსალიმის დიდ ტაძარში.

ვირი?

ვირი და ჩოჩორი აღარავის გახსენებია პატრონის გარდა.



## ადრე გაზაფხულზე

### ვუძღვნი გრიგოლ ჯულუხიძეს

ბოლო თქვენ ბრძანდებით? თქვენს შემდეგ მე ვიქნები. დააგვიანებენ მოტანას ვითომ? გუშინ ადრე მოიტანეს კი. გამოცდილი მაქვს, მე თუ დავაგვიანე გამოსვლა, მაინცდამაინც იმ დღეს მოიტანენ დროზე. გუშინნინ, მაგალითად, რა პური მივიტანე, იცი, სახლში? რომ დარჩება ორი-სამი წუნი პური. ზოგი კუტია, ზოგი კანდამწვარი, ზოგი ძირს დანაგდები. არავინ რომ არ წაიღო, ისეთი პური შემხვდა. რა მექნა, ხელცარიელ მისვლას ეს ვარჩიე?

თქვენ ბრძანეთ: რა სჯობია ახლა სოფელში ცხოვრებასო, ხომ? შინ გამომცხვარ პურს მაინც შეჭამ კაცი და შენი ძროხის ყველს მაინც წაიტეხავო. ეგ კი მართალია, მაგრამ ისე არც სოფელში ჰყური ბევრი არაფერი დღეს. ძროხაო, რომ ბრძანე, იცი რავარი შესანახავია ძროხა დღეს? ეს მანგლისელი ქალი, აგერ ნახევარ ლარად რომ ჰყიდის მანონს და ვეჩეუბებით. მიკვირს, უფრო ძვირად რომ არ ჰყიდის. იანგარიშე, მარტო თივა რამდენი სჭირდება ძროხას ზამთარში. მოვლა-დასუფთავებას ნუ ჩათვლი, თუ გინდა, ნურაფრად.

სოფელში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ მე და არ მცნობია თურმე სოფელი. სოფელს თავისი კანონები ჰქონია, ისეთი კანონები, სანამ შენს თავზე არ გამოცდი, რომ ვერ მიხვდები. არავინ რომ არ გეტყვის და ვერსად ვერ ამოიკითხავ.

პროფესორი კაცი გახლავართ მე. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. სამოცის რომ შევსრულდი, მოვკიდე ჩემს ბებერ ცოლს ხელი და ვუთხარი: შვილები უკვე დაზრდილ-დაფრთიანებული გვყავს. ორივეს თავისი ოჯახი აქვს და ამ-

გენს ჩვენ მაინცდამაინც აღარ ვჭირდებით, წავიდეთ სოფელში, დარჩენილი ორიოდე წელიწადი მშვიდად, ჩვენთვის, გუგულებივით წყნარად გავატაროთ. მიწა მეძახის, თოხი მომენატრადა, რაც მთავარია, მინდა, სოფელს რაღაცაში გამოვადგე. ეს ჩემი ცოდნა-პროფესორობა ჩემს სოფელსაც მოვახმარო. ჩემი სახელი და გამავლობა იქ უფრო სჭირდებათ, ბოლოს და ბოლოს ჩემი გამზრდელი სოფელია და სხვა არა იყოს რა, ვალი მაქვს მისი-მეთქი.

მართლაც, ასე მოვიქეცით, ავაძრე ორმოცი წლის ბოქლომი ჩემს მამაპაპეულ ოდა-სახლს, გავიარე ბალახმორეული ეზოს ბილიკზე, დავანთე ცეცხლი გაცივებულ ბუხარში.

გაუხარდა სოფელს ჩვენი ჩასვლა. მეზობლის ქალებმა ზოგმა წინილები მოგვიყვანა, ზოგმა ინდაურის ჭუკები გვაჩუქა, ძვირს როგორ ვიტყვი, დატრიალდნენ კაცები, ეზო გამითიბეს, ბარვაში მომეხმარნენ, სამზადის გადახურვაზე ხელი წამიკრეს.

სულ სხვა დღეები წამოვიდა. გავცოცხლდით, რომ იტყვიან, ორივენი. ძროხა ვიყიდეთ, სოფლის მორიგე მწყემსებს და-ჰყავდათ საბალახოდ და საღამოთი მოგაყენებდნენ ჭიშკარზე გამძლარ-დარწყურებულს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, გაუთავებელმა საქმე-ფუს-ფუსმა, სოფლის იდილიამ, ლამის ახალგაზრდობა დაგვიბრუნა. სადაა წევა, სადაა შარდის შეკავება და გულის ფრიალი.

ასე გაგრძელდა ერთ წელიწადს. ერთი წლის მერე ბუხართან ჯდომამ, ძროხის სკორემ, ცოცხ-ნიჩობამ, ლაფაროში ჭყაპუნმა, ტალახის ზელვამ, სიმინდის სოკომ, ვაზის ჭრაქმა და, რაც მთავარია, სულშიხელისწამჭერმა ერთფეროვნებამ, ერთიანმა დილა-საღამომ თავისი გაიტანა. შვილიშვილები მომენატრაო და, ჯერ ერთი თვით გამექცა ცოლი ქალაქში, მერე ორი კვირით ჩამოვიდა და ისევ ჩაბრუნდა. შემატოვა ამხელა საქმე ხელში. აშკარად ვხედავ, ჩემი ხათრით მიდი-მოდის, თვარა ყელში აქვს ამოსული აქაურობა.

ცოტა, გითხრათ სიმართლე, მეც შემიღიტინა მოწყენის ჭიამ, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ, ჯერჯერობით ვარ ვაუკაცურად.

რაც შეეხება სოფლის გამოდგომას, ორად-ორი შემთხვევა მქონდა. ერთი: მეზობლის ბავშვს გავატანე წერილი მათემატიკის კომისიის თავმჯდომარესთან ჩემს ინსტიტუტში, სასწავლებელში, სადაც ოცდაათი წელი ლექციებს ვკითხულობდი. ამ ბავშვს მიმიხედვე, ჩემი კარის მეზობლის შვილია-მეთქი. რას დავწერდი სხვას. კარგად მიმიხედვა: პირველივე გამოცდაზე (მათემატიკა) სტკიცა ორიანი და გამოუშვა. მეორე შემთხვევა ასეთი მქონდა: თანასოფლელის რძალს ვუშუამდგომლე სოცუზრუნველყოფის სამინისტროში: შტატების შემცირებები დაწყებულა, ეს ქალი ორი შვილის დედაა და ვინძლო, არ მოაყოლოთ-მეთქი შტატების შემცირებაში. მიუტანია ჩემი წერილი მინისტრთან, მაგრამ შემცირების პირველივე ტალღაში მოუყოლებიათ.

ეს იყო და ეს. მეტი ჩემთან, დამეხმარეო, აღარავინ მოსულა. ამ უილბლო შუამდგომლობებიდან მე ჩემი დასკვნები გავაკეთე; ჯერ მანდ რომ იყავი, ქალაქში ვინ გაგდებდა რა-მედ და ახლა, წამოსულ კაცს, ვინ რა ჩირად ჩაგთვლის-მეთქი. სოფელმაც, რასაკვირველია, თავისი დასკვნები გააკეთა.

დაინტ ჩემი სოფელში ყოფნის მეორე გაზაფხული. აღარავინ მიმტვრევს კარს, მოგეხმარები მიწის დამუშავებაშიო. მეზობელს ტრაქტორი ჰყავს, ჩემს ჭიშკარს ჩაივლის ყველდღე რახრახერუბუნით. აქეთ არც იხედება, რას ვემართლები ამ ხალხს, ყველას თავისი გასაჭირი ჰყოფნის-მეთქი, დავადექი და მარტომ დავბარ-დავთესე ამოდენა ყანა.

ერთ კვირაში სამჯერ რომ „დაავინყდა“ მწყემსს ჩემი ძროხის წაყვანა, მივედი და პირდაპირ ვუთხარი: ვხვდები მე, რაშიცაა საქმე, ჩამრთეთ, ბიძია, მეც მორიგეობაში, ჯერ არ ვარ დავარდნილი. გავიხსენებ სიყმანვილეს-მეთქი, უარი არ უთქვამს.

საქმე ჯანდაბას, ისედაც ვიგრძენი, საერთოდ, რომ სოფელს დიდად არ ვაინტერესებ, ძველებურად აღარ მეძახიან და სუფრის თავში აღარ მსვამენ. ეგ კი არა, სოფლის ნოქართან პატარა შელაპარაკება მომივიდა, წყლად წასულ მარილს რომ ჰყიდი, დადევი, შე კაცო, მშრალზე-მეთქი. ცეცხლს ვერ შევუნთებ და თქვენი დუქანი ეგ არიო. თუ ასე გტკივა გული და ჩემი ნოქრობა არ მოგწონს, ა, ბატონო, ბოქლომი. დიდად არ დამწყდება გული. წევე დიდი მოგებას ვნახულობდე აქანაო. მოკლედ, მე ჩემი ვუთხარი, იმან თავისი მითხრა და ბოლოს, რომ გამოვდიოდი, ვითომ კედლების გასაგონად ჩაილაპარაკა: მაგნაირი რომ იყავი, მიტომ შეგელიენ ქალაქშიც ასე იოლადო. გავიგონე, სიბრაზისაგან ყელი გამიშრა, მაგრამ აღარ შევბრუნებულვარ, ვიცი ჩემი თავის ამბავი, რომ გამოვალ წონას-წორობიდან, მოზომვა მიჭირს.

მთელი ამ ამბიდან ერთ რამეს მივხვდი: სოფელი თურმე, სტუმარი თუ ხარ, მაშინ გაფასებს და გევლება თავზე, თვარა, რავარც გვერდით დაუდგები და იმასავით ათენა-აღამებ ბარვა-ფარცხევაში, იმასავით მიაჩერდები ძროხის უკანალს, ესეც ჩემნაირი ყოფილაო და მაშინვე დაკარგავს ინტერესს შენს მიმართ.

ის ზამთარი გავაძალე მარტომ, როგორც იქნა და მესამე წელიწადს ვეღარ ვუცადე, ადრე გაზაფხულზევე მოვძებნე ჩემი ოდის ძველი ბოქლომი და წამოვედი.

ადრე გაზაფხულზე რომ არ წამოვსულიყავი, მერე გამიჭირდებოდა, სასხლავს რომ დაიკავებ ხელში და ხეებს შემოუბარავ, მიტოვება გაგიძნელდება, საქმეზე მიბმა იცის სოფელმა.



## ვის ვუყვარვართ ეგრე...

ძალლ თუ ტელეფონზე ლაპარაკი შეეძლო, არ მეგონა, კაცო?!

გერმანულ ავჩარკაზე გელაპარაკები.

„ბერტა“ ერქო.

მაშინ ჯერ კიდევ ყოჩალად ვიყავ, ყარაულად ვმუშაობდი მან-დეთ, თავბუის ზემოთ, რცხილებში რო ორი გრძელი სახლი დგა.

ის სახლები კომუნისტებმა ააშენეს ამ ოცი წლის წინათა, რავი, რითვინ ააშენეს.

კომუნისტებ ბევრი შეკითხვები არ უყვარდათ.

უდარაჯე ამ სახლეებსაო, მექვენაანთ კოლამა (მაშინ თემს-აბჭო თავმჯდომარე იყო) და მეც ვყარაულობდი.

ორ თვეში ერთხელ ჩამაივლიდა და ხელფას მაძლემდა.

მერე მთავრობაი რო გაუქმდა და ყაჩალობა დაიწყო, იქვე ვათევდი ლამებ. კოლა, მართალია, ხელფასს ვეღარ მაძლემდა, მაგრამა იქვე ეზოში ბადრიჯან-კარტოფილსა ვთესამდი და თავ ვიქცევდი.

ეგეც არ იყო, გასაპარტახებლად მენანებოდა ამოტოლა სახლები.

ვფიქრობდი, ადრე თუ გვიან ამ სახლებსაც პატრონი გამაუჩნდება და ჩემი შრომაც დაფასდება-მეთქი.

ამ ორი წლი წინათ კოლამ სამი ზურგჩანთიანი გერმანელი ჩამაიყვანა ეზოში.

ესენიო, კოლამა, დღეიდან შენი უფროსები იქნებიან, ძეხვი საამქრო უნდა გამართონ და შენს ბედსაც ძალლ აღარ დაჰყევისო.

ის ძალლიც – „ბერტაი“ მათ ჩამაჰყვათ.

მაღალფეხება იყო, შავზურგცხვიროსანი. წელში ლამაზად გაზნექილი, თავყურალერილი.

მოვიდა, ერთი დამსუნა და მაშინვე დამიძმაკაცდა.  
იმაი ჩემთვის ალარ შაუეფავს.

ისე, იცოცხლე, ავი იყო.

საქონელ არ გააჭაჭანებდა ეზოში.

ნაბიჯნაბიჯ კილომეტრში სცნობდა.

ყურებ წინ წამაცქევეტდა და დაიღრენდა, ამით პატრონებ  
ატყობინებდა, ვიღაც მოდის და ფხიზლად ვიყვნეთო.

სამივენი ეპატრონებოდნენ, მაგრამ ყველაზე ახლოი ზორ-  
ბა გერმანელთან ჰანსთან იყო.

თუ ჰანსი დაღლილი, ან უქეიფოდ გახლდათ, ბერტაი მუხ-  
ლზე თავ ჩამადებდა, თვალებში შესცქეროდა და დროდადრო  
წკმუტუნებდა.

თითქოსდა ეკითხებოდა: რა მოგივიდა, რათა ხარ ენგრეო.

რომელიც ვირი იშრომებს, ეგ გერმანელები რო შრო-  
მობდნენ.

პირველი სართული ძირი-ძირამდე გაასუფთავეს, შელე-  
სეს და თეთრად შელებეს, თვი თავზე ამ ზალისხელა ოთახ-  
მაცივრები ჩამაუვიდათ, გამართეს და აკუმულატორ-გენერა-  
ტორებიც დაამონტაჟეს.

ე გენერატორები სასწრაფოდ გამაინერეს გერმანიიდან.

ერთი დღი ჩამოსულები იყვნენ, დენი რომ ჩაქრა.

გიუბივით გამოვარდნენ ოთახებიდან, რა მოხდა, დენი  
რად ჩაქრა, მომ ხომ არ დაიწყო.

სამივემ იცოდა საყველპურო რუსული და მაგებინებდნენ,  
თორო მე იმათი გერმანულისას რას გავიგებდი.

რა მოხდა, რა დაფეთდით ტურებივითა, დენი იმითვინ არი  
რო უნდა გამაირთო მეთქი.

რათაო, ვინა სთიშამსო.

ეგა ენგრეა საქართველოში, რაც კომუნისტები წაშავდნენ,  
სინათლეი ღამე არ გვღირსებია მეთქი.

უნა-უნა გავარდნენ თბილისში მეორე დღესვე და ორი  
კვირი თავზე კანტეინერით ძვირფასი აგრეგატი-გენერა-

ტორები ჩამოუვიდათ. ორი სალიარკაზე მუშაობდა, ერთიც-  
ბენზინზე.

სექტემბერში ჩამაივიდნენ და ოქტომბრი დასაწყისში ძეხ-  
ვიც გამაუშვეს. გერმანული ძეხვი თუ გიჭამნია, ჩვენებურ კუ-  
პატ წაგავს. ოღონდ წითელია და, ღმერთო შაგცოდე, უფრო  
გერმიელიც არი.

ვერ ვიფიქრებდი, თუ გერმანელები ეგეთი მშრომელ-  
მუყაითები იყვნენ.

დილიდან საღამომდე მათი გაჩერება არ იყო.

სახორცე უშობელსა სუ თითონ არჩევდნენ ჯოგში და ჰყ-  
იდულობდნენ.

თუ გამხდარი იყო, ან უკანალ ცუდად მიათრევდა, აპაპაპა  
ახლოი არ გაიკარებდნენ.

ერთ დედაბერ კლდიდან ძროხა გადავარდნოდა, იყიდეთ-  
მეთქი, იაფად გაძლევთ-მეთქი.

შენაო, ჭკუიდან ხომ არ შაჰქანდიო, ვერა ჰედამ? სულსა  
ჰლაფავსო.

სუ თეთრი ხალათებო ეცოთ, კაცი დავბერდი და სისუფ-  
თავეზე ენგრე თავგადამკვდარი ხალხი არ მინახამს.

სუ აჩეებით სინჯამდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულსა; თავვზე  
ხო ლაპარაკი ზედმეტია, ე მანდ სადმე ტარაკანა არ შეგვეპ-  
აროსო.

ორშაბათობით კოხტად შაჰფუთამდნენ ძეხვსა და ქალაქს  
მიჰქონდათ.

გასაღებაი არ გვიჭირსაო, ამბობდნენ. ორი ამდენიც რო  
დავამზადოთ, გავყიდითო. მთელი საელჩოები და რა ჰქვიან,  
საკონსულოები ჩვენს ძახვს მიირთმევენო.

ალიონიდან მზი ჩასვლამდე ხო მუხლჩახრილს ვერ ნახამდი  
ამ ჩემ გერმანელებსა. საღამოობით აივანზე სხდებოდნენ, შავ  
ღვინოს (განსაკუთრებით ყვარლის ქინძმარაული მოსწონდათ)  
წრუპავდნენ და მთვარით განათებულ კავკასიონის ფარდას  
შესცქეროდნენ.

გიუდებოდნენ კავკასიონზე.

მგონი, სწორედ მაგ კავკასიონის გამო, მეც რაღაცნაირი სიყვარულით და მოწინებით შამამცქეროდნენ. ე რა მაგარი ხალხი ყოფილხართ, როგორ მოახერხეთ ამოტოლა მთების ხელში ჩაგდებაო.

ამ მზისა თუ ქინძმარაული გამო სახეზე ბრონეულის ფერი დაედოთ და კისრებიც კარგა გვარიანად დაუსივდათ.

წალამზე მწვად რომ შავნვამდი, სუ ელეთ-მელეთი მოს-დიოდათ, თავ ვერ იკავებდნენ, ღმერთმა შაარგოთ, მადი-ანად სჭამდნენ. მერე იცინოდნენ და მუცლებზე ხელებ იტყა-პუნებდნენ, ღორებივთით ვსუქდებითო.

ღორ მაგათ ენაზე „შვაინ“ ჰქვიან.

ჰოდა, იმ ძალლზე მოგახსენებდით, „ბერტაზე“.

გერმანელები საშობაოდ გერმანიას გაემგზავრნენ და ბერ-ტა მე დამიტოვეს.

ჯერ იყო და ჩევეულებრივად შახვდა ბერტაი იმათ წასვლა-სა, ხელები აულოკა ჰანსსა, როგორც იცოდა, და მანქანამდე მიაცილა.

სალამოი ჭიშკართან ელოდა.

ფეხი არ მოუცვლია.

შუალამისას ყეფით შამაურბინა ეზოსა, ვერ ისვენებდა, ტანი რაღაცას ცუდს უგრძნობდა. შამამივარდა სამორიგეო ოთახში და შარვალი ტოტზე კბილი წამატანა, გამოდი გარე-თაო. რა მშვიდად ზიხარ, ჩემი პატრონები არ ჩანანო.

ნუ ჰლელამ-მეთქი, ძალლო, ორ კვირაში ჩამავლენ-მეთქი.

გაგონებაც არ სურს ჩემი ნათქვამისა.

სალაფავი რო დავუდგი, პირი არ დააკარა.

შემომილრინა კიდეც შიგა და შიგ, აქაოდა შენი ბრალია ყველაფერიო.

მერე ჭიშკართან მიეგდო და თითებ თავი ჩამოადო.

ცრემლიანი თვალებით შამამცქერის, კაცო.

თვალებით მელაპარაკება: მე რათ არ წამიყვანესო. განა რა დავუშავე ეგეთიო. ჰანსმა მაინც როგორ გამწირაო. სამი დღე გავიდა.

არაფერს სჭამს ბერტაი. ზოგჯერ წყალ ამაჟურამს ენასა. ეგ არი და ეგა.

მეოთხე დღეი გერმანელების ოთახი გავაღე, რაღაც დამ-ჭირდა, ახლა აღარ მახსოვს, მგონი წყლის მოსაშვები, რაზ-ვადნო.

სად იყო და სად არა, ბერტაც შამამყვა. გაშმაგებული მივარდა ჰანსის საწოლსა. ჰსუნამს, დრუნჩის ბალიშქვეშ ჰყოფს, თითქოსდა რაღაცას დაეძებს. საბანიც დაითრია.

პატრონი რო ვერ იპოვა, ყეფა დამიწყო.

სად არი, რატომ არ ჩანსო.

ძლივ გამოვათრიე ოთახიდანა.

საჭმელ არც მიეკარა,

მივიდა და ისევ ჭიშკართან დაეგდო.

იმ საღამოს გერმანიდან ჰანსმა დარეკა.

ბერტა რასა იქმსო, პირველი ეგა მკითხა, მოწყენილია, არაფერს სჭამს-მეთქი.

შალონდა გერმანელი.

აპა, დაუძახე და ყურმილი ყურზე მიადეო.

დავუძახე.

არ მოდის ბერტაი.

ბერტა, მოდი, შე სულელო, ჰანსი გეძახის- მეთქი.

ჰანსის ხსენებაზე წამოხტა.

მოირბინა, ყურმილი ყურთან მივუტანე.

ენით ვერ აგინერ, რაც ძალლს დაემართა.

ყეფს, ყმუის, წკმუტუნებს, ტირის...

უსმენს, უსმენს, ცრემლი ჩამასდის, კაცო!

ვის ვუყვარვართ ჩენ ენგრე – ცოლსა თუ შვილებსა, მითხარი ერთი, ვის ვუყვარვართ.

ცოტას რომ მოვაცილებ ყურმილ, ერთ ამბავშია. ჰყეფამს, ახლოი მოსწიე, არ მესმის კარგადო.

ერთი სიტყვითა, არ ვიცი, რა უთხრა ჰანსმა ტელეფონში, იმ ღამით სჭამა კიდეცა და ხელიც ამილოკა.

რომელი ადამიანიშვილი მოიქცევა ეგრე ჭკვიანადა, რო ის ათი დღე იქცეოდა.

ნაბიჯზე არ მშორდებოდა, საწყობ სდარაჯობდა, რასაც დავუდგამდი, სჭამდა, ჭიშკართან იწვა და ჰატრონ ერთგულად ელოდებოდა.

ეზ იყო, ტელეფონ გულგრილად ვერ ჩაუვლიდა.

დაიანახამდა თუ არა კარადი თავზე შემოდგმულ ტელე-ფონსა, შნურს ჩავლებდა და ჩემსკენ ეწეოდა; აქანდე, ჰანსი ზის ყურმილშია და დამალაპარკეო.

ძალლი? სასწაულია, ბატონო, აბა, რა არის.



## სავალალო აგბავი

(ნოველა აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან)

ნატალია ბაზილევსკაია რუსი არისტოკრატის ქალიშვილი გახლდათ, აკაკი ბრწყინვალე ქართველი თავადის როსტომ წერეთლის თვალის სინათლე ბიჭი.

შესახედავადაც ორივენი მოხდენილები იყვნენ და იფსკნეს ჯვარი.

მთავარი მიზეზი მათ შეულლებისა, რასაკვირველია, სიყვარული იყო, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, ცოტა როგორც პოლიტეკნიკომის უნიჭო ლექტორი გვეტყოდა ხოლმე: „მატე-რიალურმა წახალისებამაც“ წაუბიძგათ.

ჩრდილოეთის მშვენიერ ასულს რომ მაღალი, ხუჭუჭოთმი-ანი ქართველი თავადი მოეწონა, იმ დროს მამა-პაპური სიმ-დიდრე მთელს რუსეთის იმპერიაში ასიდან სამს თუ ჰქონდა შერჩენილი.

ბაზილევსკების ფული უკვე გადაეწოვა პეტერბურგელი გილდ-ვაჭრების ქისას, ხოლო როსტომ წერეთელს (მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება) თავისი ქონება უკვე კარგა ხნის წინ დაემდერებინა.

როცა ამური ზეობს, მოტრფიალენი კუჭზე არ ლაპარა-კობენ, ხოლო აკაკიზე უკეთ ვინ იცოდა, რომ „სიყვარული ყველასათვის ვალია“ და იგი „განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია“.

ისე ჩვენს შორის დარჩეს, გულის სილრმეში ხანდახან გაჰ-კრავდა ხოლმე ფიქრი:

არისტოკრატკა გოგოა, პეტერბურგის მაღალ წრეებთან დაახლოებული, შევირთავ. ჯერ ერთი, ნახევრადმშეირი მეგო-ბრები ცოტას ამოვისუნთქავთ და მერე იმპერიის დედაქალაქ-

ის ძნელად შესაღწევ სალონებთან დამაკავშირებსო.

ულამაზეს ნატაშასაც გამოუწია გულმა ზღაპრული კავკასიონისკენ. როგორც აკაკი მეუბნება, წერეთლების გვარი გავლენა-სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო გვართა სამეულში შედის, დავუკავშირებ ბედს კავკასიას, ამ მზიან-ხილიან კურორტ ქვეყანაში ზაფხულობით ჩავალ და თითქმის გაკოტრებულ ოჯახსაც ხელს შევაშველებო.

გავიდა თაფლობის თვეები და ახალყოლთა თავებში სხვა-ნაირი ფიქრი გაკრთა.

რა მეჩქარებოდაო, დაინუნუნებდა ხოლმე აკაკი მაშინაც კი, როცა მთელი საქართველო „უგვირგვინო მეფეს“ და „საქა-რთველოს ბულბულს“ ეძახდა, ხოლო ნატალია ბაზილევსკა-იას, როგორც კარგად აღზრდილი ქალის, წერილები აშკარად სინანულს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ ყველა წერილი თითქმის ერთნაირი შინაარსისაა – ლოლია უკვე დიდია და, როგორც გინდა (თუნდაც ქვა გახეთქ) იშოვე ფული და გამომიგზავნეო.

საქართველოს ბულბულს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბის ჭია ხრავდა და კვირაში სამი დღე თუ „თორნიკე ერისთავს“ წერდა, სამი დღე იმას ფიქრობდა, ფული რა გზით ეშოვა.

რედაქციები რომ ორ კაპიკს გადმოუგდებდნენ, სასტუმ-როს (ბინა სხვიტორის გარდა არსად ჰქონდა, არც ქუთაისში და არც თბილისში) და სამჭლის ფულად ძლივს ჰყოფნიდა.

თუ რამე გადარჩებოდა, ბანქოში აგებდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბანქოს თამაშობდა და არაფერი მოუგია, მაგრამ ჯიუტად არ ეშვებოდა.

ზაფხულობით მეუღლე და შვილი სხვიტორში ეწვეოდ-ნენ, ნატალიას საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ვერ გააგონებდი.

პირველ ხანებში აკაკის აძალებდა პეტერბურგში გადმოს-ვლას, მაგრამ მგოსანი ერთსა და იმავეს პასუხობდა: რა გავა-კეთო ჩემი ქართული ლექსებით მანდო.

მერე და მერე მიხვდა ცოლი რომ აკაკის პეტერბურგისკენ ვერ გადაქაჩავდა და აღარც იუინებდა მაინცდამაინც.

ერთადერთი, რასაც არ იშლიდა, ფულის გაუთავებელი მოთხოვნა იყო, თანაც ზოგიერთ წერილში მოთხოვნაში აქა-იქ მუქარაც გაერეოდა ხოლმე.

ზაფხულობით ჩამოდიოდა-მეთქი, ნატალია სხვიტორში და, მართალია, წერეთელთა საგვარეულო სახლის აივნიდან მერ-ჯევს და მოდინახეს საათობით შესცეკროდა, მაგრამ მწვანე სანახებს რომ თვალს მოაშორებდა, ახლომახლო არაფერი მო-სწონდა. არც უშნო, მოუწყობელი სახლი, არც ქართული წინა-კიანი კერძები და არც ხელნაწერს მიჭიჭინებული წვეროსანი ქმარი.

ერთადერთ მოსამსახურეს აიძულებდა ჩიხურადან ყოველ-დღე 15 კოკა წყალი მოეტანა და აგურის დიდი აპაზანა აე-ვსო, რათა კნეინას ყოველდღე მინერალურ წყალში (როგორც თვითონ ეძახდა) ებანავა. ჩიხურა კი საკმაოდ შორს იყო და საწყალი მოსამსახურე წელში წყდებოდა, სანამ ახირებულ ქა-ლბატონს აპაზანას გაუვსებდა.

ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მიგყავსო, დაინყებ და შუაგზაზე მიატოვებო, ქართველი და ასეთი უნიათო არ გამი-გიაო, ჩაულაპარაკებდა ხოლმე ბუზღუნა ცოლი და თავგა-ბეზრებული აკაკი დღეებს ითვლიდა, როდის გაისტუმრებდა ოჯახს პეტერბურგში.

ნატალია ბაზილევსკაიას ნათქვამში ცოტა სიმათლე ერია.

აკაკი წარმატებით სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მა-გრამ სწორედ მაშინ, დამამთავრებელ „ეგზამენებამდე“ რომ ხუთიოდე თვე იყო დარჩენილი, გიმნაზია მიატოვა და საჩერ-ეში დაბრუნდა.

რატომ ჰქენი ესო, რომ ჰკითხეს ახლობლებმა, ჩემ ძმასა-ვით სამხედრო სამსახურში მინდა შესვლა და ამ გამოცდებით რაზე გავიწვალო თავიო, გიმნაზიის დიპლომი აღარაფერში დამჭირდებაო, უპასუხა.

არადა დაჭირდა.

ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. სამხედრო სამსახურში შესვლა არც უფიქრია, იქ ქართველ სტუდენტებს შეხვდა და უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა.

უნივერსიტეტში გიმნაზიის დიპლომი მოთხოვეს და რაკი არ ჰქონდა, თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

აკაკიმ ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში გაიარა საუნივერსიტო კურსი – ყველა გამოცდა მაღალ ნიშანზე ჩააბარა და დეკანმა განუცხადა – წადი, ჩააბარე რომელიმე გიმნაზიაში ექსტრნად გამოცდები, ცნობა მოგვიტანე და დიპლომს გამოგინერთო. კარგი, ასე მოვიქცევიო, დაყაბულდა დეკანს აკაკი, მაგრამ არც ამჯერად შეასრულა სიტყვა. გიმნაზიის საგნები არ ჩააბარა და ამის გამო არც უნივერსიტეტის დიპლომი მიუღია.

იცოდა თუ არა ბაზილევსკაიამ, რომ აკაკი ორი სასწავლებლიდან უდიპლომოდ გამოვიდა, ჩვენთვის უცნობია.

ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეო, კერინა სხვა საქმეებზე მიანიშნებდა: ერთადერთი „ბოლომდე მიუყვანელი საქმე“ ჭიათურის მარგანეცის საქმე იყო, მაგრამ ამ საქმის „ჩავარდნაში“ აკაკი არ იყო დამნაშავე და ეს ნოველაც იმიტომ იწერება, რომ პოეტს თანამეცხედრის უსაფუძვლო ბრალდება ავაცილოთ.

ცხოვრებაში ორი რამის იმედი ჰქონდა – ბანქოში ფულის მოგების და მარგანეცის შავი ქვისა.

არც ერთმა არ გაუმართლა.

მარგანეცის საქმე ასე იყო:

ბავშვობიდან ახსოვდა: ერთხელ მამამისმა სოფელ წირქვალიდან ხორბლის მომტანი დატუქსა: ხომ გითხარი, შეკაი კაცო, ქვაგუნდა არ შეაყოლო-მეთქი, ეგ ხორბალი კაცს აღარ ეჭმევა, სხვა კოდში ჩაყარე ქათმებისთვისო.

ქვა-გუნდა, რა არიო, აკაკიმ იკითხა (მაშინ თორმეტი წლის იყო).

ქვა-გუნდა, შვილო, შავი ქვაა, ჭიათურის სოფლებში ყველან ჰყორია. თუ ხორბალს შეჰყვა, ფქვილს აშავებს და კუპრივით შავი ჰური ცხვებაო.

მოგვიანებით პეტერბურგში სტუდენტობის დროს „სამეფო უნივერსიტეტში“ პროფესორ აბიხის სტატია წაიკითხა: შავი ქვა ანუ მარგანეცი ძვირფასი მინერალია, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, რეინის პირას მოიპოვებენ, იქაც მადანი უკვე იღევა და რა ეშველება მსოფლიოს უმარგანეცოდ არ ვიციო, წუხდა აბიხი. ეჭვი მაქვს, შავი ქვა საქართველოშიც უნდა იყოსო, დასძენდა.

აბიხის სტატიის წაკითხვისას სტუდენტს ქვა-გუნდა გაახსენდა, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდხანს არ გაჰყოლია, მით უმეტეს, რომ არ იცოდა, ქვა-გუნდა თუ მარგანეცი აღმოჩნდებოდა.

მერე, როცა საქართველოში დაბრუნდა, უსახსრობის გამო ქამარი არაერთხელ მოიჭირა და პეტერბურგიდან ნატალიას წერილებმაც იმატა (ჰე, რას შვრები ახლა; ცოლ-შვილს რომ მოეკიდე, რჩენა რომ უნდოდა არ იცოდიო?!?) მაძიებელ გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ჭიათურის შავი ქვა.

თბილისიდან გეოლოგი სეიმონოვიჩი ჩამოიყვანა.

სეიმონოვიჩმა ერთი თვე დაჲყო საჩხერე-ჭიათურაში,

აკაკი გვერდიდან არ მოშორებია. პირველ დღესვე ლუპით დახედა თუ არა, გეოლოგმა მამინვე ახარა პოეტს: წყალი არ გაუვა, სწორედ მარგანეცია.

დანარჩენი 29 დღე სვიმონიჩი და მისი გულუხვი მასპინძელი დასეირნ-დაცხენაობდნენ ჭიათურის სოფლებში. აკაკის იმის გაგება სურდა, ბევრი იყო თუ არა მადანი. ბახუსის მოყვარულ სვიმონიჩს კი, ჩანს, გაუტკბა „ძველშავი“, „უსახელოური“, ნებოში გამომცხვარი ჭადი და კეცში შემწვარი ვარიები.

გაირკვა, რომ ჭიათურაში ლამის ულევი მადანი იყო და ვინც მარგანეცის მოპოვებას დაიწყებდა, თვითონ ხომ გამილინერდებოდა, ქვეყანასაც ააღორძინებდა.

საქმის დასაწყებად ფული იყო საჭირო.

აკაკის ყველაფერი ჰქონდა (ნიჭი, ჯანმრთელობა), ფულის გარდა.

ჩამოუარა იმერელ თავადებს.

დაიწყებდა თუ არა შავ-ქვაზე ლაპარაკს, მისი მოგვარენიც კი საეჭვოდ შეხედავდნენ, პირში არ ეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ქირქილებდნენ: – „როსტომ წერეთლის ბიჭი შეშლილა, რაღაც შავ ქვაზე აბოდებს. ფული მთხოვა, ჯერ ერთი სადა მაქვს, კიდეც რომ მქონდეს, შავ ქვაში რავა ჩავდებო. არა და გარეგნულად რა მშვენიერი ბიჭია, რატომ უნდა მოსვლოდა ეს ამბავიო“.

არ გეგონოთ, რომ რაც ახლა წაიკითხეთ, ნოველის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. თვითონ აკაკი წერეთელი წერს:

„ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს – ვაი, რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ ქვას დასდევსო“.

იმერეთში რომ ვერა გააწყო რა, აკაკი თბილისში ჩამოვიდა, ამილახვარ-ორბელიან-მაღალაშვილები, რასაკვირველია, ზრდილობის გულისთვის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ფულის ჩადებაზე რომ მიდგებოდა საქმე, ხელებს ასავსავებდნენ – იცოცხლე, ეგ კარგი საქმე იყოს, თავადიშვილო, მაგრამ ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა, ჩვენ მხოლოდ სახელი და დიდებალა შეგვრჩა. ფული თბილისში მხოლოდ სომეხ სოვდაგრებს აქვთ და იმათ მიმართეთ.

მიმართა აკაკიმ სომეხ ვაჭარ შაბუროვს.

ფულის მეტი რა მაქვსო, სომეხმა, მაგრამ შავ-ქვაში რომ ფული გადავაყარო, მარტო შენ კი არა, მეც გიუად გამომაცხადებენო. უფრო ნაღდი რამე მოიფიქრე და მოდიო. კრიალოსნის მარცვლით აუწყა შაბუროვმა.

აქ არაფერი გამოდისო და დაჯდა წერად აკაკი.

აგზავნის საზღვარგარეთ წერილებს: ასე და ასეა საქმეო.

საქართველოში უამრავი მარგანეცია, ჩამოდით და თქვენც აშენდებით, მეც და ჩემი ლატაკი ხალხიცო.

ამასობაში თორმეტი წელი გავიდა.

გააფორებული ბაზალევსკაია პეტერბურგიდან ფულს გაორკეცებული ენერგიით ითხოვს.

აკაკი გამდიდრების იმედს არ კარგავს.

„კიდევ ცოტაც მოითმინე, მარგანეცს თავს დავადგამ და შენ და ლოლიას ოქროს უზალთუნებით აგავსებთო“.

თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან აკაკიმ თავისი ხარჯით (ნასესხები ფულით) რვა კომპანია ჩამოიყვანა. ევროპელები ბუტბუტით ათვალიერებდნენ ჭიათურის მიუვალ სოფლებს („საცალფეხო გზაც არსად იყო“, – წერს აკაკი), მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობდნენ შავი-ქვის რენვაზე ორი მოტივით: ჯერ ერთი საურმე გზამდე მარგანეცის ჩამოტანა ოთუსბირი დაგვიჯდება და მეორეც; აქ, როგორც ვხედავთ, ველური ხალხი ცხოვრობს, „ადამიანს ისე სჭრიან თავს როგორც ხახვსო“.

„აი, მაგ უკანასკნელზედ კი ბოდიში მოიხადეთო“, წყრებოდა აკაკი, ჩემი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია და უბატონოდ არავის მიმართავსო.

ერთი სიტყვით, ბოლოს პეტერბურგში (ისევ ჩვენი „მხსნელი“ პეტერბურგი) შინაგან საქმეთა მინისტრ მაკოვამდე მიაღწია აკაკიმ და მაკოვმა შესთავაზა – შავი ქვა, როგორმე პეტერბურგამდე (რა პატარა მანძილია?) ჩამომიმტანე და საზღვარგარეთ მე გავგზავნიო.

პეტერბურგამდე კი არა, სამ ვერსზე ჭიათურის სოფელ წირქვალიდან საურმე გზამდე ვერ ჩამომაქვსო, ცრემლი მოერია აკაკის.

აბა, რა გიყო, გენაცვალე, მე წყალში მოდგაფუნე თევზის მუშტარი არ გახლავარო, მაკოვმა.

კიდევ კარგი, ხელშეკრულება არ გაფორმდა, თორემ აკა-

კის ვალებს ხუთი იმდენი დაემატებოდა. ერთ თვეში მაკოვმა თავი მოიკლა. რასაკვირველია, არა შავი ქვის მიზეზით.

ბოლოს მაინც გამოძებნა „განთიადის“ ავტორმა კომპანიონი – გვარად ოსტრიაკოვი.

ოსტრიაკოვს მთლად მილიონერი არ ეთქმოდა, მაგრამ შეძლებულ კაცზე მეტი იყო.

შეთანხმდნენ: აკაკის ფოთში ოთხი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი უნდა ჩაეტანა და ფოთიდან „პარახოდით“ (აკაკი სწერს ასე) ოსტრიაკოვი წაიღებდა. თითო ფუთ მარგანეცში აკაკი სამ აბაზს მიიღებდა, ხოლო, ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა „შტრაფი“ (აკაკის ტერმინია) ასი ათასი ფრანკი;

დატრიალდა აკაკი. ჯერ ანდრონიკაშვილის ქვრივს, სალომე წერეთელს მიადგა; შენს ეზოში შავი ქვაა, უნდა გავიტანო და მიწა იჯარით მომეციო. გასამრჯელოდ წელიწადში 500 მანეთს მოგცემო. სიხარულისგან ცას ენია ქალბატონი სალომე. რად გინდა იჯარა, ჩემო აკაკი, ხუთას მანეთად მთელ ეზოს საკუთრებად მოყიდიო, იუარა აკაკიმ. შენ არ იცი, რა სიმდიდრეა შენს ეზოში, მე ვერ ვისარგებლებ შენი უმეცრებით, ამიტომაც იჯარით ვიღებ მიწას წელიწადში 500 მანეთადო.

ქვრივი გაკვირვებული და გახარებული დარჩა.

ფოთში „პარახოდი“ იცდის.

აკაკის ნასესხები ფული ხელში უჭირავს, მაგრამ გზამდე შავი ქვის ჩამომტანი ვერ იშოვა.

ბოლოს ვიღაც ღვთიან-მადლიანი ვაშაძე მოძებნა.

ვაშაძემ ასეთი პირობა დაუდო: სოფლიდან საურმე გზამდე თითო ფუთ შავ ქვას ზურგით ჩამოვიტან (ოლონდ ღამით ვივლი, რადგან აზნაურობის მაძიებელი ვარ და მრცხვენია), საურმე გზიდან ცხენით შოროპანში ჩავიტან და იქედან მატარებელს დავუდებ ფოთში წასალებადო.

აეწყო საქმე!

აკაკის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ოთხი-ხუთი გზობა ჰქონდა ვაშაძეს გაკეთებული, მეტი არა, რომ გამთენისას სხვიტორში მიადგა აკაკის.

თავადს სძინავსო, მოსამსახურებ.

რა დროს ძილია, დანა პირს არ მიხსნის, როგორმე გააღვიძეთო, ვაშაძემ.

გაიგონა ეს ლაპარაკი აკაკიმ და აივანზე გადმოდგა თეთრნიფხავპერანგისამარა.

– ბატონო, გზაზე გლეხები გადამიდგნენ. სად მიგაქვს ეშავი ქვაო, მე ვუთხარი, აკაკი წერეთლის შავი ქვაა, სალომე წერეთლის ეზოდან მომაქვს, იჯარით აქვს აღებული აკაკის-მეთქი. აკაკი და სალომე არ ვიცით ჩვენო. აკაკის ჩვენს ხარჯზე უნდა გამდიდრებაო, შემომიბლვირეს.

– ჩვენ რა შუაში ვართო? – აკაკიმ ამოიხვნეშა.

– მეც ეგ ვუთხარიყე, თქვენ რა შუაში ხართ-მეთქი, კაცი პატიოსნად იჯარის ფულს იხდის და ფოთში თავის ხარჯით აგზავნის მარგანეცს-მეთქი. კი მარაო, ე გზა (საცალფეხო ბილიკზე თქვეს) ხომ სოფლის არიო, ამ გზას რო თელავთ, ფული არ გვეკუთვნისო? შემომიბლვირეს. საერთოდ ეგ მარგანეციც ჩვენია, ხალხისაა, ყოველ ფუთზე თითო აბაზი მოგვეც თვარა, არ გაგატარებთო.

– რამდენიმ? აკაკის გაეცინა. – რა ფული ეგულებათ ჩემთან. ვალებით ვარ გაძეძგილი.

– მეც ეგ ვუთხარიყე, კაცი ყელამდე ვალებშია-მეთქი. ერთი სიტყვით წადი, შენს დამქირავებელს ფული გამოართვი და დაგვირიგე, თორემ ამ გზაზე უტვირთოდაც რომ შეგვხვდე, თავს გაგიტეხავთო. ის ქვა იქვე დამაგდებინეს, ერთი მაგარი პანდური ამომკრეს და გამომიშვეს, მე იქ ამსვლელი ალარა ვარ. იმ ოთხი გზობის (მეხუთეს არ ვთვლი, თუმცა ნახევარზე ჩამოტანილი მქონდა) რაც მეკუთვნის, გამისტუმრეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვაშაძემ.

რა ექნა, ჩაუთვალა პოეტმა აზნაურობის მაძიებელს ოთხი ფუთი მარგანეცის ჩამოტანის ხარჯი.

არა და დრო უღმერთოდ გარბის.

ფოთში „პარახოდი“ იცდის და, თუ აკაკიმ მარგანეცი დროზე (ოთხ თვეში) არ ჩაიტანა, „შტრაფი“ ასი ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს.

აწრიალდა, მიდგა-მოდგა სასოწარკვეთილი პოეტი და ივანე მუხრანსკის შეუამხანაგდა.

ივანე მუხრანსკიმ სპარსეთიდან შვიდი აქლემი ჩამოიყვანა და აქლემკიდებული შავი ქვა საცალფეხო ბილიკებით ჭითურამდე ჩამოქმნდა.

სამი დღის შემდეგ აბლავლებული დაბრუნდა მთავარი მეაქლემე, ქარავანში მხოლოდ ხუთი აქლემი ჩანდა.

დანარჩენები რა იქნენო, ერთდროულად იყვირეს აკაკი წერეთელმა და ივანე მუხრანსკიმ.

კლდეზე გადამიჩეხს ორი აქლემი, ბატონი, ადგილობრივ-მა გლეხებმა და შემოგითვალეს, თუ ფულს არ მოგვიტანს და-ნარჩენ აქლემებსაც იმ ორის გზას გავუყენებოთ. იქნებ თქვენ ახვიდეთ და მოურიგდეთ გლეხებსო, მექარავნემ.

ავიდა ცხენით აკაკი.

უძველესი კულტურის წარმომადგენლებმა აკაკის „თორ-ნიკე ერისთავი“ და „განთიადი“ (განსაკუთრებით „განთიადი“) ფეხებზე დაიკიდეს, თვით აკაკის მოვუსმინოთ: „გარიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმრადაც არ მინახავს იმდენი ფული“.

დაბრუნდა სხვიტორში გულჯავრიანი აკაკი წერთელი.

სამუდამოდ დასწეულა შავი ქვა და თავის უიღბლო „მრენველობასაც“ გამოეთხოვა.

ცოლი რომ წერდა: ქვა გახეთქე და ფული იშოვეო; ქვა გახეთქა, მაგრამ გახეთქილი შავი ქვა ფოთამდე ვეღარ ჩამოიტანა.

სიბრაზისგან ენაგამშრალი ივანე მუხრანსკი თავის გზაზე წავიდა.

აქლემები? ნახევარ ფასში მიყიდეს ვიღაც ყაზანელ უზ-ბექს.

ისევ ფოთს მივუპრუნდეთ.

ქოში უკულმა ჰყარა ოსტრიაკოვმა, ოთხი თვის მერე ცარი-ელი „პარახოდი“ რომ ტივტივებდა ფოთის პორტში.

სასამართლომ გაითვალისწინა აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოპულარობა, მისი გამოუცდელობა მრენველ-კაპიტალისტის ამპლუაში, თანაც აკაკის ადვოკატმა უამრავი საბუთი მოიტანა ჭიათურელი გლეხების თვითნებობის დასამტკიცებლად და აკაკი წერეთელი, რასაკვირველია, „შტრაფის-გან“ მთლად არ გაათავისუფლა, მაგრამ ასი ათასი ფრანკი ხუთი ათას ფრანკზე ჩამოუყვანა.

ეს კი პატარა საქმე როდი იყო (აშენდა იმ მოსამართლის ოჯახი, თორებ აკაკის მამაპაპისეული სახლიც ვალში გაიყიდებოდა და ჩვენ დღეს, აკაკის მადლიერ შთამომავლობას, სხვიტორში დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი არ გვექნებოდა).

ისიც უნდა დავძინოთ, რომ განაჩენის თანახმად, ის ხუთი ათასი ფრანკიც აკაკი წერეთელს ერთბაშად კი არ უნდა გადაეხადა, არამედ – ნანილ-ნანილად ლექსებსა და პოემებში (განსაკუთრებით პოემებში) აღებული პონორარის კვალიობაზე.

ამბობენ, ოსტრიაკოვი ორი წელი ელოდებოდა აკაკის პონორარის პროცენტებს, მაგრამ რაკი ორ წელინადში კაპიკიც ვერ მიიღო იმ ხუთი ათას ფრანკზეც ხელი ჩაიქნიაო.

\* \* \*

ასე უიღბლოდ დამთავრდა აკაკისთვის მარგანეცის საქმე.

თხის პატრონს (მარგანეცის პირველ აღმომჩენს) რომ იტყვიან, თხის კუდიც არ ერგო.

საქართველოს „უგვირგვინო მეფემ“ პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო.

სულ დავიდარაბაში იყო, თავი რომ გაეტანა.

ხომ უზარმაზარი საქვეყნო ტვირთი ჰქონდა ზურგზე

მოკიდებული. ხომ ქვეყანას პატრონობდა. ამისთვის ხან აპარ-ტიმრებდნენ („ხუმარას“ რედაქტორობისთვის მეტეხის ციხეში ჩასვეს), ხან სამართალში აძლევდნენ („ინტერნაციონალის“ თარგმნისთვის)...

ამის პარალელურად სამოქალაქო საქმეებზეც ხშირად ჩან-და სამართლის კარზე.

სისხლს უშრობდა თავის მეგობარ მოსამართლეს – ანაპო-დისტე მაჩაბელს ახალახალი საჩივრებით.

თუმცა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებსო, ანაპო-დისტემ ვერც ერთი საქმე ვერ მოაგებინა.

ქართველი ერი? საზოგადოება?

საზოგადოება როდის იყო მისთვის თაგადაკლულ მოლ-ვაწეზე რომ წუხდა.

საქართველო აკაკის ხედავდა ქუჩაში ამაყად, ამართულად მიმავალს, ხედავდა ლექსის თქმის დროს, ან სუფრაზე ყანწით ხელში (სხვათა შორის არ სვამდა და არც თუთუნს ეწეოდა) და ეგონა, ასე ლალად, ლამაზად მიედინებოდა აკაკის ცხოვრება.

ამას რა უჭირს, გენაცვალე, ჩვენ ვიკითხოთო, იტყოდნენ მოქალაქენი და ჩაუვლიდნენ.

ჩვენ დედამიწაზე ყველაზე კარგად რაც გამოგვდის, ესაა იუბილის გადახდა და მკვდრის დატირება.

1908 წლის 7 დეკემბრს თბილისში ზღაპრული იუბილე გაუმართეს.

ლირსეულად დააფასეს საქართველოს ბულბული.

სავანიდან ის აკვანიც კი ჩამოუტანეს, რომელშიც ძიძამ გაზარდა.

ფრაკში გამოწყობილ ბულბულ-კონფერანსიეს (გვარს არ დავასახელებ) „მშვენივრად მიჰყავდა“ საიუბილეო საღამო.

ოპერის თეატრი პოეტის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

კულისებში ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა.

კონფერანსიეს მხარზე ხელი დაადო – აკაკის ლექსი უნდა ვუძღვნა, მე ვაჟა-ფშაველა ვარო.

გიცნობთ, ბატონო ვაჟაო, კონფერანსიემ.

ერთი კი მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა მთის არწი-ვის გამოხუნებულ ჩოხას და ხანჯალსაც შეავლო თვალი.

შებრუნებისას ვაჟამ ერთხელ კიდევ შეაჩერა. – მე ქვემოთ ვიქნები, კარებთან, დარბაზიდან ვეტყვი, ასე უფრო ეფექტუ-რი იქნებაო.

ბატონი ბრძანდებიო, წამყვანმა.

ვინ არ დაასახელა, ვინ არ გამოიყვანა თმაგადაგლესილმა მერცხალფრაკა კონფერანსიემ, ვაჟა ავინყდება.

პოეტი დგას და თავის რიგს ელის.

იუბილე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვაჟა-ფშავე-ლა გამოუცხადებლად, „ვეფხვივით, გამოსხლტა სცენაზე“ (ზუსტად ასე იგონებს ბაბილინა ხოსიტაშვილი) და აკაკი წერე-თელს ლექსი სტყორცნა.

იყო სხვა კურიოზიც:

დიდებული ბანკეტი გაუმართეს აკაკი წერეთელს.

ენაწყლიანი თამადა, საყოველთაო სიყვარულის გა-მოცხადება, ხვევნა-კოცნა...

დამთავრდა ბანკეტი.

მონადიმენიც, საიუბილეო კომისიის წევრებიც მიმო-ფანტნენ და აკაკი მარტო დარჩა.

ეტლითაც კი არ გაისტუმრეს შინ გენიალური იუბილარი.

გამოვიდა გალავინსკზე, ცოტა ხანს ფეხით იარა და მერე ეტლს უხმო. სასახლის ქუჩაზე დათიკო სარაჯიშვილთან მიმი-ყვანეო, მეეტლეს უბრძანა.

მეეტლემ აღვირები აიქნია და ცხენები პაკაპუკით გაუყვნენ გალავინსკს ერევნის მოედნისკენ.

პოლიციამ ოპერასთან გზა გადაკეტა. სამი საათი უსაქმოდ ვიდექიო, მეეტლემ.

ერთი მითხარით, ბატონო, რა ხდებოდა, ვინ ჩამოვიდა პე-ტერბულგიდან, რას დღესასწაულობენ, ვისთვის შეიკრიბა ამ-დენი ხალხიო.

აკაკიმ შუბლზე ხელაბანდი გადაისვა, გაიღიმა და თვალ-მოქუტვით მოუგო მეეტლეს:

ვისთვის და ჩემთვისო.

მეეტლემ სიცილი ვერ შიკავა.

არა, მე მართლა გეკითხებითო.

სიყრმეს გეფიცები, მართლა ჩემს დაბადებას ზეიმობდნენო.

მეეტლე ჩაბჟირდა.

– რა მასხარა ყოფილხართ, ბატონო –სული რომ მოითქვა, უცნაურ მუშტარს ერთხელ კიდევ გამოხედა და ცხენებს შეუძახა.

7 დღის შემდეგ, 1908 წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გადაუხადეს იუბილე.

ბეჟან წერეთლის სახლიდან გამოდის, თეთრნვერა ბიბლიური გარეგნობის პოეტი თეთრი ყვავილებით სავსე, თეთრცხენებიან ეტლში ჯდება, კოფოზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეეტლე ზის – გვარად მელია.

ქუთაისის თეატრამდე ორასიოდე მეტრში ეტლს ახალგაზრდები შემოხვივნენ და ცხენების გამოხსნა დაიწყეს.

რას შვრებითო, გაწყრა მელია.

ეტლში ჩენ უნდა შევეპათ და ასე მივიყვანოთ საყვარელი პოეტი თეატრამდეო.

არა, ბატონო, ამაზე არ მოვლაპარაკებულვართ. მგოსანს რომ რამე მოუვიდეს, ვინ აგებს პასუხსო, მელიამ.

ვინ მოუსმინა.

პოეტისადმი უბრალო ხალხის თაყვანისცემას ხომ საზღვარი არა აქვს.

შეებნენ და დაძრეს ეტლი ბიჭებმა.

აკაკიმ ფერი დაკარგა. თავის ნათლულს უხმო:

„ამ საფეხურზე დადექი, ვინიცობაა ეტლი გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშიშარა იყო აკაკი. თეთრი ხიდი უნდა გაევლოთ და ეშინოდა რიონში არ გადამჩეხონ. ნათლული ძალიან ღონიერი ყმანვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა,

გზაში თურმე სულ „მამაო ჩვენოს“ ლოცულობდა“ – იგონებს ნიცა ბაგრატიონი-წერეთელი.

მიდიოდა უცნაური ეტლი ქუთაისის ბულვარისკენ.

მიჰყვებოდა უკან ორცხენშუა ჩამდგარი მეეტლე. იქეთ აქეთ ლაგამით ეჭირა მეეტლეზე უფრო გაოცებული, ლამაზთვალება, თეთრი ცხენები.

ეტლში შებმული ყმანვილები მღეროდნენ და თეთრ ხიდზე ისე ხალისიანად ბრაციბრუცობდნენ, რომ მართლაც, შეიძლებოდა ნამეტანი სიყვარულით ხიდიდან გადავარდნოდათ ერისთვის დამაშვრალი პოეტი.

გრანდიოზული იუბილე რომ დამთავრდა (რასაც სამასკაციანი სათავადაზნაურო ბანკეტი მოჰყვა რიონისპირას, სოლომონ მეფის სასახლეში), დაღლილი აკაკი ისევ ბეჟან წერეთლისას მიიყვანეს.

იქ იყო ჩამომხტარი.

აკაკი საძინებელში განმარტოვდა, დავიღალე, ცოტა თვალს მოვატყუებო.

მასპინძლები (მათ შორის ივანე იოსელიანიც იყო) სასტუმრო ოთახში დარჩნენ.

უცებ კიბე ამოირბინა ჩოხოსანმა, შუახნის კაცმა.

ბატონ აკაკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა ვნახოო.

ივანე იოსელიანმა უარი უთხრა: დაღლილია, ისვენებსო, ერთი წუთით შემიშვით, სასიხარულო რამ უნდა ვაცნობოო, უცნობმა.

შემოუშვითო, აკაკიმ დაიძახა.

შეუშვეს.

მართლაც, ხუთიოდე წუთში გამოვიდა სტუმარი, მასპინძლებს მადლობა დაუგდო და კიბე ჩაირბინა.

დაეჭვებული მასპინძლები საძინებელში შევიდნენ.

„აკაკი გაფითრებული დგას შუა ოთახში.

– ხედავთ, რა ჩაიდინა ამ საძაგელმა? ახლავე ფული თორემ გაგათავებო, ხანჯალზე, ხელი წაივლო.

— მერე ბატონო?  
სიბრაზისგან პირი გაგვიშრა.  
— რა მექნა, უხმოდ ამოვილე უკანასკნელი ხუთი თუმანი  
და მივართვი.  
მოხუცი პოეტი სულს ძლივს ითქვამდა“.  
(ივანე იოსელიანის მოგონებიდან).  
არ უნდა ლაპარაკი, ძალიან უყვარს ხალხს თავისი პოეტი,  
თავისი კეთილი მრჩეველი, თავისი გულის მესაიდუმლე.  
მაგრამ რაღა თავის იუბილე ჩაამწარეს, რაღა იუბილეს  
დღეს გაძარცვეს? უცნაური ერი ვართ ქართველები. ზომა არ  
ვიცით არაფერში.

\* \* \*

აკაკი წერეთელს ორჯერ დაეცა დამბლა – 1905 წელს და  
1915 წელს.

პირველი სისხლჩაქცევისგან პოეტი განიკურნა პარიზში.  
ვერ დავუკარგავ: ნატალიამ და ლოლიამ უპატრონეს. პარი-  
ზიდან თავის მეგობარს კოტე აბდუშელიშვილს წერდა: –  
ოჯახმა ექიმები დამახვია, მაგრა რაღა დროს ჩემი მკურნალო-  
ბაა, ამ სიშორეზე არ უნდა წამოვსულიყავიო.

მეორედ, 1914 წლის შემოდგომაზე შეუძლოდ იგრძნო თავი  
და ცოლ-შვილს შეუთვალა, ჩამოდითო.

თბილისში ბინა დავიქირავოთ და ზამთარი მაინც გავა-  
ტაროთ ერთადო, ნატალიამ.

იქ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლებაო.

სწორედ თბილისში, ოჯახურ გარემოში ყოფნამ მოუღო  
ბოლო.

ცოლთან შელაპარაკება მოსვლია და, როგორც ივანე იოსე-  
ლიანი იგონებს, პუშკინის ქუჩაზე „გრანდოტელში“ გადასულა.  
ძლივს მიუგნიათ. ცივ ოთახში ტანგაუხდელად იწვა ავადმყოფი.

საჩხერეში წამიყვანეთო, ტუჩების ცმაცუნით გაუგებინებია  
ახლობლებისთვის.

ჩამოუყვანიათ სხვიტორში, ცოტა გამოკეთებულა, მაგრამ  
ერთ თვეში ისევ ჩაქცევია სისხლი.

დამბლა ვერაგი ავადმყოფობაა.

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი, 75 წლისა.

მადლიერი საზოგადოების მიერ დიდი მოღვანის დაფასების  
კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა. შემეძლო სადმე ზევით  
ჩამემატებინა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, აქვე მივაწერ:

სიბერეში აკაკი წერეთელს ქუთაისის ბანკმა პენსია  
დაუნიშნა, მაგრამ როგორც შენ არ მიგილია იმ პენსიიდან  
ერთი კაპიკი, მკითხველო, ისე – არც აკაკის.

სამი წლის განმავლობაში ცოტა წერილი როდი აფრინა  
ბანკის მესვეურებთან: თქვე კაი ხალხო, გაზეთებში რომ სულ  
მადლობა მაძახებინეთ, ან მომეცით პენსია, ან მომიხსენითო.

ბანკი დუმილით პასუხობდა.

არც სამი წლის მერე მოეშვებოდა პოეტი ბანკს, მაგრამ  
სიკვდილმა შეუშალა ხელი.

15. 05. 2006 წელი



## გაუკატიურება

სანერვიულო ისეთი, კაცმა რომ თქვას, მე პირადად არაფერი შემმთხვევია. წყალი მჭირდება, თვარა, რა სიკვდილი მინდოდა აქანა.

ნაღვლის ბუშტი კენჭებით მაქვს სავსე.

ეს ჩემი ცოდვით სავსე ნაზიკია გვერდითა ნომერში ცხოვ-რობდა მეოთხე სართულზე.

აივანზე ნასკებს რო ვფენდი გასაშრობად, ერთადერთხელ მოვკარი თვალი.

სარაფანისამარა იყო გამოსული და თვითონაც სარეცხს ფენდა.

გამარჯობა, მეზობელო-მეთქი. სალამზე არ მიპასუხა.

ეს ამბავი პატარა ქეც მეწყინა და ქეც გამეხარდა.

მეწყინა იმიტომ, რომ, ცოტა არ იყოს, უზრდელობად ჩავთვალე; რა იყო, შე კაიადამიანის შვილო-მეთქი, გულში ვთქვი, სალმის დაკავება მაინც რაღა ჯანდაბაა, რო გამანბილე ამ დილით-მეთქი.

გამეხარდა იმიტომ, რომ, ეტყობა წესიერი გოგოა, არ უნდა ეითქვითოს მეზობლებში.

იცის, უცნობი ადამიანის „გამარჯობით“ იწყება ყველაფერი. კარებში ფეხის ჩადგმა, შესვლა, ქათინაური, ღლაბუცი და ათასი ოხრობა.

დასასვენებლადაა ქალი ჩამოსული და მარტო ყოფნა უნდა-მეთქი.

მეც, გითხრა სიმართლე, ამ თორმეტ დღეს ჩემი ნაღვლის ბუშტის დარეცხვას და გამოძინებას ვაპირებდი, სხვას არაფერს.

სკოლაში ვმუშაობ და ამ რეფორმამ ისე მომიშალა ნერვები, თუ არ გავასწარი აქედან, მღვდელი ზიარებას ვერ მომის-

წრებს-მეთქი და ცოლ-შვილის გარდა არავინ არ გამიფრთხილებია, ისე ამოვყავი საირმეში თავი.

ნაზიკია, რაც იმ დღეს აივნიდან მოვასწარი შეთვალიერება, მაღალი, სწორფეხება გოგო იყო.

ასე ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლის იქნებოდა, მეტის არა.

გარეგნობის მიხედვით მეტს არ მისცემდი და ისე, მაგის მეტრიკაში მე არ ჩამიხედავს.

იმ დღის მეტი, არ დაიჯერებ და, ნაზიკია იმ ამბამდე მე აღარ მინახავს.

არც სასადილოში მომიკრავს თვალი, კიბეზე არ დამმგზავრებია.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, მის აივანზე ერთი-ორჯერ ახალგაზრდა ჰალსტუხ-შლიაპიან გრძელცხვირა კაცს მოვკარი თვალი.

იჯდა მუხლებზე ხელებდანყობილი შავულვაშა და ნაძვებიან კორდს შეჰქურებდა.

რამდენი გავიდოდი აივანზე, წამოდგებოდა და „გამარჯობა, ბატონოვო“ მეტყოდა.

უსიტყვოდ ვუქნევდი თავს.

მე ვთქვი, ნაზიკიას სტუმარი ცოტა გრილად უნდა იყოს ზედა სართულებში, თვარა ნახევარ საათში სამი „გამარჯობა“ ერთსა და იმავე კაცს რომ უთხრას ერთი და იგივე კაცმა, ვის გაუგია-მეთქი.

არგენტინულ-ბრაზილიურ 635-სერიიან ფილმებში რომ სოფლის მასწავლებელი ან დაზღვევის აგენტები გამოჰყავთ, ისეთი იყო ნაზიკიას ნაცნობი.

კიდევ ერთი რამ შევნიშნე: ორივენი ერთად აივანზე არა-სოდეს გამოსულან. ჯერ იყო და კარლო (სახელი იმ ამბის შემდეგ გავიგე, თვითონ ნაზიკიამ მითხრა) იჯდა დიდხანს, გაუნძრევლად, დაკეცილ ქოლგაზე დაყრდნობილი, მერე ნაზიკია გამოვიდოდა და გამოვიდოდა თუ არა, კარლო მაშინვე ნამოხტებოდა და ოთახში შევიდოდა.

2004 წლის 11 აგვისტოს (საირმეში ჩემი ჩასვლიდან ზუსტად მეხუთე დღეს), დილის რვა საათზე შარვლის გაუთოვებას რომ ის-ის იყო მოვრჩი და წყლის დასალევად გამოსვლას ვაპირებდი, ვიღაცამ დამიკავუნა.

გავაღე. კარებში ნაზიკია დგას.

მობრძანდით-მეთქი, დაბრძანდით-მეთქი, სკამი გამოვუჩოჩე, როგორც წესი და რიგია.

დასაჯდომად მაქეს ახლა მე საქმეო? ჩამკითხ-ჩამილაპარაკა, რედიკული მაგიდაზე დააგდო ტყავის ხელთათმანები ნერვულად მოიხსნა და ისინიც მაგიდაზე დამიყარა.

რა მოხდა, ფარცაგი ხვარაფერია-მეთქი, აბა რას ვეტყოდი.

რა და გამაუპატიურეს წუხელისო. არ ვიცი მოულოდნელობისგან თუ ელდისგან გამეცინა.

რა გაცინებს, შენ ჭკუაზე აფრაკათ ხომ არ ხარო, გაბრაზდა ნაზიკია, სკამზე დაეშვა, თვალებზე ხელი მიიფარა და ისეთი ქვითინი ამოუშვა, ვირწმუნე, რომ მართლაც დამაჯერებლად, სავსებით, ბოლომდე გახლდათ გაუპატიურებული.

– ვინ... კი მარა... რანაირად? გაუპატიურება მხარზე ხელის დარტყმა ხომ არაა? – რაც შემიძლია ვცდილობ სერიოზული სახე მივიღო, მაგრამ რომ წარმოვიდგენ ნაზიკიას გაუპატიურების ტრაგიკულ ეპიზოდს, ტუჩებს თავს ვერ ვუყრი.

– ვინ და კარლოია დებილმაო.

ვინაა კარლოია-მეთქი.

ვინ და ჩემს ბალკონზე რო იჯდა შელოცვილივით და რო არ ინძრეოდა, შენ რომ წამდაუწუმ გამარჯობას გეუბნებოდა, იმ კარლოიამ.

შე ქალო, ის შენი კარლოია კარლსონივით ხვარ ამოფრენილა შენს ბალკონზე, ხომ შენ ულებდი კარს-მეთქი.

– მე ვთქვი, ცხვარივით ბიჭია. ჩემთან ერთად ინგალაციაზე დადიოდა. გამოვყრუვდი მარტო, დამლაპარაკებელი მაინც მეყოლება-მეთქი და შემოვუშვი. სიავეს ეს მაინც არ ჩეიდებს

გულში-მეთქი, რავა ვიფიქრებდი... ეს უკვე მეოთხედ წასკდა ტირილი ნაზიკიას.

– რას რავა იფიქრებდი, ნაზიკო?! – ცოტა არ იყოს ხმა-მაღლა მომივიდა. ჩანს, ნერვებმა მიმტყუნა. თანაც ძალიან მიკვირს, მე რატომ შემიყვანა ნაზიკიამ ასე უბოდიშოდ და უცერემონიოდ თავისი ცხოვრების ბობოქარ მდინარებაში.

ჩემი გაჭირვება არ მყოფნის?

არ დაგიმალავ, ვერც ვიფიქრებდი, თუ რამე შეეძლო საერთოდ, ამ მუდუს, ამ თხუნელას, ამასო; ისე გულწრფელად, ისე ალალად მეუბნება ნაზიკია, რომ ვიწვი მისი საცოდაობით.

კაი ახლა, ნაზიკო, თავს ნუ იშტერებ. რო შემძლე იყო, რატომ არ უგანე მაშინ-მეთქი, კაი ახლობელივით ვეუბნები. ვინ მკითხავს მე ნაზიკიას აპეკუნობას.

რო შევატყვე, მაშინ უკვე გვიან იყოვო, ნაზიკიამ.

ასეთ დროს დაზარალებულს უნდა აყვე ხვნეშა-ოხვრაში, მეტს რას იზამს კაცი ჩემ ადგილზე.

თანაც, ჯერ ერთი, არც კარლოს ვიცნობ და დასასვენებელი სახლის მეზობელი ნაზიკიაც იმდენაც არ მიღირს, რომ თავი გევიგიჟო, ტანსაცმელი შემოვიხიო, ფიშტო გავტენ და კარლოიას ვსდიო ტყეში, რავა გოუბედე შენ ნაზიკიას გაუპატიურება-მეთქი.

– ვერ მოგვსვლია კაი საქმე, ნაზიკო, – ჩემთვის დავილაპარაკე, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მივიდევი (ისე, როგორც აკაკი წერეთელს აქვს სასკოლო სახელმძღვანელოში) და მაგიდას იდაყვით ჩამოვეყრდენი – რატომლაც მაინც არ ვარ დარწმუნებული, რო კარლოია ასე გაგვნირავდა, გახსოვს რავა იყო ყველაფერი?

– რავა არ მახსოვს, მთვრალი კი არ ვიყავი, – ფსლუკუნებს ნაზიკია.

– მოხდა ყველაფერი ბოლომდე?

– მოხდა, ალბათ, რა ვიცი, მე შიგნით არ ვიყურებოდი და...

– მანამდე არ იყავი კაცთან ნამყოფი ნაზიკია? – ვინ მკითხავს მე, მაგრამ რაღაც ჩემთვის უცხო სპორტულ-სადისტურმა ინტერესმა მიბიძგა ამ კითხვებისკენ. მაინტერესებს ყველაფერი ბოლომდე ვიცოდე. ეგებ მთლად განწირული არ ვყავართ კარლოიას.

– ვინ გგონივარ შენ მე?! – თვალები შემომანათა ნაზიკიამ. კაცთან ნამყოფი რო ვყოფილიყავი, შენთან შემოვიდოდი ამ დილით?! – წამოდგა, ხელჩანთა და ხელთათმანები წამოკრიფა და თითის დაქნევით ჩამისხაპასხუპა – ვაი... ქალი არ ვიყო, თუ ეს შევარჩინო კარლოია დეგენერატს, კარლოია ხვადაგს, კარლოია მუტრუკს, კარლოია მოზვერს! (ამ უკანასკნელ შედარებაზე ხმას განსაკუთრებით აუწია). თუ ციხეში არ გამოვალპო, მიყუროს მაგ ყრუ-მუნჯმა, მაგ ოთხუთხედმა ულაყმა მაგან! მაგნაირების ადგილი ოთხ კედელშია. რა უნდა მაგას გარეთ!

ეს მონოლოგი ოთახის ცენტრში, მარჯვენააწეულმა, ასტა-სია პაპანასიუსავით წარმოთქვა, შეტრიალდა და გავიდა. ლაპარაკ-ლაპარაკით მივყევი.

იქნებ-მეთქი, დაფიქრება ჯობდეს-მეთქი, იქნებ არ ღირდეს გახმაურება და შენი სახელის ქუჩაში გარჭიანება, რაც უნდა იყოს, მაინც ახალგაზრდა ქალი ხარ-მეთქი. იქნებ ექიმს ჩვენებოდი! ხანდახან აპკამდე ვერ აღწევენ ასე ნაუცბათევად, როგორც მამაკაცი გეუბნები-მეთქი, ეგება თვითონ კარლოიას მოლაპარაკებოდი-მეთქი.

არაფერი მაქვს მე საექიმო და კარლოია მუდუსთან მოსალაპარაკებელი, ჩემი საქმე მე ვიციო, ნაზიკიამ და თავის ოთახში არ შესულა, კიბე ჩაირბინა.

ნასაუზმევს აბაზანის რიგში მდგარს გამომძიებელმა ჩხობა-ძემ მომაკითხა. თუ შეიძლებაო, დირექტორის კაბინეტში შევი-დეთ, წუხანდელი გაუპატიურების საქმეზე უნდა დაგვითხოთო.

კი მარა, აბაზანის რიგს რო დავკარგავ? მე ვუთხარი, რა საჩქაროა, მივიღებ ვანას და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი.

რა დროს აბაზანაა, ბატონი, სისხლის სამართლის დანა-შაულია ჩადენილიო, ჩხობაძემ.

მერე მე ჩევიდინე? მე ვუთხარი, ვინცხამ ჩეიდინა, ის მო-ძებნეთ, მე ვუთხარი.

წამობრძანდით, წამობრძანდით და თქვენი მოქალაქეო-ბრივი მოვალეობა შეასრულეთო, გამომძიებელმა ხელკავი გამომდო და ისე მიმაცილა დირექტორის კაბინეტამდე.

დაკითხვა დირექტორის თანდასწრებით ჩატარდა.

ჩხობაძე მეკითხებოდა და შეკითხვიან-პასუხიანად იწერდა შავხაზებიან მწვანე ფურცლებზე, ყოველ შემთხვევისთვის ჯი-ბის მაგნიტოფორი „სონიც“ ჩართული ჰქონდა:

რამდენი ხანია, რაც კარლო გაიცანითო.

საერთოდ არ გამიცვნია-მეთქი.

როგორ? არ გინახავთო?

ნახვით ვნახე, ნაზიკიას აივანზე სამი დღე ზედიზედ თო-ჯინების თეატრის კუსავით გაუნძრევლად იჯდა-მეთქი.

გამარჯვობას ხომ გეუბნებოდა.

რამდენჯერაც გავყოფდი ფანჯარაში თავს, იმდენჯერ მომესალმებოდა. დღეში საშუალოდ შვიდ „გამარჯვობას“ მეუ-ბნებოდა-მეთქი.

აბა, მეტი კი არაფერია გაცნობაო. საეჭვო არაფერი შეგინიშვნავსო?

კი... წვიმდა თუ არ წვიმდა, ძველებური, გრძელწვეტიანი ქოლგა ეჭირა ხელში-მეთქი.

სხვა? უაზროდ ხომ არ იცინოდა, ნაზიკის უკანა ადგილე-ბზე ხელს ხომ არ უსვამდა, ან კბილებს ხომ არ აღრჭიალებ-დაო.

ეგენი ბალკონზე ერთად გამოსული მე არ მინახავს-მეთქი. რაც შეეხება კბილების ღრჭიალს, არ გამიგონია-მეთქი.

შემთხვევის ღამეს ნაზიკიას ოთახში სინათლე რომელ საა-თზე ჩაქრაო.

ვერ გეტყვით, მე ადრე ვიძინებ-მეთქი.

იმ დამეს ისე მკვდარივით როგორ დაგეძინებოდა, ქალის და კაცის სხვანაირი ქშენა, ან ერთი მოგუდული შეკივლება მაინც არ გაგეგონაო.

მკვდარივით ჩემმა მტერმა დეიძინა, გამეღვიძა ორჯერ-სამჯერ, ავდექი, ბოდიში მომითხოვია, ჩემი კაცურ-პროსტატული საჭიროებისთვის, მაგრამ წყლის ლიკლიკის და ეული შაშვის სტვენის გარდა, რამე საეჭვო, მით უმეტეს სექსუალური ხმა, არ გამიგონია-მეთქი.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს მომაკითხა ნაზიკიამ. აშკარად აღელვებული იყო, მაგრამ მარჯვენა ყვრიმალზე ნერვი არ უთამაშებდა.

მეო, სააკაშვილამდე რომ დამჭირდეს მისვლა, ჩემსას მაინც გავიტანო. ჩალით არაა ეს ქვეყანა დახურულიო. ჩემი სიმართლე არ დაიმალებაო. ორი დღეა ხან რაიონის ცენტრში ჩამიყვანეს, ხან ქუთაისს მიმაყენეს ექსპერტის კარზეო. ექიმმა საქალწულო აპკის დარღვევა ქე ჩამიწერა, მარა სხეულზე რამე ძალადობის კვალი ვერ აღმომიჩინაო, მეტი ძალადობა რა გინდათ, აპკი ხომ მაქვს დარღვეული, მაინცდამაინც უნდა ეკბინა მხარზე ან ხელები გადაემტვრია ჩემთვის-მეთქი? ვეკითხებიყენ გამომძიებლებს. რა ვქნათო, ამ საბუთების მიხედვით პროკურორმა დაპატიმრების სანქცია არ მოგვცაო. ოცდაოთხი საათი ყავდათ პოლიციაში ის მუდუ და ქე გოუშვიათ წუხელის. იქნებაო, გამომძიებელმა, თქვენ ერთმანეთში მეილაპარაკეთო. შენმა ჩვენებამ დამღუპა ყველაზე მეტადო. მე მითხრა ნაზიკიამ. რა იქნებოდა, პატარა შელაპარაკების მსგავსი ან ყრუ ბრაგუნის მსგავსი რაღაცა დაგეწერა. ხელმოსაკიდი ექნებოდა გამოძიებასო.

რა ვქნა, ჩემო ნაზიკია, მე რაც ვნახე და რაც გევიგონე, ის ვუთხარი გამომძიებელს. ტყუილს ვერ ვიტყოდი და ვერავის ცოდვაში ვერ ჩავდგებოდი. ცოლ-შვილის პატრონი ვარ მეც და ეგეც არ იყოს, კაცი ვარ. ყველას შეიძლება ადრე თუ გვიან ასეთი ამბავი შეემთხვას-მეთქი.

გაუპატიურების ამბავი გამომძიებლის მოსვლამდე იცოდა მთელმა დასასვენებელმა სახლმა.

ჭორი ზვავივით ასკდებოდა დახავსებულ კედლებს, №1 სამკურნალო წყაროს ჩამომსხმელ პერსონალს, სააბაზანოს, სასადილოს, კლუბს და ქოხ-სამკითხველოსაც კი, სადაც წინა თვის გაზეთები ელაგა და ჩრჩილისგან შეჭმული ლამის მკითხველმიუკარებელი წიგნები.

ქოლგიან-ულვაშიანი კარლო იმ დღიდან გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან.

ჩემთვის ნაზიკიას რომ არ ეთქვა, ვერც მისი დროებით დაკავების ამბავს გავიგებდი.

რაც შეეხება ნაზიკიას, დადიოდა ჭორ-მართლის ნაცრის-ფერი ბურუსით შებურვილი.

ჭორი ორად იყო გაყოფილი:

უმეტესობა ნაზიკიას ამტყუნებდა, მცირე ნაწილი კარლოიას ადანაშაულებდა, მაგრამ, როგორც შევატყვე, გულგრილი ამ საქმისადმი არავინ დარჩენილა.

და საერთოდ, ნაზიკიას ამბავი რომ არ მომხდარიყო, მე ვფიქრობ, გაუსაძლისად მოსაწყენი, თუ გნებავთ, აუტანელი გახდებოდა დასასვენებლ სახლ „ზეკარის“ ცხოვრება.

ნაზიკოს სიუჟეტმა დამსვენებელთა (გნებავთ ავადმყოფთა) ყოველდღიურობას აზრი მისცა, სიცოცხლე შემატა, დრამატიზმით აღავსო და პოლიტიკაზე ერთფეროვანი კამათის რელსებიდან სექსუალურ საუბრებზე გადაიყვანა.

თვით გაუპატიურებული მკაცრი იერით, თავაწეული დადიოდა.

სადაც გამოჩნდებოდა, დამსვენებლები საუბარს წყვეტდნენ, წელში იმართებოდნენ (ვის რამდენადაც შეეძლო), მოწინებით ესალმებოდნენ და თანაგრძნობიანი თვალებით აცილებდნენ.

ნაზიკიას მინერალურ წყალსაც ურიგოდ ალევინებდნენ. არც ექიმთან ალოდინებდნენ და აბაზანის რიგსაც უყოყმანოდ უთმობდნენ.

მიმტანები რომ მიმტანები არიან. იმათაც კი თვალისდახახამხამებაში მიჰქონდათ ნაზიკიას მაგიდასთან კერძები და, ღმერთო შეგცოდე, როგორც შევატყვე (შეიძლება ვცდებოდე, თავს ვერ დავდებ) ცოტა მომეტებული რაოდენობითაც.

მე კი, მე პირადად, ერთი კერძო კაცი, ძალიან გამაწვალა გაუპატიურების სევდიანმა ამბავმა.

დამატარებდნენ როგორც „მთავარ მოწმეს“ გამომძიებლის, მოსამართლის და პროკურორის კაბინეტებში.

იყო პირდაპირი თუ ირიბი (გამჭოლი შეკითხვების დასმა), იქამდეც კი: უნებურად, წაყრუებით შენ თვითონ ხომ არ შეუწყვე ხელი ნაზიკიას გაუპატიურებასო, კარლოიას თუ იცნობდი ადრეო, რაღა შენთან შემოვიდა პირველად დაზარალებული ნაზიკია და სხვასთან რატომ არ შევიდაო. და საერთოდ, შენ თუ გქონია შემთხვევა ცოლისთვის გეღალატაო.

ვიღას ახსოვდა კენჭებით სავსე ჩემი ნალვლის ბუშტი, წყლის დალევას დილით ძლივს ვასწრებდი, აბაზანის მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ნასაუზმევს მომაკითხავდა „პატრული“ და საღამომდე ნაზიკიას საქმით ვიყავი დაკავებული.

მოსვენება დავკარგე. დასვენება-მურნალობის ნაცვლად ჩამოვხმი კაცი და თუ დიდი ვაივაგლახით ჩავიძინებდი – სხვა აღარაფერი მესიზმრებოდა, ნაზიკიას და კარლოს ურთიერთობის სავალალო სურათების გარდა.

ქუთაის-ბალდათში სიარულს კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ წელში მაკანკალებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ დაზარალებულს ადვილი შესაძლებელი იყო საქმე თბილისში გადაეტანა და, რასაკვირველია, მე, „მთავარ მოწმეს“, თბილისში ხშირი ჩასვლა-ყურყუტი მომინევდა.

ნაზიკიას გაუპატიურების მეთერთმეტე დღეს ბალდათის პოლიციიდან დაბრუნებულს გაოცებისგან გული კინაღამ საგულედან ამომივარდა.

ნაზიკიას აივანზე კარლო იჯდა.

იჯდა როგორც მაშინ, გაქვავებული, გამოხუნებულშლია-

პიანი, გრძელი მონაცრისფრო პლაშის შიგნით მწვანე კვართის საყელოს ქვეშ ძველმოდური, წვრილი, წითელკოპლებიანი პალსტუხი უჩანდა.

დასასვენებელი სახლი „ზეკარი“ იდუმალ სიჩუმეს მოეცვა.

დამსვენებლები მოჩვენებითი თვალარიდებით ჩაუვლიდნენ ნაზიკოს აივანს და წყაროსთან ნაბიჯს აუჩქარებდნენ, რომ ჭორსდანატრებული ავადმყოფებისთვის ახალი ამბავი ეცნობებინათ.

კიბეს რომ მივადექი, გაუპატიურების ოსტატი – კარლოია, რასაკვირველია, წამოდგა და მოწინებით მომესალმა: „გამარჯობა, ბატონი“.

არ მახსოვს, თავი დავუქნიე თუ არა კაცს, რომლის უნებლიე თუ ნებლიე საქციელმა ლამის სისხლი გამიშრო და სიმწრით გამოწერილი დასვენება ჩამაშხამა.

დილით ჩემს აივანზე ქურდივით ტრუსისამარა გასულს რკინის რიკულზე მიყუდებული ქოლგა მეცა თვალში და გულში სითბო ჩამელვარა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაზიკიას საქმეს თბილისის სასამართლოებში გაგრძელება არ ეწერა.

ივლისი, 2005



## ანდერძი

ნუ შეგეხარბება, ჭოვ, ჩვენი ბედი. გუშლამ რო მითხარი, ჩვენ ვიკითხოთ, თბილისელებმა, თვარა თქვენ რა გიჭირთ, წელინადი – თორმეტი თვე კურორტზე ხართო, გემეცინა.

აი, ქობულეთი კურორტი თქვენთვისაა, ჩამოსულებისთვის, ჩვენთვის აფერია ჭაობისა და ამ შიშველი, გადარეული ზღვის გარდა. იცხოვრე აქ ჩემთან ერთად და ნახავ რავარია, მოკტები მოწყენილობით.

ზღვაი ორი თვეა ცოცხალი – ივლისი და აგვისტო.

მერე მარილიანი ქარი, ტალახიანი ქუჩა და შიმშილია, სხვაი რაი.

პლაუზე რო ისლის კარვებს ხედავ, ჩვენ ვაკეთებთ იმ კარვებს. ეგება ტურისტი შევიტყუოთ და ორი კაპიკი ვიშოვოთ.

სექტემბერში წოვუკიდებთ ცეცხლს და ზღვაი წეიღებს ფერფლს.

მორჩა შენი ბარი და გრიალი.

რაი დაგვრჩა ხელზე – წვალება, დამცირება და ჰა, ჰა, სამი თვის სამყოფი გროში.

ის ორი თვეც შეიძლება წვიმამ ჩაგაშხამოს.

დეინტენი და არ გადაიღებს ოც დღეს და მოგჭამა ჭირი სეზონმა.

წვიმა ხო ჩვენი მტერია, არც ზღვაია დიდათ გულკეთილი ჩვენთვის.

ზღვაი, ამ ბოლო დროს, უწვალებლათ ხამსასაც აღარ იძლევა.

სადაა ჩვენი დასაჭერი თევზი, შეხედე, რამხელა სეინერები დგას ზღვაში.

მეთევზე გემებია აი, პატარა თევზს იჭერენ, სხვას კარაფერს შობიენ.

ზღვაი რო სპობს და აბერებს კაცს, ისე არა ავანტყოფბა არ ანადგურებს.

ზღვის სინესტე და მარილი ხრავს იქაური კაცის მაჯამუხ-ლებს.

შეხედე, ვისაც გინდა აქოურს და მიხთები.

ორმოცდაათი წლის კაცი ძლივს დაჩლახუნობს.

შენ გგონია, მარტო ძვლებს და სახსრებს ჭამს ზღვაი?

ა, ეს ჩემი ოდა ათი წლის დადგმულია. ხო მიჩერებიხარ, რა დღეშია ფანჯრის ჩარჩოები, ლარძაყინები და ლამფა-ფიცრები. ხის მასალა თუ წიფელა, წაბლი ან ლისტვინიცა (ციმბირის ფიჭვი), არ არი, ათ წელინადში გამოსაცვლელია.

ზღვის მარილი ისეთი ვერაგია, რკინას ღეჭავს. შეხედე ამ მოაჯირს, რავაა შეჭმულ-შემოჭმული.

მარილი მარილათ და როდის რა მოუვა ზღვას თავში, რას მიხთები.

შარმან მოლოკა-მეიბალახა ტალღამ მთელი სანაპირო.

ასი წლის ხები დაამხო ძირს და ნახევარი გეიტაცა.

ჯერ ვერ მეიგონა კაცმა იმფერი ჯებირი, ზღვის ღელვას რო უძლებდეს.

დამსვენებელია ერთადერთი იმედი და შამოსავალი ქობულეთელი კაცის, მარა ყისმათი უნდა მაგასაც.

აგერ ჩემ მეზობლათ ზოიძე სახლობს. უბრალო მეურნე, ასე ვთქვათ, მეურმე კაცი, ამ ათი წლის წინ მოსკოველი ოჯახი ჰყავდა დამსვენებლათ. ცოლი, ქმარი, ორი ბალანა. თურმე მაი რუსი დიდი კაცია. ჩვენებურ კაცს ყურადღება არ ეშლება. ხან თებზი მოუკითხა, ხან ნავით გაასეირნა. არ შორდება დღესაც ის ხალხი. ყოველ წელინადს ზოიძესთან ისვენებენ. სამი ბოვში მოსკოვში ინსტიტუტებში მოუწყეს. უფროსი ბიჭი, მგონია, ასპირანტურაშიც ქე დატოვეს. რა საჩუქრები, რა პატივის-ცემა, გაკეთდა ზოიძე შავი დედალივით.

ბედი უნდა მაგასაც-მეთქი. ახლა ჩემ ამბავსაც გეტყვი.

ბედზე ვჩივი, კარქათ დამიგდე ყური.

ადრე არ ვუშობდი სახლში დამსვენებლებს, საზღვაო სკოლაში ვმუშაობდი და გამქონდა თავი რავარცხა იყო.

რო გაჭირდა ცხოვრება, ამიხირდა ოჯახობა, ჩვენ რა წითელი კოჭები ვართ, შევვიწროვდეთ ზაფხულში და გავაქირავოთ ოთახებიო.

ასეც ვქენი. ვიყიდეთ ლექანკები და პირველ წელს ათამდე დამსვენებელს მოვუყარეთ თავი.

ყველას თავისი კაპრიზი აქვს, გართობა უნდა, სეირნობა უნდა, წყალი უნდა გოუთბო, უნდა მეემსახურო (აბა, რავა გინდა) თვარა დაკრავს ფეხს და გეიქცევა.

რაკი შევტოპე, უკან დახევა არ გამოდის. უნდა გავწიოთ ყველაზე კაი ის დამსვენებელია, ვინც ოჯახით ჩამოდის, ან გეუბნება – ცოლიაო და საყვარელი ჩამოჰყავს.

თუ ნამდვილი ცოლია, ხელათ ვატყობ, მესამე დღიდან იწყებენ ჩხუბს.

საყვარლები ქე არიენ გუგულებივით, ტკბილად, ხელიხელ-გადახვეულები მიდი-მოდიან.

მე ამის გამოცდილება არ მქონდა და ვინც მევიდა, ყველა მივიღე.

რუსები უფრო მეტად ორ, სამ-სამად ჩამოდიან. „კამპანიას“ ეძახიან, – დაქალები არიან ან ძმაკაცები.

სმით ყველა სვამს და, რბილათ რო ვთქვა, „გულაობა“ ყველას უყვარს, მარა თუ კენტათ ჩემევიდა, მაშინ გლახათაა საქმე; იმის მიხედვით, ქალია თუ კაცი – ან მთლათ პირნავარდნილი ბოზია, ან უიმედო ლოთი.

„ადინოჩკები“, გითხრათ სიმართლე, არც „კომპანიებს“ უყვართ.

არის დილდილაობით გაწევ-გამოწევა და ერთმანეთის გაგზავნა სამასოიან სიტყვაზე.

თანაც ერთმანეთს უმოწყალოდ უჩივიან ჩემთან: ის ამნაირია და გააგდე ახლავეო.

ხო გითხარი, მე ამისი გამოცდილება არ მქონდა, დამს-

ვენებლების სიჭარბეს დევეხარბე და ქეც წევინტვრიე ცხვირი.

ერთი უცნაური (ჩემი ჭკუით, რასაკვირველია) დამსვენებელი შემხთა.

„ადინოჩკა“ იყო, შენ ჯვარი გწერია და, ასე შენი ხნის, ორმოცდაათსმილნეული, გალსტუკიანი კაცი.

გინდა თუ არა, ცალკე ოთახი უნდა მომცეო! მიზეზი რო ვკითხე, მეო, შუბლზე ხელი მიიდო, გონებრივად ვმუშაობ და ჩემთვის მარტო ყოფნა აუცილებელიაო.

გალსტუკმა მომატყუა (მერე მე იმის ყელზე გალსტუკი არ მინახავს), გამოვუთავისუფლეთ მე და ჩემმა ცოლმა ერთი ოთახი კიბესთან და შოვუშვით შით.

ვანია ერქვა, კარასტილიოვი იყო გვარათ.

რუსის გვარებს საერთოდ ძნელათ ვიმახსოვრებ, მარა „კარასტილიოვს“ რა დამავიწყებს. ციმბირიდან, ირკუტსკიდან იყო.

აქამ, ბაზარი სად არისო, დილით მკითხა, პამიდვრის ყიდვა მინდაო.

ბაზარი შორს არი, ბათუმის გადასახვევთანაა, ქობულეთის ბოლოში-მეთქი (საერთოდ, ქობულეთი სხვა ქალაქებივით მრგვალი ქალაქი არ არი, მოგეხსენებათ, გრძელი ქალაქია). თუ ხილი ან ბოსტნეული გინდა და სხვა არაფერი, აგერ იყიდება. ჩვენ წინ, სანატორიუმ „ივერიის“ შესასვლელთან-მეთქი.

„დიდი მადლობა, მეტი შეკითხვა არ მაქვსო“ – ლიმილით მიპასუხა და ჭიქვარს მოშორდა.

იმ დილის მეტად მე ვანია ფხიზელი არ მინახავს.

ერთი ტილოს ჩანთა ჰქონდა (ლოთებს ცელოფნის პარკები არ უყვართ, რატო, ვერ გეტყვი). ამოიღლიავებდა და წავიდოდა; 15 წუთში მობრუნდებოდა; ჩანთაში ორი ბოთლით ღვინო და ასე, ნახევარ კილომდე პამიდორი ედო.

ეს ყველაფერი იქედან ვიცი, რომ პირველ დღეს დამიძახა, ჩანთიდან ღვინო-პამიდორი ამოალაგა და დალიეო, დამისხა.

მე ვადლეგრძელე, ბედნიერი დასვენება ვუსურვე, ჭიქას ტუჩი შევახე და დავდგი...

ტი ჩტოვო? მკითხა.

არ ვსვამ, ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს-მეთქი.

რა დამალევინებდა ქემოკლიძის გარაუში ჩამოსხმულ მყრალ ღვინოს.

სხვათა შორის, ღვინო ორი-სამი დღის მერე თვითონაც არყით შეცვალა.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო, დღეში სამჯერ თვრებოდა ჩვენი ვანია.

„თვრებოდა“ არაა ის სიტყვა, იმიტომ, რომ სულ მთვრალი იყო.

ჩანს, სულ ცოტა გამოფხიზლებისაკენ რომ წევიდოდა, მაშინვე დაამატებდა.

დილას – არაყი და პამიდორი, შვადლეს – არაყი და პამიდორი, სალამოს – არაყი და პამიდორი.

ზღვაში, რასაკვირველია, არ ჩასულა.

საკუჭნაოდან მხოლოდ ადამიანურ საქმეზე და არაყ-პამიდვრის საყიდლად გამოდიოდა.

თითქმის არავის ელაპარაკებოდა და არც არავის არაფერს უშავებდა. ორი კვირის თავზე შენი ჭირი წეილო.

რა იყო ეს, თვითმკვლელობა, მამალი „გარიაჩე“ – როგორც მაგენი ეძახიან, თუ სხვა რამე, ვერ გეტყვი.

სიკვდილი თუ უნდოდა, რაღა ჩემთან მეიტანდა თავს.

შვადლემდე რო არ გემევიდა, შევაღე კარი და კვტარი დამხვდა.

ამნაირი შემთხვევა არც მანამდე და არც მერე ქობულეთში არ გამიგია.

ავათ გახდომა კი, ერთი-ორი ზღვაში დახრჩობის შემთხვევაც, იყო მარა ლოგინში რო წყნარად დამსვენებელი მოკვდო-მოდეს ვინმეს, არ გამიგია.

აბა, პოლიცია, აბა, მეზობლები, არ ვიცი ჩემი უიღბლო თავის ამბავი? კიდო კაი, მაშინვე დაწერა ექსპერტმა, ალკო-პოლისაგან დეილუპაო.

რა ექსპერტი უნდოდა, კვტარსაც არყის სუნი ასდიოდა.

ეს იყო სულ.

დამიდეს ეს ცნობა მაგიდაზე და წევიდნენ.

მეტს რას გამიკეთებს თავრობა. ტელეფონი სახში ქე ქონია ირკუტსკში, მარა ამას არსათ ეწერა და გულტმისანი ხვარვარ, ჩემით მივხვდარიყავი.

პასპორტის მისამართზე დავრეკე ირკუტსკში.

ხვალ სალამოს მევიყვანთ ფოსტაში რომელიმე ოჯახის წევრს, დაგვირეკეო, ფოსტის მორიგემ.

უბედური შემთხვევა და ეგება დღესვე გააგებინოთ-მეთქი.

მეო, გასაგებათ გითხარიო, მორიგემ და დამიგდო ყურმილი.

ან ტყვილი ეგონა ჩემი ნათქვამი, ან სხვისი უბედური შემთხვევისათვის იმ ფოსტის მორიგეს ყური ნამეტანი მიჩვეული ჰქონდა.

მეორე დღეს სალამოს დავრეკე.

ვანიას ცოლი ვარო, ლუბა მქვიაო.

მივუსამძიმრე, ვანია დაიღუპა-მეთქი.

თქვენ ვინ ხართო.

სახლის პატრონი ვარ, ჩემთან ოთახი ჰქონდა დაქირავებული-მეთქი.

არ უკითხავს, რისგან გარდაიცვალაო, ამან გამაკვირვა, მარა ვიფიქრე, ალბათ, მეუღლის სიკვდილის გამო ელდა ეცა და დეიბნა-მეთქი.

ფული თუ ჰქონდა, თუ ნახეთ ჯიბეშიო, ორად-ორი მანეთი ჰქონდა-მეთქი.

თქვენო, ოთახის ქირა გადაგიხადათო?

არ გადაუხდია, მარა ამას არა აქვს ქალბატონო ლუბა, მნიშვნელობა-მეთქი.

როგორ მოვიქცეთ, როდის დაგხვდეთ ბათუმის აეროპორტში-მეთქი.

ბევრი არ უფიქრია.

ასე მგონია, მომზადებული ჰქონდა პასუხი.

მეო, ჩამოსვენების საშუალება არ მაქვსო.

ჩამოსვენებას ხარჯი დიდი უნდა, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართო.

თანაც ახლა სამსახურიდან „ოტპუსკი“ არ მეკუთვნისო.

მანდ დაასაფლავეთ როგორმე და მერე ჩამოვალ, ერთი ჩამოსვლაო.

დაკრძალვაზე მაინც ჩამობრძანდით, გზის ფულს როგორმე მე გავახერხებ და გამოგიგზავნით-მეთქი, კაი ჭირისუფალ-ნათესავით ვეუბნები (ჩემი სულელური სიკეთე, თვარა რა შეუაში ვიყავი მე).

არაო, ახლა მაინც ვერ ჩამოვალ და მერე ვნახოთო.

სამშაბათს მოკტა ვანია და 5 აგვისტოს, შაბათს, დავასაფლავეთ ქობულეთის სასაფლაოზე.

ოთხი დღე სახლში მესვენა.

ქრისტიან კაცს უპანაშვიდოდ ხომ არ დავმარხავდი.

უნდა გითხრათ, პანაშვიდზე მეზობლები ქე მევიდნენ, მარა არც ერთი დამსვენებელი არ გამოსულა.

დავასაფლავე, ჭოვ, და პატარა ქელეხიც ქე გოდვუხადე, რავარც ჩვენი წესია.

სექტემბრის სამი იყო, თვითვან დარეკა ლუბამ.

ქმრის საფლავის მოსანახულებლათ უნდა ჩამევიდე და გზის ფული ირკუტსკის თავარ ფოსტაში გამომიგზავნე, „დო ვოსტრებოვანიაო“.

სიმწრის ცრემლი მომადგა თვალზე, ამხელა ტრავმა (მდგმურის სიკტილი), ამდენი ხარჯი და კიდო გზის ფული უგზავნე ლუბას.

რა მექნა. მევისისხლფასე ხუთასი მანათი და გოვუგზავნე.

ორ კვირაში დეპეშა მივიღე.

ამა და ამ რეისით ჩამოვდივართ და დაგვხვდიო.

გავვარდი ბათუმის აეროპორტში.

ლუბა ვიღაც რიუჟა რუსთან ერთად ჩამევიდა.

ჩვენი ოჯახის მეგობარია, პეტია ჰქვიაო.

პეტიამ გულგრილად ჩამომართვა ხელი. ვანიას ოთახი დოვუთმე ლუბას.

ოჯახის მეგობარიც ჩემთან იქნება, შიგა და შიგ უნდა მანუგეშოს, თვარა ვანიას ოთახში ისე რა დამაძინებსო. იმ ღამეს პატარა ვახშამი და დილით სასაფლაოზე გევედით.

ვერ ვიტყვი, ლოყები დეიხოკა-მეთქი, მარა ტირილით ქე იტირა ლუბამ, რაც მართალია, მართალია.

ერთ თვეს დარჩნენ, სექტემბრის ბოლომდე ჩვენთან ლუბა და პეტია.

თლათ ვანიასავით არა, მარა სმით ეგენიც ქე სვამდნენ.

ხანდახან შუალამისას ითახიდან სიცილ-ტკარცალი ისმოდა.

სიმღერით არ უმღერიათ, ცოდოს ვერ დავიდებ.

სექტემბრის ბოლოს რაცხა მოუხშირეს ჩემი ჯანმრთელობის მოკითხვას და შიგადაშიგ ქეც ამეიხვნეშებდნენ.

ბოლოს პეტიამ ჩამიბოდიშა – წასვლას ვაპირებთ (ჭირისუფლები) და ეგებ გზის ფული გაგვიხერხო რამეფრადო.

მე რა საშუალება მაქ, რაც მქონდა ორი კაპიკი, ქე დავახარჯე ამ საქმეს-მეთქი. სახე მემეჯლანა.

ვიცით, შენც გიჭირს, მარა გამოუვალი მდგომარეობა გვაქ და ეგებ კეთილ მეზობლებში შეაგროვო ჩვენი გზის ფულიო, გზაც თვითონ მასწავლა.

რა მექნა? შენ რას იზამდი? ჩამევიმათხოვრე მეზობლებში და ოც-ოც მანათათ შევუგროვე გზის ფული. ორ ბილეთს ირკუტსკამდე ცოტა უნდოდა?

წევიდენ, რავარც იქნა.

მოკლეთ, რო არ მოგატყუოთ, ამის მერე შვიდი წელიწადი იარეს ჩემთან ზაფხულობით ლუბამ და პეტიამ.

ივლისი რო დეინწებოდა, მიდეპეშებდნენ: ვანიას საფლავის  
მოსანახულებლად ჩამოვდივართ და ოთახი გაგვიმზადეო.

თითო თვეს რჩებოდნენ ქობულეთში, მეტს არა.

გზის ფულს აქეთობისას არ მთხოვდნენ, მარა იქითა სამგ-  
ზავრო ფულს ვუგროვებდი.

შეიძლება, გასამგზავრებელ ხარჯებს ქეც მეიმარქაფებდენ  
აქეთობისას, მარა ამ ერთ თვეში არაყმი შამეეხარჯებოდათ და  
წასვლის დრო რომ მოახლოვდებოდა, ხელებში შემომაჩერდე-  
ბოდნენ.

ერთი-ორჯერ ჩამოვუგდე სიტყვა.

აქ, ქობულეთის მიწაში, ალბათ თავს გლახათ არ გრძნობს  
ვანია, მარა, რათ უნდა ლაპარაკი, მშობლიური ირკუტსკის  
მიწაში ურჩევნია და გადასვენებაზე ხვარ გიფიქრიათ-მეთქი.  
მარა ლუბაც და პეტიაც მაშინვე სიტყვას, რომ იტყვიან, ბაზზე  
ამიგდებდენ.

გადასვენების გაგონებაც არ სურდათ.

გუშლამ დეპეშა მივიღე და ჭკუიდან თვარ ევინევი, არ  
მგონია. თავი მაქ მოსაკლავი, მაგიტომ ვარ შენთან შამოსული  
ამ დილაადრიან.

შენ რას გერჩი, დასასვენებლათ ჩამოხვედი და ძილი  
არ გაცალე, მარა რაცხა უნდა მირჩიო, გზაზე დამაყენო. ა,  
წეიკითხე:

„ლუბა გარდაიცვალა და ანდერძი დატოვა: ჩემი მეუღლის  
გვერდით დამასაფლავეთო, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზა-  
ვნოთ ფული. ჰეტია“.



## სექსუალური ნოველა 2

გიორგობისთვე იწურება.

მეორე კვირაა გადაუღებლად წვიმს.

ეს წვიმა ახლა არავის და აღარაფერს სჭირდება. უფრო  
მეტიც: ოდენ ზიანი მოაქვს.

აჩალულ ყანაში ზვინებს ალპობს, გზა-შუკას ატალახებს,  
ფუტკარს ზედმეტ საზრუნავს უჩინს, გაუინულებულ ფერ-  
დობს სამეწყერედ ამზადებს, ახალ ნარგავებს ფესვებზე მიწას  
აცლის, კიბეს ალპობს, გლეხკაცს ბუხართან აპამს...

კიბის ქვეშ, სადაც შედარებით სიმშრალეა, ოთხი მიუუუ-  
ლან – სამი დედალი და ერთი მამალი.

ციცრისწინწკლება, ნაცარა დედალი ქვიშაზე გულ-მუ-  
ცლით დაშვებულა.

დროდადრო აინევა, ქვიშა-მტვერს ფეხს გაჰკრავ-გამოჰ-  
კრავს და უფრო მოხერხებულად მოკალათდება.

ალისფრთხება, ყავისფერქოჩორა ქათამს ნისკარტი მარცხე-  
ნა მხარეს ფრთა-ბუმბულში ჩაუმალავს და ზეზეურად თვლემს.

თვალზე თეთრ აპკს წაიფარებს და თითქოს ნირვანაშია  
ჩაძირული, მაგრამ საკმარისია რამე გაფაჩუნდეს, კისერს  
წაიგრძელებს და სმენად იქცევა.

მესამეს, კაცმა რომ თქვას, ჯერ დედალი არც კი ეთქმის,  
ვარიობის ასაკიდან ახალგამოსულია.

იმერეთში რომ მოჩოთას ეძახიან, სწორედ ისაა, მაღალ  
ფეხებზე დგას, კაკბისფერია.

ლამაზ თავს წამდაუწუმ ატრიალებს და შიგადაშიგ,  
თითქოსდა შემთხვევით მომიხვდა თვალიო, უკან აკაციის  
ჯირკზე შემდგარ მამალს გახედავს. წითელდეზებიანი, ფერ-  
ზიმზიმა, ლურჯ-ჭრელი მამალი მთელი თავისი ბიბილო-აღკა-  
ზმულობითაა წარმოდგენილი.

წონა-წარმოსადევობის და თვალებთან მიჯრილი ნაოჭების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ, რომ იტყვიან, გამოჯელი, გამომდგარი მამალია.

ოთხივენი წვიმას გასცექრიან და იმ ფიქრებში ჩაძირულან, სწორედ შინაურ ფრინველებს რომ აწუხებთ ხოლმე და ისიც წვიმიან დღეებში.

მოჩითა ჩქარი ნაბიჯით ჭიშკრისკენ წავიდა.

მამალი მეყსეულად ადგილს მოსწყდა, ჭიშკართან დაეწია, შეახტა და კეფასთან ნისკარტით დაუჭირა კაკბისფერი ქათიბი.

დარცხვენილი ვარია ტრიფოლიატის ღობეს გაუყვა, მა-მალმა კი ფრთები ააბათქუნა, დაიყივლა და მედიდურად დაბ-რუნდა კიბის ქვეშ.

– ნეტავი შენ, რო არ გეზარება ამ წვიმაში, – ჩაუსაყვე-დურ-ჩაუკაუნა ქოჩორა დედალმა.

– რა შუაშია, ქალო, წვიმა. ახლა მაგი გამოგაზაფხულზე კვერცხისდებას დეინწყებს და ჰქონდეს აპა ინკუბატორის ქა-თამივით უმამლო კვერცხები?

– შენ ხარ გაოხრებული, თვარა ჯერ არაფერი საჭირო იყო მაგისთვის კვერცხობა და კრუხობია. ჯერ გამეეხედა თვალში ცოტა, – წამოეშველა დაქალს ნაცარა.

– მაგი ქენი, მაგი. თქვენს ჭკუაზე გევივლი, თქვენმა მზემ, ჩემი საქმე მე ვიცი! – არც ნაცარა დატოვა უპასუხოდ მამალ-მა, აკაციის ჯირკზე შეხტა და კვლავ ლაფაროში მოტყვამპალე წვიმას მიაჩერდა.

– სულ მინდოდა მეკითხა შენთვის, – დაიწყო ქოჩორამ და მამალს გახედა, – ეს ყველაფერი, ვთქვათ, კაი... გათახ-სირებული რო ხარ და შენი გამოსწორება რო არ იქნება, გას-აგებია, მარა ამ შუადლეზე, იმ საქმის მერე ე ყივილი რაღა ჯანდაბაა?

– მამალი რო იყო, გეცოდინებოდა, მარა უტვინო დედა-ლი ხარ და, რო აგიხსნა, მაინც ვერ გეიგებ, – განზე გაიზე-და მამალმა.

– გვითხარი, გვითხარი, თავი ნუ მოგიკვდება, – აშკარა იყო ყივილის მიზეზი ნაცარასაც აინტერესებდა.

– არაფერი დიდი საიდუმლო მაგაში არაა. მაგ ყივილით სხვა მამლებს ვხეთქავ გულზე, ვაგებიებ: მე ჯერ კიდევ ვპე-პლაობ, ჩემს ქათმებს მე თვითონ ვუვლი და გულში გლახა არაფერი გეივლოთ-მეთქი.

– ააა, თურმე რა ყოფილა, – ნაცარამ გაიღიმა და ქოჩორას თვალი ჩაუკრა.

ქათმებისას რას გაიგებ, ძვირფასო მკითხველო, რატომ ჩაუკრა ნაცარამ ქოჩორას თვალი. ცოტა ხანში მოჩითა-ვარია დაბრუნდა.

იგი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა და კეფასთან აწენილ თმას ჭვანგით ისწორებდა.

– რა იყო? ჰკითხა ქოჩორამ.

ვარიამ უკან მიიხედა და მამლის გასაგონადაც ჩაიღაპარაკა:

– რა იყო და მხეცია ნამდვილი, ამაგლიჯა თავზე თმა, აღარ შემიძლია მეტი.

– ვერ ეტყვი მერე? – თანაგრძნობა ჩანდა ქოჩორას ხმაში.

– რამდენჯერ ვუთხარი. თავისი რკინის ნისკარტით ე თმა რო არ დამიჭიროს, ისე არ შეიძლება?

– რო შეიძლებოდეს, მე მიხარია შენი თმის მოწინევნა? ვცადე, მარა არაფერი გამევიდა. ჯერ ერთი, ნაწვიმარია და სველი გაქვს ზურგზე თმა-ბუმბული, ფეხი ხომ უნდა მევი-კიდო. მეორეც, დოინჯშემოყრილი არავინ აკეთებს ამ საქმეს. პატარა ქე უნდა მეითმინო. აპა რავა გინდა, – ცას ახელა მა-მალმა.

– გეიგონე? უნდა მეითმინოვო, – ნაცარამ მოჩითას თავზე ფრთა გადაუსვა.

– რავარი მოსათმენია, ბატონო. ჯერ ამსიმძიმე მამალი რო დამაწვება, ფეხებში ვიკეცები და მერე კეფაში რო ჩამა-ვლებს ნისკარტს, სიმწრის კურცხლები მცვივა. იცით თქვენ

რა მძიმეა? მაინც რამ გაზარდა ამხელა – ქათმებს აცოდებდა თავს მოჩოთა.

– ვიცით, ვიცით, მეტი რა ვიცით, – ჩაილაპარაკა ნაცარამ.

– ერთს ვიტყვი ახლა მე. მძიმე როა და თავზე ბუმბულს რო გვაწინენის, იმიტომ ვართ ჩამჯდომები ამ ქვიშაში და არ ვუქნევთ გავა-ბოლოს წამდაუნუმ მამალს, თვარ გინდოდა, რაზე გავარდი წელან ჭიშკრისკენ.

– რა იყო, არ გევინძრე, აპა, მაგის შიშით? ტრიფოლიატის ლობეზე პეპელა იჯდა და იმას გამევეკიდე.

– რა უნდა, გოგო, პეპელას ამ ზამთრისპირზე, – შეიცხადა ქოჩორამ.

– მემეჩვენა, ალბათ, – იხტიბარი არ გაიტეხა მოჩოთამ. კიბის ქვეშ მოსაწყენი, გულისწამლები სიჩუმე ჩამოწვა.

წვიმდა გრძლად, გულმოდგინედ, დაუზარებლად.

ჭის მხარეს, ლაფაროსთან, ამ ქათმების პატრონი მარტოხელა კატისულვაშა მოხუცი არაყს ხდიდა. სპილენძის კარდალიდან თავნამტვრეული ჩაფით ოხშივარავარდნილ ჭაჭას რომ ამოხაპავდა და ლობის იქით, რუსთან გადააპირქვავებდა, ჭაჭასმისეული ინდაურები ვაშაურათი იქაურობას იკლებდნენ.

– რა აჭმევთ ამ კვდარძალლებს ამ მყრალ ჭაჭას, – ჩაილაპარაკა მამალმა.

– ქეც იმიტომ აქვთ ჩიჩაყვ-ნისკარტი დაჩვარულ-დაწი-თლებული, დათვრებიან ახლა და დეინყებენ უშნო ბორიალს, – კვერი დაუკრა ნაცარამ.

გომურში ხბომ დაიბლავლა, რასაც ვენახბოლოდან ძალლის ყეფა მოჰყვა.

ხბომ, აქაოდა შენ არავინ გეძახისო, მეორედ დაიბლავლა.

ამჯერად ძალლი არ გამოპასუხებია.

ღობის გადალმა, გამხმარ წაფერდებულ მსხალზე, მეზობლის მამალი შეხტა და ფრთას ფრთა შემოჰკრა, დაყივლებით, ვერ მოგატყუებთ, არ დაუყივლია.

ფრთების ატკაცუნებით რომ ყურადღება ვერ მიიქცია, ჩამოხტა და ორლობეს გაუყვა.

ტრიფოლიატის მწვანეში აქა-იქ გაკრთებოდა მამლის მოხდენილი თავი.

ეს ჩვენ გვგონია ადამიანებს, რომ ყურადღება არავინ მიაქცია, თორემ მოჩოთამ ლამაზი კისერი მოიღერა, ნისკარტი გახსნა და ჩაილიღინასავით.

– ჲო, რა იყო, რას გამოცოცხლდი, გადაგიარა კეფის ტკივილმა? – ჩაუნისკარტა ქოჩორა დედალმა.

– რა იყო, ბატონო. გახედვაც ალარ შეიძლება?

– მე ვიცი შენი გახედვა... არ დაგინახოს, თვარა გასწავლის ჭკუას, ბოლოზე ბუმბულს არ შეგარჩენს.

– რო სადმე შემეფეთოს, არც მივესალმო, თქვენი ჭკუით?

– ჯერ ერთი, ჩვენ თუ არ მოგვშორდები გვერდიდან, არსად შეგეფეთება და მეორეც, შენთვის სალამქალამისა და ფარფატკეკლუცობის დრო დამთავრდა, ქალი კრუხობას აპირებ.

მოჩოთა-ვარია რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა, მაგრამ მამლის მრისხანე ხმამ გადააფიქრებინა.

– რა უნდა ამ ლაწირაკს, რას დეეთრევა ამ ჩემს ღობესთან, მაგას თავი ხომ არ მობეზრდა?! – აშკარად ვარის გასაგონად ამბობდა მამალი და თანაც თვალით ორლობებში წინწკალა ღელისკენ მიმავალ მეზობლის მამალს მიაცილებდა.

– რა იყო, შე მყრალო, რას ამეიჩემე ე ბოვში. ეკადრება შენი ხნის კაცს მაგისთვის თავის გაყადრება? – ფრთიდან დააძრო თავი ქოჩორამ.

– დირეზე შეხტომას და აქეთ ყურებას ქე დაანებოს თავი და თავის ჩაოხრებულ საქმეს მიხედოს, თვარა მევიხელთებ საღაცა იქნება და გავათრევინებ წელს, – დაიქადნა მამალმა.

– რავა სულ ის ამბავი გეჩვენება, ერთად გეიზარდნენ და არ მიესალმოს, არ შეხედოს კარის მეზობელს?!

უკმაყოფილების და, ღმერთო შეგცოდეს, აშკარა პროტესტის სიმი გაკრთა ნაცარა ქათმის ხმაში.

– რაიმ?! – დაიგრგვინა მამალმა, ჯირკიდან ჩამოხტა, ნაცარასთან მიირბინა და სამ-ოთხჯერ ისე მოუნაცვლა კისერში ნისკარტი, რომ საწყალ დედალს კინკრიხო კინალამ წაგდებინა.

– რავა ამეიღეს ენა, რავა დამაჯდნენ თავზე, უყურებ შენ ამგენს?! მე შენ გასწავლი ჭკუას! არ დამინწყო მეზობლობია ამან აქანა?! – მძვინვარებდა და წალმა-უკულმა ტრიალებდა ჯირკზე დაბრუნებული მამალი.

– კაი, ბატონო, ნუ ეტყვი ნურაფერს. ჩემი გულიზა ჩხუბს ნუ დეინწყებთ, – ჩაილაპარაკა „მთავარმა დამნაშავემ“.

წვიმა ისევ უკაუნებდა ხავსმოდებულ კიბეს, ფოთლებშე-მოძარცვულ კორკიმელს, თუნუქით გადახურულ სალორეს და ყავარშემპალ სამზადს.

ხბოს ბლავილს ძალის გაბმული ყეფა მოჰყვა.

მოჩიოთა-ვარიამ თავი ასწია, წელში გაიზნიქა, მიიხედ-მოიხედა და, თითქოს საკენკი დაუყარესო, ჭიშკრისკენ გა-ფანცქალდა.

მამალი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაედევნა.

ჭასთან ანაზდად საკუთარ დეზს გამოჰკრა ფეხი და წაიფორხილა, მაგრამ არ შეიმჩნია, რამდენიმე ნახტომით დაე-წია „მსხვერპლს“, შეახტა და კისრის ზემოთ თმა-ქიჩო წელან-დელზე უფრო გამეტებულად დაუჭირა.

... ჩამოხტომისას მოჩიოთას ნაზად ამოჰკრა ფეხი ლამაზ ბოლოკურტუმოზე, ფრთები ააბათქუნა, დაიყივლა და აკაციის ჯირკვზე ისევ თავის ადგილას დადგა.

18 იანვარი, 2005



## ქართველები

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო, შენს ნაწერებს, თუ სადმე წავანყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე, გულს არ ხვდება.

ასე მგონია, თქვენ, მწერლები ავი ფიქრებიდან ჩემს გამო-ყვანას, ჩემს გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.

კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.

შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: წერვებდაწყნ-არებული, გალადებული... რა ვიცი, რანაირი.

გული დამწყდა, წელან რომ ბრძანე, სადღაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, არაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.

თუ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.

მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქებული ხალხის შვი-ლი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გუ-ლის მოსაფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მედავები, შე კაი კაცო.

შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?

ვერ მოვიშორე ბატონო ვერა, დამარცხებულის სინდრომი.

ეს თორმეტი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.

რანაირად-მეთქი, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწინ ჩვენი ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქების შემყურე ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, მღვდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლ-დაგლახავდებოდა-მეთქი, შენ რომ მწ-ერალი ხარ, რაღაცა იმნაირი მითხარი, შეუძახე შენს ერს, შე-

ანჯლრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგება მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.

მე ისტორიკოსი გახლავარ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.

ერთი შედარებით ახალია, მეორე – უფრო ძველი.

ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთ-ორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.

ეტყობა, ვერ მოირგეს ენა-კალამზე.

მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეუმიმანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუნიტებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაიარა შრომა-გასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებული-ტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყე-ჭაობში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემა-ტყეპით მილალეს უკან ბანაკში, იმ საღამოსვე გაასამართლეს და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავრდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახ-გადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა, – უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშენყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენისას, ასე 6-7 საათზე, უნდა მიყარონ კედელთან და დახვრიტონ.

შუალამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარცი პატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმის-ჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა?

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთე-კიმა წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან, შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დაკვარგე. რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიურერთან“ გავვარდი, როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანექში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი. სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიუდა, თურმე გერმანელი: რა დროს სინდის-რევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შედეგად, ერთ რამეზე დაითანხმა: შეპრუნდი კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენს გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგინია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ლიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერებთ თქვენ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ გაძალებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯისთვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში სწერია. უურნალმა „ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა 1962 წლის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია:

მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგალმა, ფალავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფალავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

სამასი წლის ამბავია.

თავადმა მელიტომ ფალავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქმის გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს ფალავების ოჯახში ბიჭი დაიბადა.

გადარჩა ფალავების სათავადო დინასტია, მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქევს.

ორი წლისა, ჩვეულების თათნახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს – კინი გაბუნიას მიაბარეს.

კინის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბისკბილა – ბოჩო.

მეჩიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი – ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ჰყიდდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კინი გაბუნიას მეუღლე – ღალა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ ღმერთო, შეგცოდე, მომეტებულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფალავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს ხუთმა თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გამოტოპა და კინი გაბუნიას სახლს გარშემოენყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღალა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩაუსისინეს:

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფალავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული, მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა გეტყვი, ღალდას ბევრი არ უფიქრია, თავისი ბოჩი ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხა-მესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფალავების საგვარეულო უმემკვიდრეოდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამაკონში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო რეზო, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსნება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს. იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ჩვენი ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს.

მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

4 იანვარი, 2005 წ.



## გადახურვა

მეთულუხეთა და მათ შთამომავალთა საზოგადოების ძველთაძველი შენობის ჭერზე წყალმა პირველად ამ ოცი წლის წინათ ჩამოჟონა, მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, წვიმამ სწრაფად გადაიღო და შენობის მაშინდელმა მომვლელ-მესვეურებმა ყურადღება არ მიაქციეს.

მერედამერეც ბევრჯერ იწვიმა, რასაკვირველია, მაგრამ, გაგიკვირდებათ და წყალი, ყოველი წვიმის დროს არ ჩამოდიოდა.

საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, ყოველი მეოთხე-მეხუთე წვიმა ჩამორეცხავდა თბილისური წვიმის კამკამა წყლით ჭერს და თან თიხის ანგელოზის პატარა ნაწილს (ვთქვათ, ნეკა თითს ან თმის ბულულს) ჩამოიტანდა.

გამოვიდნენ ამ დროს მნეთა წუწუნ-ჩივილით შეწუხებული მეთულუხეთა საზოგადოების თავმჯდომარეები თავანთი კაბინეტიდან.

ახედავდნენ წყალმორეულ ჭერს, „ეს რა ხდება, სანამდე შეიძლება ვითმინოთ ესო“, ჩაილაპარაკებდნენ, ჩასხდებოდნენ შავ „ვოლგებში“ და გასწევდნენ შინისაკენ.

არ ვიცი, მათი აღშფოება ძირითადად წვიმას შეეხებოდა თუ ადგილობრივ ხელისუფლებასაც წაუწყიპურტებდნენ ხანდახან ისე, სხვების დასანახად, სიყვარულიანი მოკრძალებით.

მეორე დღეს აღარ წვიმდა, ან ისე აღარ წვიმდა და კლუბის ჭერზე ლამაზად განოლილ თიხის ანგელოზებს მომავალ წვიმამდე საშიშროება აღარ ემუქრებოდათ.

ამიტომაც მწენი და ერთი საფეხურით მათი უფროსები განგაშის ასატეხად არც თავს იწუხებდნენ და ისე ძალიან უყვარდათ მათი, ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში გამოსაცვლელი თავმჯდომარეები, ნერვებს აღარ უშლიდნენ ისეთი უბრალო საქმის გამო, როგორიც ჭერიდან წვიმის ჩამოჟონვა გახლავთ!

ასე ხდებოდა მთელი ოცი წლის განმავლობაში.

მე, რასაკვირველია, ოცი კი არა, ოცდაათ წელზე მეტი ხანია, მეთულუხეთა საზოგადოების წევრი გახლავართ და არაერთგზის მომიკრავს თვალი, როგორ წკაპუნობდა წვიმის წვეთი ვეფხვის ფიტულის ახლოს ბიბლიოთეკართა მიერ დადგმულ ალუმინის ქვაბში, მაგრამ, როგორც უურნალისტები იტყვიან, ენერგიული ზომებისთვის (ვთქვათ, მშრალი შიმშილობა, ან საპროტესტო მიტინგის გამართვა) არ მიმიართავს.

განა თიხის ანგელოზის ბედი არ მაწუხებდა, მაგრამ ვდუმდი, იმიტომ, რომ ყოველგვარი აქტიურობა იმ დროს მეთულუხეთა კავშირში ინტრიგანობად თუ არა, შიშველ კარიერისტობად მაინც ფასდებოდა.

ეგ კი არა, ერთხელ ვთქვი: ახალგაზრდებს რატომ არ ვლებულობთ მეთულუხეთა კავშირში-მეთქი და ამის გამო წელიწადნახევრით მეთულუხეთა კავშირიდან გამრიცხეს.

ოცდაორ ივლისს მეთულუხეთა კავშირში რეპრესირებულ მეთულუხეთა მოსაგონარი საღამო მიმდინარეობდა.

გარეთ (შესაბამისად მეთულუხეთა სახურავზეც) ისტორიული წვიმა შხაპუნობდა.

დაუზარებლად უტყაპუნებდა თავზე სველ ხელებს არა მარტო მინისძვრისაგან დახეთქილ სახლებს, სახელმწიფო კანცელარიასაც.

მომხსენებელს ოლღა ოკუჯავას დახვრეტის საინფორმაციო მოხსენება არ დაემთავრებინა, რომ ყოველგვარი წინასწარი გრუხუნისა და ავისმაუწყებელი ზუზუნის გარეშე კლუბის ჭერი ერთბაშად ჩამოინგრა.

ვისაც პირველი ელდისაგან გულშემოყრილს და მეთულუხეთა შორის კარებში საიმედოდ გაკვეხებულს ჭერისკენ ახედვის ძალა შერჩენოდა, დაინახავდა, რომ ლამაზად განოლილი ანგელოზის ადგილას ჭერის შავი ხახიდან ნიაღვარი მოჩანჩერობდა.

მეთულუხეთაგან, თითქოს ამ წუთისთვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე, პირველი იობაია მოეგო გონს.

პრეზიდიუმის მაგიდას ფანერის სახურავი აადლლიზა და სახურავისკენ აბაკუნდა.

როგორც თვითონ იგონებს, მაგიდის თავით მიმართულება შეუცვალა წყალს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

იატაკსდანარცხებული ულამაზესი ანგელოზი ნაწილნაწილად დაშლილიყო და თავის პირვენდელ სახეს – გაჯთიხას დაბრუნებოდა.

სხვა მეთულუხეთაგან ტელეფონებს ეცნენ, რომ სხვადასხვა ტელეარხისათვის შეეტყობინებინათ ეს სამწუხარო ამბავი. მშვენივრად ვიცოდი, რომ დღევანდელი ტელევიზია გალაკტიონის იმ მატარებელს ჰგავს, რომელზედაც ტანჯულმა პოეტმა დაიკვენესა: „რა საჭიროა ახლა გოდება, მე ვიცი ამ გზას რაც ეწოდება, მატარებლისგან როს მიმილია ან თანაგრძნობა, ან შეცოდება“.

ამიტომაც, ბევრი აღარ მიფიქრია, პირდაპირ ქალაქის საავარიო ბრიგადის უფროსს მივვარდი.

ასე და ასეა საქმე, დავიღუპეთ-მეთქი.

თუ უკვე დაიღუპეთ, ვეღარაფერს გიშველით, ჩვენ, ვინც ეს-ესაა იღუპება, იმის დახმარება გვევალებაო.

კლუბი ჩამოინგრა და ფრთიანი ანგელოზი მიწას დაენარცხა, იცით ეს რას ნიშნავს-მეთქი?! – ვიყვირე, რაც შემეძლო.

ბრიგადის უფროსმა იფიქრა, ყველა მეთულუხეს კრამიტი ცოტაზე მაინც აქვს დაცურებული და, ალბათ, ამიტომ, ჭერიდან წყლის ჩამოსვლა ანგელოზს დაუკავშირაო.

ეს გაიფიქრა, თქმით კი, რაც შეეძლო დამიყვავა:

მიბრძანდით და გამოვგზავნით ბრიგადასო.

როდის გამოგზავნით-მეთქი.

როცა სხვა ობიექტებიდან დაბრუნდებაო.

„სხვა ობიექტს“, ჩანს, კარგა ხანს შერჩენ, რაკიდა „ბრიგადა“ საღამოს რვა საათზე ზუსტად იმ დროს მოვიდა, როცა

უკვე აღარ წვიმდა და ჭერიდან ჩანჩქერის ნაცვლად უწყინარი ნარჩენი წყალი წვეთავდა.

ბრიგადამ (იგი ერთადერთი კაცისგან შედგებოდა), როგორ დავუკარგავ, დაუზარებლად დაათვალიერა ჭერის ცხრავე დაზიანებული ადგილი.

მე ფეხდაფეხ მივდევდი და ვანათლებდი:

ეს უბრალო შენობა არ გეგონოს, ამ შენობაში სტუმრად არაერთხელ ბრძანებულა სულმნათი ილია, ამ ოთახში აკაკი წერეთელს არაერთი ღამე გაუთევია. აქ, ამ ჩამონგრეულ კლუბში, გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას სული ტრიალებს, აქ, ამ კედელთან, სწორედ ამ ადგილას, პაოლო იაშვილმა მოიკლა-მეტები თავი.

მგონი, ინტელიგენტური გარეგნობის მაშველს გული ცოტათი მაინც ავუჩუყე, რადგანაც, ძირს რომ ვეშვებოდით, სამჯერ მაინც მკითხა: რატომ მოიკლა პაოლომ თავიო.

გასვლისას წვიმის ნარჩენს ხელი შეუშვირა, ცხვირსახოცით შეიმშრალა და მითხრა:

ვხედავ, სავალალო სურათია, მაგრამ ვერაფერს დაგეხმარებით.

თქვენი შენობის სახურავი ტერიტორიის მიხედვით თქვენი რაიონის გამგეობამ უნდა შეაკეთოსო.

ეს რომ მითხრა, სტუმრისადმი ინტერესი დავკარგე და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი გამგებლის მოსაცდელში.

გამგებელს, ღმერთმა უმრავლოს, იმ საღამოს უამრავი სტუმარი ჰყავდა.

როგორც მათი არცთუ ხმადაბალი წუნუნიდან ჩანდა, ძირითადად ყველანი ჭერიდან ჩამოთქეშილი წყლის პრობლემას შეენუხებინა.

მდივანმა ქალმა მიცნო.

რამდენი ხანია, ბატონო რეზო, არ მინახავხართ, როგორ გასუქებულხართ, რას დამსგავსებიხართო.

სპეციალურად გამასუქეს, კახა ბენდუქიძის როლში მიღებენ-მეტები:

შენ ისევ ისეთ ლამაზ, ცქრიალა გოგოდ დარჩენილხარ-მეტები, ვიცრუე.

ჩემი სიმპათია ბრძანდებოდით ახალგაზრდობის დროს, მაგრამ რაკი ყურადღება არ მომაქციეთ, გავთხოვდი და ახლა სამი შვილიშვილის პატრონი ვარო (შვილი რამდენი ჰყავდა, არ უთქვაშს და, გთხრათ სიმართლე, არც მე ჩავკითხ-ჩავძიებივარ მაინცდამაინც).

ჰოდა, რაკი შენი ძველი სიმპათია ვარ, შემიშვი გამგებელთან-მეტები.

დიდი სიამოვნებით, ბატონო რეზო, მაგრამ ესენი, მოსაცდელში მოყაყანეთ მიათითა, ერთ ამბავს ატეხენო.

სხვა გზა არ მქონდა, გამგეობის მოსაცდელში პატარა სამიტინგო-საინფორმაციო გამოსვლა მომიხდა ჩვენი სასახლის მდგომარეობის განსაკუთრებულობის შესახებ.

მთხოვნელები განსაკუთრებით პაოლო იაშვილის თვითმკულელობის სევდიანმა ამბავმა შეაძრნუნა და, როგორც იქნა, დამითმეს რიგი.

გამგებელმა, ახალგაზრდა, თავაზიანმა ყმაწვილმა ყურადღებით მომისმინა და შენუხდა, რომ ქმედით დახმარებას ვერ გამინევდა:

როგორც თქვენი ნათქვამიდან ჩანსო, მეთულუხჩეთა სასახლე მთლიანად უნდა გადაიხუროსო.

უდიდეს პატივს ვცემ პაოლო იაშვილს, მაგრამ მთლიანი გადახურვა ჩვენი კომპეტენცია არ არის, ჩვენ მხოლოდ სახურავის შეკეთება შეგვიძლიაო.

თანაც ჩინური ჰუმანიტარული თუნუქი მინისტრთა კაბინეტის განკარგულებაშიაო.

ჩავიცვი რკინის ქალამნები და მეორე დღეს სახელმწიფო კანცელარიაში გავჩინდი.

პრემიერმა, ასეთ წვრილმან საქმეზე თქვენ როგორ შენუხდით, ბატონო რევაზო.

რა პრობლემებს ჰქმნიან იქ, ქვევით, გაუგებარია პირდაპირო.

რა ბრძანებაა, მეთულუხჩეთა კავშირს თუნუქზე უარს როგორ ვეტყვითო.

აგაშენა ღმერთმა, აბა, დაურეკეთ, ან მიმიწერეთ-მეთქი. გაეცინა.

როგორ გაკადრებთ ან ერთს, ან მეორესო.

თქვენ ჩემზე მეტი თუ არა, არანაკლები ავტორიტეტი გაქვთ ქალაქში, მიბრძანდით ქალაქის პრემიერთან და თუ რამე წინააღმდეგობა შეგხვდათ, მე მოვუვლი მაგ საქმესო.

წამოვედი გულმოცემული.

ქალაქის პრემიერის მოსაცდელში, რაიონის გამგებლისგან განსხვავებით, არავინ იყო.

თუ არის უფროსი-მეთქი, ვკითხე კოხტა მდივან გოგონას. კიო.

შვებით ამოვისუნთქე.

მეთულუხჩეთა კავშირიდან გახლავართ-მეთქი.

გიცნობთ, ბატონო რევაზ, თქვენ ვინ არ გიცნობთ. ხუთი წლის რომ ვიყავი, თქვენთან შოვში სურათიც მაქვს გადაღებული, მუხლებზე გიზივართო.

სურათის გადაღების კონკრეტული მომენტი არ გამახსენდა, მაგრამ მდივანს რომ შევხედე, ეს ამბავი დაახლოებით ოცი წლის წინ მაინც უნდა მომხდარიყო.

თუ შეიძლება, მოახსენე, რომ სასწრაფო საქმეზე ვარ-მეთქი.

ვერაო, ახლა ვერაფერს მოვახსენებ, ძალიან დაკავებულიაო.

დამიტოვეთ თქვენი მობილურის ნომერი და გაძლევთ პირობას, დღის განმავლობაში თვითონ დავარეკინებო.

კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ პრემიერის მდივანმა მომატყუა.

დარეკვით ხომ არ დაარეკვინა პრემიერს, მე მგონი, ჩემთან ისტორიული სურათის გადაღების ამბავიც მაშინვე, სახ-ელდახელოდ შეთხზა.

ჭერის ჩამოთხლეშვიდან მესამე დღეს, დილით, კვლავ პრე-მიერის კაბინეტთან გავჩნდი.

მისაღებში კვლავ სამაგალითო წესრიგი და სიჩუმე სუფ-ევდა (აბა, რა იქნებოდა, თუ მდივანი გოგონა მოსაცდელში არავის აცდევინებს და დიდსა და პატარას ასეთი უბოროტო ტყუილით ასაჩუქრებს: დატოვეთ მობილური და თვითონ და-გირეკავთო).

ჯიქურ შევაღე კარი, თუმცა მდივნის „მოითმინეთ!“ მაინც მეყვსეულად წამომენია.

ეს ბოლო „მოითმინეთ!“ იმდენად მე არ მეკუთვნოდა, რამ-დენადაც მდივანი თავს იზღვევდა უფროსის წინაშე; აქაოდა, მე არ შემომიშვია, თვითნებურად შემოდისო.

ასეთ შემთხვევაში უფროსები ბრაზდებიან ხოლმე (და შედეგიც სათანადოა), მაგრამ მკვირცხლი სანდომიანი სახის პრემიერი ფეხზე ადგომითა და ღიმილით შემეგება.

ბატონ რეზო, აღელვებული ჩანხართ, ასეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ ასე შეემფოთებინეთო. იცოდეთ, უსაზღვრო პატივს გცემთ მეთულუხჩეებს საერთოდ და თქვენ განსაკუთრებითო.

ა, კაცი-მეთქი, გავიფიქრე, ამ ნერვიულ დროში ძლივს შევხვდი ჩვენი საქმიანობის დამფასებელს-მეთქი და სხაპასხუპით მოვახსენე ჩვენი გასაჭირო.

ჩანს, დიდ პრემიერს დარეკილი ჰქონდა, რადგანაც მცი-რე პრემიერმა იმ წამსვე ჩამომიგდო ჩინურ პუმანიტარულ თუნუქზე სიტყვა და ჩემს განცხადებას რეზოლუციაც ფრიად საიმედო დაადო.

გამოსვლისას მომიბოდიშა, რომ უდროობის გამო მხოლოდ კარებამდე მაცილებდა და დაამატა: ბატონო რევაზ, რაკი მეთულუხჩეთა სასახლე კულტურის ძეგლია, თუნუქს უსასყიდლოდ გაძლევთ, ხოლო გადახურვის ფული კულტურის სა-მინისტრომ უნდა გადაიხადოსო.

კულტურის მინისტრმა უკვე იცოდა ჩვენი სასახლის ტრაგიკული მდგომარეობა.

ჯერ ერთი, იგი ჩემი მეგობრის შვილი და ჩემი ყოფილი სტუდენტი გახლავთ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისთვის სრულიად უცნობი მეთულუხჩეც რომ ვყოფილიყავი, მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა:

დაუყოვნებლივ მიმიღო, დაუძახა თავის მოადგილეს: ხვალვე დაიწყეთ გადახურვა და სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ყოველდღიურად მომახსენეთო.

კატასტროფიდან მეხუთე დღეს ორმა კოლხმა მეთუნუქემ დაიწყო მეთულუხჩეთა სასახლის გადახურვა.

დილიდან საღამომდე ქუჩაში ვდგავართ (გაგანია სიცხეში) მე და სოსო სიგუა.

ე, მანდ, ან თუნუქი არ შემოკლდეთ, ან მუშები ვინმემ არ წამგვაროს, ეშმაკს არ სძინავს-მეთქი.

ერთი კვირის თავზე ის-ის იყო ფასადის მხარის გადახურვა უნდა დაეწყოთ, რომ ერთმა არამკითხე მხცოვანმა, მაგრამ მარად ახალგაზრდა მეთულუხჩემ ჩამოიარა და ჩემს გასაგონადაც ჩაილაპარაკა – ამ ჟეშტს რომ ახურავენ ხომ უშნოვდება შენობა. კრამიტს სხვა შნო და პენი ჰქონდაო.

„კრამიტი დამპალია, დაძველდა, აღარ ვარგა-მეთქი“, მივაძახე, მაგრამ არამკითხე მხცოვანი მეთულუხჩე არ შეჩერებულა.

ვიცოდი, რომ ამ ეჭვს საიდუმლო სამსახურებში ძრომი-ალში ფრიად გამოცდილი მეთულუხჩე სხვასაც შესჩივლებდა და მეორე დღეს საქალაქო სამსახურმა კაცი გამოგზავნა, სასწრაფოდ შეაჩერეთ გადახურვა, თურმე კრატიმის თუნუქით შეცვლის ნებართვა არ გქონიათო.

დავიდე ენის ქვეშ სამი ვალერიანის ტაბლეტი და გავვარდი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში თაბუკაშვილის ქუჩაზე.

ერთ კარს ვეცი, დაკეტილია.

მეორე კარზე დავაკაუნენ, არ გამიღეს.

არც მესამე კარმა გაამართლა.

გულამდუღრული დავეშვი.

კიბეზე ორი ახალგაზრდა შემხვდა: ხომ არ იცით დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე-მეთქი.

ჩვენ ვართ, ბატონოვო.

თქვენ შემოგევლეთ, ვიღაცამ სახლის გადახურვა გამაჩერებინა, ნებართვა რომ არ მივიტანო, მუშები გამექცევიან და დავიღუპები-მეთქი.

თქვენ, ბოდიში, მაგრამ მიშველაძე არ ბრძანდებითო? ერთ-ერთმა მაღალმა, გამხდარმა ბიჭმა.

კი, მე ვარ, თუ არ ჩავჭრილვარ, თქვენს წინაშე, უნდა მიშველოთ-მეთქი.

რომელ ჩაჭრაზეა ლაპარაკი, ბატონო. მე პირადად გაღმერთებთ, როგორც თულუხჩის, მობრძანდით, დაბრძანდითო.

როცა გაერკვნენ, რაშიც იყო საქმე, ორივემ უცებ მოწყინა.

ბატონო რეზო, არ დაიჯერებთ, ჩვენი სამსახური დღეიდან გაუქმებულ-ლიკვიდირებულიაო.

რა ვქნა, აბა, ვინ მომცემს კრამიტის სახურავის თუნუქის სახურავით შეცვლის ნებართვას-მეთქი.

ახლა რომელი საათიაო?

ოთხი-მეთქი.

დღეს პარასკევია, სამინისტროში აღარავინ იქნება, ორშაბათს მიბრძანდით კულტურის სამინისტროში და დაგეხმარებიანო.

ორშაბათამდე შეიძლება მოწვიმოს, კრამიტის სახურავი მთლიანად გადახდილია, ჭერი ჩამოიქცევა-მეთქი, ტირილს ცოტა მაკლია.

ერთმა (პაატა ერქვა) იქნებ იყოს ვინმე, ბიჭო, სამინისტროში, წავყვეთ, მადლი ვენათ, ბოლოსდაბოლოს რევაზ მიშველაძეაო.

ჩამისვეს მანქანაში და უწაუწა მიმიყვანეს სამინისტროში.

ის-ის იყო, კეტავდა კარებს ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი კახა ტრაპაიძე.

შებრუნდა ჩვენი ხათრით, დაწერა დასკვნა, კომპიუტერზე  
ააწყობინა გადასარევ გოგოს – მაიას.

ხელი მინისტრის მოადგილემ უნდა მოაწეროს.

მინისტრის მოადგილე წასულია.

ორშაბათამდე არ იქნება.

ორშაბათამდე უსათუოდ მოწვიმს.

შევეცოდე მაიას, დაურეკა და სთხოვა მინისტრის მოადგ-  
ილეს:

ბატონო ნიკა, სასწრაფოდ ხელია მოსაწერი, მეთულუხეთა  
სასახლე უნდა გადაიხუროს და ბატონი რევაზი გელოდებათო.

სახლთან მისული მინისტრის მოადგილე გამობრუნდა და  
ნებართვას ხელი მოაწერა.

გზიდან ვურეკავ იობაიას: მეთუნუქები ხომ არ წასულან-  
მეთქი.

ეს-ესაა წავიდნენო.

ამ წუთში დაეწიე და მოაბრუნე, ნებართვა მომაქვს-მეთქი.

გაიქცა, დაეწია. იობაიამ სირბილი კარგი იცის.

ვურეკავ ხუთი წუთის შემდეგ:

რა ჰქენი-მეთქი.

მოვაბრუნე, აქ არიანო.

იმ ღამით ფანრის შუქზე, სახურავზე, ღამის გათენებამდე  
იმუშავა კოლხმა მამაშვილმა და მეზობელთა გინების აკომ-  
პანემენტის ქვეშ თითქმის გადახურა სასახლე.

საქმე მიდგა გადამხურავებისათვის ფულის გადახდაზე.

შემოვიდა მამა-შვილი ზრდილობიანად, კოლხურად.

მოგვეცი ჩვენი ნაოფლარიო.

გავვარდი სამინისტროში.

დაამთავრეს შენობის გადახურვა-მეთქი.

კარგია ძალიანო.

ფული უნდა გადავუხადოთ-მეთქი.

ვისო, მკითხეს.

მუშებს-მეთქი.

არ გვაქვს კაპიკიო.

ხომ დამპირდით, რომ გადახურვის ხარჯებს თქვენ გა-  
დაიხდიდით, ვეკითხები ბუღალტერთუხუცესს.

კიო.

პოდა, გადაუხადეთ ამ პატიოსან მამა-შვილს ათი დღის  
ნაჯაფ-ნაწვალევი-მეთქი.

ამჯერად არ გვაქვს კაპიკი, რომ გვექნება, გადავუხდითო.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე.

რა პასუხი გავცე მზეზე გარუჯულ მამა-შვილს, თავი რომ  
არ დაუზოგავთ და თავიანთი საქმე კაცურად განასრულეს.

მოვედი აწურული.

ორივენი ჩემს კაბინეტში ისხდნენ.

ბიჭებო, ცოტა ხანს მოცდა მოგინევთ-მეთქი.

ჩვენ კი მოვიცდით, მაგრამ ეს არ მოიცდისო, მუცელზე  
მიირტყა ხელი შვილმა.

მინა გამსკდომოდა და ჩავეტანე, მერჩია.

\* \* \*

ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

მუშებს ფული გადაუხადეს, მეთულუხეთა სასახლის ჭერ-  
ში წვიმა აღარ ატანს.

მე ინფარქტიანი ვწევარ ათ დღეზე მეტია. დღემდე ისიც  
ვერ დამიდგინეს: წინა პარკუჭი მაქვს გახეთქილი თუ უკანა.

თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თუმცა ექიმები ყოველი  
ახალი კარდიოგრამის გადათვალიერებისას ისე საეჭვოდ  
გადააქნევენ ხოლმე თავს, როგორც სტალინი გადააქნევდა,  
ფრუნზესაგან ახალ ტელეფონოგრამას რომ მიიღებდა, ბას-  
მაჩთა მიერ მორიგი აულის აღების შესახებ.

20 აგვისტო, 2004 წ. თბილისი.



## შეხვედრა სტალინის ქალიშვილთან

გაზეთებს არ უცნობებიათ და არც რადიო-ტელევიზიონით გამოუცხადებიათ, მაგრამ 1985 წლის აპრილში მთელმა საქართველომ (და მგონი მთელმა მსოფლიომაც) უკვე იცოდა, რომ სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა ამერიკიდან დაბრუნდა და სამუდამო საცხოვრებლად თბილისში დამკვიდრდა.

გავიგე თუ არა ეს ამბავი, მოსვენება დავკარგე.

სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებული ყველაფერი მაინტერესებდა და ახლაც, ჩემი ცხოვრების ბოლოში ლამის რომ გავედი, ეს ინტერესი არ გამნელებია.

რაც ხელში ჩამივარდება სტალინზე დაწერილი, წაუკითხავად როგორ გავუშვებ, მაგრამ მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსის ფენომენს ბოლომდე მაინც ვერ ჩავწვდი.

ავიჩემე, სტალინის ქალიშვილს უნდა შევხვდე და ვესაუბრო-მეთქი.

გავიკითხ-გამოვიკითხე და გავარკვიე, რომ რაღაც ნახევარ კილომეტრში დაედო ბინა. იგი ცხოვრობდა ვაკის ბოლოს, საცურაო აუზთან ახლოს, საუნიყებო სახლის ოროთახიან ბინაში, მესამე სართულზე; მეც იქვე, ვაკის პარკთან, უნივერსიტეტის თერთმეტსართულიან საცხოვრებელ კორპუსში.

მირჩიეს, ჯერ ერთი ახალ ჩამოსულზე ნუ მიადგები, ცოტა მოთბილისელ-მოქართველდეს, თანაც, თუ რაიმე კონკრეტული საქმე, კონკრეტული საბაბ-სათქმელი არ გექნა, შეიძლება არ მიგილოსო. ოქტომბრამდე ვითმინე. 14 ოქტომბერს ამოვილიავე მოსკოვში გამოცემული ჩემი ახალი წიგნი, შიგ ჩავდე „დროშაში“ დაბეჭდილი სტალინზე დაწერილი ჩემი ნოველა „საიქიოს თბილი წვიმა“ და მივადექი სვეტლანა ალილუევას კარებს.

ზარი დავრეკე, არავინ მიღებს.

არა და სწორად ამოვედი. მესამე სართული მარცხენა მხარეს, უწარწერო კარები, როგორც ამისსნეს.

მოპირდაპირე კარის ღილაკს დავაჭირე თითო. ვინ გნებავთო, გაუღებლად გამეპასუხა ქალი. „ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, სვეტლანა ალილუევასთან ვარ, ხომ არ შევცდი-მეთქი“.

არაო, მანდ ცხოვრობს, ალბათ სახლში არ არისო.

გმადლობთ-მეთქი და ჩავუყევი კიბეს.

სანამ ეზოში გამოვიდოდი, სადარბაზოში წითურთმიანმა შუახანს გადაცილებულმა ქალმა ჩამიარა. ზედაც არ შემოუხედავს, ნაბიჯს აუჩქარა.

უკაცრავად, ერთი წუთით თუ შეიძლება-მეთქი, დავადევნე.

რა გნებავთ, რუსულად მითხარითო, ნაბიჯი ოდნავ შეანელა.

სვეტლანა ალილუევას ხომ არ იცნობთ, სტალინის ქალიშვილს, აქ ცხოვრობს-მეთქი.

მეონი ამ სადარბაზოში უნდა ცხოვრობდეს, მე პირადად არ ვიცნობო.

მასთან სტუმრად მოვედი, ჩანს, სახლში არ ბრძანდებით-მეთქი.

ვერაფერში დაგეხმარებითო, გაიღიმა.

ზევით დგას ჩემგან ხუთიოდე საფეხურით მაღლა, კი მაგრამ, თქვენ რა, არ იცნობთ სვეტლანა იოსიფოვნასო?

სამწუხაროდ, არა-მეთქი.

აბა, როგორ მოხვედით სტუმრად, უცნობი უცნობთან, ასე როგორ შეიძლებაო.

რაღაც საეჭვოდ გამიჩერდა ეს ქალი-მეთქი, გავიფიქრე.

რა საქმე გაქვთ სვეტლანასთან, ვინ ბრძანდებითო.

მე მწერალი მიშველაძე გახლავართ, თანაც სტალინით დიდად დაინტერესებული, მინდოდა შევხვედროდი, მესაუბრა-მეთქი.

სტალინი მთელ მსოფლიოს აინტერესებს და სვეტლანა

ალილუევა, როგორ ფიქრობთ, ყველა მათგანთან სასაუბროდ  
მოიცლისო?

სტალინზე ნოველა მაქვს დაწერილი და მინდოდა გადაეხე-  
და-მეთქი. წიგნიანი ხელი გავიშვირე.

დაბეჭდილიაო? მკითხა.

კი, ქართულ უურნალში-მეთქი.

ქართულად რომ ვერ წაიკითხავს სვეტლანაო?

მე წავუკითხავ და ვუთარგმნი-მეთქი. თანაც, აგერ, ჩემი  
რუსული წიგნიც მინდა ვაჩუქო-მეთქი.

რა უანრში მუშაობთო.

ნოველებს ვწერ-მეთქი.

არ ვიცი... არ ვიცი... მე თუ შევხვდი, ვეტყვი თქვენ შეს-  
ახებ. საერთოდ, ტელეფონი თუ იცით, ხვალ დაურეკეთ, იქნებ  
მიგილოთ, მე ვერაფერს დაგპირდებითო.

თქვენ იცნობთ-მეთქი?

შორიდანო, გაილიმა.

აბა, ძალიან გთხოვთ, თქვენ იმედზე ვიქნები, ხვალ დავუ-  
რეკავ-მეთქი.

აიარა კიდევ რამდენიმე საფეხური და ჩამომძახა: – თქვენ!  
თქვენ! მწერალთა კავშირის წევრი თუ ხართო?

რა თქმა უნდა-მეთქი. მეტი დამაჯერებლობისთვის მწერ-  
ალთა კავშირის წიგნაკი ამოვილე და დავანახე.

მეორე დღეს დილიდან შევუდექი რეკვას, მაგრამ ყურმილს  
არავინ იღებდა.

ნასადილევს მიპასუხა ქალის დალლილმა, ცოტა არ იყოს,  
კატეგორიულმა ხმამ:

– და!

– ბოდიშს ვიხდი, სვეტლანა ალილუევასთან ვრეკავ!

– ვინ ბრძანდებით?

– მწერალი ვარ, გუშინ თქვენს მეზობელს ვესაუბრე, თქვენ  
ქალბატონი სვეტლანა ბრძანდებით?

არ უთქვამს, მე ვარო.

– ვიცი, ვიცი. მობრძანდით, რამდენ ხანში მოხვალთ?

– თხუთმეტი წუთში მანდ ვარ.

– გელოდებით, მოვილაპარაკეთ.

არ მახსოვს, როგორ ავირბინე კიბე, მომეჩვენა, რომ სანამ  
ლილაკს დავაჭერდი, მანამდე გამიღეს.

კარებში სწორედ ის ქალი დგას, ვისაც გუშინ ველაპარაკე.  
თვითონ ყოფილა სტალინის ქალიშვილი.

შემიპატიუა.

საშუალოზე ოდნავ მაღალია. მოკლეზე შეჭრილი ხშირი  
წითურა-ჭალარა თმები აქვს, უკან გადავარცხნილი, ტანსრუ-  
ლია, მაგრამ მსუქანი არ ეთქმის, ყავისფერი, უსახელო ხა-  
ლათი აცვია. თავიდან ბოლომდე თეთრი ღილებით შეკრული.

ერთმანეთში გამსვლელი ორი ჭერმალალი ოთახი სადად,  
ძველმოდური ავეჯითაა განყობილი. ფანჯარასთან ქერათმი-  
ანი თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა საწერ მაგიდასთან მიმ-  
ჯდარა. შესვლისთანავე წამოდგა, გამიღიმა, ხელი ჩამომართვა  
და მაგიდას დაუბრუნდა.

სასადილო მაგიდას ვუზივართ ურთიერთსაპირისპიროდ.

სვეტლანა ალილუევა ჩემს რუსულ წიგნს ფურცლავს.

„სოვეტსკი პისატელი“ დიდი გამომცემლობაა, როგორ  
მოახერხეთ იქ ნოველების გამოცემაო, მკითხა.

რა ვიცი, არ გამჭირვებია, ეს რუსულად ჩემი მეოთხე წიგ-  
ნია. პირველი „მაღადაია გვარდიამ“ გამოსცა ხუთი წლის წი-  
ნათ დიდი ტირაჟით-მეთქი.

„ტი სმატრი, ტი სმატრი... მრავალმნიშვნელოვნად ჩაიჩურ-  
ჩულა, თბილი წარწერისთვის მაღლობა მითხრა და წიგნი  
გვერდზე გადადო.

– ამას უსათუოდ წავიკითხავ, აბა, რა დაწერეთ სტალინზე?

– პატარა ნოველაა. თქვენ შეიძლება არ მოგეწონოთ. მოქ-  
მედება იმ ქვეყანაში ხდება.

– სად ხდება?

– იმ ქვეყნად, საიქიოში.

- მერე, მერე? საინტერესოა.
  - სტალინი, როგორც ყოველთვის, მარტოა. საიქიოში ცალკე კოტეჯში ცხოვრობს, ბრეუნევი და ხრუშჩოვი ღობეზე თავჩამოდებულები შეეხმიანებიან ხანდახან, ძველებური, მონინებით-მონური შეხმიანებით. საიქიოში ახალი მიცვალებული ჩამოდის – ნომენკლატურული პარტიული მუშაკი და სწორედ სტალინის მეზობელ კოტეჯში დაიდებს ბინას. მთელი ნოველა საიქიოს ახალი მკვიდრის და სტალინის საუბარია.
  - საინტერესოა. საინტერესოა, შეგიძლიათ წამიკითხოთ?
  - შევეცდები.
- წავუკითხე და ვუთარგმნე, როგორც შემეძლო.
- კარგა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:
- სწორი აქცენტებია, ოცდაჩვიდმეტის ახსნაც დამაფიქრებელია. იქნებ მე არ გეთანხმებოდეთ, მაგრამ თქვენებულია და ალბათ ბევრისთვის გასაზიარებელიც. თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე არც იმაზე დავფიქრებულვარ, რომ რაც სიკვდილის შემდეგ დამართეს და თავზე ლაფი ასხეს, ესეც, იქნებ, ქართველობის ბრალი იყო. როგორც არარუსს, ანგარიში გაუსწორესო, თქვენ წერთ. არ ვიცი... არ ვიცი... მე არ მინდა ვითიქრო ამაზე. საერთოდ ორიგინალური ნოველაა. რუსულად უსათუოდ უნდა დაბეჭდოთ.
- ისევ პაუზა.
- შევცერი, სტალინთან მსგავსებას ვეძებ. სწორი ბეჭები და მამაკაცური ხელის მტევნები აქვს. სტალინური ლამაზი შუბლი. ნაცრისფერი გრძლად გაჭრილი, არცთუ ფართო თვალები, კითხვის დროს სათვალეს ხმარობს და თვალებს კიდევ უფრო ჭუტავს. ოთხკუთხედი სახე, სწორი ლამაზი ცხვირი, ხოლო ცხვირის გასწვრივ ამობურცული ყვრიმალები ინტელიგენტურ იერს აკარგვინებს და უფრო ჯანიან, რუსები რომ იტყვიან, „რაბოტიაგა“ ქალებს ამსგავსებს. სამაგიეროდ ვნებიანი ტუჩები აქვს – ქვედა ტუჩი კბილებიანად ოდნავ წინ წამოწეული და შოკოლადისფრად შეპომადებული. კისერთან ნაოჭები აყრია. ვერ იტყვით, რომ კოსმეტიკ-პარფიუმერიით დიდად იყოს დაკავებული, თუმცა სასიამოვნო სუნამოს სუნი ასდის. საერთოდ, მომნუსხველი ქალი ჩანს. ახლა მისი „ქალურობა“ თავდალმართშია, მაგრამ, რომ იტყვიან, ჯერ კიდევ ფორმაშია.
- ჩემო მკითხველო, მე ძალიან, კარგი მეხსიერება მაქვს და შეგიძლია მენდო, რომ ზუსტად მოგაწვდი ჩვენს მაშინდელ დიალოგს.
- როგორ მოეწყვეთ, ქალბატონო სვეტლანა?
  - როგორც ხედავთ, მე და ჩემს ქალიშვილს გვყოფნის ეს ბინა. საერთოდ, პრეტენზიულები არ ვართ.
  - საქართველოში სამუდამოდ დამკიდრდით?
  - სამუდამოდ, ერთი ადგილის გარდა, არავინ არსად მკვიდრდება, მით უმეტეს საბჭოთა კავშირში.
  - როგორ გავიგო?
  - რაკი მოსკოვში დაბრუნება გადავწყვიტე, უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ ჩემი საცხოვრებელი ადგილის ბედი მთლიანად ჩემზე არ იქნება დამოკიდებული.
  - ესე იგი საქართველოში წამოსვლა...
  - მე მოსკოვში დავბრუნდი. მოსკოვის გარდა თუ სადმე ვიცხოვრებდი, მხოლოდ ჩემს ვაჟთან, შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ გორბაჩივის სახელით „მირჩიეს“, საქართველოში იცხოვრებო და აი, მეც „ვცხოვრობ“.
  - თქვენს ნათქვამში უკმაყოფილების ინტონაცია გაერთა. თქვენ თავს ქართველად არ თვლით?
  - სადღაც, გულის კუნჭულში, ალბათ კი, მაგრამ სწორად უნდა გამიგოთ, აქ ჩემთვის სრულიად უცხო გარემოში ვარ, არავის ვიცნობ, ვერავის ვურეკავ, ბუნებით ისეთი ვარ, რომ ახალი მეგობრების შეძენა, უცნობებთან გაშინაურება მიჭირს. ალბათ ამაში ჩემი აღზრდის სისტემაცაა დამნაშავე.
  - არა უშავს, შეეწყობით აქაურობას. მთავარია, შინაგანად განეწყოთ იმისათვის, რომ თქვენთვის მშობლიურ ქვეყანაში თქვენს ხალხთან ხართ.

- არ დაგიმალავთ, სიტყვა „მშობლიურიც“ უცხოა ჩემთვის.
- საქართველოში მერამდენედ ხართ?
- მგონი, მესამედ. პირველად ექვსი წლისა ბერიამ კეკეს სანახავად მოგვიწვია მე, იაშა და ვასილი.

- სტალინი ქართველობდა?

- ახლა რომ ვუფიქრდები, მამაჩემი ღრმად ქართველი იყო. ყველაფერი – საქართველოსთან დაკავშირებული, ძვირფასი იყო მისთვის, სადილობის დროს (მარტო თითქმის არასოდეს სადილობდა) მაგიდა სავსე იყო ნაირ-ნაირი ქართული ღვინოებით, მზარეულთაგან მთავარი მზარეული (შეფიზარეულს რომ ეძახიან) აუცილებლად ქართველი უნდა ჰყოლოდა, კაბინეტში ქართული ხალხური სიმღერების უამრავი ფირფიტა ჰქონდა და ხშირად თვითონ მომართავდა პატეფონს. უსმენდა, როგორც მეუბნებიან, თავდავიწყებით. მეც შევსწრებივარ, ქართულ სიმღერას რომ ლილინებდა, საერთოდ, ბრწყინვალე სმენა ჰქონდა და მშვენივრად მღეროდა.

- თუ უთქვამს თქვენთვის ქართულად სიტყვა.

- არასოდეს. შვილებიდან ქართული მხოლოდ იაშამ იცოდა. შეიძლება იაშას ელაპარაკებოდა ქართულად, მაგრამ ჩვენი თანდასწრებით არა. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, გადიადიასახლისად თბილისელი ალექსანდრა ნაკაშიძე დაგვინიშნა. იქნებ, ჩვენი „გაქართველების“ მიზნით, მაგრამ ალექსანდრა მე და ვასიამ უფრო გავარუსეთ, ვიდრე მან „გაგვაქართველა“. ერთ წელიწადში რუსულს მშვენივრად დაეუფლა და ენობრივი ბარიერიც მოიხსნა.

- ჯულაშვილთა გვარის წარმომავლობის ოსურ ჭორზე თუ გსმენიათ?

- ბავშვობაში, რა თქმა უნდა, არა. ამ თვენახევრის წინ ერთმა ოსმა მომაკითხა, ცხინვალიდან ვარო. საიდუმლო ჩურჩულით მაუწყა – სტალინი წარმოშობით ოსი იყო, თქვენც ისი ბრძანდებით და იქნებ ცხინვალში გადმოსახლდეთ, ხელის-გულზე შეგინახავთო.

- რა უპასუხეთ?

- სასაცილოდ არ მეყო. ეგ რომ ვინმეს მამაჩემისთვის ეთქვა, ციმბირს აქეთ დაატოვებინებდა, წარმოიდგინეთ, რამხელა გაბედულება იყო მსოფლიოში ერთადერთი ინტერნაციონალური სახელმწიფოს მეთაურისთვის ქართული ატრიბუტების ასე ღიად დემონსტრირება, ქართული ულვაში და ჩიბუხი არ მოუშორებია, კიტელი და ჩემებიც ქართულ სტილში ეცვა და ჩაცმულობაშიც მთელი მისი „საძმო“ ბაძავდა. დასვენებით მხოლოდ საქართველოში ისვენებდა. კრემლის მთავარი კომენდანტიც – აბელ ენუქიძე ქართველი ჰყავდა და ოცდაათიანი წლების ბოლოდან გარდაცვალებამდე განუსაზღვრელი ძალაუფლებით ქართველი ბერია აღჭურვა მეტი რა გინდათ ქართველებს.

- მონამლესო, არაერთგზის დაწერეს, თქვენ რას ფიქრობთ?

- ვერაფერს გეტყვით, თუმცა ვასია ისე ჩავიდა საფლავში, რომ სტალინის მონამვლაში ღრმად იყო დარწმუნებული.

- იმასაც ამბობენ ბერია იღებდა შეთქმულებაში მონაწილეობასო.

- დანამდვილებით არ ვიცი. ისე, თუ მონამლეს, რა თქმა უნდა, ბერიას გარეშე არ მოხდებოდა.

- ქალბატონო სვეტლანა. ოცდახუთი წელია ბერია ბელადს ცერბერივით იცავდა. ნუთუ ისე გასულელდებოდა, რომ ვერ იწინასწარმეტყველებდა თავის ბედს სტალინის სიკვდილის შემდეგ. განა არ იცოდა, რომ სტალინს ქათამივით წაკლავდნენ?

- არ ვიცი... საერთოდ, ბერია რომ არ მოიფიქრებდა, ისეთი სიავე არ არსებობს.

- თქვენს წიგნში იგრძნობა, რომ ბავშვობიდანვე გძულდათ ბერია. ხომ არ გახსენდებათ, რატომ შეიძულეთ?

- მხოლოდ, ბავშვური, სუფთა გუმანით. ხომ იცი, ბავშვები არ ცდებიან. შეიძლება იმის გამოც, რომ ჩვენს ოჯახში სტალინის გარდა ყველას სძულდა. დედაჩემი ვერ იტანდა.

- რატომ, ჯერ ხომ არაფერი დაეშავებინა თქვენთვის?
- ხომ გეუბნებით, გუმანით გვძულდა, მერე და მერე, წარმოიდგინეთ, დიდი დაჭერები ლამის სახელმწიფოს პირველი პირის სტალინის ოჯახიდან დაიწყო – დაიჭირეს სტალინის ცოლისძმა ალიოშა ბიძა მეუღლითურთ, დახვრიტეს დეიდაჩემის, ანას, ქმარი როდენსი, დააპატიმრეს თვით ანა, დააპატიმრეს ბიძაჩემი პავლუშა...
- თქვენ ფიქრობთ, ეგ ყველაფერი ბერიასგან მოდიოდა? ზოგი რამ ხომ ბერიამდე იყო? რატომ არ გინდათ უახლოესი ნათესავების დაპატიმრება სტალინის მალემრწმენობით ახსნათ?
- მე მგონი, სტალინი ეჭვიანი ბერიამ გახადა.
- არ უნდა იყოს ასე იოლად საქმე. სტალინი გენიოსი იყო და გენიოსები ასე იოლად „სამართავები“ არ არიან. სიტყვას მოჰყვა, სტალინის გენიოსობას ერთხმად ალიარებენ, მაგრამ უფრო ბოროტ გენიოსად თვლიან, თქვენ როგორ ფიქრობთ?
- მე მგონი, გენიოსების „კეთილად“ და „ბოროტად“ დაყოფა სისულელეა. გენიოსი გენიოსია. მორჩა და გათავდა.
- მოგვიანებით თავისი უახლოესი მეგობრების – მოლოტოვის და კალინინის ცოლებიც დაიჭირა. ხომ არ ფიქრობთ, რომ იქნებ საკუთარი ცოლიც – ნადია ალილუევაც დაეპატიმრებინა.
- დედაჩემს რომ თავი არ მოეკლა, ადვილი შესაძლებელია, პალინა უემჩუშინა-მოლოტოვას ბედი გაეზიარებინა. მოლოტოვის მეუღლე ხომ დედაჩემის უახლოესი მეგობარი იყო.
- რაც უფრო მეტს ვფიქრობ, უფრო ვერ ვწვდები, რა ხდებოდა. ნუთუ სტალინმა არ იცოდა, რომ მისი უერთგულესი ცოლისძმა მისი მტერი არ იქნებოდა? ან მოლოტოვსა და კალინინს ლამით ცოლები როგორ დაუპატიმრა და მეორე დღეს მათათან ერთად უზარმაზარი იმპერიის საჭესთან რა პირით იდგა? ან თვითონ რა უთხრა და მოლოტოვმა და კალინინმა რა უპასუხეს, რაო, ცოლები რომ დაგვიპატიმრე, კარგად მოიქეციო?
- დრო იყო ისეთი... ვინ იცის, იქნებ მოლოტოვთან და კალინინთან არც ულაპარაკნია ისეთ „პუსტიაზე“, როგორიც იყო მათი ცოლების დაპატიმრება.
- თქვენ ასე ფიქრობთ? იქნებ ეს სწორედ გენიოსი მმართველის სიფრთხილიდან მოდიოდა. აქაოდა, თქვენ იმდენად უმნიშვნელო მღილები ხართ ჩემთან შედარებით, რომ არაფერი გაივლოთ გულში, თორემ, ხომ იცით, თქვენი დაჭერა მით უმეტეს გამიადვილდება, რაკი „ხალხის მტერი“ ცოლების მეუღლები ხართო.
- ბერია? ხომ ბერიას შეჰქონდა საქმეები.
- ბერია უსტალინოდ ვერ იბერიებდა. ბერია და ექოვ-იაგოდები იმისთვის გამოიგონეს, რომ იდეა – სტალინს საფრთხე არ დამუქრებოდა. მისი ტახტი ვერავის შეერყია. სტალინს თუ ჩამოაგდებდნენ, სახელმწიფო იღუპებოდა, სოციალიზმის იდეები დაემხობოდა. აი, სწორედ ამის დაშვება არ შეეძლო სტალინს. უფრო სწორად უფლება არ ჰქონდა. იგი იმპერიაში სოციალისტური პრინციპების მძვალი იყო.
- მე მგონი, მისი სისასტიკე უფრო ქართული ხასიათით უნდა აიხსნას. ამ ბოლო დროს ამეცვიატა ეს აზრი. საქართველოს ისტორიის ნარკვევებს ვკითხულობდი ამას წინათ და გავოგნდი, პატარ-პატარა სტალინებით სავსეა თქვენი ისტორია. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ძმა-ძმას არ ინდობს. ტახტის მაძიებლების თვალების დათხრა და ძელზე გასმა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ლამის ჩვეულებრივ ამბადაა მიჩნეული.
- სხვაგან არ შეგხვედრიათ უფრო შემაძრწუნებელი ამბები? აბა ჩახედეთ ჰენრიხების, კარლოსების, სტიუარტების ევროპას. თქვენ რა, რუსეთის ისტორია აღარ გახსოვთ? ივანე მრისხანეს წინ შუბლგახეთქილი მისი შვილი რეპინის სურათზე მაინც არ გინახავთ?
- იქ მემკვიდრეობით მეფობაზე და მონარქიაზე

ლაპარაკი. სტალინი კი უბრალო მეწადის შვილი იყო და თანაც ბოლშევიკები ხალხს სწორედ იმას უმტკიცებდნენ, თქვენი ხელისუფლება ვართო და ყველას „ამხანაგობით“ მიმართავდნენ.

– რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება უფრო აგრესიულია, ქალბატონო სვეტლანა, ვიდრე ნებისმიერი მონარქი. რევოლუციონერები ცეცხლით და მახვილით დაიცავენ თავიანთ ძალაუფლებას, რაკილა იციან, რომ უკანონოდ მოვიდნენ და დამხობის შემთხვევაში, მათ სასტიკად გაუსწორდებიან.

– მე ვერასოდეს დავიჯერებ, რომ რეპრესიები ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ სიტუაციაში გამართლებულია.

– მე ეგ არ მითქამს. უფრო პირიქით. რუსეთს არ უნდა დაეშვა რევოლუცია. უფრო ადრე კი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე არ უნდა გადამდგარიყო.

– რა უნდა ექნა. ხალხის ამბოხებას წინ ვინ აღუდგება.

– არსად არასოდეს, სვეტლანა იოსიფოვნა, ხალხი არ ამბოხებულა, ეგ ისტორიკოსების მოგონილი ტყუილია. ხელისუფლებები იცვლებოდნენ ან შინაგანი შეთქმულებით, ან გარედან ჩარევით. ორივე შემთხვევაში ქუჩაში გამოდის მოტყუებული ან მოსყიდული ღატაკების („ბომჟებს“ რომ ეძახიან) და პრავაკატორების შეერთებული რაზმი. ერთი ჯგუფი ხელიდან აცლის მეორე ჯგუფს ძალაუფლებას. მერე მოდის უპრინციპო, ენაჭარტალა უურნალისტიკა ან, რაც უფრო შემაძრნუნებელია, სულგაყიდული ისტორიკოსი და ამ ხელმწიფის კარის გადატრიალებას რევოლუციას არქმევს. საბჭოთა იმპერიის შექმნაში, უპირველეს ყოვლისა, ნიკოლოზ მეორეა დამნაშავე. რადაც უნდა დაჯდომოდა, უნდა ჩაექრო შეთქმულება, რუსეთის იმპერატორი რომ არ გადამდგარიყო, მსოფლიოს დღეს სხვა სახე ექნებოდა და ჩვენი, ე. ნ. მცირე ერების ბედიც სხვაგვარად დატრიალდებოდა. სტალინმა იცოდა, რომ მისი წასვლით მსოფლიოს ანარქია მოიცავდა

და ეს არ დაუშვა. მათრახით გაამაგრა თავისი ტახტი, თქვენ მორნმუნე ხართ?

– არა.

– იცით რატომ გვითხეთ? რევოლუციას ძირითადად ურნმუნონი, ღვთის შიშს მოკლებულნი აკეთებენ. არც იმაზე დაფიქრებულხართ, თუ როგორ მოხდა რომ ასმილიონიან რუსეთში რევოლუციის მეთაურები ძირითადად ებრაელები იყვნენ? ებრაელები საერთოდ ძველმორნმუნე ხალხია, მაგრამ ლენინი, ტროცკი და კომპანია რომ ულმერთონი იყვნენ, დამეთანხმებით.

– მე მგონი, ინტელიგენცია ასე მკვეთრად არ ყოფდა ხალხს რუსებად და ებრაელებად. რუსი ებრაელები იმდენად იყვნენ გარუსებულნი, რომ განსხვავება თითქმის არ შეიმჩნეოდა.

– ეს თქვენ ვერ ამჩნევდით, ან არ გსურდათ შეგემჩნიათ. ებრაელი ერი ისე ძლიერი ერია, რომ მისი „ათქვეფა“ სხვა ერებში ათასწლეულებმა ვერ შექლო. მე რევოლუციონერთა ეთნიკურ შემადგენლობას იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციები რუსეთში ექსპორტული რევოლუციები იყო. იგი შიგნიდან, რუსული სულიდან არ მოდიოდა. ებრაელებმა ჩაითიქრეს ევროპაში და განახორციელეს რუსეთში.

– კი, მაგრამ, მამაჩემი ხომ ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ოქტომბრის რევოლუციას?

– თავისი დიდი ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით გაძვრა წინა რიგებში. თანაც, თავიდან ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ებრაელებმაც თვალი დახუჭეს. გარიეს ერთი „ნაცმენი“ მათ რიგებში, ბოლოს კი, დააკვირდით, ლენინის პირველ მთავრობაში „გამორჩათ“ სტალინი და თვითონ რომ არ ემარჯვა, არ არსებული „ეროვნებათა საქმის“ სახალხო კომისრადაც არ აირჩევდნენ. მერე? ხომ ფაქტია, როგორ ცდილობდა ტროცკი ებრაულბოლშევიკური ხელისუფლებიდან სტალინის გაგდებას.

– გითხრათ სიმართლე, მე უკანასკნელ დრომდე ამაზე არც დავფიქრებულვარ. იქნებ აქედანაც მოდიოდა სტალინის შინაგანი პოლემიკურობა ებრაელთა მიმართ?

– სტალინს დიალაც სძულდა ეროვნული ნიშნების წაშლის მსურველი ებრაელი ბოლშევიკები ტროცკი, ბუხარინი და მისთანანი, მაგრამ ეთაყვანებოდა ნიჭიერ, იუმორით სავსე ებრაელებს, პასტერნაკს, შოსტაკოვიჩს, ილფს და პეტროვს, ეიზენშტეინს, კატაევს, ერენბურგს...

– მაშინ რით ავხსნა მამაჩემის მიერ ჩემი პირველი სიყვარულის – უნიჭიერესი სცენარისტის და პუბლიცისტის კაპლერის 10 წლით გადასახლება?

– მე მგონი, ეგ სხვა შემთხვევაა. ჯერ ერთი, სტალინი დაარწმუნეს, რომ კაპლერი შენთან მსოფლიო სიონიზმა შემოგზავნა. მეორეც, იქნებ შინაგანად არ სურდა პირველი და ერთადერთი სიძე ებრაელი ჰყოლოდა და ამის შესახებ მსოფლიო პრესას ელაყბა – აი, სტალინი ებრაელებმა ჩაიგდეს ხელში.

– რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, პირველი ოფიციალური ქმარიც ებრაელი მყავდა.

– როგორ შეხვდა სტალინი ამ ამბავს?

– საყვედური არ უთქვამს. ეგ იყო, ორი წელი მყავდა ის ქმარი და მამაჩემს არცერთხელ არ მიუღია. ხელიც არ ჩამოურთმევია სიძისთვის.

– დამიჯერეთ, ამას, საერთოდ, ებრაელობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო როდი აკეთებდა. უბრალოდ, სიონიზმს ეუბნებოდა „არას“. მაპატიეთ დელიკატური შეკითხვა: სულ რამდენჯერ გათხოვდით?

გაეცინა.

– მგონი ოთხჯერ.

– ამას წინათ იაპონიაში გახლდით და ტოკიოს ყველაზე დიდ წიგნის მაღაზიაში თქვენი წიგნი იყიდებოდა.

– იაპონური გამოცემა?

– იაპონური და ინგლისური გამოცემები გვერდიგვერდი იდო.

– უკვე სათვალავი ამერია, რამდენ ქვეყანაში და რამდენ ენაზე გამოვიდა. ოცი წელია იბეჭდება უზარმაზარი ტირაუებით. არ დაიჯერებთ...

– რას?

– არ დაიჯერებთ და საბჭოთა საკონსულოები საზღვარგარეთ ძირითადად მხოლოდ იმით არიან დაკავებულები, ჩემი წიგნების გაყიდვით შემოსული ფული რომ არსად გაიბნეს.

– მერე? ცუდი რით არის ეგ?

– თქვენ გვინიათ, მე მაძლევენ? მაშინაც, საბჭოთა კავშირის მოქალაქე ცოტა ხნით რომ აღარ ვიყავი, ჩემს ჰონორარს მოსკოვი ეპატრონებოდა. რომ იტყვიან, მგლურად ხელი-დან მტაცებდა.

– ახლაც ასეა?

– რა თქმა უნდა. ფულს ახლოსაც არ მაკარებენ. „სტალინის ბავშვი ფულმა არ გააფუჭოსო“, ფიქრობენ ალბათ.

– თქვენ აქ?

– თვის ბოლოს კონვერტით მოაქვთ რაღაც მიზერული თანხა. არც მეუბნებიან, რა არის ეს – პენსიაა, სახელმწიფო დახმარებაა თუ ჩემი ჰონორარის ნული მთელი ნული მეასედი პროცენტია. ხელსაც არაფერზე მანერინებენ, საერთოდ, მეგონა, ამ პერსტროიკამ რუსეთში რაღაც შეცვალა-მეთქი. მოვტყუვდი და ჩამოვედი. ჩამოვედი და ჩამაყენა გორბაჩივმა ჩიხში.

– აქ ყოფნას ჩიხში დგომას ეძახით?

– ჩემთვის ასეა.

– პასპორტში რა ეროვნება გინერიათ?

– მე – რუსი. ვასიას და იაშას ქართველი ენერათ.

– რატომ?

– ვერ გეტყვით. ამაში მამაჩემს ვერ დავადანაშაულებ. მე

მგონი, დედაქემის ახირება იყო. „ალილუევადაც“ დედაქემის დაუინებით ჩავუწერივართ.

– მერე? თქვენ აღარ გიცდიათ ამ შეცდომის გასწორება?

მამათქვენს საბუთებში „ქართველი“ ეწერა. თქვენ გვარად თუ „სვეტლანა სტალინა“ არა, „სვეტლანა ჯულაშვილი“ უნდა ყოფილიყავით და ეროვნებით, რასაკვირველია, „ქართველი“.

– გითხრათ სიმართლე, არ მიცდია. არც მამაქემს მოუთხოვია. როგორც ჩანს, დედაქემის სიკვდილის შემდეგ მისი სსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად დამტოვა „ალილუევად“.

– მაოცებს თქვენი რაღაცნაირი გულგრილობა ეროვნება „ქართველისადმი“. თქვენს წიგნშიც არაერთხელ ახსენებთ ვასიას ირგვლივ „პრახადიმცი გრუზინი“ ირეოდნენო. ახლა საქართველოში თქვენს ჩამოსახლებას, თურმე, ჩიხში ჩაყენებად თვლით.

– აი, ახლა ნამდვილი ქართველი ხართ. თვალებში სიბრაზე ჩაგისახლდათ. შევეცდები აგიხსნათ. დიახ, ვასია „პრახადიმცი გრუზინებმა“ გაალოთეს. სრულიად უცნობი, ტუჩქონიანი და ლიპიანი კაცები მოდიოდნენ ყოველდღე მასთან მოსკოვში და გენერალ-ლეიტენანტი საქეიფოდ მიჰყავდათ. სადღაც არეკინებდნენ, რაღაც „საქმეებს“ აკეთებინებდნენ. „პრახადიმცები“ იყვნენ, აბა რა. ვასილს თავი დავანებოთ, აი, ექვსი თვეა, აქ ვცხოვრობ და თქვენ პირველი ინტელიგენტი ქართველი ხართ, ვინც ჩემთან მოვიდა. მოსვლით როგორ არ მოდიან, მაგრამ მოდიან ვიღაც მეარტელები, საქმოსნები ან სტალინზე შეყვარებული საეჭვო რეპუტაციის პიროვნებები, მთხოვენ, მემუდარებიან რესტორანში წაყოლას. მე ქალი ვარ და წარმოიდგინეთ, ვასია რა დღეში იქნებოდა. ნუთუ იმდენად დაბალი რანგის ქალი ვარ, რომ ქართული სამეცნიერო თუ სამწერლო ოჯახიდან არავინ მთვლის მასთან შეხვედრის ღირსად?

– უფრო პირიქით არის. თქვენ აქ ძალიან დიდ პატივს გცემენ. იქნებ ქართული მოკრძალების ბრალია ეს? იცით, მეც დიდხანს ვყოყმანობდი, რომ არ შემეწუხებინეთ.

– რა შეწუხებაა. მე მეგონა, ჩამოვიდოდი თბილისში და ქართული ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდებოდი. აი, რატომ ვახსენებ „ჩიხს“. მე აქტიური, ენერგიული ქალი ვარ და თანაც, არ გაგიკვირდეთ, ყურადღებით განებივრებული. აქ კი ჩემს ირგვლივ რაღაც მოჯადოებული წრე შეიკრა. თითქოსდა იზოლაციაში მომაქციეს. მით უმეტეს, რომ მეც მაქვს ჩემი პრეტენზიები და ჩემი სათხოვარი მავანთა მიმართ.

– ხომ ვერ გამიმხელდით. იქნებ მე შევძლო თქვენი სურვილების მავანთა ყურებამდე მიტანა.

– რატომაც არა. დასამალი რა არის, მოგახსენებთ. თქვენ, როგორც ვატყობ, ჩემი „ოცი წერილი მეგობარს“ წაკითხული გაქვთ. გეკითხებით, არის თუ არა მისი ავტორი მწერალთა კავშირში მიღების ღირსი? არ დაგიმალავთ, მე მოწოდებით ლიტერატორი ვარ. თავიდანვე ფილოლოგიურზე მინდოდა შესვლა, მაგრამ მამამ ისტორიკოსობა მირჩია და ხათრი ვერ გავუტეხ. მე კიდევ შემიძლია არაერთი საინტერესო წიგნის დაწერა. ტრაბახში არ ჩამომართვათ. შემიძლია, მაგრამ ცოტა სტიმული, წახალისება მჭირდება. რატომ ადგას საქართველოს მწერალთა კავშირი ჩემს მიმართ „ნე ვიუუს“ პოლიტიკას? მითხრეს, თავმჯდომარე კარგი პოეტიაო, თუ შეგიძლიათ, მიდით მასთან და მოელაპარაკეთ, მიმიღოს მწერალთა კავშირის წევრად. ეგ ჩემთვის ქართველი კოლეგების მხრიდან დიდი აღიარება იქნება. ეს ერთი. მეორეც, მე ჯანდონით სავსე ქალი ვარ და არ მსურს პენსიის იმედზე ყოფნა. სურვილი მაქვს, სადმე ვიმუშაო, საზოგადოებას რამეში გამოვადგე. იქნებ მიმეგზავნოთ უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორთან, მომცეს ლექციები. მე მგონი საინტერესოდ წავიკითხავდი თანამედროვე მსოფლიოს ისტორიას, ან სოციოლოგიას, ან უახლეს პოლიტიკურ მოძღვრებათა სპეცკურსს. თუ ამ პრობლემებისადმი ჩემი დამოკიდებულების გამუღავნებისა შეეშინდებათ, უბრალოდ ინგლისური ენის ლექტორად დამნიშნონ. ინგლისური ბრწყინვალედ ვიცი.

ქალბატონი სვეტლანას ქალიშვილმა ყავა და ნამცხვარი მოგვართვა.

„ყავაზე გადართვამ“ ჩვენი საუბრის ტონიც შეცვალა და სხვა, მკითხველისთვის არცთუ ძალიან საინტერესო, მიმართულება შეიძინა.

გამომშვიდობებისას მასპინძელს დავპირდი, რომ მის სურვილს ადრესატთა ყურებამდე უსათუოდ მივიტანდი და პასუხს უახლოეს ხანებში ვაცნობებდი.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ჩემი მეგობარი შოთა ნიშნიანიძე იყო.

ჩვენი შეხვედრის შესახებ დაწვრილებით ვუამბე და ალილუევას სურვილიც მოვახსენე მწერალთა კავშირის წევრად მიღების შესახებ.

შოთა გაახარა სტალინის ქალიშვილის შემონათვალმა. უნიჭიერესი პუბლიცისტის დაწერილია მისი „წერილები“. რა-საკირველია, უნდა მივიღოთ. საბუთები გაამზადებინე, ერთი რეკომენდაცია შენ დაუწერე, ერთიც – გიორგი ნატროშვილს ვთხოვოთ. ყოველშემთხვევისთვის ზევით მაინც შევეკითხები, მოსკოვის აზრს გავიგებ, ხომ იცი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობა სსრკ-ის მწერალთა კავშირის წევრობას ნიშნავსო.

უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი ელგუჯა მაღრაძე იყო. ელგუჯასაც გაეხარდა ქალბატონი სვეტლანას თხოვნა. განცხადება გამომიგზავნოს და მაგ საქმეს წინ არაფერი დაუდგებაო. ყოველ შემთხვევაში, იქ ვიკითხავ, ხომ იცი, სტალინის ქალიშვილია მაინც. საერთოდ კი, არა მგონია, ინგლისურის ლექტორობაზე უარი უთხრანო.

მწერალთა კავშირის საბუთებიც გავამზადებინე სვეტლანას და ვაახლე შოთა ნიშნიანიძეს.

განცხადებაც დავაწერინე, გთხოვთ მომცეთ თქვენდამი რწმუნებულ ინსტიტუტში ინგლისური ენის საათებიო და მივართვი ელგუჯა მაღრაძეს.

ათიოდე დღის შემდეგ შოთამაც და ელგუჯამაც სვეტლანა ალილუევას სათხოვარზე უარი მითხრეს.

რეზო, როგორმე მოხერხებულად უნდა აცნობო ეს ამ-ბავი ქალბატონ სვეტლანასო. მაინცდამაინც ხაზს ნუ გაუსვამ მასთან, მაგრამ შენ ხომ მიხვდები, რომ მოსკოვია უარზეო. საიდუმლოდ გეტყვით, სვეტლანას მეზობელი სოლიკო ხაბეიშვილიც ჩავრთეთ ამ საქმეში, მაგრამ მასაც უარი უთხრეს. რომელ სამსახურზე და მწერალთა კავშირის წევრობაზეა ლაპარაკი. ხომ ხვდები, აქ სვეტლანა ფაქტიურად „გადმოსახლებულიაო“.

არ გინდა ეს უთხრა სტალინის ქალიშვილს?

რა საშინელი დრო იყო.

ან მწერალთა კავშირის წევრობა, ან ინგლისურის მასწავლებლობა ასეთს რა საფრთხეს შეუქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას?

ფაქტი ერთი გახლდათ, სვეტლანა ალილუევას სტალინის ქალიშვილობა არ აპატიეს.

მისვლა ვერ გავპედე და ტელეფონით ვესაუბრე.

ასე და ასეა საქმე-მეთქი. თქვენი სურვილი გადავეცი მწერალთა კავშირის თავმჯდომარესაც და უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორსაც. ორივეს ძალიან გაეხარდა. ფაქტიურად ორივენი თანახმა არიან, მაგრამ, მოგეხსენებათ, შესათანხმებელია ზოგი რამ, თანაც უცხო ენათა ინსტიტუტში შტატების გამოთავისუფლებას ელოდებიან; ასე რომ, ცოტა ხნით ფერხდება ორივეგან. თქვენ გულთან არ მიიტანოთ, მალე ყველაფერი მოგვარდება და შეგატყობინებთ-მეთქი.

პაუზა ტელეფონში.

– ვიცი... ვიცი... ვხვდები ყველაფერს... ასეც ველოდი. დიდი მადლობა... მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ...

ეს სიტყვები სვეტლანა ალილუევამ გამშრალი, მოგუდული ხმით მითხრა.

ასეთი ხმა ადამიანებს მხოლოდ მაშინ აქვთ, როდესაც  
მრისხანების ყიუინას კბილებით იჭერენ და ნერვების მოთოკ-  
ვის ფასად ცდილობენ გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნონ.

\* \* \*

ახლახანს კომპიუტერში ვჩხირკედელაობდი და „მოქა-  
ლაქეთა ბედის“ საიტზე ასეთი ინფორმაცია ამოტივტივდა:

„სტალინის ქალიშვილს სვეტლანა ალილუევას ოთხმოცი  
წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღს იგი ლონდონის უპა-  
ტრონო მოხუცთა თავშესაფარში შეხვდა, სადაც კარგა ხანია  
ცხოვრობს. „არავის გავხსენებივარ ჩემი ნაბოლარა ქალიშ-  
ვილის გარდა, მობილურით მხოლოდ მისი მესიჯი მივიღე,  
– განუცხადა ალილუევამ უურნალისტებს და ჩვეულებრივად  
ინტერვიუზე კატეგორიული უარი თქვა“.

თბილისი, აგვისტო, 2006 წ.



ზამთარია... მათოვს... მაცვიას...

ნოემბრის გრილი სალამო იყო.

ქარი ქალაქში არ იგრძნობოდა, მაგრამ ცას თუ ახედავდი,  
შეამჩნევდი, რომ იქ, ზემოთ, კარგა გვარიანად უბერავდა.

სხვადასხვა მხრიდან ქროდა ქარი და ტყვიისფერ ლრუბ-  
ლებს სწორედ აქ, უდავითალმაშენებლო პოსტამენტის და ჩონ-  
ჩხად ქცეული „ივერიის“ თავზე აქუჩებდა.

ზუსტად რვა საათზე სამთავრობო ტელევიზიოთ ჯანმრ-  
თელობის მინისტრი გამოვიდა და მოწყენილი სახით გამო-  
აცხადა: უახლოეს თვეებში ქათმის გრიპისაგან ყოველი მესამე  
დაიღუპებითო.

მინისტრის ამ განცხადებას ტელევიზიამ ჯომარდ-სატ-  
ირიკოსის სამხიარულო შოუ მოაყოლა. „შოუში“ სასაცილო  
მხოლოდ ის იყო, რომ მამაკაც მსახიობს ბატისჭუკისფერი  
პარიკი ეხურა, ტუჩები წითლად, ვნებიანად შეეღება და, აქა-  
ოდა ქალი ვარო, უკანალს, როგორ დავუკარგავ, ენერგიულად  
ათამაშებდა.

რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში რომ გამოეცხადები-  
ნათ, მალე ყოველი მესამე ალარ იქნებითო, ქუჩებს სასო-  
ნარკვეთილი ადამიანების გნიასი წალეკავდა, საქართველო-  
ში კი (როგორც არ უნდა გაუკვირდეს ამ ნოველის საზ-  
ღვარგარეთელ მკითხველს) შემაძრნუნებელ ცნობას პანიკა  
არ გამოუწევია.

მოქალაქეებმა მშვიდად მოისმინეს ქათმის გრიპისაგან მო-  
სალოდნელი კატასტროფის მაუწყებელი ცნობა და ტელევი-  
ზორები რომელიდაც შვიდასსერიიან არგენტინულ ფილმზე  
გადართეს. მეორე დილით კი ისე ჩვეულებრივი მასლაათით  
მიიჩქაროდნენ სამსახურებიანები სამსახურში, ხოლო მონა-  
ფეები ისეთი მხიარული ყიუინით მიისროდ-მიიბურთავებდნენ

სულელური სახელმძღვანელოებით სავსე ხელჩანთებს სკოლი-საკენ, თითქოსდა წუხელის ყოველი მესამის დაღუპვაზე ამ ქვეყნის კი არა, ანტარქტიდის მოზამთრე-ესკიმოსების შესახებ ეთქვას ტელევიზორს.

რა მოხდა? რა ასეთი უნაღვლო და ფეხზემკიდია ხალხი ცხოვრობდა საქართველოში, რომ ნერვსაც კი არ აუტოკებდა გაგება იმისა, რომ ექვსწევრიანი ოჯახიდან მაღე, სულ მცირე, ორი კუბო იქნებოდა გასატანი?

ჯერ ერთი, ადამიანი, მოგეხსენებათ, იმედს ებლაუჭება და ფიქრობს: ეპიდემია ასე ზუსტად ხომ არ გაანაზილებს სიკვდილს, ხომ შეიძლება, მეზობელ ბინაში გრიპის ეპიდემიამ ექვსიდან ექვსივე იმსხვერპლოს და ჩემს ოჯახში – არც ერთიო.

მეორეც, თუ მაინცდამაინც ყოველ მესამეს დაგვერია, რაღა მაინცდამაინც მე ვიქნები მესამეო.

მესამეც, ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს, რა მნიშვნელობა აქვს, ქათმის გრიპი მოგილებს ბოლოს, თუ შიმშილიო.

მეოთხეც, ორი წელიწადია ამ მთავრობას სხვა სიმართლე არაფერი უთქვას და რაღა ეს აღმოჩნდება მართალი.

კარგია თუ ცუდი შიშის გრძნობის ასე მასობრივი დაძლევა სამილიონიან ქვეყანაში, ამაზე ფსიქოლოგებმა იმსჯელონ, მე კი, ზემოთ თქმულისადმი მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, ჩემი მხრივ დავძენ: ჯანმრთელობის მინისტრს რომ გამოეცხადებინა, ქათმის გრიპისაგან უახლოეს ხანებში ყოველი მეორე დაიღუპებითო, არც ამ განცხადებას მოჰყვებოდა დიდი ვაივიში და პირხოკვობა.

უცნაურ ადამიანს რა დალევს დუნიაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქში იყო კაცი, რომელსაც გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც ისედაც გამესამედებული ხალხის კიდევ ერთხელ დაჩარებული მოსრვა-ამონყვეტა ქათმის გრიპის მიერ.

ეს გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბენიამინ არჩვაძე.

„თუ ეს მართალი აღმოჩნდა, ღმერთს ხსნა მოუვლენია ქათმის გრიპის სახით და ეგ არის. მორჩება, დამთავრდება ყოველდღიური წამება-დამცირება, აბუჩად აგდება, იდიოტური კონკურსობია, ქუჩაში გაგდების შიში, „რეფორმისტთა“ ზიზლით სავსე, უტიფარი თვალების დანახვა და შეშინებული კოლეგა-ვირთხების გაუთავებელი წუნუნის მოსმენა“, – ფიქრობდა პროფესორი არჩვაძე, როცა მეორე დღეს გამოხუნებული პლაშით, ლანჩებგაცევეთილი „შიბლეტებითა“ და გაცრეცილი პორტფელით კეკელიძის აღმართს მიუყვებოდა.

ფიქრის გორასთან ფილოსოფოსი კალისტრატე წევაძე აემგზავრა. ახალგაზრდობაშიც ერთობ შეუხედავი ვინმე იყო ბატონი კალისტრატე და სიბერეში მთლად წასულიყო ხელიდან მისი გარეგნობა.

გორილასავით დადიოდა.

გრძელ ხელებს სხვა პროფესორებივით კი არ მიიქნევდა, ორივე ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული. კაჭა ფეხებს აჩა-ბაჩა დგამდა და სიარულის დროს აქეთ-იქით ირწეოდა. შესახედავადაც გორილას ჰგავდა; ვინრო შუბლით, გაჭყლეტილი ცხვირით, ღოჯებიანი, დიდი პირით და ღრმად ჩამჯდარი, კვართისლილისოდენა, პატარა, მრგვალი თვალებით.

– ახალი ხომ არაფერი გაგიგია? – მისალმებას მოაყოლა კალემ თანამედროვე საქართველოში ეს ყველაზე გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, მოსაწყენი კითხვა.

– წუხანდელს მერე არაფერი.

– გრიპზე ამბობ?

– ეს მაინც დროზე შემოვიდოდეს და მოგვისვამდეს ხელს დიდიან-პატარიანად.

– ჩვენ დაგვერევა, საწყალ ხალხს, თვარა ამგენს არ დაემართება ქათმის გრიპი, ტყვილად გაქვს იმედი. ხომ უყურებ

ტელევიზორში, რა საშიშრად ჯანმრთელები არიან. რავა დას-აბმელი გიუჟებივით დაშლიგინებენ იქეთ-აქეთ.

— ბარე ორი დაშლიგინებდა, მარა ქე ჩახვეტა მტკვარმა. გამოჩენდება მაგენის დამბმელიც, ნუ გეშინია.

— როდის? ჩვენ რო არ ვიქნებით?

— ჩვენი საქმე მოთავებულია, უნდა შევეგუოთ, — ამოიოხრა ბენომ, — ჩვენს გაგდება-დამხობას ქე ასწრებენ.

— ვითომ ფილოსოფოსი მერქვა და სინამდვილეში აბდალი ვყოფილვარ. ისე მაგდებენ ქუჩაში, რომ ვერ გამიგია, რა შე-მეშალა, რა დავაშავე.

— მეცინება, ამას რომ იტყვით ხოლმე. ჯერ ერთი, ჩემო კალე, რად უნდათ ამათ ფილოსოფია. დალაპარაკებიხარ რომელიმეს? თვალებს არ გისწორებს არც ერთი. თუ მაინც-დამაინც შემოგხედა, ზიზღი ჩაპხატვია თვალებში, — შენ კიდევ ცოცხალი ხარ? კიდევ დალოლავ ამ დუნიაზეო? — გეუბნება თვალებით.

— ამ კონკურსსაც აღარ დაადგა საშველი.

— ნელ ცეცხლზე გწვავენ, ძალად აჭიანურებენ, რომ ეგება დავიხოცოთ ნერვიულობისგან.

— შრომა რამდენი გიგროვდება?

— ასამდე.

— ასპირანტი?

— დაცული ოცდათოხმეტი.

— აბა შენ კარგად გქონია საქმე.

— რა გულუბრყვილო კაცი ხარ, კალისტრატე. შენ გგონია, ჩვენს შრომებს დათვლის ვინმე? გუშინ დამირეკეს, ვერ გეტყ-ვი, ჭორია თუ მართალი, საპროფესორო კონკურსის პირობებისთვის ფიზიკური გამძლეობის შემოწმება დაუმატებიათ.

— რაი?

— რა და პროფესორმა ბაგირზე ცოცვა, ას მეტრზე სირბილი და ბატუტზე ხტომა უნდა ჩააბაროსო.

— მოსულა, აბა, ყვარყვარეს დრო, — ჩაიხითხითა კალის-

ტრატემ, — თურმე ყველა რევოლუცია ერთნაირად იდიოტურია. „სუსტი გულის პატრონი რათ უნდა პროლეტარიატს“.

— ერთს ვიტყვი მე. თუ მართლა ასე გიუურად გააგრძელეს, გამოვაცხადოთ გაფიცვა. აღარ მოვიდეთ უნივერსიტეტში, აღარ წავიკითხოთ ლექცია.

ნახევრადჩრდილით უთხრა კალემ კოლეგას და ყოველ შემთხვევისთვის მიმოიხდა, არავინ გვისმენდესო.

— რად უნდა მაგას ჩურჩული. ეგ უნდათ მაგათაც. უკვირთ კიდეც, ალბათ. გულში ამბობენ: ვინაა ეს უთავმოყვარეო ხალხი. რაც ამათ ვლანძლავთ და ვამცირებთ ყოველდღე, მაინც რომ დადიან უნივერსიტეტშიო.

ახალი, რაც იმ დღეს უნივერსიტეტში შეიტყო პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ, ის გახლდათ, რომ განათლების სამინისტროს მაცნე-შემტყობინებელი სანდუხაძე გამოეგზავნა; ძველი სახეებიდან, ვინც თავის ძველ, დამჭკნარ სახეს არ დაგვანახვებს და თავისი ნებით მოშორდება უნივერსიტეტს, ორ წელიწადს სტიპენდიას მიიღებს, ხოლო ვინც გაჯიუტდება, კონკურსზე გავაშავებთ და მერე მოსრია პატრონიო. ოცდაორი ფაკულტეტი ხომ დავიყვანეთ ექვს ფაკულტეტზე, ახლა ეს ექვსი ფაკულტეტიც უნდა გავამსხვილოთ და ორზე დავიყვანოთ. რაკი პროფესორებიდან 100 მეტრზე სირბილის ნორმატივს მეტ-ნაკლებად ყველა მეცნიერი ჩააბარებს, საკონკურსო პირობებს პარაშუტით გადმოხტომა დაემატებაო.

„დავხუჭავდი თვალს და გადმოვხტებოდი, — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი ბენიამინ არჩვაძე, — მაგრამ ამათი იმედი არა მაქვს. ჩვენ, ალბათ, გაფუჭებულ პარაშუტებს დაგვირიგებენ. მერე იტყვიან, არ გაიშალაო. მე შენ გეტყვი, სირცხვილის გრძნობა აწუხებთ, ან ღმერთის ეშინიათ“.

ოცდახუთ იანვარს თბილისში თოვლი მოვიდა.

„მოულოდნელად მოთოვაო“, — ამტკიცებდა სამთავრობო ტელევიზია, მაგრამ ხალხს ვერა და ვერ გაეგო, რატომ იყო 25 იანვარს მოსული თოვლი მოულოდნელი. აბა „მოსალოდნე-

ლი“ რომელი თვის რომელ რიცხვში უნდა ყოფილიყო თოვლის მოსვლა.

ქალაქის მერიას, რაკილა „მოულოდნელად მოთოვა“, გზებზე დასაყრელი მარილის მარაგი არ აღმოაჩნდა, რამაც ერთობ უხერხულ დღეში ჩააყენა ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება. მოგეხსენებათ, თბილისი ოლრო-ჩილრო, აღმართ-დაღმარ-თიანი ქალაქია და თოვლყინულმა სახსრებში მოშალა.

თავდაღმართში მწუხარე სახეებით მოსრიალებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, სანოვაგეზე გაგზავნილი, კისრის მოსატეხად განწირული სიდედრები, უბნის ინსპექტორები და კანონიერი ქურდებიც კი.

მხოლოდ ჩანთებზე შემომჯდარ მოსწავლეებს და ეროვნულ გამოცდაჩაბარებულ პირველკურსელებს ჰქონდათ ერთნაირად მხიარული და, ცოტა არ იყოს, პრიყვული სახეები.

თოვლმა ერთბაშად შეცვალა ქალაქი.

ისმოდა შუქწიშანთან სამარშრუტო ტაქსებს მიჯახებული ძალიან მსუბუქი მანქანების ხატქახუთქი.

საგრძნობლად შემცირდა მუდმივი საპროტესტო მიტ-ინგების მონაწილეთა რაოდენობა.

ხელისუფლების გადადგომის მსურველნი ძირითადად ფანჯრებზე გადმომდგარნი უერთებდნენ ხმას გათოშილ მომიტ-ინგებს.

მაჩაბლის ქუჩაზე მშვილდისრით და კაუიანი თოვებით შეიარაღებული, ფაფახ-ნაბდიანი სამი ცნობილი მწერალი ზაურ იობაის ხელმძღვანელობით ერთგულად იცავდა მწერალთა სასახლეს გოკა გაბაშვილის მიერ გამოგზავნილი სპეცრაზმელებისაგან.

რუსმა დრო იხელთა და ყინვისაგან ისედაც სასონარკვეთილ საქართველოს გაზი და ელექტროენერგია ერთბაშად შეუწყვიტა.

„დრო იხელთა-მეტქი“, იმიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტი შვეიცარიაში სასრიალოდ იყო წასული და საქართველოში ის-ეთი არავინ იყო, რომ რუსს შეშინებოდა.

ერთ საათში ტელევიზის ეკრანებზე შემკრთალი პრეზიდენტი გამოჩნდა. იგი დავოსელ უურნალისტს ელაპარაკებოდა. სად მიდიხარო, ეკითხებოდა უურნალისტი.

თბილისში ვბრუნდებიო, ცრემლის ყლაპვით აუნყებდა პრეზიდენტი.

ან ჩამოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არის. დარჩენილიყავი, კარგი ამინდებია, გესრიალა, შე კაი კაცოვო – გულით ურჩევდა შვეიცარიელი ტელეურნალისტი.

ეჰ, იცოცხლე, სრიალი კარგი იყოს, მაგრამ რომ არ წავიდე, არ შეიძლება, რუსმა შორს რომ დამიგულა, თავი აიშვა და ამ გასაჭირში ჩემს ხალხს ვერ მივატოვებო, – წასვლას არ იშლიდა პრეზიდენტი.

დიახ, პრეზიდენტი არც ისე მიამიტი გახლდათ, რომ არ სცოდნოდა, ხალხი მომთმენია მხოლოდ მოთმინების ფიალის ავსებამდე. საკმარისია ზამთარში ერთ თვეს დარჩეს ქვეყანა უპურ-უგაზ-უშუქოდ, რომ რაც უნდა საყვარელი იყოს სახელმწიფოს მეთაური, რა ახალგაზრდა და ლამაზიც უნდა იყოს და როგორც არ უნდა ამოსდიოდეს ერს თავის რჩეულზე მზე და მთვარე, ერთ თვეში დამთავრდება მისი მეთაურობა-პრეზიდენტობა.

გამძვინვარებულ ხალხს, ვინ მოსთვლის, რამდენი მეფის სასახლე დაურბევია და რამდენი პრეზიდენტის სავარძელი დაუწვავს.

ჰოდა, დაიწყო თბილისში ხალხის გვერდით მდგომი ხელისუფლების თეატრალური სანახაობა-ჩალიჩი.

პრეზიდენტმა რუსეთს თითო დაუქნია და სკოლებში ერთ-კვირიანი არდადეგები გამოაცხადა.

განათლების მინისტრმა პრეზიდენტის ბრძანებაში შესწორება შეიტანა და სრიალის ჟინით ათრთოლებული ბავშვების სიხარულს წყალი გადაასხა.

სწავლა შეწყდეს მხოლოდ იმ სკოლებში, რომლებიც გაზით თბებოდნენ, ხოლო დიზელგათბობიანმა სკოლებმა სწავლა განაგრძონ.

მედიზელე სკოლების პროფესტმაც არ დააყოვნა.

რატომ ჰერონია მინისტრს, რომ ჩვენ გამობარ-გალულუნებულები ვართ. ორი თვეები დიზელის საწვავი თვალით არ გვინახავს. ესეც არ იყოს, რა უპირატესობა აქვთ გაზშენყვეტილ სკოლებს. დაგვასვენონ ჩვენც. ჩვენს ბავშვებსაც არ აწყენს ციგაობაო.

სწორია ეს ხალხიო, პრეზიდენტმა, და განათლების მინისტრს დაურეკა: დიზელის საწვავი მაინც არ ჰქონიათ, დაისვენონ ამათაც, რას ისწავლიან ახლა ამნაირს, კაცმა რომ თქვას, ამ ერთ კვირაშიო.

დალონდა პრეზიდენტი. რა დროს მიყელა რუსმაო, მე ვასწავლი რუსეთს ჭკუას, ვანანებ ამ საქციელს, თუ ვყოფილვარ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტიო.

არადა საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. კვირაში საშუალოდ ორ უფასო სასადილოს ხსნიდა და სატელევიზიოდ ყურებამდე გაღიმებული ისე მადიანად შეექცეოდა წყალწყალა სუპს, გეგონებიდათ, ამ კვირაში არაფერი უჭამიაო. უფასო სასადილოში სერობა-ტრაპეზის დროს პრეზიდენტს გვერდს ქალაქ-ის მერი უმშვენებდა. აშკარად ჩანდა, მერს ტყუილი სუპი არ უყვარდა და კოვზს ზოგჯერ მოსაჩვენებლად, გადმობრუნებლად იდებდა პირში, თანაც ხანდახან ზიზლით გახედავდა ქათმის გალურჯებულ ბარკალს. აშკარად ჩანდა, მერს არ სურდა ქათმის გრიპის პირველ მსხვერპლთა შორის ყოფილიყო.

დიდთოვლობამ და უშუქვაზობამ გამოაცოცხლა ქალაქი.

ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

სასრიალოდ შვეიციარიაში წასული პრეზიდენტის ასე სწრაფად დაბრუნებას არ ელოდა პუტინი. რუსთხელმწიფის კარი შეშფოთებამ მოიცვა. რუსეთის მხარე აშკარად მაშინ შეძრნუნდა, როცა ნაციონალური მოძრაობის ხუთმა აქტივისტმა რუსეთის საელჩოს წინ, თოვლზე ერთი ტომარა შეშა და კილო-ნახევარი მანდარინი დაყარა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო რუსეთს.

ძიუდოისტი პრეზიდენტი საგონებელში ჩავარდა. თბილისში კი ამ დროს თეატრ-ბერიკაობა სრულ სვლას განაგრძობდა.

ნავთის ხუთასბიდონიან რიგში მდგომი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალი ტელეურნალისტს ინტერვიუს აძლევდა: „დილის 4 საათიდან ვდგავარ ნავთის რიგში და ძალიანაც მომწონს ეს ამბავი. სახლში ვიყავი გამოკეტილი, ძლივს ქუჩაში გამოვედი და ხალხს დაველაპარაკეო. თუ არ მოიტანეს ნავთი, არა უშავს, მოვიცდი. აქ მოწყენილი სულ არა ვარ. დამეც აქ ვაპირებ დარჩენას, თუ გამაჩერა ჩემმა ქმარმაო“.

სიცივისაგან სახსრებდამზრალი პროფესორი ბენიამინ არჩვაძე თავისი ერთოთახიანი ბინის ფანჯრიდან ჩასცემოდა ქალაქს. ქუჩაში გასვლის თავიც აღარ ჰქონდა. ხუთი დღის პურით და ყოველსაათიანი ტელეტყუილით იკვებებოდა: „სარემონტო სამუშაოები დამთავრდა, გაზი უკვე გამოშვებულიაო“. მიფაჩურდებოდა გაზქურასთან პროფესორი, გადანევდა ონკანს, მაგრამ გაზის სანატრელი შიშინი არა და არ ისმოდა.

სამს აღარაფერი უკლდა, კარებზე რომ მიუკაკუნეს. გააღო.

ქალაქის მერს ორი პური ეჭირა. პრემიერს – ერთი ტომარა შეშა. უკან ტელემიკროფონების მუშტები და იუპიტერები ირნეოდნენ.

ქალაქის თავნი ცალი თვალით ტელეკამერებისაკენ იყურებოდნენ და გაბადრული სახით აწვდიდნენ პროფესორს ხუთსაათიან შველას – ორ პურს და ტომარა შეშას.

– მომწყდით თავიდან! – იყვირა აცახცახებულმა ბენიამინ არჩვაძემ და სტუმრებს კარი ცხვირნინ მიუჯახუნა.

\* \* \*

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ივანე ჯავახიშვილის სახელბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა.

პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ თხმოცდამეცამეტე აუ-  
დიტორიასთან, დერეფანში, პალტოს ჯიბიდან ნახევარბოთ-  
ლიანი ამოილო, ნავთი გადაისხა, ფანჯარასთან მივიდა და ას-  
ანთს გაჰკრა.

ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, მაგრამ სანამ სახეზე და ხე-  
ლებზე მოედებოდა, აუდიტორიდან გამოსულმა სტუდენტმა  
გოგონამ შენიშნა, პალტო გაიხადა, პროფესორს თავზე ჩა-  
მოამხო და კივილი ატეხა.

საღამოს სამთავრობო ტელევიზიამ სხვა ახალ ამბავთა  
შორის გამოაცხადა: „დღეს უნივერსიტეტში თავის დაწვა სცა-  
და პენსიონერმა ბენიამინ არჩვაძემ, რომელიც სტუდენტებმა  
გადაარჩინეს.

როგორც ექიმები ირწმუნებიან, ბატონი ბენიამინი უკანასკ-  
ნელ ხანს ნევროზით იყო შეპყრობილი, რასაც თან დაერთო  
ასაკობრივი ცვლილებებით გამოწვეული კლიმაქსური მოვლე-  
ნები.

ამჟამად პროფესორის მდგომარეობა სტაბილურია და მის  
სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“.

თბილისი. 12. III. 2006 წ.



## ი ნ ვ ა რ ე ტ ი

„თბილშვაბდინტერის“ ყოფილი უმცროსი სპეციალისტი,  
იმხანად ბიოდენით მკურნალი ხვითო შაორშაძე გამთენის  
ექვს საათზე კუჭის ტკივილმა გამოაღვიძა.

2005 წლის ცხრა დეკემბერი იყო.

ავტორი გრძნობს, რომ თარიღის ასე დაზუსტებას არც  
ნოველისთვის აქვს რამე მნიშვნელობა, არც მკითხველისთვის  
და შაორშაძეს ხომ იმ წუთებში სულ ფეხებზე ეკიდა, ქრისტეს  
აქეთ რა დრო იყო გასული. მას კუჭი ანუხებდა და კუჭის  
ტკივილს, როგორადაც უნდა გაგიკვირდეთ, ყველაზე გულმხ-  
ურვალე ლოცვაც ვერ უამებს ავადმყოფს.

უჯრაში კარგა ხანს ეძებდა „ომეპრაზოლს“.

რა წამალს არ წააწყდა: „ალეპურინოლს“, „პანანგინს“,  
„ენალაპრილს“, „კოლხურ მალამოსაც“ კი, მაგრამ „ომეპრა-  
ზოლი“ ვერ იპოვა.

„დაგიტოვებდა კი... მაგ ჭკუაზეა... რა ასმევს ამდენ წა-  
მალს... მე მაგის“...

ჩაილაპარაკა ხვითომ იმ ადამიანის მისამართით, ვინც  
„ომეპრაზოლს“ თითქმის ყოველდღე ჰპარავდა. ის ადამიანი  
კი, არც მეტი არც წაკლები, სიდედრი გახლდათ.

ბევრი ჩემი ნაცნობისგან განსხვავებით შაორშაძეს სიდ-  
ედრი არ სძულდა და, ვინ იცის, იქნებ უფრო მეტადაც ჰყვა-  
რებოდა, რომ არა ეს საჩითირო ჩვეულება – „ომეპრაზოლის“  
მოპარვა.

კუჭის ტკივილის შეჩერების ერთადერთი გზა რჩებოდა  
ჩვენს გმირს – ადგომა.

ფანჯარასთან მივიდა და ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის  
რეზიდენციის სახურავიდან განათებულ თავის ეზოს ჩააცექე-  
და. შაორშან ელჩმა ხვითოს მეზობლად მდებარე არველაძების

ვილა რომ იქირავა, უსაფრთხოების მიზნით სახურავზე რამ-დენიმე პროექტორი დაამონტაჟეს და ერთი მათგანი რატომ-ლაც შაორშაძის ეზოს მოუშვირეს.

ერთი კვირის მერე შაორშაძე საპროტესტო წინადადებით მიადგა ამერიკელი დიპლომატის საიმედოდ დაგმანულ-დატელეჭვრეტულ ჭიშკარს.

ჭიშკარი არ გაღებულა, მაგრამ ბიოდენით მკურნალს, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ხუთი ავტომატიანი დაცვის ბიჭი ამოუდგა გვერდით.

რა გნებავთო, მათ შორის ყველაზე მაღალმა.

ეს პროექტორი პირდაპირ ჩემს ფანჯრებს რომ მოუშვირეთ, ლამე არ მაძინებს. სახანძრო რაზმის მორიგესავით მთელი ლამე ფანჯარასთან ვზივარ და იქნებ შეატრიალოთ სხვა მხარესო, ხვითომ.

მაინც რომელ მხარეზე, მაღალმა.

რა ვიცი მეო, ხვითომ.

კი ბატონო, ვეტყვით ჩვენს უფროსს, ჩვენ, პატარა ხალხი ვართო, მოლბა ელჩის ერთგული დამცველი.

მეორე დღეს შლაპიანმა, უსათვალო კაცმა მოაკითხა შაორშაძეს და ურჩია: პროექტორის თემაზე მეტი ალარასოდეს ეს-აუბრა. ამ კაცის უსაფრთხოებას ციდან თანამგზავრები იცავენ და, შე კაი კაცო, რას მიქვიან პროექტორის გამორთვაო.

გამორთვა არ მითქვამს, ბატონო მე, შეტრიალება ვთქვიო, გაუბედავად ჩაილაპარაკა შემკრთალმა მასპინძელმა.

სხვა გზა არ იყო, ხვითო გაჩუმდა, მაგრამ ეზო-ფანჯრებზე მონათებული შუქი ნერვებს ძველებურად უშლიდა.

ატმის გამხმარ ვარჯზე დასკუპული უამრავი ბელურა ერთდროულად ულურტულებდა.

რა დოზანა ჰქონდათ ამდენი გასარკვევი, რომ ერთმანეთს ულურტულს არ აცლიდნენ. ერთმანეთს არ უსმენდნენ. ყველა თავისას ულურტულებდა... ბელურულს, კაპიკის სალირალს, სულელურს და გაუთავებელს.

„ამ კვდარძალლებმაც გააწყალეს გული... არც დღე იციან და არც ლამე, თუმცა... მაგრენს რა ჭკუა უნდა მოვკითხოო, ამ გაბრდღვიალებულ-გაჩახჩახებულ ეზოში კატასაც ეერია დღე და ლამე. რო მეთხოვა მომანათეთ-მეთქი, უარს მეტყოდნენ, რა უნდა, რას მაშუქებენ, რა საფრთხეს მოელიან ჩემგან. ამათ აქ ჩამომთესლებლებს გოდოუშენდა პატრობდა შაორშაძე და ტკივილსა და ტკივილს შუა ალმაცერად გახე-დავდა შორს, მამადავითსმონოლილ მნათობს ლრუბლიან ცას პირველ სხივებს რომ სტყორცნიდა და იმ სხივებითაც მშვენივრად შლიდა მაილსის დაცვის პროექტორის გამალიზ-იანებელ სიყვითლეს.

მზე რომ ფანჯარას საიმედოდ შემოადგა, ხვითომ ნიფვხის ტოტი აინია და მუხლს ქვემოთ ხუთი თითის დადებაზე რბილ ადგილას ამოლურჯებულ წყლულს შეავლო თვალი.

წყლულს შეხორცების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა და ამან უფრო აუმღვრია გუნება.

მუხლს ქვემოთ ანუ წვივის ზემოთ ამ ოთხი თვის წინათ ასანთისთავისხელა მეჭეჭი შენიშნა.

შეიძლება აქამდეც ჰქონდა მეჭეჭი, მაგრამ აქამდე არ შეუნიშნავს. იყო თავისთვის მეჭეჭი. არც ანუხებდა და არც არაფერს უშავებდა.

ერთხელ სიტყვას მოჰყვა და ნაცნობ ქირურგს, ჯავახიშვილს, აუწყა, ამა და ამ ადგილას მეჭეჭი მაქვს და საშიში ხომ არ არისო.

გამოიარე ხვალ დილით ჩემთან პოლიკლინიკაში და მაჩვენეო, სხვას რას ეტყოდა ექიმი.

გაიარა. ქირურგმა ლუპით დახედა მეჭეჭს.

უბრალო მეჭეჭია, თუ გინდა, ქარჩაულის სითხით მოგინვავ, თუ არა და გექნება და გექნება. არაფერს შეგიშლის, ჭამა მაგას არ უნდა და სმაო.

მომიწვიო, რა ჯანდაბამ ათქმევინა შაორშაძეს ეს ათასჯერ სანანებელი სიტყვა.

მოუწვა, ბრილიანტის მწვანე წაუსვა და თავისუფალი ხარო, დაემშვიდობა.

სამი თვე გავიდა.

წყლული კი არ ხორცდება და არ ხორცდება.

ყოველ მესამე დღეს ურეკავს ქირურგ ჯავახიშვილს და ერთსა და იმავე რჩევას ლებულობს – ბრილიანტის მწვანე წაისვიო.

როდის შემიხორცდებაო, შეჰპედა ერთხელ. აქამდე უნდა შეხორცებულიყო, დაბნეულად მიუგო დასტაქარმა და ექიმის ხმაში დაბნევის კვალი საკმარისი აღმოჩნდა, რომ შიში ჩაბუდებულიყო ხვითოს არსებაში. ხოლო შიში კი, მოგეხსენებათ, საზიზლარი რამ გახლავთ.

თუმცა, ვერ დავუკარგავთ, დროდადრო გაიფიქრებდა: თუ კიბოთი სიკვდილი მიწერია, სწორი ნაწლავის კიბოთი სიკვდილს წვივის კიბოთი სიკვდილი სჯობსო.

ცხრა საათზე ტელევიზორს მიუჯდა, გულს გადავაყოლებო. ვერ გადააყოლა.

გათახსირების, არაკაცობის, სექსუალური უკულმართობის, მაყურებელთან გულისამრევი შეთამამების ნიაღვარი იფრქვეოდა ეკრანიდან.

ხოლო თუ ათასში ერთხელ გაეპარებოდათ ეკრანზე ჭკუა-გონების მცირედენი საზრდო, ყოველ ოთხ წუთში ულმობლად წყდებოდა იგი უტიფრული რეკლამით ქალის სამენ-სტრუაციო საფენებზე, რომელსაც დაწვრილებით სათანადო სითხის დასხმით და ვერგაუონვის უპირატესობის ჩვენებით გადმოსცემდნენ.

– გერვასი მოვიდა, – დაუგდო ცოლმა და სამზარეულოში შეასწრო.

შაორშაძე წამოხტა და გაედევნა.

– აქ როგორ მოგვაგნო?

– მე რა ვიცი.

– ვერ უთხარი, შინ არ არის-თქო?

– ვერა.

– რატომ?

– უკვე ეზოში იყო შემოსული.

ვაკიდან ნუცუბიძის პლატოზე გერვასის მიზეზით გადმო-სახლდნენ შაორშაძეები.

გერვასი ყოველი სიტყვის მერე ქსუტუნებდა. ქსუტუნებდა ნერვების მომშლელად, გულისნამღებად.

ქსუტუნით ბევრი ქსუტუნებს და ექსუტუნა გერვასისაც, მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ მოქსუტუნე მეზობელი ყოველდღე შემოდიოდა შაორშაძეებთან.

ფანჯარასთან იდგა და როგორც კი ხვითო სამსახურიდან დაბრუნდებოდა, მაშინვე მოადგებოდა კარებს.

მოადგებოდა საორნეულოთ და მოსაკითხავად კი არა, გულდაგულ სალაპარაკოდ, გაურკვეველი დროით და, რასაკ-ვირველია, საქსუტუნოდ.

ვეღარ გაუძლო მეზობლის ქსუტუნს შაორშაძემ. გაყიდა ბინა და ნუცუბიძის პლატოზე გადასახლდა, თანაც ყველა გულდასმით გააფრთხილა – გერვასისთვის ახალი მისამართი არ ესწავლებინათ.

რვა თვე გაგრძელდა ხვითოს ბედნიერება და აი, გერვასი გამოჩნდა.

ძლივს მოგაგენითო, დაიქსუტუნა, არ ყოფილხართ მაინც-დამაინც შორსო, ეს მისამათი ვერავინ მითხრაო. ბოლოს (დაიქსუტუნა) ბინების ყიდვა-გაყიდვის ბიუროს მივაკითხე და მომცეს ეს მისამართი.

ამ ლაპარაკში სამჯერ მაინც გავიდა გაფითრებული შაორშაძე სამზარეულოში წყლის დასალევად და ცოლისთვის თვალის დასაბრიალებლად.

– რა გვეშველება!

– ქსუტუნებს? – თეფშებს რეცხავდა ცოლი.

– აბა, რას იზამს... გამოდი და დამელაპარაკე, ხომ იცი, პანაშვიდზე ვართ წასავლელი-თქო.

- რა დროს პანაშვილია.
- რაღაცა მოიფიქრე. ხომ იცი, ეგ დღეს წამსვლელი არ არი.
- შენ მოიფიქრე. მე ვეღარაფერს მოვიფიქრებ...
- მომკლას აბა მაგის ქსუტუნმა?!
- უნდა გაუძლო ცოტა ხანს და წავა, აბა რა ჯანდაბას იზამს. გაუყუჩდი. ნუ აყვები ლაპარაკში.
- თვითონ ლაპარაკობს და ქსუტუნებს. შენი ლაპარაკი სულ არ ანალვლებს.

ჭიშკართან, რკინის მესერზე მიმაგრებული ზარი დაირეკა.

- ეგ ვიღა?
- გადი, გახედე.
- შენ ვერ გახედავ? სტუმარს ხომ ვერ მივატოვებ.
- ცოლი გავიდა და მაშინვე შემობრუნდა:
- ბესოა.
- დღეს რაზე შეწუხდა, – გერვასის გასაგონად ჩაილაპარაკა – წინა კვირას ხომ იყო.

ბესო ხვითო შაორშაძის გარებიძაშვილი გახლდათ.

გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე მოხშირებით მოდიოდა სასხლავით ხელში.

უმოწყალოდ ჭრიდა და სხეპავდა (თვითონ, რატომღაც გასხვლას ეძახდა) ხვითოს მიერ მთელ ზაფხულს რწყვითა და ფერებით გაზრდილ ხეხილს.

გული მოგიკვდებოდათ ნაბესოვარი ბალი რომ გენახათ. მინაზე იყო დაფენილი მთელი იმ წლის ნაზარდი და ნამატი. თუ მოიხელთებდა და თავზე დაადგებოდა ხვითო, დიდი ჩხუბითა და დავიდარაპით გადაარჩნდა რამდენიმე ხის ტოტს და ვაზის რქას, რისთვისაც ბიძაშვილის უკმაყოფილო ბუზღუნს მიიღებდა – შენ რა გესმის ბალ-ვენახის, ზედმეტი დატვირთვაა რომ აფუჭებს ხეხილსო.

ორ ცეცხლშუა ჩავარდა ხვითო.

აქეთ გერვასი ქსუტუნებს და აღარ ათავებს სისულელეე-

ბის ლაპარაკს, იქით ბესო შესევია ხეხილს და უმოწყალოდ კვნეტს, სხეპავს, ანადგურებს.

- ვინაა? – დაიქსუტუნა გერვასიმ.
- ბიძაშვილია. ხეხილს მისხლავს ხოლმე.
- რაღა დროსია, უკვე ზამთარია, – დაიქსუტუნა გერვასიმ.
- სად მიდიხარ?

– გავალ... ვეტყვი... რაღა დროისაა, უკვე ზამთარია, ცოდოა ხეები-მეთქი.

- უთხარი და მალე მოდი, – დაიქსუტუნა გერვასიმ.
- ახლავე.
- რა უდროო დროს იცის ზოგმა მოსვლა, – კვლავ დაიქსუტუნა გერვასიმ და ამოიქსუტუნა კიდეც.

წინკარში გამოსულ ხვითოს თავზარი დაეცა. ბესოს უკვე მოესწრო „ანტონოვკის“ სამი, შვილივით გაზრდილი ტოტის და ინგილოური შავი ბლის კენწეროში გადაბელვა.

- ეს რა გიქნია, ბესო. როგორც შარშან გამიხმე ხეჭქური, ისე არ მოუვათ ამათაც? შეიძლება ამსისხო ტოტების მოჭრა?!
- შეიცხადა ხვითომ.

– კაცო! მე ვერევი შენს საქმეში? გასწავლი ასე უნდა ჰქნადა ისე უნდა ჰქნა-თქვა? ჩემი საქმე მე ვიცი-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა!

საყვედური ჰქონდა გამოცდილი მსხვლელ-მსხეპავის სიტყვებში.

იმ ღამეს ხვითო შაორშაძეს ინფარქტმა დაარტყა. სასწრაფო დახმარების ექიმმა კარდიოგრამის ლენტს დახედა თუ არა, მაშინვე უთხრა მეუღლეს – სტაციონარში უნდა გადავიყვანოთ, ინფარქტი აშკარაა, მაგრამ მთლად მწვავე ფორმა არ უნდა იყოსო.

ექიმი ორმოციოდე წლის ქერათმიანი ქალი გახლდათ, უკვე მოესწრო თქმა, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილი გახლდათ და წყნეთში მინისტრთა საბჭოს ყოფილ კოტეჯებში ცხოვრობდა, საიდანაც ამ დღეებში უმოწყალოდ უპირებდნენ გამოსახლებას.

სანერვიულო ხომ არაფერი შეხვდაო, ინფარქტიანი ავამ-დყოფის ჭირისუფალთათვის ამ ტრადიციული კითხვით მიმართა ექიმმა შაორშაძის მეუღლეს.

— არა... დღეს და გუშინ ნამდვილად არაფერზე უნერვიულია, და საერთოდ ვინაა, გენაცვალე, დამშვიდებული დღესო, ცოლმა.

„სასწრაფო“ სირენების წივილით მიქროდა რესპუბლიკური საავადმყოფოსკენ.

უძოს მთაზე წუხანდელი თოვლი მოჩანდა.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ შეიძლება ამაღამ თბილისშიც მოეთოვა.



## მ ი ს ა ყ ვ ი რ ე

ქვეყანა წინ წავიდაო, გაიფიქრა ერთ დღეს სამონტაჟო ნაკეთობათა გაერთიანების დირექტორმა წოე თაბაგარმა, ადრინდებურად აღარ შეიძლება ცხოვრებაო, ბოლოს და ბოლოს ხალხმაც იცის რაღაცა, ვათქმევინებ ყველას თავის სათქმელს. ვინ იცის, იქნებ, ასე აჯობოს, ვცდი მაინც, ამ ერთხელ, ყოველ შემთხვევაში — ჩავატარებ დემოკრატიულ კრებას, ვნახოთ, რა ბედენაა ეგ საჯაროობა, ასე რომ იკლავს მისთვის თავს მთელი ქვეყანაო.

ადრინდებურად რას ჰქვიაო, ადრე როგორ ატარებდა თაბაგრი კრებასო, დაინტერესდება, ალბათ, განსაკუთრებით ის მკითხველი ვინც გარდაქმნის დასაწყისში, სულ რაღაც, თორმეტ-ცამეტი წლისა იყო და ადრინდელი კრებების სიმწარე არ უგემია. ადრე ასე ატარებდა თავისი გაერთიანების კრებას წოე თაბაგარი: აიღებდა შარშანდელ მოხსენებას, თარიღს შეუცვლიდა, შესავალაში საერთაშორისო ურთიერთობის ორიოდე მწვავე ფაქტს ჩაამატებდა, ბოლოში მიღწევა-გამარჯვებათა ჩამოთვლის შემდეგ რამდენიმე უმტკივნეულო მაგალითს მიაწერდა და მოხსენება მზად იყო. გადახედავდა გაერთიანების აქტივისტთა სიას, წლობით გამორჩეულ, ნაცად გამომსვლელებს ერთ ახალდანინაურებულ აქტივისტს მიუ-მატებდა და მოკამათეთა სიაც მზად იყო. კრების რეზოლუციასაც, მოხსენების მიხედვით, ორიოდე პუნქტს შეუცვლიდა და რეზოლუციაც მზად იყო. რჩებოდა კრების თავმჯდომარის და მდივნის საკითხი. თავმჯდომარეობა ყველას უნდოდა, მდივნობა არავის, მაგრამ გაერთიანების დირექტორი ამ საკითხსაც იოლად წყვეტდა, გადახედავდა „უიგულის“ რიგში ჩანერილთა გვარებს, აქაოდა, რიგიდან არ ამომაგდონო, ვინ იტყოდა უარს კრების მდივნობაზე. ასე იყო უნინ. წინასწარ

გაფრთხილებული მოკამათენი, წინასწარ დაწერილი რეზოლუცია ისე მაგიურად მოქმედებდა კრების მონაწილეებზე, რომ ერთადერთი, რაც დარბაზში მსხდომთ აწუხებდათ, იყო: ნეტავ მალე დამთავრდებოდეს „კამათი“ და გაგვიშვებდნენ შინო. ამიტომაც ისინი ყველაფერზე თანახმა იყვნენ და ძველი, გარდასული დემოკრატიის სასაცილო გადმონაშთადაც კი ეჩვენებოდათ. კრების თავმჯდომარის მიერ ყოველ შემთხვევაში გაცხადებული: „წინააღმდეგი ხომ არავინ არის?“ თავი ხომ არავის შეუკავებია?“ ვერ გაეგოთ მოქალაქებს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ, საერთოდ, რაიმის წინააღმდეგი ან თავი რაზე უნდა შეუკავებინათ. განა ვინმე ჭუუათმყოფელი კრებაზე, საერთოდ, ისეთ რამეს გამოიტანდა, ან გადაწყვეტდა, რაც უარყოფის, ან თავის შეკავების გრძნობას გამოიწვევდა სიუხვისკენ მიმსწრაფ საზოგადოებაში?

ხალხი უნინ შედარებით ნაკლებს ნერვიულობდა, ერთადერთი „ლონისძიება“, რაც არ იცოდნენ, როგორ დამთავრდებოდა, სპორტული სანახაობა გახლდათ. დანარჩენი ლონისძიებების ფინალი ყოველთვის ყველასთვის ცნობილი იყო და ნერვებგადარჩენილი ადამიანები ერთსულოვნად, განუზომელი ინტერესით მიეშურებოდნენ ფეხბურთზე. სტადიონი იყო მოქარბებული ვნებების ხარჯვის ერთადერთი მასობრივი საშუალება. ახლა კი დემოკრატიამ ყველაფერი გამოუცნობი მოლოდინით აავსო და მოქალაქენი სტადიონური ინტერესით მიიჩეარიან ყრილობა-სესიაზე. კრება-მიტინგებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, უმტკიცნეულო ბრიფინგებზეც კი.

– არტახების, ყველას მაგივრად ფიქრის, პირში წყლის დაგუბების წყეული მედავითური დრო წარსულს ჩაბარდა, ვიკამათოთ, ყველამ გამოვთქვათ ჩვენ-ჩვენი აზრი. საწინააღმდეგო მოსაზრების გამომთქმელის ხელშეუხებლობის გარატიას საჯაროდ გაძლევთ. ნუ შეგეშინდებათ, ნუ შეგრცხვებათ და, მით უმეტეს, ნუ მოგერიდებათ სიმართლის თქმის. აგერ, თქვენ და აგერ, კრება! – განაცხადა ნოემ კრების დაწყები-

სას და კამათში გამოსვლის მსურველთა ხორბლის ყანასავით აღმართულ ხელებს რომ გადახედა, ინანა; ჯერ თავმჯდომარე-მდივანი ამერჩია, საანგარიშო მოხსენება წამეკითხა და მერე მეთქვა, რაც ახლა ვთქვიო.

უკვე გვიან იყო. კრების მონაწილეებს არ უნდოდათ თავმჯდომარე-მდივნის არჩევაში დროის დახარჯვა და, ლმერთო, შეგცოდე, არც საანგარიშო მოხსენების მოსმენა სურდათ, ისე იყვნენ სხვა დროს წაკითხული საანგარიშო მოხსენებებით დაშინებულნი.

სანამ ტრიბუნაზე შემდგარი პირველი მოკამათე პირს გააღებდა, ნოემ მოასწრო და სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა:

– რეგლამენტი?! რეგლამენტი მაინც დავადგინოთ!

დარბაზში კმაყოფილების შეძახილები გაისმა. უკვე იცოდნენ, რაზე უნდა ეკამათათ.

კამათში გამოსვლის მსურველნი ამოძრავდნენ. ტრიბუნას-თან და კლუბში კედლების გასწვრივ ჩადგმულ ოთხ მიკრო-ფონთან გრძელი რიგები გაიმართა. ასე ელვისებურად რიგი მაშინ ჩნდება ხოლმე მაღაზია-უნივერმაღებში, როცა დაობებისკენ მიქცეულ ყველს გამოიტანენ გასაყიდად, ან აბეზარი მეჭორე ხმას გაავრცელებს: ამა და ამ ადგილას, ერთი საათის შემდეგ ჩეხურ ლუდს გაჰყიდიანო.

რეგლამენტის დადგენაზე კამათმა ორ საათსა და რვა წუთს გასტანა. გამომსვლელთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ფორმულირებას: „მოკამათეს – შვიდი წუთი, განცხადებით გამომსვლელებს – სამი წუთი!“ მეორე ნაწილი კი პირდა-პირ აყენებდა თავის მტკიცე მოსაზრებას: „მოკამათეს – რვა წუთი, განმცხადებელს – ორი წუთი“. იყო სხვა მოსაზრებანიც რეგლამენტის შესახებ, მაგრამ სხვა მოსაზრებებს იმდენად უმნიშვნელო რაოდენობა უჭერდა მხარს, რომ აქ მოტანა და მკითხველის შეწუხება ამ ნოველის ავტორს ზედმეტად მიაჩნია. თუნდაც ეს ნაბიჯი, იქნებ, არცთუ მთლად დემოკრატიულად ჩაუთვალოს შთამომავლობამ.

როგორც იქნა კენჭისყრამდე მივიდნენ.

„ვინ არის მომხრე, რეგლამენტი განისაზღვროს ასე: „მოკამათეს – შვიდი წუთი, განმცხადებელს – სამი წუთი“ – გამოაცხადა ნოებ.

კლუბში ბევრმა ასწია ხელი, მაგრამ დემოკრატიულ კრებაზე „ბევრი“ და „ცოტა“ არაფერს ნიშნავს. ხმები დათვლილ უნდა იქნას.

დაინტენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა დასახელება.

ხუთი დამთვლელი შეარჩიეს. მეექვსემ, მემონტაჟე უორა ემხვარიამ დამთვლელი კომისიის წევრობაზე უარი თქვა, ახლომხედველი ვარო.

– დაგვთვალეთ, თუ გვთვლით, დაგვედალა ხელი! – ყვიროდნენ პირველი ფორმულირების მომხრენი.

ხომ მარტივ არითმეტიკად ჩანს, მაგრამ ხმების დათვლა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ნოეს ეგონა. სანამ ხელი აწეული ჰქონდათ, ზოგმა გადაიფიქრა; კაცმა რომ თქვას, რატომ მოკამათეს მაინცდამაინც შვიდი წუთიო და ხელი დაუშვა, ზოგმა კი პირიქით, იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, პირველი ფორმულირებისთვის დაეჭირა მხარი. ხელი მაშინ ასწია, როცა ხმის დამთვლელი კომისიის წევრი გასცდა. საჭირო გახდა დამთვლელი ერთხელ კიდევ მობრუნებულიყო და დათვლის არცთუ შემოქმედებითი საქმე თავიდან დაეწყო.

თოთხმეტი კაცის უპირატესობით გაიმარჯვა მეორე, როგორც ჩანს, უფრო საღმა ფორმულირებამ და კრებამ დაადგინა: „მოკამათეს – რვა წუთი! განმცხადებელს – სამი წუთი!“ ორას ორმოცდათექვსმეტი – ორას ორმოცდაორთან – ასეთი იყო ხმათა შეფარდება. შეიძლება დამთვლელი სამორთო ხმაში (ამჯერად ხელში) შემცდარიყვნენ, იქნებ, იქნებ სათვალავში მოგვემატოსო და ზოგიერთს ორივე ხელი ჰქონდა აწეული, მაგრამ დეტალებს ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს. რაც მთავარია, რეგლამენტი დემოკრატიული გზით დადგინდა.

კამათში პირველი, მეამწე ლადო ხომერიკი გამოვიდა. ნოემ

იცოდა, რას იტყოდა ხომერიკი, მაგრამ გამოსვლაში ხელი ვერ შეუშალა. რაკი დემოკრატიას ვთამაშობ, ბოლომდე უნდა გავწიო, თორემ ხომერიკს რომ სიტყვა არ მივცე, სხვები შემჭამენო.

ლადომ ჯერ მიკროფონს დაუკავუნა და რომ დარწმუნდა, მუშაობსო, დაინტ:

– თქვენთვის ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ოქმში ჩასანერად მაინც უნდა გავიმეორო: ყველამ იცით, როდის და რატომ ეკლესიიდან გამოსულს თავს დამესხა ბუხუტი ბრეგვაძე და მცემა. ორი თვე გავიდა, ვის არ მივმართე, სად არ ვიჩივლე, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. ხალხი არა ხართ? მომებმარეთ, ნუ გამაჩენიებთ მე თვითონ სამართალს, ნუ გამატებიებთ ბრეგვაძისთვის იმ სულელ თავს!

დარბაზში ტაშმა იგრიალა. წინა რიგებიდან ფეხზე წამოდგნენ და მანამ უკრავდნენ ხელგამეტებით ტაშს, სანამ ლადო აღფრთოვანებულთა დერეფანს გაივლიდა და თავის ადგილს მონახავდა.

– გაჭიანურება უკვე აღარ გამოვა. თავიდანვე მინდოდა მილიციისთვის დამესჯევინებინა ბრეგვაძე, მაგრამ თვითონ მილიციის უფროსის ქვისლია, ეგ ოჯახკეტიანი და, რა ვქნა მეო, – გაიფიქრა ნოემ.

ლადომ მოკამათეთა რიგს გახდა. ბუხუტი ბრეგვაძე წამომდგარიყო და ამაყად თავაწეული იდგა რიგში. „ნეტავ რას იტყვის, რა აქვს სათქმელი, მაგ უნამუსოს. ურჩევნია, თავზე ნაცარი წაიყაროს და პატიება ითხოვოს. ხალბში გამოსაჩენი პირი აქვს იმის შემდეგ მაგას, რაც მე, ეკლესიიდან გამოსულ კაცს, ასე უმოწყალოდ მომექცაო?“ – ტუჩმიხმარებით ფიქრობდა ლადო. ხოლო რას ფიქრობდა ბუხუტი, აგერ ა, სამი გამომსვლელის შემდეგ დავინახავთ.

მეორე მოკამათემ ცეცხლი დაანთო. მართლაც და, რას ჰგავს, ამ დემოკრატიის ეპოქაში, ბრეგვაძის საქციელიო. უნდა დაიგმოს მისი თავხედობა და სამაგალითოდ, მკაცრად დაისა-

ჯოს, რათა სხვას აღარ მოესურვოს ეკლესიიდან გამომავალი კაცის გალაზვაო.

მესამე მოკამათემ ეჭვი გამოთქვა: რაღაცას არ გვიმსელს ლადო, თორემ ბუხუტი სულელი ხომ არ იყო, არაფრის გულისთვის მივარდნოდა უდანაშაულო კაცს და მუშტები დაეყარაო.

მეოთხე მოკამათემ განაცხადა: ის, რაც ხომერიკს დამართეს, მარტო ხომერიკის უბედურება არ არის, ხვალ შეიძლება ჩვენც დაგვხვდნენ და გვცემონო. თუ ვართ სამართლიანი ხალხი, დროულად აღვკვეთოთ ბრეგვაძის პარპაში. მე, მაგალითად, მრცვენია იმ დარბაზში რომ ვზივარ დღეს, სადაც უსირცხვილო ბუხუტი ზისო.

ბუხუტიმ თავისი გამოსვლა სასწაულმოქმედი ბრძნული გამოთქმით დაიწყო. მერე კი ტყვიამფრქვევით დააყარა დარბაზს: „რაც ხომერიკმა მოგახსენათ, ყველაფერი ტყუილიაო. იმ ღამით დაღლილი და გაბრუებული საჯარო ბიბლიოთეკიდან შინ ვბრუნდებოდიო. აგრესიულად განწყობილი ხომერიკი აფთარივით მეცაო. წინააღმდეგობის განევის თავი სად მქონდა, მთელი დღე ჩემს თავზე ინტელექტუალურად ვმუშაობდიო. ჯერ ფარზე მიბრაგუნა მუშტები, მერე რკინის ჟილეტზე ჯოხით მცემა და ისეთი პანლური ამომარტყა, ფოლადის ნიფხავი რომ არ მცმოდა, ყურებს დამიხტეთქავდაო. ოცდაჩრიდმეტი წელი როგორ არ სჯობია ასეთ ყოფას, მე რომ ვარო, ახლაო. ოცდაჩრიდმეტში ქე მაინც გამთენისას სახლიდან გაიყვანდი კაცს და ასწავლიდი ჭკუას, ახლა საჯაროობაა და მე, მართალ კაცს, მლანძლავენ თავხედი გაზეთებიო.

დაამთავრა სიტყვა ბრეგვაძემ და დარბაზი ომახიანმა ტაშმა გააყრუა. წოე დაიბნა. ჯერ ეგონა, რომ ეს ტაში კრების მონაწილეთა მრისხანების გამოხატულება იყო, მაგრამ აქა-იქ მონაწილების შეძახილებსაც რომ მოჰკრა ყური, გული მიეცა.

— ძვირფასო მეგობრებოვო, წოემ, აქ როგორც ჩანს, არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც გვეგონაო, დამნაშავე უნდა

დაისაჯოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ დამნაშავე რომ დავსაჯოთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, ვინ არის დამნაშავეო. წინადადება შემომაქვს, შევქმნათ კომისია და შევისწავლოთ ამბები, საქმეები და გარემოებებიო.

— ღვთის გულისათვის, ოღონდ კომისიას ნუ შექნით! — იყვირა ლადომ.

— რატომ ლადო, რატომ? რითაა ცუდი კომისია? — ალალად იკითხა წოემ, თუმცა თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ კომისიის შექმნა ახლა საქმის გაურკვეველი დროით გადავადებას ნიშნავდა.

— ეს მეხუთე კომისია იქნება. მოვკვდი ამდენი კომისიით, აღარ შემიძლია. წინა ოთხმა კომისიამ ხომ დაადგინა ხელბარის და ქერძაფის გამოყენების ფაქტი. რატომ არ ვენდობით იმ კომისიებს?! — ადგილიდან, უმიკროფონდ განაცხადა ხომერიკმა.

— მოიცა, მოიცა ლადო! ემოციებს ნუ აყვები. ხომ იცი, მე სიმართლე მიყვარს. ის კომისიები, არ გეწყინოს და, სხვა დონისა იყო, ეს კომისია სულ სხვა დონისაა. კრების კომისია ხომ არ შექმნილა ჯერ. რა გეჩქარება შე კაცო, აგერ არ ვართ? თუ დამნაშავეა, სად გაგვექცევა ბრეგვაძე! — დაუყვავა წოემ.

ლადო ხომერიკი ზენამოიჭრა, დარბაზის მიკროფონთან მიირბინა, ხალხი გასწი-გამოსწია და როცა საყვირლად პირი დააღო, წოემ ღილაკს თითი დააჭირა და მიკროფონი გამოურთო. ხომერიკის ღალადისი ირგვლივ მდგომ შვიდ კაცს არ გაცილებია.

წოე ხომერიკის და ბუხუტი ბრეგვაძის ინციდენტის შემსწავლელი კომისიის წევრად ცხრა ამხანაგი დაასახელეს, მაგრამ ბოლოს შვიდი დატოვეს. ემხვარიას კრებამ მისცა აცილება, სპეციალისტი არ არისო, ხოლო სოსო ბუხაიძემ თავის თავს თვითონ მისცა აცილება — მაგ ბინძურ საქმეში ვერ ჩავერევიო.

წოემ საათს დახედა. სამი საათია, რაც მუშაობენ და ჯერ

ერთი კომისიის მეტი არ შექმნილა, თუ ასე გაგრძელდა, სამონტაჟო ნაკეთობათა გაერთიანებაში წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას საფრთხე ემუქრება. უძრაობის პერიოდში, და უფრო ადრეც, სამი საათის განმავლობაში, ყველა კრება დამთავრებული იყო, რეზოლუციაც მიღებული და მხიარულად დაშლილი ხალხი წასულ-წამოსული თავის ოპტიმისტურ საქმეებზე. ახლა? „ვიქაქანეთ, ვიქაქანეთ და ჯერ-ჯერობით ერთი საკითხის მეტს ვერ დავადგით თავი. რაც ჩვენ რეგლამენტის შემუშავებაზე დრო და ენერგია ვხარჯეთ, ცხრა გამომსვლელს ეყოფოდა. არადა კრების ჩატარების სტალინურ სტილზე ამ შუა კრებაში გადასვლა უხერხულია. შემოქმედებითი ფანტაზიის შეზღუდულობას დაგვწამებენ. დასწყევლის ღმერთმა, უფრო იოლი მეგონა დემოკრატიული კრების ჩატარება“, ფიქრობდა ნოე და ლამის ანგარიშმიუცემლად დაუქნია თავი კამათში გამოსვლის მოსურნეს, ახალგაზრდა წუნდებელს ტრიფონ ვაამბატეს.

ტრიფონი დინჯად მიუახლოვდა ტრიბუნას, პირთამდევ გატენილი საქალალდე მიკროფონის გვერდზე შემოდო და სიჩუმეს დაელოდა.

- ეს რა არის? – ჰერითხა ნოემ.
- საქალალდეა!
- ვხედავ, ბატონო, მაგრამ რეგლამენტს ერთ წამს ვერ გადააცილებ!
- გასაგებია! – თავი დაუქნია ტრიფონმა.
- დაიწყეთ, რაღას ელოდებით!
- სიწყნარეს!
- რეგლამენტის წუთმზომი ჩართულია იცოდეთ!
- ვიცი!

ნოემ ხელი შემართა და უკანა რიგებში მსხდომნი სმენად იქცნენ. ვიღას დავუმალო, ნოეს ხელის შემართვაზე მხოლოდ უკანა რიგებში მსხდომნი რეაგირებდნენ. წინა რიგში შედარებით ურჩი მოკამათენი ისხდნენ.

– თქვენ თქვენ-თქვენი საბოსტნე ნაკვეთი ყველას გაქვთ, – დაიწყო ტრიფონმა, – მეც ჩემი საბოსტნე ნაკვეთი მქონდა, ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, რომ ამ ჯუნგლურ დროში ყველას ჩვენ-ჩვენი საბოსტნე ნაკვეთი უნდა შემოგველობა, ცოდნით ვიცოდი, მაგრამ არ მქონდა დრო და საშუალება, ორ სმენაში ვმუშაობდი მაშინ. იქეთას იქეთა კვირას წკნელზე რომ ვიყავი ტყეში წასული, ამდგარა ჩემი მეზობელი ლერიკონა ქააძე და ეს ჩემი საბოსტნე ნაკვეთი თავისი საბოსტნე ნაკვეთისთვის მიუღობია. ა, გაარკვიეთ ახლა, მართლა კრება თუ ხართ, ეს საკითხი. მე ჩემი საბოსტნე ნაკვეთი მომაკუთვნეთ და ლერიკონას თავისი.

კრება გაისუსა.

– შევქმნათ კომისია! – იყვირა ვიღაცამ მარჯვენა ფლანგიდან.

– რათ უნდა ამას კომისია! – დაელრიჯა მყვირალს ტრიფონი.

– მოიცათ, მოიცათ, თქვენ კომისიას ისე კი ნუ უყურებთ, უკომისიოდ შორს ვერ წავალთ, ნუ ავიგდებთ წინასწარ კომისიას, – განყრა ნოე, – არის თუ არა საჭირო კომისია, დემოკრატია ბატონო და ხალხი გადაწყვეტს!

– სწორია! – გაისმა შეძახილი უკანა რიგიდან.

– დათესა რამე ლერიკომ შენს საბოსტნე ნაკვეთზე? – იკითხა ბრეგვაძემ.

– წიწმატი აქვს დათესილი და ჭლაკვი დარგული! – კეთილსინდისიერად უპასუხა ტრიფონმა.

– ოო, ეს ამძიმებს გარემოებას, – დაასკვნა ბრეგვაძემ და დაჯდა.

– დოკუმენტი თუ არსებობს,.. ქააძემ რომ შენი საბოსტნე მიიღობა? – ჰერითხა ნოემ ტრიფონს.

– როგორ არ არსებობს, რომ არ არსებობდეს, აქ გამოვიდოდი? – გაიკვირვა ტრიფონმა.

– რა დოკუმენტი არსებობს?!

– ლობე!  
– მე ბეჭედდარტყმულ, ხელმოწერილ დოკუმენტს გეკითხები.

– რა ბეჭდის დარტყმა უნდა, ბატონო. ქვეყანა ხედავს, რომ ქააძეს ჩემი ნაკვეთი აქვს მიღობილი!

– შეკითხვა მაქვს! – დარბაზის გამორთულ მიკროფონს ამაოდ ჩაჰყვიროდა ახალგაზრდა წითური ახმახი. ნოე იცნობდა იმ პიჭს. ენერგიული ყმანვილი იყო. რაც მიტინგ-დემონსტრაციები მოდაში შემოვიდა, მუშაობას თითქმის თავი გაანება და რევოლუციურ-სასარგებლო საქმიანობაზე გადავიდა ერთბაშად ყველა არაფორმალური გაერთიანების, ყველა ლეგალურ-არალეგალური პარტიის და, თითქოს ეს არ კმაროდა, დამატებით სახალხო ფრონტის წევრიც იყო.

– რა გაქვთ?! – კითხა ნოემ ისე, რომ მიკროფონი არ ჩაურთავს, იწვალოს ცოტა ხანსო.

– წარმოადგინეთ თქვენი თავი!

– მემონტაჟე ჩქარეული! – ჩართულ მიკროფონს ჩასძახა წითურმა და თაბაგარის ნაცადმა ხელმა კვლავ გამოურთო მიკროფონი.

ჩქარეულის უკან, განმცხადებელთა, სიტყვაში გამომსვლელთა და შეკიხვაგამზადებულთა გრძელი რიგი იდგა.

– ამხანაგებო, ჩქარეულს შეკითხვა აქვს, როგორი იქნება აზრი? – იკითხა დემოკრატმა ნოემ.

დარბაზი აყაყანდა, ზოგი ყვიროდა: „თქვას! ბოლოს და ბოლოს რას გვიზამს ერთი შეკითხვაო!“ ზოგი კი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო.

– როგორც ვხედავ, კენჭი უნდა ვუყაროთ, ვინ არის მომხრე რომ ჩქარეულს შეკითხვის უფლება მივცეთ, ვთხოვ ხელის აწევით დაგვიდასტუროს.

თვალდათვალ აშკარა იყო, რომ უმეტესობას ჰქონდა ხელი (მარჯვენა ან მარცხენა) აწეული, მაგრამ დემოკრატიას სიზუსტე უყვარს და ნოემ ამაყად განუცხადა პრეზიდიუმის მა-

გიდის გვერდით გამწკრივებულ შავ კოსტუმშიალსტუხიან ახალგაზრდებს, საქართველოში სრულიად ახალი პროფესიის – სმის დამთვლელთა საიმედო არმიის წარმომადგენლებს.

ხმის დამთვლელნი მეყვსეულად ეცნენ დარბაზს, სულ რაღაც ორმოცდახუთ წუთში გაირკვა, რომ ჩქარეულისთვის შეკითხვის მიცემის უფლების მინიჭებას ხმა მისცა ორასსა-მოცდათექვსმეტმა ხმოსანმა, რამდენი იყო წინააღმდეგი ამას ხმების დათვლის მეორე ეტაპი გაარკვევდა, მაგრამ წინააღმდეგ აწეული ხელები არ დაუთვლიათ. იმდენს კი მიხვდნენ, რომ კრების მონაწილეთა საერთო რაოდენობისთვის (498) გამოეკლოთ ორასსამოცდათექვსმეტი და რაც დარჩებოდა, ის იქნებოდა წინააღმდეგი იმისა, რომ ჩქარეულისთვის შეკითხვის უფლება მიეცათ. ნოემ უბის წიგნაკი ამოიღო და ანგარიშს შეუდგა. ჯერ 498-ს ქვევით 276 მიუწერა, მერე მიკროფონშივე ხალხის თვალწინ (დასამალავი და საჩუმათო ამ შემთხვევაში არაფერი მაქვსო) ალაპარაკდა: რვას ექვსი-ორი, ცხრას შვიდი – ორი, ოთხს ორი – ორი ორასოცდაორი! ორასოცდაორი კაცი წინააღმდეგია, ბრძანეთ! – მიმართა ნოემ ჩქარეულს და მიკროფონის ღილაკს თითო დააჭირა.

– სამარცხვინოა, ბატონებო, სხვისი საბოსტნე ნაკვეთის მითვისება საერთოდ და, ამ შემთხვევაში ტრიფონ ვაამბატესი კერძოდ. ლერიკონა ქააძეს სხვისი საბოსტნე რად უნდოდა, ისედაც დიდი საბოსტნე ჰქონდა. თავის საბოსტნესაც ვერ ამუშავებს, მაგრამ ხარბი კაცის ამბავი არ იცით? ლერიკონას ვიღაცა რომ არ უმაგრებდეს ზურგს, ამას ვერ გაძედავდა!

– ესაა შეკითხვა?! – დაიყვირა ნოე თაბაგარმა, რაკიდა შეატყო, რომ ჩქარეულის სიტყვა მისთვის არცთუ სასიამოვნო ჭრილში მიექანებოდა.

– დიახ, შეკითხვაა! – მიკროფონს (არ გამომირთონ) ორივე ხელით ჩაებლაუჭა ჩქარეული.

– მე ვეკითხები დარბაზს. შეკითხვაა, რასაც ჩქარეული ამბობს?! – მრისხანედ იკითხა ნოემ.

დარბაზი გაისუსა.

- არა, ეს შეკითხვა არ არის! – დაიძახეს უკანა რიგებიდან.
- აბა რა არის?! – ხმაში ტირილი გაერია ჩქარეულს.
- განცხადება!
- არ არის განცხადება, დედას გეფიცებით, შეკითხვაა! – ხმა გაებზარა ჩქარეულს.

– მე კენჭს ვუყრი, შეკითხვაა თუ განცხადება! – მტკიცედ განაცხადა თაბაგარმა.

– არ არის საჭირო! ერთი წინადადებალა დამრჩა! – ვკითხოთ ქააძეს, ვინ უმაგრებს ზურგს?! – დაიქუხა ჩქარეულმა და მუშატშემართვით რაღაც დაამატა, მაგრამ მიკროფონი გამოურთეს და გამორთულ მიკროფონში ყვირილი შორიდან, მოგეხსენებათ, მუნჯი კინოს გარდასულ პასაჟს წააგავს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მოუხედავად ტრიფონ ვაამბატეს გააფთრებული წინააღმდეგობისა, კომისია მაინც შეიქმნა. ამ-ჯერად კომისიის შემადგენლობა ხუთი კაცით განისაზღვრა. ხუთივემ უარი განაცხადა, ჩვენ საბოსტნე ნაკვეთების მითვისება-წართმევის სპეციფიკურ საკითხში დილეტანტების დონეზე ვართ და ვათ თუ შევცდეთ, უფრო გამოცდილი ამხანაგები დაასახელეთო, მაგრამ კრებამ მათი მორცხვზრდილი უარი ყურად არ იღო. ასე შეიქმნა მეორე კომისია. კომისიის ერთ-ერთ წევრს ტრიფონმა ცნობა-საბუთებით (სხვათა შორის, ასლებით კი არა, ორიგინალებით) დაზუზლული თავისი დიდი საქალალდე შეაჩეჩა. „არ მინდა ჯერ, სად ვატარო ამხელა საქალალდეო“, უარზე იყო წევრი, მაგრამ ბოლოს ტრიფონმა თავისი გაიტანა. მე მაინც ვფიქრობ, რომ საბუთების გადაცემა იჩქარა ვაამბატემ. კომისიის გულმავინყ წევრს კრების დამთავრების შემდეგ მისი საქალალდე მეჩვიდმეტე რიგში მესამე სკამზე დარჩა.

კრებაზე კიდევ ერთი საკითხი განიხილეს. ეს გახლდათ ჩაჩინის და ივანიძის კომისიის მუშაობის საკითხი. ეს კომისია ორი წლის წინა შეიქმნა. შეიქმნა იგი სამონტაჟო ნაკეთობათა გაერთიანების ისტორიაში გაუგონარ ამბავთან დაკავშირებით:

წლების განმავლობაში სამონტაჟო საამქროში გამზადებული ნაკეთობანი იკარგებოდა. გაერთიანებამ ხვავი და ბარაქა ვერ დაატყო თავის მუშაობას. თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო, ხალხი მუხლიაუხრელად შრომობდა, მაგრამ რად გინდა, ვიღაც უკეთური (თუ უკეთურთა ჯგუფი) გამზადებულ ნაკეთობებს სწორედ იმ ღამით იპარავდა, როცა ისინი გაერთიანების შენობიდან უნდა გაეტანათ და მსოფლიოს მოწინავე იმპერიალისტური ქვეყნებისათვის უნდა გაეგზავნათ, როგორც ეს გრძელვადიანი ხელშეკრულებებით იყო გათვალისწინებული. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ფირმები სამონტაჟო ნაკეთობათა ერთ პატარა დეტალს იყენებდნენ, ხოლო მთლიანად ნაკეთობას გადასადნობ საამქროს გადაულოცავდნენ, რათა ეს ჩვენი უზარმაზარი აგრეგატები ბოლოს უსაფრთხო სამართებლებად ქცეულიყო.

ჩაჩინიანმა და ივანიძემ ქვეკომისიები შექმნეს და გადაწყვიტეს პირველად მსოფლიო კომისიების ისტორიაში საქმე ბოლომდე მიეყვანათ. იძიეს, იძიეს და კვალმა ორივე კომისიის წევრი მათდაუნებურად ქალაქის მაღალ ეშელონებში მიიყვანა. მაღალი ეშელონებიდან ნოე თაბაგარს თითო დაუქნიეს. ჭკუა ასწავლე შენს მოკომისიე ბიჭებს, დაუკრეფავში ნუ გადადიანო.

როცა თაბაგარმა ჩაჩინის და ივანიძის კომისიის გაუქმების საკითხი დასვა, დიდი სჯა-კამათი გაიმართა.

ნოემ ერთი პირობა ყველა მიკროფონი გამორთო, მაგრამ ეს ნაბიჯი დემოკრატიის ჩახშობად ჩაუთვალეს და აიძულეს მიკროფონები კვლავ ჩაერთო. სხვათა შორის, იმ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის, რაც ნოეს ჰქონდა ჩაფიქრებული, ყველა მიკროფონის ჩართვა უკეთესი აღმოჩნდა. დარბაზი ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა. მიკროფონებს ერთბაშად ჩაყვიროდნენ გააფთრებული „სიმართლის მაძიებელნი“, სიტყვას პირიდან გლეჯდნენ ერთმანეთს, იყო ერთი პიჯაკეაჩავობია და თმაზენვობია.

აცალა, აცალა ნოემ და დაახლოებით დილის ხუთ საათზე მოკამათეებმა ერთმანეთი რომ დააოსეს, მიკროფონს ჩასძახა:

- არის წინადადება შეწყდეს კამათი! – შეწყდეს! შეწყდეს!
- დაიძახეს უკანა რიგებიდან.
- არის წინადადება გაუქმდეს ჩაჩხიან-ივანიძის კომისია და შეიქმნას ახალი კომისია!

– შეიქმნას! შეიქმნას! – ჰყვიროდნენ უკანა რიგებიდან.

ნოე თაბაგარმა გააუქმა ძველი კომისია, შექმნა ახალი კომისია ცხრა კაცის შემადგენლობით. ახალ კომისიაში ნოემ ძირითადად, ისინი შეიყვანა, ვინც კრების სამაგალითო მონაწილის სახელი დაიგდო, მაგრამ სამონტაჟო გაერთიანებაში მომხდარ დატაცებათა შესახებ არა მარტო ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ ეკომისი-ისწევრა მაინც ვერ გაარკვევდა, რატომ ქრებოდა სამონტაჟო საამქროდან გამზადებული სამონტაჟე ნაკეთობანი.

ფანჯრებს განთიადის მტრედისფერი ათინათი რომ მოადგა, კრება ძლივსლა ფეთქავდა. დემოკრატიისგან ნაცემ ადამიანებს გატანჯული სახეები და სახმო სიმები ღამის სამუდამოდ დაზიანებული ჰქონდათ.

კრებას დახურულად ვაცხადებო, ნაღვლიანად რომ გამოაცხადა თაბაგარმა, საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს. ყველას შინ მიეჩარებოდა და თან მიჰქონდა მწარე სინანული დემოკრატიის ხათრით გატეხილი ღამისათვის. მიკროფონთან გაერთიანების მესაყვირე, პენსინონერი შაქარაძე მივიღა.

ადამიანებოვო, თქვა შაქარაძემ, რაკი ამდენი ვიდავიდა-რაბეთ, ბოლომდე ერთხელ მაინც მიგვეყვანა საქმეო. რა გავაკეთეთ, კაცმა რომ თქვას; შინ რომ დავბრუნდებით, რას ვუპასუხებთ ამ დილით ცოლ-შვილსო; რა გადავწყვიტეთ, რა გავასწორეთ? რეზოლუცია მაინც მიგვეღო, სირცხვილია, შესასრულებლად თუ არა, სხვების შესახედავად მაინც დაგვედგინა რამეო.

კრების მონაწილენი ორ-ორად და სამ-სამად, წელში მოხრილი და გასავათებული, ლასლასით გადიოდნენ კარებში და შაქარაძის სიტყვები ბევრ მათგანს არც კი გაუგონია, რომც გაეგონათ, ისინი რეზოლუციისთვის უკან მომბრუნებლები მაინც არ იყვნენ.



## ლელა

ან საათნახევრით ადრე გამოვდივარ სამსახურიდან, ან საათნახევრით გვიან. „პიკის საათზე“ თუ მომიწია გამოსვლამ, დაღუპული ვარ. ნერვები ნერვებათ და ფოლაქი არ შეგრჩება არცერთი. იმნაირი ჭედვაა, ვერ შეახტები ვერაფერს. იმ დღეს საქმე არაფერი იყო, მთელი დღე დომინოს პარტყუნმა მომ-შალა და მაინცდამაინც ექვსზე გამოვქუჩავდი.

დეკემბერია. ქარი რო არ უბერავდეს, არ იქნება ასეთი სიცივე. დაბადების დღეს განყევლინებს სტვენით რო მიმოძვრება ამ ჩემს პლაშში ქარი. ჩემეცვა ჩემი ძველი პალტო არ ჯობდა? მარა თითო სიგიჟე ყველას ჭირს და რაცხა ჭირათ ბავშვობიდანვე არ მიყვარდა პალტო.

რაც მე ვიყურყუტ-ვიყვანცალე, ფეხით მივიდოდი სახლში.

წყალტუბოს გადასახვევთანაა ჩემი სამსახური. გაუქმებული წყალსადენის მორიგე ვარ. ორმოცდაორ ლარს მაძლევენ თვეში. რას ვდარაჯობთ, ჩვენ თვითონ არ ვიცით, სამი მოირგე ვართ. ჯერ წყალი შეგვინყვიტეს, მერე ტელეფონი წეიღეს, ბოლოს აბრაც მოგვიხსნეს კედელზე (ხალხმა რო არ შეგვანუხოს). ვზივართ გაყინულ საკანში. ერთი-ორი დიდხრახნიანი ონკანია, ისიც ჩაუანგულ-გაუბედურებული. ქურდი კი არა, რო აჩუქო ვინმეს, ერთ კვირას ვერ მოხსნის.

მოედნამდე ფეხით მივედი. ხალხი ემატება და ემატება გაჩერებას. აპა რა იქნება, „მარშრუტკები“ გააუქმეს, ტროლეიბუსები გააჩერეს და რომელილაცა ქვეყანაში ჩამოწერილი ყვითელი ავტობუსების ამარა დააგდეს ამხელა ქალაქი.

საათზე მეტი იქნება ვდგავარ. იქეთა მხარეს სამჯერ მევი-და ავტობუსი, აქეთ – არც ერთხელ. მე ვთქვი, გადავალ იქეთ და ფარცხანაყანევის გადასახვევამდე მაინც მივალ. იქედან წავყვები რაღაცას-მეთქი. გადევედი და, იღბალი არ გინდა?

ათ წუთში მევიდა აქეთ ავტობუსი. რაღას მოვასწრებდი, ისევ უკან გადმოსვლას.

მოკლედ ცხრას აღარაფერი უკლდა გათოშილი და განამებული შინ რომ დავბრუნდი.

დაწყევლა ღმერთმა მარტოხელა კაცის ცხოვრება.

ჩაის ამდუღებელი რო არვინ ჰყავს სახლში, კაცი ჰქვია იმნაირ კაცს?

ყველი და პური წევიტეხე (ჩაის ადუღება დამეზარა), ტელე-ვიზორი ჩავრთე და შევწექი. მე ვთქვი, „კურიერს“ შევავლებ თვალს და დევიძინებ-მეთქი.

დაინყო კურიერი და ზარმაც დარეკა.

სანამ ხმას გავცემდე, გევიხედავ ხოლმე „გლაზოკში“. ჩემმა ძველმა ქალებმა იციენ მოსვლა. „ძველს“ იმიტომ ვეძახი, რომ ორმოცდაათზე ნაკლების არაა არც ერთი. ახალი სადაა. რუსის ქალი ქე მოსპეს საქართველოში და ახალგაზრდა ქართველი ბოზები იმხელა ფასს თხოულობენ (განსაკუთრებით ჩემნაირ ბებერ კაცთან), რო ჩემი გაცრეცილი ჯიბე ვერ შეწვდება. არც მქონდა ქალის თავი და, გითხრა სიმართლე, არც ვაპირებდი კარის გაღებას.

ერთიც ვნახოთ, უცნობი გოგოა. ჩემი „გლაზოკი“ გეიბურა ამ ბოლო დროს და არ ჩანს კარგათ, მარა ახალგაზრდა უნდა იყოს.

ვინ გნებავთ-მეთქი.

სოსო ბუხაიძე თუ ბრძანდება შინო.

მე ვარ, თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი.

არ ვაღებ კარს,

მეზობელი ვარ, გვერდზე სახლიდან, თუ შეიძლება, პატარა სათხოვარი მაქვსო.

სათხოვარს რო მოვკარი ყური, არ მესიამოვნა. პირველ სართულზე ვცხოვრობ და ხშირად მიკაკუნებენ ახალი მოდის მათხოვრები; ბავშვი მყავს ავად და შემეწიეო, ანდა პატიმრის პატრონი ვარ და დამეხმარეთ თუ შეგიძლიათო. მე რაი მაქ იმას რო მივცე.

კარი მაინც გავაღე.

შარვევიდა, მაღალ-მაღალი, სწორფეხება გოგოა. ჯინსის შარვალი და ტყავის ყავისფერი კურტკა აცვია. ცხვირამდე ჩამოფახატული ნაქსოვი ქუდი მეიძრო და შავი, მბზინავი და-ლალები გადმოყარა. აქა მშვიდობაო, უცერემონიოდ გამოსწია სკამი და დაჯდა. გრძლად გაჭრილი თვალები და სქელი ვნები-ანი ტუჩები აქვს, არც გაკრასკულია, ესე იგი ქუჩის ბოზს არ გავს და ისე... რას გოუგებ ქალს, ცოტ-ცოტა მეძავი ყველა ვართო, ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა.

შარვლისკენ წევინიე, გრძელი შორტ-ნიფხავი მაცვია.

იყავი მასეო, ნუ შეწუხდებიო.

მაინც ჩევიცვი. ჩამოვჯექი დივანზე და მივაჩერდი.

მეო, ქუჩის გადალმა, საერთო საცხოვრებლის გვერდზე რომ ხუთსართულიანი სახლია, იქ ვცხოვრობ, პირველ სადარბაზოში მეოთხე სართულზეო. გაგიკვირდა, ალბათ ჩემი მოსვლაო.

იმ სახლში მეორე სადარბაზოში თენგიზ ცინცაძე ცხოვ-რობს, მე ვუთხარი.

რა მოხელეაო.

კვების პროდუქტების ლაბორატორიაში მუშაობს, მე ვუთხარი.

შესახედავად მეცოდინება, საერთოდ მე ორი თვეა, რაც მანდ ვცხოვრობ, ქმრის ბინაში ვარ, ჩემი ქმარი სანებლიძეა. ადვოკატ სანებლიძის ბიჭი, თუ იცით ადვოკატი სანებლიძეო.

არ ვიცოდი, მარა თავი დავუქნიე, ისე, ზრდილობისთვის.

მე თუ მიცნობ-მეთქი, ვკითხე.

პირადად არა, მაგრამ ჩემი სახლიდან თქვენი ბალკონი ჩანს და ხშირად გხედავთო.

რომელია თქვენი ფანჯრები, აბა, დამანახე-მეთქი.

ფანჯარასთან მივიდა, კაი გავა, კაი ფეხები, რომ ინა-ტრებ იმნაირი ქალია: თანაც უკომპლექსოა, ეტყობა. ნამეტანი მომენტება და სადღაც ზევით ფანჯრებს მაჩვენებს. განათებული როა, მარჯვნიდან კი არა, მარცხნიდან მესამეო.

ვხედავ, ვხედავ, ჩამქრალი როა-მეთქი?

არა, არა განათებულიო. საით იხედები, მე აქეთ ამ სახლზე გაჩვენებო, გაიცინა და უფრო მომიწია კოხტა უკანალი.

მოვკიდე მკლავებზე იქეთ-აქეთ ხელი და ურუანტელმა და-მიარა.

აბა, აბა, ნუ გაგულავდები ახლა, ბებერო, ნამეტანიო; საჩხ-უბრად კი არა, ისე ტკბილსაყვედურით მითხრა, ხელი გამაშვე-ბია და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ქმარს წავეჩუბე და თუ შეგიძლია ეს ერთი ღამე გამათ-ევიე შენთან, ხვალ დეიდაჩემთან წავალ გლდანშიო.

რაზე იჩხუბეთ, ამნაირი კაი გოგო ხარ, ან შენს ქმარს არა აქვს ჭკუა თავში? სა გამოგიშვა ამ ღამეში, ეს ჯეირანივით გოგო. რა გაქვთ საჩხუბარი, გამიგონია მაგნაირი ამბავი-მეთქი?

ვითომ ვარიგებ, ვაშმუმინებ რავარც საკუთარი ბიძია.

თუ არ მოვა ჭკუაზე, მე მაგასთან გამჩერებელი არ ვარო. დღეს მეოთხედ ჰქონდა ანაშას სუნიო. რავარც შამევიდა, თვა-ლებიც რომ არ ჰქონოდა ამღვრეული, სუნი მეტაკა იმ წუთში, ვერ ვიტან მაგ ძირამოსაგდების სუნს, გულს მირევს პირდა-პირო.

რა იღბალი აქვს ზოგიერთს, რაღა შენ უნდა შეგხვედროდა ამნაირი. ვერ დოუკვირდი თავიდან. შენი სახელი-მეთქი?

ლელა მქვიაო.

ვერ დოუკვირდი თავიდან, ლელა-მეთქი?

რა ვიცი, ჯანდაბა ჩემს თავს. ეტყობა დიდი ხანია იბო-ლება. ეს ორი თვე სანამ თაფლობის თვე გვქონდა, ითმინა და ახლა დაიწყო ისევლე. ვნახავ მამამისს და დედამისს და თუ ასე გააგრძელა, მომცენ ჩემი წილი, რაც მეკუთვნის და წავალ ჩემს გზაზეო.

ორსულად ხვარ დარჩი, ლელა-მეთქი, კაი ჭირისუფალი-ვით ვეკითხები.

არა, არა, ეგ ნამდვილად ვიცი, მაგ მხრივ დამიფარა ღმერ-თმა, რათ მინდა შვილი მაგისგანო. შენი საქმე შენ იცი და ისე ოჯახის დაწერევა არაა კაი საქმე, მარა ვერც იმას გეტყვი, რო ბევრი გამოსწორებული ნარკომანი დეიარება ამ ქვეყანაზე-მეთქი. მაგენმა შეყოლიება იციენ: დღეს დავანებებ, ხვალ და-ვანებებ და მერე საკუთარ პერანგს გაგაყიდებენ-მეთქი.

ერთი სიტყვით, ჩემს დარიგებას ყურადღებით ისმენს და თავს მიქნევს. არ მეკამათება.

სად მუშაობო, მკითხა.

წყალსადენის მორიგე ვარ-მეთქი რომ ვუთხარი, გაეცინა, სულ გალსტუკით დადიხარ და სულ მცირე ლექტორი მაინც მეგონეო. ეს ერთი ოთახი გაქვსო? მიიხედ-მოიხედა, ეს ერთი მეთქი. ცოლი? ცოლის კი არა, ჩემი თავის რჩენა მიჭირს-მეთქი, სწორათ მოქცეულხარ, თავისუფლებას რა სჯობია, ნე-ტაო მეც არ გავთხოვილიყავით.

ერთხანს ტელევიზორს ვუყურეთ, მე „მოჯადობის“ მაყ-ურებელი ვარ, მესამე წელია არც ერთი სერია არ გამიცდენია. ლელა, თურმე „ჩენტო ვეტრინეს“ მუშტარია და „ჩენტო ვეტ-რინეზე“ გადამართვევინა.

რო გაიგო, ეს ერთი ტახტი მქონდა, შეიცხადა. მე სად მანვენ, სტუმარს ბატონო სოსო, შენი ჭკუითო?

რა ვიცი, მე მეტი საშუალება არ მაქვს, ჩემო ლელა. ეს ერთი არაბული ტახტი მაქვს და, მე მგონია დავეტევით-მეთქი.

ბებერი კი ხარ, მარა მაინც კაცი ხარ, რაც არ უნდა იყო და რავა ფიქრობ ახლა შენ, რაც უნდა გულმოსული ვიყო, ჩეუბის პირველ ღამეს პირველ შემხვედრ კაცთან ვულალატებ ქმარსო? კატეგორიულად მეუბნება.

რომელ ლალატზეა ლაპარაკი. მე ხვარ დამიპატიუებიხარ, ჩემო ლელა. ხვალ შვიდ საათზე ვარ ასადგომი და თუ არ გამევიძნე, იმნაირი სამუშაო მაქვს, ერთი ჩათვლემა და მთე-ლი ქალაქი უწყლოდ დარჩება-მეთქი. იმის პირობას ვერ მოგ-ცემ რომ შენ დაგაწვენ მარტო ტახტზე და მე სკამზე გავათენ-

ებ-მეთქი. თუ ხელს გაძლევს დევეტევით ორივე, ორი შენხელა წონის ქალებისთვის გოუძლია ამ ტახტს-მეთქი.

მაშინო, პირობა უნდა მომცე, რო ხელს არ მახლებო.

ბატონი ხარ-მეთქი.

შედი, ჯერ შენ იბანავე დე მერე მე შევალ. მრცხვენია, უცხო კაცთან, ხვარ გევიხდიო.

ვიბანავე და შევწექი.

კედლისკენ მიჩოჩდი და აქეთ არ გამეიხედო, შეგიძლია დეიძინოვო, მმართავს.

გახდის ჩეამი მესმის, მარა არ ვიხედები.

ხო შეიძლება, შენი შლოპანცები ჩევიცვა, სოკო ხომ არ გჭირს ფეხზეო.

არა-მეთქი, სუფთა პირსახოცი, მაგერ, კარადაშია. ზევით რომელიცხაა ლურჯზოლიანი, ის აიღე, საპონი აპაზანაშია-მეთქი.

კიდო კაი, შამპუნი არ მოუთხოვია.

სინათლე ჩააქრო და იმდენხანს იბანდა, რო თვლემა მომე-რია. კბილებით გამოვგლიჯე ძილს თავი.

დაწვა. მე კედლისკენ ვარ გადაბრუნებული. ჯერ თვითონაც ზურგშექცევით დაწვა და ტრაკი-ტრაკზე მომადო. მერე პირალ-მა ამობრუნდა. ბოლოს ჩემკენ შემოტრიალდა, ზურგშექცეულს ფეხი ფეხზე გადამადო და კეფის ქვეშ კისერზე მაკოცა.

გადმობრუნება რო დავაპირე, სასტიკად იუარა.

არა, არა, არავითარ შემთხვევაში, მასე იყავი, კედლისკენ, რავარც ხარო. უცოლო კაცი ხარ, ათას ადგილას ნაგდები და დამმართებ რაღაცასო. გაფიცებ, ვინც გეფიცება, არ გადმო-ბრუნდე, ასე გავთბები ცოტა ხანს შენს ზურგზე და დავიძინე-ბო. ისე რა კაი სუნი გაქვს, რო იცოდე ჯანმრთელი მამაკაცის სუნიო.

ნახევარი საათიც გოვუძელი ყურთან მის ცხელ სუნთქვას, მერე, რასაკვირველია, შევუტრიალდი. მთლიანად შიშველი რომ იყო, კედლისკენ შებრუნებულიც ვგრძნობდი.

ფეხები გაშალა და მკლავები ზევით ბალიშს, გარდიგარდ-  
მო გადააწყო.

ქვევით, ტახტის ბოლოსკენ ჩავიჩინე, გაშლილ ფეხ-  
ისწვერებთან შუაში მუხლმოკეცვით ჩოვუჯექი, ტერფებით  
კედელს მივეყრდენი, კოჭებსზემოთ წვივებზე მოვკიდე ორივე  
ხელი და ჩემქენ დავქაჩე.

„არა, არა... ჯერ არა.. მტკივა... გეხვეწები... გეხვეწები  
ჯერ არა.. ვაიმე... გავიჭყლიტე... რა მძიმე ყოფილხარ გული  
მაქვს ცუდად, ცოტა აინიე... სული მომათქმევინე, – გავბრტყ-  
ელდი ქალი...“ იმდენი კი ვუხათრე, რომ ორივე ხელზე ავინიე  
და თავმკერდის სიმძიმით არ დავაწექი, სხვა მხრივ დანდობა  
არც თვითონ უთხოვია მაინცდამაინც და მეც აღარ შემეძლო.

დილით მოხდა, რაც მოხდა:

ჩემს მკლავზე ჩაძინებული ექვსზე შევალვიძე.

არ გეწყინოს, ლელა, სამსახურში მაგვიანდება-მეთქი.

სა წევიდე ამ რიპირაბოზე, წადი შენ სამსახურში მე გამოვ-  
იძინებ და გავიკეტავ კარსო.

არ გეწყინოს და ვერ დაგტოვებ, თორმეტზე ჩემი მამიდა  
უნდა ჩამევიდეს ქვიტირიდან, მოხუცებული ქალია და რომ  
გნახოს, ეხამუშება-მეთქი.

ადგა, სწრაფად მოიწესრიგა თავი.

მერე მე შევედი აპაზანაში და რომ გამოვედი, ლელა რა-  
ღაცას ეძებს. ეძებს იატაკზე. მაგიდაზე, გადაქექა წიგნებიც,  
ამოაბრუნა ხელჩანთა და გადმოყარა, რაც ჰქონდა, სკამზე.

კა ახლა, ნუ მეხუმრები, მომე ჩემი კალიცოვო, თვალი  
თვალში გამიყარა.

რა კალიცო, შენ ხომ არ გაგიუდი-მეთქი.

შენს თვალწინ ხომ მოვიხსენი წუხელის ქორწინების ბე-  
ჭედი, აბა გაიხსენე კარგადო. სქელი კალიცო, ძველი ოქროსი,  
გაჩვენე კიდეცო.

აშკარად თვალთმაქცობს.

არავითარი ბეჭედი არ მახსოვს და არც მინახავს-მეთქი.

ჯერ იწუნუნა, ქორწინების ბეჭედი რო დავკარგო, ჩამო-  
მახრჩობს ჩემი ქმარიო. მერე მუქარაზე გადავიდა, გენდე ამხ-  
ელა კაცს ვინ ყოფილხარ შენო. ეს ხართ ქართველი მამაკაცე-  
ბიო. რუსი ამას არ იზამდაო. ახლავე გამიჩინე ბეჭედი, თვარა  
პატრულს დავუძახებ და ცალკე ბეჭედზე შეგიდგენ საქმეს და  
ცალკე გაუპატიურებაზეო.

ერიპა, ლელა არ ხუმრობს.

შარი მინდა, პატრული და პოლიცია მინდა ახლა მე?

არა და ხმას აუზია, სადაცაა კივილს ატეხავს.

რა ღირდა ე შენი ბეჭედი-მეთქი, გამშრალი ხმით ვეკითხე-  
ბი, იმის მერე, რაც ყველა კუთხე-კუნძულში ვძებნეთ და ვერ  
ვიპოვეთ.

მინიმუმ 250 ლარიო, რათ მინდა ფული, მე ჩემი ბეჭედი  
მინდაო.

შავი დღისთვის ორასი ლარი მქონდა გადანახული. ამო-  
ვიდე კარადიდან და გავუწოდე.

ორასის მეტი თავდალმა რომ დამკიდო, არ მაქვს-მეთქი. რატომ ხელები არ მომტყდა, კარი რომ გაგიღე-მეთქი.

ორასორმოცდაათს კაპიკი არ დააკლდებაო, არ მინდა არა  
ბეჭედს მაინც ვერ ვიშოვი. მოვიდეს პატრული და გაარკვიოს  
ჩვენს შორის ყველაფერიო.

ა გოგო, გამომართვი, საღამოს შვიდ საათზე მოდი, ვის-  
ესხებ ორმოცდაათ ლარს და დაგახვედრებ! დამაგვიანდა სამ-  
სახურში, ღმერთი არ გნამს-მეთქი? ვემუდარები,

გამომართვა, რავარც იქნა, და კარი გაიხურა.

მთელი დღე სამსახურში კრიჭა შეკრული მქონდა ცალკე  
სიბრაზისგან და ცალკე სირცხვილისგან.

არადა არ ჰგავდა ნამუსგარეცხილ ქალს.

ვნებიანი იყო, ალერსიანი... გაცვეთილი ქალები ალერსიან-  
ები არ არიან.

ორმოცდაათი ლარი ჩვენს ბუღალტერს ვესესხე და ველო-  
დები ლელას..

ზუსტად შვიდზე მოვიდა.

ცოტა დარცხვენილი ჩანდა, მაგრამ რაღაცნაირი ამაყირონიული იერით შემოაბიჯა.

დაჯდა იქ, სადაც გუშინ იჯდა. სულ ორი სკამი მაქვს. ერთი სასთუმალთან მიდგას და ტელეფონი მიდევს ზედ.

გახსნა ტყავის მოკლეთასმიანი ჩანთა, ფული ამოილო და მეუბნება:

—ბატონო სოსო, არ ხარ შენ ის კაცი, რომ ფული შეგაწეროს ადამიანმა. მთელი დღე ჭიანჭველები მივლიდა ტანში და ყურის შუილმა არ მომასვენაო. პირველად არ მიქნია ეს საქმე, მაგრამ შენ რაღაცნაირი, სხვანაირი კაცი ჩანხარ და ამ წუხანდელმა ღამემ და დღევანდელმა დღემ იმაშიც დამარწმუნა, რომ ჩემშიც ქე დარჩენილა ნამუსის ნატამალი და არ ვყოფილვარ მთლად ხელიდან წასული მეცო.

ა შენი ორასი ლარი და თუ ნებას მომცემ, ამაღამაც დავრჩები შენთან. ამაღამ მხოლოდ და უკანასკნელად. მეტსაღარ შეგაწუხებო.

მართლაც, მეტად აღარ მოსულა.

არც ქუჩაში შემხვედრია სადმე.

15 თებერვალი, 2006 წელი, თბილისი.



ორი საბავშვო ზღაპარი

## სიკეთის ქვები

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. სოფლად ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა.

შვილის შეძენის იმედი კარგა ხანია დაჰკარგოდათ, ბედს შეგუებოდნენ და მშვიდად ითვლიდნენ თავიანთი წილი წუთისოფლის დღეებს.

კვირაობით ბერიკაცი ქალაქს მიდიოდა.

კალათით ქვასანაყი მიჰქონდა, ჰყიდდა და იმით ირჩენდნენ თავსა.

იმხანად ბაზარში ქვასანაყს დიდი მაზანდა ჰქონდა.

ერთხელაც, ვნახოთ, კვირა დილით საბაზრედ გამზადებულ ბერიკაცის მეზობლის გლახა მოადგა.

გლახას ეძახდნენ სიღარიბისა და მარტოხელობის გამო, თორემ ისე, თვალ-ტანა არა უშავდა რა და მუშაობაშიც თუკი ხელს გამოიღებდა (რაც იშვიათად ხდებდა), წუნს ვერ დასდებდი.

მკის დროს თავის მწკრივს ყველაზე ადრე თუ არ გაიტანდა, არც სხვებს ჩამორჩებოდა.

გლახამ თან კარგა მოზრდილი, წაწვეტებული ქვა მოიტანა, კალათზე დაუდო ბერიკაცის და სთხოვა: მაინც ქალაქს მიდიხარ, რა გეხარჯება, აიღე ეს ჩემი ქვაცა, იქნებ, ვინმემ იყიდოსო.

სანამ კალათს მხარზე მოიგდებდა, ბერიკაცმა შეათვალიერა ქვა და უთხრა:

— შვილო, ვის რაში უნდა ამოდენა წაწვეტებული ქვა, ქვიჯაში ეგ არ ჩაეტევა და ქვასანაყად არ გამოდგება, ტყუილად უნდა მათრევინო, ვინ იყიდის ამასო.

— დამდე პატივი. ამ ერთხელ შეინუხე თავი. თუ არ გაიყიდება, ჯანიც გავარდნია. რა იცი, იქნებ მაგ ქვის მუშტარიც გამოჩინდესო, — შეევედრა გლახა.

ვერ უთხრა უარი ბერიკაცმა.

წაიღო ქალაქს გლახას ქვა.

ბაზარში დახლზე ქვასანაყები რომ დაალაგა, ის ქვაც გვერდით დაუდო, იქნებ მართლა გაიყიდოს და გლახას ერთი ორი კაპიკი ჩავუტანოო.

შუადლემდე ბერიკაცმა შვიდიოდე ქვასანაყი გაჰყიდა, გლახას ქვისკენ გახედვითაც არავის გაუხედავს.

შუადლისას ერთი ახმახი, ივრისპირელი გლეხი გამოჩნდა. ივრისპირელმა ქვასანაყს ზედაც არ შეხედა, სწორედ გლახას ქვას დაადგა თვალი.

— ეს რა არის, ძიაკაცო?

— უბრალო ქვა არი, შვილო. ჩვენს სოფელში ერთი გლახა ცხოვრობს. უსახსრო, ღარიბი კაცია, გამომატანა, იქნებ გაჰყიდო და ლუკმა-პური გამიჩინოვო.

— მართლა ეგრე უჭირს?—ჩაჰკითხა გლეხმა.

— უჭირს, შვილო, უჭირს.

— არ უთქვამს, ეგ ქვა ვის რაში გამაადგებაო?

— არ უთქვამს მგონი თვითონაც არ იცის. ქვასანაყად ეგ არ გამოდგება, დიდია და წვეტიანი, ამიტომაც დავდე განზე.

შეებრალა ივრისპირელ გლეხს ამ უხეირო ქვის პატრონი. ვინ იცის, როგორ უჭირს საწყალსო.

განა მე კი ქონი გადამდის ყურებზე, მაგრამ, მოდი, ვიყიდი ამ ქვასა.

მე თუმც ვერაფერში გამოვიყენებ, ეგეთი ქვები ოხრად ჰყრია ივრის პირას, მაგრამ იმას ხომ გავახარებ, გლახას ცოტა ხანს ხომ სულს ჩავუდგამ ამ ქვაში გადახდილი ფულითაო.

მისცა შვიდი კაპიკი იმ ქვაში გაოცებისაგან პირდაღებულ

მექვასანაყე ბერიკაცს ივრისპირელმა, ჩაიდო ცარიელ ხურჯინში და გასწია შინისაკენ.

აქ დავტოვოთ ბერიკაცი და ჩვენც იმ ახმას ივრისპირელს გავყვეთ.

განა საინტერესო არ არის, რას ეტყვის ჯალაბობა იმ წვეტიანი, უსარგებლო ქვით რომ მიადგება კარზე.

ივრისპირელს ერთი უჯიათი და გულქვა დედაკაცი ჰყავდა ცოლად.

როცა ქმარმა უამბო, ასე და ასე, მადლი ვჰქენ, გლახას ხელი დავუცალე და ლუკმა გავუჩინეო დედაკაცმა ქოში უკულმა ჰყარა:

— შე ოხერ-ტიალო, ჩვენ შიმშილით კუჭი გვიხმება. გადასაყრელი შვიდი კაპიკი სადა გვექონდა ჩვენაო.

აგრე უჭკუობით და უგერგილობით დააქციე ჩვენი ოჯახი შენაო.

ამოტოლა კაცმა იმდენი როგორ არ უნდა იცოდე, ვიღაც უსაქმურ გლახას თავი არ მოალორებინოვო.

ვაი, ჩემო სიმწრით ნაშოვნო შვიდო კაპიკოვო, — ზის დედაკაცი და მოთქვამს.

ივრისპირელს გული შეუწუხა ცოლის მოთქმამ.

ვერც იმ ნაყიდ ქვას მოუძებნა შინ ადგილი.

გაიტანა ივრის პირას და სიბ ქვებზე მოისროლა.

ჰოი, საკვირველებავ, გატყდა შვიდ კაპიკად ნაყიდი ქვა და რაღაცამ ყვითლად გაანათა იქაურობა.

მიირბინა გლეხმა და რას ჰერდავს.

აი, ჩემი მუშტისისხმი ოქროს ზოდი დებულიყო იმ წვეტიან ქვაში. სტაცა ხელი ოქროს ზოდსა და ჰერბობს:

ვინ იცის, იმ გლახას როგორ უჭირს, ჩემი შვიდი კაპიკი იმას ორ დღეს არ ეყოფა პურის ფულადა, ბერიკაცს გავატან ამ ოქროს ზოდს გლახასთან და მთელი ცხოვრება ვარხალალოს იძახებსო. მართალია, ქვა მე ვიყიდე და ოქროს

ზოდიც მე მეკუთვნის, მაგრამ განა იცოდა იმ გლახამ ოქროს ზოდი რომ იდო შიგა, თორემ შვიდ კაპიკად როგორ გაჰყიდდაო. ასე რომ ზოდი იმისია, მე კი, რაც არ მერგება, არ შემერგებაო.

მორბის ბაზარში და გზაში ფიქრობს: ვაითუ, ქვასანაყის ოსტატს სულმა წასძლიოს და ეს ოქრო პატრონს არც კი მიუტანოს.

მე თვითონ უნდა გავყვე სოფელში და პირადად ჩავაბარო ოქროს ზოდი მის კანონიერ მფლობელსო.

მექვასანაყე ბაზრის კარებში შემოხვდა, საქმე მოეთავებინა და შინ ღილინით მიიჩქარდა.

- ბერიკაცო, იმ გლახასთან უნდა მიმიყვანო!
- ეგა, შვილო, ისეთი კერპია, გაყიდულ ქვას უკან აღარ დაიბრუნებს, – შეშინდა ბერიკაცი.
- არა, ძიავ, ქვას უკან არ ვუბრუნებ, სხვა საქმე მაქვს.
- გაუკვირდა ბერიკაცს, სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ივრი-სპირელს ჩვენი სოფლის გლახასთანო, მაგრამ მაინც წაიყვანა და მიჰვარა.
- აი, შენი შვიდი კაპიკი, ამ კაცს კიდევა შენთან საქმე აქვსო.

გლახამ ათასი მადლობა უთხრა გარჯისთვის. მერე ივრი-სპირელს მიუბრუნდა:

- თუ ძმა ხარ, არ გამკილო, შინ ხმიადის ნატეხიც კი არ მაბადია, სტუმარი ღვთისაა, ხომ ხედავ, ღმერთმა შენდა სა-მასპინძლოდ ეს შვიდი კაპიკი გადმომიგდო. წავიდეთ დუქანში, როგორც გაგვწვდება ეს შვიდი კაპიკი, ისე წავიხემსოთ.

როცა ივრისპირელმა არც აცია, არც აცხელა და ოქროს ზოდი ხელში მიაჩერა, თანაც ხუმრობით უთხრა, – თავს ნუ იკატუნებ, შენზე მდიდარი ამ ახლომახლო კაცი არ მეგულებაო, გლახას ზაფრანის ფერი დაედო.

- მე პატიოსანი, ღარიბი კაცი ვარ, შენ არ მომიკვდე, მე

საერთო არა მქონდეს რა მაგ ოქროსთანა, – მოჰკიდებს ოქროს ხელს და კვლავ ჯიბეში ატენის სტუმარსა.

როცა ივრისპირელმა უამბო, რაც მოხდა, გლახა მით უფრო უარზე დადგა: ეგ ოქრო მე არ მეკუთვნის, შენი სიკეთისთვის შენ გაგიჩინა ღმერთმა და ღმერთმავე მშვიდობით მოგახმაროსო.

დიდი დავისა და აჯა-მუდარის შემდეგ გლახამ და ივრის-პირელმა სამად გახერხეს ოქროს ზოდი. ერთი ნაწილი ერთმა წაიღო, მეორე – მეორემ და მესამე კი მექვასანაყეს არგუნეს.

გაიყვეს ღვთის ბოძებული სიკეთე და დღემდე ბედნიერად ცხოვრობენ.



## ბომბორას ზღაპარი

ბომბორა პანაწინა, შავდრუნჩა, მსხვილთათება ლეკვი იყო, პაპა სერგოს რომ აჩუქეს.

ბუხარს არ შორდებოდა. ეზოში სასეირნოდ რომ გაიყვანდნენ, ტირილისმსგავს წკმუტუნს იწყებდა.

ყველაზე კარგად მაშინ გრძნობდა თავს, როცა აიყვანდნენ და პარტყუნა ყურებზე ხელს უსვმდნენ, ეფერებოდნენ.

ოთხი თვისაც არ იქნებოდა, ეზოში ურუნია ქათამს რომ გამოეკიდა.

ქათამმა, როგორც ჩანს, არათრად ჩააგდო, ფეხსაც არ მოუჩქარა.

ბომბორამ კარგად არც კი იცოდა, რისთვის გარბოდა ქათმისკენ, მაგრამ რომ მიუახლოვდა, თავი ვეღარ შეიკავა და დრუნჩით ქათმის ფაფუკ ბოლოს დაეჯახა.

ურუნიამ ერთი ამბავი ატეხა. მგონი, დასადებად გამზადებული კვერცხი გამიბზარა ამ უხეშმა ლეკვმა თავისი არგასახ-მობი დრუნჩითო.

ეს დღე იყო და ის დღე, ბომბორა დააბეს და აღარც აუშვიათ.

როცა კისერზე ყელსაბელი ძალიან მოუჭერდა, ახლით უცვლიდნენ.

იქვე ახლოს ხის ჯიხური დაუდგეს, რომელშიც არასოდეს შესულა.

ჯიხურის გვერდზე ორი რკინის ქოთანი იდო.

ერთში წყალს უსხამდნენ, მეორეში – სალაფავს.

გაიზარდა ბომბორა.

აზვავებულ, ოქროსფერ ნაგაზად იქცა.

პირველად ბელლისკენ გაქცეულ თაგვს დაუყეფა.

თაგვს კინაღამ გული გაუსკდა.

თვით ბომბორასაც გაუკვირდა, ეს რა ხმა ამომსკდა ყელი-დანო.

ამის მერე ხშირად ყეფდა.

უყეფდა ჭიშკართან ჩავლილ ცნობისმოყვარე გამვლელებს, უნაბის ძირში მთვლემარე ხატაურა კატას, რომელიც ხანდახან თითქოსდა ბომბორას გასაჯავრებლად, ბალახზე ზმორებით ამოკოტრიალდებოდა. ცალი თვალი კი ყეფით დალლილი ბომ-ბორასკენ ეჭირა, თუმცა კარგად ხედავდა, რომ ნაგაზი მსხ-ვილი უღრიალა ჯაჭვით იყო დაბმული.

უყეფდა უდროო დროოს აყივლებულ მამალს, მისი თანამოძმეუბის შორიდან მოვარდნილ ყეფის ექოს, ლობეზე გამწკრივებულ, აბეზარ ჩიტებს და ზოგჯერ მთვარესაც კი.

დღისით წინა თათებს შორის მიწაზე დრუნჩდაყრდნობილს ეძინა.

თავს მხოლოდ მაშინ ასწევდა, როცა პაპა სერგო ჯამში სალაფავს ჩაუცლიდა და მისებურად, ჩახრინწული ხმით შეეხ-მიანებოდა:

– რაო, ბომბორა, ხომ არ მოგწყინდა?

როგორ არ მოწყინდა ბომბორას.

ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა ხდებოდა ამ რკინისგისოსე-ბიანი ღობის მიღმა, საით მიიჩქარ-მოიჩქაროდნენ ადამიანები, რატომ ებურა რძისფერი ნისლი დილდილობით ბუხრების ზე-მოთ მწვანედ ამოქორილ ტყეს, რომელსაც ბომბორა მხოლოდ მაშინ ხედავდა, როცა წინა თათებს ჯიხურს დააყრდნობდა და ღობეში მზრერას გააძვრენდა.

ვერაფრით აეხსნა, რა დააშავა, რატომ იყო დაბმული მაშინ, როცა ქურდბაცაცა კატა თავისუფლად კატური სიმსუბუქე-არხ-ეინობით დააბიჯებდა სახურავზე და ჩიტები, ეს სულელი ცანკარხ-ტუნია ჩიტუნები, როცა მოისურვებდნენ, ხეთა კენწეროებს ზემო-დან მოექცეოდნენ, წრეს დაარტყამდნენ ცის კამარას და ნამში მაღ-ლა აგდებული კენჭებივით დააცხრებოდნენ ეზოს კუთხეში მიყრილ ქვიშას ბომბორას გულზე გასახეთქად, საბუმბლავ-საფრთხიალოდ.

კატის უტიფრომდე მისული გულგრილობა-ფეხზემკიდიობა აუტანელი რომ ხდებოდა, ბომბორა დაიგრვინ-დაიქუხებდა, ერთი ნახტომით გავარდებოდა ხატაურასკენ, მაგრამ ჯაჭვი, ეს დასაწვავი ჯაჭვი, ისე ღონივრად დაქაჩავდა, თითქოს კისრის ძარღვები დააგლიჯესო.

ბომბორა თავს რკინის ბოლოსკენ მიღრიჯავდა და სიბრაზისგან სუნთქვაშეკრული კარგა ხანს ქმინავდა ბედგამწყრალ-ამღვრეული.

ერთხელ, ნაწვიმარზე ბომბორამ მისებურად, თავგანწირულად რომ გაინია კატისკენ, სველ მიწაში ჩარჭობილი პალო წაფერდდა და ჯაჭვის ბოლო გადაძროა.

კატამ წამის მეათასედში იგრძნო საშიშროება და თუთის ხეზე ავარდა. ბომბორა ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, რატომ მიუშვეს ღობესთან ასე ახლოს.

ეზოს ელვისინრაფით შემოურბინ-შემოუშლიგინა, მერე მესერსა და ჭიშკარს შუა ღრიჭო იპოვა და ქუჩაში აღმოჩნდა. უკან არ მოუხედავს.

ცოტა ხანს არხისპირს გაჰყვა, ბოგირქვეშ გაძვრა და ტყისკენ აიღო გეზი.

ხანდახან შიშით მოხედავდა ჯაჭვს, რომელიც ერთგულად მისთრევდა.

ჯაჭვის უღრიალ-ხრიალზე ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც მოსდევსო, შეუღრენდა თავისივე „რკინის კუდს“ და ე მანდ არ დამეწიოსო, ფეხს მოუჩარებდა.

კარგა ხანს ირბინა.

ბოლოს დაიღალა და მოშივდა კიდეც, მაგრამ შინ დაბრუნებაზე არც უფიქრია.

ისე მობეზრებოდა ერთფეროვნება, გისოსებიანი ღობე, ვინრო ჯიხური და მეტიჩარა კატა, რომ მზად იყო ქვეყნის კიდემდე ერბინა, ოღონდ უკან არ დაბრუნებულიყო.

ღამდებოდა, როცა ტყის ნაპირას პატარა, ალიზით შელესილ ქოხს მოჰკრა თვალი და იქეთკენ გაეშურა.

ქოხის სიახლოვეს ძროხები იწვნენ და იცოხნებოდნენ.

ბომბორა რომ დაინახეს, ძროხებს თვალები გაუფართოვდათ და ნესტოებიდან კვამლისფერი ორთქლის გამოშვებას მოუხშირეს.

რამდენიმე ძროხა კი დაუპატიჟებელი სტუმრის უდროო დროს მოსვლით შეშფოთებული ფეხზე წამოდგა.

ძროხებმა ბომბორას რქები დაუმიზნეს და თავები გააქნ-გამოაქნიეს.

ამით აგრძნობინეს, გულში ცუდი რამ თუ გიდევს, გირჩევთ ხელი აიღო, ამ რქებთან ხუმრობა არ გამოვაო.

ბომბორამ ძროხებს ყურადღება არ მიაქცია ქოხთან მივიდა და ორჯერ ისე ხმადაბლა შეჰყეფა, რომ მხოლოდ ქოხში მყოფთ გაეგონათ, ხოლო ძროხებს გული არ გაჰქიმდათ.

გამოვიდა ტყავის ქურთუკიანი. ცოცხულვაშა კაცი.

— ოჟო, შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მასპინძელმა..

— ბომბორა, — მიუგო ბომბორამ.

— აქ რა გინდა? ჯაჭვიც მოგყვება, ისე, მოვლილიც ჩანხარ.

— რა მოვლილი, დღედაღამ დაბმული ვყავდით, — ჩაიყეფ-ჩაილაპარაკა ბომბორამ, — ველარ ავიტანე და გამოვიქცი.

— ქალო! — ქოხის კარებს შესძახა ქურთუკიანმა, — პურის ნაჭერი გამაიტა, ჩვენი ძროხების მწყემსი თავისი ფეხით მოგვადგა.

ქალმა ჯერ გამოიხედა, „უი რა ლამაზიაო“, დაიძახა, შებრუნდა პურის კარგა მოზრდილი ნაჭერი გამოიტანა და გადაუგდო.

ბომბორამ პური დაჰჰყნოსა და თავისი ფაფუკი, ლამაზი კუდი უფრო გააქიცინა, ისე რომ მასპინძლებისთვის თვალი არ მოუცილებია.

— ოჟო, ცარიელა პურს არა სჭამ? გეტყობა ძალიან განებივრებდნენ, შეჭამ, შეჭამ, როცა ძალიან მოგშივდება, აბა ქალო, შენ მანდედან მოუარე, ჯაჭვის ბოლო აიღე და მაგრა

გეჭიროს, ლომს გამოვიტან და ჩავასობ. აქვე, ძროხებთან ახლოს დავაბათ.

— პატრონი?! — ეჭვნარევად იკითხა ქალმა.

— ხომ ხედავ, სახლიდან გამოქცეულა. თუ ორ დღეში პატრონი გამოუჩინდა, დავუბრუნოთ, თუ არა და მერე საძოვრებზე წავიყვან.

ბომბორამ სიტყვები ვერ გაარჩია, რაკილა ცოცხულვაშა დუდლუნით და ჩქარჩქარა ლაპარაკობდა, მაგრამ მიხვდა, რომ კარგს არაფერს უპირებდნენ.

ჯერ უკანსვლით წავიდა ჭიკრისაკენ, ჯაჭვთან დახრილ დიასახლისს შეულრინა, მერე ერთბაშად შებრუნდა და კუდამოძუებულმა ტყეს მისცა თავი.

ტყეში ცივი, იდუმალი სიჩუმე იდგა.

ხეების ქვეშ წავიდულებსა და ხავს-ბალახზე ლამე ჩანოლილიყო მალლა კი ტოტებს შორის, სიცივისაგან გალეული მთვარე მოჩანდა.

ბომბორამ ბევრი ირბინა ტყეში.

ხან ციცინათელებს დაედევნა, ხან უდროო დროს შეღვიძებული ჩხიკვის ჩხავილმა გაიტყუა, მერე უკან დაბრუნება სცადა, ხან იქეთ მიაწყდა, ხან აქეთ, მაგრამ გზა ვერ გამოიგნო.

რუს წაპირას ზღარბს გადააწყდა.

ზღარბი უკანა ფეხებზე დამჯდარიყო და მწარედ ტიროდა.

რა გაგჭირვებიაო, ჰკითხა ბომბორამ.

მეტი რაღა უნდა გამიჭირდეს, გარენარმა ტურამ ერთად-ერთი შვილი მომტაცაო, მოთქმით მიუგო დედა-ზღარბმა.

კი მაგრამ შენი შვილი უეკლო ხომ არ იქნებოდაო, — რა-ნაირად ჩავლო ტურამ პირიო. — გაიკვირვა ბომბორამ, როცა ზღარბს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი.

— პატარა იყო, ორი თვის. ეკლები ჯერ არ მომაგრებოდა, მეც იქვე, წყლის მოსატანად ჩავედი, მე სასიკვდილე, თორემ ცოცხალი თავით არ დავანებებდი... ჩემი შვილი... ჩემი ზღარბუნა, მოგიკვდეს დედა, ვინ იცის, რა დღეში ხარ... გუ-

ლამომჯდარი სლუკუნებდა ზღარბი და ქვითინისგან ეკლები უცახცახებდა. ბომბორა სულით ხორცამდე ააფორიაქა დედა-ზღარბის საცოდაობამ, წავიდეთ, ვეძებოთ, იქნებ გიშველოო, დააიმედა.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ქურდბაცაცა ტურას წაკვალევსაც ვერ მიაგნეს.

ის იყო დაბრუნებას აპირებდნენ, რომ წინვიანში ფაჩუნ-ფხაკუნი მოესმათ.

ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ და მთვარის შუქზე კარგად გაარჩიეს ტურა, რომელიც რაღაც შავ საგანს მოლზე ათა-მაშებდა.

ააგდებდა პირით დაიჭერდა, განზე მოისროდა, მერე ორივე ფეხებით დააცხრებოდა, წაიბურთავებდა, ისევ მაღლა აისროდა და „შავი ბურთი“ ძირს დაცემის დროს წაიკვნეს-წაიკრუსუნებდა, ტურა წამით გაქვავდებოდა და სიჩუმეს მიაყურადებდა.

— ის არის, ჩემი შვილია! — აცახცახდა დედა-ზღარბი და გაინია, მაგრამ ბომბორამ არ გაუშვა.

— შენ აქ დამელოდე, ახლა მე ვიცი, — თქვა ეს და ბომბორა მთვარის მოლზე შევარდა, შევარდა და ისე დაიქუხ-დაიყეფა, რომ ყალყზე შემდგარმა ტურამ „მიშველეთო!“ დაიკივლა, სხვა ველარაფერი მოასწრო, ტყვე-ნადავლისკენ არც გაუხედავს, ლელიანში გადახტა და გაუჩინარდა.

ბომბორა ეკლიან „შავ ბურთს“ ეცა, თბილი ჰაერი შეაფრქვია, დაყნოსა, დაუყვავა, ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარო, უჩურჩულა, მაგრამ სანამ საფარიდან დედა-ზღარბი არ გამოვიდა და შვილს სიხარულის ცრემლებით არ მიუსალბუნა, ზღარბუნამ თავისი პანაზინა დრუნჩ-პირი არ გამოაჩინა.

მერე კი გული ამოუჯდა და დედიკოსთან ერთად თვითონაც ატირდა.

— იცი, დედიკო, შიშისაგან სული მელეოდა, მაგრამ მაინც მარჯვედ ვიყავი. ეკლის კაბაში ისე შევძერი და მოვიმუშტე,

რომ საზიზლარმა ტურამ პირი ვერ დამაკარა. ეგ იყო მხოლოდ მაღლა რომ მისროდა და მაბურთავებდა, თავბრუ მეხვეოდა.

ბომბორამ დედა-შვილი სორომდე მიაცილა, რომ გვიან ლამით ტყეში ხიფათს რასმე კიდევ არ წაწყდომოდნენ.

ზღურბლთან დაემშვიდობა, თუმც თვითონაც კარგად არ იცოდა, საით წასულიყო.

ახლა იგრძნო, რომ საკმაოდ დაღლილი იყო და პაპა სერგოს ხელების სუნიც მონატრებოდა.

დედა-ზღარბი წინ გადაუდგა; ჩვენს მხსნელს ჩვენს გადამ-რჩენელს უვახშმოდ როგორ გაგიშვებო.

სუფრა იფნის ძირას, სოროსთან ახლოს, ხავსიან ლოდზე გაშალეს.

ის იყო დედმამიშვილების სადღეგრძელო უნდა დაელიათ, რომ ტყეში შტოების ლანალუნი და ბრდლვინვა-გრიალი გაისმა,

თვალის დახამხამებაში კბილთა ღრჭიალი და ქშინვა თითქოს ციდან ჩამოშვავდაო, თავზე უშველებელი ჩრდილი გადახტათ.

თავის აწევა ვერ მოასწრეს ახლა მეორე ჩრდილმა გადაუ-არათ და კივილიც ჩაესმათ.

— საით, შე ბანდიტო! არიქა! მიშველეთ!

— არჩვის ხმაა. ეტყობა მგელი დაეცა, — აცახცახდა ზღარბი, — არჩვები მაღლა კლდეებზე ცხოვრობენ, მაგრამ იქ რომ თოვლს დასდებს ქვევით ჩამოდიან საძოვარზე.

ბომბორა კბოდეს მიადგა და გადაიხდა.

ქვემოთ ველზე ორი გრძელი ჩრდილი გარბოდა.

წინას ზურგზე გუდურასმსგავსი კუზი უჩანდა.

მოფიქრების დრო არ იყო. ღელეს ორი ნახტომით გადაე-ვლო და გზა მოუჭრა.

ლოდს ამოეფარა და როგორც კი მგელი გაუსწორდა, გამოუხტა, მაგრამ კბილის ჩავლება ვერ მოასწრო.

— ვერ წამიხვალ! — ყეფით დაადევნა და გამოუდგა.

სერი ჩაირბინეს, მგელს თავდალმართზე სირბილი უჭირდა. ბომბორამ მთვარის შუქს თვალი შეაჩინა. ახლა ძნელი გას-არჩევი როდი იყო, რომ მგელს ზურგზე არჩვის ნუკრი მოეგდო და გულშელონებული ნუკრის წინა თათები კბილებით ეჭირა.

მგელსა და ძალლს შორის მანძილი თანდათან მოკლდებოდა.

მგელმა იაზრა, საცაა მომწვდებიანო, ნუკრს პირი უშვა და ლაქაშებს გადაევლო.

ბომბორამაც აიწია გადასახტომად, მაგრამ უეცრად ჯაჭვ-მა ისე ღონივრად დაქაჩა, ეგონა, თავი კისერზე აღარ შერჩებოდა. წინა ფეხებზე დაეცა და შემოტრიალდა.

ჯაჭვის ბოლო ორ გამხმარ ფესვს გამოდებოდა და გაჭედილიყო. ხან წინ გაიწია ბომბორამ, ხან უკან, მარჯვნივ და მარცხნივაც მიაწვა, მაგრამ რაც უფრო ქაჩავდა ჯაჭვი უფრო ღრმად ეჭდობოდა ფესვებს და იჭედებოდა.

არჩვი თავის ნუკრს მივარდა და მოასულიერა.

— სადა ვარ? — იკითხა ნუკრმა — თავი რატომ მიბრუის და წინა თათები რატომ მტკივა?

— შვილო, მგელმა მოგიტაცა და ის ძალლი რომ არ მოგვშველებოდა, დავიღუპებოდით, — ჩლიქით ბომბორასკენ ანიშნა არჩვმა.

— ვამე, მეშინია, ეგეც მგელია! — ნუკრი დედის მკერდს მიეყრდნო.

— არა შვილო, ეგ ძალლია. ჩვენ არას გვერჩის. ბალახ-ისმძოველ ცხოველებს ხშირად მგლისგან იცავს.

ბუჩქებიდან ტურამ გამოყო თავი, ბომბორა ამ დღეში რომ დაინახა, ნიშნისმოგებით გაიღიმა და გაუჩინარდა.

არჩვმა ტურა შენიშნა და მიხვდა, რომ იგი საკაიკაცოდ როდი გარბოდა ტყის შუაგულისკენ.

მალე ზღარბი და ზღარბუნაც მოახლოვდნენ.

ბევრი უჩხიკინეს ფესვებს შორის გახლართულ ჯაჭვის ბოლოს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს.

ბომბორა ადგილზე ტრიალებდა. უნებურად დატყვევებული სასონარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, პირიქით მეგობრებზე ზრუნავდა.

– ნადით, ახლა აქ ყოფნა საშიშია. რაკი ტურამ იცის რომ დაბმული ვარ, არ მოისვენებს. მარტო ვერ გაბედავს ჩემთან შებმას. უსათუოდ მგელს მოიყვანს, თქვენ თავს უშველეთ... ვეცდები გავუმკლავდე... თუ მომერივნენ, ერთ რამეს გთხოვთ გერგეტის ტაძარში სანთელი ამინთეთ და ჩემი სული ღმერთს შეავედრეთ.

ამ სიტყვებს ბომბორა ცრემლგამშრალი ამბობდა. იგი მზად იყო ტყის მეკობრე-მტაცებლებთან შესარკინებლად, მაგრამ გულში მაინც სწყევლიდა ამ ჯაჭვის მომგონ-გამომჭედელს.

\* \* \*

თქვენ როგორ ფიქრობთ, წავიდოდნენ, გაეცლებოდნენ ბომბორასგან გადარჩენილები? მიატოვებდნენ განსაცდელში ჩავარდნილს?

თქვენც არ მომიკვდეთ.

რაღაც უნდა მოვიფიქროთ, ანრიალდნენ დედანულნი.

იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს.

გათენებას ბევრი აღარაფერი უკლდა, მთვარეს ნელ-ნელა ფერი ეკარგებოდა, ხოლო მიკიოტები ხევებს უფრო ხშირს ჩაჰატიოდნენ, როცა ტურამ და მგელმა ამოიაღმართეს. შურისძიებადქცეული მგელი თავდაჯერებით მოძუნდულებდა, ტურა კი ახლომახლო კენგურუსავით მოხტოდა და ღოჯებიან დოსტაქარს ბომბორასკენ უჩვენებდა.

მოახლოვდნენ მტრები თუ არა, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო რქაბასრი მამალი არჩები წამოიმართნენ და ბომბორას წინ საბრძოლო მზადყოფნაში გამწკრივდნენ.

მგელი ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ ტურასთან იხტიბარი არ გაიტეხა.

კბილები დაერიჭა და შეტევისთვის მოემზადა.

– არჩევები არიან, შენს დანახვაზე კურდღლებივით დაფრთხებიან, მიდი! – გაამხნევა ტურამ თვითონ კი ყოველ შემთხვევისათვის განზე გაიხედა და ბუჩქებში გასაძვრომ-გასახტომი მოინიშნა.

ტყის ყაჩაღებს მთავარი განსაცდელი თურმე, წინ ედოთ.

მგელი საომარ ადგილს ხუთიოდე ნაპიჯზე რომ მიუახლოვდა, აინია და გადახტა, იფიქრა არჩევების ალყას ნახტომით უფრო გავარღვევო, მაგრამ დახტომისთანავე თათებქვეშ საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს ათასი სადგისით ერთბაშად უჩხვლიტესო. ჩანს ეკლებს დავახტიო, გაიფიქრა მგელმა და მარჯვნივ გადაინაცვლა, ამჯერად უფრო მეტი ეკალი შეერჭო, თითქოს თათებზე ცეცხლი წაუკიდესო.

შორიდან სასაცილო სანახავი იყო.

იქეთ-აქეთ აწყდებოდნენ, ცირკის ზამბარაზე რომ კლოუნები ხტუნავენ ისე ხტოდნენ მგელი და ტურა, ხტოდნენ და თან ცივი ხმით გაჰკიოდნენ.

ბომბორას ირგვლივ მიწასგაკრული ზღარბები სიცილს ვერ იკავებდნენ და მათს ზურგებზე ტურა-მგლის დავლურს შიგა და შიგ ტაშს აყოლებდნენ.

გამხმარი ცაცხვის გარშემო მუზარადიანი მცველებივით მდუმარედ იდგნენ მამალი არჩები და ყოველ წამს მზად იყვნენ ხმლებივით რქები მომზვდურთა თავ-კისერზე დაეტრიალებინათ.

ბომბორა ომახიანი ყეფით იქეთ-აქეთ აწყდებოდა და შიგა-დაშიგ ფეხებდაწყლულებული მტაცებლების კორდებალეტის ცქერით ტკბებოდა.

ჩვენი პატარა, მაგრამ ჭკვიანი მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ დიდი ომი არ შედგა.

მგელი და ტურა სამარცხვინოდ უკუიქცნენ და კისრისტებით ჩაირბინეს სერი.

მირბოდნენ და დაჩხვლეტილი თათებით ბალახზე სისხლის ცვარ-წვეთებს ტოვებდნენ.

ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოხდა.

როგორ წრმოიდგენდნენ, რომ უთვალავი ზღარბის „მინდორზე“ შეიტყუეს ბომბორას მეგობრებმა.

... ახლა კი დროა თქვენც დაგასვენოთ, ბავშვებო, ტყის ბინადარნიც ტყეს შევატოვოთ და გითხრათ სიმართლე, მეც დავიღალე.

პატარა ხომ აღარა ვარ.

ჩვენი ზღაპარიც ისე მშვიდობიანად მთავრდება, როგორც სხვა კეთილი ზღაპრები.

მზის ამოსვლამდე ფეხი არ მოუცვლიათ ზღარბებს და არ-ჩვებს.

ვაითუ ტურა-მგელი მობრუნდნენო, თვალმოუხუჭავნი და-რაჯობდნენ ბომბორას.

მზე ჯერ კიდევ მხოლოდ ხის კენწეროებს ანათებდა, როცა ტყეში შაშვის შემფრთებულ ჭახჭახს ადამიანთა შორეული ექმოჰყა.

– ბომბორა! ბომბორა!

– ბომბორ! ბომბორ!

ხმა თანდათან ახლოვდებოდა.

ბომბორამ ჯერ ყურები სცქვიტა, მერე ჰაერი ფლუკუნ-წკმუტუნით მოჰყნოსა და ყეფა ასტეხა.

ხეობას ხელჯოხიანი კაცი რომ ამოჰყვა, მეგობრებს იქ უკვე აღარ ესაქმებოდათ, სათითაოდ გადაკოცნეს ბომბორა და ტყეს შეერივნენ თავიანთი ხიფათიანი, მაგრამ თავისუფა-ლი ცხოვრების გასაგრძელებლად.

პაპა სერგომ გულში ჩაიკრა ბომბორა.

გახარებული ძალი დიდ წითელ ცხვირს ულოკავდა პა-ტრონს და ცრემლი დრუნჩზე ესკვნებოდა; თურმე როგორ მყვარებია ჩემი ბებერი პატრონი და არ ვიცოდიო.

...იმ დღეს ქალაქში პაპა სერგოს მეზობელმა ჩამომაკითხა და ბომბორას ამბავი რომ ვკითხე, სხვათა შორის მითხრა: იმ დღის შემდეგ ბომბორა აღარ დაუბამთ, ეზოშია გაშვებული

კისერზე ვერცხლისფერი მედალიონი ჰკიდია, დღისით ჯიხურის წინ ქეჩაზე წევს და ტყის სიზმარს ნახულობს, ღამით კი პატრონის ეზო-კარს ფხიზლად დარაჯობს.

ქათმები? ეგ რაღა სალაპარაკოა. რასაკირველია ქათმებს აღარ უყეფს.

მედალოსანი ძალია, ქათმებს თავს გაუყადრებს?



## ტერენტი გრანელი

### პირველი სურათი

სცენა ჩაბნელებულია.

ისმის სევდიანი მუსიკა.

სცენის შუაში, შემაღლებულზე მდგომი ტერენტის სახეს, თითქოს ნეგატივი მუდავნდებაო, ნელ-ნელა ემატება სინათლე.

მის წინ მიმოზებივით თავდახრილი ქალიშვილები დგანან.

სინათლეში ნელ-ნელა ჩნდება, რომ გოგონებს ხელში წი- თელი მიხაკები უჭირავთ.

ეს მიხაკები პოეტ ტერენტი გრანელს ეკუთვნის.

იგი საშუალოზე მაღალია. ბეჭებში მოხრილი. გრძელი ყავ- ისფერი პალტო აცვია. თეთრი შარვალი. პალტო შიშველ მხრე- ბზე მოუსხამს, ყელთან მოლურჯო გრძელი კაშნე შემოუხვე- ვია. თმანვეროსანია, ასე 22-23 წლის.

იგი, თითქოსდა, ლექსებს კითხულობს და ქაღალდს იატ- აკზე ჰერის.

მის ირგვლივ ქალიშვილები მოძრაობენ, იატაკზე დაცვე- ნილ ლექსებს ჰერებენ და ზოგი გულში იხუტებს, ზოგი ფრთხ- ილად ინახავს უბეში.

პოეტი ავანსცენისკენ მოიწევს ქრისტესავით ხელებ- გაშლილი.

მისი ხელები იქეთ-აქეთ ქალიშვილებს უჭირავთ. მათ შო- რის მარო მაყაშვილიცაა.

პოეტის გრძნეულ ხელებს, როგორ დირიჟორის მოძრაო- ბას, ისე დაჰყუცებიან ქალიშვილები.

იგრძნობა, რომ პოეტი უყვართ.

ფარვანასავით დასტრიალებენ.

1921 წელია. საქართველო დამოუკიდებელია.

უეცრად პოეტისა და ქალიშვილების იდილიურ ურთიერ- თობას დელგმა, გრგვინვა-გრიალი, ჭექა-ქუხილი (სროლის სმაში გადასული) არღვევს. ქალიშვილები გარბი-გამორბიან.

სცენაზე ოციანი წლების ტანსაცმლიანი ქალები, კაცები მიდი-მოდიან ზოგი ქოლგით, ზოგი ხელჯოხით.

გარბიან...

უბედურების მომასწავებელი მუსიკა ისმის.

### მეორე სურათი

დელგმა... სროლა... კბილთა ღრწიალი...

სიბნელეში წითელი და შავი ფერები ერთმანეთში ირევა.

იგრძნობა. რომ უცხო ძალა შემოიჭრა. საშინელება ხდება.

ეს იუნკერები იპრძვიან კოჯორთან საქართველოს თავისუ- ფლებისათვის.

მრისხანე ხმაური ნელ-ნელა სუსტდება.

ნელ-ნელა, რიგ-რიგობით ეცემიან იუნკერები სცენაზე.

ცისფრად ნათდება.

თეთრ-წითელში (სისხლიანი თოვლი) ქართველი თავდადე- ბული იუნკერები ჩანან დალუპულები.

შემოდის 18 წლის მარო მაყაშვილი. მხარზე ჩანთაგადა- კიდებული, მშვენიერი გოგონა.

მკვდრებსა და დაჭრილებს შორის დადის იგი.

შეძრწუნებული, თავგანწირული მარო მაყაშვილი – მე- ბრძოლთა უსათნოესი და... ზოგს ჭრილობას უხვევს, ზოგს მკერდზე ადებს თავს. ზოგის მარჯვენას მაღლა წევს და სა- სოწარკვეთილი ძირს უშვებს.

დაფარფატებს თეთრი გედივით მკვდრებსა და დაჭრილებს შორის და...

უეცრად სროლა გაისმა.

მტრის ტყვიამ განგმირა მარო მაყაშვილი.

იგი თავის მებრძოლ იუნკერ ძმებს გვერდით მიუწვა.  
სამგლოვიარო ზარი.

ქარი ანგრევს ყველაფერს.

აფრიალებს იუნკერთა დროშებს და მოსასხამებს, მარო მა-  
ყაშვილის კულულებს.

და სცენის სიღრმიდან შემოდის ტერენტი გრანელი.

ჯერ გაოცება; მერე შეძრნუნება იხატება მის სახეზე.

აი, რა უყვეს ჯალათებმა დამოუკიდებელ საქართველოს.

მოდის, ხელებს ვერხვის ტოტებივით აცახცახებს.

ხან სახეზე იფარებს, ხან ყელთან მიაქვს და უეცრად საყ-  
ლო გაიგლივა, პალტო თითქოს მკერდზე გადაიხია.

მარო მაყაშვილს ჰკიდა თვალი.

დაიჩიქა. რაღაცას ბუტბუტებს.

კულული გაუსწორა მკვდარს.

უბიდან ის მიხაკი ამოილო, რომელიც გუშინ სხვა ქალიშ-  
ვილებთან ერთად მარომაც უსახსოვრა.

გულზე დაადო მიხაკი საქართველოსთვის ზვარაკად  
შენირულ თეთრ გედს – მარო მაყაშვილს.

მერე ხელში ნაზად აიყვანა.

შემობრუნდა და...

მრისხანე ნაბიჯების ხმა.

მისკენ მოემართებიან კონუსისქუდიანი, წითელვარსკვლა-  
ვიანი ჯალათები.

შუაში ჩაიყენეს.

ტერენტი მარო მაყაშვილის გაცივებული სხეულით ხელში  
დააპატიმრეს.

## მესამე სურათი

სასაფლაო.

შავი საფლავები. ზოგან ჯვარი, ზოგან უბრალოდ საფლა-  
ვის ბორცვი.

უკან ცისფრად განათებული სივრცე.  
ტერენტი გრანელი სასაფლაოზე დაეხეტება.  
სასაფლაო მისი სახლია.

აქ ათენებს და აღამებს.

იგი შეშლილია. წვერგაბურძგნული, უფრო გამხდარი და  
გაუბედურებული.

სასაფლაოზე ხან ტკივილიანი გარინდება.

ხან ქვითინისმაგვარი მუსიკა.

უიმედობა, სიკვდილი გამეფებული ირგვლივ.

ტერენტი ხან ერთ საფლავთან ჩამოჯდება, ხან – მეორეს-  
თან.

თვალზე ცრემლი უბრნყინავს.

ტანსაცმელი თითქმის შემოსძარცვია.

ჯიბიდან ბოთლს იღებს. ისხამს არაყს. ცოტას მოსვამს და  
ჭიქას ბოთლიანად საფლავზე ტოვებს.

ძენის ტოტებივით ირხევა უკან მირაჟულ მოცეკვავეთა  
შავოსანი ქორო.

(აქ ამირან შალიკაშვილმა უკეთ იცის სასაფლაოზე ტერენ-  
ტი გრანელის სულის მოძრაობა, მკვდრებთან მისი სიახლოვე  
როგორ უნდა გამოხატოს).

ბნელდება. ჭექა-ქუხილი. ისევ ოდნავ ინათებს.

ტერენტი ერთ-ერთ შემაღლებული საფლავის ახლოს  
თითქოსდა ლექს კითხულობს.

ხან გაფრენას ლამობს, ხან მოწყვეტით ჩამოუცვიდება  
ხელები.

და ხდება საოცრება:

საფლავებიდან ნელ-ნელა ამოჰყვეს მკვდრებმა ხელები.

თითქოს ენძელები ამოვიდნენო მიწიდან.

რა არის ეს? მკვდრები მადლობას ეუბნებიან ლექსებისათ-  
ვის?

თუ შველას ითხოვენ დამარცხებული, დაჩოქებული საქა-  
რთველოს მიცვალებულნი?

ისევ ქარი.

ისევ გრიგალისებური მუსიკა.

და ტერენტი, შეშლილი ტერენტი, ირხევა, იკეცება, ლამის  
წელში გადატყდეს ქარიშხალში მოყოლილი კიპარისივით.

## მეოთხე სურათი

ტერენტი ისევ შეშლილია. ახლა მხოლოდ 35 წლის არის,  
მაგრამ თითქმის მობერებულა.

თავდახრილი, მწუხარე, შავოსანი ქართველები თითქმის  
ყურადღებას აღარ აქცევენ, თავიანთ საქმეებზე მიიჩქარიან.  
რა მოხდა?

რატომ გაუგულგრილდა ქვეყანა ასე პოეტს?

წითელი რუსეთისგან დამონებულ საქართველოს აღარ  
„ცხელა“ პოეზიისთვის.

ტერენტი-შეშლილი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელ შემოხეული  
პოეტი ხარხარით სცენის ხან ერთ კუთხეში გამოჩნდება, ხან  
მეორეში.

ადამიანები გაურბიან.

ჯიბიდან მიხაკს ამოიღებს.

უნდა აჩუქოს ხან ერთს, ხან მეორე გამვლელს.

არავინ ართმევს პოეტს გამოწვდილ მიხაკს.

ისევ გიუის სიცილი, ისევ სასოწარკვეთა.

„ო, დედამიწავ, უფრო მაშინებ,

როცა ფიქრებით ზეცას მოვიარ,

წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,

მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.

... და უეცრად გაქვავდება.

თითქოს რაღაც მოიფიქრაო, რათა ამ შემკრთალი ბრძოს  
ყურადღება მიიპყროს.

სამრეკლოზე ადის და რეკავს ზარებს.

რეკავს, რეკავს, რეკავს... ქანცგანყვეტამდე.

რეკვაზე თითქოს ნახირი შედგაო, ნელა გროვდებიან სამ-  
რეკლოსთან, პოეტის ირგვლივ.

ნელა ირხევიან, მოძრაობები ადამიანები.

თითქოსდა ისევ მოვიდა პოეზია მათთან, ისევ გაიგეს  
გრძნეული სიტყვის და გრძნეული კაცის ფასი.

ამ დროს ისევ მრისხანე ნაბიჯების ხმა.

შემოდიან კონუსისქუდიანი, წითელვარსკვლავიანი მილი-  
ციონერები.

ტერენტის შუაში ჩაიყენებენ და მიჰყავთ.

ბნელდება.

ფინალი:

ტერენტი გრანელი საწოლზე კი არა, თითქოს საფლავის  
ბორცვზე წევს.

ირწევა, ირხევა, წამოიმართება, ხელებს მაღლა აღაპყ-  
რობს.

ყველაფერში ეტყობა, რომ ამ ქვეყნისა აღარ არის.  
ფერიებივით შემოდიან წეთილვევაროსანი და ჯვარქუდოსანი  
მოწყალების დები.

გამოსათხოვარი ცეკვა პოეტისა თავის მფარველებთან და  
თაყვანისმცემლებთან ერთად.

ტემპი მატულობს ცეკვისა.

თანდათან ცხრება მუსიკა.

ტერენტი ნელ-ნელა იკეცება და ეცემა.

მოწყალების დები თითქოსდა სურათის გადასაღებად  
დახრილანო პოეტთან. ერთი უკან უზის. ტერენტის თავი მის  
მხარს მიყრდნობია და მოწყალების და მარჯვნით მის შუბლს  
ეხება, თითქოს სიცხეს უზომავს.

სხვა „მედდებიც“ იქვე არიან.

ზოგს ხელი უჭირავს ტერენტისა, ზოგი მაჯაზე უსვამს  
ხელს. „სულთათანას“ ამ არაამქვეყნიურ რხევებს მაჟორული  
მუსიკა ენაცვლება.

ყველამ თავი უკანა კედლისკენ მიაბრუნა.

სულთმობრძავ პოეტს, თითქოსდა, ციდან ჩამოფრენილი, კედელზე ანგელოზად გამოსახული მარო მაყაშვილი თავისთან უხმობს.

... სცენის სიღრმეში ჯვარზე გაკრული ქრისტე მოჩანს.

ტერენტი საფლავის ბორცვიდან წამოიმართა და მისკენ გარბის.

ძლივს მიაღწია. განგაშის მუსიკა... ცდილობს ჯვარცმი-დან ჩამოხსნას ქრისტე. ამოაძრო ერთი ლურსმანი, მეორე... ქრისტეს ნაწამები სხეული ანგელოზებმა ძირს დაუშვეს. ტერენტი ჯვარს გაეკრა.

ფარდა

მარტი, 2005 წ.



სცენარი პანტომიმის თეატრის

## ციცი გიორგი

პანტომიმის თეატრის მთელი დასი ბედნიერად რაცხს თავს, რამეთუ სპექტაკლი ესე წმინდა გიორგის სადიდებლად განსახიერდა უფლის შთაგონებით, უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

## ხილვა პირველი

კაპადოკია.

განთიადის ცისფერ ციაგში ვიოლინოს სევდიანი ჰანგის თანხლებით ნელ-ნელა იკვეთება კონუსისებური კირქვის ბორცვებში გამოკვეთილი უძველესი ქალაქი-სამლოცველო.

მზე ამოდის და ქალაქი ცოცხლდება.

მიმოდიან ბერები, დერვიშები, ნახევრად დავრდომილი მლოცველები, ბრმები, სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქენი.

ყველა თავის ფიქრს, თავის საზრუნავს შეუცყრია.

უცებ ცა მოიქუფრა.

თითქმის დაბნელდა და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, გაქცეულ მოქალაქეებს ლამის ტანსაბურავი შემოახიოს.

ხეები ისე ირწევიან, თითქოსდა მიწიდან ფესვიანად უნდა ამოთხაროს გრიგალმა.

ამ ორომტრიალში ელვა ზოგჯერ თვრამეტ-ცხრამეტიოდე ნლის ქალიშვილს და ჭაბუკს გაანათებს ხოლმე.

ისინი მედგრად ებრძვიან დელგმას.

ხან ხელიხელჩიდებულნი მოემართებიან. ზოგჯერ დაკარგავენ ერთმანეთს და მერე ისევ პოულობენ.

გრიგალის სტვენა-ლრიალს ცხენთა ფლოქვების ცემა და თქარათქური ერევა.

აქა-იქ გაკრთებიან შუბოსან-ფაროსანი რომაელი მხედრები. ხალხი მათ გაურბის.

აშვარაა რომაელები ვიღაცას ეძებენ.

ჩვენი გმირები – კაპადოკიის ახალგაზრდა მოქალაქენი ნინო კაპადოკიელი (შემდგომში „წმინდა ნინო“) და გიორგი (შემდგომში „წმინდა გიორგი“), კვლავ ლონივრად უძალიან-დებიან სტიქიას და ცდილობენ ლეგიონერთა თვალთაგან შეუმჩნეველნი დარჩნენ.

ისინი ხელჩიდებულნი წინ-წინ მოიწევენ.

ლეგიონერებმა შეამჩნიეს გიორგი.

ნინომ ამაოდ სცადა გადაფარებოდა მეგობარს, ძუძუმტეს და ნათესავს. დელგმაშ იმატა.

შუბოსანმა ჯარისკაცებმა წაიყვანეს გიორგი, რათა ტლანქ და უხეშ დამპყრობელ რომაელ ჯარისკაცად გამოზარდონ.

ნინო ჯვრით ხელში მარტო განაგრძობს გზას.

ერთმანეთს სცვლიან ხედები, ვიოლინოს ხმა, მწყემსები...

ნინოს სიმტკიცე ვერაფერმა ვერ გატეხა...

ნათდება.

ნინო მიდის ჯვრით ხელში.

ბნელდება.

ნინო ისევ მიდის.

სახეზე და მაღლა შემართულ ჯვარზე არაამქვეყნიური შუქი ადგას.

ისევ ფათერაკი.

მინა იძრა!

წივილ-კივილი, საქონლის ბლავილი.

ტორტმანებს მინა.

ტბები ნაპირს გადმოდიან.

მთები მინის წიაღში ინთემებიან.

თითქოსდა ქვეყანა იქცევა.

ნინო მაინც მოდის.

სტიქია ნელ-ნელა ცხრება.

ნინო ქვაზე ზის.

ყვითელი შუქი ეღვრება თმებზე, მხრებზე, ხელებზე.

დელგმა-მინისძვრაში ტანსაცმელი შემოხევია.

ჯვარიც არსად ჩანს.

წუხს ნინო.

სადღაც ვაზი დალანდა.

მიირბინა, მოტეხა ჯერ ერთი ტოტი, მერე მეორე.

განათებულ ქვამდე მოიტანა.

კაუიანი ქვით თმები შეიჭრა და თავისი თმებით შეკრა ჯვარი.

ზეალიმართა ნინო და ჯვარიც ზეასწია.

ქალწულის თმებით შეკრულ ჯვარს ღვთიური შუქი შემოადგა.

შორს თოვლიანი მთები ჩანს.

ნინო ზეალმართული ჯვრით ხელში გზას აგრძელებს.

## სილვა მეორე

იმპერია თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

ქვეყნად მდიდრის მიერ ღარიბის ჩაგვრა, მექრთამეობა, უზნეობა გამეფებულა.

ამას თან ერთვის დამპყრობელთა თარეში.

ყოველი კუთხიდან მოისმის მოთქმა-გოდება, ანიოკების, ძარცვა-გლეჯის მაუწყებელი ხმები.

სცენაზე გამორბიან სასოწარკვეთილი ადამიანები.

რომაელი ჯარისკაცები ერთმანეთზე გადაბმული მათრახის ცემით მიერეკებიან.

დევნილთ არ სურთ საკუთარი კერის მიტოვება (ქართული ისტორიის მოტივი), უძალიანდებიან, უკან გარბის ზოგი, იჭერენ და კვლავ ტყვეთა შორის აბრუნებენ.

ზარი და ზრიალი ისმის ქვეყნად.

შველა არსაით ჩანს.

ლეგიონერთა თვითნებობა უსამანოა.

წმინდა გიორგი ფერმკრთალი სახით და გაცრეცილი ტუჩე-ბით გამოირჩევა ლეგიონერთაგან.

ჯარისკაცის შუბი და ფარი უპყრია, მაგრამ დამსჯელ ექს-პედიციაში არ მონაწილეობს.

შეძრნუნებულია დამპყრობელთა სიმკაცრით და სისასტიკით.

აგერ, ვიღაც დავრდომილს მათარიდან წყალი დაალევინა. ეგერ, საპყარ მოხუცს მხარში ამოუდგა და გზის გაგრძელებაში უშველა.

უზნეობის, ჩაგვრის ქარავანი გზას მაინც აგრძელებს.

მოდის ორი ლეგიონერი ნაძარცვი ნივთებით სავსე ფუთებით მხარზე.

მათ ტირილით მოსდევენ გაძარცვულები.

წმინდა გიორგი მძარცველ ჯარისკაცებს წინ გადაუდგა. ერთმა შუბი მოულერა.

გიორგიმ ფარი შეაგება, შუბი წაართვა და იმდენი იმარჯვა, რომ ნაძარცვი პატრონებს დაუბრუნა.

„თამამ ლეგიონერს“ ჯარისკაცები ეჭვით და ზიზღით უცქერენ.

ჩაიარა ტყვეთა ქარავანმა და სცენაზე კვლავ გამოჩნდნენ ლეგიონერები.

ამჯერად თითო ჯარისკაცს თითო ან ორ-ორი ნახევრად დედიშობილა ქალი „უმშვენებს“ მხარს.

გაიმართა ორგია-ლრეობა.

ხელიდან ხელში გადადის თასი და სურა, ღვინო და ქალი...

წმინდა გიორგის სახეს ხან ერთ კუთხეში გაანათებს რამპის შუქი, ხან მეორეში.

ვერ აუტანია ეს ამაზრზენი სინამდვილე.

ბოლოს ველარ მოითმინა, შევარდა ცოდვილთა და უზნეოთა ლრეობის არენაზე, ააყირავა ყველაფერი, ქალები წიოკით

მიმოიფანტნენ, ლეგიონერებმა შუბები მოიმარჯვეს, სადაცაა ცოდვა დატრიალდება და ამ დროს ბუკის ხმა, დაფლაფების ცემა მოისმის.

იმპერატორი დიოკლეტიანე მობრძანდა.

მას მხარს უმშვენებს დედოფალი ალექსანდრა, მთავარი ვაზირი მაგნეტიოსი და, რა თქმა უნდა, ამაღლა.

ლეგიონერებმა ერთმანეთზე გადაბმული დევნილები და მოქალაქენი თითქმის ძალით დააჩოქეს.

ჯარისკაცები ცალ მხარეს ჩამწკრივდნენ.

დიოკლეტიანემ ბრძოს მედიდურად ჩამოუარა, მერე თავის ტახტზე დაჯდა და მარჯვენა ხელი ზეაღმართა.

თითქოს ნიშანი მისცესო, მაგნეტიოსმა და იმპერატორის მაღალჩინოსნებმა გაშალეს პლაკატები.

ნახატებზე ჩანს წითლად გადახაზული (ქსე იგი უარყოფილი, აკრძალული) ქრისტე და ასევე წითლად გადახაზული ჯვარი.

ხალხი გმინავს, ძრწის.

დიოკლეტიანეს ეს ახალი ბრძანება იმის მაუწყებელია, რომ ყველა ქრისტიანი უნდა განადგურდეს.

წყვლისა და უარყოფის ამ სახელმწიფო რიტუალს ის მოჰყვა, რომ ქრისტეს გამოსახულებიანი ნახატები და ჯვრები ხელისუფლების ნარმომადგენლებმა ცეცხლში მოისროლეს.

კოცონი წითლად ბრიალებს.

გაისმის სულისშემძვრელი, საგანგაშო მუსიკა.

უეცრად ავანსცენაზე გიორგი აღიმართა.

ერთიმეორის მიყოლებით მოიცილა ზუჩი, ფარ-შუბი, ბექთარი, ცეცხლს ქრისტეს ჯვარი გამოსტაცა, ორივე ხელის მაღლა შემართვით იმპერატორ დიოკლეტიანეს და მის რაზმს მტკიცე პროტესტი განუცხადა.

ხალხმა ამოიგმინა.

დიოკლეტიანე გაშრა.

ლეგიონერის ამგვარ სითამამეს არ ელოდა.

დედოფალ ალექსანდრას ლამის გული წაუვიდა.  
მაგნეტიოსი წამოდგა, მრისხანედ დააჩერდა გიორგის.  
მაგნეტიოსის ხმა კულისებიდან:  
„– ვინ ხან შენ?!“

გიორგის პასუხი კულისებიდან:  
„მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი  
მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენს წინაშე, რათა  
ვენამო ჭეშმარიტებისათვის!“

დიოკლეტიანეს ხმა კულისებიდან:  
„რაი არს ჭეშმარიტება?“  
გიორგის ხმა კულისებიდან:  
„თავად ქრისტეა ჭეშმარიტება! დევნილი თქვენს მიერ!“  
დიოკლეტიანე წამოდგა და მცველებს ანიშნა.  
ორი მცველი გიორგის გვერდით ამოუდგა და ხელები  
გადაუგრიხა, მესამემ შუბი შემართა და მკერდში აძგერა ურჩ  
ქრისტიანს.  
მოხდა სასწაული;  
შუბი გაიღუნა წმინდა გიორგის მკერდზე.

ლეგიონერმა მეორე შუბი აიღო და ახლა უფრო ღონივრად  
ჩასცა დატყვევებულს.  
შუბი ისევ გაიღუნა.  
დიოკლეტიანე მიუახლოვდა მეამბოხეს.  
თვალებში ჩახედა.  
მერე ზურგზე ხელები დაიწყო და სწრაფად გავიდა.  
ამაღლა მიჰყვა.  
ჯარისკაცებმა დატყვევებული წმინდა გიორგი ხელ-  
ჯოხების ცემით წინ გაიგდეს.

## ხილვა მესამე

რომაელ ლეგიონერებს თეთრმოსასხამიანი, ნაცემ-ნაგვემი  
სამოსშემოფლეთილი წმინდა გიორგი მიჰყავთ.

აბუჩად იგდებენ, დასცინიან.  
სცენის შუაგულში შეაჩერეს.  
გიორგის მარცხენა ხელი მარჯვენა იღლიასთან მიატა-  
ნინეს, მარჯვენა ხელი კი თვალთან.  
რიგრიგობით ურტყამენ იღლიაში – რაც ძალი და ღონე აქვთ.  
დარტყმისგან ირყევა, ტორტმანებს გიორგი. ხუთიოდე  
ჯარისკაცი ცერა თითით უჩვენებს, აბა თუ გამოიცნობ ვინ  
დაგარტყაო.

წმინდა გიორგი ყოველთვის ზუსტად გამოიცნობს ხელის  
დამრტყმელ ავაზაკს, ჯარისკაცი უარის ნიშნად თავს აქნევს  
და ახლა სხვა ურტყამს არაქათგამოცლილ პატიმარს.

მობრძანდა დიოკლეტიანე თავისი ამაღლით.  
მაგნეტიოსმა ხელი შემართა.  
წმიდა გიორგი წელსზემოთ გააშიშვლეს და იატაკზე  
დააგდეს. ჯარისკაცებმა ხარის გამხმარი ძარღვები მოიმარ-  
ჯვეს და მორიგეობით სცემენ გიორგის.  
ტყვე ცემისგან იკლაკნება, მაგრამ ვაჟკაცურად იტანს  
დარტყმებს.

ჯალათები დაიღალნენ.  
გიორგი მკვდარივით, უძრავად წევს პირალმა.  
დიოკლეტიანემ ხელი შემართა, იგი დარწმუნებულია, რომ  
გიორგი ცემით შემოაკვდათ.

ხალხი გმინავს.  
ყველანი გიორგის დაჰყურებენ.  
ნაცემი წმინდანი ჯერ ხელებზე წამოიწია, მერე ცალ მუხ-  
ლზე, მერე წამოდგა და ჯერ ხალხს გადასახა პირჯვარი, მერე  
დიოკლეტიანეს და მის ამაღლას, მერე ჯალათებსაც და თვი-  
თონაც გადაიწერა პირჯვარი.

დედოფალი აღელვებული, აცრემლებული შეჰყურებს ამ  
სცენას.  
დიოკლეტიანეს ბრძანებით სცენაზე უზარმაზარი ბორ-  
ბალი შემოიტანეს.

ბორბალს ქვემოთ ფიცარნაგი ჩანს, რომელზეც ბასრი შუბისწვერებია დამაგრებული. ჯალათებმა გიორგი ასწიეს, ბორბალზე დააწვინეს და თოკებით აკრავენ.

წმინდა გიორგის ერთ-ერთი ლეგიონერი მეგობართაგანი დედოფალ ალექსანდრასთან მიიჭრა და სთხოვს, ნუ ჩაიდენენ ასეთ სისასტიკეს, იქნებ აპატიონ წმინდა გიორგის „დანაშაული“.

დედოფალი ხელს ჩასჭიდებს მთხოვნელს და დიოკლეტიანესთან მიიყვანს.

ტირანი უარის ნიშნად თავს აქნევს.

მისი ნება ურყევია; წმინდა გიორგი უნდა დაისაჯოს.

ჯალათებმა ბორბალი ნელ-ნელა დაატრიალეს.

გიორგის წარბიც არ შეუხრია.

ხალხი გმინავს ბორბლის ყოველ შემოტრიალებაზე.

გიორგის სხეული ალესილ შუბთა წვერებით იჭრება-ის-ერება.

საშინელებას თვით რომაელი ჯარისკაცებიც ვერ უძლებენ. ზოგიერთი მათგანი თავს შეაბრუნებს.

მხოლოდ დიოკლეტიანე და მაგნეტიოსი შესცერიან კუშტად წამებას.

ხალხის ზუზუნი და ზარის, გოდების გრგვინვა-მუსიკა ერთმანეთშია არეული.

დიოკლეტიანე ბორბლის დამტრიალებლებს დირიჟორივით ანიშნებს უფრო ჩეარა და ულმობლად დაატრიალეთო.

ბოლოს დიოკლეტიანემ ხელი შემართა. ბორბალი გააჩერეს, წმინდა გიორგის დასერილი ცხედარი ჩამოხსნეს და ძირს დაასვენეს.

უეცრად ჩამობნელდა და ჭექა-ქუხილი ატყდა.

დამსჯელები და ამაღა თვალებზე ხელს იფარებენ ელვა-ჭექისგან თავდასაცავად.

ირწევიან და ირხევიან ყველანი.

დელგმა წამით შეჩერდა და ზევიდან სინათლის თვალ-

ისმომჭრელი ჩეურალი სვეტად ჩამოილვარა წმინდა გიორგის ცხედარზე.

ციური შუქი ანათებს ნაწამებ ცხედარს და ზეციდან ლვთის ხმა მოისმის:

„მხნედ იყავ, გიორგი! ნუ გეშინის! მაგრად დექ! შენთან არს ლმერთი!“

დაჩოქილი ხალხი პირჯვარს იწერს.

წმინდა გიორგი წამოდგა თეთრკვართოსანი, მთელი თავისი ბრწყინვალებით და დიდებულებით.

დიოკლეტიანე მკვდრეთით აღმდგარს მიუახლოვდა, დააკვირდა და რა დარწმუნდა, რომ წამდვილად წმინდა გიორგია, საშინელი ხარხარით იქეთ-აქეთ მიაწყდა.

წმინდა გიორგი თითქმის შეშლილ იმპერატორს ნელ-ნელა უახლოვდება.

უკანდახევისას დიოკლეტიანემ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა.

დაცემული გველივით იკლაკნება.

უკან-უკან გაჩოჩდა და მაგნეტიოსთან ერთად გიუური ხარხარით გაიქცა.

დედოფალი ალექსანდრა მივიდა, დაიჩოქა და კალთაზე ემთხვია წმინდა გიორგის.

წმინდა გიორგიმ წამოაყენა იგი და პირჯვარი გადასახა.

ქრისტიანად მოქცეული დედოფალი და მისი ამაღა გადიან. ბნელდება.

წმინდა გიორგი ავანსცენაზე დგას – მაყურებლისკენ ზურგშექცეული და ეჩვენება:

სცენის სიღრმეში ისრაელის რომაელი გამგებელი პილატე მოჩანს. იქეთ-აქეთ უდგას ორი ტყვე. ერთი მათგანი თმაწვერ-გაბურგბნული ყაჩაბაა, მეორე თავზე ეკლისგვირგვინ-დადგმული ქრისტე.

მოსამართლე პილატეს ორივე მათგანისთვის მაჯაში ხელი ჩაუვლია და ხალხს შეჰყურებს.

კულისებიდან გაისმის ხალხის ღრიალი:

„ბარაბა! ბარაბა! ბარაბა!“

— ქრისტე?! - კითხულობს კულისებიდან პილატეს ხმა.

— ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი! — მოისმის ხალხის ულმობელი განაჩენი.

პილატემ ბარაბას ხელი ასწია. ამით ხალხს ანიშნა, ბარაბას ვათავისუფლებო, თვითონ კი ხელი დაიბანა.

წმინდა გიორგი მაყურებლისკენ შემოტრიალდა — გაოცებული და გაოგნებული.

ნამით ბნელდება.

ისევ განათდა სცენის სიღრმე და ახლა წმინდა გიორგი სამ ჯვარცმულს ხედავს.

შუაში ქრისტეა. იქეთ-აქეთ ორი ყაჩალი.

ჯვარზე გაკრულნი ხსნას ამაოდ ეძებენ და ამაოდ ელიან.

ორმა ლეგიონერმა ლერწმის ლეროს ძმრით გაულენთილი ჩვარი წამოაცვა, ძალით ჩათხარეს ქრისტეს პირში.

ეს უკვე წამების აპოთეოზია.

ქრისტე ჯვარისგან ხელ-ფეხის აწყვეტას ცდილობს, მერე თავს აიღებს და ზეცას განწირულის ყვირილი შეაზანზარებს.

„ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“

(ქართულად ნიშნავს: „ლმერთო, ლმერთო, რატომ მიმატოვე?“).

მუსიკის გრგვინვა-გრიალში წმინდა გიორგი ერთხელ კიდევ შემობრუნდა მაყურებლისკენ, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის. ცდილობს ყურები დაიცოს, მაგრამ ექო უფრო და უფრო იმეორებს:

„ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“

„ელი! ელი! ლამა საბაქთანი!“

რომაელი ლეგიონერები მოვიდნენ და წმინდა გიორგი ისევ დააპატიმრეს, მაგრამ ამჯერად ცემა-გვემით არ მიჰყავთ. რაღაცნაირი პატივისცემითაც კი ეპყრობიან. ჩანს, უკვე ბევრმა ირწმუნა წმინდა გიორგის ძალა და სიმართლე.

წმინდა გიორგი აპოლონის ბომონში, კერპთა ტაძარში შეჰყავთ.

ტაძარში რამდენიმე კერპია აღმართული: აპოლონის, ჰერაკლეს, დიონისეს, ზევსის და სხვათადასხვათა.

დიოკლეტიანემ მხარზე გადადო ხელი წმინდა გიორგის და თავის კერპებს წარუდგინა; აქაოდა თაყვანი ეცი ამ კერპებს, ნამდვილ ღმერთებსო.

წმინდა გიორგიმ უცერემონიოდ მოიცილა იმპერატორის ხელი.

ჯერ წინ წავიდა, კერპებთან ახლოს მივიდა, მერე უკან დაიხია და ორივე ხელი ზეალმართა. მაუორული, გრგვინვის მსგავსი მუსიკა.

ხდება სასწაული! კერპები ერთმანეთის მიყოლებით პირქვე ეცემიან, ძირს ცვიციან და იმსხვრევიან.

გაგიუდა დიოკლეტიანე.

ხან თავის დამსხვრეულ კერპებს მივარდება და პატიებას სთხოვს, ხან წმინდა გიორგის მივარდება და შეჭმას უპირებს. ბოლოს მაგნეტიოსს მივარდება და ჯერ გიორგისკენ უთითებს, მერე ყელში გამოისვამს ხელს; ანიშნებს გაიყვანეთ და ახლავე თავი მოჰკვეთეთო.

ცნობისმოყვარე ხალხი მოზღვავდა.

ციდან დაღვრილი სინათლის შუქზე გაჰყავთ წამებული წმინდა გიორგი თავის მოსაკვეთად.

ისმის ქერუბიმთა გალობა.

## ხილვა მეოთხე

საქართველო.

გორაკები, ბორცვები. ბორცვებზე ჯვრიანი ეკლესიები ჩანს შორს.

ლურჯი ციაგი ანათებს სცენას და გოდების ქართული მოტივი ისმის.

დაჩოქილი, დავრდომილი, დაცემული, სასოწარკვეთილი  
ადამიანები მიმოფანტულან სცენაზე.

ზოგი შხარ-თეძოზე წამოწოლილა და სიკვდილს ელის.

ზოგი ყავარჯენზე დაყრდნობილა და მათხოვრობს.

ზოგს მამაპაპური ხმალი მოუტანია, მაგრამ ქარქაშიდან  
ჩაუანგებული ხმლის ამოღებას ამაოდ ცდილობს.

რამ დათრგუნა, რამ დააცვედნა ეს ხალხი ასე?

ხსნის იმედი დაუკარგავთ.

აქა-იქ კოცონს შემოსხდომიან ქართველები და რაღაცას  
ბჭობენ, მაგრამ ისინიც შეშინებულნი ჩანან.

დროდადრო კულისებიდან ავი მუსაიფი და მპრძანებლუ-  
რი ხმები ისმის.

შემოვარდებიან მათრახის ტკაცუნით დამპყრობლები,  
აგრეთვე „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომელთაც სული მიუყ-  
იდიათ დამპყრობელთათვის...

შიშსა და ძრწოლაში ჰყავთ მთელი ქართველობა. დავრ-  
დომილთა წინაშე შავმოსასხამიანი უცნობი გამოჩნდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია.

უცნობმა შავი მანტია გადაიგდო და თეთრი მოსასხამით  
აღიმართა დაჩაგრული ხალხის წინაშე.

იგი, რა თქმა უნდა, წმინდა გიორგია.

დაჩოქილ-დაცემულნი ნელ-ნელა წამოიმართნენ.

წმინდა გიორგიმ ხმალი იშიშვლა და კულისებისკენ გა-  
იშვირა.

ამით ქართველებს ანიშნა: გამხნევდით, გამაგრდით, შეე-  
ბრძოლეთ მტერს, მე თვითონ წაგიძლვებითო უსამართლობის  
წინააღმდეგ ბრძოლაში.

შავი, რუხი, ნაცრისფერი, დავრდომილი ქართველები  
იმედის შუქზე ზეაღიმართნენ.

ყველას არაჩვეულებრივ ნათელი დაადგა სახეზე.

თეთრად შემოსილი მხოლოდ წმინდა გიორგია. იგი წინ

მიუძღვის ქართველთა ლაშქარს.

მოისმის ბრძლის ყიუინა და მხედრული სიმღერა.

ბნელდება.

ლამეში მოჩანს როგორ მიიკლაკნება შურისმაძიებელ ქა-  
რთველთა ქარავანი.

წინ მაშხალით ხელში წმინდა გიორგი მიუძღვის.

უზარმაზარ ლაშქარში ყველა მოლაშქრეს პატარა სან-  
თელი უჭირავს.

ადამიანთა სახეები არ ჩანს.

მხოლოდ სანთლები ანათებს ბნელში ციცინათელებივით.

გრძლად გამნკრივებული სანთლების ქარავანი თბილი-  
სისკენ მოემართება.

ლაშქრული სიმღერა.

## ხილვა მეხუთე

ფინალი.

სცენის სიღრმეში ტბის ღელვისა და გველეშაპის ქშინვის  
ხმა ერთმანეთში არეულა.

ისეთი მუსიკა ისმის, თითქოს სამყაროს აღსასრული  
მოახლოვებულა.

სცენაზე რამდენიმე ულამაზესი ასული ჩანს.

ისინი თავთავიანთ რიგს ელოდებიან.

გველეშაპი რიგრიგობით ყლაპავს ქალწულებს.

მსხვერპლად შეწირულნი ერთად შექუჩდებიან და რო-  
გორც კი გველეშაპის ქშენა-ღრიალის ხმა გაძლიერდება,  
გულში ჩახუტებით, ცრემლით, ტირილით ეთხოვებიან მორიგ  
მსხვერპლს.

ბოლოს ტბასთან ერთადერთი ულამაზესი ქალიშვილი  
დარჩა.

გამოჩნდა წმინდა გიორგი.

ქალიშვილი წამოხტა და მიეგება.

გველეშაპისკენ ანიშნებს.

წმინდანმა შუბი მოიმარჯვა.

გაიმართა ისეთი ბრძოლა, რომ ცა და ხმელი ზანზარებს.

კბილთა ღრმიალი, ელვა-ჭექა სიბნელე-სინათლის მონა-ცვლეობა.

თეთრმოსასხამიანი შუბლშემართული წმინდა გიორგი ებრძვის გველეშაპს.

შეიძლება ზოგჯერ გველეშაპს, მტარვალს (სიმბოლოს) დიოკლეტიანეს სახეც კი ჰქონდეს.

დიოკლეტიანე-გველეშაპი მი და მო აწყდება.

წმინდა გიორგი მარჯვედ აძგერებს შუბს ბოროტ ძალას.

გველეშაპი-დიოკლეტიანე სცენიდან პარტერში ჩამორბის რომ თავს უშველოს.

წმინდა გიორგი მას პარტერის ხან ერთ კუთხეში უმარ-ჯვებს შუბს, ხან მეორეში.

მაყურებელი შეიძლება ანიოკედეს, რადგანაც სიმბოლუ-რად წმინდა გიორგი მათ შორისაც ებრძვის ბოროტს.

ბნელ პარტერში და მაუორული მუსიკის გრგვინვა-გრი-ალში ხან ერთ კუთხეში გაიელვებს წმინდა გიორგის თეთრი კვართი, ხან მეორეში.

ბოლოს დიოკლეტიანე – გველეშაპი ისევ სცენაზე ავა-რდა.

ახლა მას იქნებ დიოკლეტიანეს კი არა, სწორედ გველე-შაპის სახე ჰქონდეს.

წმინდა გიორგიმ სძლია ბოროტებას, სძლია გველეშაპს და შუბი აძგერა.

სიხარულის ყიუინა აღმოხდა დარბაზს და საერთოდ გვე-ლეშაპისგან გამოხსნილ მთელ კაცობრიობას.

წინ წმინდა გიორგია, რომელსაც განგმირული გველე-შაპისთვის შუბი ხახაში ჩაურჭვია.

ანგელოზთა გალობის და საყოველთაო აპოთეოზის ხმაზე სცენის შუაში დაეშვება ფრესკა – თეთრ ცხენზე

ამხედრებული ნათლის გვირგვინით მოსილი წმინდა გიორ-გი შუბით ხელში და მიწაზე გართხმული დამარცხებული გველეშაპი.

ტაშის გრიალში სინათლე ხან დარბაზს ანათებს ხან წმინ-და გიორგის ფრესკას.

ფარდა.

25. II. 06 წ.



## ვუძლვნი მურმან თავდიშვილს

ჩვენ კუტუბიძები ვართ, ბალმალალადან.

მე და შენ ვართ, ბატონო, ამ კუპეში მარტო და იმიტომ გეუბნები გვარს ასე თამამად.

რავა გეკადრება, რას ჰქვია, რა უჭირს; უცხო ქალთან რო ხმამაღლა საკუთარ გვარს ვერ იტყვი, გვარია ისი?

მთელი ცხოვრება გამაწამა ამ ჩემმა გვარმა, ხანდახან სერიოზულ საზოგადოებაში გვარს რომ მკითხავს ვინმე, გავწითლდები, ვდგები ფეხზე, მივუახლოვდები და ყურში ვეუბნები; ბოდიში მომითხოვია და კუტუბიძე ვარ-მეთქი. ამის გამგონე თვითონაც წითლდება და თანაგრძნობით მიყურებს, „გასაგებია, რა არი საბოდიშო, რა ვუყოთ, შე კაცო, შენი ბრალი ხომ არ არისო“.

ჯერ სკოლაში მქონდა სისხლი გამშრალი. ბიჭებიც და გოგოებიც ჩემი გვარის შემოკლებულ ვარიანტს მეძახდნენ. სხვათა შორის, ისე მიეჩვივნენ გოგოები, რომ არც ეუხერხულებოდათ. სკოლიდან გამოსულს ქუჩაში ისე სიყვარულით დამიძახებდნენ გოგოები „კუტუს“ რომ გამვლელ-გამომვლელები ჩერდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით ჯერ დამძახებელს შეხედავდნენ, მერე მე დამაკვირდებოდნენ. ალბათ, იმის გასაგებად, შევეფერებოდი, ვამართლებდი თუ არა ჩემს გვარს.

რუსული იერი გაქვსო, შენ მითხარი.

მართალი ხარ. დიდი ბებია მყავდა რუსი.

ბაბუაჩემის მამამ – ქაქუცა კუტუბიძემ ჯარიდან ჩამოიყვნა.

მეც მახსოვს ბებიაჩემის დედა. ექვსი წლის ვიყავი, რო წავიდა ამ წუსითოფლიდან, მარა მაინც კარგად მახსოვს.

რა მახსოვს, თუ იცი, ღრმად მოხუცებულ მის ქმარს ქაქუცა კუტუბიძეს სულ კუდში დასდევდა:

„კაკუცა, ორპირში არ დაჯდე, დაგიბერავს! კაკუცა ეს ფრენჩი მოისხი! კაკუცა, ტბილი ცინდები ჩეიცვი, ფეხის ტიტები არ გაგიცივდეს!“

ერთი სიტყვით, ოჯახზე გადამკვდარიო, რო იტყვიან, ისეთი ქალი იყო.

ახლაც ლაპარაკობს სოფელი მაგის ყოჩალ ქალობაზე.

ახლა, რაფერ ითხოვა კაკუცამ, ჩემი პატიოსანი ნატაშა ბებია, არ გაინტერესებს?

ეგეც ერთი საისტორიო ამბავია.

დიდ სამამულო ომს რო ეძახდნენ, იმ ომის – ნამდვილი ომისდროინდელი ამბავია. 1946 წელს დაბრუნდა ფრონტიდან ქაქუცა და თან მოხდენილი რუსის გოგო ნატაშა ჩამოიყოლა.

ომიდან ცოლი სხვამაც ბევრმა ჩამოიყვანა, მარა ქაქუცას დაოჯახება თურმე, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოხდა.

ბაბუაჩემისგან ვიცი ეს ამბავი თვარა, თვითონ ქაქუცა თავისი დაქორწინების ამბავს, როგორც მითხრეს, იშვიათზე იშვიათად მოყვებოდა.

გერმანელებს იქით რომ მიერეკებოდა საბჭოთა კავშირის ჯარი, მინსკთან შეხვედრია ქაქუცას ქართველი ჯარისკაცი – ლაგოდეხელი ვალიკო წულაძე. იმ პერიოდში ფეხოსანთა ასეულს ცოცხალი ძალა ბევრი დაუკარგავს და ეს ვალიკო წულაძე ქაქუცასთან მზვერავთა ოცეულში გადმოუყვანიათ.

დოუძმაკაცადა, რასაკირველია, ქართველი ქართველს.

ახლა გოდოგნიდან თბილისში ვერ გაგზავნი წერილს, გზაში დეიკარგება ისეა მომსპარი ჩენი ფოსტა და მაშინ თურმე ფრონტის წინა ხაზზე ღებულობდნენ მებრძოლები საველე ფოსტას.

აბა დაკარგულიყო ჯარისკაცის წერილი.

დამნაშავეს დახვრეტა არ აცდებოდა.

ასე ქონდა დაყენებული დისციპლინა სტალინს.

მაშინ კომპიუტერი და მობილურ-მესიჯობია, მოგეხსენება, სიზმარშიც არ მოელანდებოდათ, ჩვეულებრივ, სამკუთხა უმარკო ბარათებს უგზავნიდნენ ჯარისკაცებს.

მოდაში იყო უცნობ მებრძოლთან სასიყვარულო-სამეგობრო მიმოწერაც. ა, როგორ ხდებოდა ეს ამბავი:

გასათხოვარი გოგო აგზავნიდა ფრონტზე წერილს ასეთი მისამართით: „საფოსტო ყუთი №35/124, მე-12 ფეხოსანი დივიზია, 27-ე ასეულის მეორე ოცეულის სიით მე-9 მებრძოლს“.

წერილს დაახლოებით ასეთი შინაარსი ჰქონდა: მეო, წერდა ქალიშვილი, ტატიანა ივანეს ასული იაბლონნაია ვარო, საშუალო სკოლა წელს დავამთავრე და კიროვის სახელობის კოლმეურნებაში ვმუშაობო. ძალიან მინდა შენი გაცნობა. მომწერე შენს შესახებ. ჩემო არნივო, დასცხე გერმანელ ფაშისტებს, არ დაინდო ეგ ქვენარმავლები, მოუთმენლად ველი შენს პასუხსო.

ჯარისკაცი, თუ მთლად უგულო არ იყო და წერა-კითხვა იცოდა, რა თქმა უნდა, ტატიანას წერილს უპასუხოდ არ დატოვებდა.

ახლა რომ ვუკვირდები, ვინ იცის, უცნობ ჯარისკაცთან მიმოწერა იქნებ სტალინის მოფიქრებული იყო მებრძოლის გასამხნევებლად.

ამას რატომ ვვარაუდობ თუ იცი; არავითარი ცნობა არა მაქვს იმის შესახებ, ნაპოლეონის ან ჰიტლერის არმიაში იყო თუ არა მსგავსი რამ.

ვალიკო წულაძე ერთ საღამოს სხვა ორ ჯარისკაცთან ერთად დაზვერვაზე გაუგზავნიათ.

ცოტა არ იყოს, ძნელი დავალება უნდა შეესრულებინათ თურმე; მდინარე უნდა გადაელახათ, მტრის ქვედანაყოფს ზურგში უნდა მოქცეოდნენ, გერმანელთა მძიმე ტექნიკის და ცოცხალი ძალის შესახებ უტყუარი ცნობები უნდა მოეტანათ და თუ შეძლებდნენ, მოენეც უნდა წამოეყვანათ.

ვალიკოს შუალამისას პაპუნა გაუდვიძებია, სამკუთხა წერილების მთელი დასტა ხელში შეუჩეჩებია და უთქვამს: ქაქუცა ამ წერილებს ექვსი თვეა ერთი რიაზანელი გოგო მწერს. თუ ვერ დავბრუნდი, ერთს გთხოვ: ჩააკითხე ამ გოგოს რიაზანში და შეატყობინე, რაც მოხდა. ცოდოა, რამდენ ხანს უნდა მელოდის, გმირულად დაიღუპა-თქმ უთხარი და სიკვდილის წინ შენზე ფიქრობდა-თქმ.

ვეღარ დაბრუნდა ვალიკო დაზვერვიდან.

ნაღმზე აღეთქებულან და დაღუპულან სამივენი.

რა ჰქნა ქაქუცამ?

ომი რომ დამთავრდა, კიდევ ერთხელ გადაიკითხა თურმე იმ გოგოს წერილები და დემობილიზებული ჯარისკაცი დაღუპული მეგობრის ანდერძის შესასრულებლად ჯერ რიაზანისკენ გაეშურა. იცის წერილებიდან, რომ ვალიკოს ადრესატი ნატაშა ივანოვა სტალინის ქუჩაზე №25-ში ცხოვრობს და რიაზანის №1 სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს.

მატარებელმა დააგვიანა ჩასვლა და ქაქუცამ ნატაშას სამსახურში მიაკითხა.

რიაზანის №1 სამკერვალო გასამხედროებული ფაბრიკა იცი (ჯარისკაცებისთვის შინელებს კერავდა) და სანამ საბუთები გულდასმით არ გამისინჯეს, არ შემიშვესო, ყვებოდა თურმე ქაქუცა.

საამქროს რომ მიაუხლოვდა, კიბის სამ სართულზე იქეთაქეთ მტრედებივით ჩამწერივებული გოგოები ელოდნენ. უკვე იცოდნენ, რომ ნატაშას საქმრო მოვიდა.

შვიდი საფეხური არ მქონდა ავლილი, რომ ზემოდან ულამაზესი, ქერა გოგო ტაშის გრიალში პირდაპირ გულ-ყელზე შემომაფრინდაო.

– ვალიკო! – მეხვევა და ტირის.

– ნატაშა! – ვლულლულებ მე და ვტირიო.

ვინ აცალა, თურმე, სულის მოთქმა პაპუნა კუტტუბიძეს. აბა, ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მისვლა. აბა, ფაბრი-

კის ადგილკომის მიერ „ორგანიზებული ვახშამი“ „ვ ჩესტ ჟე-ნიხა!“

სასწრაფოდ გაუთავისუფლეს დაქალებმა ნატაშას ოთახი და „ახალოდაქორნინებულნი“ მარტო დატოვეს.

მერე მარტო დარჩენა, ისევ ხვევნა-კოცნა და ტირილი.

– კაკ ტებია უდალოს სპასტი, ია ბი ტებია ნე უზნალა.

– ია ბი ტოშე ტებია ნე უზნალ. მი ჟე ნიკაგდა დრუგ-დრუ-გა ნე ვიდელი.

– პაჩემუ ნე ატვეჩალ ნა პასლედნიე პისმა? ია ტაკ ბაია-ლას...

– აბსტოიატელსტვა ნე პაზვალიალი, – დაუჩივლია ქა-ქუცას.

რა მექნაო, პირველ დღეებში მომენტი ვერ შევურჩიე, რომ სიმართლე მეთქვაო. რანაირად მეთქვა ბედნიერების მეშვიდე ცაზე მონანავე გოგოსთვის საშინელი სიმართლეო. ეს ხომ მოკვლაზე უარესი იქნებოდაო.

მე მგონი მაპატიებს ვალიკოს სული, რადგანაც უკეთურო-ბა არ ჩამიდენია. უბრალო რუსის გოგოს გაბედნიერების მის მიერ დაწყებული ხაზი გავაგრძელეო, ამბობდა თურმე ქაქუცა.

ნატაშა რიაზანის მახლობლად სოფელ ტუტკინოდან ყო-ფილა.

ქორწინების მეხუთე დღეს სოფელში რომ მიდიოდნენ, გულ-მა არ მოუთმინა თურმე ქაქუცას და უთხრა ნატაშას სიმართლე.

როგორი იყო ნატაშას რეაქცია?

ამის აღწერას მე ხომ ვერ შევძლებ და ვერ შევძლებ, არ გენყინოს და შენც ვერ წარმოიდგენ, ძვირფასო მკითხველო. ეს რომ წარმოიდგინო, წუთით იქ უნდა გადასახლდე, მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში. ომის გრიგალმა უზარმაზარი ქვეყანის სანაშენე მამაკაცების ლამის ნახევარი რომ ამოწყი-ტა და სიცოცხლის გაგრძელების დაუკებელი იმედი რომ ახ-ლავს ლოდინის სახლის პარმაღზე მდგარ დემობილიზებულ ჯარისკაცს...

ჩამოიყვანა ბალმაღალში ჩემმა დიდმა ბაბუამ პაპუნა კუ-ტუბიძემ რიაზანელი წვივმაღალი, მარწყვისტუჩება, ქერა გოგო ნატაშა ივანოვა.

შვიდი შვილი გაზარდეს – ოთხი გოგო და სამი ბიჭი.

ბაბუაჩემი ნაბოლარა იყო.

ხომ მეოთხე თაობა ვარ ნატაშა ბებიასი, ხომ უტკბილეს იმერულ-ქართულს უქცევდა ნატაშა, ჩვენს საგვარეულოში რუსული ხომ არავინ იცოდა (მგონი ბოლოს ნატაშა ბებია-საც აღარ ახსოვდა მშობლიური ენა), მაგრამ ხომ ხედავ, რა არი გენი, რუსული იერი გაქვს, რუსი ხვარავინ გყავდაო, შენ მკითხე.

მყავდა, როგორ არ მყავდა, მთელ სოფელში თითით საჩვენებელი ქალი იყო თურმე ნატაშა ბებია – ავკარგიანი, ოჯახის ერთგული, ყურადღებიანი და გულისყურიანი.

აცხონა ღმერთმა.



## როგორ იპადება ნოველა

ცნობილ მწერალს ევგრაფი ჩიმაკაძეს არცთუ მაინცდა-  
მაინც ცნობილმა მხატვარმა რობერტ მაცაგაშვილმა დაუ-  
რეკა:

არ გაგიკვირდეთ ჩემი გვარი, ბატონო ევგრაფი, მხატვარი  
რობერტ მაცაგაშვილი გახლავართო. მაგალითად, შარშან  
მირზაანში ფიროსმანობაზეც გნახეთო. შეიძლება სახელით და  
გვარით ვერ მიხსენებთ, მაგრამ რომ შემხედავთ, მაშინვე მიც-  
ნობთ. ორნამენტებიანი ხევსურული ქუდი მახურავს და ულ-  
ვაშს ვატარებო.

მწერალმა მართლაც ვერ გაიხსენა კონკრეტულად რომ-  
ელი იყო რობერტი თავის მრავალრიცხვან იმ ნაცნობთაგან,  
ხევსურულ ქუდს და ულვაშს რომ ატარებენ.

მოგეხსენებათ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ეტანები-  
ან ეროვნულ ატრიბუტებს მოქალაქენი. იქნებ იმის გაფიქრე-  
ბით: საქართველოს საქმით ბევრს ვერაფერს ვშველით და  
გარეგნულად მაინც ვგავდეთ ქართველსო.

ჩოხა ხომ არ გეცვათ მირზაანშიო, ყოველ შემთხვევისთვის  
ჰქონდა ევგრაფიმ.

არაო, უპასუხეს ტელეფონის მეორე ბოლოდან, მაგრამ ბა-  
ტონი ევგრაფი დახვენილი ინტელიგენტი გახლდათ და მხატ-  
ვარი არ გააწილა.

გიცანი, როგორ ვერ გიცანი. შენ წარმოიდგინე, ხმაზეც  
გიცანი (ეს კი მეტისმეტი იყო), ჩემო რობერტ, რას შვრები.  
როგორ მიდის მხატვრობის საქმეო, ჰქონდა.

მაცაგაშვილმა სიხარულისგან ათრთოლებული ხმით აუწყა  
ცნობილ მწერალს თავისი სათხოვარი:

თქვენი პორტრეტის დახატვა გადავწყვიტე, ბატონო ევ-  
გრაფი და უარს ნუ მეტყვითო.

ჩიმაკაძე საერთოდ არ ჰგავდა იმ ცოცხალ კლასიკოსებს,  
ყველას რომ ყველაფერზე უარს ეუბნებიან, დიდი აჯა-ხვენ-  
ნის შემდეგაც რომ ვერ ითანხმებენ უურნალისტები ინტერვი-  
უზე და ტირილით რომ გასკდეს სოფლიდან ჩამოსული მათი  
გარებიძაშვილი სტუდენტი, არა და არ მიჰყვებიან უნივერ-  
სიტეტის რექტორთან რომ სწავლის ქირა ორი თვით მაინც  
გადაადგებინონ.

ბატონი ბრძანდებიო, მაშინვე დაეთანხმა.

გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც, მხატვრის მიერ გა-  
მოჩენილი უანგარო ყურადღება, მით უმეტეს, რომ ასეთი  
სათხოვრით ბატონ ევგრაფს მხატვრები იშვიათად მიმარ-  
თავდნენ.

ბევრ დროს არ დაგაკარგვინებთ, სულ სამი სეანსი გვეყო-  
ფაო, თითქოსდა შეკითხვას მიუხვდა მხატვარი და პირველი  
შეხვედრა ორი დღის შემდეგ ლელიანის ქუჩაზე, თავის სახ-  
ელოსნოში დაუნიშნა.

სახელოსნოში არ უნდა ეწვიო მხატვარს, თუ გსურს მის  
ნიჭიერებული სამოვალის შეგეექმნას, მკითხველო.

მხატვარი გამოფენაზე უნდა ნახო.

სახელოსნოს მიხედვით უკლებლივ ყველა უკვდავ ხე-  
ლოვნად მოგეჩვენებათ.

დაუმთავრებელი ნახატი ყველა გენიალურია.

აი, ნახატის დამთავრება, ცოტა არ იყოს ჭირს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სამჯერ, სამ-სამი საათით,  
დღეგამოშვებით იჯდა მხატვრის წინ ჩვენი სასიქადულო მწ-  
ერალი იჯდა ფანჯრისკენ შებრუნებული, ნახევრადპროფილ-  
ით მხატვრისაგან.

პირველი სეანსი რომ დამთავრდა, რობერტმა იხმო მენა-  
ტურე-მწერალი და დაწყებული პორტრეტი ამაყად აჩვენა.

მწერალმა მოუწონა ნახელავი, კონტურებით მართლაც  
ჰგავდა.

ასეც რომ არ ყოფილიყო; უზრდელი უნდა იყო კაცი ან მხატვრის ძალიან ახლობელი, ახალდაწყებულ ნახატზე რომ უთხრა, არ ვარგაო.

მერე და მერე მეორე და მესამე სეანსზე, ვის დავუმალო, თანდათან შორდებოდა რობერტ მაცაგაშვილის ნახატი ადრე-სატს.

არავინ იცის ზუსტად თავისი იერსახე, მაგრამ იმის გარჩე-ვის უნარი კი ყველასა აქვს თავისი პორტრეტი გაარჩიოს კლი-მენტ ეფრემის ძე ვოროშილოვის ან ვიეტნამის დემოკრატი-ული რესპუბლიკის პრეზიდენ ხო ში მინის პორტრეტისაგან.

სამი სეანსის შემდეგ მწერალმა ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგა მაცაგაშვილის ნამუშევრეისადმი და გულის სიღ-რმეში გაეხარდა კიდეც მხატვარმა რომ უთხრა, მეტი მოსვლა საჭირო აღარ არის, 2-3 დღე თვითონ წავიმუშავებ და კვირა საღამოს პორტრეტს შინ მოგართმევთო.

კვირა საღამოს ევგრაფი გურჯაანში კახი სონიშვილის ბავშვის ნათლობაზე იყო და შინ გვიან დაბრუნდა.

კარი რომ შეაღო ასეთი სურათის მოწმე გახდა. მთელი მისი ჯალაბობა გრძელ ტახტრევანზე ჩამომსხდარიყო და ბუხ-რის თავზე შემოდგმულ მის პორტრეტს შესცეკროდა.

ოთახში პანაშვიდური განწყობილება სუფევდა.

რობერტ მაცაგაშვილის ნამუშევარი ევგრაფი ჩიმაკაძეს ხომ არ ჰეგავდა და არ ჰეგავდა, ნაცნობთაგან არავის აგონებ-დათ და თქვენ წარმოიდგინეთ, ასი წელი ვერავინ მიხვდე-ბოდა საერთოდ მწერალი იყო ამ სურათზე გამოსახული თუ მეთუნუქე.

—მურმან თავდიშვილი იყო, — ჩაილაპარაკა ცოლმა — ვისი პორტრეტიაო მკითხა, — თუ მიხვდები-მეთქი, თქვენიანი რომ არავინაა ვხედავ, ჩემი მშობლიური სოფლიდანაც არავის მა-გონებსო. როცა გამოვუტყდი ეს ევგრაფის პორტრეტია-მეთქი, სახეზე ალმური მოედო და ტუჩაკანკალებულმა მითხრა: აბუჩად აუგდია. წაილოს და დაახიოს თავზე დამხატავსო.

რამდენიმე დღეში ყველაფერი ჩაწყნარდა.

მწერალს, რასაკვირველია, არც უფიქრია თავზე გადახევა და უკან დაბრუნება კი არა, თუნდაც მცირეოდენი შენიშვნა ეთქვა მხატვრისათვის.

პირიქით, თუ სადმე წააწყდებოდა რობერტს, ხელგაშლით გადახვეოდა და სხვების გასაგონადაც ჩასძახებდა — შენი გადაუხდელი ვალი მაქვს. რა პორტრეტისტი ხარ, რომ იცოდე, შენი ნახელავი ჩემს კაბინეტში ყველაზე გამოსაჩენ ადგილ-ზე მიყიდია. როგორ გადაგიხადო სამაგიერო დღედაღამ იმას ვფიქრობო.

სინამდვილეში მიტანის დღიდანვე არავისთვის უჩვენებია. მეორე დღესვე ჭერზე აიტანა და იქ მანსარდში ლერნ-მის ძველთაძველ მორყეულ კარადასა და მარქსიზმის კლა-სიკოსების ტომეულებით სავსე ღია წიგნის თაროებს შორის კედელს შეპრუნებულად მიაყუდა. ნახატი კი შეაბრუნა, მა-გრამ წარწერას ვერაფერი მოუხერხა, „მწერალი რობერტ ჩი-მაკაძე, ნახ. რ. მაცაგაშვილისა“ — დიდი, შავი ასოებით ეწერა ტილოზე.

დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, ერთხელ კიდევ რომ შეათვალიერა მწერალმა პორტრეტი და ერთხელ კიდევ რომ დარწმუნდა, რომ ნახატიდან ვიღაც სხვა კაცი შესცეკროდა სიბრაზემ შეიძყრო.

„კაი, თვალის მიმსგავსება გაუჭირდა, თვალი, საერთოდ, ძნელი დასახატავია, მაგრამ ყური მაინც მიემგვანებია. პირის ჭრილი მაინც დაეხატა წესიერად. ქვედა ტუჩით მაინც მგავდეს და არ დავეძებ არაფერსო“, ჩაილაპარაკა.

იმ საღამოს საოცრად მოუნდა მხატვარზე პატარა ნოველა დაეწერა და ამით გადაეხადა სამაგიერო. საერთოდ ბატონი ევგრაფი კონკრეტულ ადრესატზე ნოველებს იშვიათზე-იშვი-ათად წერდა, ოდენ დიდი სულიერი მღელვარების დროს ნერ-ვული სტრუსისგან გასათავისუფლებლად მიმართავდა ამ, მწ-ერლისთვის არცთუ სასახელო გზას.

იჯდა და ფიქრობდა:

„მოდი, ასეთ ამბავს მოვყენები. ვითომ მხატვარს მწერალი სძულდა. მისი ნაწერები არ ესმოდა, აღიზიანებდა სხვები რომ აქებდნენ. გადაწყვიტა, დაეხატა უცნობის იერით, და ამით დაემტკიცებინა მისთვის, რომ როგორც ეს პორტრეტია გულ-სატკენი მწერლისთვის, ისე გულისამრევია მხატვრისთვის ამ მწერლის ნაწერები...“

არ ივარგებს ხელოვნური სიუჟეტია, თანაც სიკეთის ათი-ნათი არ გამოსჭვივის.

იქნებ ასე დავწერო, ვითომ ეს მხატვარი სინამდვილეში მხატვარი სრულიადაც არ იყო. იქნებ უბრალოდ უურნალისტი იყო, რომელმაც სახელოვანი მწერალი სასაუბროდ ვერ მოიხ-ელთა და ბოლოს ასეთ ხერხს მიმართა: მხატვრად გამოეცხადა და თითქოს მის პორტრეტს ხატავდა, სამი გრძელი „სეანსით“ მოახერხა მწერალთან სულშიჩამნედომი საუბარი...“

არც ეს სიუჟეტი მოეწონა ბატონ ევგრაფის:

„ძალიან ფილოსოფიურია, ცოტა დაუჯერებელიც. განა ევგრაფი ისე მიამიტი მწერალია, ვერ მიმხვდარიყო პროფე-სიონალი მხატვარი ხატავდა, თუ რეპორტიორი, რომელმაც ვინ იცის, ფუნჯი პირველად აიღო ხელში“.

სხვა ვარიანტებიც მოიფიქრა, არც ერთი არ მოეწონა და ნოველა უეცრად მოვარდა.

„აი, რას დავწერ: პარიზში ნაკლებად ცნობილ მწერალს ხატავს მისი მეგობარი ასევე ნაკლებადცნობილი მხატვარი.“

ათიოდე სეანსის შემდეგ დასრულდა პორტრეტი, მაგრამ როგორც მხატვრებს სჩვევიათ ხოლმე მხატვარმა სამიოდე დღე კიდევ წაიმუშავა.

აღარ უჩქარია მწერალს მეგობარი მხატვრისგან თავისი პორტრეტის წამოღება. მით უმეტეს რომ ამ მხატვრის მიერ დახატული ეს მისი პირველი პორტრეტი არ იყო. მხატვარს მენატურეთათვის გადასახდელი ფული უჭირდა და ამიტომაც თავისუფალ დროს მეგობარ მწერალს ხატავდა და ხატავდა.

ერთხელ მხატვარმა მწერალს დაურეკა, შენი პორტრეტი დავასრულე, გაყიდვით ამას არავინ იყიდის, ტყუილად ადგ-ილს მიცდენს სახელოსნოში ახლა მონმარტზე ვარ, მიდი და წაიღე. გასაღებს იცი სად ვინახავ, პორტრეტი კი კარის უკან დევს, მარცხენა მხარეზეო.

წამოიღო მწერალმა ცარცის ქაღალდში შეფუთული თა-ვისი პორტრეტი. გზად ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ფრან-სუა ჰუი შეხვდა. აქეთურ-იქეთური და მხატვარზე ჩამოვარდა სიტყვა. უპატრონო მხატვარია ჩემი ძმაკაცი. ღირსეული შემ-ფასებელი არავინ გამოუჩნდა. არა და მშვენიერი პორტრეტის-ტია. აგერ, ახლახან, ჩემი პორტრეტი ბრწყინვალედ დახატა და შინ მიმაქვსო.

ხელოვნებათმცოდნე ფრანსუას ეჩქარებოდა და თან არცთუ კარგ ტონად მიიჩნია ქუჩაში „გაეხსნა“ პორტრეტი: მათხოვე, შინ წავიღებ და ვნახავ, ახლა მაპატიე, გავრბივარო ხელოვნებისმცოდნემ, მწერალს პორტრეტი გამოართვა და ტრამვაის შეახტა.

არ გასულა ორი კვირა პარიზის გაზეთები მოიარა ხე-ლოვნებისმცოდნე ფრანსუა ჰუის სტატიამ სათაურით – „შედევრი (ახალი მიმდინარეობა პორტრეტის უანრში)“.

წავიდა და წავიდა... ამუშავდა დიდების კონვეირი.

„მეგობარი მწერლის პორტრეტზე“ სტატიის და დისერტა-ციები იწერება.

პარიზი მხატვრის სხვა ნამუშევრებითაც დაინტერესდა.

დიდების შარავანდედი დაადგა მხატვარს, იგი მოდაშია, ნახატებს ლამის ხელიდან გლეჯენ. მისი ქმნილებების ფასი დღითიდღე იზრდება.

გამოფენები, ალბომები, ჯილდოები...

ოცი წლის შემდეგ მორიგი ტრიუმფალური გამოფენიდან ან უკვე საყოველთაოდ ცნობილი მხატვარი და ასევე სახე-ლოვანი მწერალი შინ ბრუნდებიან.

მეგობრებმა ეტლი სახელოსნოსთან გააჩერებინეს.

- შენთან საიდუმლო საქმე მაქვს, – უთხრა მხატვარმა.
  - ვიცი, გამომიტანე, – გაულიმა მწერალმა.
  - ... მხატვარმა გამოუტანა „მეგობარი მწერლის პორტრეტი“, სწორედ ის პორტრეტი, რომელიც ოცი წელი სახელოს-ნოში ედო.
- მამინ მწერალს შეშლოდა და მხატვრის სახელოსნოდან სხვისი პორტრეტი წაეღო.
- შინ შეინახე, არსად გამოაჩინო – ტუჩთან თითო მიიტანა მხატვარმა და კარგად შეფუთული პორტრეტი გადასცა.
  - მრივენი გულიანად ხითხითებდნენ.



## ძურდი და ციხე

კედლისკენ შეპრუნებული უშანგი ჭიჭინაძე №7 საკანში ქვედა ნარზე იწვა და მარცხენა ხელის თითებს დაჰყურებდა.

– უშანგი! – სამზერზე პირმიფარებული ზედამხედველი ეძახდა.

– რა იყო! – თითებისთვის თვალი არ მოუცილებია პატი-მარს.

– შენთან სტუმრებია და ფეხზე დახვდესო, უფროსმა.

– ვინ სტუმრები? მე არავინ დამიპატიუია.

– ადექი, ადექი, უცხო ხალხია,

– ჭიჭია! არ გესმის შენ ქართული?! რა მესტუმრება, მე აქანა დღეობა კი არ მაქვს.

უშანგი ყოველშემთხვევისთვის წამოჯდა და ფოსტლებში ფეხი წაჟყო. იგი სამოცსმიტანებული გამზდარი, შავგვრემანი, უულვამო კაცი გახლდათ, თავზე ხელი კეფიდან შუბლისკენ ჩამოისვა. ვითომ წოლისგან აბურდული ურჩი ჭალარა გაის-წორა, სპორტული პიჟამო „ადიდასი“ და უსახელო ყავისფერი ქურთუკი ეცვა.

სამ პირნიღბიან, ავტომატმიმარჯვებულ სპეცნაზელს დაბალი, კაფანდარა ქალი შემოჰყვა. სიმპათიურიაო ვერ იტყვიდით, მაგრამ არც ისეთი იყო, ვირს ააწყვეტინებსო ჩვენ-ში რომ იტყვიან. იყო მასში რაღაც ქალური და მიმზიდველი.

– გამარჯობათ, ბატონო უშანგი, მიცანი, ალბათ, მე პარ-ლამენტარი ელენე თევდორაძე ვარ, – ცოტა არ იყოს პათეტი-კურად თქვა ელენემ.

უშანგი წამოდგა.

– გაგიმარჯოთ გამჩენმა... ცნობით მაპატიეთ და ვერ გი-ცანით.

– არა უშავს.

- დაბრძანდით.
- თევდორაძე მოპირდაპირე ნარჩე ჩამოჯდა.
- ბატონო უშანგი, თქვენ კრიმინალური ავტორიტეტი ბრძანდებით ხომ?
- ავტორიტეტი თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო, მე ერთი უბრალო ქურდი ვარ.
- მაპატიეთ, - ელენეს გაეცინა, თუმცა ამ სტრიქონების ავტორმა მთლად კარგად როდი იცის, რა იყო უშანგის ნათევამში სასაცილო - მე მიღებული, იურიდიული ტერმინოლოგით გელაპარაკებით.
- ვინ მიიღო, ქალბატონო, არ ვიცი მე. გითხრათ სიმართლე, ტელევიზორიდან მესმის „კრიმინალური ავტორიტეტი“, „ადგილობრივი ავტორიტეტი“, ვერ ვგებულობ, რაზეა ლაპარაკი....
- რა ვიცი, ასტე ამბობენ, აბა, უბრალოდ კანონიერი ქურდი დაგიძახოთ? რაღაც მეუხერხულება.
- რა არის უხერხული ქალბატონო, თქვენზე რომ ამბობენ, პარლამენტარიაო, გეუხერხულებათ? არც „კანონიერი“ არაა საჭირო. კანონიერი ვარ მე თუ არა, ამას, მადლობა ღმერთს, თქვენ არ წყვეტთ პარლამენტში.
- ისე მეც ნეუდობნატ მეჩვენება. ვებნევი იურისტებს: თუ ქურდია, კანონიერი როგორ არის მეტქი. მოკლეტ, როგორც არის, ტერმინს არა აკვს მნიშვნელი. აი, თქვენ, ფიზიკურად გაგისწორდნენ?
- რა მიქნეს? - კითხვა, რასაკვირველია, გაიგო, მაგრამ თავი მოიმიამიტა ჭიჭინაძემ?
- ასე ვთქვათ, ფიზიკურატ შეგეხნენ?
- რას გულისხმობთ, ქალბატონო?
- ფიზიკურ ზენოლას, ასე ვთქვათ.
- მე თქვენ სერიოზული ქალი მგონიხართ, სად ისწავლეთ ამნაირი ლაპარაკი.
- მაპატიეთ, მოკლეთ გცემეს?
- არა ქალბატონო, არც მოკლეთ და არც გრძლად.
- მაშ, რატომ შიმშილობენ ტკვენი კოლეგები?
- ვინ, ქალბატონო?
- ტკვენი, ასე ვთქვათ, კოლეგები, ტო ესტ, სხვა პატიმრები.
- ეგ სხვა პატიმრებს ჰქითხეთ.
- ტკვენზეც მითხრეს, შიმშილობსო.
- მე, უბრალოდ, მარხვას ვინახავ.
- ერთი რამ ვერ გავიგე, ბატონო უშანგი, ახალი ციხე აგიშენეს მშვენიერი ციხეა სხვათა შორის უკვე დავატვალიერე. მაინც, ნუ, უკმაყოფილება, ნუ, რა არის, არ მოგწონთ?
- თქვენ ძალიან მოგწონთ, ქალბატონო?
- დიახაც, მომწონს.
- ვერ შეგვადრებთ ხუმრობას, რაც ენაზე მადგას, არ ვარ თქვენთან ისე ახლოს, - უშანგიმ გაილიმა და კეფა მოიფხანა.
- ქალბატონმა ელენემ „ქემალი“ დააძრო თავი მოუსრისა და ჰქითხა:
- შეიძლება, თქვენთან მოწევა?
- კი ბატონო, წიეთ, რამდენიც გაგეხარდებათ.
- ბატონო უშანგ, იქნებ მოგველაპარაკა. ტკვენ შეგიძლიატ ზემოქმედება. შეწყვიტონ, რაა ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტონ შიმშილობა. ზოგი ძალიან ცუდად არის.
- მეც მაგას ვფიქრობდი ახლა, ქალბატონო. ასეთი უცნაურია ზოგი პატიმარი. მასეთი კაი ციხე აგიშენებიათ და რა უნდათ მეტი.
- ტკვენ?
- რა მე?
- ტკვენ რატომ იქ არა ხართ?
- მე მესამე ციხეს რო ააშენებენ, იქ მპირდებიან კაი კამერას.
- ხუმრობტ?
- არა, ქალბატონო, არ აღმოჩნდა იქ ჩემი ადგილი.

- რომ ვტხოვო უმფროსს, გადახვალტ?
- არ გადავალ... ამ ციხეში სტალინი იჯდა და მე ვერ დევეტევი? ძველი კაცი ვარ და აქ მირჩევნია, ძველ ადგილას.
- ბატონი უშანგ, კავ ნიბუდ შევტანხმდეტ; ტკვენ ავტორიტეტი ხარტ და შეგიძლიანთ ზემოქმედება.
- მე თქვენთვის ვარ ავტორიტეტი, ქალბატონი, იმათთვის
- არა.
- როგორ? ახალგაზრდები ცუდატ რომ არიან? ტკვენ მატი ბედი არ გაღელვებტ?
- რა დაგიმალოთ და არა, – გაუღიმა ქურდმა.
- ელენე თევდორაძე წამოხტა და კარისკენ წავიდა. მცველები მიჰყვნენ.
- გავიდა თუ არა პარლამენტარი, მეშვიდე კამერაში წიაღვარივით მოასკდნენ ულამაზესი, უურნალისტი გოგონები. სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ზომის მიკროფონები მიუპირთანეს ჭიჭინაძეს.
- ქურდი არ დაბნეულა.
- რა ჰქენით? როგორ მოილაპარაკეთ?! – სულმოუთქმელად ჰკითხა ტყავის ყვითელსერთუკიანმა „კურიერისტმა“, რომელსაც თმებიც სერთუკისფერი ჰქონდა.
- საახალწლოდ შინ დამპატიუა, – სერიოზულად უპასუხა უშანგიმ.
- ეს როგორ, მერე აქედან გამოგიშვებენ?
- მპირდებიან, თუ ჭკვიანად ვიქენები.
- გვაშაყირებს – მიუხვდა პირველარხელი კორესპონდენტი გოგონა, – ჩვენ მართლა გვაინტერესებს. თქვენ ნაცემი ხართ?
- ბავშვობაში ერთჯერ...
- შიმშილობა გაგრძელდება?!
- ვერ გეტყვით.
- კი მაგრამ თქვენ ხომ „მაყურებელი“ ხართ?
- მაყურებელი რუსთაველის თეატრშია. ახლა, მგონი, იქაც ალარაა.

- ბოდიში სხვანაირად უნდა მეკითხა, თქვენ ხომ კანონიერი ქურდი ბრძანდებით.
- ნახევრად... წადით, ბიძია, სახლში, საქმე არაფერი გაქვთ? პატრონი არ გყავთ ასეთ ლამაზ ბავშვებს?
- უურნალისტებმა კამერები გამორთეს და ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ.
- ზედამხედველმა ურდული გააჩხაკუნა. ციხეში სიჩუმე ჩამოწვა.
- მაღლა, ბეტონის ჭერის სიახლოვეს, სარკმლისხელა, ტყვიისფერი, გულდაგულ შერკინული ცა მოჩანდა.
- მინის ნატეხს დროდადრო შეცვენილ-წაშლილი წვეთებით თუ იმსჯელებდა დაკვირვებული კაცი, უინულლავდა.
- საღამოს შვიდ საათზე სინათლე ჩართეს თუ არა, ზედამხედველმა ჭიჭიამ მეშვიდე კამერის სამზერში ისევ შემოჰყო პირი.
- გესმის?!  
 – რა გინდა! – შეეპასუხა უშანგი.  
 – უმფროსთან უნდა აგიყვანოთ.  
 ქურდს არაფერი უთქვამს.  
 უთასმო კედები ფეხზე მოირგო და კამერაში შემოსულ ბადრაგს გაჰყვა.
- ჯარისკაცისმაზარიანი გამცილებელი ოციოდე წლის ქერა ყმაწვილი იყო. სანამ დერეფანში გამოვიდოდნენ, გულდაგულ გაჩხრიკა უშანგი, მერე ჭიჭიას სამორიგეო-სამარქატე კარი გააღებინა და მაგიდიდან მოკლე ავტომატი აიღო.
- ციხის უფროსმა ჯარისკაცს კარისკენ ანიშნა. უშანგი რომ სკამზე დამჯდარი დაიგულა, ქერათმიანი შეტრიალდა და სამხედრო ნაბიჯით გავიდა.
- რაიო, თევდორაძემ, უშანგი ბიძია?  
 – არაფერი, მომიკითხა, რავა ხარ, ხვარ გაგლახესო.  
 ციხის უფროსს გაეცინა.  
 – შენ რა უთხარი?

– ჯერ არა-მეთქი. რატო შიმშილობო, მკითხა; საჭმელი არ მაქ, მე ვუთხარი.

ციხის უფროსმა უფრო ხმამაღლა გაიცინა. მას, ვარდების რევოლუციის მონაწილეს, პოლიციის აკადემიის კურსდამთავრებულს, ოკრიბელ ახალგაზრდა ოფიცერს – გელა ყიფიანს სიცილი უხდებოდა. ციხის უფროსად მაშინ დანიშნეს, როცა №2 ციხის უფროსის ადგილი ვაკანტური გახლდათ და ჯერჯერობით გელა ორივე ციხეს განაგებდა.

– მასე კი არა, ვმარხულობო, გითქვამს.

– შენ რა იცი?

– იქვე ვიდექი, გარეთ, მარა არ შემოვყევი, მე ვთქვი ეგება ხელი შევუშალო-თქვა.

– რა მექნებოდა ახლა მე ელენა თევდორაძესთან საჩუ-მათო და დასამალავი.

– რა მეილაპარაკეთ?

– ბორდოსფერი დარაია უნდა მომიქსოვოს.

– რად გინდა დარაია.

– ქსოვა ვიციო და ვარს ხვარ ვეტყოფი, საერთოდ დარაია მე ისე მჭირდება, რავაც ვირს გალსტუკი.

– სერიოზული საქმე მაქვს, უშანგი ბიძია, შენთან.

– რაიო.

– რაი და ხვალ თვარ შეწყვიტეს ბიჭებმა შიმშილობა, დოუქნიე ხელი მაგ ადგილსო.

– მითხარი, ლოთიანად გადეიხადე?

– რა მქონდა გადასახდელი, შენც ქე იცი. ფული რომ მქონოდა, ამ ნერვიჭამია სკამზე დავჯდებოდი? სამი წელი უმუშევარი ვეგდე. ამგენმაც ორი წელი ჯვარს მაცვეს, სანამ არ მივიტანე კასეტა, იქანა რო ვიდექი, პარლამენტის წინ, წვიმაში და ქარში, მაგნენთან, სამსახური არ მაღირსეს. ახლა რო გამაგდონ დევილუპები, მერე ჩვენი საქმე ხო იცი, მე, რავაც მოხსნილს, სამსახურს აღარ მაღირსებენ და დემეზოცება ბოვშები შიმშილით.

– ისე ჩემთვის რო გეკითხა, არ გირჩევდი ციხის უფროსობას ამნაირ გლახა დროს.

– კაი დრო როდის იყო?

– კაი დრო შეიძლება მიდღემჩი არ იყო, მარა ახლა ნამეტანია. ნამეტანი გოუტიეს შენმა ძმაკაცებმა.

– ჩემი თავი გამჭირვებია, უშანგი ბიძია, ქე ვიცი ყველაფერი მარა, მე რა სიკვდილი ვქნა.

– ბიჭო, რომელმა გენიოსმა მეიფიქრეთ გადევიყვანოთ მუ-შიკების და კაი ბიჭების ამარა ცხვარი პატიმრები ახალ ციხეში და საათივით ეეწყობა საქმეო.

– ჩემგან რომ არ მოდის ეგ, მე მგონი მიხვედრილი ხარ, შენ, უშანგი ბიძია.

– ციხე არ იცით, ბიძია, არც შენ და არც შენმა უფროსებმა. ორი სიტყვით გეტყვი: ჯარში მაინც არ ყოფილხარ? რო შეყრი ყაზარმაში ოც კაცს ერთათ, თვითონ დახარისხდებიან იქანა, არ უნდა ლაპარაკი. ვინც ყველას აჯობებს ღონით, ის იქნება ყოჩი და იმ ყოჩობამდე, შეიძლება, დაჭამონ ერთმანეთი. მე გეუბნები, უბრალო სალდათებზე, ახლა დამნაშავეებზე გადმეიტანე ეს ამბავი. დამნაშავე ხო ისედაც ნერვიულია, ისედაც ავარულად აქვს ტვინი მოწყობილი. იქანა არ შეიძლება მუშტზე შეაგდო საქმე. მუშტი უფრო ხშირად ჭკუათხელს აქვს მაგარი. მერე? თუ ჭკუამ, ამ შემთხვევაში ქურდმა, არ დაამყარა წესრიგი, შენ რავა ფიქრობ, რა ამბავში იქნება ოცი დამწყვდეული გადარეული. ჯერ გაჩალდება ლუკმის წაგლე-ჯობია, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის წართმევა, მერე... არ ხარ ისე პატარა რო ვერ ხვდებოდე, დეერევიენ და გააქათმებენ ძლიერები სუსტებს. გინდა არ გინდა, ოციდან შვიდი პიდარასტი მაინც შეგვრჩება ხელში. ვარგა მერე ასთე? კაცმა, რაღაცა პატარა დააშავა და ქათმად გევიდეს ციხიდან? რაც ორასი წლის განმავლობაში დაკანონდა, თქვენ ასე უცებ ერთი ხელის დაკვრით გინდათ გადაგდოთ? ან ის ვირები რო შეგიყრიათ და გიცემიათ ბოვშები, რამ მოგაფიქრათ, ეგ ამბავი. ცემა-

ტყეპით 560 კაცს მოვაჭუვიანებთო, რამ გაფიქრებინათ. ახლა უყარეთ კაკალი. ახალი ციხე კი არა ცეკას სანატორიუმები რო იყო წინათ, იქ რო შეუშვა ეს გალახული პატიმრები, ვერა და ვერ დააწყნარებთ.

— გალახვის, დედის სულს გეფიცები, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. თბილისიდან იყო მამარდაშვილი, იგიც ახალია ამ საქმეში, იმან გასცა ბრძანება: დავუეუოთ და გუბ-კასავით დარბილდება ყველაო. არ გევიდა ჩემი სიტყვა, ვინ გაგიგონა.

— მაინც სა მეიყარეთ თავი ამდენმა ძუძუმწოვარამ. არ შეიძლება, ბიძია, ასე თქვენ რო მიყობით. მაგნაირი ყვანცალით დაღუპავთ ქვეყანას და თქვენც დეილუპებით.

— უშანგი ბიძია, — ჩვენ ახლა არავინ გვისმენს.

— გვისმენდეს, თუ გინდა. რავა მატყობ, მეშინია მე ვინ-მესი?

— მაგას კი არ ვამბობ, უნდა მიშველო.

— ახლა რაღა უნდა გიშველო.

— ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში არ ჩადგე, ახალგაზრდა კაცი ვარ, მილიონი ახლობლის მოგზავნა შემეძლო, საერთო ნათესავებიც გვყავს, რო იცოდე, მარა არ ვქენი, მე ვთქვი, მე თვითონ დაველაპარაკები, კაცია, შევა ჩემს მდგომარეობაში-თქვა.

— მაშინ რატო არ მკითხე, გუშინდელი ღლაპი რო დგებოდი ციხის უფროსათ, მაშინ რატო არ მკითხე, 560 ვირპატიმარს უქურდოთ რო ტოვებდი, მაშინ რატო არ მკითხე უაჟი რო გამოუწერეთ ყველას — დიდსა თუ პატარას — ახლა ვარ უშ-ანგი ბიძია?!

— შემეშალა და მომკალი თუ გინდა.

— ახლა რო დაგითმოთ, კიდო ბევრი შეგეშლებათ თქვენ.

— მე პირადად პირობს გაძლევ, უშანგი ბიძია, თუ კიდო გევეხვიე ამნაირ ხლაფორში, მე თვითონ დევისურავ ქუდს და წავალ.

... მამლის მეორე დაყივლებას აღარაფერი უკლდა ციხის უფროსი და ქურდი პირზე კოცნით რომ დაშორდნენ ერთმანეთს.

უფროსი რომ წავიდა, ძილბურანიდან ძლივს თავდაღწეული ჭიჭია წამოდგა და მეშვიდე საკნის ურდული გადასწია. გასაღებით არ დაუკეტავს. იცოდა, უშანგი ჭიჭინაძისთანა ქურდები „ადინოჩა პაბეგებს“ არ აწყობენ.

\* \* \*

მეორე დღეს ექვსსათიან საინფორმაციოში ბატისჭუკის-ფერთმიანმა მომხიბვლელმა დიქტორმა გამოაცხადა:

„პარლამენტის იუსტიციის სამინისტროს და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ერთობლივმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო: №2 ციხე-საპყრობილის ყველა პატიმარმა დღეს 4 საათსა და 30 წუთზე შიმშილობა შეწყვიტა. ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ციხეში სტაბილური მდგომარეობაა“.



## ქალლურძენა

კარგია ისე დაწყება, როგორც კლასიკოსები იწყებენ ხოლმე: „კუკურია პაპუჩაძემ ორმოცი წლის წინათ დატოვა ეს ქალაქი. ორმოცი წელი – ეს ხომ მთელი სიცოცხლეა. სად არ იყო, რა არ ნახა, მოიარა მთელი მსოფლიო და აი, ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა...“

მაგრამ მე ასე ვერ დავიწყებ. კუკურია მიკლუხო მაკლაი არ გახლდათ და არც ახალი კონტინენტების აღმოსაჩენად დადგომია შორეულ გზას.

მით უმეტეს, ხეტიალითაც არსად უხეტიალია. ორმოცი წლის წინათ რასაც აკეთებდა, ახლაც იმას აკეთებს.

„შახტსტროი“ ხომ გაგიგონიათ, დიდი ქარხანა იყო ქუთაისში, მერე „მაღაროელი“ დაარქვეს, ბრონეულასკენ. იქვე ქარხანასთან რკინის ლობების პატარა საამქრო გახსნა. ქარხანაში მოპარული მასალით რომ მუშაობდა, ამას, ბევრი კვლევა-ჟურნინი არ ჭირდება.

ამერიკელმა ტურისტმა მაიკლ სინესმა შეიარა ერთხელ საამქროში, დაათვალიერა, პაპუჩაძის ნახელავი და თარჯიმანს მიუბრუნდა: უთხარი ამ კაცს, წამოვიდეს ამერიკაში, აკეთოს ამნაირი თუჯის ლობები და დიდ ფულს იშოვისო.

კი მარა, ჯერ ერთი, ენა მე არ ვიცი. ამერიკაში ჩემი გვარჯილაგიდან არავინ ყოფილა, რა გარანტია მაქვს რომ შიმშილით არ მოვკედები და უკანდასაბრუნებელი ფული არ მექნება საძებარიო – შეშინდა კუკური.

მე ვარ გარანტიაო, მაიკლმა. არ ვიცი, რატომ შეხედა გადამთიელმა კაი თვალით. აცხონოს ლმერთმა (შარშან გარდაიცვალა) – კუკურიასგან თითზე გადასახვევი არაფერი დაჭირვებია. ვიზა-საბუთებზეც თვითონ იზრუნა, თავისი ხარჯით ჩაიყვანა ჩიკაგოში და საქმეზე დააყენა.

მაშინ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა საბჭოთა მოხულეების თვალში სულ მცირე სამშობლოს გაყიდვას მაინც ნიშნავდა. ვინ დაგიჯერებდა, რომ შენ სულ უბრალოდ, ცერეუსთან კავშირის გარეშე, ჩახვედი ამერიკაში თუჯის ლობების ჩამოსასხმელად და ფულის საშოვნელად.

ამოუკვეთეს ფეხი ერთხელ და სამუდამოდ ქუთაისიდან.

მშობლები ისე დაეხოცა, დაკრძალვაზეც ვერ ჩამოვიდა.

ჩამოშვებით ალბათ, ჩამოუშვებდა კგბ, მაგრამ უკან აღარ გაუშვებდა და რას მიუსჯიდა „საჯამუშო-სადაზვერვო საქმიანობისთვის“ ლმერთმა იცი, ყოველ შემთხვევაში, „საერთაშორისო შპიონის“ იარლიყი რომ არ აცდებოდა, ფაქტია.

ახლა რომ ამერიკაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები ქართველს, ასე არ იყო ორმოცი წლის წინათ.

სამი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობდა ნიუ-იორკში და მგონი ორი (მოგვიანებით ერთი არგენტინაში გადასახლდა) – ვაშინგტონში. ეს იყო სულ.

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ბონდო კეკელიას ერთხელ შეხვდა და მთელი ოცდაათი წელი შობა-ახალი წლის მოსალოც დეპეშებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. ჯორჯ ბალანჩინთან კუკურიას ვინ მიუშვებდა და, როგორც უთხრეს, ქართული აღარც იცოდა იმ მსოფლიო კაცმა.

შეიძლება უკეთესიც იყო, რომ ჩიკაგოში მარტომ ვიმუშავეო, „მარტოს“ იმიტომ ვამბობ, რომ ქართველი კომპანიონი არ მყავდა, თორემ ფეხზე რომ დავდექი, ჩემს საამქროში შვიდი კაცი მუშაობდა და, რომ არ დაგიმალო, სანამ ამერიკაში ლობებები საერთოდ გაუქმდებოდა კაი ფულიც ვიშოვეო, ამბობს.

ქართველს რაც შეეხება, რაცხა ვერ ეწყობიან უცხოეთში ერთმანეთს. რისი ბრალია ვერ გეტყვიო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ორმოცი წლის შემდეგ პირველად ჩამოვიდა კუკურია პაპუჩაძე საქართველოში.

ჩამოვიდა მარტო, უცოლ-შვილოდ.

დამავიწყდა ზევით მეთქვა, რომ ამერიკელი ზანგის მოხ-  
დენილი გოგო შეირთო ჩასვლიდან მეოთხე წელს.

ქორწინებით კმაყოფილია მეღობე.

ოთხი ბიჭი გაუჩინა და დაუზარდა ზანგის ქალმა.

გული მხოლოდ იმაზე სტკივა, რომ ბიჭები სუფთა  
ამერიკელებად ჩამოყალიბდნენ და ზომაზე მეტად  
შავგვრემანები არიან.

ძალიანაც უნდოდათ, წამოჰყოლოდნენ „ქართველ მამას“  
ბიჭები ქუთაისში, მაგრამ ამჯერად კუკურიმ შეიკავა თავი:  
მეორე ჩამოსვლაზე, ალბათ, ჩამოიყვანს.

თბილისის აეროპორტში არავინ დახვედრია.

უახლოესთაგან პენსიონერი უფროსი ძმა ჰყავს ქუთაის-  
ში – მიტუშა ჰქვია. მასაც, არ შეატყობინა ჩამოსვლა.

მოულოდნელად რომ გამოვეცხადები ორმოცი წლის და-  
კარგული ძმა, მეტი ეფექტი ექნებაო, ფიქრობს კუკურია და  
მგონი მართალი უნდა იყოს.

თბილის-ქუთაისის მატარებელში ხალვათობაა.

აგვისტოს ხვატში მატარებლით მგზავრობისგან ქუთაისე-  
ლი მოქალაქეები თავს იკავებენ და, თუ აუცილებლობა არ  
იქნა, არც თბილისელები იკლავენ თავს.

კუპეში შუახანს კარგად გადაცილებული ლურჯმაისური-  
ანი ულვაშა კაცი დახვდა. საბარგულში ჩემოდნების ჩადგმა-  
ჩალაგებაში უშველა, რაზეც პაპურიაძემ გულწრფელი მაღლო-  
ბა მოახსენა.

– ხომ ქუთაისში, ბატონო? – ჰერთხა თანამგზავრმა როცა  
მატარებელი დიდუბეს გაცდა და მცხეთისკენ გაჩერვაგონდა.

– ქუთაისში კი.

– ხომ მშვიდობაა, ქუთაისელს არ გავხართ.

– როგორ გითხრა. კაი ხანია არ ვყოფილვარ მარა,  
ძირძველი ქუთაისელი ვარ.

– ახლა კაცი ვერ გეიგებს, ვინაა ძირძველი და ვინაა ძი-  
რახალი.

– თქვენ?

– ბალახვანში ვცხოვრობ, მეორე შესახვევში, წყალსადენ-  
თან. იქანა დევიბადე და იქანა ვბერდები. ორმოცდაჩვიდმეტის  
ქე ვარ. სამ ნომერ სათვალეს ქე ვხმარობ და ოთხ ბოთლს  
თუ ვსვამდი, ახლა ოთხ ჭიქაზე მთვრალი ვარ. სიბერე მეტი  
კარაფერია.

– ანზორია ცხოვრობდა მაქანა, ცერცვაძე.

– რავა არ ვიცი, ბატონო, ჩემგან მესამე მოსახლე იყო.  
ობლათ გაზარდა დედამისმა.

– რას შობა?

– ალბათ, მართლა კაი ხანია არ ყოფილხართ ქუთაისში,  
თვარა გეცოდინებოდათ: აღარაა ანზორი.

– რავა?

– მიტოია პაპურიაძის გადამკიდემ კიდო დიდხანს იცო-  
ცხლა.

– მითხარი, მითხარი, თუ კაცი ხარ, – მიტოიას ხსენებაზე  
განსაკუთრებით დაინტერესდა კუკური.

– რა და კომუნისტების დროს ქუთვაჭრობაში მუშაობდნენ  
ერთათ მაგენი. მიტოია ბაზის მმართველი იყო, ანზორია –  
საწყობის გამგე. დეეცათ ერთ დღეს ობეხე. იმ წუთშივე შეი-  
ძლებოდა ჩაფარცხვა საქმის, მარა ფული არ გეიმეტა უბე-  
დურ-ნახევარმა მიტოიამ. ეიღე შენს თავზე და გამოგიყვანო,  
მოატყუა ანზორი. ეიღო ანზორიამაც, რა ექნა. ხელი არ გაან-  
ძრია მიტუშამ ამხანაგის გამოსაყვანად. გამევიდა ათი წლის  
მერე ანზორია ცერცვაძე დაავადმყოფებული, დაგლახავებუ-  
ლი. აგინა ხალხში პაპურიაძეს, მეტს რას უზამდა. რო მეეკლა,  
შეაბრუნებდნენ უკან. გამოსვლის მერე დიდხანს არ უცოცხ-  
ლია. კაი თხუთმეტი წლის მკვდარია.

– დარჩა ვინმე?

– სამი ბოვში. ვთქვათ, ვერ გამოგყავს, ხომ ხდება ასეც.  
პერედაჩი მაინც მიუტანე, კაცი შენი გულიზა ციხეში ზის.

– არა ხომ?

— ვთქვათ, გეშინია პერედაჩის — დამნაშავის თანამონაწილეთ რომ არ გამოგაცხადონ, მაშინ ასეთი რამეც ხდებოდა, ცოლ-შვილისთვის მარც მიეტანა წელინადში ერთხელ ორი კაპიკი, არც გოუხედავს იქითკენ. კაცია მაგი?

— რამ წაახდინა ასე, თუ კაცი ხარ, რას ამბობენ?

კუკურის საფეხქელთან ძარღვი აუთამაშდა.

— წამხდარი იყო თავიდან და ასე გაატარა წუთისოფელი. უბედური ენის და უბედური ფეხის პატრონია. დილას თუ შეგვდა და გამარჯობა გითხრა, თუ არ მეიკიდე მარცხენა ყვერზე მაშთელვე ხელი, წასულია შენი საქმე. საღამომდე რაცხა უბედურებაში გადავარდები.

— სად მუშაობს?

— ახლა მგონი არსათ, რათ უნდა მუშაობა გეგუთის ბაზრობაზე აგდია დილიდან საღამომდე, კითხავენ, რა გინდა აქანაო, სიმართლეს არავის ეტყვის. ვითომ ტყვილაა, ისე, თვალს წყალს ალევინებს, სინამდვილეში ნახევარი ბაზარი მაგისია. ჩამოაქვს ლილოს ბაზრობიდან კაპიკიანი თურქული საქონელი და ყიდის მანათათ. მე შენ გეტყვი, ყისმათი არ აქვს. იმნაირი აფერისტია — უდაბნოში ქვიშას გაყიდის.

— ამ ახალ მთავრობასთან რავაა?

— გეტყვი მაგაზეც. სანამ აქანა შაშიაშვილობა იყო, მეო, შაშიაშვილის კაცი ვარო, ყვიროდა. შაშიაშვილმა ხანდახან აკაკის ბაღში იცოდა გამოვლა, ყველას ჩამოართმევდა ხელს, ვინც იქანა იჯდა, მიტოიას გარდა. რანაირათ ხარ, შაშიაშვილის კაცი, ხელს არ გართმევს და ზედაც არ გიყურებსო, აგლახავებდნენ ბაღისკიდელები. მაგსაც ვერ ხვდებით, თქვე შტერებო, თქვენო. ვინც შაშიაშვილს ფეხებზე ჰეკიდია, სწორედ იმგენს ჩამოუვლის და ართმევს ხელს, მისიანებს იმიტომ გვიკეთებს „ნევიუს“, — ზოგმა ჩათლახმა ეჭვი რო არ ეიღოსო. ერთი სიტყვით, შაშიაშვილის მხარეს ვარო და საქმე საქმეზე რომ მიდგა, სააკაშვილს პირველი ჩოუხტა ავტობუსში. ახლა გულის ჯიბეში უდევს პარლამენტის წინ,

წვიმაში გადაღებული სურათი და მეო, ვარდების რევოლუციის მონაწილე ვარო.

— მერე არ ეშინია ვარდებიანები რო იფრინოს ხალხმა?

— მაინც გამოძვრება, მიტოია იმნაირი შებერტყყილია. ბოლო წუთას გამეცლება სააკაშვილს ხელიდან და მეჩერზე დატოვებს. ისე, შაშიაშვილის მერე რომ უკან-უკან წევიდა ქუთაისის საქმე, ამას ქუთაისში ხუთი წლის ბოვშიც გეტყვის. წყალი არა, დენი არა. თუ თბილისში ცხოვრობ, ნახავდი ტელევიზორში რეზერვისტები ვედროებს რომ დაარბენიებდნენ, ვითომ ხალხს ვეხმარებით.

— მიტუშაზე მითხარი კიდევ თუ ძმა ხარ.

— ჩარგეიშვილი რო დეიჭირეს, თუ გახსოვს, ვერაფერი ვერ უპოვეს რასაკვირველია, დანაშაული. რატომ დეიჭირეს და ვინ დეიჭირა, კარგად იცი, ერთადერთი მოწმე სასამართლოზე მიტოია პაპუჩაძე იყო. დამირეკა ჩარგეიშვილმა და მაცივარი მიმატანია თავის ქვისლთანო. სასამართლოზე გეირკვა, რომ მაცივარში ფული ჰქონდა იმ კაცს გადახდილი, მარა მერე იმაზე მოდვეს შარი, ურიგოდ მიიღო მაცივარიო. თუ გახსოვს, მაცივრებს და ტელევიზორებს მაშინ ქალაქკომი ანანილებდა. რა მოხდა, გამოუყო უოჩერედოთ თავის ქვისლს კაცმა მაცივარი, დეიქცა ქვეყანა? მე ჩარგეიშვილის დანაშაული კი არა, მიტოია მათხოვრის მოწმეობა მიკვირს. ყველაფერ სიგლახეზე რავა უნდა დოუდგე მოწმეთ თვითონ სულგაყიდულ და თვითონ მექრთამე მოსამართლეს.

— რა მიუსაჯეს ჩარგეიშვლს?

— რვა წელი იჯდა ციხეში და ნეტავი არ გამოსულიყო საწყალი. თავის სადარბაზოში მოკლეს. ისიც იცის ხალხმა, ვინ მოაკვლევინა, მარა სამართალი როდის ყოფილა ჩვენში.

— ამხილონ მერე, თქვას, ვინც იცის სიმართლე.

— სად თქვას, ვის უთხრას ბატონო? ჩაშვების კანონი მიღლო ამას წინათ პარლამენტმა, სასაცილოთ არ ყოფნის ხალხს. ჩაშვების კანონი მიტოიასთანა ნაძირალებისთვისაა. თავ-

მოყვარე, წესიერ კაცს რათ უნდა ჩაშვების კანონი. მიადგები-ენ მიტუშას, ასთე და ასთე შოულობ ფულს და დაყაჭე, თვარა ჩაგსვამთ გალიაშიო, მოჭუტავს თვალს მეიპატიოსანკაცებს თავს ეს ცხრა მთავრობის გაიძვერა; რას მერჩით, ბიჭებო, მეორე, რა ფული გეგულებათ ჩემთან, ფული თუ აქვს, იმას აქვს და დეეცით იმასო. ახლა უთოფო ყაჩაღობაა. გოუშვებენ მიტუშას ხელს და მიუხტებიან იმას, ვინც პაპუჩაძემ ჩაუშვა, წაართმევენ ფულს და მერე გამაძლარგამსკდრები ქე თამაშობენ ტრაკბოთლობიას. ახალი თამაშია ეს. მარტო მთავრობის ხალხი თამაშობს. ამერიკიდან შემოსულა.

- ბევრი ჩაყარა მიტუშამ ისე, როგორც შენ ამბობ?
- ბევრი, ბევრი. მარა წრე ვინწროვდება და, როცა იქნება, მოაკითხავენ პაპუჩაძესაც. თუ დიდხანს იქნენ ეგენი.
- ვინ ყავს მიტუშას ოჯახში.

– უცოლშვილოა. რა სიკუდილათ უნდა ამდენი ფული. ხელს მაგი რო კვდებოდეს კაცი, თავისიანსაც არ გოუმართავს. დახ-მარება კი არა, კაი ზამთარში თოვლს არ გინილადებს. ძმა ყო-ლია ერთი, როგორც ამბობენ. მე არ მინახავს, არ მახსოვს ის ძმა ამერიკელს მოუყვანია ვინცხას და მილიონერი გამხდარა იქანა თუკის ღობის კეთებით. ისო, როგორც ლაპარაკობენ, კაი ბიჭი იყოვო, მიტოიას არ გავდაო, ასე ახსენებენ. თუ მარ-თალია, გოუმარჯოს გამჩენმა.

- არ ჩამოდის ის ამერიკელი ძმა?
- ჩემ მახსოვრობაში არ გამოჩენილა, ვისთან ჩამევიდეს. იქანაც მივიდოდა, გაგებული ექნება მიტუშიას სიგლახე. ეგე-ბა აღარც ქეა ცოცხალი. თლათ ახალ ამბავს გეტყვი; მთელმა ქუთაისმა იცის. ამ ორი თვის წინ ბესოია გეგუჩაძის თორ-მეტი წლის ბიჭი მოატაცებია მიტუშამ შავებს. ფული აქვს ბესოიას და წაართვითო. საქმე მისცა, რო იტყვიან. საქმის მიცემაში თავისი წილი ეილო, მარა ეცოტავა თურმე; იმდენი არ მიუციათ, რამდენსაც დაპირდნენ. შავებმა ერთი აღება გადაახდევიეს ბესოიას მაყუთი, მარა ბოვში არ დოუბრუნეს, ერთი ამდენი კიდო დადევიო. ამასობაში პოლიციამ გამო-

აცხადა, ოცი ათას დოლარს მივცემთ, ვინც ბოვშის ადგილსა-მყოფელს გაგვიმხელსო. ადგა მიტუშია და მისცა ქსივი პოლი-ციას. ათი მიუცია პოლიციას, რავარც ამბობენ. დანარჩენი არც მოგეცემა და არც დაგეკარგებაო, უთქვამთ. ათი ათასი დოლარი, ცოტაა? მარა, მე არ დავსწრებივარ სასამართლოს და რავარც ყვებიან, ერთ შავს უყვირია: გადეეცით მიტუ-შიას, არ შევარჩენთ ჩვენს გადაგდება-ჩაშვებასო. მართლაც არ შეარჩენენ, მე რო ვუკვირდები, მიტუშა შტერი უფროა. თავისი თავის მტერს ეძახიან ამნაირ კაცს. ისე ვერ უნდა გააკეთო კაცმა შენი შავბნელი საქმე, რომ მეორე დღესვე მთელმა ქუთაისმა არ გეიგოს?

მატარებელმა ზესტაფონს რომ მიაკივლა, კუკურიამ თანამგზავრს ბოდიში მოუხადა და ფანჯარას მიადგა.

რასაკვირველია, არ უთქვამს ამ უცხო კაცისთვის, რომ მიტოია კაკუჩაძე მისი მკვიდრი ძმა იყო.

გულის სიღრმეში სტულდა კიდეც, თანამგზავრი, რომელ-მაც ასე უბოდიშოდ დააყარა თავზე საზიზდარი სიმართლე იმ კაცის შესახებ განგების ნებით რომ მისი ძმა იყო და ორმოცი წელი არ ენახა.

მატარებელი ასფალტიან გზას გვერდზე მიჰყვებოდა. ას-ფალტი დევის ნაკბილარს ჰერავდა.

ფერო ისევ ძველებურად იყო ჩაშავებულ-ჩამტვრეულ-ჩაკ-ვამლული.

ფერიცვალობა ახლოვდებოდა.

შეყვითლებული ხეების გასწროვ მაღალი, დაქოჩილი, მა-გრამ უტაროო სიმინდის ყანა ჩანდა.

\* \* \*

ქუთაისის მატარებელს ერთი უცნაური მგზავრი ჩამოჰყვა. ჩემოდნები ჩამოსვლისთანავე იქვე სადგურში, შესანახ საკანს მიაბარა და ცნობათა ბიუროს ჰერთა, თბილისში უკან რომელ საათზე გადის მატარებელიო.

ეს მატარებელი დღეს აღარ გავა, მაგრამ რიონიდან ბა-  
თუმს შეგიძლიათ გაჰყვეთ ათ საათზეო, ბილეთს, გნებავთ,  
ახლავე მოგცემთ, გნებავთ რიონში აიღეთო.

მგზავრმა ყოველ შემთხვევისთვის ბათუმზე ბილეთი  
აიღო.

ვაგზლის მოედანზე გამოვიდა ტაქსში ჩაჯდა და ჯერ  
ბაგრატის ტაძრის ეზოდან კარგა ხანს დასცეროდა ქალაქს,  
მერე თეთრი ხიდის გავლით ყოფილ წულუკიძის ქუჩაზე ჩახე-  
ვევინა, შემოიარა საკონსერვო ქარხნის ტერიტორია... გაჩერდა  
კლუბთან, სადაც ბავშვობაში ცეკვის წრეზე დადიოდა. მერე  
ციხეს გაუარა და კრივის დარბაზში შევიდა. ბავშვები, ისე  
გამეტებით უბათქუნებდნენ შიშველ ხელებს სპორტულ „მსხ-  
ლებს“, რომ გაეცინა, თვითონაც დადიოდა ერთ დროს კრივზე  
ჯუმბერ კვანტალიანთან და ზემილია მაჭავარიანთან ერთად.

ისევ ქუთაისის ქუჩებს ჩამოუარა. მამისეულ სახლთან გაა-  
ჩერებინა, ქუდი ჩამოიფხატა და კარგა ხანს შეჰყურებდა.

მშობლიური სახლი, რომ ახსოვდა, იმაზე გაცილებით პა-  
ტარა ეჩვენა.

არავის გამოლაპარაკებია.

კაცმა რომ თქვას, ნაცნობიც არავინ შეხვედრია.

სადგურში დაბრუნდა, იმავე ტაქსში ჩაანყო ჩემოდნები და  
რიონის ვაგზლისკენ წაყვანა სთხოვა.

ტაქსის მძღოლს, განსხვავებით სხვა ცნობისმოყვარე ტაქ-  
სის მძღოლებისაგან, არაფერი უკითხავს.

რა მისი საქმე იყო, საით წავიდოდა მუშტარი.



## ზორაპარკი შიგნილობს

2006 წლის 27 ივნისის 12 საათია.

უნივერსიტეტის კიბეზე პროფესორ-მასწავლებლები სხე-  
დან და შიმშილობენ.

წლევანდელი ივლისის პირველ ნახევარს არა უშავდა,  
შიგადაშიგ ღრუბლიანი დღეც გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ 17  
ივლისიდან ერთობ სიცხიანი ამინდები დაიჭირა.

მოსარკულ ცაზე ღრუბლის მისხლისოფენა ფთილიც არა  
ჩანს, რომ ცის ნამის იმედი ღამით მაინც იქონიოს კაცმა.

გავარვარებული, ლურჯი დისკო ჩამომხობია ათასი სატ-  
კივრით შელონებულ დედაქალაქს.

პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტის გადასარ-  
ჩენად თავი გადაუდვიათ.

კაცმა რომ თქვას, მათი ახლანდელი მდგომარეობა, ბევ-  
რად სჯობს ცხრა ივლისისას.

ცხრა ივლისს, რას ჰქვია უნივერსიტეტის დანგრევაში  
ხელს გვიშლითო, პოლიციელებმა „ამბოხებული“ პროფესორ-  
მასწავლებლები უნივერსიტეტის კლუბში შერეეს და გარედან  
კარი გადაუეტეს.

მთელი ღამის განმავლობაში საზოგადოების მიერ ფრიად  
დასაფასებელ ამ ასაკოვან გვამებს, არც ფანჯარა გაუღეს და  
ბიოლოგიური საჭიროებისათვის საპირფარეშომდე ბადრაგით  
მიყვანის სიამოვნებაც წართვეს.

ასე რომ, ცხრა ივლისთან შედარებით ახლა პროფესორ-  
მასწავლებლები ურიგო მდგომარეობაში როდი არიან.

გაუსაძლისი სიცხე რომ არ იყოს, სუფთა ჰაერზე მაინც  
სხედან.

გრანიტის კიბეზე ცხვირსახოცები უფენიათ და სხედან  
მოწყენილი სახეებით.

ცოდვას ვერ დავიდებ, იქვე მდგომი პოლიციელები პროფესორ-მასწავლებელს ხელს როდი უშლიან, როცა ეს უკანასკნელი დროდადრო წამოდგება, ცხვირსახოცს გაფერთხავს, კისერში ჩაიფენს და თანაბარაჩქარებული ნაბიჯებით გასწევს უნივერსიტეტის ბაღში შემორჩენილი ერთადერთი სამუზეუმო ჯიხურ-ტუალეტისკენ, რომლითაც ამ ბოლო დროს მხოლოდ ნარკომანები და მოშიმშილე პროფესორ-მასწავლებლები სარგებლობენ.

ხანგამოშვებით, ტლუ პოლიციელი ბიჭების ჯანის სიმრთელით შენარჩუნებული თავისი კაბინეტის სარკმლიდან მოშიმშილეებს უჭვრეცს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხუბუა. რაკი სიცხე-შიმშილით გათანგულ „ცოტნეიდებს“ საეჭვო ხვანცალს ვერ შეატყობს, ჩაილიმებს მომხიბვლელი, კოლხური ღიმილით და სავარძელში ჩაეშვება.

მარჯვნივ და მარცხნივ, კიბეზე, ტელეკამერების სიახლოეს ულამაზესი ჟურნალისტი გოგონები ჩამუხლულან და სენსაციის მოლოდინში თავიანთ ურთულეს ჟურნალისტურ ცხოვრებაზე ჭორაობენ.

ჟურნალისტ მზეთუნახავებს ქვეშ ცხვირსახოცები არ უფენიათ; ჯინსშემოტკეცილი-, უკოხტავესი გავები პირდაპირ გრანიტის მტვრიან ფილებზე უდევთ.

ცალკე დგანან გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის, სახელოვანი „რუსთავი-2“-ის წარმომადგენლები. ჩანს, უკვე ხვდებიან, რომ ვარდების რევოლუციამ არ გაამართლა და თავიანთი ოპოზიციონერი კოლეგების აშკარად რცხვენიათ.

„საზოგადოებრივ არხს“ (?)! კამერაზე მომცრო მონიტორი ჩაურთავს. ეკრანზე ჩანს უსათვალო დიქტორი, რომელიც მის წინ ჩარქენილ სტრიქონებს ახმოვანებს. „ძვირფასო ტელემაყურებლობო, კოდორის ხეობიდან ეს-ესაა გვაუწყეს, რომ ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველი ნაწილი წარმატებით მიმდინარეობს. დაიბომბა სოფლები შხალთა და ომარიშარა. ბანდიტებისგან უკვე გაწმენდილია საკენი და აზარა (როგორც

„ზემო“, ისე „ქვემო“). სამწუხაროდ, სახელმწიფო შენაერთების ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ერთი უდანაშაულო ქალბატონი, რომელიც კვიციანის ეზოში მიმოდიოდა და ჩვენს პოლიციელს გადაცმული ბანდიტი ეგონა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ პასუხისმგებლობა მოკლულ ქალბატონზე ემზარ კვიციანს და მის ხროვას ეკისრება.“

კეკელიძის დაღმართზე საექსკურსიო ავტობუსი გაჩერდა. ავტობუსიდან გადმოუივილხივილდნენ წითელქუდიანი „თინეი-ჯერები“ და უნივერსიტეტის ეზოში უნივერსიტეტის წმინდა მამების ძეგლებთან გამნკრივდნენ.

14-16 წლის ექსკურსანტებს თავზე თეთრი, წითელ-კოზიროკანი ქუდები ახურავთ. ქუდებს კოზიროკს ზემოთ აწერია – „პრეზიდენტის საჩუქარი ბავშვებს“.

ნაცომძრაობის საიმედო ცვლის წარმომადგენლებს ბედნიერ-ბრიყვული გამომეტყველება არც მაშინ შეცვლიათ, როცა მოშიმშილე გიორგი გოგოლაშვილმა დიკტოვონს ჩასახა: „ბავშვებო, მოიხადეთ ქუდები! თქვენ უნივერსიტეტის პანთეონში ხართ და დედა-უნივერსიტეტის პანაშვიდს ესწრებით!“

„ბავშვებმა“ პრეზიდენტის ნაჩუქარი ქუდები ხელში დაიჭირეს, თუმცა მათი ბებიების და ბაბუებისტოლა მოხუცების ამ გაგანიაში კიბეზე ჯდომა არ გაკვირვებიათ.

ეგონათ, ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

თინეი-ჯერებმა იცოდნენ, რომ ეს ადრე და მალე ჩასაქვესკნელებელი უფროსი თაობა რაღაც სისულელეს მოიფიქრებდა და აკი მოუფიქრებიათ კიდეცო, დაასკვნეს ჩიტებით და პეპლებით სავსე თავებით.

მანქანების ნიაღვარში ვიღაცამ მოშიმშილე პროფესორ-მასწავლებლებისადმი სოლიდარობის წიშნად გაბმული სიგნალი მისცა.

პატრულიანი „ფოლკსვაგენი“ მოსხლტა და „წესრიგის დამრღვევს“ დაედევნა.

დინჯი, მტკიცე ნაბიჯით მოადგა შიმშილის კიბეს დე-  
მოკრატიული პარტიის შვიდკაციანი დელეგაცია.

დელეგაციას წინ პარტიის თავმჯდომარე, ზვიადის ეპოქის  
პოლიტკატორლელი ფალავანდიშვილი და პოლიტიკური მდი-  
ვანი სტაჟაძე მოუძღვიან.

დელეგაციის რიგით წევრთაგან ერთს პარტიის დროშა უჭი-  
რავს, ორს კი ნახევრადგაშლილი ტრანსპარანტი, რომელზეც  
ყველა ასო რომ ჩანდეს სავარაუდოდ, უნდა ეწეროს: „ძვირ-  
ფასო პროფესორებო, არ შედრკეთ! დემოკრატიული პარტია  
თქვენთანაა!“

მოშიმშილენი შიმშილს განავრძობენ. ეტყობათ, „შედრეკას“  
არ აპირებენ.

გამშრალ „ჩინურ ვაზასთან“ მტრედისფერი მტრედი  
დაფრინდა. ჯერ ფრთხილად მიუახლოვდა გობქვაში ამოჩილ-  
ონკანის მიღს, მერე შიგ პანაწინტელა თავნისკარტიც ჩარგო,  
მაგრამ მიღს წყლის ნიშან-წყალიც რომ არ ეტყობოდა, კისერი  
უკმაყოფილოდ წაიგრძელა და ფიქრისგორისკენ გაფრინდა.

მსოფლიოში ცნობილ პლაზმის სპეციალისტს, ხუთი აკა-  
დემიის ნამდვილ წევრს ბიკენტი გლურჯიძეს თადარიგი  
დაუჭრია. შინიდან ორი ცხვირსახოცი წამოუდია; ერთზე ზის,  
ხოლო მეორე ოთხუთხივ გაუნასკვავს და თავზე მჭიდროდ,  
ქარგამძლედ ჩამოუქაჩავს.

ვერ გეტყვით, ძალიან უხდება-მეთქი, მაგრამ მზის დარ-  
ტყმისგან აშკარად იფარავს.

ბიკენტის გვერდით თავისი ნაასპირანტალი, 70-ს გადაშო-  
რებული ვასილ ხურცია უზის.

ნამასწავლებლარს და ნამონაფარს უკვე ბევრი მწარე-  
მწარე რამა აქვთ ნათქვამი ერთმანეთისთვის სააკაშვილზე  
და ლომაიაზე. იმ დიალოგის მოტანას ავტორი შეგნებულად  
მოერიდება. ამბოხებულ პროფესორთა ინტელექტუალურ მხ-  
არდაჭერაში რომ არ ჩაუთვალონ და ირაკლი ბათიაშვილის  
გზას არ გაუყენონ.

ვთქვათ, ახლა არ სჭირდებათ ამ კარის გაღება, – თითქოს-  
და საკუთარ, ძარღვდაბერილ, გახუნებულბალნიან, მჭლე ხე-  
ლებს ელაპარაკება გლურჯიძე, – სექტემბერში, სწავლა რომ  
დაიწყება არც მაშინ გააღებენ?

– მერე? რას ელი, რომ გააღებენ ბატონო ბიკენტი?  
– რას ველი და სტუდენტები ხომ აქედან შევლენ!  
– ნამდვილად.  
– მაშინ მაინც არ იკითხავენ სტუდენტები ეს ბებერი პრო-  
ფესორები რატომ სხედან კიბეებზეო?  
– არ იკითხავენ, არა, ბატონო ბიკენტი. გადაგაბიჯებენ  
თავზე და შევლენ აუდიტორიაში, სადაც მათსავით თინეიჯერი  
ასისტენტ-პროფესორი წაუკითხავს ლექციას.

– რანაირად კაცო, – ბიკენტი ხავსს ჩაებლაუჭა – ჩემი სტუ-  
დენტობის დროს გაფიცული და მოშიმშილე ივანე ჯავახიშ-  
ვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და  
გიორგი ახვლედიანი რომ მენახა კიბეზე, არ ვიკითხავდი, რამ  
შეგაწუხათ, რით გიშველოთ წმინდა მამებო, მეთქი?

– ახლა სხვა დროა. როგორც ვატყობ სტუდენტებს ჩვენი  
ბედი აღარ აწუხებთ.

– რას ჰქვიან, ვასო, ჩვენი ბედი. შენ გვინია, მე ჩემი პრო-  
ფესორული მუნდირის გადასარჩენად ვიკლავ თავს ამ სიცხე-  
ში? ჩვენი კი არა, უნივერსიტეტის ბედი უნდა აინტერესებდეს,  
ხომ ხედავენ, როგორ დაანგრიეს და დააფშვნეს თავზე ივანე  
ჯავახიშვილს უნივერსიტეტი.

– ვერ ხედავენ ვერა, გაიგე, ახლა სხვა დროა. ეროვნული  
მოტივები მოდაში აღარ არის.

ჩინურ ვაზას ახლა სხვა მტრედი დააფრინადა და გამშრალ  
ონკანს გარინდული, თავის მტრედურ ფიქრებში გართული  
ჩასცერის.

– პირველ მოლაპარაკებაზე იყავი შენ? ჰკითხა გლურჯი-  
ძემ ნაასპირანტალს.

– არ ვყოფილვარ.

– რა გვითხრა იცი? სამეცნიერო კონფერენციებზე გამარჯვებულებს რითი გაჯილდოვებდნენ, თუ გახსოვთო. მეორე ადგილზე გასულს 10 ათას რუბლს გაძლევდნენ, პირველ ადგილზე გასულს ლენინის სურათსო. ეჭირა ხელში, გულთან ახლოს, გამარჯვებულს ლენინის სურათი და ბედნიერი სახე ჰქონდა, ათი ათასი რუბლის მიმღებზე. აი, ეს თაობა ხართ თქვენო.

– ვერ უთხარი მაგ ტუტუცს, ბატონო ბიკენტი, საბჭოთა კავშირი ჩემმა თაობამ დაამხო, შენს თაობას მაშინ საწილარა ედო პირში-თქო? მზამზარეულზე მოსული, გაჭირვებაუნახავი ლანირაკები დაგვასხედით თავზე და სიბერე გაგვიმწარეთ-თქო?

– სხვაც ბევრი რამ ვუთხარი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცი. ესენი აშკარად სადისტი ბავშვები არიან დაცლილი ყოველგვარი სასიკეთოსგან. ერს დალუპავენ, ერს, თორემ ჩვენი თავი ჯანდაბას.

– არც ამ შიმშილობით გამოვა რამე, – დიდი პაუზის შემდეგ თქვა ვასო ხურციამ.

– მართალი ხარ. იმას უნდა უშიმშილო, ვისაც ცოტათი მაინც გული შესტკივა შენზე, ან საზოგადოების რიდი ერთი ფიორი მაინც აქვს შერჩენილი და გაიფიქრებს – არ მოკვდეს შიმშილით ეს ოჯახეორი, თორემ მე დამბრალდებაო. ამათ-თვის ჩვენი შიმშილი და დაუძლეურება მისწრებაა. ერთ წამში, რომ გაგვძვრეს ყველას ერთად სული, წარბს არ შეიხრიან.

– ვინ მოვიდა, ვინ გაგვიზრდია ჩემო ბატონო ბიკენტი?!

– არა, არა, ვასო, ესენი ჩვენ არ გაგვიზრდია, მე ვიცი, ეს-ენი ვინც გაზარდა. თანაც... სწორად წერდა ამას წინათ რომელიღაცა უურნალისტი – ეს არის კომპლექსებიანი, მახინჯი, ახალგაზრდების შეტევა ნორმალურ საქართველოზე.

– თქვენ გამოსავალს ყოველთვის იპოვიდით ხოლმე...

– ახლანდელი მდგომარეობიდან ნამდვილად ვერ ვხედავ გამოსავალს, ასეთ მძიმე დღეებში საქართველო არასოდეს

ყოფილა. გაყიდეს, დააქციეს მთელი ქვეყანა. დედა უტირეს საქართველოს და უბედურება ის არის, რომ ქვეყანას ლრმა ძილით სძინავს.

– მე მაინც მჯერა რომ გაიღვიძებს და ერთხელ კიდევ დაიქუჩებს. – ვასო ხურციამ თვითონვე იგრძნო, რომ ყალბად და პათეტიურად თქვა.

– ვაითუ, რომ გაიღვიძებს ყველაფერი გვიან აღმოჩნდეს. გუშინ ერთი პარტიის ლიდერს ვუთხარი – შე კაი კაცო, ყური რომ წაგვჭამე, სამასი ათასი პარტიის წევრი მყავსო, სამასი კაცი მაინც მოგეყვანა, მარტო შენ და შენი მოადგილე რომ მოტანტალდით-მეთქი. სირცხვილეულად გამიღიმა და მიკროფონთან დადგა ცეცხლოვანი სიტყვის სათქმელად. ის რომ გრძელ, მოწოდებებიან სიტყვას ამბობდა, მისმა მოადგილემ მიჩრებულა: სადაა ხალხი, ბატონო ბიკენტი, ჩვენ სიებილა დაგვრჩა უჯრებშიო.

– მართლაცდა სადაა ხალხი, ვერა და ვერ გამიგია.

– ზოგი იყიდეს ჭრელაჭრულით, შადრევან-აუქციონებით, ზოგი დააშინეს, დაადედლეს, ხომ ხედავ, დიდი საბჭოს დადგენილების გასაცხადებლად რექტორთან როგორ გაბედეთ შესვლაო და 500 პოლიციელს გამოუძახა ლომაიამ. ხელის გადაწრიახებით გამოგვყარეს დიდი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან. თვითონ როგორ შევარდნენ პარლამენტში და დაამხვეს კანონიერი ხელისუფლება დაავიწყდათ. დაიღალა, დაბეჩავდა ხალხი. ახალგაზრდობას ტვინი გამოურეცხეს. ილიას და აკაკის გინებას მიაჩინეს. ყური გაუხედნეს...

ეს ყველაფერი ვასომაც მშვენივრად იცოდა და ხუთი აკადემიის ნამდვილმა წევრმა ბიკენტი გლურჯიძემ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, სცადა საუბრის ჟანრი შეეცვალა.

– დავიღლებით ჩვენც და წავალ-წამოვალთ რამდენიმე დღეში, ვასილ. შენ იკითხე, თორემ, მე ვიცი, რა საქმეს მოვიდებ ხელს შავი პურის ფული მაინც რომ გავაკეთო.

- რას, ბატონი ბიკენტი, პროფესიას შეიცვლით?
- პროფესია ვის რაღად უნდა. პლაზმისკენ და მიკროსკოპისკენ გამხედავი აღარა ვარ. ან აქამდე რისთვის შევაჭმევინე თავი ამ დაწყევლილ მეცნიერებას, სამი ისეთი საქმე მაქვს სამერმისოდ მოფიქრებული, წყალი არ გაუვა, გითხრა? -გისმენ ყურადღებით.
- ოღონდ პირობა უნდა მომცე, რომ სხვას არავის ეტყვი, თორემ მომპარავენ „იდეას“ და დავიღუპები.
- არ გინდა ლაპარაკი, არ მიცნობ? სამარე ვარ.
- დამიგდე კარგად ყური. პირველი საქმე: ბიოდენით მკურნალობას დავიწყებ.
- მერე ბიოდენი?
- ასიდან ასი ბიოდენით მკურნალი იტყუება, ვასო. მეტი რა ვიცით მე და შენ. ცოტ-ცოტა ბიოდენი ყველასა აქვს და მეტი არცაა საჭირო. ჩვენ რომ ბიოდენით მკურნალობას ვეძახით, ფსიქოთერაპია და სხვა არაფერი. ავადმყოფი თვითშთაგონებით, რწმენით იკურნება და არა ე.წ. ბიოდენით.
- მეორე?
- მეორე უფრო იოლი საქმეა. ცოტაოდენ ფულს ვისესხებ, წავალ სამარყანდში და დედალ აქლემს ვიყიდი.
- რად გინდა აქლემი, ბატონი ბიკენტი – ნაასპირანტალმა თავის ოსტატს პირველად შეხედა ეჭვის თვალით.
- ჩამოვიყვან აქლემს თბილისში და დავაყენებ სადმე ხალხმრავალ ადგილზე. რა თქმა უნდა, ლიცენზია აღებული მექნება. შპს „აქლემის“ თავმჯდომარე მე ვიქნები. დავიქირავებ ფოტოგრაფს და მორჩა.
- რა მორჩა?
- რა მორჩა და ვის არ უნდა აქლემთან, ან აქლემზე სურათის გადაღება. ის აქლემი, ჩემო ვასო, თავის თავსაც ირჩენს და მეც მარჩენს. ორ კუზს შორის დაჯდომის სიამოვნება და მითუმეტეს სურათის გადაღება შედარებით ძვირი ელირება. რატომ ადრე ვერ მოვიფიქრე ეს საქმე, რაზე შევაკალი პლაზმას თავი.
- კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც დედალ აქლემს ყიდულობ, – ვასილ ხურცია სიცილისგან ცრემლებს ძლის იკავებდა.
- ენციკლოპედიაში ამოვიკითხე, მამალი აქლემი უფრო ჯიუტი დ თავნებააო. შეიძლება მოსწყინდეს ფოტომოდელად მთელი დღე დგომა. მიადუშულს სახეში ფოტოგრაფს, დაჰკრას ფეხი და გაიქცეს, სდიე მერე, ბიკენტი, აქლემს ქუჩაში.
- მესამე? – ვასომ ცრემლები მუშტით შეიმმრალა – აგაშენათ ღმერთმა, ამდენი კარგახანია არ მიცინია.
- მესამეა რაცაა. თუ ამ ორმა საქმემ არ გამიმართლა, მესამე ნალდია. ოპერაში ვიწყებ მუშაობას.
- რა საქმეზე? – ვასო ახალი უცნაურობის მოსმენის მოლოდინში გაინაბა.
- კულისების გამგედ დანიშვნას მპირდებიან. რა უნდა აკეთოს კულისების გამგემო, მკითხავ შენ. ახლავე აგიხსნი: ფრაკში და პეპელაპალსტუხში გამოწყობილი კულისებში დავაბიჯებ. ვთქვათ, მიმდინარეობს ბალეტი „გედების ტბა“. ბალერინები მესამე ზარის მოლოდინში ფარდებთან მიყუჟულან და უივუივ-ჭორაობენ. მესამე ზარია. იგი, უპირველეს ყოვლისა, მე, კულისების გამგეს მესმის, მივირბენ ბალერინებთან და „აბა, აბა, გოგონებო, ნუ გაერთეთ! შედით სცენაზე! მესამე ზარია, სწრაფად! სწრაფად! ტკბილ-დატატანებით და ტაკუნებზე ხელის მსუბუქი ტყაპატყუპით შევრეკავ ანც ბალერინებს სცენაზე.
- ვასო სიცილისგან ჩაბჟირდა, მერე კი ისე ახარხარდა, რომ მწუხარესახიანმა მოშიმშილეებმა გაკვირვებით გამოხედეს.
- დიდად სარფიანი საქმეა-მეთქი ვერ გეტყვი. სუფთა ხელფასზე ვიქნები და კორუფციასაც ვერავინ დამწამებს. ესეც არ იყოს, ამ სამუშაოს ინტელექტი არ ჭირდება. ცოტა სითამამე და მისი ჯანი. ისე სახალისო საქმეც არის, ხომ? რას იტყვი შენ?!
- ლამის ორმოცი წელი ერთად მუშაობდნენ და ვერ წარმოიდგენდა პროფესორი ვასილ ხურცია, თუ მსოფლიოს ხუთი

აკადემიის ნამდვილ წევრს ბიკენტი გლურჯიძეს იუმორის ამ-ხელა გრძნობა ჰქონდა.

— ერთი სათხოვარი მაქვს, ბატონო ბიკენტი, — სიცილ-ძიგძიგით მიუბრუნდა მოწაფე მასწავლებელს.

— ჰო?

— შემცვლელად, შაბათ-კვირის სპექტაკლზე, თუნდაც მეოთხედი შტატით, ვერ მიმიღებთ თქვენს თანაშემწედ ოპერაში?

— ვნახოთ, ვკითხავ მთავარ რეჟისორს, შეიძლება ჯერვე-რობით, დროებით გამოსაცდელი ვადით მოგიხერხო რამე.

ორივენი ხითხითებდნენ, რაც სხვა მოშიმშილეთა გაკვირვების მიზეზი ერთხელ კიდევ გახდა.

ბიკენტიმ ზედმეტად ჩათვალა აეხსნა მოშიმშილე კოლეგებისთვის სიცილის მიზეზი. არც ვასილს გამოუდვია თავი და სწორადაც მოიქცა; ყველა მეამბოხე პროფესორს იუმორის გრძნობა ერთნაირად როდი აქვს განვითარებული.

\* \* \*

ნასაღამოსცხრასაათევზე მიტინგი რომ დამთავრდა და მოშიმშილე პროფესორ-მასწავლებლები კიბეზე თავიანთ უსაშველო სევდასთან მარტონი დარჩნენ, ვიღაცამ საველე, შავთეთრი ტელევიზორი ჩართო.

ინფორმაცის საათი კარგა ხნის დაწყებული გახლდათ, როცა ეკრანზე სანდომიანმა ტელეჟურნალისტმა მსმენელთ აუწყა:

„მესამე დღეა რუსთავის ზოოპარკში ცხოველები შიშილობენ. საქმე ის გახლავთ, რომ ბიუჯეტის დამტკიცების დროს პროექტის შემდგენლებს გამორჩათ ზოოპარკის დაფინანსება. ეს ვიღაცის დაუდევრობაა თუ ცხოველთა ინტერესების იგნორირება, ჩვენ ვერ მოგახსენებთ. ქალაქის მუნიციპალიტეტ-საც დროულად უნდა შეემოწმებინა ბიუჯეტის სათანადო გრაფა, რათა ზოოპარკი ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო“.

სიუჟეტს „საილუსტრაციო მასალაც“ ახლდა.

გისოსებს აწყდებოდნენ მშიერი დათვები, ყმუოდნენ, ღნა-ოდნენ, წინდაუკან მიმოდიოდნენ მშიერი მგლები, მელიები და ტურები, ვეებერთელა ყურებს ატყაპუნებდა სპილო, თავს მაღლა სწევდნენ და ყროყინჭიხვინით იქაურობას იკლებდნენ ზებრები და ანტილოპები, ყაშუაშებდნენ, არწივები, სალტო-მორტალეს გადადიოდნენ და მნახველებს გრძელ წითელგულიან ხელებს უწვდიდნენ მაიმუნები...

ამ „სანახაობას“ ტელევიზიამ სამენსტრუაციო საფენების რეკლამა მოაყოლა.

— ეს... ეს... ეს უკვე კატასტროფაა, — ჩაილაპარაკა აკადემიკოსმა ბიკენტი გლურჯიძემ და სუნთქვა შეუგუბდა. გვერდით მჯდომმა ხურციამ ხელი შეაშველა, რომ გულშელონებულ პროფესორს უკან, კიბის საფეხურისთვის თავი არ დაერტყა.

სასწრაფოს უხმეს.

პალმოლივსაპნისსუნიანი ექიმი წნევას რომ უზომავდა, აკადემიკოსმა მთვარეს ახედა.

უნივერსიტეტს თავზე ძველი, გალეული მთვარე ადგა.

თბილისი, აგვისტო

2007 წ.



## ასარჩევი

გამგებიანი.....	5
რიარია .....	10
სამი ბიჭის ამბავი.....	24
მეთალგამე .....	34
გამდიდრების ექვსი გზა.....	40
იაპონელი .....	48
ნუ ხტუნავ.....	62
მეტეორი.....	66
უცნაური ქორნილი .....	75
იმ ქარბუქიან ღამეს .....	80
თითქოს თოკით ეწევიანო .....	92
იაკინთე .....	104
დოლომისი.....	113
გულთმისანი .....	127
ახირებული .....	139
სხვანი.....	146
ნუ დააგდებ .....	158
კაცი, რომელმაც მამის საფლავი დაკარგა .....	167
სანამ გვიან არ არის.....	181
წარლვნა .....	186
ჩინელები .....	198
შულავერის ომი.....	205
ბილიკისპირა საფლავი .....	210
კვამლის შემფუტებელი .....	217
რონიდა.....	223
გალაკტიონის სიკვდილი.....	236
მთვლემარე კაცობრიობა.....	245
იუდა.....	251

ვირი .....	261
ადრე გაზაფხულზე .....	267
ვის ვუყვარვართ ეგრე .....	271
სავალალო ამბავი .....	277
გაუპატიურება .....	294
ანდერძი .....	304
სექსუალური ნოველა 2 .....	313
ქართველები .....	319
გადახურვა .....	325
შეხვედრა სტალინის ქალიშვილთან .....	336
ზამთარია... მათოვს... მაწვიმს .....	355
ინფარქტი .....	365
მესაყვირე .....	373
ლელა .....	388
სიკეთის ქვა .....	397
ბომბორას ზღაპარი .....	402
ტერენტი გრანელი .....	414
წმინდა გიორგი .....	421
ნატაშა .....	436
როგორ იბადება ნოველა .....	442
ქურდი და ციხე .....	449
ძალლყურძენა .....	458
ზოოპარკი შიმშილობს .....	467

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**  
в 25 томах  
TOM VIII

Издательство „Сакартвелос Мацне“  
Тбилиси 2012